

**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი**

**ლელა თავდგირიძე, გული შერვაშიძე,
ნანი მამულაძე, ნატო შეროზია**

სწავლებისა და განათლების თეორია (დიდაქტიკის საფუძვლები)

დამხმარე სახელმძღვანელო



გამომცემლობა

„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“

ბათუმი - 2019

UDC (უკ) 37.026(075.8)

თ-172

**ადიარებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭოს მიერ, ოქმი №4, 30.07.2019)**

აღნიშნული სახელმძღვანელო განკუთვნილია როგორც დამოუკიდებლად, ასევე ბაკალავრიატის საფეხურის ფარგლებში მოქმედი მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისა და ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის.

რეცენზენტები: იმერ ბასილაძე - ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი
ნათელა ფარტენაძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ISBN 978-9941-488-12-2

© „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ - 2019

სარჩევი

წინასიტყვაობა	5
თემა 1. დიდაქტიკა -სწავლებისა და განათლების თეორია, სწავლების პროცესის არსი, ფუნქციები და კანონზომიერებანი. სწავლება/სწავლის თანამედროვე მიდგომები	11
- დიდაქტიკის ცნება და ძირითადი კატეგორიები	11
- დიდაქტიკის ძირითადი დარგები	20
- სწავლების ფუნქციები	22
- სწავლების კანონზომიერებანი	33
- სწავლება/სწავლის თანამედროვე მიდგომები	37
თემა 2. სწავლებისა და განათლების შინაარსი. სწავლების პრინციპები	44
-განათლების შინაარსი	44
-სწავლების პრინციპები	60
თემა 3. სწავლების მეთოდები და კლასიფიკაცია	76
- სწავლების ზეპირსიტყვიერი მეთოდები	82
- წიგნზე მუშაობის მეთოდები	85
- საგნებსა და მოვლენებზე დაკვირვების მეთოდები	87
- პრაქტიკული მეთოდები	94
თემა 4. ჯგუფური, ინდივიდუალური და წყვილებში მუშაობის არსი, თანამშრომლობითი სწავლება	106
- დამოუკიდებელი და ჯგუფური მუშაობის არსი, მნიშვნელობა	106
თემა 5. საკლასო დისკუსია, როგორც სწავლების სტრატეგია	122
თემა 6. სწავლება/სწავლის ეფექტური სტრატეგიები	140
- შემოქმედებითი აზროვნების განვითარების ხელშეწყობა	145
- პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება	147
- პროექტი, როგორც სწავლება/ სწავლის მეთოდი	149
თემა 7. მეტაკოგნიტური უნარების განვითარება. კოგნიტური სქემები	154
თემა 8. კითხვის სტრატეგიები	167
თემა 9. წერის სტრატეგიები	188
თემა 10. დიდაქტიკური თამაში, პედაგოგიური სიტუაციები და ამოცანები	212
- დიდაქტიკური თამაში, როგორც სწავლების მეთოდი	
- პედაგოგიური სიტუაციები და ამოცანები	226
თემა 11. სწავლების ორგანიზაციის ფორმები, გაკვეთილის სამფაზიანი მოდელი, ბლუმის ტაქსონომია გაკვეთილზე	228

- გაკვეთილი-სწავლების ორგანიზაციის ძირითადი ფორმა	228
- ბლუმის ტაქსონომია გაკვეთილზე	242
- ცოდნის კატეგორიები და ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევი კომპეტენციები	252
თემა 12. სწავლების ორგანიზაციის დამხმარე ფორმები	258
თემა 13. მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება–შეფასება	266
- შეფასება, შეფასების მიზნები	266
- შეფასების სქემების, კრიტერიუმების შექმნა და გამოყენება	272
თემა 14. შეფასების მეთოდები	283
- თვითშეფასება და ურთიერთშეფასება	295
დავალებები პრაქტიკული მეცადინეობისათვის	303
- ჯგუფური, ინდივიდუალური და წყვილებში მუშაობა	303
- დისკუსია	304
- მეტაკოგნიტური უნარების განვითარება. სწავლების სტრატეგიები	308
- კითხვის სტრატეგიები	311
- წერის სტრატეგიები	313
- პედაგოგიური სიტუაციები	314
- ბლუმის ტაქსონომია	329
გამოყენებული ლიტერატურა	336
დანართები	344

წინასიტყვაობა

განათლების სფერო და მასთან დაკავშირებული საკითხები ყოველთვის მნიშვნელოვანი და აქტუალური იყო კაცობრიობისთვის, რადგან ეს ის სფეროა, რასაც ეფუძნება ნებისმიერი დარგისა და საზოგადოების უწყვეტი განვითარება. განათლება არის წინაპირობა ღირსეული ცხოვრებისა თუ სოციალური მდგრადობის უზრუნველყოფისთვის. ერთია განათლების მიწოდება, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რამდენად ხარისხიან განათლებას ვაწვდით და შესაბამისად რა შედეგს ვღებულობთ.

ტექნოლოგიების განვითარებამ, გლობალიზაციამ და სწრაფად ცვალებადმა გარემომ შექმნა მოთხოვნილება განათლების სისტემები და მიზნები შესაბამისობაში მოდიოდეს თანამედროვე გამოწვევებთან. ამდენად, საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ ისეთი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება, რაც დაეხმარება მომავალ თაობას იყოს კონკურენტუნარიანი, გააჩნდეს სათანადო ცოდნა, უნარ-ჩვევები, მსოფლმხედველობა და მზაობა დამოუკიდებლად უზრუნველყოს ღირსეული ცხოვრებისეული პირობების შექმნა, ამავდროულად იყოს პიროვნულად ჩამოყალიბებული. ყოველივე აღნიშნულის წინაპირობას კი, წარმოადგენს მასწავლებელი თავისი კომპეტენციებითა და შესაძლებლობებით. სწორედ მასწავლებელი არის საგანმანათლებლო სისტემის ამოსავალი წერტილი, ხარისხიანი განათლების გარანტი.

საქართველოში განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მდგომარეობა საკმაოდ პრობლემატურია. აქტუალობას არ კარგავს კითხვები: აწვდის თუ არა დღეს ქართული სკოლა მოსწავლეს შესაბამის განათლებას, რა როლი უჭირავს აღნიშნულ საკითხში პედაგოგს, უქმნის თუ არა სახელმწიფო და სკოლა მასწავლებელს პირობებს იმისთვის, რომ ჩამოუყალიბდეს შესაბამისი უნარ-ჩვევები და შეიძინოს გამოცდილება, გააჩნდეს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერება, გააზრებული ჰქონდეს საკუთარი როლი და უფლება-მოვალეობები სკოლის, სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე, მუდმივად იზრუნოს საკუთარ წინსვლასა და პროფესიულ განვითარებაზე.

ქვეყანაში განსაზღვრული განათლების ეროვნული მიზნების მიუხედავად, პრობლემად რჩება საზოგადოების შეთანხმებულობა ხარისხიანი განათლების არსისა და მაღალკვალიფიციური მასწავლებლის შესახებ. განათლება ის სფეროა, რომელიც მუდმივად უნდა იყოს მზად თანამედროვე გამოწვევების საპასუხოდ. 2005 წლიდან დაიწყო განათლების დარგის ძირეული რეფორმები. თითქმის ყველა მიმართულებით გატარდა ცვლილებები, დაინერგა ახალი მიდგომები, პროგრამები, მოხდა სისტემის ნაწილობრივი დეცენტრალიზაცია, მიღებულ იქნა კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, შეიქმნა ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც არეგულირებს ქვეყნის მასშტაბით სკოლების საქმიანობას განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე. მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა. შემოღებული იქნა მასწავლებელთა კომპეტენციის დამადასტურებელი გამოცდები, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგ-პროგრამები, ამოქმედდა მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა. მიუხედავად გატარებული რეფორმებისა და გარკვეული სახის პროგრესისა, მთავარი საკითხი „განათლების ხარისხის უზრუნველყოფა და კომპეტენტური მასწავლებელი“ კვლავ პრობლემატურია.

გაკვეთილების ჩვეული სქემები, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის მიღებული ურთიერთობები, მოსწავლეთა წარმატების შეფასების დამკვიდრებული პრაქტიკა და ა.შ. არ იძლევა სასურველ შედეგს. ჩვენი სასკოლო განათლება არაადეკვატურად რეაგირებს თანამედროვეობის გამოწვევებზე და კარგავს თავის პოტენციალს, როგორც სოციალიზაციის უმთავრესი ინსტიტუტი. სკოლაში წარსული გარდაქმნების დაუსრულებლობა წარმოადგენს წინაღობას ხარისხის გაუმჯობესებისათვის. სრულიად ნათელია, რომ საჭიროა სწავლების პროცესის სხვაგვარი ორგანიზება და სხვაგვარი მიდგომა მოსწავლეთა სწავლება/სწავლისადმი, რაშიც წამყვანი როლი მასწავლებელს და მის პროფესიონალიზმს ენიჭება.

სწორედ ამიტომ ხშირად უპირისპირებენ ერთმანეთს ტრადიციულ და თანამედროვე პედაგოგიკას. ამ შემთხვევაში ლაპარაკია სასწავლო პროცესის და მისი მონაწილეების ფუნქციათა განსხვავებაზე. ტრადიციულად მოსწავლეს მასწავლებლის მორჩილება ევალუბოდა. ამიტომ ჰქვია სწავლების ტრადიციულ სისტემას მასწავლებელზე ორიენტირებული და ავტორიტარული. დღეს შეიცვალა სკოლის მიზანი—ცოდნის მზა სახით

მიწოდებაზე უფრო მნიშვნელოვანია ინფორმაციის ნაკადში მოსწავლის დამოუკიდებლად ორიენტირების და შემოქმედებითი უნარის განვითარება, ხოლო შემოქმედებითი უნარის განვითარებისათვის აუცილებელია მოსწავლეს აინტერესებდეს სწავლის პროცესი, იყოს აქტიური და თავისუფალი. ამიტომ, თანამედროვე პედაგოგიკაში დიდ ადგილს იჭერს მონავალზე ორიენტირებული ინტერაქტიული სწავლების პრინციპები, ანუ იმ სწავლებისა, რომლის დროსაც მოსწავლე და მასწავლებელი თანამშრომლობს ერთმანეთთან.

თანამედროვე მეთოდოლოგია ასწავლის პედაგოგს, როგორ გადავიდეს სწავლების პედაგოგიკიდან სწავლის პედაგოგიკაზე, მასწავლებელზე ორიენტირებული პედაგოგიკიდან-მოსწავლეზე ორიენტირებულ პედაგოგიკაზე, ასწავლის ტექნოლოგიების მიზნობრივ გამოყენებას. ელექტრონული პლატფორმა ეხმარება პედაგოგებს ერთმანეთთან ურთიერთობაში და ხელს უწყობს მათ გამოცდილება გაუზიარონ ერთმანეთს. „პედაგოგიური მეცნიერების და პრაქტიკის განვითარების თანამედროვე დონემ განაპირობა „პედაგოგიური ტექნოლოგიების“ წარმოშობა და სწავლების პროცესში დანერგვა. დღეს პედაგოგიურ ლიტერატურაში ვხდებით გამოთქმას „პედაგოგიური ტექნოლოგიები“, „საგანმანათლებლო ტექნოლოგიები“, „სწავლების ტექნოლოგიები“. ავტორთა ჯგუფი სახელმძღვანელოში „სწავლების მეთოდები, სტრატეგიები, პედაგოგიური ტექნოლოგიები და ცოდნის შემოწმება-შეფასების საკითხები“ ასახელებს პედაგოგიური ტექნოლოგიის რამდენიმე ჯგუფს (ბასილაძე..., 2016:9):

- ავტორიტარული ტექნოლოგია, რომელშიც მასწავლებელი არის სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის ერთპიროვნული სუბიექტი, ხოლო მოსწავლე მხოლოდ ობიექტია;

- ახსნითი-ილუსტრაციული სწავლების ტექნოლოგია, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსწავლის ინფორმირებულობა, განათლება და მათი რეპროდუქციული აქტივობა მათში საერთო-სასწავლო უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით;

- დიდაქტოცენტრული ტექნოლოგია, რომელშიც დომინირებს მასწავლებლისა და მოსწავლის სუბიექტური და ობიექტური მიმართებანი, აღზრდასთან შედარებით პრიორიტეტი სწავლებას ენიჭება;

- პიროვნებაზე ორიენტირებული სწავლების ტექნოლოგია, რომელიც ქმნის მოსწავლეთა საკუთარი სასწავლო აქტივობის, მათი ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინების განვითარებისა და უზრუნველყოფის პირობებს. პიროვნებაზე ორიენტირებული სწავლების მიდგომის დამოუკიდებელი მიმართულებებია: ჰუმანურ-პიროვნული, თანამშრომლობის და თავისუფალი აღზრდის ტექნოლოგია;

- განმავითარებელი სწავლების ტექნოლოგია, რომლის ყურადღების ცენტრშია სწავლების საშუალებანი, რომელიც აუცილებლობის საფუძველზე იწვევს მოსწავლის შინაგანი განვითარების მექანიზმის ამოქმედებასა და მათი ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოვლინებას;

- ეზოთერმული (არაგაცნობიერებული, ქვეცნობიერი) ტექნოლოგიები-ეზოთერმული ცოდნა ჭეშმარიტებას ეფუძნება. მასში ხდება სამყაროსთან ინფორმაციული ურთიერთქმედების ცენტრი;

- ალტერნატიული ტექნოლოგიები-მონტესორის ტექნოლოგია, ვალდორფის ტექნოლოგია (შტაინერი), თავისუფალი შრომის ტექნოლოგია (ფრენე), ალბათური განათლების ტექნოლოგია, კომპლექსური ტექნოლოგიები (საავტორო სკოლები).

პედაგოგიკაში ქართულ ენაზე შექმნილია მრავალი სახელმძღვანელო, რომელშიც განხილულია დიდაქტიკის საკითხები, სწავლა/სწავლების მეთოდებთან დაკავშირებული პრობლემები. დ. ლორთქიფანიძე „სწავლების პრინციპები, ორგანიზაცია და მეთოდები“, „დიდაქტიკა“; გ. ჯიბლაძე „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა“; შ. მალაზონია „პედაგოგიკა; თ. ჟღენტა და ზ. ცუცქერიძე „ლექციების კურსი პედაგოგიკაში“; ვ. გაგუა „პედაგოგიკა“; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა ჯ. ბერიშვილის რედაქტორობით „პედაგოგიკა“; ა. გობრონიძე „პედაგოგიკა“; „სწავლების მეთოდები“; ო. გიორგაძე „დიდაქტიკა-სწავლებისა და განათლების თეორია“; ა. გობრონიძე, ი. ბიბილეიშვილი „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის საკითხები“; ნ. ვასაძე „პედაგოგიკა“; ი. ბასილაძე, ნ. ჭოხონელიძე, ნ. კოსტავა, ნ. ქობულაძე „სწავლების მეთოდები, სტრატეგიები, პედაგოგიური ტექნოლოგიები და ცოდნის შემოწმება-შეფასების საკითხები“ 2016წ; ი. ბასილაძე, ქ. კობხრიძე „პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები“, ქუთაისი, 2004წ; ქ. ჭკუასელი, ი. ჭკუასელი „პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები“, თბილისი, 2012წ; რ. ბალანჩივაძე „ანთროპოლოგიური პედაგოგიკა“, თბილისი, 2011წ; ჯ. ჯინჯიხაძე

„თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები“, თბილისი, 2012წ; მ. ხუნძაყიშვილი, ს. ბივერი „განმავითარებელი და დიფერენცირებული სწავლება“ და სხვა. სალექციო კურსი „სწავლებისა და განათლების თეორია“ აგებულია ზემოთ დასახელებულ ლიტერატურაზე დაყრდნობით, განხილულია ქართველი და უცხოელი ავტორების მოსაზრებები სწავლება/სწავლის, შეფასების პრინციპების, მეთოდების შესახებ.

მასწავლებლის საჭიროებების დადგენისა და მისი პროფესიონალიზმის ამაღლებაზე ზრუნვის თვალსაზრისით სახელმწიფომ შექმნა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი. სტანდარტი სამი ნაწილისგან შედგება: პროფესიული მახასიათებლები, სასწავლო პროცესის მართვა, პროფესიული განვითარება (მინისტრის ბრძანება, 2014). სტანდარტში აღნიშნულია, რომ ყველა კატეგორიის მასწავლებელს უნდა შეეძლოს სასწავლო პროცესის დაგეგმვა, სწავლება, სასწავლო პროცესის შეფასება.

- მასწავლებელი უნდა ფლობდეს სწავლის თეორიებს, სწავლებისა და შეფასების მეთოდებს, იცნობდეს იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს სწავლაზე და იცის გამოიყენოს ეს ცოდნა მოსწავლის სწავლისა და განვითარების ხელშესაწყობად;

- მასწავლებელმა იცის როგორ შექმნას უსაფრთხო, მზრუნველი, ეფექტური, ორგანიზებული და კეთილგანწყობილი სასწავლო გარემო;

- მასწავლებელმა იცის მოტივაციისა და კომუნიკაციის სხვადასხვა სტრატეგია და იყენებს ამ ცოდნას საკუთარ პრაქტიკაში;

- მასწავლებელმა იცის სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეროვნული და სასკოლო გეგმების მოთხოვნების შესაბამისად;

- მასწავლებელმა იცის შეფასების სხვადასხვა ფორმა, აცნობიერებს ურთიერთკავშირს სასწავლო მიზანს, შეფასებას, სწავლებასა და სწავლას შორის, იცის როგორ გამოიყენოს შეფასების სხვადასხვა მეთოდი შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებისათვის;

- მასწავლებელს შეუძლია სწავლების სხვადასხვა მეთოდისა და სტრატეგიის გამოყენება თითოეული მოსწავლის ეფექტიანი სწავლისა და წინსვლისათვის.

სახელმწიფო მასწავლებელს სთავაზობს სტანდარტს. ერთია, რა წერია სტანდარტში და მეორე-მისი რეალიზება. ახალი სკოლის მოდელიც და ახ-

ლებური მიდგომა სწორედ იმას ემსახურება, რომ სტანდარტში დაწერილი პრაქტიკაში განხორციელდეს.

წინამდებარე ლექციების კურსი აგებულია სალექციო კურსის „სწავლებისა და განათლების თეორია“ სილაბუსის მიხედვით და განკუთვნილია განათლების მიმართულების სტუდენტთათვის, მომავალი და მოქმედი მასწავლებლებისათვის, მასწავლებელთა ტრენერებისათვის, პედაგოგიკის საკითხებით, სწავლება/სწავლის მეთოდებით დაინტერესებული პირებისათვის, პროფესორ-მასწავლებლებისათვის.

დიდი სიამოვნებით მივიღებთ და გავითვალისწინებთ თქვენ შენიშვნებს შემდეგი გამოცემისათვის, ერთად შევქნით დიდაქტიკის განახლებულ სახელმძღვანელოს.

*„დღეს, თუ ვასწავლით ისე, როგორც ვსწავლობდით გუშინ,
ჩვენს შვილებს ვართმევთ მომავალს“ - ჯონ დიუი.*

თემა 1. დიდაქტიკა –სწავლებისა და განათლების თეორია. სწავლების პროცესის არსი, ფუნქციები და კანონზომიერებანი. სწავლება/სწავლის თანამედროვე მიდგომები

ლექციაზე განსახილველი ძირითადი საკითხები:

1. დიდაქტიკის ცნება და ძირითადი კატეგორიები;
2. დიდაქტიკის ძირითადი დარგები;
3. სწავლების ფუნქციები;
4. სწავლების კანონზომიერებანი;
5. სწავლება/სწავლის თანამედროვე მიდგომები.

დიდაქტიკის ცნება და ძირითადი კატეგორიები

თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაში სწავლება/სწავლის საკითხებთან მიმართებაში მნიშვნელოვანი სიახლეებია. განათლების რეფორმის შესაბამისად სერიოზული ცვლილებები განხორციელდა სასწავლო პროცესის გააქტიურებასა და ინოვაციური მეთოდების დანერგვის თვალსაზრისით. სწავლა არ არის მარტივი პროცესი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ ორ მხარეს: მასწავლებელსა და მოსწავლეს და მათ შორის მიმდინარე შემეცნებით ინტერაქციებს, არამედ ეს არის რთული პროცესი, რომლის წარმატებულობაზე მოქმედებს მრავალი ფაქტორი, როგორც სუბიექტური ასევე ობიექტურიც. სწავლა-სწავლება, ნაცვლად ინფორმაციის პასიური მიწოდებისა და შემდგომში მისი მექანიკური აღდგენისა, აქცენტს აკეთებს გარკვეული უნარების განვითარებაზე, წარსული და ახალი გამოცდილების ინტეგრაციაზე და მის საფუძველზე სრულიად ახალი იდეების გენერირებაზე. სწავლების მიზანი გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან და მიმართულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგის მიღწევაზე. სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგია პრიორიტეტულად მიიჩნევს არა მხოლოდ შემეცნებითი აზროვნე-

ბის განვითარებას, არამედ კრიტიკული და კრეატიული აზროვნების განვითარებასაც. განვიხილოთ პედაგოგიკის ერთ-ერთი ძირითადი სტრუქტურული ნაწილი, რომელსაც უწოდებენ სწავლებისა და განათლების თეორიას-დიდაქტიკას.

დიდაქტიკა არის პედაგოგიკის ნაწილი, რომელიც პასუხობს კითხვებზე: რა ვასწავლოთ და როგორ ვასწავლოთ? ტერმინი „დიდაქტიკა“ ბერძნული წარმოშობის სიტყვაა, წარმოსდგება სიტყვა „didasko“-საგან, რაც ჭკუის დარიგებას, ჭკუის სწავლებას ნიშნავს. ბერძნები ამ ტერმინის გამოყენებით, ალბათ გულისხმობდნენ სწავლებისა და აღზრდის პროცესის მთლიანობას, ერთიანობას, იმ იდეას, რომ სწავლება ემსახურება ადამიანის აღზრდას (გობრონიძე, 2000:113).

მეცნიერთა ერთი ნაწილი დიდაქტიკას სწავლების თეორიად თვლის, ხოლო ნაწილი – განათლებისა და სწავლების თეორიად. პირველი დიდაქტიკის ძირითად საგნად მიიჩნევენ საკითხს, თუ როგორ ვასწავლოთ, ხოლო ისინი, რომელთა მიერ საკითხი „როგორ ვასწავლოთ“ განუყრელად და ორგანულად დაკავშირებულია საკითხთან „რა ვასწავლოთ“ ავითარებენ აზრს, რომ დიდაქტიკის სფეროში მოიაზრება როგორც სწავლების, ისე განათლების თეორია. ზოგნი განათლების და სწავლების შინაარს აიგივებენ. დ. ლორთქიფანიძე „დიდაქტიკაში“ აღნიშნავს, რომ დიდაქტიკა არის სწავლებისა და განათლების თეორია და პასუხობს კითხვებზე „რა ვასწავლოთ?“ და „როგორ ვასწავლოთ?“. შოთა მალაზონია დიდაქტიკას ასე განმარტავს: „დიდაქტიკა არის პედაგოგიკის განყოფილება, რომელიც სწავლების პროცესთან დაკავშირებულ პრობლემებს შეისწავლის. ტერმინი წარმოსდგება ბერძნული სიტყვისაგან „დიდასკო“ (ვასწავლი). პედაგოგიკის ოთხი ძირითადი ცნებიდან ორი (განათლება, სწავლება) დიდაქტიკის ცნებიდან არის. მაგრამ არსებობს საკუთრივ დიდაქტიკის ცნებებიც რომელთაგან უმთავრესია ცოდნა, უნარი, ჩვევა“ (მალაზონია, 2001:77).

ტერმინი „დიდაქტიკა“ პირველად გამოიყენა გერმანელმა პედაგოგმა ვ. რატკემ (1571–1635). დიდაქტიკის ცნებაში იგი გულისხმობდა მეცნიერულ დისციპლინას, რომლის საგანსაც წარმოადგენს სწავლების თეორიული საფუძვლების კვლევა (გობრონიძე, 2000:113). დიდაქტიკის ფუნდამენტური მეცნიერული დამუშავება ეკუთვნის დიდ ჩეხ პედაგოგს იან ამოს კომენსკის (1592–1670), რომელმაც 1632 წ. დაასრულა და 1635 წელს გამოსცა ნაშრომი

„დიდი დიდაქტიკა“. დიდაქტიკის ცნებაში ის გულისხმობდა „ყველასათვის ყველაფრის სწავლების ხელოვნებას“. სწავლება ისე უნდა წარიმართოს, რომ მასწავლებლებმა ცოტა ასწავლონ, ხოლო მოსწავლეებმა ბევრი ისწავლონ, ამასთან თავისუფალი დროც ბევრი ჰქონდეთ გართობა–დასვენებისათვის (ი. კომენსკი). ამ ფრაზით კომენსკი ერთის მხრივ რეკლამას უწევს თავის წიგნს და მეორე მხრივ, მოითხოვდა მასწავლებელს მოსწავლეებისათვის სწავლა ესწავლებინა, რის შემდეგაც მას თავისუფალი დროც მეტი ექნებოდა.

დიდაქტიკის ფესვები ღრმადაა გადგმული შორეულ წარსულში. ჯერ კიდევ უძველეს დროში ადამიანი ცდილობდა განესაზღვრა, საზოგადოებრივი ცხოვრების შესაბამისად რა და როგორ უნდა გადაეცა შთამომავლობისათვის იმ გამოცდილებიდან, რომელიც მან და მისმა წინაპრებმა ისტორიული განვითარების შედეგად დააგროვეს. ამით აიხსნება, რომ სხვადასხვა დროისა და ხალხის არა მარტო ლიტერატურულ ძეგლებში ვხდებით ცალკეულ გამოთქმებს და დებულებებს სწავლების შესახებ, არამედ ფოლკლორშიც, მის მრავალფეროვან ჟანრებშიც. ფოლკორმა ისტორიას შემოუნახა ხალხის სიბრძნე საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალფეროვან სფეროში, მათ შორის ხალხურ დიდაქტიკაში (ეთნოდიდაქტიკა), რომელმაც დიდი როლი შეასრულა სწავლა–აღზრდის იდეებისა და პრაქტიკის განვითარებაში, ხალხური თქმულებები, საყოველთაოდ ცნობილი იგავ–არაკები ეზოპესი, ლაფონტენისა, სულხან–საბა ორბელიანისა, კრილოვისა და სხვანი მრავლად შეიცავს არა მარტო მორალურ სენტენციებს, არამედ მთელ რიგ დიდაქტიკურ წესებსა და დებულებებს, ასახავენ საუკუნეთა მანძილზე დაგროვებულ გამოცდილებას სწავლების სფეროში.

დიდაქტიკური იდეები მრავლადაა გაბნეული ძველი ადმოსავლეთისა და ანტიკური ხანის მოაზროვნეთა შრომებში. განსაკუთრებით მდიდარია ამ მხრივ პლატონის, არისტოტელეს, ციცერონის, სენეკას და სხვათა თხზულებანი, ხოლო პირველი საუკუნის რომაელი მოაზროვნე მარკ ფაბიუს კვინტილიანე (30–96) შეიძლება ჩაითვალოს თავისი დროის დიდ დიდაქტიკოსად. მისი თხზულება „ორატორის აღზრდის შესახებ“ კი–დიდაქტიკურ ტრაქტატად. მაგრამ დიდაქტიკა, როგორც თეორია, უფრო გვიან წარმოიშვა, ვიდრე სწავლება და იდეები სწავლების შესახებ. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, სიტყვა დიდაქტიკა სწავლების თეორიის აზრით პირველად გამოიყენა გამოჩენილმა გერმანელმა პედაგოგ–დიდაქტიკოსმა ვოლფგან

რატკემ (1571–1635). მან 1612 წელს თავის ჩანაწერებში ჩამოაყალიბა სწავლების ზოგადი მოთხოვნები, დებულებები, რომელთაც ის დიდაქტიკურ წესებს უწოდებდა. დიდაქტიკის, როგორც თეორიის ჩამოყალიბება კი პედაგოგიკის ფუძემდებლის ი. ა. კომენსკის სახელთანაა დაკავშირებული. მან სისტემაში მოიყვანა სწავლებისა და განათლების ძირითად საკითხებზე დაგროვილი გამოცდილება, გაანალიზა, უკუაგდო შუასაუკუნეობრივი დოგმატურ–სქოლასტიკური სწავლების წესები. მან წამოაყენა ბუნებისშესაბამისობის იდეა და ამ საფუძველზე მოგვცა მწყობრი თეორია სწავლების შინაარსის, პროცესის, მისი ორგანიზაციისა და მეთოდების შესახებ. მან მოგვცა დიდაქტიკის განსაზღვრება „დიდაქტიკა არის სწავლების თეორია“. სწავლების ცნებით ის გამოხატავდა სწავლების შინაარსსაც. დიდაქტიკის განვითარებაში წვლილი შეიტანეს ფრ. ჰერბარტმა, დ. ბოლდუინმა, ჯ. დიუიმ, პ. ბლონსკიმ, მ. დანილოვმა, მ. სკატკინმა, ი. გოგებაშვილმა, კ.დ. უშინსკიმ, დ. ლორთქიფანიძემ, შ. ამონაშვილმა და სხვა. დიდაქტიკის სრულყოფა დღესაც მიმდინარეობს.

დ. ლორთქიფანიძე დიდაქტიკის ძირითადი ცნებების შესახებ აღნიშნავს, რომ „დიდაქტიკის განსაზღვრებიდანაც ჩანს, რომ დიდაქტიკის უზოგადეს ცნებებს, კატეგორიებს წარმოადგენს განათლება და სწავლება. ამ ძირითად ცნებებთან დაკავშირებულია აგრეთვე ისეთი დაქვემდებარებული მნიშვნელობის ცნებები, როგორცაა სწავლა, შეთვისება, ცოდნა, უნარი, ჩვევა“ (ლორთქიფანიძე, 1981: 39).

პედაგოგიურ ლიტერატურაში სწავლება განმარტებულია, როგორც ორმხრივი პროცესი: სწავლება – ცოდნის გადაცემა და სწავლა – ცოდნის შეთვისება. ეს სწავლების შემადგენელი ნაწილებია. მთელი განისაზღვრება ნაწილებით და ნაწილები განისაზღვრება მთელით. ამიტომ საკმარისი არ არის სწავლება განვმარტოთ, როგორც მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთდაკავშირებული მოქმედება, რომელიც მიმართულია ცოდნის სისტემის, უნარისა და ჩვევების შეგნებული და მტკიცე შეთვისებისაკენ, ცხოვრებაში მისი გამოყენების უნარის ფორმირების, დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებისაკენ. ასეთი განმარტება არ არის სრული, რადგანაც სწავლების პროცესი განისაზღვრება მასწავლებლისა და მოსწავლის მოქმედებების მეშვეობით. ახლა ხდება სწავლების მრავალწახნაგობასა და მრავალსაფეხურიანობაზე საუბარი. პედაგოგიურ ლიტერატურაში მოსწავლის სწავლას

უწოდებენ შრომას. ანალოგიური მოსაზრებაა სწავლებაზეც. „სწავლება არის შრომა და უნდა დარჩეს შრომად“. „სწავლება არის შრომის ერთ-ერთი სახეთაგანი, ამ თვალსაზრისით სკოლა არის შრომის სარბიელი (კომენსკი, 1955:539)“. ცხადია, როცა ვამბობთ სწავლა არის შრომა, ვგულისხმობთ, ისეთ შრომით საქმიანობას, რომელიც ქმნის გარკვეულ ღირებულებას, ხოლო სწავლა მხოლოდ მომზადებაა ასეთი ღირებულების შესაქმნელად. გამომდინარე აქედან მოსწავლისათვის სწავლა ჯერ კიდევ არ არის შრომა, რომელიც მიმართულია მატერიალური დოვლათის შექმნისაკენ და კულტურული ღირებულების შეცნობისაკენ, არამედ იგი წინ უსწრებს შრომას, ანუ იმას რაც ჯერ არ არის შრომა, მაგრამ რომლის გარეშე (სწავლა) შრომა ან შეუძლებელია, ან იქნება მცირედ პროდუქტიული, რომელიც ვერ უპასუხებს საზოგადოების მოთხოვნებს. სწავლების პროცესში მოსწავლე ცოდნის მიღებასთან ერთად გამოიმუშავებს აუცილებელ თვისებებსა და ოსტატობას, ამიტომ მოსწავლე სკოლაში არის სხვისი შრომის შედეგის მომხმარებელი, ადამიანი, რომელიც ცხოვრობს საზოგადოების ხარჯზე, სხვისი შრომის ანგარიშზე. მოსწავლის საქმიანობა-მოქმედიანობა საზოგადოებრივად აუცილებელია, მაგრამ საზოგადოებრივად სასარგებლოა მხოლოდ პოტენციურად.

სწავლების ერთ მხარეს წარმოადგენს სწავლება-გადაცემა-მასწავლებლის საქმიანობა, საზოგადოებრივად აუცილებელი და სასარგებლო შრომა, რომელიც მიმართულია ადამიანების მომზადებისაკენ პრაქტიკული საქმიანობისათვის, მეორე მხარეა სწავლა-მოსწავლის მოქმედიანობა, ე.ი ის რაც წინ უსწრებს შრომას, რის გარეშეც შეუძლებელია შრომით საქმიანობაში ჩაბმა. მასწავლებლისათვის სწავლება გონებრივი შრომაა, რომელიც ანაზღაურდება საზოგადოების მიერ, როგორც აუცილებელი და სასარგებლო შრომა. „მოსწავლეებისათვის სკოლაში სწავლა დაკავშირებულია გონებრივ მოქმედიანობასთან, რომელიც ახლოს არის გონებრივ შრომასთან, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ არის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა. ისინი ემზადებიან მომავალი შრომითი საქმიანობისთვის. სწავლის ხარჯს იხდის ან მშობელი, ან სახელმწიფო და საზოგადოება. ამაშია სწავლებისა და სწავლის არსებითი განსხვავება. თუმცა გონების დამაბვისა და მოსწავლის მიერ გაწეული მოქმედიანობის მიხედვით სწავლება და შრომა შესაძლოა ერთმანეთს დაემთხვეს“ (გობრონიძე, 2000:19).

სწავლება არის მასწავლებლისა და მოსწავლეთა ურთიერთმოქმედია-
ნობის მიზანმიმართული პროცესი, რომლის მსვლელობაში ხორციელდება
ადამიანის განათლება, აღზრდა და განვითარება.

ცოდნა არის საგნების განმსაზღვრელი ნიშნების, მოვლენების გამომწ-
ვევი კანონზომიერებების ასახვა ადამიანის ცნობიერებაში. ეს არის საგნის,
მოვლენის, პროცესის უმნიშვნელო მხარის, არსის გაცნობიერება. ცოდნის
შემეცნება უფრო მაღალი დონეა, ვიდრე ელემენტარული ცნობა ამა თუ იმ
ობიექტის. ეს ორი შემთხვევა ხშირად გაუმიჯნავია, მაგრამ პედაგოგს ეს არ
უნდა აერიოს (მალაზონია, 2001: 77). გამოცნობის, სხვა მოვლენათაგან
გამორჩევის დონეზე სკოლამდელი ასაკის ბავშვებსაც შემეცნებული აქვთ
ჭექა-ქუხილი, წვიმა, ქარი და სხვა ბუნებრივი მოვლენები. მაგრამ მეცნიე-
რულ-პედაგოგიკური პოზიციიდან, ეს ჯერ არ არის ცოდნა. ცოდნას ამ მოვ-
ლენათა შესახებ ისინი მაშინ ეუფლებიან, როცა აცნობიერებენ მათ არსს, მათ
გამომწვევ მიზეზს, რაც შესაბამისი საგნების სწავლებისას ხდება.

ცოდნის საფუძველზე ყალიბდება უნარი. ეს არის მზადყოფნა სასწავლო
მოქმედების შესრულებისათვის. უნარი წარმოადგენს ფსიქოლოგიის და
დიდაქტიკის საზიარო ცნებას. უნარი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით გუ-
ლისხმობს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედების მაღალხარისხოვნად, ეფექტუ-
რად შესრულების შესაძლებლობას, გარკვეული პირობებისა და გარკვეული
ამოცანების შესაბამისად (სწორი წერის, ხატვის, მეტყველების, ხატოვანი
გამოთქმის და სხვა). უნარი გულისხმობს წინა გამოცდილებას და მის გახსე-
ნებას, ე.ი. გარკვეულ ცოდნასა და ჩვევას, რომელსაც ახალი ცოდნის შეთვი-
სება, ცოდნის განუწყვეტელი გამდიდრება უნდა დაემყაროს. უნარის დიდაქ-
ტიკური ასპექტი ანუ მხარე გულისხმობს უნართა შესაბამისად სწავლების
პროცესის აგებას და ამასთანავე თვით მის, როგორც შესაძლებლობების გამ-
დიდრებასა და გაღრმავებას. უნარი გარკვეულ ნიჭიერებასთანაცაა დაკავში-
რებული და ნიჭის თავისებურებათა გამოვლენა-სრულყოფის საშუალებასაც
წარმოადგენს. სასწავლო მასალის ნათლად ახსნის შედეგად მოსწავლე
აცნობიერებს მათემატიკურ, ფიზიკურ, გრამატიკულ კანონზომიერებებს-
გამოიყვანოს მაგალითი, ამოხსნას ამოცანა და ა. შ. ე.ი. ცოდნის მიღების
შედეგად გარკვეული უნარი უყალიბდება. მოსწავლე მრავალგზის იყენებს
ნებისმიერ უნარს. ხსნის უამრავ მაგალითს, ამოცანას, არჩევს წინადადებას
გარკვეული ცოდნის მოშველიებით.

უნარის ხშირი რეალიზაცია გარკვეულ ეტაპზე მექანიკურ ქცევაში გადადის, როცა მოსწავლეს აღარ სჭირდება თეორიული ცოდნის, მისი შემადგენელი ელემენტების გახსენება, იგი ისედაც სწორად ასრულებს პრაქტიკულ სამუშაოს. სწავლა-აღზრდის პროცესში მოქმედების მრავალგზის განმეორების შედეგად ყალიბდება ჩვევა. მოქმედების ჩვევის არსებობისას სასწავლო საქმიანობა ბევრად უფრო თავისუფალი და შეუფერხებელია. ე. ი. ცოდნა განაპირობებს უნარს, უნარი კი, მრავალგზის რეალიზაციის მეოხებით ჩვევას: **ცოდნა – უნარი – ჩვევა**. ჩვევა, როგორც ავტომატიზირებული მოქმედება, შეთვისების უმაღლესი ხარისხის მაჩვენებელია. იგი ცოდნის ჩვევაში გადასვლის მაღალ დონეზე მიუთითებს. ჩვევა შეიძლება გამომუშავდეს მექანიკურად და გააზრებულად. ჩვევითი მოქმედება იმდენად ადამიანის გონებრივი კონტროლის ჩაურევლად სრულდება, რომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს აზროვნება მასში აბსოლუტურად არ მონაწილეობს. მაგრამ ჩვენ ვცდილებთ ჩვევის გამომუშავება დაემყაროს შეგნებულობას. მაგ., წერის, მეტყველების, კითხვის, შრომის თუ სხვა ჩვევა სწავლის გზით ყალიბდება და ავტომატიზდება. ამ ჩვევის ბაზაზე ხდება შემდგომი სწავლა და ა. შ. ამიტომ გასაგებია, რომ სწავლებისა და სწავლის მთელი პროცესი დაკავშირებული უნდა იყოს ჩვევებისა და უნარ-ჩვევების აღზრდა-განვითარებასთან, მათ სრულყოფასთან.

უნარსა და ჩვევებს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მათზე დიდად არის დამოკიდებული ადამიანის (მოწაფის) საქმიანობის წარმატება. სწრაფი კითხვის, სწორად წერის, წაკითხულის გააზრება, დაკონსპექტება და სხვა ჩვევა არა მარტო სწავლებაში ასრულებს მნიშვნელოვან როლს, არამედ სკოლის დამთავრების შემდეგაც. უნარსა და ჩვევას ყოველგვარი ცოდნა არ წარმოშობს. უნარ-ჩვევებში შეიძლება გადავიდეს ისეთი თეორიული ცოდნა, რომელსაც ნათლად გამოხატული პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. სწავლების პროცესში და მის შედეგად ყალიბდება პიროვნება თავისი მრავალმხრივი თვისებრივი მხარეებით. სწავლება აღზრდის ძირითადი გზაა და მათი ურთერთისაგან გათიშვა ყოვლად შეუძლებელია. კ. უშინსკი აღნიშნავს: „სწავლება აღზრდის მთავარი ორგანოა“. ზოგადად სწავლება შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც აღზრდისა და განათლების გზა, როგორც ცოდნისა და ჩვევის შეთვისების ორგანიზებული, მიზანმიმართული ან შემოქმედებითი ერთიანი პროცესი, რომელშიც ძირითადად ყალიბდება პიროვნება.

ცოდნას და აუცილებელ სასწავლო უნარ-ჩვევებს მოსწავლე სწავლების პროცესში ეუფლება, მაგრამ ცოდნასა და მისი გამოყენების უნარს პრაქტიკაში იძენს. აქ იგულისხმება მეცნიერული აზრის უწყვეტი განვითარება და მასთან დაკავშირებული პროგრესი მატერიალური დოვლათის წარმოებასა და სხვა სფეროებში.

განასხვავებენ შემეცნების ორ სახეს: სასკოლო შემეცნება და მეცნიერული შემეცნება. რა მიმართებაა სასკოლო შემეცნებასა და მეცნიერულ შემეცნებას შორის? არსებობს ორი საპირისპირო თვალსაზრისი. **რეკაპიტულაციის თეორია** გამეორებას, კვლავწარმოქმნას ნიშნავს. მეორენი თიშავენ სწავლას შემეცნებისაგან და აღიარებენ მას სრულიად დამოუკიდებლად. ავითარებენ სწავლებისა და შემეცნების წყაროებსა და გზების განსხვავებულ თეორიას. მესამენი უარყოფენ რეკაპიტულაციის თეორიას და თვლიან, რომ სწავლების და შემეცნების გაიგივება არ არის სწორი.

რეკაპიტულაციის თეორიის მიმდევრები თვლიან, რომ სასკოლო სწავლებაში, მოსწავლის შემეცნებაში მეორდება ყველაფერი, რაც დამახასიათებელია მეცნიერული კვლევისათვის. არავითარი განსხვავება ამ ორ პროცესს შორის არ არის. მაგრამ მეცნიერული კვლევა რთული და ხანგრძლივი პროცესია. ცოდნა, რომელსაც ვასწავლით ათასობით წლის მანძილზე გროვდება. მეცნიერული კვლევისათვის დამახასიათებელი ყველა სიმძნელე რომ შეხვდეს მოსწავლეს სწავლებაში, სწავლის პერიოდში (11-12 წელი) ყველაზე ნიჭიერი მოსწავლეს კი ერთ-ორ მეცნიერულ ფაქტს თუ დაეუფლებოდა. სხვებზე კი საუბარიც ზედმეტია. სინამდვილეში სწავლების პროცესში მოსწავლე სკოლაში ეუფლება საშუალო განათლების ღრმა და მრავალმხრივ შინაარსს. ცხადია რეკაპიტულაციის თეორია არ არის სწორი.

არსებობს მოსაზრებაც, თითქოს სწავლასა და მეცნიერულ შემეცნებას არაფერი აქვს საერთო, ერთმანეთს გამორიცხავდეს. ამ შეხედულების მცდარობაზე ის მეტყველებს, რომ ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ცოდნის შეძენასთან.

თანამედროვე მეცნიერული აზრი თვლის, რომ სასკოლო და მეცნიერული შემეცნება არც იგივე პროცესია და არც ურთიერთგამომრიცხავი. ეს განსხვავებული პროცესებია, რომელთაც საერთო კანონზომიერება აქვთ (მალაზონია, 2001:80). ეს არის შემეცნების პროცესის სამსაფეხურიანი ციკლი: 1. გრძნობის ორგანოების აქტივობა (კონკრეტული მონაცემების აღქმა). 2.

აბსტრაქტული აზროვნება (მეცნიერული ცოდნის ჩამოყალიბება). 3. პრაქტიკული საქმიანობა (შემეცნების მიზანი და ჭეშმარიტების კრიტერიუმი).

ადამიანს ყოველდღიურ სამყაროში ურთიერთობა აქვს საგნებთან, მოვლენებთან, რომელთა თვისებებს გრძნობის ორგანოებით აღიქვამს. ეს კონკრეტული წარმოდგენები აუცილებელია, მაგრამ მეცნიერული ცოდნა ეს ჯერ არ არის. მეცნიერული ცოდნა ყალიბდება მეორე საფეხურზე, რომელსაც აბსტრაქტული აზროვნება ჰქვია. ხდება მოპოვებული კონკრეტული მონაცემების ანალიზი, რომლის დროსაც ადამიანი იკვლევს შესამეცნებელი საგნის განმსაზღვრელ ნიშან-თვისებას, მოვლენის გამომწვევ კანონზომიერებას. ეს კანონზომიერება არის მეცნიერული ცოდნა. ცოდნას უდიდესი კულტურული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მისი ცხოვრებისეული დანიშნულებაა პრაქტიკული ღირებულება. პრაქტიკა ჭეშმარიტების კრიტერიუმიც არის. ჭეშმარიტია ცოდნა, რომელსაც წარმატება მოაქვს პრაქტიკაში, ცხოვრებაში.

ეს სამსაფეხურიანი კანონზომიერება (გრძნობის ორგანოების აქტივობა, აბსტრაქტული აზროვნება, პრაქტიკა) არის ის საერთო, რომელიც საფუძვლად უდევს ნებისმიერ შემეცნებას, მეცნიერულსაც და სასკოლოსაც. ეს კანონზომიერება აახლოებს მოსწავლის სწავლასა და მეცნიერის კვლევადობას. შ. მალაზონია (მალაზონია, 2001: 81) წიგნში „პედაგოგიკა“ წერს, რომ სწავლა და მეცნიერება ურთიერთგამომრიცხავი კი არა, გარკვეულწილად **განსხვავებული პროცესებია**. სასკოლო და მეცნიერულ შემეცნებას არა მარტო საერთო კანონზომიერება, არამედ განმასხვავებელი ნიშნებიც აქვთ: 1. მეცნიერი იმეცნებს **ობიექტურად ახალს**, იმას რაც უცნობია, ახალია კაცობრიობისათვის. მოსწავლე კი იმეცნებს **სუბიექტურად ახალს**, ე. ი. იმას, რაც მოცემული სუბიექტისათვის, მისი თანატოლებისათვის არის უცნობი. 2. მეცნიერები დამოუკიდებლად იკვლევენ გარემომცველ სამყაროს, დამოუკიდებლად ეძებენ მოვლენათა კანონზომიერებებს. ამიტომ ჰიპოთეზის შემუშავებისას შეიძლება მოხდეს უზუსტობის დაშვება, რაც წლობით აჭიანურებს მიზნის მიღწევას. თავად მეცნიერ-ხელმძღვანელმაც არ იცის რა დასკვნამდე მივა ახალგაზრდა მკვლევარი. მოსწავლეს კი პროფესიონალი მასწავლებელი ასწავლის, რომელსაც მოკლე გზით მიჰყავს ბავშვები ახალი ცოდნისაკენ. სასკოლო შემეცნების გზა პირდაპირია მეცნიერული შემეცნების სპირალისებური სვლისაგან განსხვავებით. მათ არ უხდებათ მეცნიერული კვლე-

ვისათვის ნიშანდობლივი სიძნელის გადალახვა მასწავლებლის დახმარებით და თუ მოსწავლეებს არ უხდებათ მეცნიერული კვლევისათვის ნიშანდობლივი ყველა სიძნელის გადალახვა და შეუდარებლად ნაკლებ დროში ეუფლებიან სოლიდურ ცოდნას, ამის „მიზეზი“ სწორედ მასწავლებელია, რომელიც მოზარდს არიდებს „მოსინჯვისა და შეცდომების“ სიტუაციებს და დროის მინიმალური დანახარჯით აღწევს სასურველ შედეგს. რომ არა მასწავლებელი რეკაპიტულაციის თეორია იმოქმედებდა, რაც მინიმუმამდე დაიყვანდა სასკოლო სწავლების ნაყოფიერებას. 3. სასკოლო შემეცნების თავისებურებაა ისიც, რომ მოსწავლეს საკმაოდ გამარტივებული სახით, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით მიეწოდება მეცნიერული ცოდნის საფუძვლები.

განათლება წარმოადგენს ცოდნა-ჩვევათა ჯამს, რომელსაც მოსწავლე დაეუფლება მასწავლებლის უშუალო ხელმძღვანელობით და დამოუკიდებლად. ის პიროვნების ფორმირების რთული სოციალური ხასიათის ორგანიზებული და მიზანმიმართული ერთიანი პროცესის ორგანული ნაწილია. განათლების გარეშე ადამიანი ვერ გახდება საზოგადოების სრულფასოვანი მოქალაქე. განათლება ნიშნავს მეცნიერული, პროგრესული ცოდნის შეგნებულად, გააზრებულად შეთვისებას, სინამდვილის ძირითადი მოვლენების არსებითი მხარეებისა და კანონზომიერებების ათვისებას. ის უარყოფს კრიტიკული ანალიზის გარეშე ინფორმაციული ცოდნის შექმნას. განათლების პროცესი გულისხმობს ასევე ცოდნის შექმნის უნარის გამომუშავებას. ის არის სისტემატური ცოდნის დაუფლებისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარის შემუშავების პროცესი და შედეგი.

დიდაქტიკის ძირითადი დარგები

დიდაქტიკის დარგებია: ზოგადი დიდაქტიკა, სკოლამდელი აღზრდის დიდაქტიკა, სასკოლო დიდაქტიკა, უმაღლესი სკოლის დიდაქტიკა, სამხედრო დიდაქტიკა, მოზრდილთა განათლების დიდაქტიკა, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა დიდაქტიკა.

ზოგადი დიდაქტიკა სწავლობს განათლებისა და სწავლების პროცესის ზოგად კანონზომიერებებს, მიზნებს, შინაარსს, ორგანიზაციასა და მეთოდებს, რომელიც საერთო და დასაყრდენია დიდაქტიკის თითოეული დარგისათვის.

სკოლამდელი (ადრეული) დიდაქტიკის სწავლების ამოცანას შეადგენს შეიმუშაოს ამ ასაკის ბავშვთა სახვითი უნარისა და ჩვევის ფორმირება-განვითარების თეორია, რაც დაკავშირებულია ამ ასაკის ბავშვის ძირითად ქცევასთან, თამაშთან, მის შინაარსთან, ფორმებსა და მეთოდებთან. ამიტომ დიდაქტიკურ თამაშთა პრინციპების, ფორმების მეთოდების მეცნიერული დადგენა სკოლამდელი დიდაქტიკის უმნიშვნელოვანესი სფეროა. ის უკავშირდება სკოლამდელი საფეხურის ბავშვთა შემეცნებითი, ფიზიკური, ესთეტიკური და ზნეობრივი აღზრდა-განვითარების დიდაქტიკურ საფუძვლებს, რაც ძირითადად თამაშის ფორმით მიმდინარეობს. სკოლამდელი ასაკის დიდაქტიკას აკადემიკოსი დავით ლორთქიფანიძე თამაშის დიდაქტიკას უწოდებს.

სასკოლო დიდაქტიკა სწავლობს სწავლება/სწავლის პროცესებს, მის კანონზომიერებებს, უმცროს, საშუალო და უფროს სასკოლო ასაკში. სწავლა ამ ასაკის ბავშვთა ქცევის, მოქმედების ძირითადი ფორმაა და დიდაქტიკა მოწოდებულია მოგვცეს მეცნიერულად დამუშავებული ზოგადი პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს სწავლების შინაარსის, მისი მოცულობის განსაზღვრას, კერძოდ სასწავლო გეგმების, პროგრამების, სახელმძღვანელოების შედგენას. სასკოლო დიდაქტიკა ორიენტირებულია განსაზღვროს სწავლების ორგანიზაციის ფორმები და მეთოდები მოსწავლეთა თავისებურების გათვალისწინებით, მეცნიერულად დაამუშაოს სწავლების დიდაქტიკური პრინციპები, შეიმუშაოს მათი განხორციელების გზები, საშუალებები, და ხერხები.

უმაღლესი სკოლის დიდაქტიკა მოწოდებულია შეისწავლოს უმაღლესი სკოლის სასწავლო გეგმების, პროგრამებისა და სახელმძღვანელოების აგების პრინციპები, უმაღლეს სკოლაში სასწავლო მუშაობის ფორმები და მეთოდები. სტუდენტთა დამოუკიდებელი სასწავლო შემოქმედებითი მუშაობის, მათში მაღალი კულტურის, მორალის ფორმირება-განმტკიცების პრინციპები, გზები და საშუალებები.

სამხედრო დიდაქტიკა სამხედრო პედაგოგიკის ნაწილია და მისი ამოცანაა სამხედრო სწავლების ზოგადი პრინციპებისა და კანონზომიერებათა დადგენა სამხედრო მომზადების სპეციფიკის გათვალისწინებით.

მოზრდილთა განათლების დიდაქტიკა შეიმუშავებს მოზრდილთა სწავლებისა და თვითსწავლების შინაარსის ორგანიზაციისა და მეთოდების ზოგადი პრინციპების დადგენას, სათანადო ღირებულებათა შემუშავებას.

სსსმ მოსწავლეთა დიდაქტიკა სპეცპედაგოგიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. შეისწავლის სსსმ მოსწავლეთა სწავლების პრინციპებს, სწავლების ორგანიზაციის ფორმებს, სწავლების სტრატეგიებს.

დიდაქტიკის მიერ დადგენილი სწავლების ზოგადი პრინციპები, ფორმები და მეთოდები ერთნაირად სავალდებულო და სახელმძღვანელოა ყველა სასწავლო საგნის სწავლებისათვის, მაგრამ თითოეულ სასწავლო საგანს (ზოგადსაგანმანათლებლო თუ უმაღლეს სკოლაში) აქვს თავისი სწავლების თეორია, რომელიც ამ საგნის სწავლების პრინციპებს, შინაარსს, ორგანიზაციის ფორმებსა და მეთოდებს სწავლობს. აღნიშნულ მეცნიერულ პედაგოგიურ დისციპლინას მეთოდოლოგია ეწოდება. მაგ., ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგია, მათემატიკის სწავლების მეთოდოლოგია, ფიზიკის სწავლების მეთოდოლოგია და ა.შ. საგნის სწავლების მეთოდოლოგიას კერძო მეთოდოლოგიას ემახიან. ცალკეული სასწავლო დისციპლინა თავის კვლევაში ემყარება პედაგოგიკას, კერძოდ დიდაქტიკას, მაგრამ ამავე დროს მეთოდოლოგიის მონაცემები წარმოადგენს დიდაქტიკის აუცილებელ წყაროს, რომლის გარეშე ის უსაგნოდ დარჩებოდა. ამიტომ დიდაქტიკა სწავლების მეთოდოლოგიას ემყარება და ისინი ურთიერთს განაპირობებს. დიდაქტიკასა და მეთოდოლოგიას შორის არსებობს ისეთი დამოკიდებულება, ურთიერთმიმართება, როგორც ზოგადსა და კერძოს შორის.

სწავლების ფუნქციები

მოსწავლე სწავლება–სწავლის პროცესში ორიენტირებული უნდა იყოს შემეცნებასა და ანალიზზე. მოსწავლე ცოდნის პასიური მიმღების ნაცვლად უნდა გავხადოთ მის შემოქმედად. ტრადიციული დასწავლის პედაგოგიკა, რომელიც უმეტეს წილად მიმართული იყო ცოდნის დაგროვებისაკენ, უნდა შევცვალოთ კრიტიკული და შემოქმედებითი უნარჩვევების ჩამომყალიბებელი პედაგოგიკით, რომლის მეშვეობით პრიორიტეტულია შეძენილი ცოდნის გამოყენებადობა და კრიტიკული აზროვნება. „სასწავლო პროცესი ინტელექტუალურ და ესთეტიკურ სიამოვნებას უნდა ანიჭებდეს როგორც მოსწავლეს, ისე მასწავლებელს“– აღნიშნავს

პროფესორი ი. ბიბილეიშვილი (ბიბილეიშვილი, 2011:33). ეს იდეა უცხო არ იყო კლასიკური პედაგოგიკის ზოგიერთი წარმომადგენლისთვის. ი. ა. კომენსკი ნაშრომში „დიდი დიდაქტიკა“ მიუთითებდა: „ჩვენ ვბედავთ და გპირდებით მტკიცედ, რომ შეუძლებელი იყოს კარგი ნაყოფი არ მიიღო; ასწავლო მალე, მაგრამ ისე კი არა, რომ დაამძიმოს ან გააბეზროს მასწავლებლები ან მოსწავლეები, არამედ ერთსაც და მეორესაც სიამოვნება მოჰგვაროს“ (კომენსკი, 1949: 33).

წლების მანძილზე ინტენსიურად მიმდინარეობდა სწავლების პროცესის არსის, მისი ფუნქციების კვლევა–ძიება. აკადემიკოს დავით ლორთქიფანიძის დიდაქტიკაში დასახელებულია სწავლების განმავითარებელი, აღმზრდელიობითი, საგანმანათლებლო და შრომითი ფუნქციები. ის წერს: „სწავლების განმავითარებელმა მიმართულებამ ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეებში დამოუკიდებელი სასწავლო–ძიებითი, შრომითი და ორგანიზაციული საქმიანობისათვის საჭირო უნარ–ჩვევების შემუშავებას“ (ლორთქიფანიძე, 1981: 42). აკად, ი. ბაბანსკი 1983 წელს მისივე რედაქციით გამოქვეყნებულ „პედაგოგიკის“ სახელმძღვანელოში აღნიშნავს: „განვითარება არ დაიყვანება მხოლოდ აზროვნების ჩამოყალიბებამდე.... იგი უნდა მოიცავდეს პიროვნების ყველა სფეროს და ამიტომ თანამედროვე დიდაქტიკა ეძებს სწავლების განმავითარებელი გავლენის გაფართოების გზებს“. ი. ა. კომენსკი „კარგად მოწყობილი სკოლის კანონები“ წერს: „მხოლოდ ლაპარაკი რომ ვასწავლოთ და ამასთან ერთად არ ვასწავლოთ გაგებაც –ეს ნიშნავს იმას, რომ არ სრულვყოთ ადამიანის ბუნება, არამედ მივცეთ მას გარეგნული, ზერელე მორთულობა. ვასწავლოთ საგნის გაგება, მაგრამ არ ვასწავლოთ მოქმედება. ფარისევლობის ერთ–ერთი სახეა: თქმით ვთქვათ, მაგრამ არ გავაკეთოთ...ბოლოს, გვესმოდეს და ვაკეთებდეთ საგნებს, მაგრამ ვერ ვერკვეოდეთ ცოდნისა და მოქმედების სარგებლიანობაში, ეს ნახევრად უვიცობაა. რომ შევქმნათ ადამიანები, რომლებმაც საგნები იციან, მოქმედებაში გამოცდილნი არიან და ბრძნულად იყენებენ ცოდნასა და მოქმედებას, ჩვენმა ჰუმანურობის სახელოსნომ, სკოლამ უნდა წარმართოს გონება საგნების შესწავლისა, იმგვარად რომ ყველგან დაცული იყოს სარგებლობა და წინასწარ მივიღოთ ზომები ბოროტების ჩადენის წინააღმდეგ“.

პროფესორი ი. ბიბილეიშვილი თავის სახელმძღვანელოში „პედაგო-

გიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები“, იხილავს რა სწავლების სამ ფუნქციას განმავითარებელ, საგანმანათლებლო და აღმზრდელობით აღნიშნავს: „სწავლება განმავითარებელია, თუ იგი ხელს უწყობს მოსწავლისათვის თანდაყოლილი ინტელექტუალური უნარების (აღქმა, მეხსიერება, ყურადღება, წარმოსახვა, აზროვნება, მეტყველება, მოქმედება, ნებისყოფა) განვითარებას სისტემატური ვარჯიშითა და ჩვევების გამომუშავების გზით (ბიბლიეიშვილი, 2011: 57).

აღქმის (სმენა, ხედვა, შეხება, სუნი, გემო) უნარის განვითარებაზე დამოკიდებული მიწოდებული ინფორმაციის ზუსტად, ცხადად და მტკიცედ შექმენა-შეთვისების ხარისხი. აღქმის უნარები კომპლექსურად უნდა ვითარდებოდეს. რაც უფრო მეტი გრძნობის ორგანო მონაწილეობს დასწავლაში, მით უფრო მყარი და სრულყოფილია შექმნილი ცოდნა.

მეხსიერების განვითარება მნიშვნელოვანია. ჩვენ **იმდენი ვიცით, რამდენიც გვახსოვს** (ი. ბიბლიეიშვილი, 2011:144). მასწავლებლის ოსტატობის საიდუმლო ის არის, რომ მოსწავლეს არ დაავიწყოს ადრე შეთვისებული ცოდნა. სისტემატურად მივმართოთ ნასწავლი მასალის გამეორებას. გასამეორებლად უნდა მივცეთ არა ის, რაც ისწავლეს და დაავიწყდათ, არამედ ის, რაც ახსოვთ, რომ არ დაავიწყდეთ.

ყურადღება ის უნარია, რომლითაც მოსწავლე კავშირს ამყარებს ძველ და ახალ შექმნილ ცოდნას შორის. ყურადღებია მისწავლე, რომელსაც შეუძლია მსგავსება-განსხვავება დაადგინოს ადრე შექმნილ და ახალ ცოდნას შორის. კ. დ. უშინსკის შეხედულებით ყურადღება არა მარტო სწავლების საფუძველია, არამედ აღზრდის საგანიცაა. ყურადღების აღზრდას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა იაკობ გოგებაშვილი. ის წერდა: "სწავლება რომ განმავითარებელი იყოს, ყოველ სიტყვას თან უნდა ახლდეს სრული გაგება... სწავლების ამ სრულ შეგნებულობაზე დამოკიდებული მოსწავლის ყურადღების სიძლიერისა და სიმტკიცის აღზრდა, ურომლისოდაც არ არსებობს სწავლებაში რაიმე წარმატება, რადგან მხოლოდ გაძლიერებული ყურადღების საშუალებით წვდება ჩვენი გონება საგანთა ღრმა შინაგან მხარეებს". ყურადღებას იაკობ გოგებაშვილი აღზრდის საგნად მიიჩნევდა: "სწავლების უმთავრესი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მოსწავლეებში აღზარდოთ ყურადღება. მი-

ვაჩვიოთ ისინი იმას, რომ ამ მომენტში თავისი გონება მიაპყრონ გარკვეულ საგანს, რაც დაკვირვებისა და შესწავლის ობიექტია“.

აზროვნება არის ამოცანის დასახვისა და მისი ამოხსნის უნარი. აზროვნებს ის, ვისაც შეუძლია დასახოს ამოცანა, წარმოქმნას პრობლემური სიტუაცია და მონახოს მისი ამოხსნის შესაძლებლობები. აზროვნების განვითარება მარტო აღწერით და შინაარსის გადაცემით არ ხდება. მოსწავლეები ხშირად უნდა პასუხობდნენ კითხვებზე—საიდან? რატომ? როგორ? იწინასწარმეტყველონ როგორ განვითარდება მოვლენები. აზროვნების განვითარება შეუძლებელია ცნობისმოყვარეობის გაღვიძების გარეშე, თუ არ ხდება გაკვირვების გამოწვევა. ის, რაც იწვევს გაკვირვებას, იწვევს ინტერესს და აღვიძებს მისი დაკმაყოფილების ინტელექტუალურ ძალებს. გაკვირვებისა და დაკვირვების გარეშე ვერ განვითარდება მეცნიერება. გაკვირვების, ცნობისმოყვარეობის, აღმოჩენების გარეშე მოსაწყენი იქნებოდა სწავლება/სწავლაც. **აზროვნება** ადამიანისათვის თანდაყოლილი უნარია. ეს არის ახალი ამოცანის დასახვისა და მისი ამოხსნის უნარი. "აზროვნებისათვის, - წერს პროფ. რევაზ ნათაძე, - დამახასიათებელია ინდივიდისათვის ახალი ამოცანის (ფართო მნიშვნელობით) გადაწყვეტა, ახალი, უჩვეულო სიტუაციის შესატყვისი მოქმედება. აზროვნება მაშინ ამოქმედდება, როდესაც ინდივიდი მისთვის ახალ, უჩვეულო სიტუაციაში (ფართო მნიშვნელობით) აღმოჩნდება, რომლის გაგება ან შესატყვისი მოქმედება მხოლოდ აღქმის საფუძველზე - თანდაყოლილი რეფლექსურ-ინსტიქტური მოქმედების სახით, წარსული გამოცდილების (ჩვევის თუ ცოდნის) საფუძველზე შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში ახალი სიტუაცია ინდივიდისათვის ამოცანას წარმოადგენს.

კ. დ. უშინსკის აზრით, მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს მოსწავლეებში აზროვნების უნარის განვითარებას. ამისათვის ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა **ფიქრს**. ის წერდა „გონებრივი შრომა თითქმის ყველაზე ძნელი შრომაა ადამიანისათვის. ოცნება ადვილი და საამოა, მაგრამ ფიქრი ძნელია. არათუ ბავშვებში, არამედ მოზრდილ ადამიანებშიც კი ყველაზე ხშირად ვხვდებით აზრის სიზარმაცეს. ბიჭი უმალ მზად არის მთელი დღე იმუშაოს ფიზიკურად ან უაზროდ ჩაუჯდეს ერთ და იმავე გვერდს რამდენიმე საათს და გაიზვიანოს ის მექანიკურად, ვიდრე რამდენიმე წუთს იფიქროს სერიოზულად" (უშინსკი, 1974).

მოსწავლეებში აზროვნების უნარის განვითარება სკოლის უმთავრესი ამოცანაა. ნებისმიერ სასკოლო საგნის მასწავლებელს კარგად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი ზოგადად აზროვნება და კერძოდ აზროვნების ისეთი სახეები, როგორცაა დიალექტური აზროვნება, ლოგიკური, აბსტრაქტული, განზოგადებითი, კატეგორიული, თეორიული, ინდუქციური, დედუქციური, ალგორითმული, ტექნიკური, რეპროდუქციული (შემოქმედებითი), სისტემური აზროვნება (Ильина, 1984:70).

დიალექტიკური აზროვნება – გულისხმობს მოვლენების გააზრების უნარს წინააღმდეგობათა ერთიანობაში, სიახლის დანახვას მოვლენების განვითარებაში.

ლოგიკური აზროვნება – ვლინდება ადამიანის მიერ ცოდნის ლოგიკურ გააზრებაში, ანუ დაამყაროს კავშირი ადრე შეძენილ და ახლად შეძენილ ცოდნას შორის. მოიყვანოს ეს ცოდნა განსაზღვრულ სისტემაში.

აბსტრაქტული აზროვნება - მიმართულია მოვლენებში არაარსებითისა და მეორეხარისხოვანი ნიშნების გამორიცხვისა და არსებითი, ზოგადი ნიშნების დადგენის, აბსტრაქტული ცნებების ჩამოყალიბებისაკენ.

განზოგადებითი აზროვნება – ხასიათდება გარკვეული ჯგუფის მოვლენების განვითარების ზოგადი პრინციპების პოვნის, დადგენის უნარით.

კატეგორიული აზროვნება – მიმართულია ცნებების კლასებად და ჯგუფებად გაერთიანებისაკენ ყველაზე არსებითი ნიშნების მიხედვით.

თეორიული აზროვნება – ხასიათდება ცოდნის განზოგადების მაღალი დონით, ამა თუ იმ დარგის ცოდნის მეცნიერული საფუძვლების გააზრების, მისი განვითარების პრინციპების, მოვლენათა შორის კავშირების კანონზომიერებათა დანახვის უნარით.

ინდუქციური აზროვნება – გულისხმობს აზრის მოძრაობას კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტიდან განზოგადებისაკენ.

დიალექტური აზროვნება – დაკავშირებულია ზოგადიდან კერძოსაკენ აზრის მოძრაობის პროცესთან.

ალგორითმული აზროვნება – გულისხმობს გარკვეული ქმედებების შესრულების პროცესში ინსტრუქციების და მითითებების დაცვას მკაცრი თანმიმდევრობით. ჩვეულებრივ ეს მითითებები (ალგორითმები) ატარებენ განზოგადებულ ხასიათს და მოიცავს ფართო წრის ამოცანებს, რო-

მელთა გადაწყვეტა მნიშვნელოვნად მარტივდება ალგორითმების დაცვით.

ტექნიკური აზროვნება – როგორც დასახელებიდან ჩანს, დაკავშირებულია საინჟინრო-ტექნიკური შრომის პროცესში მოქმედებასთან. იგი გულისხმობს მწარმოებლური პროცესების, ტექნიკასთან მუშაობისათვის ადამიანის ფსიქოლოგიური მზაობის უზრუნველყოფას.

რეპროდუქციული აზროვნება – ხასიათდება ცნობილი ან უცნობი ტიპის ამოცანების გადაწყვეტისათვის გონიერი ქმედებების უნარით.

პროდუქტიული აზროვნება (შემოქმედებითი) – გულისხმობს ადამიანის მიერ ახალი, ადრე უცნობი ამოცანების გადაწყვეტის უნარს. იგი დაკავშირებულია ადამიანის ნებისმიერ მოქმედებასთან, რომლის შედეგია შემოქმედებითი პროდუქტი, ადამიანის მოქმედების პროცესის რაციონალიზაციის უზრუნველყოფა.

სისტემური აზროვნება – ვლინდება მეცნიერების დარგებს შორის ზოგადმეცნიერული კანონების დანახვის უნარში. ბუნებისა და საზოგადოების განვითარების იმ კანონზომიერების დანახვა, რომელიც დაკავშირებულია მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებასთან (Паламарчук, 1974:47).

მოზარდებში აზროვნების განვითარების ესოდენი მნიშვნელობის მიუხედავად პედაგოგიკის სახელმძღვანელოში არ არის გაშუქებული საკითხი როგორ ვასწავლოთ აზროვნება, როგორც სკოლის უმნიშვნელოვანესი მიზანი. ფილოსოფიის ცნობილი გამოთქმა „ვაზროვნებ - მამასადამე ვარსებობ“, პირველ რიგში მოაზროვნე პიროვნების აღზრდას გულისხმობს. ბავშვი და მეტადრე მოზარდში, აზროვნების უნარის განვითარებას გადმწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პიროვნების ფორმირებისათვის. ადამიანის პიროვნულ ღირსებებს შორის აზროვნების განვითარებული უნარის მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება შეუძლებელია.

მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი იან ამოს კომენსკი სწავლებისა და სწავლის სიმტკიცის საფუძვლის მთავარ ქვაკუთხედად მოსწავლეებში **სწორად გაგების უნარის** განვითარებას თვლიდა. ის წერდა: „ახალგაზრდობის წესიერად აღზრდა არ ნიშნავს, რომ თავში ჩავუტენოთ ავტორებიდან ამოკრეფილი სიტყვების, ფრაზების, გამოთქმებისა და აზრების ნარევი, არამედ ნიშნავს იმას, რომ **განვუვითაროთ მას საგანთა გაგების უნარი**, რათა სწორედ ეს უნარი გახდეს იმ ცხოველ წყაროდ,

საიდანაც ცოდნის ნაკადულები გადმოდიან, მსგავსად იმისა, როგორც ხის კვირტიდან წარმოიქმნება ფოთლები და ნაყოფი, ხოლო მეორე წელს ყოველი კვირტიდან ისევ გაიზრდება ახალი ტოტი თავისი ფოთლებითა და ნაყოფით“.

წარმოსახვა არის უნახავის ხატოვანი წარმოდგენის უნარი. თუ მეხსიერება წარსულში აღქმულის შენახვაა, წარმოსახვა ახლის შექმნის უნარია. „წარმოდგენა, რომელიც წარსული აღქმის რეპროდუქციას იძლევა, მეხსიერების წარმოდგენაა, ხოლო წარმოდგენა, რომელიც სუბიექტისათვის ახალია, გარდაქმნილია, ფანტაზიის ანუ წარმოსახვის წარმოდგენაა“. წარმოსახვის უნარის განვითარების გარეშე ადამიანი ვერაფერს შექმნის ღირებულს.

მეტყველება თანდაყოლილი უნარია. გარკვეულ ასაკობრივ დონეზე ბავშვი იწყებს მეტყველებას. მისი მთავარი ფუნქცია, გარდა კომუნიკაციისა, არის ნააზრევისა და ნაფიქრის ადექვატური გადმოცემა ზეპირი თუ წერიტი მეტყველების საშუალებით. რაც უფრო მდიდარია მოსწავლის მეტყველების ლექსიკური მარაგი, მით უფრო სრულყოფილია მის მიერ ნააზრევის გადმოცემა ცოცხალი სიტყვით. ამიტომ, ნებისმიერი სასწავლო საგნის სწავლების პროცესში ოსტატი პედაგოგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მოსწავლის ლექსიკური მარაგის გამდიდრებას. ისინი ხშირად ავალებენ თავიანთ მოსწავლეებს სახელმძღვანელოში ჩამოყალიბებული განსაზღვრებების, დებულებების, დასკვნების სხვა სიტყვებითაც გადმოცემას. განსაკუთრებულ სიმძნელებთან არის დაკავშირებული წერიტი მეტყველების განვითარება. ის ვინც ზეპირად კარგად მეტყველებს, ყოველთვის ასევე კარგად როდი გადმოსცემს თავის ცოდნას წერილობითი ფორმით. ნააზრევსა და მისი გადმოცემის ფორმებს შორის წინააღმდეგობებს ვერ დავამლევიანებთ მოსწავლეს, თუ სისტემატურად და თანმიმდევრულად არ ვავარჯიშებთ მას წერიტი მეტყველებაში და არ განვავითარებთ მასში ნააზრევის ადექვატური სიტყვით გადმოცემის ჩვევებს.

მოქმედება თანდაყოლილი უნარია, რომლის განვითარებისა და სრულყოფის გარეშე მოსწავლის მომზადება რეალური ცხოვრებისათვის შეფერხებებით წარიმართება. მოქმედება აუცილებლად უნდა განვავითაროთ თანმიმდევრული და სისტემატური ვარჯიშით, რათა ადამიანი

სრულყოფილად გამოხატავდეს თავის შესაძლებლობებს, თავის პიროვნულ ღირსებებს. ფსიქიკა და მისი უმაღლესი ფორმა-ცნობიერება მოქმედების პროცესში ყალიბდება და მოქმედების პროცესშივე ვლინდება. ადამიანი არა მხოლოდ მჭვრეტელი, პასიური არსება კი არ არის, არამედ მოქმედია და მისი შესწავლა უნდა ხდებოდეს მისი აქტივობის გამოვლენის პროცესში-მოქმედებაში.

ნებისყოფა გამოხატავს პიროვნების ნამდვილ სახეს. პიროვნებას ან გააჩნია მტკიცე ნებისყოფა და ყოველ დაგეგმილ სამუშაოს დადგენილ დროში ხარისხიანად ასრულებს, მის ცხოვრებაში ყოველი ახალი დღე ახალი წინგადადგმული ნაბიჯია, ან იგი მოკლებულია ასეთ უნარს და უნებისყოფობის გამო ვერც ერთ სამუშაოს ვერ ასრულებს ბოლომდე, ხარისხიანად, დროულად. ამაზე მეტყველებს ხალხური სიბრძნე: „მედ-ღემეხვალიასაო, თოვლი მოადგა კარსაო“. სწორედ სუსტი ნებისყოფა, ან საერთოდ უნებისყოფობა არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ასეთ ადამიანებს არასდროს არ ჰყოფნით დრო და ამის გამო ძნელად აღწევენ, ან საერთოდ ვერ აღწევენ დასახულ მიზანს.

ამგვარად, სწავლების განმავითარებელი ფუნქციის ფსიქოლოგიური ასპექტი გვიჩვენებს, რომ პედაგოგი კარგად უნდა იცნობდეს ზოგად ფსიქოლოგიას და მის რეკომენდაციებს შემოქმედებითად იყენებდეს აღსაზრდელებთან ყოველდღიურ პედაგოგიურ ურთიერთობებში. „სწავლება ახორციელებს განმავითარებელ ფუნქციას უფრო ეფექტურად, იმ შემთხვევაში თუ გააჩნია სპეციალური მიმართულება და ჩართვას მოსწავლეებს საქმიანობის ისეთ სახეებში, რომლებიც უვითარებს მათ სენსორულ აღქმას, მოძრაობით, ინტელექტუალურ, ნებელობით, ემოციონალურ, მოტივაციურ სფეროს“ (ბიბილეიშვილი, 2011:140).

სწავლების აღმზრდელობითი ფუნქცია ორგანულად გამომდინარეობს სწავლების შინაარსიდან და მეთოდებიდან. არ შეიძლება ეფექტურმა სწავლებამ არ აღზარდოს გარკვეული შეხედულებანი, რწმენა, დამოკიდებულება, რამეთუ პიროვნების თვისებათა ფორმირება შეუძლებელია ადამიანის მიერ ზნეობრივი ნორმების შეთვისების გარეშე. აღმზრდელობითი ფუნქციის საშუალებით ხდება მოსწავლის მსოფლმხედველობის, ზნეობრივი, შრომითი, ესთეტიკური, ეთიკური წარმოდგენების, შეხედულებების, რწმენის, ურთიერთობათა სისტემის, მოთხოვნილებათა და სხვა

თვისებათა ფორმირება. პირველად სწავლების ეს ფუნქცია შემოიტანა გამოჩენილმა გერმანელმა პედაგოგმა და ფსიქოლოგმა ჰერბარტმა. სწავლების აღმზრდელობითი ფუნქცია დაამუშავა გერმანელმა მეცნიერმა და პედაგოგმა ადოლფ დისტერვეგმა. სწავლება აღმზრდელობითია, რომელიც სიმართლეზეა დამყარებული. სიმართლეში ის სიტყვისა და საქმის ერთიანობას გულისხმობდა. სწავლების აღმზრდელობითი ფუნქცია თავისი პედაგოგიკური მოძღვრების მთავარ იდეად გამოაცხადა კ. დ. უშინსკიმ: „ვინც კარგად ასწავლის. ის კარგადაც ზრდის“. „უბედურებაა ისეთი განათლება, რომელიც არ გადადის კეთილ ზნეობაში და ღვთისნიერებაში. რა არის მეცნიერული განათლება კეთილი ზნეობის გარეშე? ვისაც წარმატება აქვს მეცნიერებაში და ჩამორჩენილია ზნეობის მხრივ, მას წარმატება კი არა აქვს, არამედ უფრო ჩამორჩენილია... (ი. ა. კომენსკი).

სწავლება და აღზრდა პიროვნების განვითარებას ემსახურება, მაგრამ ამასთანავე სწავლებას ამ პროცესში თავისი კონკრეტული ფუნქცია გააჩნია. რაც გამოიხატება იმაში, რომ თუ მას სათანადო მიმართულება მიეცემა და მასში მოსწავლე აქტიურად იქნება ჩართული, მისი აღზრდა უფრო მეტ შედეგს გამოიღებს. სწავლების პროცესში აღზრდის აუცილებლობაზე ამახვილებს ყურადღებას ქართული პედაგოგიკის კლასიკოსი **იაკობ გოგებაშვილი**. მისი აზრით, სწავლებამ მოსწავლეში უნდა ჩანერგოს პატივისცემა სხვისი და საკუთარი თავისა, პატივისცემა კანონიერებისა და სიმართლისა, გრძნობა ადამიანობის ღირსებისა, მართებულობისა, რიგინობისა, პატივისცემა სხვისი საკუთრებისა, სიყვარული ხალისი შრომისა, გაფრთხილებისა, ზოგვისა, სიყვარული ოჯახისა, თვისტომისა, ქვეყნისა (გოგებაშვილი, 1954: 186).

სწავლების აღმზრდელობით ფუნქციას ეხმიანება მწერალი **ნოდარ დუმბაძე**. საქართველოს მასწავლებელთა ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში, მადლობას უხდის ისტორიის მასწავლებელს, რომელმაც საქართველოს ისტორია არა მხოლოდ შეასწავლა, არამედ შეაყვარა კიდეც და ამით ხელი შეუწყო მისი ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებას.

სწავლების აღმზრდელობითი ფუნქციის მნიშვნელობაზე ამახვილებდა ყურადღებას თანამშრომლობითი პედაგოგიკის ავტორები. მათ მიაჩნდათ, რომ „სკოლა საჭიროებს გაჯანსაღებას და არა კოსმეტიკურ შეკეთებას.... ჩვენ ცუდად ვასრულებთ ჩვენს ფუნქციებს. ჩვენ ვუშვებთ

ათასობით ათას ზერელე ნასწავლს, უფრო მეტი, განათლების მოძულე ადამიანებს. ჩვენ ვუშვებთ ათასობით მომხვეჭელს, ხულიგანს, ობივატელს. ისინი ადვილად ადგებიან ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, პროსტიტუციის, სამართალდარღვევის გზას. ჩვენ ვუშვებთ ადამიანებს, რომლებიც უსარგებლონი არიან ქარხნებში, ფაბრიკებში, საყოფაცხოვროვრებო მომსახურების კომბინატებში, იმიტომ რომ ისინი მიუჩვეველნი არიან შრომას და ყოველმხრივ გაურბიან სერიოზულ მუშაობას“. თუ მოსწავლე შეგნებულად შეისწავლის დავით აღმაშენებლის სახელმწიფო მოღვაწეობის ისტორიას, იგი ვერ შეურიგდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის ვერც ერთ გამოვლინებას. როცა მოსწავლე შეგნებულად შეისწავლის გიორგი სააკაძის ცხოვრების ისტორიას, იგი ვერ უნდა შეურიგდეს საქართველოს ეროვნული ინტერესებისადმი გულგრილობის გამოვლინებას. სწავლებამ პიროვნების სრულყოფა უნდა უზრუნველყოს. მოსწავლე ილია ჭავჭავაძის „სარჩობელაზედ“ შესწავლის შემდეგ აუცილებლად უნდა დაფიქრდეს რატომ აღმოჩნდა უფროსი ძმა სარჩობელაზედ და რატომ არის დამნაშავე მოხუცი პეტრე. სწავლების აღმზრდელობითი ფუნქციის განხორციელება შესაძლებელია ნებისმიერი სასწავლო კურსის სწავლების დროს. აღზრდის პროცესის სწორი ორგანიზაცია სასურველ გავლენას ახდენს სწავლების მსვლელობაზე, რამეთუ შრომისმოყვარეობა, ორგანიზებულობა, აქტიურობა ქმნის ხელსაყრელ პირობებს წარმატებული სწავლებისათვის. **ილია ჭავჭავაძემ** განათლების საფუძვლად ცოდნისა და აღზრდის ერთიანობა აღიარა და განათლებულ ადამიანს „სრული ადამიანი“ უწოდა. „ჭეშმარიტი განათლება განვითარებული გონების და გაწურთვნილის ზნე-ხასიათის ერთმანეთთან შეუღლებაა განუყრელად. თუ კაცს ან ერთი აკლია, ან მეორე, იგი განათლებული არ არის“ (ბიბილეიშვილი, 2011:163).

აკადემიკოსი ნ. ვასაძე სწავლების საგანმანათლებლო ფუნქციის შესახებ აღნიშნავს, რომ ის „გულისხმობს მეცნიერული ცოდნის შეთვისებას, სპეციალურ და ზოგადსასწავლო უნარ-ჩვევების ფორმირებას. თავად მეცნიერული ცოდნა შეიცავს ფაქტებს, კანონებს, კანონზომიერებებს, სამყაროს განზოგადებულ სურათს. იგი ავითარებს მოსწავლეში სულიერ, ფიზიკურ თუ შრომით შესაძლებლობებს, საფუძველს უქმნის მის პროფესიულ მიმართულებას (ვასაძე, 2000: 261)“. ცოდნა განათლების საფუ-

ძველია. ადამიანი ღრმა და ფართო ცოდნას უნდა დაეუფლოს, რომ განათლებული კაცის ღირსებები შეიძინოს. ცოდნა განათლებად ვერ იქცევა თავისთავად და მექანიკურად. განათლებასა და ცოდნას შორის განსხვავებაზე პირველად ყურადღება დისტერვეგმა გაამახვილა. ის ცოდნას განიხილავს როგორც ინფორმაციის რაოდენობას, ხოლო განათლებას კი ცოდნის თვისებრივ მოვლენად აღიარებს. ის წერდა, „განათლება არ გამოიხატება ცოდნის რაოდენობაში, არამედ ამ ცოდნის სრულ გაგებასა და მის ოსტატურ გამოყენებაში“ (ვასაძე, 2000:261). სწავლის პროცესში მოსწავლეებს უყალიბდება პრაქტიკული უნარ-ჩვევები. მაგ., საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლის დროს მოსწავლეებს უყალიბდება ამოცანების დამოუკიდებლად გადაწყვეტის, ცდების დაგეგმვისა და ჩატარების, ჰიპოთეზების წამოყენების და პრაქტიკაში მათი შემოწმების, კვლევაძიების უნარები. ჰუმანიტარული საგნების შესწავლის დროს მოსწავლეებს უყალიბდება წყაროზე დამოუკიდებლად მუშაობის, ანალიზის, სინთეზის უნარი.

განათლება ცოდნის გამოყენების უნარია, რომელიც შეძენილი ცოდნის საფუძველზე ყალიბდება ცხოვრებისეული გამოცდილების ფორმირების პროცესში. სწავლების მიზანია მოზარდი თაობის ცხოვრებისათვის მომზადება. ცხოვრება მოითხოვს სწავლების სკოლა გადავაქციოთ პიროვნების ფორმირების სკოლად.

სწავლების ფუნქციების შემოქმედებითად გააზრება სასკოლო ცხოვრების ყოველდღიურ პრაქტიკაში სკოლას აქცევს ცხოვრებისათვის ახალგაზრდობის მომზადების საიმედო ძალად. მოსწავლე ღებულობს ფუნქციურ-პირობისეულ, დინამიურ ცოდნას. სამივე ფუნქცია სასწავლო პროცესში ურთიერთდაკავშირებულია. ამ ფუნქციათა ერთობლიობა ხორციელდება სწავლების სხვადასხვა მეთოდის ფორმებისა და საშუალებების შერჩევით, მასწავლებლისა და მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ჩართულობით გაკვეთილის თითოეულ ეტაპზე.

სწავლების კანონზომიერებანი

სწავლების კანონზომიერება ეწოდება ობიექტურად არსებულ, მყარ, განმეორებად და არსებით კავშირებს პედაგოგიურ მოვლენებსა და პროცესებს შორის. სწავლების კანონზომიერებანი ესაა არსებითი კავში-

რების, მიმართებების ცალკეული კერძო ფორმების გამოვლინებანი სწავლის პროცესში. კლასიკურ პედაგოგიკაში სწავლება შემდეგ კანონზომიერებებს ეყრდნობა:

- სწავლების განპირობებულობა საზოგადოებრივი მოთხოვნილებებით;
- სწავლების დამოკიდებულება იმ პირობებზე, რომელშიც ის მიმდინარეობს;
- სწავლების, განათლების, აღზრდისა და განვითარების პროცესის ურთიერთდამოკიდებულება;
- სწავლებისა და მოსწავლეთა რეალური სასწავლო შემძლეობის ურთიერთდამოკიდებულება;
- სწავლების ამოცანების, შინაარსის, მეთოდებისა და ფორმების ურთიერთდამოკიდებულება მთლიან პედაგოგიურ პროცესში (გობრონიძე, 1998: 7).

ი. ფ. ხარლამოვი სწავლების კანონზომიერებებს განიხილავს, როგორც აღზრდის შემადგენელ ნაწილსა და როგორც სწავლების სპეციფიკურ კანონზომიერებათა სისტემას. სწავლება, როგორც აღზრდის ორგანული ნაწილი, მოიცავს შემდეგ კანონზომიერებებს: სწავლების მიმართულება პიროვნების მრავალმხრივი, ჰარმონიული განვითარებისაკენ; სწავლების აქტიურ-ქმედითი ხასიათი, მოსწავლეთა მოთხოვნილებით-მოტივაციურ სფეროსა და სასწავლო-შემეცნებითი აქტივობის ერთიანობა; მოსწავლეებისადმი მომთხოვნელობის გამოვლენა, მათი პირადი ღირსებისადმი პატივისცემა სწავლების პროცესში; მოსწავლეთა ნიჭისა და შემოქმედებითი მონაცემების წარმოჩენა და მათ დადებით თვისებებზე დაყრნობა სწავლების პროცესში; მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება სწავლების პროცესში; სწავლების ორგანიზაციაში სკოლის, ოჯახისა და საზოგადოებრიობის შეთანხმებულობა და ერთიანობა.

ამ კანონზომიერებათა განხორციელება სწავლების პროცესში მისი ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვანი წანამძღვარია (ხარლამოვი, 1990: 180). მაგ., თუ პედაგოგი არ ჩამოუყალიბებს და არ განუვითარებს მოსწავლეებს მათ სასწავლო-შემეცნებით აქტივობას, არ განუვითარებს მოსწავლეებს მოთხოვნილებებს და მოტივაციურ სფეროს, საეჭვოა მიაღ-

წიოს მათ სასწავლო–შემეცნებით აქტივობას.

ი. ფ. ხარლამოვი ასახელებს სწავლების შემდეგ კანონზომიერებებს:

სწავლების მეცნიერულობა და იდეურობა;

სწავლების პრობლემურობა;

სწავლების თვალსაჩინოება;

სწავლების პროცესში მოსწავლეთა აქტიურობა და შეგნებულობა;

სწავლების მისაწვდომობა;

სწავლების სიმტკიცე, სისტემატურობა და თანმიმდევრობა;

სწავლების საგანმანათლებლო, განმავითარებელი და აღმზრდელობითი ფუნქციების ერთიანობა.

თუ ჩვენ დავეყრდნობით იმ განსაზღვრებას, რომ კანონზომიერება ეწოდება ობიექტურად არსებულ, მყარ, განმეორებად და არსებით კავშირებს, მაშინ ზემოთ დასახელებულ ყველა ჩამონათვალს ვერ მივიჩნევთ კანონზომიერების გამოვლინებად. ამ ჩამონათვალში სწავლების პრინციპები და კანონზომიერებები ერთმანეთშია არეული. მაგ., სწავლების თვალსაჩინოება, სწავლების მისაწვდომობა, სწავლების სისტემატურობა და თანმიმდევრობა და ა. შ.

პროფესორი ალ. გობრონიძე ასახელებს სწავლების შემდეგ კანონზომიერებებს და მოკლედ მიმოიხილავს თითოეულ მათგანს (გობრონიძე, 2000:122).

- სწავლების განპირობებულობა საზოგადოებრივი მოთხოვნილებებით;

- სწავლების დამოკიდებულება იმ პირობებზე, რომელშიც ის მიმდინარეობს;

- სწავლების, განათლების, აღზრდისა და განვითარების პროცესის ურთიერთდამოკიდებულება;

- სწავლებისა და მოსწავლეთა რეალური სასწავლო შემძლეობის ურთიერთდამოკიდებულება;

- სწავლება და სწავლა ერთიანი პროცესია;

- სწავლების ამოცანების, შინაარსის, მეთოდებისა და ფორმების ურთიერთდამოკიდებულება მთლიან პედაგოგიურ პროცესში.

სწავლების განპირობებულობა საზოგადოებრივი მოთხოვნილებებით - ეს კანონზომიერება გამოხატავს სწავლების არსებით ნიშანს და

ტენდენციას. სწავლება თავისი ისტორიული განვითარების მანძილზე საზოგადოების მოთხოვნილებას გამოხატავდა. პირველყოფილი გვაროვნული წყობილების დროს ეს მოთხოვნილება საზრდოს მოპოვებით, იარაღის გაკეთებითა და მისი გამოყენების შეთვისებით გამოიხატებოდა, რომელიც ნადირობის განვითარებასთან იყო დაკავშირებული. შემდეგ მიწათმოქმედების, მესაქონლეობის, ხელოსნობის განვითარებამ კიდევ უფრო გააფართოვა ცხოვრების მოთხოვნილებანი და სწავლებაც შესაბამისად გართულდა. მონათმფლობელურ წყობილებაში სწავლებამ უფრო ღრმა შინაარსი შეიძინა, მისმა მეთოდებმა და ფორმებმა ცვლილება განიცადეს. მაგ., ძველ ეგვიპტეში, ქურუმთა სკოლებში ასწავლიდნენ საირიგაციო და სამელიორაციო საქმეს, რამეთუ ნილოსის ადიდება და მისგან გამომდინარე მეურნეობის წარმართვა, რაც ცხოვრების მოთხოვნილებით იყო გამოწვეული, განსაზღვრავდა ამგვარ სწავლებას. ასევე ცხოვრების მოთხოვნილება აპირობებდა მუმის დამზადების შესწავლას ფარაონთა (ეგვიპტელ მეფეთა) ბალზამირებისათვის; გეომეტრიისა და ტრიგონომეტრიის, მშენებლობის საქმის შესწავლას-პირამიდების აგებისათვის, რომელშიც სარკოფაგით უნდა დაეკრძალათ ფარაონი.

ფეოდალიზმის ეპოქაში ცხოვრებამ სხვა მოთხოვნილებანი წამოაყენა. აქ რაინდული ცხოვრება უფრო საბრძოლო საქმეში გაწვრთნილობას მოითხოვდა და ფეოდალთა ვაჟიშვილებს ასწავლიდნენ სამხედრო საქმეს. ვაჭრობასა და ხელოსნობის განვითარება, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები უკეთ სხვა ხასიათის ცოდნას მოითხოვდა: გემთმშენებლობას, კომერციას, უცხო ენების დაუფლებას. სწავლებაც ამის შესაბამისად წარიმართებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოება შეწყვეტდა განვითარებას.

დღეს სწავლების ძირითადი ფუნქცია მიმართულია კონკურენტუნარიანი სპეციალისტების აღზრდისაკენ, რომელიც ხელს შეუწყობს მათ დასაქმებას და პასუხობს ცხოვრების მოთხოვნებს. თუ სკოლამ ამ მოთხოვნებს არ უპასუხა, იგი მოწყდება ცხოვრებას. ამიტომაც იქმნება სხვადასხვა ტიპის მრავალფეროვანი შინაარსით ახალი სასწავლებლები. ფართოდ მკვიდრდება პროფესიული სასწავლებლები, რომლებიც პროფესიულ განათლებასთან ერთად მოსწავლეს შესძენს პროფესიულ უნარჩვენებს.

სწავლების დამოკიდებულება იმ პირობებზე, რომელშიც ის მიმ-

დინარეობს. სწავლება ეფექტურია მაშინ, როცა შესაბამისი პირობები აქვს შექმნილი. ეროვნული სასწავლო გეგმა თუ ითხოვს ციფრული კომპეტენციების განვითარებას, მაშინ სკოლაში უნდა იყოს შესაბამისი როგორც ფიზიკური, მატერიალური, ისე ადამიანური რესურსი. მაგ., საქართველოში პირველივე კლასიდან იწყება სწავლება/სწავლა ნეთბუკების გამოყენებით. მაგრამ თუ მასწავლებელი თავად ვერ ფლობს კომპიუტერს, მაშინ ცხადია გაუჭირდება მოსწავლეებთან მუშაობა.

სწავლების, განათლების, აღზრდისა და განვითარების პროცესის ურთიერთდამოკიდებულება. სწავლება და აღზრდა ორგანულადაა დაკავშირებული ერთმანეთთან. მათზეა დაფუძნებული განათლების განვითარებაც. პიაჟეს აზრით განვითარება წინ უძღვის სწავლებას, ლ. ვიგოტსკის აზრით, კი - სწავლების ერთი ნაბიჯი განვითარების ასი ნაბიჯის ტოლია. მეცნიერთა ნაწილის აზრით, ეს პროცესები მიმდინარეობს პარალელურად. „სწავლება, აღზრდა და განვითარება ერთმანეთს განაპირობებენ, ერთმანეთთან ორგანულად კავშირში იმყოფებიან“ (გობრონიძე, 2000:122). ცხადია, რეალურად ხან ერთი მხარე დომინირებს, ხან მეორე, შემდეგ კი დონეები თანაბრდება და წინა პლანზე დგება პიროვნების განვითარება, აღზრდა-ფორმირება. **სწავლებისა და მოსწავლეთა რეალური სასწავლო შესაძლებლობის ურთიერთდამოკიდებულება.** სასკოლო სახელმძღვანელო, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი სასწავლო აქტივობები მორგებული უნდა იყოს მოსწავლის ასაკობრივ და ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე. განსაკუთრებით სსსმ მოსწავლეებთან მიმართებაში.

სწავლება და სწავლა ერთიანი პროცესია. ეს არ ნიშნავს, თითქოს სწავლა სწავლების გარეშე არ არსებობს. იგი არსებობს და გამოხატულია სიტყვებში თვითსწავლა, თვითგანათლება. აქ საქმე ეხება სწავლების პროცესს. მთავარი ყურადღება აქეთკენ არის მიმართული, რომელიც იმაზე მიგვანიშნებს, რომ სწავლება ცალმხრივ პროცესად დარჩება, თუ მას არ ახლავს სწავლა, რომ სწავლება ორკომპონენტია პროცესია და იგი ყოველთვის გულისხმობს მასწავლებელსა და მოსწავლეს. აღნიშნული კანონზომიერების არსი მდგომარეობს იმაში, რომ სწავლება მაშინ არის ნამდვილი პროცესი, როცა ცოდნის გადაცემას თან ახლავს ცოდნის შეთვისება-მიღება, როცა მასწავლებლის ახსნას თან მოჰყვება მოსწავლის სწავლა, მონდომება. თუ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის არ შედგა

თანამშრომლობითი ურთიერთობა, ნიშნავს იმას, რომ არ მოხდა საგაკვეთილო მიზნის მიღწევა, არ შედგა სასწავლო პროცესი. „აი, ეს თუ არ გაითავისა მასწავლებელმა, მდგომარეობას ვერ გამოვასწორებთ. უბედურებაა, როცა მასწავლებელს ექმნება ილუზია, რომ მან ჩაატარა გაკვეთილი, გამართა სწავლების პროცესი. ეს მოქმედება სწავლების პროცესად მხოლოდ მაშინ ითვლება, როცა სისტემის მასწავლებელ–მოსწავლის ორივე კომპონენტი ამოქმედდება“ (გობრონიძე, 2000:124) - აღნიშნავს პედაგოგიკის სახელმძღვანელოში პროფესორი ალ. გობრონიძე.

ამრიგად, დიდაქტიკის კანონზომიერებები ეყრდნობა პედაგოგიურ მოვლენებსა და პროცესებს შორის მჭიდრო კავშირს, რომლებიც განაპირობებენ ურთიერთს და ერთიანი პედაგოგიური პროცესის აუცილებელ კომპონენტებს წარმოადგენენ.

სწავლება/სწავლის თანამედროვე მიდგომები

თანამედროვე პირობებში ხშირად უპირისპირებენ ერთმანეთს ტრადიციულ და თანამედროვე პედაგოგიკას. დღეს მნიშვნელოვნედ შეიცვალა სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და ორგანიზების ფორმები, სწავლების მიდგომები და მეთოდები. ტრადიციულად, სასწავლო პროცესის წამყვან ფიგურად მასწავლებელი ითვლებოდა. ამიტომაც ერქვა სწავლების ტრადიციულ სისტემას მასწავლებელზე ორიენტირებული და ავტორიტარული. თანამედროვე მოთხოვნებით შეიცვალა სასწავლო მიზნები – რაოდენობრივი ცოდნის გადაცემაზე მეტად მნიშვნელოვანია ინფორმაციის ნაკადში მოსწავლის დამოუკიდებლად ორიენტირების და შემოქმედებითი უნარის განვითარება. აღნიშნულის მისაღწევად მნიშვნელოვანია მოსწავლე გადაიქცეს პასიური შემთვისებლიდან სასწავლო პროცესის აქტიურ მონაწილედ, იყოს კრეატიული, მოტივირებული და თავისუფალი. შესაბამისად, თანამედროვე პედაგოგიკაში დიდ ადგილს იჭერს მომავალზე ორიენტირებული ინტერაქტიული სწავლების პრინციპები, რომლის დროსაც მოსწავლე და მასწავლებელი თანამშრომლობს ერთმანეთთან.

1990–იან წლებში საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამების განხორციელება დაიწყო. ისინი პირდაპირ თუ ირიბად უსვამდა ხაზს ტრადიციული დიდაქტიკის არაეფექტურობას და სანაცვლოდ თანამედროვე, ინოვაციურ მიდგომებს ანიჭებდა

უპირატესობას და თანდათან მასწავლებლის ცნობიერებაში მკვიდრდებოდა ტერმინები: „აქტიური, ინტერაქტიული სწავლა“, „მოსწავლეზე ორიენტირებული პედაგოგიკა“, „დიფერენცირებული მიდგომა“, „მრავალმხრივი ინტელექტი“, „კრიტიკული აზროვნება“, „კონსტრუქტივიზმი“, „ინტერაქტივი“ და სხვა. პედაგოგიური საზოგადოების ნაწილი არაერთგვაროვნად შეეგება დასავლურ სივრცეში „საგანგებო პროექტებს“, კონცეფციებს, ნაწილი კი ბრმად იტაცებდა ინოვაციას. თანამედროვე სკოლა მასწავლებლისაგან სიახლეების მიმართ მზაობას, მაღალი ინტელექტუალური და ტექნოლოგიური უნარების გამოყენებას მოითხოვს. წიგნიერების ტრადიციული გაგება, რაც ტექსტების დასწავლასა და ინფორმაციის მიღებას გულისხმობდა, ვეღარ უზრუნველყოფს მოსწავლის აღჭურვას აუცილებელი შემეცნებითი და საკომუნიკაციო კომპეტენციით.

შეიძლება გამოვყოთ აქტიური სკოლის შემდეგი მახასიათებლები: მნიშვნელოვანია ბავშვის დაინტერესება; საგნის შინაარსი უკავშირდება ბავშვის პირად გამოცდილებას; სწავლის მოტივაცია არის უფრო პიროვნული, შინაგანი, ვიდრე გარეგანი, ანუ არ განისაზღვრება ნიშნით; ბავშვი სწავლობს არა დაზეპირებით, არამედ აღმოჩენის გზით; ბავშვი სწავლობს საკუთარი აქტივობით - პრაქტიკული, შრომითი, ფიზიკური, ექსპრესიული (ხატვა, ლიტერული ესე); სწავლება ხორციელდება ექსპერიმენტებით.

რაში მდგომარეობს **სწავლებისა და სწავლის ახალი პარადიგმა?** რამ გამოიწვია **ტრადიციული მიდგომის გადაფასება? როგორ დანერგოს სკოლამ თანამედროვე ხედვა?** (ჟურნალი „ერუდიტი: 2018) სწავლებისა და სწავლის თანამედროვე ჩარჩო-კონცეფცია განათლების სფეროში უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე გაწეული ინტენსიური მეცნიერული ძიების შედეგებს ეყრდნობა, პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის, ლინგვისტიკის, ანთროპოლოგიის, ფილოსოფიის დარგებში კვლევამ ცხადყო, რომ ჩვენი წარმოდგენები ნაყოფიერი სწავლის შესახებ გადასახედია. XX საუკუნის მეორე ნახევარში მეცნიერები ახალი ძალისხმევით მიუბრუნდნენ ძველისძველ კითხვებს: რა არის ცოდნა? როგორ სწავლობენ ადამიანები? როგორ აღწევენ ბავშვები და მოზრდილები შემოქმედებით წარმატებებს? აღმოჩნდა, რომ ეფექტური შემეცნება ნებისმიერ სასკოლო კულტურაში არ მიიღწევა, ანუ სპეციალური მახასიათებლებით აღჭურვილ გარემოს მოითხოვს. ეს არის

გარემო, სადაც წახალისებულია: სასწავლო მიზნების დამოუკიდებლად დასახვა; კრიტიკული აზროვნება, საკითხის მრავალმხრივი დამუშავება, მრავალფეროვანი წყაროების დამუშავება; აქტიური თანამშრომლობა; შემოქმედებითი მიდგომა; ურთიერთალიარება და პატივისცემა.

განათლების ამ პრინციპებით შეიკრა კარკასი, რომელზეც დღეს განვითარებულ ქვეყნებში აგებენ ეროვნულ და სასკოლო პროგრამებს, საკლასო გარემოს და ინსტრუქტაჟს. ცოდნის გაფართოება მოსწავლეთა ჩართულობის, სწავლის გააქტიურების გზით, ამოსავალ საგანმანათლებლო პრინციპად იქცა.

ინტერაქტიური სწავლება არის თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც ეყრდნობა მასწავლებლისა და მოსწავლის ახალი როლების ძიებასა და ჰუმანიზმის პრინციპებს. ის მიზნად ისახავს მასწავლებელზე ორიენტირებული ავტორიტარული სასწავლო პროცესის შეცვლას მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესით, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებსა და მოთხოვნილებებს. „ინტერაქტიურ სწავლებას პედაგოგიკაში სწავლებისა და ცოდნის შეფასების ახალი სტრატეგიები შემოაქვს. იცვლება სწავლების მიზანი. იგი ორიენტირებული ხდება არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. მოსწავლე ინტერაქტიური სწავლების სუბიექტი, მისი აქტიური მონაწილეა. სწავლებას საფუძვლად ედება მოსწავლის არსებული ცოდნა, პირადი გამოცდილება. სწავლების პროცესისადმი ეს ახალი მიდგომა ეყრდნობა მნიშვნელოვან საგანმანათლებლო მიმდინარეობას – კონსტრუქტივიზმს. კონსტრუქტივიზმის ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ მოსწავლეებს ძველი და ახალი ცოდნის შედარების მეშვეობით ვასწავლოთ ახალი ინფორმაციის შეგროვება, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანა, დამოუკიდებლად აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება – შენება“ (გორდეზიანი, 2012).

სიახლეები ეხება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასებასაც. პედაგოგმა უნდა იცოდეს, როგორ შეაფასოს დასახულ სასწავლო მიზნებსა და ათვისებულ ცოდნას შორის თანხვედრის დონე. მან სწორად უნდა შეარჩიოს მიდგომა, სტრატეგია და მეთოდები დასახული პედაგოგიური მიზნის მისაღწევად. ამ მხრივ, მრავალკომპონენტური სისტემის დანერგვა, რომელიც მიმდინარე რეფორმის ერთ-ერთ არსებით კომპონენტს წარმოადგენს, საუკეთესო საშუალებაა შეფასების ეფექტურობის გაზრდისათვის.

სწავლება/სწავლის თანამედროვე მიდგომაა კონსტრუქტივიზმი. XXI საუკუნის კონკურენტულ, ინდუსტრიულ გარემოში დასაქმებასა და წარმატებას აღწევს ის, ვისაც ძალუმს კომპლექსური პრობლემების გადაჭრა და ეფექტური სამუშაო ტექნოლოგიების შექმნა. მოსწავლეს აზროვნებისათვის დიდი მოცულობის საბაზო ცოდნას ერთად ესაჭიროება უნარ-ჩვევები. როგორ მიიღება ასეთი ცოდნა და როგორ გავაღვიძოთ მოსწავლეში შემეცნებითი ენერჯია. სწავლება/სწავლის კონსტრუქტივისტული მიდგომა აისახა სასწავლო პროგრამებსა და საგანმანათლებლო სტანდარტებში. კონსტრუქტივისტული მიდგომა ახალი არ არის. ხშირად გვხვდება კოგნიტურ ფსიქოლოგიაში, განსაკუთრებით კი ვიგოტსკისა და პიაჟეს შრომებში. რაში მდგომარეობს კონსტრუქტივისტული მიდგომა და რატომ იქცა იგი სწავლების ახალ პარადიგმად? კონსტრუქტივიზმი დაკვირვებასა და მეცნიერულ კვლევაზე დაფუძნებული თეორიაა იმის შესახებ, თუ როგორ სწავლობენ ადამიანები. საგნის შემეცნება დამოკიდებულია ამ საგნის მენტალურ/აზრობრივ კონსტრუქტივებაზე. კონსტრუქტივისტული მიდგომა გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა ინდივიდი წარმოდგენილ მასალას განსხვავებულად აღიქვამს და იგებს, რაც მის ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე, წინარე ცოდნასა და შემეცნებით უნარებზეა დამოკიდებული. გამოკვლევები ცხადყოფს, რომ ადამიანი უკვე არსებულ ცოდნასა და კოგნიტურ სტრუქტურებზე დაშენებით, საკუთარი შემეცნებითი მოდელების გამოყენებით სწავლობს და იმასსოვრებს. მასწავლებელი წარმართვას სასწავლო პროცესს, მოსწავლე ერთვება და თავის მხრივ ავითარებს მას, მაგრამ ხშირად მასწავლებლის მიერ ახსნილი მასალა და მისი ხარისხი მნიშვნელოვნად ვერ ცვლის უკვე არსებულ წარმოდგენებს და შეხედულებებს. კოგნიტური სტრუქტურის გავლენა სწავლის პროცესზე შეგვიძლია ნათლად დავინახოთ საბუნებისმეტყველო საგნების სწავლის პროცესში. ხშირად გაკვეთილზე „ფორმალიზებურად“ ახსნილი შინაარსი უპირისპირდება მოსწავლის ცოდნას ან ინტუიტიურ წარმოდგენას საკითხის გარშემო. მაგ., მოსწავლეები დარწმუნებული არიან, რომ თვალეებით თვით საგნებს ვხედავთ. სინამდვილეში, ჩვენი თვალები მხოლოდ საგნიდან არეკლილ სხივებს აღიქვამს. მასწავლებელი ვალდებულია სიღრმისეული განსჯით, არგუმენტებითა და თვალნათელი მაგალითებით გაამდიდროს მეცადინეობა და შექმნას გარემო, სადაც მცდარ მოსაზრებებს მეცნიერული მტკიცებულებები დაუპირისპირდება. წინააღმდეგ შემთხ-

ვევაში მოსწავლეები არსებულ წარმოდგენებს არ გადაუხვევენ, მაშინაც კი, როდესაც ტესტის ამოცანებზე სწორ პასუხებს შემოხაზავენ.

მაგ., მათემატიკური მუდმივა Π -ს ტრადიციული მიდგომით მასწავლებელი ასე ასწავლის. ხსნის რა არის $\Pi=3,14$ და მოჰყავს მისი გამოყენების მაგალითი. მოსწავლეებს ეძლევა ამოცანები, რომელთა ამოხსნა მუდმივას გამოყენებას და მასზე მოქმედებებს მოითხოვს. კონსტრუქტივიზმით მასწავლებელი მოსწავლეებს წარუდგენს წრიული ფორმის საგნებს და სთხოვს მოსწავლეებს, გაზომონ საგნების დიამეტრი და წრეწირის სიგრძე. მოსწავლე ანალოზებს მიღებულ მონაცემებს, იყენებს გრაფიკებს, დიაგრამებს და ცხრილებს. მასწავლებლის დახმარებით იკვლევს შედეგებს და ასკვნის, რომ წრეწირის სიგრძის დიამეტრზე გაყოფით ერთსა და იმავე რიცხვს, ანუ მუდმივას ვიღებთ. „მოსწავლე თავად რწმუნდება მასალის ჭეშმარიტებაში. აღწერილ მიდგომაში არაფერია განსაკუთრებით ახალი. მასწავლებლები მას დიდი ხანია იყენებენ. ასეთი ცოდნა შედარებით ხანგრძლივია, ვინაიდან თითოეულ მოსწავლეს კონკრეტული ცნების, მოვლენის, თუ მასალის საკუთარი გამოცდილებით შესასწავლად მეტი დრო სჭირდება“ (პაპავა, 2005: 45).

რა ცვლილებები მოსდევს კონსტრუქტივისტული მიდგომის დანერგვას სასწავლო პროგრამაში? პროგრამიდან ამოიღეს ნაკლებად მნიშვნელოვანი თემები, შეინარჩუნეს ყველაზე საკვანძო საკითხები. საკუთარი გამოცდილებით სწავლის დროს მოსწავლე არც პასიურია და არც გარიყული. ის ენერგიულად და ბეჯითად ეუფლება ცოდნას, რაც უწყვეტი სწავლის საწინდარია. თუ მოცემულ დროში ნაკლებ თემას გავდივართ, თითოეულის ათვისების სიღრმე უფრო დიდია. ამასთან, სწავლის პროცესში ფიზიკური დასწრება, ანუ გაკვეთილზე ჯდომა ჯერ კიდევ არ უდრის ცოდნის კონსტრუირებას. საკითხის ახსნა (თუნდაც მრავალფეროვანი თვალსაჩინოების გამოყენებით) და ფრონტალური შეკითხვები ხშირად არ გვაძლევს მოსწავლის გონებრივი მუშაობის გარანტიას. კონსტრუქტივისტულ კლასში მოსწავლე გაცნობიერებულად ერთვება სასწავლო აქტივობებში, ანუ ბრმად და გაუაზრებლად არ ასრულებს მასწავლებლის მითითებებს.

უნდა აღინიშნოს, რომ კონსტრუქტივიზმი არ არის ერთადერთი მნიშვნელოვანი პედაგოგიური მიდგომა. სხვა სახის სტრატეგიებიც არანაკლებ როლს ასრულებს ეფექტურ სწავლაში. მაგ., მექანიკურ-გამეორებითი სავარ-

ჯიშოებით სწავლა მათემატიკაში. ამდენად ნათელია, რომ კონსტრუქტივისტული თეორიების მიხედვით სწავლის პროცესში აზროვნების მონაწილეობა სწავლის პროცესს აადვილებს. სწავლა ეფექტურია, რაც უფრო საფუძვლიანად ხდება მასალის გააზრება და გადამუშავება. მოსწავლე ან სტუდენტი ავტომატურად კი არ პასუხობს გარემო სტიმულებს და ამ გზით კი არ იძენს ცოდნას, არამედ სწავლობს კოგნიტური აქტივობების საფუძველზე, რაშიც იგულისხმება პრობლემათა გადაწყვეტა, ანალიზი, სინთეზი, შეფასება, დამახსოვრება. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება არა სწავლებაზე, არამედ სწავლაზე.

მრავალმხრივი ინტელექტის თეორიის დანერგვის შედეგად მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ შემეცნება სხვადასხვა გზით, განსხვავებული სტრატეგიების გამოყენებით არის შესაძლებელი. როცა მოსწავლეები საკუთარი მრავალმხრივი ინტელექტის ბალანსს აცნობიერებენ, ისინი საკუთარ სწავლას მიზანმიმართულად წარმართავენ და საკუთარ ძლიერ მხარეებს დაეყრდნობიან. მოსწავლეები მრავალფეროვან ჭრილში განიხილავენ შემეცნების საგანს, რაც უკეთესი გაგების საფუძველია. შეკითხვა „რა არის წყალი?“ მეცნიერული, პოეტური, მხატვრული, მუსიკალური, გეოგრაფიული, ეკოლოგიური კუთხით მიდგომისა და განხილვის საშუალებას იძლევა. როცა მოსწავლეები საკითხის წვდომას რუბრიკების, პორტფოლიოებისა და დემონსტრირების გზით გამოხატავენ, წარმატების რეალისტური აღქმა უყალიბდებათ. მაგ., მათ ესმით, რომ მოსამართლე საატესტაციო გამოცდის ჩაბარებით კი არ აღწევს საქმის მოგებას, არამედ გამოკვლევისა და ეფექტური არგუმენტაციის გზით. მოსწავლეები საკუთარი კულტურის სრულფასოვანი წევრები ხდებიან. საკლასო აქტივობა, რომელიც მრავალმხრივი ინტელექტის განვითარებას უწყობს ხელს, მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ საკითხზე იძლევა პასუხს: საიდან მოვდივართ? როგორია სამყაროს აგებულება? (პაპავა, 2005: 46).

თეორია მრავალმხრივი ინტელექტის შესახებ მოსწავლის უნიკალურობასა და ინდივიდუალობას ადასტურებს. მოსწავლეთა მრავალმხრივი ინტელექტის განვითარებისათვის მასწავლებელს სწავლება/სწავლის სხვადასხვა მეთოდი და საშუალება ესაჭიროება. საკლასო ოთახის არც ერთ ინდივიდს არა აქვს მხოლოდ ერთი უნარი და შესაძლებლობა. ისინი, ჩვეულებ-

რივ, მდიდარ ფანტაზიას და მრავალგვარ უნარს ფლობენ, რაც სწავლების ამოსავალ პრინციპად უნდა იქცეს.

ამგვარად, თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში უპირატესობა ენიშება სასწავლო პროცესს, რომელშიც პროცესის წამყვანი მოსწავლეა. მასწავლებელი თამაშობს ფასილიტატორის როლს, ორგანიზებას უწევს სასწავლო პროცესის სწორად წარმართვას, სადაც ხორციელდება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება. ყურადღების ცენტრში არის მოსწავლე მისი ინტერესებით, შესაძლებლობებითა და განცდებით.

კითხვები დამოუკიდებელი სამუშაოსათვის

1. ჩამოაყალიბეთ სწავლება/სწავლის მიზანი დემოკრატიულ საზოგადოებაში.
2. დაახასიათეთ სწავლების კანონზომიერებანი.
3. წარმოადგინეთ სწავლება/სწავლის თანამედროვე მიდგომების ძლიერი და სუსტი მხარეები.
4. საშინაო დავალება: გაანალიზეთ დიდაქტიკის წარმოშობის ისტორია. დაამუშავეთ ბილდანგის დიდაქტიკური თეორია (ბელა გომელაური, მამუკა თავხელიძე, ევროპული დიდაქტიკა, თბილისი, 2002, გვ. 14)

თემა 2. განათლებისა და სწავლების შინაარსი. სწავლების პრინციპები

განსახილველი საკითხები:

1. განათლების შინაარსის რაობა;
2. თეორიები განათლების შინაარსის შესახებ;
3. სწავლების პრინციპები.

განათლების შინაარსი. განათლების შინაარსი განსაზღვრულია ცხოვრების მოთხოვნებით. სკოლა ცხოვრებისათვის უნდა ამზადებდეს ახალგაზრდობას. ყოველი ახალი თაობა ცხოვრებას ახალი შინაარსით ავსებს. ცხოვრება პირველ რიგში, საზოგადოებისათვის აუცილებელი მატერიალური, ინტელექტუალური და სულიერი დოვლათის შექმნაა, რომელსაც საფუძვლად უდევს ცოდნის შეთვისება და შესაბამისი პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბება.

აკადემიკოსი დავით ლორთქიფანიძე განათლების შინაარსს უწოდებს გონებრივი განათლების პროცესს, მას აიგივებს სწავლების შინაარსთან და ასე განმარტავს: „მასში იგულისხმება ცოდნა–ჩვევათა ის ჯამი, რომელსაც ადამიანი სწავლის პროცესში ეუფლება. განათლება ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის აღზრდის ძირითადი მნიშვნელობის კომპონენტია“ (ლორთქიფანიძე, 1981: 111).

ცხადია, რომ განათლების შინაარსი მოიცავს ცოდნა–ჩვევათა ჯამს, რომელსაც ადამიანი სწავლის პროცესში ეუფლება და ის უზრუნველყოფს მოსწავლეთა შემეცნებით და ფიზიკურ განვითარებას, მეცნიერული მსოფლმხედველობის ფორმირებას. განათლების შინაარსი ასახავს სასწავლო გეგმების, პროგრამების, სახელმძღვანელოების ერთობლიობას.

პროფესორი შ. მალაზონია შემდეგნაირად განმარტავს განათლების შინაარსს: „განათლების შინაარსი ანუ სწავლების შინაარსი არის ის, რასაც ვასწავლით მოსწავლეებს. ეს არის ყველა სასწავლო საგანი ერთად აღებული, მათში ასახული იდეების, კანონების, კონკრეტული ფაქტების ერთობლიობა“ (მალაზონია, 2001წ :103).

პროფესორ ალ. გობრონიძის მიხედვით „განათლების შინაარსში აისახება საზოგადოების სოციალური გამოცდილება და კულტურა. სოციალურ გამოცდილებაში შედის შემდეგი კომპონენტები: ცოდნა ბუნებაზე, საზოგადოებაზე, ადამიანზე; უნარი და ჩვევები. მოქმედების წესები; შემოქმედებითი საქმიანობის გამოცდილება; ემოციურ–ღირებულებითი დამოკიდებულება სამყაროსადმი, ერთმანეთისადმი.“ (ალ.გობრონიძე, 2000: 157).

განათლების დანიშნულებაა ახალი თაობის მომზადება დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. აკადემიკოს ნათელა ვასაძის აზრით (ვასაძე, 2000 :272) განათლება, როგორც სოციალური მოვლენა, ადამიანის მიერ ცოდნისადმი პრაგმატული მოთხოვნის საფუძველზე აღმოცენდა. მას ეს ცოდნა ესაჭიროებოდა ცხოვრებისუნარიანობის უზრუნველყოფისათვის. თავისთავად ცოდნის დაგროვებამ და გაღრმავებამ, განათლებულობის ზრდამ საზოგადოებაში ცოდნის ფუნქცია აამაღლა და მას კულტუროლოგიური ფუნქცია დააკისრა. სწორედ პრაგმატულმა და კულტუროლოგიურმა ფუნქციებმა შექმნეს განათლების შინაარსისადმი საგანგებო ყურადღების მიპყრობის აუცილებლობა. კულტუროლოგიური ფუნქციის მეშვეობით ადამიანი იქმნიდა თავის წარმოდგენებს სამყაროზე, ადამიანზე, ხელოვნებაზე და ა. შ.

ამერიკელი განათლების მკვლევარის დევიდ პერკინსის აზრით, სკოლებისა და განათლების მთავარი მიზანი უნდა იყოს მიღებული ცოდნის შენარჩუნება, მისი კარგად გაგება–გააზრება და ცოდნის აქტიური გამოყენება. სასწავლებელში მიღებული ცოდნა პრაქტიკული მოქმედების თეორიულ საფუძველს, რეალური სინამდვილის ანარეკლს წარმოადგენს. უმეტეს შემთხვევაში სკოლაში ასწავლიან ყველაფერს, საჭირო და სასარგებლოს (გრავიტაცია, ნივთიერების შემადგენლობა, სინათლის სიჩქარე), მაგრამ არ ვასწავლით ყველაზე მთავარს, არ ვამზადებთ მომავალ თაობას ცხოვრებისათვის. ცხადია, შეუძლებელია ცხოვრების ყოვლისმომცველი საგანი ისწავლებოდეს სკოლაში, მაგრამ ყველა სასწავლო საგანი, რომელსაც ითვალისწინებს სასწავლო გეგმა სასკოლო განათლებისათვის, ახალგაზრდობის ცხოვრებისათვის მოსამზადებლად უნდა იყოს ორიენტირებული. განათლების (სწავლების) შინაარსის სწორად შერჩევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სკოლაში დაუფლებული ცოდნით ერთვებიან ახალგაზრდები მომავლის პერსპექტივაში. ეს ცოდნა განსაზღვრავს მათი განათლებისა და კულტურის

დონეს, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის მზადყოფნის ხარისხს.

შ. მალაზონია სახელმძღვანელოში „პედაგოგიკა“ (მალაზონია, 2001:104) აღნიშნავს, რომ განათლების შინაარსის დადგენა რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული:

1. **მეცნიერების განვითარების დონე.** სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში ის ინფორმაცია შეიძლება იყოს, რაც უკვე მოუპოვებია მეცნიერებს. ამიტომ, თანამედროვე სკოლაში ბევრი რამ ისწავლება ისეთი, რაც არ შეიძლება ყოფილიყო საუკუნისა და მეტი ხნის წინანდელი სკოლის სწავლების შინაარსში (სამყაროს აგებულების ელექტრონული თეორია, გენეტიკური სელექციის არსი და პესპექტივები, ასტრონავტიკის მიღწევები...). ასევე მომავლის სკოლაში არაერთ ისეთ ჭეშმარიტებას ასწავლიან მოზარდებს, რის შესახებაც დღეს არ გვაქვს ინფორმაცია.

2. სწავლების შინაარსის განსაზღვრა—რა საგნები და რა სიღრმით უნდა ვასწავლოთ—დამოკიდებულია მოსწავლეთა ასაკზე (სწავლების მისაწვდომობის პრინციპი).

3. განათლების შინაარსის ჩამოყალიბებაზე გარკვეულ გავლენას ახდენს პოლიტიკური გეზი: ვერც ერთი ხელისუფალი ვერ იგებს რეჟიმის მიმართ დამაყვებელი ინფორმაციის (თუნდაც სავსებით სწორის) მიწოდებას მოზარდი თაობისათვის. ასეთი ფაქტები აძლევს სტიმულს სწავლებისა და აღზრდის დაშორებას ცხოვრებისაგან. პროფესორ ნ. ვასაძეს მიაჩნია, რომ განათლების შინაარსზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენდა და ახდენს სოციალური ფაქტორები. თავის დროზე ადამიანთა და საერთოდ საზოგადოების დაყოფამ სოციალურ ჯგუფებად, თან მოიტანა თავად განათლების, მისი შინაარსის დაყოფა, რის შედეგადაც ზოგადკულტურული და განმავითარებელი ცოდნის მფლობელად გაბატონებული კლასი აღმოჩნდა, ხოლო ადამიანთა უდიდესი მასა იძენდა მხოლოდ ყოველდღიური ცხოვრებისა და პრაქტიკული მოქმედებისათვის საჭირო ცოდნას.

4. სწავლების შინაარსის განსაზღვრა მნიშვნელოვანდ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ წარმოგვიდგენია სკოლის დანიშნულება, მისი ძირითადი მიზანი.

განათლების შინაარსი ისტორიული კატეგორიაა. ყოველ ეპოქას თავის სოციალურ—ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ვითარებიდან

გამომდინარე, განათლების საკუთარი შინაარსი გააჩნია. იგი განსაზღვრულია აღზრდის მიზნით და მოვალეა უპასუხოს ცხოვრების მოთხოვნებს.

განათლების შინაარსისა და ამოცანების ისტორიული ხასიათის გამოვლინება იყო კათოლიკური ეკლესიის გაბატონებული პოზიციის გამო ევროპის ქვეყნებში ჩამოყალიბებული საეკლესიო სკოლები, რომელთა განათლების შინაარსს „შვიდი თავისუფალი ხელოვნება“ შეადგენდა. იგი ორ ჯგუფად იყო გაყოფილი: „ტრიუვიმი“ და „კვადრიუმი“. ტრიუვიუმში მოიაზრებოდა შემდეგი სასწავლო კურსები: გრამატიკა, რიტორიკა, რელიგია, ფილოსოფიის საწყისები. კვადრიუმი ითვალისწინებდა არითმეტიკას, გეომეტრიას, ასტრონომიისა და მუსიკის შესწავლას. ამის გარდა ისწავლებოდა ღვთისმეტყველება, რომელიც „მეცნიერებათა გვირგვინად“ ითვლებოდა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა გრამატიკას, ასწავლიდნენ ლათინური ენის გრამატიკულ ფორმებს, სასულიერო წიგნების გარჩევას, რელიგიურ-მისტიკური მნიშვნელობის გამოთქმებს. რიტორიკა საეკლესიო კანონების კრებულების შესწავლისა და საქმიანი ქაღალდების შედგენამდე იყო დაყვანილი. დიალექტიკა ამზადებდა მოსწავლეებს რელიგიურ თემებზე საპაექროდ, ასწავლიდა რელიგიური დოგმების დაცვას. არითმეტიკის გაკვეთილებზე ასწავლიდნენ მოქმედებებს და რიცხვთა მისტიური მნიშვნელობის დაუფლება ხდებოდა. ასტრონომიის სწავლების შინაარს შეადგენდა აღდგომის დღესასწაულის დღის გამოანგარიშება და ვარსკვლავთა მოძრაობის მიხედვით წინასწარმეტყველება. მუსიკის სწავლება დაკავშირებული იყო საეკლესიო ღვთისმეტყველებასთან. ცხადია, რომ სასწავლო საგნების შინაარსი ატარებდა მისტიკურ-რელიგიურ ხასიათს.

განსხვავებულ აღზრდას იღებდნენ რაინდთა შვილები – „მიწისა და გლეხობის ბატონები“. რაინდი უნდა ყოფილიყო გამოცდილი მხედარი, ისეთი ადამიანი, რომელსაც გააჩნდა გლეხთა აჯანყების ჩახშობის უნარი. რაინდის აღზრდის მიზანი იყო სამხედრო-ფიზიკური მომზადება, ბატონყმური მორალისა და ღვთისმოსაობის, უმაღლეს საზოგადოებაში თავის დაჭერის უნარის გამომუშავება. ნ. კონსტანტინოვის, ვ. მედინსკის, მ. ბაბევის ავტორობით გამოცემულ სახელმძღვანელოში „პედაგოგიკის ისტორია“ აღნიშნულია, რომ რაინდის აღზრდის შინაარსს შეადგენდა „შვიდი სარაინდო სათნოება“. ცხენოსნობა, ცურვა, შუბის ფლობა, ფარიკაობა, ნადირობა, ჭადრაკის თამაში, ლექსების თხზვა და სიმღერა. თითოეული ამ სათნოების

დაუფლებას თავისი დანიშნულება ჰქონდა. მაგ., ჭადრაკის თამაშს მაშინ განიხილავდნენ, როგორც სიმტკიცისა და სწორი ორიენტაციის უნარის აღზრდის საშუალებას. ლექსების თხზვა და სიმღერა მაღალ საზოგადოებაში თავის გამოსაჩენად, სამხედრო წარმატებათა სადიდებლად და „სატრფოს გულის მოსაგებად“ იყო საჭირო. წერა–კითხვის ცოდნა რაინდისათვის სავალდებულო არ იყო. ეს იყო სამღვდელოების საქმე. რაინდთა წოდების მაღალი ფენების ზოგიერთი წარმომადგენელი (გრაფები, ჰერცოგები) ადრეულ საუკუნეებში წერა–კითხვის უცოდინარები იყვნენ.

XII-XIII საუკუნეებში დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ფართოვდება ეკონომიური კავშირები, სუსტდება ფეოდალური კარჩაკეტილობა, იზრდება ქალაქები, სადაც ვითარდება ვაჭრობა და ხელოსნობა. მტკიცდება საერო კულტურის ელემენტები. აუცილებელი გახდა რელიგიის ფილოსოფიით გამაგრება. ამ ამოცანის გადაჭრა თავზე აიღო სქოლასტიკამ, რომელმაც შეიმუშავა განათლების შინაარსის ახალი მოდელი. მის მიზანს შეადგენდა სარწმუნოებისა და გონების, რელიგიისა და მეცნიერების შერიგება. ამ მიზნით ჩამოყალიბდა განათლების თეორიის ორი კონცეფცია „ნომინალიზმისა“ და „რეალიზმის“ სახელწოდებით. ნომინალისტები ამტკიცებდნენ, რომ საერთო ცნებები არ არსებობს, არამედ წარმოადგენენ ადამიანის გონების განყენებულ სახელებს. რეალიზმის მიმდევარნი კი–აცხადებდნენ, რომ საერთო ცნებები არსებობდა საგნებზე ადრე.

აღორძინების ეპოქამ არა უბრალოდ დაამკვიდრა ჰუმანიზმი განათლების სფეროში, არამედ ადამიანებისაკენ შემოაბრუნა იგი. პედაგოგიკის ისტორიაში ამ პერიოდში ჩნდება პირველი კონცეფციები პიროვნების გამთლიანებული განვითარების შესახებ. მაგალითად, ვიტორინო დე ფელტრეს მიერ დაარსებული „სიხარულის სახლი“, რომელშიც ბავშვს ყველა პირობა ჰქონდა შექმნილი როგორც გონებრივი, ასევე ფიზიკური განვითარებისათვის. ჰუმანიზმის ნიმუშად ითვლება ჟან-ჟაკ რუსოს „თავისუფალი აღზრდის“ იდეა.

XVII საუკუნეში ჯონ ლოკმა დაამუშავა ინგლისელი ჯენტლმენის განათლების შინაარსის პრობლემა. მან მნიშვნელოვნად გააფართოვა დასავლეთ ევროპის სკოლების განათლების შინაარსის პრობლემა. მისი აზრით ჯენტლმენმა უნდა ისწავლოს კითხვა, წერა, ხატვა, მშობლიური ენა, ფრანგული ენა, ლათინური ენა (ვინც მომავალში იმუშავებდა ვაჭრობასა და სოფლის მეურნეობის დარგში), გეოგრაფია, არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრო-

ნომია, ქრონოლოგია, ეთიკა, ჯენტლმენს უნდა ჰქონოდა წარმოდგენა ისტორიაში, სამართლისმცოდნეობაში, ბუხჰალტერიაში. ლოკი ურჩევდა აღსაზრდელებს შეესწავლა რომელიმე ხელობა (დურგლობა, ხარატობა, კალატოზობა), ან მეზაღეობა და სოფლის მეურნეობა. მისი აზრით, შრომა თავიდან აცილებდა ადამიანს უქნარობას. ის თვლიდა, რომ უნდა აღიზარდოს ის ახალი აზნაური, რომელიც განამტკიცებს ბურჟუაზიული ინგლისის, როგორც საზღვაო ქვეყნის, ძლიერებას და საფუძველს ჩაუყრის ბრიტანეთის იმპერიას (კონსტანტინოვი, მედინსკი, 1964: 31).

კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების მთელ მანძილზე განათლების, როგორც პიროვნების ფორმირების მრავალი თეორია, იდეა და კონცეფცია აღმოცენდა და განვითარდა და მათში ყოველთვის ერთ-ერთი უმთავრესი იყო და რჩება განათლების შინაარსის პრობლემა. განათლების შინაარსის ფორმირების ძირითად თეორიებს საფუძველი ჩაიყარა მე-18 საუკუნის ბოლოს და მე-19 საუკუნის დასაწყისში.

XIX საუკუნეში შეიქმნა განათლების შინაარსის ფორმალური და მატერიალისტური განათლების კონცეფციები. ფორმალურ განათლებას ხშირად „დიდაქტიკურ ფორმალიზმს“ უწოდებდნენ, მატერიალურს - კი „დიდაქტიკურ მატერიალიზმს“, „ენციკლოპედიზმს“. ფორმალურ განათლებაში იგულისხმებოდა გონებრივი უნარის განვითარება, მატერიალურში კი – ცოდნის მარაგის შეთვისება. ფორმალური განათლების მომხრენი, მათ შორის, ფრ. ჰერბარტი სწავლების ძირითად ფუნქციას თვლიდა არა ცოდნის რაოდენობრივ მხარეს, არამედ ადამიანში ფსიქიკური უნარების – აზროვნების, მეხსიერების, ყურადღების, ნებელობის, ნიჭიერების განვითარებას. აკადემიკოსი ნ. ვასაძე 2000წ. გამოცემულ ნაშრომში „პედაგოგიკა“ აღნიშნავს, რომ ფორმალური განათლების წარმომადგენლები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ კლასიკურ ენებს – ლათინურს და ბერძნულს, მათემატიკას. იცავდნენ კლასიკური საგიმნაზიო განათლების სისტემას. „დიდაქტიკური ფორმალიზმის“ საწყისები უძველესი დროიდან იღებს სათავეს. მაგალითად, ჰერაკლიტეს მიაჩნდა, რომ „მრავლის ცოდნა გონებას არ ამდიდრებს“, ამავდროულად თეორიის მომხრეებად ითვლებოდნენ ციცერონი, ახალ ეპოქაში კი - ი. კანტი, ი. პესტალოცი, ა. დისტერვეგი და სხვანი.

მატერიალისტური განათლების თეორეტიკოსები მოსწავლეებისათვის დიდი მოცულობის ცოდნის დაუფლებას უჭერდნენ მხარს მეცნიერებათა

სხვადასხვა დარგიდან (ფიზიკა, მათემატიკა). უგულვებელყოფდნენ ფსიქიკური უნარების განვითარებას. სათანადოდ არ აფასებს სწავლების განმავითარებელ ფუნქციას. ისინი ფიქრობდნენ, რომ დიდი მოცულობის ცოდნის შეთვისებას ავტომატურად მივყავართ შემეცნებითი ძალების განვითარებისაკენ. (მოსწავლეთა გადარჩევა, ისეთი ტალანტის გამოყოფა, რომლებიც სკოლის მერხიდანვე მეცნიერების შესწავლას შეძლებენ, ინდივიდუალური სწავლების სტილი, ჭეშმარიტების აღმოჩენა). ამ იდეებს ბევრი ცნობილი ფილოსოფოსი თუ პედაგოგი იზიარებდა. მათ შორის ი. ა. კომენსკიც.

მრავალწლიანი მეცნიერული კამათის შედეგად სათანადო შეფასება მიეცა ამ თეორიებს. მატერიალური და ფორმალური განათლების თეორიები კ. უშინსკიმ მეცნიერული სიღრმით გააკრიტიკა. იგი ამბობდა, რომ გონების ფორმალური განვითარება იმ სახით, რომელიც ადრე გაეგებოდათ, არის არარსებული მოჩვენება, რომ გონება ვითარდება მხოლოდ რეალური ცოდნის სინამდვილეში. მან დაასაბუთა ორივე თეორიის ცალმხრივობა და კითხვაზე „რა სჯობს - კარგად ავსებული თავი, თუ კარგად ორგანიზებული თავი“, თავადვე უპასუხა, რომ „თავი კარგადაც უნდა იყოს ავსებული ცოდნით და კარგადაც ორგანიზებული“ და თვით ჭკუა, გონება სხვა არაფერია, თუ არა ცოდნის კარგად ორგანიზებული სისტემა“. ასე დაასაბუთა მატერიალური და ფორმალური თეორიების ერთიანობის იდეა სწავლების შინაარსის განსაზღვრის დროს.

განათლების ამ თეორიებს აკრიტიკებდა ქართული პედაგოგიკის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი ი. გოგებაშვილი. ის უპირატესობას ანიჭებდა რეალურ განათლებას. მისი აზრით, რეალური განათლების სისტემა უზრუნველყოფს იმ ფორმალურ განვითარებასაც, რომელიც შეადგენს ერთ-ერთ ღირსებას კლასიკური სისტემისას და ამის გარდა, ნამდვილი ცოდნითაც ამდიდრებს მოსწავლეებს (გოგებაშვილი, 1974: 290).

მე-19 საუკუნის დასასრულს და მე-20 საუკუნის დასაწყისში ამერიკაში აღმოცენდა ჯონ დიუის პრაგმატისტული განათლების თეორია, რომელშიც ის განათლებას განიხილავდა როგორც „გამოცდილების დაუსრულებელ გარდაქმნას“, აიგივებდა მის პროცესს და მიზანს. ამ იდეებმა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში საკმაოდ დიდი პოპულარობა მოიპოვა (ინფორმაცია იხ. დანართი 3, გვ. 358).

საბჭოთა პედაგოგიკაში ფართოდ იყო გავრცელებული პოლიტექნიკური განათლების თეორია. პოლიტექნიზმის პრინციპში მარქსიზმის კლასიკოსები გულისხმობდნენ თეორიული სწავლების შეერთებას მწარმოებლურ შრომასთან. ადამიანი არ უნდა იყოს მიჯაჭვული წარმოების ერთ რომელიმე დარგზე. მას უნდა შეძლებოდა წარმოების ერთი დარგიდან სწრაფად გადასვლა მეორეზე. დაუბრკოლებლად, თავისუფლად და მაღალნაყოფიერად შეესრულებინა შრომითი ოპერაციები აღნიშნავდა აკად, დ. ლორთქიფანიძე. მაგრამ ეს იდეა რეალურად ვერ განხორციელდა, რადგან საბჭოურმა პედაგოგიკამ ვერ შეიმუშავა მისი რეალურად განხორციელების მეთოდიკა. საბჭოთა სკოლის განათლების შინაარსი მისივე ფორმალური ხასიათის მსხვერპლი აღმოჩნდა.

განათლების შინაარსი თანამედროვე ქართულ სკოლაში განსაზღვრულია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით (ზგემით). თანამედრო სკოლამ მოსწავლეს უნდა მისცეს ცოდნა, ჩამოუყალიბოს უნარ-ჩვევები და ღირებულებები. საქართველო მრავალეროვნული ქვეყანაა, სადაც გახსნილია და მოქმედებს რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, ინგლისური, ფრანგული სკოლები. ყველა ტიპისა და ეროვნული კუთვნილების სკოლამ, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებს და საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმით მუშაობს, საქართველოს ეროვნული ინტერესების დამცველი მოქალაქე უნდა აღიზარდოს. განათლების შინაარსი პასუხობს კითხვებზე – რა ვასწავლოთ? რისთვის ვასწავლოთ?

ზოგადი განათლება აკადემიკოს დ. ლორთქიფანიძის აზრით, „პიროვნების განათლებულობის საფუძველს წარმოადგენს. იგი ყოველმხრივ განათლებული ადამიანის საძირკველია, რომელზეც ეფუძნება და მასთან ერთიანობაში მოდის სპეციალური და პროფესიული განათლება“ (ლორთქიფანიძე, 1981:120).

ზოგადი განათლება არის უწყვეტი საგანმანათლებლო სისტემის ძირითადი რგოლი (კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“). ზოგადი განათლების მიზანია მოსწავლეთა მიერ ზოგადი მეცნიერული ცოდნის საფუძვლების შეთვისება, ცოდნის გამოყენების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, ზნეობრივ ღირებულებათა შემეცნება, პიროვნული შემოქმედებითი მიდრეკილებებისა და აზროვნების განვითარება, შრომის უნარის გამომუშავება, ნებისყოფის

განმტკიცება, სულიერი და ფიზიკური ძალების ჰარმონიული განვითარება, სამოქალაქო, დემოკრატიული და ეროვნულ-კულტურული შეგნების ჩამოყალიბება. ეროვნული სასწავლო გეგმა მოიცავს ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო, შრომითი და ფიზიკულტურული ციკლის დისციპლინებს.

ქვეყანაში ზოგადი განათლების მიღების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ქმნის ზოგადი განათლების სისტემას და სათანადო სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს. ზოგადი განათლების სისტემა – ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმების, მათი განმახორციელებელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების, იმ სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ერთობლიობაა, რომლებიც უზრუნველყოფენ ზოგადი განათლების მიღებას.

ზოგადი განათლება

საქართველოს კანონით „ზოგადი განათლების შესახებ“, ზოგადი განათლების მიზანია საქართველოს მოქალაქის აღზრდა და მომზადება ზოგადი განათლების შემდგომი პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. საქართველოში სრული ზოგადი განათლება მოიცავს 12 წელს და შესაბამის 3 საფეხურს: დაწყებითი განათლების საფეხური (I-VI კლასები) - 6 წლის ხანგრძლივობით; საბაზო განათლების საფეხური (VII-IX კლასები) - 3 წლის ხანგრძლივობით; საშუალო განათლების საფეხური (X-XII კლასები) - 3 წლის ხანგრძლივობით. აღნიშნული სამი საფეხურიდან სავალდებულოა დაწყებითი და საბაზო განათლების საფეხურები.

სრული ზოგადი განათლების მიღება შესაძლებელია ზოგადი განათლების სამივე საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის დაძლევის შემთხვევაში. საქართველოში სრული ზოგადი განათლების მიღების უფლება აქვს ყველა მოქალაქეს.

დაწყებითი საფეხურის ძირითადი ამოცანები:

ა) შეუქმნას მოსწავლეს პირობები საკუთარი შესაძლებლობების გამოსავლენად და სწავლისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად;

ბ) ჩამოუყალიბოს მოსწავლეს სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულება და სამყაროს შემეცნების მიმართ ინტერესი;

გ) შეუქმნას მოსწავლეს პირობები და ჩამოუყალიბოს საფუძვლები შემდგომ, საბაზო საფეხურზე სწავლის წარმატებით გასაგრძელებლად; იმ ცოდნის დასაუფლებლად, უნარ-ჩვევების გასავითარებლად და დამოკიდებუ-

ლებების ჩამოსაყალიბებლად, რომლებიც მას მომავალში დასჭირდება.

საბაზო საფეხურის ძირითადი ამოცანები: ა) დაეხმაროს მოსწავლეს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში;

ბ) შეუქმნას მოსწავლეს პირობები იმ უნარ-ჩვევების გასავითარებლად, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთელი ცხოვრების განმავლობაში;

გ) შეუქმნას მოსწავლეს წინაპირობა სწავლის გასაგრძელებლად, ან შრომით ბაზარზე სწორი არჩევანის გასაკეთებლად.

საშუალო საფეხურის ძირითადი ამოცანები: ა) შეუქმნას მოსწავლეს პირობები თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი განათლების მისაღებად;

ბ) დაეხმაროს მოსწავლეს მომავალი არჩევანის გასაკეთებლად (სწავლის გასაგრძელებლად და/ან შრომით საქმიანობაში ჩასაბმელად);

გ) მისცეს მოსწავლეს ხარისხიანი სრული ზოგადი განათლება.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებელი (საჯარო სკოლა) მის ნებისმიერ საფეხურზე ვალდებულია:

- მოსწავლეებს მიაწოდოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი განათლება, რომელიც ეფუძნება ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, ჯანსაღი ცხოვრების, დემოკრატიისა და თანასწორობის პრინციპებს;

- შექმნას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის საჭირო ყველა პირობა;

- დაიცვას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილი ეროვნული სასწავლო გეგმა;

- განახორციელოს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობა ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის ცენტრის მიერ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით;

- უზრუნველყოს ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების განხორციელება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად;

- შექმნას ზოგადი განათლების ალტერნატიული ფორმებით მიღების შესაძლებლობა, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, შესაბამისი საფეხურის სხვა მოსწავლეთაგან განცალკევებით;

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის დააწესოს შეღავათები მათი სწავლისა და აღზრდისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად;

- არ დაუშვას არამეცნიერული შეხედულების ან თეორიის, როგორც მეცნიერული თეორიის ან ფაქტის, სწავლება;

- უზრუნველყოს სასკოლო დროს სკოლის ტერიტორიაზე მყოფი მოსწავლის უსაფრთხოება.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია:

- შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოს იმ მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურება, რომლებსაც არ აქვთ დამოუკიდებლად დაწესებულებამდე მისვლის და შინ დაბრუნების საშუალება;

- მოსთხოვოს საქართველოს კანონმდებლობითა და დაწესებულების წესდებით დადგენილი მოთხოვნების შესრულება ამ დაწესებულების მასწავლებლებს, სხვა თანამშრომლებს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს;

- შექმნას პირობები ინკლუზიური სწავლებისათვის;

- ამ კანონის მიზნების მისაღწევად ითანამშრომლოს სხვა სკოლებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან;

- უზრუნველყოს სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვისა და სრულყოფილი განვითარებისათვის სამედიცინო, მათ შორის, ფსიქოლოგიური დახმარების და კვების პუნქტების არსებობა;

- უზრუნველყოს მოსწავლეები სასკოლო ბიბლიოთეკით, რომელიც ეფუძნება მოსაზრებათა პლურალიზმს და უზრუნველყოფს მოსწავლის ყოველმხრივ განვითარებას, მის მიერ ქვეყნის თვითმყოფადობის, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისა და კულტურული მრავალფეროვნების შეთვისებას.

- მასწავლებლის პროფესიული განვითარების დონის შესაბამისად მიიღოს ზომები მისი შრომის ანაზღაურების გაზრდის მიზნით.

საჯარო სკოლას უფლება აქვს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება მოსწავლეებს მიაწოდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ: ამ მომსახურებაში მასწავლებელი არ იღებს დამატებით ანაზღაურებას; ამ მომსახურებას არ აქვს საგაკვეთილო სახე; ამ მომსახურებას მასწავლებელი ეწევა მოსწავლეთა მშობლებთან შეთანხმებით; ამ მომსახურების გაწევა უფასოა მოსწავლეთათვის.

კანონით „ზოგადი განათლების შესახებ“ საჯარო სკოლას უფლება აქვს მოსწავლეებს მიაწოდოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო, მათ შორის, ფასიანი მომსახურება. საჯარო სკოლა ვალდებულია უზრუნველყოს ასეთი მომსახურების თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა მოსწავლისათვის.

განათლების შინაარსი ასახულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში, სასწავლო პროგრამებსა და სასკოლო სახელმძღვანელოებში.

ეროვნული სასწავლო გეგმა ეფუძნება ზოგადი განათლების სისტემისათვის ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე დოკუმენტს „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის N84 დადგენილებას, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორი თაობების აღზრდას უნდა შეუწყოს ხელი საქართველოს ზოგადი განათლების სისტემამ. ეროვნული სასწავლო გეგმის მთავარი ამოცანაა, შექმნას ეროვნული მიზნების მისაღწევი საგანმანათლებლო გარემო და რესურსები. ამ მიზნიდან გამომდინარე, იგი ირჩევს პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო კონცეფციას. ამ კონცეფციის აღმავლობას თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში ხელი შეუწყო 70-იანი წლებიდან სხვადასხვა სამეცნიერო დარგში (კოგნიტურ ფსიქოლოგიაში, ნეირო მეცნიერებებში, განათლების მეცნიერებებში, ფსიქოლინგვისტიკაში, ენების დიდაქტიკაში და სხვ.) მიმდინარე ინტენსიურმა კვლევებმა, რომლებმაც მეცნიერულად დაასაბუთეს მისი უპირატესობა მყარი, დინამიური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირებისათვის, შესაბამისად, ისეთი მოქალაქის აღზრდისათვის, რომელიც თანამედროვე სამყაროს გამოწვევებსა და მოთხოვნებს უპასუხებს. ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელსაც შეიმუშავეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტი, განკუთვნილია ზოგადი განათლების სფეროში მოღვაწე თუ მონაწილე ყველა სუბიექტისათვის.“

ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს საერთო მიზნებსა და ორიენტირებს, რომლებისკენაც უნდა მიემართებოდეს სკოლებში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესი.

სასკოლო სასწავლო გეგმა აზუსტებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს სკოლის სპეციფიკის გათვალისწინებით და წარმოაჩენს გზას, რომე-

ლიც მოსწავლემ, მასწავლებელმა და სკოლამ უნდა გაიაროს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესასრულებლად. სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება სასწავლო გეგმის სახე „ფარული კურიკულუმი“. „ის გულისხმობს სასკოლო გარემოში დამკვიდრებულ დაუწერელ წესებს, ურთიერთობათა სისტემას, თანამშრომლობის ფორმებს, გადაწყვეტილებების მიღების პროცესს, სასკოლო თემის ცხოვრებაში მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხს და სხვა, რომელთა გავლენაც მოსწავლეზე ყოველდღიურად მაგალითის ძალით აღიბეჭდება. როგორც წესი, „ფარული კურიკულუმი“ უფრო ძლიერ გავლენას ახდენს მოზარდებზე, ვიდრე ფორმალური კურიკულუმი, ეროვნული და სასკოლო კურიკულუმისგან განსხვავებით იგი არაფორმალურად არსებობს” (Unicef , innove, 2018:7).

პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე, მისი განვითარების პროცესი და მის მიერ მიღწეული შედეგი. შედეგზე ორიენტირება გულისხმობს მოსწავლისათვის მიწოდებული ინფორმაციის არა მხოლოდ დამახსოვრებას, არამედ ამ ინფორმაციის მყარ, დინამიურ და ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნას. სწორედ ამიტომ, ეროვნული სასწავლო გეგმის ფუნდამენტური პრინციპია შედეგზე ორიენტირება, რაც გულისხმობს მოსწავლეთა აღჭურვას ქმედითი ცოდნით. ეს არსებითი მოთხოვნა აისახება საგნობრივი პროგრამების სტრუქტურაში:

ეროვნული სასწავლო გეგმა სახელმწიფოებრივი დოკუმენტია, რომლითაც განისაზღვრება: 1. რა სასწავლო დისციპლინები უნდა ისწავლებოდეს სკოლაში; 2. როგორი უნდა იყოს თითოეული სასწავლო დისციპლინის ხვედრითი წილი, რამდენი საათი ეთმობა თითოეულ საგანს, როგორია კვირეული განაწილება. მოსწავლეთა ყოველკვირეული, წლიური სასწავლო დატვირთვა სკოლაში.

სასწავლო პროგრამები - სახელმწიფო დოკუმენტია, რომლითაც განისაზღვრება ცოდნის შინაარსი და მოცულობა, ჩვევები და უნარები ცალკეულ საგნებში და კლასების მიხედვით. სასწავლო პროგრამა აგებულია მეცნიერულ საფუძველზე იმ მოთხოვნათა გათვალისწინებით, რასაც სკოლას უყენებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების განვითარება, მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი. პროგრამა სტაბილური უნდა იყოს, მაგრამ პერიოდულად, გზადაგზა ხდება ცვლილებების შეტანა. საგნობრივი პროგრამების ზოგადი ნაწილი განსაზღვ-

რავს საგნის სწავლების ამოცანებს და იმ ძირითად ორიენტირებს, რომლებიც ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარეობს.

საგნობრივი სტანდარტი განსაზღვრავს კონკრეტულ საგნობრივ კომპეტენციებს, რომელთაც უნდა დაეუფლონ მოსწავლეები დასახული მიზნების მისაღწევად. საგნობრივ სტანდარტში აღწერილი კომპეტენციები მოიცავს სამი კატეგორიის ცოდნას: ა) დეკლარატიულს, ანუ სტატიკური ხასიათის ცოდნას, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ცოდნის პროცედურულად გამოყენებას. დეკლარატიულია მოსწავლის ცოდნა, თუ მან იცის კონკრეტული მათემატიკური ოპერაციის წარმოების წესი, თუმცა ვერ იყენებს მას; ბ) პროცედურულს ანუ დინამიურ ცოდნას, რომელიც ცოდნის გამოყენების, რეალიზების საშუალებას იძლევა; პროცედურულია მოსწავლის ცოდნა, თუ ის ასრულებს მათემატიკურ ოპერაციას. პროცედურული ცოდნის ათვისება მრავალჯერადი გავარჯიშების გზით ხდება და გ) პირობისეულ ცოდნას, ანუ ფუნქციურ ცოდნას, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნის ადეკვატურად გამოყენებას. პირობისეულია მოსწავლის ცოდნა, თუ მას შეუძლია დასმული ამოცანის ამოსახსნელად შეარჩიოს სათანადო მათემატიკური ოპერაცია.

საგნობრივი პროგრამების ძირითადი ნაწილის - სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპია შედეგზე ორიენტირება. მასში სწავლების მიზნები ჩამოყალიბებულია კონკრეტული შედეგების სახით, ანუ იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების სახით, რომლებიც უნდა წარმოაჩინოს მოსწავლემ სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ. სტანდარტით განსაზღვრული შედეგებისა და ინდიკატორების სახით მასწავლებელს ეძლევა კონკრეტული მითითება იმის შესახებ, თუ როგორ და რა კუთხით უნდა დაამუშავებინოს მოსწავლეებს ჩამონათვალში მოცემული შინაარსობრივი საკითხები. ის ერთგვარი გზამკვლევაა, რომელიც მიუთითებს, თუ როგორ უნდა წარიმართოს სასწავლო პროცესი, რათა მოსწავლეებმა ცოდნა გააზრებულად და საფუძვლიანად შეიძინონ. პროგრამის შინაარსი წარმოადგენს სავალდებულო და სარეკომენდაციო სასწავლო საკითხების ჩამონათვალს.

განათლებისა და სწავლების შინაარსი გამოხატულებას პოულობს სახელმძღვანელოებში, სადაც სათანადოდ არის გაშლილი ყოველი თემა და საკითხი. სასკოლო სახელმძღვანელოები იქმნება ეროვნული სასწავლო გეგმის, საგნობრივი პროგრამის, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. იგი უნდა ემყარებოდეს ცოდნის გადაცემის ისეთ დი-

დაქტიკურ პრინციპებს, როგორცაა სწავლება მარტივიდან რთულისაკენ, სწავლებაში თანმიმდევრობისა და სისტემატურობის, მისაწვდომობისა და თვალსაჩინოების პრინციპებს. სახელმძღვანელოს შინაარსში დასრულებული სახით უნდა გაეცეს პასუხი კითხვებს – რა ვასწავლოთ? და როგორ ვასწავლოთ? სასკოლო სახელმძღვანელოების მეშვეობით მოსწავლე შეიძენს ცოდნას, უყალიბდება ინტერესი სასწავლო საგნისადმი, ხელს უწყობს და ახალისებს მოსწავლის ცოდნის დამოუკიდებლად შეძენას. ი. გოგებაშვილი წერდა: „ სახელმძღვანელოს შინაარსში მისი შედგენილობა და ელფერი სავსებით შეესაბამებოდას გარშემორტყმულ სინამდვილეს, ცხოვრებას. თუ მასში იხატება საღი, გონიერი მიმართულება, დამკვიდრებული პედაგოგიურს და ეროვნულს პრინციპებზე, სახელმძღვანელო აყენებს სწავლას სწორე და მტკიცე გზაზედ. აწარმოებს მას ნაყოფიერად და უწევს დიდ სამსახურს სკოლასაც და საზოგადოებასაც“ (გოგებაშვილი, 1974).

სახელმძღვანელო უდიდეს როლს ასრულებს მოზარდი თაობის განათლებაში, გონებრივ განვითარებასა და აღზრდაში. იგი თავისი შინაარსით, მასში წარმოდგენილი ძირითადი დებულებებით, ფაქტებსა და მოვლენებზე მოცემული დასკვნებით მისაწვდომი უნდა იყო მოსწავლისათვის, „კარგ სახელმძღვანელოს შეუძლია არა მხოლოდ დააინტერესოს მოსწავლე, არამედ შეაყვაროს საგანი, რომელიმე ნაწარმოების გმირი, აღძრას მასში სურვილი რომელიმე მოვლენის ირგვლივ დამოუკიდებელი ძიებისა და სხვა. განსაკუთრებულია სახელმძღვანელოს და საერთოდ სასწავლო ლიტერატურის ფუნქციათა ცოდნა, რაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ მისმა შემდგენლებმა (ვასაძე, 2000:297). იქვე ნ. ვასაძე იხილავს დ. ზუევის მიხედვით რა ფუნქციები გააჩნია სასწავლო ლიტერატურას. აღნიშნული ფუნქციებია:

- საინფორმაციო ფუნქცია - მოსწავლეთა უზრუნველყოფა საჭირო და საკმარისი ინფორმაციით, რომელთა მეშვეობით ხდება მათი მსოფლმხედველობის ფორმირება, სულიერი განვითარება და სამყაროს პრაქტიკული ათვისება.

- ტრანსფორმაციული ფუნქცია - გამოიხატება სასწავლო ლიტერატურაში შესატანი მასალის მისადაგებაში. მოსწავლეთა ასაკსა და შესაძლებლობებთან მისი დიდაქტიკური მასალით უზრუნველყოფაში.

- სისტემურობის ფუნქცია - განხორციელებს სასწავლო მასალის სისტემურ და თანმიმდევრულ გადმოცემას, სასწავლო საგნის ლოგიკის განვითარების გათვალისწინებით.

- თვითკონტროლის ფუნქცია - ხელს უწყობს მოსწავლეს საკუთარი თავის შემოწმებაში.

- მაკოორდინებელი ფუნქცია - საჭიროს ხდის სხვა დამხმარე სასწავლო ლიტერატურის და საშუალებების გამოყენებას.

- განმავითარებელ-აღმზრდელი ფუნქცია - ვლინდება სახელმძღვანელოს ზეგავლენაში მოსწავლეზე. შრომისმოყვარეობის, აზროვნებითი აქტივობის, შემოქმედებითი აზროვნების ფორმირებაში.

- სასწავლო ფუნქცია - აერთიანებს ყველა ზემოთ ჩამოთვლილს და ამასთანავე ეხმარება მოსწავლეს დამოუკიდებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებაში.

პროფესორი შ. მაღაზონია მიიჩნევს:

1. სახელმძღვანელოს შინაარსი აბსოლუტურად უნდა შეესაბამებოდეს სათანადო სასწავლო პროგრამას. მას არ უნდა აკლდეს თემა თუ საკითხი, რომლებიც სასწავლო პროგრამაშია, და არც ზედმეტი, არაპროგრამული თავები და საკითხები უნდა იყოს მასში;

2. სახელმძღვანელო, ისევე როგორც სასწავლო პროგრამა, სწავლების პრინციპების გათვალისწინებით უნდა დგებოდეს. მისი შინაარსი თანამედროვე მეცნიერულ წარმოდგენებს უნდა ასახავდეს, თანაც მისაწვდომი უნდა იყოს მოცემული ასაკისათვის. შინაარსობრივად თანმიმდევრულად უნდა იყოს დალაგებული და სისტემას ქმნიდეს. გარკვეულწილად ასახავდეს საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მხარეებს, მსჯელობებს აუცილებლად ახლდეს ილუსტრაციები;

3. სახელმძღვანელოს ენა უნდა იყოს ლაკონიური, სადა და გამომსახველი, დაცული ყოველგვარი გრამატიკული და სტილისტური უზუსტობისაგან; მრავალსიტყვაობა და მძიმე სტილი აძნელებს საკითხის არსში წვდომას;

4. არსებობს შრიფტის შერჩევის ტრადიცია – მოსწავლეთა ასაკისა და საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, რომელიც უნდა შევინარჩუნოთ და განვაავითაროთ;

5. სახელმძღვანელო სტაბილური უნდა იყოს.

აკადემიკოსი ნ. ვასაძე მიიჩნევს, რომ სასწავლო სახელმძღვანელოს თავისი კონკრეტული ფუნქცია გააჩნია მასწავლებელთან მიმართებაშიც. მისი საშუალებით ხდება შესაძლებელი მასწავლებლის მოქმედების და საპროგრამო მოთხოვნათა ერთიან პედაგოგიურ პროცესში გათვალისწინება და განხორციელება.

ანალოგიური მოთხოვნები აქვთ განხილული აკადემიკოსებს დ. ლორთქიფანიძეს და ალ. გობრონიძეს თავიანთ პედაგოგიურ ნაშრომებში.

სწავლების პრინციპები

პრინციპი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ამოსავალ დებულებას, გამომდინარეს ამა თუ იმ კანონზომიერებიდან, რომელსაც უნდა ემყარებოდეს მასწავლებელი სწავლების პროცესში. სწავლების დიდაქტიკური პრინციპები ის სახელმძღვანელო დებულებებია, რომლებზეც იგება სასწავლო პროცესი, რომელთა მაქსიმალური გათვალისწინებითაც განისაზღვრება სწავლების შინაარსი, მეთოდები და ორგანიზაცია. „სწავლების პრინციპი – ესაა დიდაქტიკის საწყისი, ძირითად მოთხოვნათა სისტემა, რომელთა რეალიზაცია უზრუნველყოფს სწავლების პედაგოგიური პროცესის ეფექტურობასა და სასწავლო-აღმზრდელობითი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას“ (გობრონიძე, 2000:125).

პედაგოგიკაში სწავლების პრინციპების სხვადასხვა კლასიფიკაცია გვხვდება. ავტორებს თავისი მოსაზრება გააჩნია ამ საკითხთან დაკავშირებით. დღეს პედაგოგიკაში ვიყენებთ სწავლების შემდეგ პრინციპებს: სწავლების მეცნიერულობის პრინციპი; სწავლების პროცესის სისტემატურობისა და თანმიმდევრობის პრინციპი; შეგნებულობისა და აქტიურობის პრინციპი; თვალსაჩინოების პრინციპი; ცოდნა-ჩვევების მტკიცედ შეთვისების პრინციპი; მოსწავლისადმი ინდივიდუალური მიდგომის პრინციპი; სწავლების მისაწვდომობის პრინციპი; სწავლების ცხოვრებასთან, პრაქტიკასთან კავშირის პრინციპი.

სწავლებაში მეცნიერული მიდგომის პრინციპი ნიშნავს მეცნიერებაზე, კერძოდ როგორც ფაქტების სისტემათა წყაროზე, ასევე მის ცნებებსა თუ კანონზომიერებებზე დაყრდნობას, რომლებიც სკოლებში შესაბამისი საგნების მიხედვით ისწავლება. სასკოლო მათემატიკის წყაროა მეცნიერება

მათემატიკა, სასკოლო ისტორიისა–მეცნიერება ისტორია და ა. შ. ამ მეცნიერებებიდან შემოდის სასწავლო ინფორმაცია სასკოლო საგნებში. იგი ყოველთვის ფართო და ღრმაა, ვიდრე მის საფუძველზე შედგენილი სასკოლო დისციპლინა. სკოლის სასწავლო საგანი ასწავლის არა მეცნიერებას, არამედ მეცნიერების საფუძვლებს–მოცემული დარგის იმ ცნებებს, დებულებებს, კანონებსა და წესებს, რომლებსაც ყველაზე ნაკლებად ელის გადასინჯვა მეცნიერული აზრის განვითარების გამო. თანაც ეს ინფორმაცია საგრძნობლად მარტივდება–მოცემული ასაკის მოსწავლეთა შემეცნებითი ძალების შესაბამისად.

XX საუკუნის 60–იან წლების დიდაქტიკაში **მეცნიერულობის პრინციპი** გაგებულ იქნა ცალმხრივად–როგორც სკოლაში მეცნიერული ცოდნის უკონტროლოდ, შეუფერხებლად შეტანის მიზანშეწონილობა, რასაც სწავლების შინაარსისა და მეთოდის გართულება მოჰყვა. სკოლა დაზღვეული უნდა იყოს სწავლების მეცნიერულობის ცალმხრივი გაგებისაგან. ამ პრინციპში სპეციალურ მეცნიერებებთან (ფიზიკა, ქიმია, ენათმეცნიერება, ისტორია...) ერთად პედაგოგიკური მეცნიერებაც იგულისმება, რომლის რეკომენდაციით უარყოფილია მოსაზრება–რაც შეიძლება მეტი და რაც შეიძლება რთული ინფორმაცია შეიტანონ სკოლის სასწავლო საგნებში. მართალია სკოლაში მეცნიერების საფუძვლებს ვასწავლით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, მეცნიერებასთან კავშირის შესუსტებას. მეცნიერულობის პრინციპი მოითხოვს, რომ სასკოლო განათლების შინაარსის არსი, ე.ი. გარემომცველი სამყაროს მოვლენების სასკოლო ინტერპრეტაცია წინააღმდეგობაში არ მოდიოდეს უახლოეს მეცნიერულ მონაცემებთან.

ეს პრინციპი მოითხოვს ვასწავლოთ, მივაწოდოთ, გადავცეთ მოსწავლეებს მხოლოდ ჭეშმარიტი ცოდნა ბუნების, საზოგადოებისა და ადამიანის აზროვნების განვითარების კანონზომიერებათა შესახებ, დავძლიოთ სამყაროს შეცნობისადმი ცალმხრივი მიდგომა. მარტო მეცნიერებით ვერ შევიცნობთ მას. ცნობილია: მეცნიერება ამტკიცებს, ხელოვნება აჩვენებს, ორივე ერთად კი გვაჯერებს, გვარწმუნებს. სწავლების მეცნიერულობის პრინციპი გულისხმობს, რომ მივცეთ ცოდნა მოვლენათა მიზეზ–შედეგობრივი კავშირების შესახებ უახლესი მეცნიერული მიღწევების პოზიციიდან. ამიტომ, მასწავლებელი მუდამ უნდა იმაღლებდეს ცოდნის დონეს თავის სპეციალობასა და მომიჯნავე მეცნიერებებში, რათა არ აღმოჩნდეს უხერხულ სიტუა-

ციაში. ფრ. დისტერვერგი წერდა: „მასწავლებელი მანამ ხარ–სანამ სწავლობ“. პროფ. ალ. გობრონიძე აღნიშნავს, რომ მეცნიერულობის პრინციპი რომ განვახორციელოთ, საჭიროა გადავწყვიტოთ შემდეგი ამოცანა: ღრმად და დამაჯერებლად წარმოვაჩინოთ შესასწავლი მასალის თითოეული მეცნიერული დებულება, არ დავუშვათ შეცდომა, უზუსტობა და მოსწავლეთა მიერ მასალის თეორიული დასკვნებისა და განზოგადებების მექანიკური დაზუსტება; წარმოვაჩინოთ მსოფლმხედველობითი და ზნეობრივ–ესთეტიკური იდეები, რომელსაც შეიცავს შესასწავლი მასალა; ვაჩვენოთ მისი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის.

სისტემატურობისა და თანმიმდევრობის პრინციპი. სისტემა, ზოგადად, არის ელემენტების არა მექანიკური ჯამი, არამედ ისეთი ერთობლიობა, რომელშიც ყოველი ელემენტი დამოკიდებულია სხვებზე, და თავადაც გარკვეულწილად განაპირობებს ყველა დანარჩენის ფუნქციონირებას. დიდაქტიკაში სისტემურობის მოთხოვნა მოსწავლეთა ცოდნას ეხება. ეს ნიშნავს, რომ მოსწავლის ცოდნა არ უნდა იყოს ფრაგმენტული, არ წარმოადგენდეს ერთმანეთისაგან იზოლირებული ფაქტების გროვას. ასეთი ცოდნა ბევრიც რომ ჰქონდეს მოზარდს, არ არის ნამდვილი ცოდნა, არ არის განათლება. კ. უშინსკი აღნიშნავს, რომ „თავი დატვირთული ფრაზებით, უკავშირო ცოდნით, მოგვაგონებს საკუჭნაოს, რომელშიც ყველაფერი უწესრიგობაშია, სადაც პატრონი თვითონ ვერაფერს პოულობს, ხოლო თავი, რომელშიც მარტო სისტემაა ცოდნის გარეშე, წააგავს საკუჭნაოს, რომელშიც არსებულ თითოეულ ყუთზე არის წარწერა, ხოლო ყუთები ცარიელია“. ამიტომ სწავლებაში სისტემატურობისა და თანმიმდევრობის პრინციპების უზრუნველყოფა მოითხოვს მოსწავლეთა მიერ ასათვისებელი მასალის ლოგიკისა და სისტემის ღრმა გააზრებას, რაც ჩადებულია ასათვისებელ ცოდნაში. ამისათვის აუცილებელია მოსწავლეები მივაჩვიოთ წიგნზე ყოველდღიურ მუშაობას, ბუნების მოვლენებზე დაკვირვებას, აღვზარდოთ მათში ცოდნის შეძენის ორგანიზებულობისა და თანმიმდევრობის ჩვევები, მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობის ერთ–ერთი მიზეზი სწორედ მუშაობაში უსისტემობის, სიზარმაცის შედეგია. ცოდნის სისტემურობა ყოველთვის როდი იდგა პედაგოგიური საზოგადოების ყურადღების ცენტრში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფორმალური განათლების თეორიის მიმდევრებისათვის მთავარი იყო არა ცოდნა და მისი სისტემა, არამედ ფორმალური ფუნქციების, შემეცნებითი

ძალების განვითარება. განათლების შინაარს ისინი სწორედ ამ ამოცანასთან შესაბამისობის საფუძველზე აფასებდნენ. მატერიალური განათლების თეორიისათვის კი ცოდნა იყო მთავარი, მაგრამ არა როგორც სისტემა, არამედ მისი პრაქტიკული გამოსადეგი ნაწილი. დაახლოებით ასე მსჯელობდა XVII საუკუნის ცნობილი ინგლისელი სწავლული ჯონ ლოკიც, რომლის აზრით ჯენტლმენის (ე.ი. არისტოკრატის) განათლებისათვის საკმარისი იყო პრაქტიკული მათემატიკა და ბუნებრივი საფუძვლები.

ცოდნის სისტემურობა არც 20-იანი წლების საბჭოთა სკოლაში იყო უზრუნველყოფილი. იმ დროს მოქმედი კომპლექსური (არა საგნობრივი) სასწავლო პროგრამები სხვადასხვა დარგის ინფორმაციის ერთდროულ (ერთსა და იმავე გაკვეთილზე) დამუშავებას გულისხმობდა, რაც გამორიცხავდა თანმიმდევრულ სწავლებასაც და ცოდნის სისტემურობასაც. კომპლექსური სწავლების გამართლებას იმაში ხედავდნენ, რომ საგნების გაერთიანებას, თითქოს სამყაროს ერთიანობაში უკეთ უნდა დაერწყმუნებინა მოზარდები. მაგრამ, უსისტემო ცოდნა არც მსოფლმხედველობისათვის არის გამოსადეგი. XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში მიღებული იქნა დადგენილება, რომლითაც უარყოფილი იქნა კომპლექსური სწავლება, სასწავლო პროგრამები დგებოდა ცალკეული სასწავლო დისციპლინების მიხედვით და სკოლებიც საგნობრივ სწავლებაზე გადავიდნენ, რაც სასწავლო ინფორმაციის თანმიმდევრული მიწოდების საშუალებას ქმნიდა. თანმიმდევრული სწავლება აადვილებს სასწავლო მასალების კავშირის გაცნობიერებას, ათვისებული ინფორმაციის ლოგიკურ მოწესრიგებას.

სისტემატურობა და თანმიმდევრობა სწავლებაში სხვა ასპექტებშიც ვლინდება. კერძოდ: სასწავლო წლის დაწყებისა და არდადეგების ხანგძლივობაში. სწავლების პერიოდზე მეტი არდადეგები არ უნდა იყოს. სწავლა ერთსა და იმავე დროს უნდა იწყებოდეს და ერთსა და იმავე დროს სრულდებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში თავს იჩენს სისტემატურობის პრინციპის დარღვევის სინდრომი. სისტემატურობის და თანმიმდევრობის პრინციპი მოითხოვს, რომ სასწავლო გეგმები და სახელმძღვანელოები იყოს შედგენილი ლოგიკური თანმიმდევრობით. სწავლის სისტემატურობა უნდა ვლინდებოდეს სახელმძღვანელოების შედგენაში. მასწავლებლის მიერ მასალის გადაცემასა და ცოდნის შემოწმება-შეფასებაშიც. მოსწავლეს ყოველთვის უნდა ჰქონდეს მოლოდინი, რომ გამოკითხავენ გაკვეთილს და მზად ჰქონ-

დეს პასუხი. ახალი მასალის ახსნის დროს თანმიმდევრობის დაცვაში მასწავლებელს მნიშვნელოვან დახმარებას უწევს დიდაქტიკური წესები: კონკრეტულიდან აბსტრაქტულისაკენ, ნაცნობიდან უცნობისაკენ, მარტივიდან რთულისაკენ. თუმცა ზოგჯერ, მრავალფეროვნებისათვის, საპირისპირო მიმართულებაც დასაშვებია.

ცოდნა-ჩვევების მტკიცედ შეთვისების პრინციპი. ცოდნის სისტემატურობისა და თანმიმდევრობის პრინციპიდან უშუალოდ გამომდინარეობს სწავლების ცოდნა-ჩვევების მტკიცედ შეთვისების პრინციპი. ამის ნათელი დასტურია ჯ. ბრუნერის ე.წ. „სპირალური კურიკულუმი“. „**სპირალური კურიკულუმი**“ – სასწავლო გეგმა ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ ყოველი ახალი ცნება წინათ დასწავლილსა და წინა გამოცდილებას ეფუძნებოდეს. ის გამოყოფს აღმოჩენებით სწავლების ხელშემწყობი ფაქტორების ოთხ ჯგუფს:

სწავლისადმი მზაობა – მოსწავლე დაინტერესდება ახალი ინფორმაციით და არ დაფრთხება მისი სირთულით, თუ ახალი მასალა წინა გამოცდილებას და წინათ ათვისებულ მასალას ეყრდნობა.

განწყობა – მოსწავლე განწყობილი უნდა იყოს საქმიანობისადმი, ამისათვის ესაჭიროება გეზის მიცემა. გეზის მიცემა შეიძლება იყოს „ზედაპირული“ – როცა ყურადღება ექცევა მხოლოდ ინფორმაციის ელემენტების დასწავლაზე და „ჩაღრმავებული“ – როცა საჭიროა ამ ელემენტებს შორის დამოკიდებულებების ძიება, ურთიერთმიმართებების, სტრუქტურის ჩამოყალიბება და მისი გაგება.

სწავლების მრავალფეროვნება – მოსწავლე, რომელიც ინფორმაციას იღებს სხვადასხვა პირობებში უფრო სწრაფად აგებს კოდირების სისტემას და ახერხებს ინფორმაციის ორგანიზებას. ამიტომ, ბრუნერი იძლევა რჩევას, რომ ერთი და იგივე საგანი სწავლების სხვადასხვა საფეხურზე ისწავლებოდეს განსხვავებული სირთულისა და აბსტრაქტიზების ხარისხით მოსწავლეთა ინტერესების, უნარების და საბაზო ცოდნის შესაბამისად. „სპირალური კურიკულუმი“ უზრუნველყოფს სწავლებისადმი მზაობასა და მის მრავალფეროვნებას.

კონკრეტული შინარსების ფლობა – აღმოჩენებს ის ადამიანები აკეთებს, რომლებსაც აქვთ საკმაო ინფორმაცია საგანთან დაკავშირებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ დააკავშირებს ინფორმაციის ელემენტებს ერთმანეთთან და ვერ განაზოგადებს.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები სკოლას უყენებს მოთხოვნებს: მოსწავლეს მისცეს არა მარტო ინფორმაცია, არამედ ჩამოუყალიბოს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი და ღირებულებები. ცოდნის გარეშე არც განათლება არსებობს და არც გონებრივი განვითარება. ცოდნა–ჩვევების სრულფასოვნების მაჩვენებელია არა მარტო ის, რამდენად გააზრებული და გაცნობიერებულია ეს ცოდნა–ჩვევა მოსწავლის მიერ, არამედ ისიც, თუ რამდენად ღრმად, საფუძვლიანად და მტკიცედ აქვს შეთვისებული ის მოსწავლეს. ეს პრინციპი გულისმობს, სასწავლო მასალის ისე მიწოდებას, რომ მას მოსწავლე მტკიცედ იხსომებდეს და ამ საფუძველზე შესწევდეს უნარი თავისუფლად აღადგინოს თავის მეხსიერებაში ის, რაც მან ადრე სწავლის პროცესში აღიქვა და აითვისა. თანამედროვე სკოლაში სწავლების მთელი პროცესი აგებული უნდა იყოს სწავლების მეცნიერულ შინაარსზე და გააზრებულ, გაცნობიერებულ შეთვისებაზე, დამყარებული აქტიურ დახსოვებაზე და ლოგიკურ მეხსიერებაზე.

ამ პრინციპის გარშემო არსებობს მრავალი თეორია. ყველა ეს თეორია შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ. ერთი, რომელიც დახსოვებას და ე.წ. დასწავლას საფუძვლად უდევს მექანიკურ ვარჯიშობას და განმეორებას. მეორე კი – ცოდნის დაუფლების უმთავრეს პირობად შეგნებულობას აღიარებს. ცოდნა–ჩვევების განმტკიცება მჭიდროდაა დაკავშირებული ძველი მასალის თანმიმდევრულ ურთიერთდაკავშირებასთან იმ საფუძველზე, რომ „დღევანდელი განამტკიცებდეს გუშინდელს და გზას უხსნიდეს ხვალინდელს“. ამის მისაღწევად, მოსწავლეებელი ახალ მასალაზე უნდა გადავიდეს მხოლოდ მაშინ, როცა დარწმუნდება, რომ მოსწავლეებმა მტკიცედ შეთვისეს გავლილი მასალა. ამასთან მან უნდა დაიცვას ძველი მასალიდან ახალ მასალაზე გადასვლის დიდაქტიკური მოთხოვნები: განვლილის სისტემაში მოყვანა და მთავარის გამოყოფა.

ცოდნა–ჩვევების მტკიცედ დაუფლებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სისტემატურ ვარჯიშს, მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებას (განსაკუთრებით შშმ და სსსმ მოსწავლეებთან), სისტემატურ მონიტორინგს (შეფასება). მოსწავლეები მეტი პასუხისმგებლობით ეკიდება სწავლას და რაც მთავარია საფუძვლიანად და მტკიცედ ითვისებენ ცოდნა–ჩვევებს. კ. უშინსკი წერს: „მეხსიერების პროცესებს თუ შეისწავლით, იოლად დავინახავთ, თუ რა უსინდისოდ ეპყრობა მეხსიერებას ჩვენი აღზრ-

და, როგორ ავსებს მას ყოველგვარი ხარახურით და უხარია, როცა მისთვის მიწოდებული ასი ცნობიდან ერთი რომელიმე გადარჩება, მაშინ როდესაც მასწავლებელი მოსწავლეებს არ უნდა აწვდიდეს არც ერთ ისეთ ცნობას, რომლის შენარჩუნების იმედიც არა აქვს“.

ცოდნის მტკიცედ დაუფლებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს გამეორებას. ცნობილ გამოთქვაში „გამეორება ცოდნის დედაა“ იგულისხმება, რომ განმეორების დანიშნულებაა არა მარტო ის, რომ უზრუნველყოს უკვე აღქმულის მტკიცედ აღბეჭდვა მოსწავლის მეხსიერებაში, არამედ ისიც, რომ თავიდან აგვაცილოს უკვე აღბეჭდილისა და დახსომებული დავიწყება. ამის შესახებ კ. უშინსკი აღნიშნავს „განმეორება მხოლოდ მაშინაა რაციონალური, როცა ის წარმოადგენს დავიწყების საწინააღმდეგო ზომას და არა დავიწყებულის განახლებას“ (უშინსკი, 1974:135) .

შეგნებულობისა და აქტიურობის პრინციპი - სისტემატურობასთან ერთად დინამიური, პროცედურული, ტრანსფერული ცოდნისათვის აუცილებელია შეგნებულობა, ინფორმაციის გააზრებული, გაცნობიერებული ფლობა. განათლების მკვლევარის, დევიდ პერკინსის აზრით, სკოლებისა და განათლების მთავარი მიზანია: ცოდნის შენარჩუნება, მისი კარგად გააზრება და ცოდნის აქტიური გამოყენება. განათლების მიზნები დ. პერკინსმა მოგვცა თავის წიგნში „გონივრული სკოლები“. პერკინსის აზრით, მოსწავლეები მაშინ იძენენ ცოდნას, როცა სწავლის პროცესში ხდება მისი გააზრება. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული XIX საუკუნის ჩათვლით, დოგმატიზმის პრინციპი ბატონობდა, ზეპირობა, დაზუთხვა, შეუგნებლად დასწავლა. ევროპის სკოლებში ზეპირობას ისიც უწყობდა ხელს, რომ სწავლება მიმდინარეობდა არა აღსაზრდელთა მშობლიურ ენებზე, არამედ ლათინურად. ნაშრომებში: ა. წერეთელი „ჩემი თავგადასავალი“, გ. წერეთელი „ჩვენი ცხოვრების ყვავილი“, ფრანსუა რაბლე „გარგანტუა და პანტაგრუელი“ სწორედ სქოლასტიკურ განათლებაზე-სწავლა დაზეპირებით არის გამახვილებული ყურადღება. XX საუკუნეში დოგმატური სწავლება ახსნითი სწავლებით შეიცვალა, რაც გულისხმობს, რომ მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად მრავალფეროვანი მეთოდით, საშუალებით, რესურსით ნათლად ხსნის ახალ მასალას, მოსწავლეები აქტიურად ჩართულია საგაკვეთილო პროცესში, თავად არიან აღმომჩენი. ამგვარად, ნასწავლი მასალა დიდხანს ამახსოვრდებათ მოსწავლეებს. ამის შესახებ საინტერესო მოსაზრებები აქვს

გამოთქმული ჟ. პიაჟეს, დ. უზნაძეს, ი. გოგებაშვილს, დ. პერკინსის, ლ. ვიგოტსკის, ჯ. ბრუნერს და სხვა. (იხილეთ სახელმძღვანელოებში: როგორ მოვემზადოთ სასერთიფიკაციო გამოცდებისათვის. პროფესიული უნარები, თბილისი, 2008 წ.; ნ. ჯანაშია, ნ. იმედაძე, ს. გორგოძე, განვითარებისა და სწავლის თეორიები. დამხმარე სახელმძღვანელო I. თბილისი, 2008წ.).

ი. გოგებაშვილი რევოლუციამდელ სკოლას ადარებდა ყვავილებით მორთულ კუბოს, რომელშიც მიცვალებულია ჩასვენებული. „იქ სუფევს გულმოსაკლავი, უაზრო ზეპირობა გაუგებარი სიტყვებისა და მშრალი მექანიზმი, სკოლა მოკლებულია განმაცხოველებელ სიხარულს, რომელიც ბავშვის ბუნებისათვის იმისთანავე საჭირო სტიქიაა, როგორც წყალი თევზისათვის. ყველა ეს, სკოლებს ამსგავსებს კუბოს, მდიდრულად მორთულსა, სიყვარულით მოკაზმულსა, გარედან აყვავებულსა, მაგრამ შიგნით კი – გაჭედილს უსულო მძორით“. ამიტომ ის მასწავლებელს ურჩევს სწავლების პირველი დღეებიდანვე ბავშვები სწავლობდნენ გააზრებულად, შეგნებულად, რათა ისინი არ მიეჩვიონ მექანიკურ უაზრო ზეპირობას. იგი იცავდა შეგნებულობისა და აქტიურობის პრინციპს და მის განხორციელების ძირითად გზად თვლიდა მშობლიურ ენაზე სწავლებას. თითქმის იგივე აზრს ავითარებს ჩეხი პედაგოგი ი. ა. კომენსკი. ის თვლიდა, რომ სწავლება მაშინ შეასრულებს თავის ფუნქციას, თუ ის უზრუნველყოფს ცოდნის გააზრებულ, გაცნობიერებულ შეთვისებას მოსწავლის მიერ. ის ამბობდა: „სკოლები აქამდე წარმოადგენდნენ ჭეშმარიტად ლაბირინთს, სადაც ირყენებოდა გონება. სწავლება შეგნებული და საფუძვლიანი იქნება, თუ ვასწავლით ნამდვილ სასარგებლო საგნებს“. ცოდნას ჩაეყრება მყარი საფუძველი, დაემყარება ადრინდელს და განმტკიცდება ვარჯიშით.

სკოლაში გამეფებულ ზეპირობას აკრიტიკებდა კ. დ. უშინსკი. ის მიიჩნევდა, რომ ყველაფერი რაც ხდებოდა სკოლებში იყო თეატრალური რეპეტიცია, სადაც ხდებოდა ადამიანთა სქოლასტიკურად აღზრდა. უამრავი წარმოდგენა, ცნებები და იდეებიც კი მის თავში დალაგებულია ისეთ მკვდარ მწკრივებად, როგორადაც ალაგია ყინვისაგან გაშემებული მერცხლები. ერთი მწკრივი ძვეს მეორის გვერდით და ამავე დროს არაფერი იციან ურთიერთის არსებობის შესახებ. და ორ იდეას, ძალიან მახლობელს ურთიერთისადმი შეუძლია ამ ჭეშმარიტად ძნელ თავში ათწლობით იარსებოს ისე, რომ ვერ იხილოს ერთმანეთი. ყოველი სწორი მეთოდი ბავშვებისათვის ცნობილიდან

უნდა მიემართებოდეს უცნობისაკენ და არა პირიქით.... სწავლების ასეთი მეთოდის საშუალებით მოსწავლის თავში აღიმკვრებოდა ის დამოუკიდებელი მუშაობა, რომელიც შეადგენს ნაყოფიერი სწავლის ერთადერთ მტკიცე საფუძველს.

შეგნებულობის და აქტიურობის პრინციპის განსახორციელებლად მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ყურადღების მობილიზება ასათვისებელი მასალის მიმართ ანუ გაკვეთილის მიზნის გაცნობა, წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობა, ინტერნეტ-რესურსების დამოუკიდებლად მოძიება, განწყობის შექმნა მოსწავლეებში ახალი მასალის ასათვისებლად, ერთი და იგივე საკითხის სხვადასხვა ასაკში განსხვავებული მეთოდებით მიწოდება, ასახსნელი მასალის ცხოვრებასთან, მოსწავლისათვის ნაცნობ და მახლობელ სიტუაციებთან დაკავშირება. ამ დროს ის აქტიურია შემეცნებითი თვალსაზრისითაც. მასწავლებელმა მოსწავლეებში უნდა განავითაროს მეტაკოგნიტური უნარები. შესწავლილი საკითხის შესახებ ხშირად დაუსვას კითხვები, აპასუხებინოს კითხვებზე „რატომ?“ „საიდან?“ „რისთვის?“ მაგ., მათემატიკის მასწავლებელმა მოსწავლეს, რომელმაც იპოვა ამოცანის ამოხსნის გადაჭრის გზა, სთხოვა მას უპასუხოს შემდეგ კითხვებს: „როგორ ამოვხსენი? რამე ხომ არ გამომრჩა? როგორ გავიგე ამოცანა?“

მაგ., განვიხილოთ მოსწავლეზე ორიენტირებული (კონსტრუქტივისტული) მიდგომით ჩატარებული რამდენიმე გაკვეთილის ნიმუში:

გაკვეთილი 1. ბუნების მასწავლებელმა მეხუთეკლასელებისათვის ახალი თემის–ნივთიერების აგრეგატიული მდგომარეობები–შესწავლის პროცესი შემდეგნაირად წარმართა: მასწავლებელმა მოსწავლეს საშინაო დავალება მისცა: ქილაში ჩაასხით ცხელი წყალი 2–3 სმ–ის სიმაღლეზე. ქილას დაახურეთ თუნუქის თავსახური და მასზე ყინულის რამდენიმე კუბი მოათავსეთ. ყურადღებით დააკვირდით, რა მოხდება, აღწერეთ დაკვირვების შედეგები და გააკეთეთ დასკვნა. მომდევნო გაკვეთილზე მასწავლებელმა განიხილა მოსწავლეთა დაკვირვების შედეგები და ახალი თემაც ახსნა. შემდეგ პედაგოგმა მოსწავლეებს მულტფილმი „მე წვიმად მოვალ“ უჩვენა. მულტფილმის დასრულების შემდეგ მასწავლებელმა მოსწავლეებს ფილმის გმირების ისტორიის მოყოლა და თხრობის პროცესში ახლად ნასწავლი ცნებების – დნობა, აორთქლება და კონდენსაცია–გამოყენება სთხოვა. მოსწავლეებმა დავალება წარმატებით გაართვეს თავი.

გაკვეთილი 2. გეოგრაფიის მასწავლებელმა მე-5 კლასის მოსწავლეებს ახალი თემა კონტინენტები აუხსნა. მან დიდ, ცარიელ ფურცელზე რიგრიგობით დაამაგრა კონტინენტების გამოსახულებები და გაკვეთილის ახსნის პროცესში მოსწავლეების თანამონაწილეობით თანდათან ააწყო რუკა.

გაკვეთილი 3. ისტორიის მასწავლებელმა მე-6 კლასის მოსწავლეები ექსკურსიაზე წაიყვანა. გზად ბავშვებმა ავტობუსის ფანჯრიდან ნანგრევი შენიშნეს და მასწავლებელს ჰკითხეს:

–აქ ეკლესია იყო?

–ამის გარკვევა თქვენთვის მომინდია—უპასუხა მასწავლებელმა

მასწავლებელმა მოსწავლეებს ნანგრევის სურათები გადააღებინა, სოფლის სახელი ჩააწერინა და მისცა დავალება: ორი კვირის ვადაში თქვენ უნდა მოამზადოთ ნარკვევი ამ ისტორიული ძეგლის შესახებ. შეგიძლიათ, ისარგებლოთ სკოლის ბიბლიოთეკითა და უფროსების დახმარებით.

ორი კვირის შემდეგ ყველა მოსწავლემ კლასში წარმოადგინა დასურათებული ნაშრომები, რომელშიც ძეგლის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია იყო მოცემული. მოსწავლეები კმაყოფილები იყვნენ როგორც თავიანთი ნამუშევრებით, ასევე მასწავლებლის შეფასებით.

თვალსაჩინოების პრინციპი - თითოეულ ადამიანს დასწავლის სხვადასხვა სტილი გააჩნია. ზოგი კარგად სწავლობს მოსმენით, ზოგი კითხვით, ზოგი თვალსაჩინოების გამოყენებით და ა.შ. სწავლებაში კარგ შედეგს ვაღწევთ, როცა პროცესში ჩართულია ადამიანის აღქმის სხვადასხვა ორგანო: მხედველობა, სმენა, სუნისა და გემოს შეგრძნება, შეხება. ამიტომ, სწავლებაში თვალსაჩინოების პრინციპის გამოყენება მოსწავლეს ნათელ, ზუსტ წარმოდგენას უქმნის შესასწავლ ობიექტზე, მის თვისებებზე, რაც მართო სიტყვიერი მეთოდებით ძნელად მისაღწევია. ეს პრინციპი ეხმარება მასწავლებელს შესასწავლი მასალისადმი მოსწავლის ყურადღების კონცენტრაციასა და დაკვირვების უნარის განვითარებაში. თვალსაჩინოების პრინციპს უდიდეს მნიშვნელობას აკისრებდა ქართული პედაგოგიკის ფუძემდებელი იაკობ გოგებაშვილი. „მასწავლებელი, რომელიც ყვავილზე ესაუბრება მოსწავლეებს და გაკვეთილზე ბალახსაც კი არ შეიტანს, ასეთი მასწავლებელი ოცდაოთხი საათის განმავლობაში დასათხოვნია სკოლიდან“ – აღნიშნავს ი. გოგებაშვილი. დიდაქტიკის ფუძემდებელი იან ამოს კომენსკი თვალსაჩინოების პრინციპს სწავლების ოქროს წესს უწოდებდა. იოჰან ჰენრიხ პეს-

ტალოცი თვლიდა, რომ არა სურათები, არა გამოსახულებები, არამედ რეალური საგნები უნდა ვუჩვენოთ ბავშვებს. ადოლფ დისტერვერგი თვლიდა, რომ ცოდნას ადამიანები მხოლოდ თვალსაჩინოების გზით ეუფლებიან.

სასწავლო პროცესში თვალსაჩინოების გამოყენებას ფილოსოფიურ-გნოსეოლოგიური საფუძველი აქვს. იგი შეესაბამება გრძნობად-კონკრეტული შემეცნების ეტაპს, რომლის არსიც ფაქტების, მაგალითების, ცოცხალი შთაბეჭდილების დაგროვებაში მდგომარეობს. ამიტომ, ის მოსწავლეებში ცნობისმოყვარეობის გაღვივებას უწყობს ხელს და მისი გამოყენება ეფექტურია როგორც ახალი მასალის, ასევე განმეორების, განმტკიცების და ზოგჯერ შემოწმება-შეფასების დროსაც. თვალსაჩინოების საშუალებებად შეიძლება გამოვიყენოთ: ბუნებრივი, სახვითი, ხმოვანი, სიმბოლური თვალსაჩინოება. ბუნებრივ თვალსაჩინოებაში იგულისხმება ბუნებაში არსებული რეალური საგნების ჩვენება: მინერალები, არქეოლოგიური მასალები, ნიადაგის ნიმუშები და სხვა. ბუნებრივი თვალსაჩინოების საუკეთესო გზა და საშუალებაა ექსკურსია, გაკვეთილი-ექსკურსია, სადაც მოსწავლეები თვალნათლივ ხედავენ, ეხებიან, აკვირდებიან საგნებს, რომლებიც შეისწავლეს.

ბუნებრივი თვალსაჩინოების ნაირსახეობაა ექსპერიმენტი, როცა მოსწავლეები საკლასო კაბინეტ-ლაბორატორიებში თავად იწვევენ ბუნებრივ მოვლენებს. მაგალითად, ფიზიკის გაკვეთილზე მეხის დემონსტრირება, თავისუფალი ვარდნის აჩქარება და ა.შ.

სახვითი თვალსაჩინოება არის: სურათები, ნახატები, მაკეტები, სასწავლო კინოფილმები, DV დისკები. ეს ახლოა ბუნებრივ თვალსაჩინოებასთან და საჭიროების შემთხვევაში წარმატებით ცვლის მას. მაგ., გაკვეთილზე შეუძლებელია მდინარის, მთის შეტანა. მაგრამ სასწავლო ფილმები, სურათები გვადლევს საშუალებას გავაგებინოთ მოსწავლეებს მთის ძირი, მწვერვალი, მდინარის ზემო, შუა და ქვემო დინება.

ხმოვანი თვალსაჩინოება ფართოდ გამოიყენება უცხოური ენების შესწავლის პროცესში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებთან (ყველა სახის თვალსაჩინოება ეფექტურია), ლიტერატურის, ხელოვნების გაკვეთილზე და ა. შ. ლექსის წარმოთმის, მეტყველების კულტურის დასახვეწად, ლიტერატურული ნაწარმოების შესწავლისას სასურველია მოვასმენინოთ მოსწავლეებს გურამ სადარაძის, გალაქტიონ ტაბიძის და სხვათა ხმის ჩანაწერები. ისტორიის გაკვეთილზე – მოსწავლეებს მოვასმენინოთ გამოჩე-

ნილ სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეთა გამოსვლები, სხვა მნიშვნელოვანი ისტორიული აქტების და მოვლენების ამსახველი ჩანაწერები. ეს გაზრდის მოსწავლეთა ინტერესს, გამოიწვევს საკითხის სიღრმისეულ გაგებას.

სიმბოლური თვალსაჩინოება არის გეოგრაფიული და ისტორიული რუკები, ნახაზები, სქემები, დიაგრამები და ა. შ. მათზე პირობითი ნიშნებით, სიმბოლოებითაა გამოსახული გარემომცველი სამყარო. ნებისმიერი სახის თვალსაჩინოების გამოყენებას თან ახლავს მასწავლებლის სიტყვა, რომლის მიზანია მოსწავლეთა ყურადღების კონცენტრაცია აღსაქმელ საგანსა თუ მოვლენაზე. ხელი შეუწყოს რომ მოსწავლეებმა თავად აღიქვან და შეიგრძნონ მოვლენა.

თვალსაჩინო მასალის გამოყენება მოსწავლეთა ასაკზეც არის დამოკიდებული. ეს დამოკიდებულება ორგვარია: რაოდენობრივი და თვისებრივი. რაოდენობრივად თვალსაჩინოება მეტად გამოიყენება დაბალ ასაკობრივ ჯგუფთან, ასაკის მატებასთან ერთად თვალსაჩინოების საჭიროება კლებულობს, თუმცა აქტიურად გამოიყენება.

თვისებრივი დამოკიდებულება ნიშნავს, რომ უმცროს ასაკში ფართოდ გამოიყენება ბუნებრივი და სახვითი თვალსაჩინოება და იშვიათად სიმბოლური. საშუალო და საბაზო საფეხურზე კი შეუზღუდავად იხმარება სიმბოლური თვალსაჩინოება (ბრუნერი, პიაჟე), ნაკლებად – ბუნებრივი და სახვითი. ეს აიხსნება ორი ფაქტორით: უმცროსკლასელთა კონკრეტულ-ხატოვანი აზროვნებითა და შემეცნებითი გამოცდილების სიმწირით. ასაკის მატებასთან ერთად მოზარდებს უვითარდება აბსტრაქტული აზროვნება (პიაჟე, ბრუნერი), რაც უფრო გასაგებს ხდის სიმბოლურ თვალსაჩინოებას. ცნობიერება უმდიდრდებათ ნაირგვარი წარმოდგენებით, რაც ნაკლებ აუცილებელს ხდის თვალსაჩინოების გამოყენებას, უყალიბდებათ მსოფლმხედველობა.

თვალსაჩინოების გამოყენების დროს ზომიერებაა საჭირო. არც ყველაფრის თვალსაჩინოებით სწავლებაა საჭირო. თვალსაჩინოება უნდა დაეხმაროს მოსწავლეს და არა მზამზარეული ინფორმაცია მიაწოდოს. შეიძლება გადაჭარბებულმა თვალსაჩინოებამ შეაფერხოს მოსწავლეში ლოგიკური აზროვნება და წარმოსახვა.

მოსწავლისადმი ინდივიდუალური მიდგომის პრინციპი. მოსწავლისადმი ინდივიდუალური მიდგომის დროს სწავლების ყველა ეტაპზე და ყველა

მომენტში უნდა ვხელმძღვანელობდეთ იმ დებულებით, რომ თითოეული ბავშვი წარმოადგენს განუმეორებელ ინდივიდუალობას, რომელსაც საერთო ზოგად თავისებურებებთან ერთად ახასიათებს სპეციფიკური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. ამიტომ მასწავლებელმა ყოველმხრივ უნდა შეისწავლოს მოსწავლე: ხასიათი, ზნე-ჩვეულებები, მისწრაფებები, ტემპერამენტი. როგორც კ.უშინსკი ამბობდა: თუ გვსურს აღზარდო ადამიანი ყოველმხრივ, ასევე ყოველმხრივ უნდა შეისწავლო.

სწავლების ცხოვრებასთან, პრაქტიკასთან კავშირის პრინციპი. სკოლა მოზარდ თაობას უნდა ამზადებდეს ცხოვრებისათვის. სწავლების პროცესი ეფექტიანია იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ახერხებს უკვე ნასწავლის პრაქტიკაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენებას. როდესაც მოსწავლეს შეუძლია ერთ სიტუაციაში ნასწავლის განსხვავებულ სიტუაციაში გამოყენება თუმცა, ეს არც ისე მარტივად მისაღწევია. ხშირად შეგვიძინებია, რომ ბავშვებმა თეორიული მასალა კი იციან, მაგრამ პრაქტიკულ სავარჯიშოებს ვერ ასრულებენ. ამიტომ სწავლება უნდა ასახავდეს ცხოვრებას. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა სასწავლო მასალა ყოველდღიური მეცნიერების და ტექნიკის განვითარების დონეს და გადასაჭრელ პრობლემებს უნდა უკავშირდებოდეს. მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა აჩვენოს შესწავლილი მასალის ღირებულებები, განუვითაროს სწავლის უნარი, რათა მათ შეძლონ დამოუკიდებლად სწავლა და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. როგორც დ. პერკინსი მიგვითითებს, მასწავლებელმა უნდა დაანახვოს მოსწავლეებს საგანთა შორის არსებული კავშირები, შექმნას ცოდნის ტრანსფერისთვის ხელსაყრელი პირობები, რათა მათ შეძლონ ნასწავლის სხვა სიტუაციაში გამოყენება.

მაგალითად: 1. ისტორიულ თემაზე შექმნილი მხატვრული ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ მასწავლებელმა მოსწავლეებს სთხოვა, შეედარებინათ ფაქტების მხატვრული ინტერპრეტაცია შესაბამისი ისტორიული წყაროებისათვის;

2. მასწავლებელმა მისცა მოსწავლეებს სიტუაციური ამოცანა: მოსწავლეებს უნდა მოეძებნათ შესწავლილ ნაწარმოებში წარმოდგენილი პრობლემის გადაჭრის გზა თანამედროვე რეალობაში;

3. მასწავლებელმა ასწავლა მოსწავლეებს მგზავრობასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები, ენობრივი კონსტრუქციები და მათი გამოყენებით გაათამაშებინა დიალოგი ავტობუსში.

„სწავლების კავშირი ცხოვრებასთან მოსწავლეებს არწმუნებს მეცნიერული ცოდნის პრაქტიკულ ღირებულებაში, თეორიისა და პრაქტიკის მჭიდრო კავშირში. თეორიული ცოდნის პრაქტიკული მნიშვნელობის ჩვენება (შიდაწვის, ელექტრული და რეაქტიული ძრავების გამოყენება სატრანსპორტო საშუალებებში, ულტრაბგერების–თევზის რეწვაში, რადიოტალღების–პლანეტებამდე მანძილის გაზომვაში, გენეტიკის მიღწევების–სელექციურ მუშაობაში და ა.შ.) აინტერესებს მოსწავლეებს, ამალღებს მათ სასწავლო–შემეცნებით აქტივობას“ (გობრონიძე, 2000:134).

ცხოვრებასთან კავშირის თვალსაზრისით ეფექტურია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორცაა საგნებსა და მოვლენებზე დაკვირვების, ლაბორატორიული და დემონსტრირების, პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება და პროექტი. სწავლების ორგანიზაციის დამხმარე ფორმებიდან – სასწავლო ექსკურსია, პრაქტიკუმები, **კონფერენციები, დიდაქტიკური თამაშები და სხვა.**

სწავლის მისაწვდომობის პრინციპი გულისხმობს მოსწავლეთა ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინებას სწავლების პროცესში. რას ნიშნავს სწავლება გავხადოთ მისაწვდომი? მრავალი პასუხი არსებობს:

სწავლის მისაწვდომობის პრინციპი ნიშნავს ა) სწავლება მოხდეს მოსწავლეთა შემეცნებითი შესაძლებლობის გათვალისწინებით. სწორად განვსაზღვროთ სწავლების შინაარსი, ე.ი. ცოდნათა, უნარებისა და ჩვევების ის მოცულობა, მსოფლმხველობითი და ზნეობრივ–ესთეტიკური იდეები, რომლებსაც აუცილებლად უნდა დაეუფლონ ყოველი კლასის მოსწავლეები სხვადასხვა სასწავლო საგანში;

ბ) ვაქციოთ სწავლება მისაწვდომი–ნიშნავს სწორად განვსაზღვროთ თითოეულ საგანში პროგრამული მასალის თეორიული სირთულე და სიღრმე. ერთსა და იმავე საკითხს სხვადასხვა კლასში შეიძლება მივუბრუნდეთ და განვიხილოთ მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით;

გ) მისაწვდომობა არ ნიშნავს, რომ სწავლება ძალიან ადვილი უნდა იყოს. კ. უშინსკი წერდა: „ხშირად შიშობენ–არ დააფრთხონ ბავშვი სერიოზული მეცნიერული ნაღმით. მაგრამ კიდევ უფრო უნდა გვეშინოდეს, რომ არ

შევაძულოთ მას მეცნიერება და არ შევაჩვიოთ – ადვილად მოეკიდოს და აბუჩად აიგდოს იგი“. აქ კარგად ჩანს სწავლების თანამდევი ორი ნაკლოვანება: იგი ასუსტებს მოწაფის ინტერესს სასწავლო პროცესისადმი და ზერელე წარმოდგენას უქმნის ბავშვებს სასწავლო მასალაზე. დ. უზნაძე, ლ. ვიგოტსკი ავითარებს სწავლების განმავითარებელ ფუნქციას. ისინი თვლიან, რომ სასწავლო სიძნელე უნდა აღემატებოდეს მოსწავლეთა განვითარების აქტუალურ დონეს, წარმოადგენდეს სიძნელეს, ოღონდ ისეთს, რომელსაც მოსწავლე დაძლევეს მასწავლებლის, უფროსი მეგობრის და ა.შ. დახმარებით. სწავლების მეთოდთა ეფექტურობა დამოკიდებულია მოსაწვდომობაზე. მის სწორად შერჩევაზე დამოკიდებულია დაძლევენ თუ არა მოსწავლეები სასწავლო მასალას. ამერიკელმა მკვლევრებმა ჩაატარეს კვლევა დაწყებითი კლასის მოსწავლეებთან. შეადგინეს „ახალი მათემატიკა“, რომელშიც შეიტანეს მრავალი ინფორმაცია საშუალოს სკოლის მათემატიკიდან. ამ საგანს ასწავლიდნენ კარგად მოფიქრებული თამაშების ფორმით, რასაც სასურველი შედეგი მოუტანია. ე.ი. სწავლების მეთოდები იძლევა სასწავლო პროცესის მისაწვდომობის გაფართოების საშუალებას.

სწავლების მისაწვდომობა უზრუნველყოფს მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებას და სწავლების მეთოდების სწორად შერჩევას.

სწავლების პრინციპები მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, ისინი ერთმანეთს განაპირობებენ და ერთიან სისტემას ქმნიან. მხოლოდ მეცნიერული ცოდნა შეიძლება იყოს სისტემური და მხოლოდ თანმიმდევრულად განვითარებადი სისტემური ცოდნის ლოგიკის გააზრება და შეგნებულად ათვისებაა შესაძლებელი. თვალსაჩინოება აფართოებს მისაწვდომობას, მაგრამ მისაწვდომობის გათვალისწინებით უნდა შეირჩეს თვალსაჩინოება. მისაწვდომობა ხელს უწყობს შეგნებულობას, შეგნებულობა კი აფართოებს მისაწვდომობას. შეგნებულობა საფუძვლად უდევს ცოდნის სიმყარეს. მყარი ცოდნა კი ხელს უწყობს მომდევნო მასალის შეგნებულად დაუფლებას.

კითხვები დამოუკიდებელი მუშაობისათვის:

1. რატომ და როგორ იცვლება განათლების შინაარსი და რას მოიცავს იგი?

2. განათლების შინაარსი XXI საუკუნის საქართველოში.

3. რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს სახელმძღვანელო?

4. რომელ თეორიებს იცნობთ განათლების შინაარსის შესახებ? შეადარეთ ეს თეორიები ერთმანეთს.

5. სწავლების პრინციპები და მათი გამოყენების მაგალითები სასწავლო პროცესში.

თემა 3. სწავლების მეთოდები და კლასიფიკაცია

ლექციაზე განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

1. სწავლების მეთოდის ცნება და ძირითადი მოთხოვნები სწავლების მეთოდებისადმი
2. სწავლების მეთოდთა კლასიფიკაცია (ტრადიციული და ინტერაქტიული მეთოდები)
3. მეთოდების დახასიათება

სწავლების მეთოდთა პრობლემა ყოველთვის იყო პედაგოგების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში. ეს ინტერესი კანონზომიერია, რამდენადაც სწავლების მიზნისა და ამოცანების რეალიზაცია ბევრადაა დამოკიდებული სწავლების მეთოდებზე. ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში იან ამოს კომენიუსი (კომენსკი) დიდაქტიკის პირველ და უკანასკნელ მიზნად მიიჩნევდა, ეპოვა და მასწავლებლამდე მიეტანა სწავლების ისეთი ხერხები/მეთოდები, რომელთა დახმარებითაც მოსწავლე მასწავლებლის ნაკლები ჩარევით მეტს ისწავლიდა და სკოლაც უწინდებურად მოსაწყენი აღარ მოეჩვენებოდა. ამის მისაღწევად კომენიუსი მოითხოვდა დიდაქტიკური აზროვნების შეცვლას, რაც იმას გულისხმობდა, რომ მხოლოდ სწავლების შინაარსი კი არ უნდა ყოფილიყო მასწავლებლის ყურადღების ცენტრში, არამედ იმ ხერხების/მეთოდების ძიება და პოვნაც, რომელთა მეშვეობითაც მოსწავლეები უფრო ადვილად და მეტი ხალისით აითვისებდნენ შინაარსს (ლობჟანიძე, 2016:7). მას შემდეგ, რაც კომენიუსმა ეს დიდაქტიკური პრინციპი გამოთქვა, სამ საუკუნეზე მეტი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში შემუშავდა, გამოიცა და პრაქტიკაში დაინერგა უამრავი სასწავლო მეთოდი. ამ მეთოდების ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ადეკვატურად შევარჩევთ მათ.

მეთოდი წარმოსდგება ბერძნული სიტყვისაგან “metodos” და ნიშნავს გზას, ხერხს, საშუალებას, რომელსაც ადამიანი იყენებს მის მიერ დასახული მიზნის, ამოცანების მისაღწევად, განსახორციელებლად. სწავლების მეთოდი არის ის გზა, ხერხებისა და საშუალებების ის სისტემა, რომელსაც მასწავ-

ლებელი იყენებს აღზრდის მიზნიდან გამომდინარე, ყოველი ცალკე სასწავლო მეთოდი არის მასწავლებლის მიერ მოსწავლეთათვის ცოდნა-ჩვევების გადაცემისა და გადაცემულის მოსწავლეთა მიერ შეთვისების გზა, ხერხი, საშუალება. პედაგოგიურ ლიტერატურაში სწავლების მეთოდის ასეთი განმარტებები გვხვდება: მეთოდი არის მასწავლებლის მიერ მოსწავლეთათვის ცოდნა-ჩვევათა გადაცემისა და გადაცემულის მოსწავლეთა მიერ შეთვისების გზა, ხერხი, საშუალება (დ. ლორთქიფანიძე); სწავლების მეთოდებში იგულისხმება სასწავლო საქმიანობის ის გზები, რომელთა მეშვეობით მასწავლებელს მიჰყავს მოსწავლე არცოდნიდან ცოდნისაკენ; მეთოდი პედაგოგიური შრომის კონკრეტული იარაღია, ურომლისოდაც არ სრულდება არავითარი სასწავლო სამუშაო: არც ახალი მასალის ახსნა, არც მისი განმტკიცება, არც დასწავლა, არც გამეორება. ალ.გობრონიძე მეთოდს ასე განმარტავს: „სწავლების მეთოდის ცნებაში იგულისხმება მასწავლებლისა და მოსწავლეთა ერთობლივი მუშაობა სწავლების პროცესში, რომლის დახმარებითაც ხდება დასახული ამოცანის შესრულება. სწავლების მეთოდი ადგენს მასწავლებელსა და მოსწავლეთა საქმიანობის სახეებს. განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა წარიმართოს სწავლების პროცესი, რა მოქმედება უნდა შეასრულონ მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა. მასწავლებელთა მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდის ცნებაში იგულისხმება მოსწავლეებზე ცოდნის გადაცემისა და მათ შემეცნებით საქმიანობაზე უნარიანი ხელმძღვანელობის ხერხი. მოსწავლეთა მიერ გამოყენებულ სწავლის მეთოდთა ცნებაში კი იგულისხმება ცოდნის, უნარის და ჩვევების შეძენისა და შემეცნებითი უნარების განვითარების ხერხები. ისინი ორგანულად აერთიანებენ თავისთავში სწავლებას, სწავლისა და შემეცნების მოქმედიანობაზე ხელმძღვანელობას. სწავლების მეთოდად იწოდება მოქმედება, რომელიც აწესრიგებს მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთდაკავშირებულ აქტივობას. ეს არის მოქმედება, რომელიც მიმართულია განათლების, აღზრდისა და განვითარების ამოცანების გადაჭრისაკენ, რაც ხორციელდება სწავლების პროცესში“ (გობრონიძე, 2000:206). რამდენადაც სწავლა აღზრდის ძირითადი გზაა, ამდენად, ბუნებრივი და გასაგებია, რომ სწავლების მეთოდი ამავე დროს, გარკვეული მნიშვნელობით, აღზრდის მეთოდიცაა, აღზრდის ძირითადი გზაა. მეთოდის ცნებასთან დაკავშირებულია „ხერხი“ და „საშუალება“. ხერხი ეს არის ამა თუ იმ მეთოდის ელემენტი, ზოგადისადმი კერძო გამოვლინება. მაგ., რომ ჩავა-

ბათ მოსწავლეები დიალოგში მისი მომზადების ეტაპზე ახალი მასალის აქტიური აღქმისათვის გამოიყენება შემდეგი ხერხები:

- განვლილი მასალის სპეციფიკური განმეორება;
- შესასწავლი მასალის მნიშვნელობის წარმოჩენა;
- ახალი ცოდნის გადაცემის გეგმის გაცნობა მოსწავლეთათვის;
- მოსწავლეთა შეიარაღება ძირითადი იდეებით, რომელიც დაეხმარება

მათ გაიგონ ახალი მასალის ლოგიკა;

– კითხვების დასმა, დავალებებისა და ამოცანების მიცემა მოსწავლეებისათვის, რათა მათ მიიყვანონ ისინი იმის აუცილებლობასთან, რომ შეიმეცნონ ახალი;

– ამა თუ იმ ცხოვრებისეული სიტუაციისა და მოვლენის ანალიზი, რომელთაც მოსწავლეები აწყდებიან თავიანთ პრაქტიკაში;

– პრაქტიკული ხასიათის დამოუკიდებელი მუშაობა;

– ბუნების მოვლენებზე დაკვირვება და წინასწარი ექსპერიმენტების ჩატარება.

ამ დიდაქტიკური ხერხების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათ აერთიანებთ არა მარტო მიზანი–მოსწავლეთა შემზადება ახალი მასალის აქტიური აღქმისათვის, არამედ გაკვეთილებზე შესაქმნელი დიალოგური სიტუაცია როგორც მასწავლებლისა და მოსწავლეთა თანამშრომლობის, გაგების გასაღები.

სწავლების საშუალებას შეიძლება მივაკუთვნოთ: მასწავლებლის სიტყვა, სახელმძღვანელოები, დამხმარე სახელმძღვანელოები, საცნობარო ლიტერატურა, სასწავლო და ლაბორატორიული მოწყობილობა და თვალსაჩინო საშუალებანი; სასწავლო კინო, რადიო, ხმის ჩამწერი, ტელეხედვის და სწავლების სხვა ტექნიკური საშუალებანი. მასწავლებლის პროფესიონალიზმი გულისხმობს არა მარტო საგნის კარგ ცოდნას, არამედ სწავლების მეთოდების, ხერხებისა და საშუალებების, მათ შორის ტექნიკის თავისუფალ, დამაჯერებლად ფლობას.

ძირითადი მოთხოვნები სწავლების მეთოდებისადმი (დ. ლორთქიფანიძის მიხედვით). სწავლების მეთოდებს ისეთივე ძველი ისტორია აქვს, როგორც თვით სწავლებას. იცვლება იმის მიხედვით, თუ როგორ იცვლიდა სახეს სწავლების დანიშნულება და შინაარსი. ეს ბუნებრივია, სწავლების ყოველგვარი მეთოდი განპირობებულია სწავლა–აღზრდის მიზნებით და ამ

მიზნების შესაბამისად განსაზღვრულია სწავლების შინაარსით. სწავლების თითოეულ მეთოდს მოეთხოვება:

- სასწავლო მასალას ხდიდეს მოსწავლისათვის გასაგებს, ადვილად მისაწვდომს და დასაძლევს;
- უზრუნველყოფდეს მოსწავლის ინტენსიურ წინსვლას უმოკლესი გზით არცოდნიდან ცოდნისაკენ;
- იწვევდეს გაკვირვებას, აქტიურობას და ხელს უწყობდეს მოსწავლის შემეცნებითი, ნებელობითი და სხვა უნარების განსაკუთრებით უშუალო დაკვირვების განვითარებას, უზრუნველყოფდეს სწავლების განმავითარებელი ფუნქციის განხორციელებას პედაგოგიური პროცესის ყველა ეტაპზე, უზრუნველყოფდეს ყოველი ადამიანის ნიჭისა და მიდრეკილების სწორი მიმართულებით განვითარებას; გაკვეთილის მთელ მანძილზე ხშირად ისმოდეს კითხვები „საიდან?“ „როგორ?“ „რატომ?“ და ეძებდნენ პასუხს დასმულ კითხვებზე;
- სასწავლო სიძნელის დაძლევის პროცესს ხდიდეს მიმზიდველს, საინტერესოს. პრობლემის გადაწყვეტა იწვევდეს მორალურ კმაყოფილებას და ამ საფუძველზე ახალი მოთხოვნილების წარმოშობას მომდევნო სასწავლო ამოცანის დასაძლევად;
- ხელს უწყობდეს შეგნებული დისციპლინის, მტკიცე ხასიათისა და სრულყოფილი პიროვნებისათვის დამახასიათებელი სხვა თვისებების აღზრდას მოსწავლეში, მისი შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებას და ცოდნის დამოუკიდებელი შეთვისებისათვის საჭირო ჩვევების გამომუშავებას;
- განამტკიცებდეს სწავლების კავშირს ცხოვრებასთან, ხელს უწყობდეს მოსწავლის პროფორიენტაციას და მის მომზადებას მომავალი პრაქტიკული ცხოვრებისათვის;
- უზრუნველყოფდეს ტექნიკურ საშუალებათა რაციონალურ გამოყენებას სწავლების პროცესში.

მოთხოვნები გამომდინარეობს სწავლების პრინციპებიდან და საერთოა ყველა საგანში გამოსაყენებელი სწავლების მეთოდებისადმი. ასევე არსებობს ინდივიდუალური მეთოდებიც, რომელიც წარმატებულია ერთი მასწავლებლის პრაქტიკაში, მაგრამ წარუმატებელია მეორე მასწავლებელთან. ეს იმიტომ, რომ ნებისმიერი მეთოდის ღირსება განპირობებულია თვით მას-

წავლებლის პედაგოგიური განათლების ხარისხით, მისი პედაგოგიური ოსტატობის დონით.

სწავლების მეთოდებს დიდაქტიკაში აჯგუფებენ გარკვეული ნიშნების მიხედვით. სწავლების მეთოდთა ამ დაჯგუფებას სწავლების მეთოდთა კლასიფიკაციას უწოდებენ. სწავლების მეთოდთა კლასიფიკაციის საკითხი მრავალნაირადაა გადაწყვეტილი. ერთნი სწავლების მეთოდთა კლასიფიკაციას საფუძვლად უდებენ გნოსეოლოგიურ პრინციპს და ამის მიხედვით მეთოდებს აჯგუფებენ ინდუქციურ და დედუქციურ, შესაბამისად სინთეზურ და ანალიზურ მეთოდებად; მეორენი–სწავლების მეთოდებს აჯგუფებენ მასწავლებლისა და მოსწავლის მოქმედიანობის ხასიათის მიხედვით (მაგ. ახსნითი–ილუსტრაციული, ანალიზურ–ძიებითი, პრობლემური, კვლევითი მეთოდები), ზოგნი–სწავლების სახეების მიხედვით (ახალი მასალის ახსნის, განმეორების, ცოდნის შემოწმება–შეფასების მეთოდები) და სხვა. ამჟამად დიდაქტიკაში ყველაზე მეტად მიღებულია სწავლების მეთოდთა კლასიფიკაცია ცოდნის–ძირითადი წყაროების მიხედვით. ეს წყაროებია: მასწავლებლის ცოცხალი სიტყვა; წიგნი და საერთოდ წერილობითი წყაროები, ინტერნეტ–რესურსები; საგნებსა და მოვლენებზე უშუალო დაკვირვება; შრომა, სხვადასხვა დარგში პრაქტიკული საქმიანობა.

სწავლების ძირითად წყაროებს სწავლების მეთოდთა შემდეგი ჯგუფები შეესატყვისება:

ზეპირსიტყვიერი, ვერბალური მეთოდები–თხრობითი, ლექცია, საუბარი, კითხვა–პასუხი;

წიგნზე მუშაობის მეთოდები: ახსნითი კითხვის და დამოუკიდებელი კითხვის მეთოდები;

საგნებსა და მოვლენებზე უშუალო დაკვირვება; თვალსაჩინოების მეთოდები: უშუალო დაკვირვების, დემონსტრირების მეთოდები;

შრომითი და პრაქტიკული ვარჯიშის მეთოდები: წერა, ტექნიკური საშუალებები: ტელეფილმები, ვიდეოფილმები, კალკულატორი... (დ. ლორთქიფანიძე)

აღ. გობრონიძე გვთავაზობს შემდეგ კლასიფიკაციას: ახსნით–ილუსტრაციული, რეპროდუქციული, ცოდნის პრობლემური გადაცემა, ნაწილობრივ–ძიებითი და კვლევითი. განიხილავს სწავლების შემდეგ მეთოდებს: თხრობა, ახსნა, ლექცია, საუბარი, ილუსტრაციის და დემონსტრირების მე-

თოდი, პრაქტიკული მეთოდები: ვარჯიში, დაკვირვება, ლაბორატორიული მუშაობა, საცდელი მუშაობა, წერითი და გრაფიკული მუშაობა.

სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს ერთი რამ: მოსწავლეს მხოლოდ კონკრეტული საკითხის შესახებ ცოდნის მიღებაში კი არ დაეხმაროს, არამედ გამოუმუშაოს მას ზოგადი/ტრანსფერული უნარებიც (მაგალითად, კომუნიკაციისა, პრეზენტაციისა, თანამშრომლობისა და სხვ.). სასურველი შედეგის მიღწევაში კი მას ადეკვატურად შერჩეული სწავლების მეთოდები დაეხმარება.

საგანმანათლებლო ლიტერატურაში სწავლების მეთოდების სხვადასხვა კლასიფიკაციაა წარმოდგენილი. ერთ-ერთი კლასიფიკაციით, ისინი ორ ჯგუფად იყოფა: მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და მეთოდები, რომლებიც ავითარებს ზოგად/ტრანსფერულ უნარებს, - თუმცა ეს დაყოფა პირობითია, რადგან მეთოდთა უმრავლესობა მოსწავლეებს საგნობრივთან ერთად ზოგადი კომპეტენციის განვითარებაშიც ეხმარება. მრავალი სასწავლო მეთოდი (მაგალითად, პროექტმეთოდი, ჯიგსოუ, კვირის გეგმა, აპოლო ტექნიკა და სხვა) ისწრაფის, განუვითაროს მოსწავლეებს დამოუკიდებლად მოქმედების უნარი. დეტალურად განვიხილავთ თითოეულ მეთოდს, ვისაუბრებთ ადეკვატურად როგორ უნდა გამოიყენოს ესა თუ ის მეთოდი მასწავლებელმა, რა წინაპირობა უნდა გაითვალისწინოს მან თითოეული მათგანის გამოყენებისას, მოსწავლეებში რა კომპეტენციის განვითარებას უწყობს ესა თუ ის მეთოდი ხელს, რა არის თითოეული მათგანის ძლიერი და სუსტი მხარე. სწავლების პროცესში, რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდით. პროფესორს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. მაგ., ლექციაზე ლექტორი სალექციო მასალას ვიზუალური პრეზენტაციის სახით წარმოადგენს, რომელსაც თან ახლავს ვერბალური განმარტება; იმართება დისკუსია, სტუდენტს დამოუკიდებელი მუშაობის შესასრულებლად მიეცემა დავალება, რომელსაც იგი ასრულებს წიგნზე მუშაობის სახით, ჩანაწერის გაკეთების გზით და სხვ.

სხვადასხვა ავტორი (ი. ბიბილეიშვილი, შ. მაღალაშვილი, ო. გიორგაძე) გვთავაზობს მეთოდთა კლასიფიკაციის რამდენიმე განსხვავებულ ვარიანტს. არის სწავლების მეთოდთა შემდეგი კლასიფიკაცია:

- ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
- წიგნზე მუშაობის მეთოდი;
- წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება, და ა.შ.;
- ლაბორატორიული მეთოდი და დემონსტრირების მეთოდი – ეს უკანასკნელი თავის მხრივ გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ცდების დაყენება, ვიდეომასალების ჩვენება, დინამიკური ხასიათის მასალა და სხვ.;
- პრაქტიკული მეთოდები – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, მაგალითად: საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკა, საველე მუშაობა და სხვ.

ზეპირსიტყვიერი მეთოდები: თხრობა, საუბარი, სასკოლო ლექცია, კითხვა-პასუხი. **თხრობის მეთოდი** სწავლების ის გზაა, როცა მასწავლებელი სასწავლო საკითხის გარშემო მოსწავლეებს მოუთხრობს, გადასცემს გარკვეულ ცოდნათა ჯამს. ამ მეთოდს სკოლის პრაქტიკაში დიდი ხანია გამოიყენებენ. შეიძლება, რომ იგი მთელ რიგ შემთხვევაში სწავლების ძირითად მეთოდს წარმოადგენს, განსაკუთრებით ისეთ საგნებში, როგორცაა ლიტერატურა, ისტორია, გეოგრაფია, საზოგადოებათმცოდნეობა. თხრობა უპირატესად გამოიყენება აღწერითი მასალის შესასწავლად, რომელშიც სჭარბობს ფაქტები, მოვლენები, სახეები. თხრობაში ორიენტირია მოსწავლეთა მიყვანა აუცილებელ დასკვნამდე, განზოგადებამდე. თხრობის პროცესში შეიძლება გამოვიყენოთ თვალსაჩინო საშუალებები, შევიტანოთ საუბრის ელემენტი. სწავლების პროცესში მასწავლებელმა სწორად რომ გამოიყენოს თხრობის მეთოდი საჭიროა იხელმძღვანელოს შემდეგით:

- თხრობის შინაარსი უნდა გამომდინარეობდეს სასწავლო პროგრამიდან, გამსჭვალული იყოს მორალური სულისკვეთებით და გამოხატავდეს უახლოეს მეცნიერულ მიღწევებს;
- თხრობაში დაცული უნდა იყოს ზუსტი თანმიმდევრობა საგნის მეცნიერული ლოგიკის მიხედვით;

– თხრობაში დაცული უნდა იყოს სიძნელე–სიადვილის ისეთი მონაცვლეობა, რომ ყოველი ცალკეული სინამდვილის დაძლევა თან სდევდეს ერთგვარი სიადვილე–შესვენება და მოსწავლეები ზედმეტი დამაბულობის გარეშე აქტიურად მიჰყვებოდნენ თხრობის მსვლელობას. თხრობის დროს მასწავლებელი ისეთ ადგილას უნდა იდგეს, საიდანაც ყველას ხედავს და სადაც მას ყველა დაინახავს;

– თხრობის ენა, მასწავლებლის მეტყველება უნდა იყოს ნათელი, ლიტერატურულად დახვეწილი. მისი ტემპი არ უნდა იყოს არც ზედმეტად სწრაფი, არც ზედმეტად ნელი. ხმის ტემპი უნდა იყოს მშვიდი, ბუნებრივი, სასიამოვნო და მიმზიდველი;

– თხრობა უნდა მიმდინარეობდეს სრული დამაჯერებელი და მშვიდი მანერით, ზომიერი ინტონაციით, ტაქტით, თხრობის პროცესში დაუშვებელია მასწავლებლის ზედმეტი მოძრაობა, გადაჭარბებული ჟესტიკულაცია, სახის ხელოვნური გამომეტყველება, ხელოვნური მიმიკა;

– თხრობის პროცესში მასწავლებელი კითხვების დასმით ააქტიურებს ყველა მოსწავლეს და იპყრობს მათ ყურადღებას ისე, რომ „მისი (მასწავლებლის) ბაგე მოწაფეებს მიაჩნდეთ წყაროდ, საიდანაც მათკენ მოსჩქევს მეცნიერების ნაკადი; მთელი ყურადღება მიქცეული იყოს იქითკენ, რათა წყაროდან გამომდინარე ნაკადი არ დაიღვაროს აუთვისებლად“ (კომენსკი) .

სასკოლო–ლექციური მეთოდი. სასკოლო ლექცია, ისე როგორც თხრობის მეთოდი, თავისი ხასიათის მიხედვით აკრომატიკული, უწყვეტი მეთოდია. იგი სწავლების ის გზაა, როცა მასწავლებელი დროის განსაზღვრულ მონაკვეთში უწყვეტად, ლოგიკურად თანმიმდევრულად გადასცემს მოსწავლეებს გარკვეულ ცოდნას, ხოლო მოსწავლეები ითვისებენ მას. ამ მეთოდს ძირითადად ვიყენებთ უფროს კლასებში, სადაც მოსწავლეთა საერთო განვითარება შესაძლებლობას გვაძლევს ხანგრძლივად შევაჩეროთ მისი ყურადღება ასახსნელ მასალაზე. ამ მეთოდს ვიყენებთ ყველა საგანში, განსაკუთრებით ჰუმანიტარულ საგნებში. სკოლაში ლექციური მეთოდით ვამოწმებთ განვლილი მასალის ცოდნას და შემდეგ ვახდენთ ახალი მასალის ახსნას.

საუბრის მეთოდი სწავლების ის გზაა, როცა მასწავლებელი კითხვების დასმით და მოსწავლეთაგან პასუხების მიღებით აწარმოებს ან ახალი მასალის გადაცემას, ან გადაცემულის სისტემაში მოყვანას და მოსწავლეებში

ცოდნის განმტკიცებას, ან მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასებას. ამ მეთოდს უწოდებენ ევრისტიკულ, სოკრატისეულ, კითხვა-პასუხის, აღმოჩენათა მეთოდს. ის გამოიყენება როგორც ახალი მასალის ახსნისათვის, ისე განმეორება-განმტკიცებისა და ცოდნის შემოწმება-შეფასებისათვის. საუბრის მეთოდის ეფექტური გამოყენებისათვის აუცილებელია მასწავლებლის მიერ დასმული კითხვები აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) ყოველი კითხვა თავისი ხასიათისა და მოცულობის მიხედვით შეესაბამებოდეს საუბრის კონკრეტულ ამოცანას, მასალის სპეციფიკასა და მოსწავლეთა განვითარების დონეს;

ბ) კითხვა ზუსტად და მოკლედ უნდა იყოს ფორმულირებული, ენობრივად გამართული, დახვეწილი და აჩვევდეს მოსწავლეებს, რომ მათი პასუხებიც ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს;

გ) ყოველი კითხვა მოსწავლეებში აძლიერებდეს ყურადღებას, უზრუნველყოფდეს აქტიურ აზროვნებას, ხელს უწყობდეს მოსწავლეებში ინიციატივისა და შემოქმედებითი უნარის აღზრდა-განვითარებას, ჰქონდეს მას ძიებითი მიმართულება;

დ) კითხვა უნდა შეესაბამებოდეს დასმულ ამოცანას: მოსწავლეებისაგან ერთწინადადებიანი პასუხის, ან ისეთი პასუხის მიღებას, რომელიც საკითხის მთლიან გაშუქებას მოიცავს;

ე) კითხვა დასმული უნდა იყოს მკაფიოდ, სათანადო ინტონაციის დაცვით და იწვევდეს მოსწავლეთა სწრაფ რეაგირებას. ის არ უნდა შეიცავდეს პასუხს და იყოს კვლევითი ხასიათის.

მასწავლებლის კითხვაზე მოსწავლის პასუხი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) პასუხი უნდა იყოს სრული, ზუსტი, ამომწურავი;

ბ) ყოველი პასუხი მოსწავლის მიერ ბოლომდე უნდა იყოს გააზრებული, გაცნობიერებული, გაგებული;

გ) პასუხი ენობრივად უნდა იყოს გამართული; სტილისტურად დახვეწილი, გრამატიკული თვალსაზრისით უშეცდომო;

დ) მოსწავლეთა პასუხში დაცული უნდა იყოს გამოთქმის შესაფერისი ინტონაცია (არც ზედმეტად აჩქარებული და არც ზედმეტად ნელი ტემპი) და ხმის სათანადო ტემბრი.

საუბრის მომზადება და ჩატარება ითხოვს მასწავლებლისაგან დიდ პედაგოგიურ ოსტატობას: თემის განსაზღვრას, საკონტროლო სასწავლო ამოცანების, შინაარსის მოფიქრების, ფორმულირების სიზუსტეს და კითხვების დასმის ლოგიკას, პასუხების მოსალოდნელი ვარიანტების, ასევე წინასწარ შემოთავაზებული დასკვნების გათვალისწინებას. სწავლების სიტყვიერი მეთოდები ემორჩილებიან გარკვეულ პედაგოგიურ მოთხოვნებს—ეს არის მეცნიერულობა, ლოგიკური თანმიმდევრობა და დასაბუთებულობა; გარკვეულობა, მკაფიოობა, მისაწვდომობა, ემოციურობა და მეტყველების კულტურა. მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება; მასწავლებლის მიერ გადაცემული მასალის ტემპი და ტონი.

მასწავლებელი—ორატორი ასევე უნდა იყოს მასწავლებელი—მოაზროვნეც. მთავარი, რაზეც მასწავლებელმა უნდა იზრუნოს სიტყვიერი მეთოდების გამოყენებისას, ესაა აქციოს მოსწავლეთა მუშაობა გაცნობიერებული, სასარგებლო, აქტიური, შემოქმედებითი, რომელიც აღძრავს ცოცხალ ინტერესს შემეცნებითი ქმედითობისაკენ, რასაც მივყავართ კარგ შედეგებამდე.

წიგნზე მუშაობის მეთოდები (ახსნითი კითხვის მეთოდი, დამოუკიდებელი კითხვის მეთოდი). წიგნზე მუშაობის გზები და ხერხები მრავალფეროვანი და მრავალნაირია. ეს მრავალფეროვნება დიდია იმიტომაც, რომ წიგნზე მუშაობის გზები განპირობებულია ყოველი საგნის სპეციფიკით, ამ საგნის სასწავლო მასალის თავისებურებით, მოსწავლეთა განვითარების დონით, იმ ჩვევათა თავისებურებით, რომლებიც მოსწავლეს გამოუმუშავდება წიგნზე მუშაობის პროცესში. მიუხედავად მრავალფეროვნებისა სწავლების პირობებში წიგნზე მუშაობის ორი ძირითადი მეთოდი არსებობს: ა) ახსნითი კითხვის (კომენტირებული) მეთოდი და ბ) დამოუკიდებელი კითხვის მეთოდი.

დ. ლორთქიფანიძე 1981 წელს გამოცემულ „დიდაქტიკაში“ აღნიშნავს, რომ **ახსნითი კითხვის** მეთოდი გულისხმობს წიგნზე მუშაობის ისეთ სახეს, როცა კითხვის პროცესში მასწავლებელი მოსწავლეს გზადაგზა აძლევს სათანადო ახსნა-განმარტებას, ახდენს წაკითხულის კომენტირებას, აანალიზებს მასალას სხვადასხვა თვალსაზრისით. ახსნითი კითხვის მეთოდის გამოყენებისას უნდა ვიცავდეთ შემდეგ მოთხოვნებს: 1. საკლასო მეცადინეო-

ბის პირობებში წიგნის ახსნით კითხვას მივმართავთ მაშინ, როცა მასალა ან ძნელად დასაძლევია მოსწავლისათვის, ან საჭიროა მისი რომელიმე მხარისათვის ხაზის გასმა და მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება; 2. წინასწარ გავითვალისწინოთ თუ რა უნდა იქნას წაკითხული. რა უნდა წაკითხოს მოსწავლეებმა და რა მოსწავლეებმა. რა დრო უნდა დაეთმოს ტექსტის წაკითხვას, რა განმარტება უნდა მიეცეს მოსწავლეებს კითხვის დროს; 3. ტექსტი უნდა იკითხებოდეს შეუცდომლად, გამომეტყველებით, სათანადო ინტონაციის, ხმის ტემბრის და კითხვის ტემპის დაცვით.

დამოუკიდებელი კითხვის მეთოდი. წიგნზე მუშაობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დამოუკიდებელი კითხვის მეთოდს. ამ მეთოდის სწორად გამოყენებისათვის საჭიროა დავიცვათ შემდეგი პრინციპები: 1. მოსწავლეს, სტუდენტებს წინასწარ უნდა შევუქმნათ მოტივაცია, ინტერესი-წაკითხოს, შეისწავლოს ესა თუ ის წიგნი, სტატია თუ სხვა წერილობითი წყარო; 2. მოსწავლეებს შევუქმნათ კითხვისათვის საჭირო პედაგოგიური სიტუაცია, პირობები; 3. მოსწავლეებს ვუხსნით, რომ ისინი ჯერ მთლიანად კითხულობენ ტექსტს მანამ, სანამ წაკითხულის დედააზრს გაიგებდნენ, ხოლო ამის შემდეგ გადადიოდნენ მისი ცალკეული ნაწილების ღრმად შესწავლა-დამახსოვრებაზე; 4. ტექსტის პირველადი წაკითხვის შემდეგ მოსწავლეებმა უნდა შეადგინონ წაკითხვა-დასწავლის მოკლე სქემატური გეგმა; 5. ტექსტის წაკითხვა-დასწავლა ხდებოდეს იმგვარად, რომ ის სავსებით გაიაზრონ და გაიგონ მოსწავლეებმა; 6. მოსწავლეები უნდა შევაჩვიოთ იმას, რომ შეეძლოთ ერთსა და იმავე თემაზე ორი-სამი და მეტი წიგნით სარგებლობა, შეეძლოთ სხვადასხვა სახის ბეჭდურ წყაროს ურთიერთ-კომბინირება სახელმძღვანელო წიგნის საფუძველზე, მათი ურთიერთშე-დარება, შეპირისპირება; 7. ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ ყოველ მოსწავლეს გამოუმუშავდეს კრიტიკული აზროვნება; 8. კითხვა უნდა დამთავრდეს ტექსტის კვლავ მთლიანად წაკითხვით და ამ საფუძველზე ძირითადი დებულების კიდევ უფრო ღრმა გააზრებით, შესწავლილის სისტემაში მოყვანით, ჩანაწერების გადასინჯვით, გასწორებით. დამოუკიდებელი კითხვის ტექნიკის დაუფლებაც მასწავლებლის საზრუნავია. კითხვა უნდა მიმდინარეობდეს მშვიდ გარემოში. მოსწავლეზე არ უნდა მოქმედებდეს გარე-გამლიზიანებელი ფაქტორები.

სწავლების ერთ-ერთი მთავარი სიძნელეა მოსწავლეში ინტერესის გამოწვევა, ცნობისმოყვარეობის გაღვიძება. გაკვირვებას, დაინტერესებას ზემოთგანხილულ მეთოდებთან ერთად იწვევს საგნებსა და მოვლენებზე დაკვირვების მეთოდები.

საგნებსა და მოვლენებზე უშუალო დაკვირვების მეთოდი.

უშუალო დაკვირვებითი მეთოდებში დ. ლორთქიფანიძე გამოყოფს ლაბორატორულ, დემონსტრირების და ილუსტრირების მეთოდს (ლორთქიფანიძე, 1981: 224).

ა) **ლაბორატორიული მეთოდი.** სწავლების მრავალგვარ მეთოდს შორის, რომელთაც სკოლაში ვიყენებთ, ერთ-ერთი ძირითადი ლაბორატორიული მუშაობის მეთოდი. იგი დაკავშირებულია ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებასთან სწავლაში და სწავლების კაბინეტურ სისტემასთან.

ლაბორატორიული მეთოდი სწავლების ისეთი გზაა, რომლითაც მოსწავლეები მასწავლებლის ხელმძღვანელობით უშუალოდ აკვირდებიან სინამდვილეს, მის რომელიმე მხარეს. დამოუკიდებლად ატარებენ სასწავლო საგნის შინაარსიდან გამომდინარე სხვადასხვა ცდას და ამ საშუალებით ეუფლებიან განსაზღვრულ ცოდნა-ჩვევებს.

ლაბორატორიული მეთოდი თვალსაჩინოების პრინციპის განხორციელებისა და თეორიული ცოდნის პრაქტიკასთან, შრომასთან სწავლების დაკავშირების საუკეთესო საშუალებაა. ამ მეთოდის დიდი მნიშვნელობა არა მარტო იმაში მდგომარეობს, რომ ის ყველაზე მეტ შესაძლებლობას იძლევა, რათა მოსწავლემ, უშუალო აღქმის გზით, აითვისოს მასალა, ნათლად გაერკვეს რთულ მოვლენებში და სწორი წარმოდგენა იქონიოს ბუნების მოვლენების კანონზომიერებაზე, არამედ იმაშიც, რომ იგი ყოველმხრივ ხელს უწყობს დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების აღზრდას. ეს კი აუცილებელია ტექნიკის, მისი მრავალფეროვანი დარგების დაუფლებისა და მომავალში საწარმოო პრაქტიკული ხასიათის შრომითი პროცესების მაღალნაყოფიერად შესრულებისა და შრომითი მომზადებისათვის.

ყოველივე ამის გამო **ლაბორატორიულ მეთოდს არა მარტო საგანმანათლებლო, არამედ აღმზრდელობითი და განმავითარებელი მნიშვნელობაც ენიჭება.** ლაბორატორიული მეთოდი, ძირითადად, გამოიყენება საბუ-

ნებისმეტყველო საგნებში (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია, აგრეთვე სამხედრო სწავლება, და სხვ.).

ლაბორატორიული მეთოდის დამახასიათებელია ცდის დაყენება თვით მოსწავლეთა მიერ ინდივიდუალური ან ჯგუფური წესით. ამ მეთოდის გამოყენების ხვედრითი წონა განსაკუთრებით დიდია საშუალო სკოლის უფროს კლასებში, სადაც მოსწავლეთა მომზადების დონე იმის სრულ შესაძლებლობას იძლევა, რომ მათ წარმატებით ჩაატარონ ცდები, აწარმოონ დაკვირვება, გამოიყენონ სასწავლო აპარატურა და ამ ცდების შედეგად გააკეთონ შესაფერისი განზოგადებანი, დასკვნები.

ლაბორატორიული მეთოდის ეფექტური გამოყენებისათვის საჭიროა ვიხელმძღვანელოთ შემდეგით:

1. მასწავლებელი პროგრამის საფუძველზე ითვალისწინებდეს იმ უმთავრეს სამუშაოებს, რომლებიც ლაბორატორიული წესით უნდა შესრულდეს მოსწავლეებმა;

2. ყოველი გაკვეთილის წინ, რომელზეც ლაბორატორიული მეთოდის გამოყენებაა გათვალისწინებული, საჭიროა მასწავლებელმა:

ა) ზუსტად მოხაზოს ლაბორატორიული მუშაობის ძირითადი ეტაპები და შეადგინოს ცდის დაყენების წერილობითი ინსტრუქცია-პირობა, რომელიც მან მოსწავლეებს უნდა დაურიგოს ან ჩააწერინოს ცდის დაწყების წინ;

ბ) წინასწარ მოამზადოს ყველა ტექნიკური პირობა, განსაზღვროს თუ სად ჩატარდება ლაბორატორიული მუშაობა, მოამზადოს სამუშაოს ჩასატარებლად საჭირო ხელსაწყოები და ამ საქმეში ჩააბას მოსწავლეებიც;

გ) ინსტრუქცია-პირობის მიხედვით წინასწარ თავად დააყენოს ცდა და შეამოწმოს მიღებული შედეგების სისწორე;

3) მოსწავლეთა ლაბორატორიული მუშაობა დაიწყოს მხოლოდ მაშინ, როცა: მოგვარებულია მოსწავლეთა ლაბორატორიული მუშაობისათვის აუცილებელი ყველა ორგანიზაციულ-ტექნიკური პირობა (მოსწავლეების განლაგება სამუშაო მაგიდების მიხედვით, ხელსაწყო-აპარატების მომზადება და სხვ.); მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს რეკომენდაციას რა ამოცანა დგას მოსწავლეთა წინაშე, რა ძირითადი შედეგი უნდა მიიღონ მათ, როგორ და რა თანმიმდევრობით ჩაატარონ ლაბორატორიული

მუშაობა, რა ჩაიწერონ, რა ჩაიხატონ და ა.შ.; მოსწავლეებს დარიგებული აქვთ მუშაობის ჩატარების ინსტრუქცია – პირობა, მოსწავლეებში შექმნილია მოთხოვნილება, მოტივი და ინტერესი ჩასატარებელი სამუშაოსადმი;

4. ლაბორატორიულ მუშაობას უნდა აწარმოებდეს ყოველი ცალკე მოსწავლე ინდივიდუალურად ან ჯგუფურად (რამდენიმე მოსწავლე ერთად), ცდის თემა მოსწავლისათვის უნდა იყოს საერთო, ფრონტალური (საკონტროლო ცდის დროს დასაშვებია რამდენიმე თემა). უნდა ვაღწევდეთ იმას, რომ ცდა ყველა მოსწავლემ ჩაატაროს. ამიტომ, სადაც კი ამის შესაძლებლობაა, **უპირატესობა უნდა მივანიჭოთ ცდების ინდივიდუალურ მომზადება-ჩატარებას;**

5. იმ შემთხვევაში, როცა ლაბორატორიული მუშაობა ჯგუფურად წარმოებს, მიღწეულ უნდა იქნეს ყველა მოსწავლის თანაბარი მონაწილეობა ცდის დაყენების მთელ პროცესში. ამ მიზნით საჭიროა მასწავლებელმა განსაკუთრებული ზედამხედველობა და ოპერატიული ხელმძღვანელობა გაუწიოს ცდის დაყენების მთელ მიმდინარეობას: ხშირად მივიდეს ჯგუფთან, შეამოწმოს, რას აკეთებს თითოეული მოსწავლე; თუ აღმოჩნდება, რომ ზოგიერთი მოსწავლე მხოლოდ მაყურებლის როლშია, სასურველია ასეთ მოსწავლეებს მისცეს გარკვეული დავალება მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. ცდის დაყენების პროცესში მასწავლებელი თუ ამჩნევს, რომ მოსწავლეთა უმრავლესობას არ აქვს აღებული ცდის დაყენების სწორი მიმართულება და დადებით შედეგს ვერ აღწევს, მასწავლებელმა უნდა შეაჩეროს მთელი კლასი, მისცეს მოსწავლეებს დამატებითი ინსტრუქცია და ცდის სწორად დაყენების მიმართულება;

6. მოსწავლეები უნდა შევაჩვიოთ იმას, რომ ისინი საჭიროების მიხედვით აწარმოებდნენ ჩატარებული მუშაობის ძირითადი მომენტებისა და მიღებული დასკვნების ჩაწერას, სათანადო ჩანახაზების გაკეთებას სამუშაო რვეულში და ა.შ. ამისათვის საჭიროა მასწავლებელი უთითებდეს მოსწავლეებს, თუ რა ჩაწერონ, ჩახაზონ, ჩახატონ, როგორი თანმიმდევრობით და სხვ.;

7. ლაბორატორიული მუშაობის პროცესი უნდა დამთავრდეს იმით, რომ მოსწავლეებს დასრულებული, მთლიანი ცოდნა ჰქონდეთ იმ მოვლენაზე, რომლის შესასწავლადაც მათ ცდა დააყენეს. ამისათვის კი საჭი-

როა მასწავლებელმა საუბრის მეთოდის გამოყენებით შეაჯამოს ცდით მიღებული შედეგები იმგვარად, რომ მოსწავლეები აქტიურად ჩაებან დასკვნებისა და განზოგადებების შემუშავებაში.

დემონსტრირების მეთოდი. სხვადასხვა თვალსაჩინო მასალები (საილუსტრაციო და სადემონსტრაციო მასალები, თვით უშუალო საგნები) ცოდნის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს. იმ გზას, საშუალებას, რომლითაც ვახდენთ შესწავლისათვის გათვალისწინებული მასალის მოსწავლეთათვის უშუალო ჩვენებას, დემონსტრირების მეთოდს ვუწოდებთ. ეს მეთოდიც, ისე როგორც ლაბორატორიული მეთოდი, თვალსაჩინობის პრინციპის განხორციელების ერთ-ერთი გზაა და ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ მოვლენების, საგნების გაგებას, შეთვისებასა და მიღებული ცოდნის განმტკიცებას.

დემონსტრირების მეთოდის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ისეთ დამოუკიდებელ მეთოდს არ წარმოადგენს, როგორცაა, თხრობის, სასკოლო-ლექციური და სხვა მეთოდები. ეს გასაგებიცაა, რადგან **დემონსტრირებას ან ილუსტრირებას არ შეუძლია მოგვცეს სათანადო ეფექტი, თუ მას არ ახლავს ახსნა-განმარტება.**

დემონსტრირების მეთოდის გამოყენების საკითხი, პირველ რიგში, უკავშირდება სადემონსტრაციო მოვლენების, საგნებისა და მათი ამსახველი გამოხატულებების (მოდელების, სურათებისა და სხვ.) შერჩევის საკითხს. უნდა გვახსოვდეს, რომ დემონსტრირების წყაროდ გამოდგება არა ყველა მოვლენა, საგანი თუ მოდელი, არამედ ისეთი მოვლენები, საგნები ან მოდელები, რომლებიც მოცემულია დინამიკაში. თვით **დემონსტრირების მეთოდი გულისხმობს მოსწავლეთათვის მოვლენების, საგნებისა და მათი მოდელების დინამიკაში, მოძრაობაში, მოქმედებაში ჩვენებას.**

დემონსტრირების ყველაზე მნიშვნელოვანი სახეებია: ა) ცდების დაყენება მასწავლებლის მიერ, ბ) კინოსურათისა და დიაპოზიტივის ჩვენება, გ) დინამიკური ხასიათის სასწავლო-დიდაქტიკურ მასალასა თუ საგნებზე ახსნა-განმარტებითი მუშაობა. ლაბორატორიული მუშაობისაგან განსხვავებით, დემონსტრირების მეთოდი გულისხმობს ცდის დაყენებას, დემონსტრირებას მასწავლებლის მიერ, ხოლო მოსწავლეების მიერ—ცდის პროცესზე დაკვირვებას, სათანადო ცოდნა-ჩვევების შეთვისებას მასწავ-

ლებლის უშუალო ხელმძღვანელობით. დემონსტრირებითი ხასიათის ცდას მივმართავთ მაშინ, როცა: ა) ცდის შინაარსობრივი და ტექნიკური სირთულე შეუძლებელს ხდის ამ ცდის ლაბორატორიული წესით შესრულებას, ე.ი. როცა ეს მუშაობა აღემატება მოსწავლეთა ძალ-ღონეს; ბ) ცდა თავისი შინაარსით მოსწავლეებში სათანადო ჩვევების აღზრდის თვალსაზრისით, იმდენად უმნიშვნელოა, რომ მისი პედაგოგიური ეფექტი გაცილებით ნაკლები ღირებულებისა იქნება, ვიდრე ის დრო, რომელიც დასჭირდება ამ ცდის ლაბორატორიული წესით მოსწავლეების მიერ; გ) სკოლას არა აქვს შექმნილი სათანადო ბაზა იმისათვის, რომ ცდა მოსწავლეთა მიერ (ჯგუფობრივადაც კი) შესრულდეს: არც თვითნაკეთ ხელსაწყოებს შეუძლია უზრუნველყოს ცდის დაყენება; დ) ლაბორატორიული მუშაობის პროცესში გამოირკვა, რომ კლასის დიდ ნაწილს არ შესწევს უნარი სათანადოდ დააყენოს ცდა და დამოუკიდებლად მიაღწიოს ჯეროვან შედეგს.

მასწავლებელმა ცდა რომ სწორად და ეფექტურად დააყენოს, ცდის მთელი პროცესი მოსწავლეთათვის გასაგები, ხოლო მისი დასკვნები ადვილად და მტკიცედ შესათვისებელი რომ გახადოს, საჭიროა:

1. ცდის დაყენების წინ მოამზადოს ყველა საჭირო მასალა-ხელსაწყო, ცდის ჩატარების გეგმა (გაკვეთილის გეგმაში შეტანით), წინასწარ დააყენოს ცდა და შეამოწმოს ცდის შედეგები;

2. გაკვეთილზე, ცდის დაყენების წინ, გააცნოს მოსწავლეებს ცდის თემა, მისი მნიშვნელობა, ამოცანა, ცდის ძირითადი ეტაპები და შექმნას მათში საჭირო ინტერესი—გულდასმით დააკვირდნენ ცდის მთელ პროცესს, შეითვისონ მისგან გამომდინარე შედეგები და დასკვნები. ამასთანავე, მასწავლებელმა უნდა მისცეს მოსწავლეებს ინსტრუქტაჟი, თუ რას მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება დაკვირვების დროს, რა ხასიათის მომენტები ჩაიწერონ, ჩაიხატონ და სხვ.;

3. ცდის ჩატარებისათვის აირჩიოს ისეთი (ცენტრალური) ადგილი (მოსწავლეთა წინ), საიდანაც ყველა მოსწავლე ადვილად დააკვირდება ცდის მიმდინარეობას, ხოლო მასწავლებელი დაინახავს ყველა მოსწავლეს. ეს პრინციპი უდევს საფუძვლად იმას, რომ **სადემონსტრაციო ოთახებში მოსწავლეთა დასაჯდომები ამფითეატრულადაა განლაგებული და მოსწავლეები ამაღლებული ადგილიდან ადვილად ხედავენ ცდის პრო-**

ცეს. თუ ცდა ტარდება ჩვეულებრივ საკლასო ოთახში, მაშინ ეს ცდა უნდა დავაყენოთ არა კათედრაზე, არამედ ჩვეულებრივ მაგიდაზე, რომელიც უნდა დაიდგას მოსწავლეთა წინ, ცენტრალურ ადგილას;

4. ცდა დაიწყოს მოსწავლეთათვის ცდის პირობების გაცნობით. გზა-დაგზა მისცეს ახსნა-განმარტება, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს ილუსტრირებითი მასალები (გადიდებული სურათები, სქემები და სხვ.), მოსწავლეთა ყურადღება მიაქციოს ცდის დაყენების ტექნიკურ პროცესებზე, როცა ამას ცდის შინაარსი მოითხოვს, მისცეს ამის შესახებ სათანადო განმარტება; ცდის პროცესში, განსაკუთრებით მისი ცალკეული ეტაპის მიხედვით, დაუსვას მოსწავლეებს კითხვები ნანახის, გაგებულის შესახებ, პასუხის გაცემაში აქტიურად ჩააბას მთელი კლასი და მიაღწიოს მოსწავლეთა შეუნელებელ ყურადღებას ცდის მიმდინარეობის მთელ მანძილზე. ცდის დაყენების პროცესში თვალყური ადევნოს მოსწავლეთა მიერ იმ დავალებათა შესრულებას, რომლებიც მათ ჯერ კიდევ ცდის დასაწყისში მიეცათ (ხატვა, ხაზვა და სხვ.). ყოველივე ამით მასწავლებელმა უნდა მიაღწიოს იმას, რომ ცდის პროცესში თითოეული მოსწავლე აქტიურად მუშაობდეს—შეგნებულად უსმენდეს, აკვირდებოდეს, იწერდეს, იხატავდეს და სხვ.;

5. ცდის დასრულებისთანავე ნათლად აჩვენოს მოსწავლეებს ცდის შედეგები (შორიდან დანახვებით, ჩამოტარებით, ზოგ შემთხვევაში – მოსწავლის გამოძახებით), მოითხოვოს მოსწავლეებისაგან ნანახის აღწერა, შეაჯამოს ჩატარებული მუშაობა და დასკვნების გამოტანაში ჩააბას მთელი კლასი;

6. შეამოწმოს მოსწავლეთა მიერ ცდის გაგების ხარისხი, დამატებითი ახსნა-განმარტება მისცეს იმ მოსწავლეებს, რომლებმაც საკმაოდ ვერ შეითვისეს ცდის შედეგები, შეამოწმოს მოსწავლეების მიერ შესრულებული პრაქტიკული ნამუშევრები (ჩანაწერები, ჩანახაზები და სხვ.) და საჭირო მითითება მისცეს მათ შეცდომების გასწორებისათვის. მიუთითოს იმ წყაროებზე (სახელმძღვანელო, წიგნი, დამხმარე ლიტერატურა და სხვ.), რომლებიც უნდა შეისწავლონ მოსწავლეებმა, რათა განამტკიცონ ცდის პროცესში და მის შედეგად მიღებული ცოდნა.

გ) დემონსტრირება-ილუსტრირების მეთოდის ერთ-ერთი ნაირსახეობაა ტელეხედვის, კინოსურათის, ინტერნეტის და სლაიდ-შოუს გამო-

ყენება. ისინი წარმოადგენენ არა მარტო ცოდნის შექმნისა და მიღებული ცოდნის განმტკიცების დაუშრეტელ წყაროს, არამედ უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობის ფაქტორსაც.

ილუსტრირების მეთოდი. სწავლების ტექნიკურ მეთოდთა შორის ცნობილია ილუსტრირების მეთოდი. სწავლების პროცესში საილუსტრაციოდ ვიყენებთ არა მარტო ნატურალურ საგნებს, მოვლენებს, არამედ მათ მოდელებს, სქემებს, ტაბულებს, რუკებს და ა.შ. ამიტომ უნდა გავითვალისწინოთ, თუ რომელ შემთხვევაში რა სახის საილუსტრაციო მასალას მივმართავთ და როგორ გამოვიყენოთ ისინი. ამ თვალსაზრისით აუცილებელია შემდეგი ძირითადი წესების დაცვა:

ა) საილუსტრაციო მასალა მოსწავლემ უნდა ნახოს მხოლოდ მაშინ, როცა ეს მასალა უშუალოდ უნდა იყოს გამოყენებული;

ბ) მასწავლებელმა საილუსტრაციო მასალის ჩვენება ისე მოხერხებულად უნდა ჩართოს საუბარში, თხრობაში, სასკოლო ლექციასა თუ ლაბორატორიულ მუშაობაში, რომ მოსწავლის ყურადღება მიიზიდოს არა ამ თვალსაჩინო მასალის საერთო ხედმა, მისმა გარეგანმა მხარეებმა, არამედ სურვილმა-იპოვოს პასუხი საუბარში, თხრობასა და სხვა პროცესში წამოჭრილ კითხვაზე;

გ) მასწავლებელმა მიუთითოს საილუსტრაციო მასალის საერთო თემაზე, თვით გააცნოს ამ მასალის ზოგადი აზრი და შემდეგ მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება მასალის იმ მხარეს, რაც უშუალოდ სწავლების ამოცანას უკავშირდება;

დ) საილუსტრაციო მასალის გაანალიზებაში ჩააბას მოსწავლეები (როცა ეს საჭიროა და კითხვა-პასუხის საშუალებით მიაღწიოს მოსწავლეთა შემოქმედებით, დამოუკიდებელ მუშაობას საილუსტრაციო მასალაზე);

ე) საჭირო შემთხვევაში მიმართოს საილუსტრაციო მასალაზე ვარჯიშს (რუკა, ტაბულა და სხვ.) და მიაღწიოს ამ მასალის გამოყენებით ცოდნის განმტკიცებას;

ვ) მიეცეს მითითება მოსწავლეებს—ჩაიწერონ საილუსტრაციო მასალის დათვალიერების შედაგად მიღებული დასკვნები, გადახატონ მასალის ესა თუ ის ელემენტები და სხვ.;

ზ) ერთსა და იმავე გაკვეთილზე ერთი და იმავე საკითხის შესახებ სხვადასხვა სახის საილუსტრაციო მასალის (ნატურალური საგანი, მოდელი, სურათი) გამოყენების შემთხვევაში (მაგალითად, უჯრედი, უჯრედის მოდელი, უჯრედის გადიდებული სურათი) მასწავლებელმა ილუსტრირება უნდა მოახდინოს შემდეგი თანმიმდევრობით: ჯერ აჩვენოს ნატურალური საგანი, შემდეგ – მოდელი და ბოლოს – სურათი; იმ შემთხვევაში, როცა ერთი და იმავე სახის საილუსტრაციო მასალას მიმართავს, დაიცვას მარტივიდან რთულზე, ადვილიდან ძნელზე, მთლიანიდან ნაწილზე გადასვლის პრინციპები.

პრაქტიკული მეთოდები. მოსწავლის შრომას მარტო სასწავლო-საგანმანათლებლო მნიშვნელობა როდი აქვს; უდიდესია მისი აღმზრდელობითი როლი და ფუნქციაც. ეს როლი ჯერ კიდევ კ.უშინსკიმ კლასიკურად განსაზღვრა თავის შრომაში – „შრომის ფსიქიკური და აღმზრდელობითი მნიშვნელობა“, როცა დაასაბუთა, რომ შრომა და შრომისმოყვარეობა ჭეშმარიტი ადამიანის აღზრდის ქვაკუთხედი და საფუძველია. შრომითი სწავლების მეთოდების სრულყოფას და გამოყენებას აღზრდის მთელ სისტემაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დღეს.

პრაქტიკულ-ვარჯიშობითი მეთოდი გულისხმობს სწავლების ისეთ პროცესს, როცა მოსწავლე მასწავლებლის ხელმძღვანელობით სათანადო **პრაქტიკული ჩვევის გამომუშავების მიზნით მრავალჯერ იმეორებს ერთსა და იმავე ან მსგავს სამუშაოს** (ცდის დაყენება, პრაქტიკულ მუშაობა სახელოსნოში, მიწის ნაკვეთზე და სხვ.) ასეთი განმეორების გარეშე კი არ არსებობს ნამდვილი სწავლება. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ საყოველთაოდ მიღებულ უძველეს გამოთქმას – „განმეორება ცოდნის დედაა“ – თავისი ძალა არ დაუკარგავს და არც არასოდეს დაკარგავს. პრაქტიკულ-ვარჯიშობითი მეთოდი მოსწავლეებში დამოუკიდებელი პრაქტიკული მუშაობის ჩვევების გამომუშავება-განმტკიცების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა.

იმისათვის, რომ ყოველი პრაქტიკულ-ვარჯიშობითი მეთოდი სწორად გამოვიყენოთ, საჭიროა მასწავლებელმა:

ა) ზუსტად მოიფიქროს და განსაზღვროს მოსწავლის პრაქტიკული სავარჯიშოები, როგორც საერთო-საკლასო, ყველასათვის სავალდებულო,

ისე დამატებითი-იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც თავიანთი მომზადებისა და ნიჭიერების მიხედვით განსაკუთრებული, სპეციფიკური დავალებების მიღებას საჭიროებენ. ამასთან, ზუსტად განსაზღვროს დავალების მოცულობა ვარჯიშობისათვის საჭირო დროის გათვალისწინებით;

ბ) განუმარტოს მოსწავლეებს ის ძირითადი აზრი, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ვარჯიშობას აქვს, და ამით, რამდენადაც შეიძლება, ნაკლებად მოსაწყენი გახადოს ბავშვისათვის ერთსა და იმავე მასალაზე ხანგრძლივი მუშაობა, ერთი და იმავე ოპერაციების მრავალგზის განმეორება;

გ) ამა თუ იმ სავარჯიშოს შესრულების დავალება მოსწავლეს მისცეს მას შემდეგ, რაც სავარჯიშო მასალის დედააზრი მოსწავლემ გაიაზრა და გააცნობიერა;

დ) შეაჩვიოს მოსწავლეები იმას, რომ **ისინი ვარჯიშობდნენ მანამ, სანამ სავსებით მტკიცედ არ შეითვისებენ განსაზღვრულ ცოდნასა და ჩვევებს;**

ე) შეაჩვიოს მოსწავლეები სხვადასხვა ხელსაწყო-იარაღების ხმარებას და საწარმოო პროცესების შესრულებას სახელოსნოში, მიწის ნაკვეთზე, საწარმოში, ექსკურსიაზე თავის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სასწავლო-აღმზრდელობით ამოცანად გაიხადოს ბავშვთა შეიარაღება შრომის ტექნიკური ჩვევებით;

ვ) ზუსტად დაგეგმოს შრომითი – პრაქტიკული ვარჯიშობების ჩატარება, ყოველი გაკვეთილის გეგმაში ზუსტად განსაზღვროს შესასრულებელი სავარჯიშო და ვარჯიშობის დრო; მოსწავლეებს შეუქმნას ინტერესი ამა თუ იმ სავარჯიშოს შესასრულებლად, რისთვისაც განუმარტოს მათ ვარჯიშის თემა, ამოცანა, მიუთითოს მუშაობის ხერხებზე;

ზ) თვალყური ადევნოს ვარჯიშობის მიმდინარეობას და მისი ცალკეული ეტაპები შეაჯამოს საუბრის, კითხვა-პასუხის საშუალებით;

თ) ვარჯიშობის პროცესში მოსწავლეებს საჭიროების მიხედვით, მისცეს სათანადო ახსნა-განმარტება ამა თუ იმ საკითხის ან ვარჯიშობის ხერხების შესახებ, თვით შეასრულოს ესა თუ ის ოპერაცია და ნიმუშის ჩვენებით მოსწავლეთა მუშაობას უფრო სწორი მიმართულება მისცეს;

ი) შეაჩვიოს მოსწავლეები სწრაფ ორიენტაციას ამა თუ იმ სიძნელის დაძლევის პროცესში, შეაჩვიოს ისინი დაუზარებლად, სწრაფად, ნაყო-

ფიერად, ენერჯის ზედმეტი დამაბვის გარეშე შეასრულონ ისეთი საჭირო და აუცილებელი ამოცანა, რომელიც ზოგჯერ მათთვის სასიამოვნო და მიმზიდველი არაა.

წერითი მუშაობა. სწავლების მეთოდთა კლასიფიკაციაში სრულიად განსაკუთრებულ ადგილს იკავებს წერითი მუშაობა, რომელიც **არა მარტო ცოდნის წყაროა, არამედ, ამავე დროს—სწავლების სახე და მეთოდიც.** წერითი მეტყველების აღზრდა-განვითარება სკოლის უძირითადესი ამოცანაა. ეს გასაგებია, რადგან წერითი მეტყველების კულტურის მაღალი დონის გარეშე შეუძლებელია წარმოვიდგინოთ სრულყოფილი, მრავალმხრივ განვითარებული ადამიანი, როგორც ცნობილია, წერითი მეტყველების კულტურა ადამიანის გარკვეულ თვისებრივ მხარეს წარმოადგენს ზეპირი მეტყველების კულტურასთან ერთად. იგი ერთ-ერთი უმძლავრესი სოციალური მნიშვნელობის იარაღია, რომლითაც ადამიანები ურთიერთშორის ამყარებენ აუცილებელ საზოგადოებრივ კავშირს. იგი აზროვნებისა და შემოქმედებითი შრომის აუცილებელი იარაღია.

წერითი მეტყველების გარკვეული დონე თავისთავად კი არ იქმნება, არამედ აღზრდის საგანსა და შედეგს წარმოადგენს. ამასთან, წერითი მეტყველების განვითარება აუცილებელი საშუალებაა ადამიანის მიერ გარკვეული ცოდნა-ჩვევების დაუფლებისათვის. მეტიც, წერითი კულტურა რომ არ ყოფილიყო, შეუძლებელი იქნებოდა მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლება და პრაქტიკული შრომა-საქმიანობის ჩვევების აღზრდა ადამიანში. ამასთან მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია მიღებული ცოდნის განმტკიცებისათვის. ამიტომ **წერითი მეტყველება სწავლა-აღზრდის საგანიცაა და საშუალებაც.**

წერითი მეტყველების კულტურის დაუფლება, პირველ რიგში, თვით წერითი მუშაობის მრავალფეროვანი სახეების გამოყენების გზით ხდება. ამიტომ ამ სახეებისა და გზების ძირითადი, პრინციპული საფუძვლების გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ცალკე საგნებში (ენა, ლიტერატურა, მათემატიკა და სხვ.) წერითი მუშაობის მეთოდის საკითხთა დამუშავებისათვის, ისე პრაქტიკულად მათი განხორციელების მხრივაც. წერით ფიქსაციაში ყველაზე აქტიურად მონაწილეობს მოტორიკა, მხედველობა და აზროვნება. წერის პროცესი ორგა-

ნიზებული და რთული პროცესია, რომელშიც აქტიურადაა ჩართული ადამიანი, ამ შემთხვევაში მოსწავლე, როგორც მთლიანი პიროვნება.

ნებისმიერი საგნის სწავლების პროცესში წერითმა მუშაობამ ხელი უნდა შეუწყოს: მოსწავლეების მიერ ახალი მასალის შეგნებულად შეთვისებას; მიღებული ცოდნა-ჩვევების განმტკიცებას; წიგნზე და სხვადასხვა ბეჭდურ წყაროზე დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას; პრაქტიკული ჩვევების აღზრდას, განსაკუთრებით ისეთი ჩვევებისა, რომლებიც საჭიროა მოსწავლეთა მომავალი პრაქტიკული მუშაობისათვის; პასუხისმგებლობის გრძნობისა და მოვალეობის ჩვევის აღზრდას; მოსწავლეში მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნების აღზრდა-განვითარებას; შემოქმედებითი უნარის განვითარებას.

მიმდინარე, ყოველდღიური წერითი მუშაობის სახეები მრავალგვარია. ეს მრავალგვარობა ძირითადად განპირობებულია თითოეული სასწავლო საგნის სპეციფიკით და იმით, თუ რომელ კლასთან გვაქვს საქმე. წერითი მუშაობის უმთავრესი სახეებია: 1. გადაწერა; 2. წერა კარნახით; 3. ამონაწერების გაკეთება; 4. ჩანაწერების გაკეთება; 5. დაკონსპექტება; 6. თეზისების შედგენა; 7. წერითი ვარჯიშობა; 8. ტექსტის მოკლე შინაარსის დაწერა; 9. ლიტერატურაში გმირის თავგადასავლის დაწერა, დახასიათების დაწერა; 10. თემის დაწერა; 11. გეგმის შედგენა და სხვ.

წერითი მუშაობის ჩამოთვლილ სახეებს წერის სპეციფიკური გზები და ხერხები აქვს, რომელთაც ცალკე საგნების მეთოდნიკები სწავლობს, მაგრამ მათ უფრო აქვთ საერთო, ზოგადი პრინციპებიც, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს წერითი სამუშაოს ყველა კონკრეტულ შემთხვევაში.

წერითი მუშაობის შესრულება უნდა წარმოადგენდეს გარკვეულ სიძნელეს, რომლის დაძლევაც მოსწავლეში უნდა იწვევდეს კმაყოფილების, სიამოვნების გრძნობას. ამიტომაც წერითი მუშაობის შინაარსი და მოცულობა, მოსწავლის ზრდა-განვითარებასთან ერთად, თანდათანობით უნდა რთულდებოდეს. წერა უნდა იყოს არა მექანიკური, არამედ გააზრებული, შეგნებული პროცესი. ამიტომ წერა უნდა იწყებოდეს მას შემდეგ, რაც წერითი მუშაობის დედააზრი მასწავლებელმა გააცნო მოსწავლეს, ან იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლეს ტექსტის წაკითხვის ან უშუალო დაკვირვების შედეგად წერის თემა და მისი მასალა სახეებით

გააზრებული აქვს. წერის თემა და შინაარსი უნდა პასუხობდეს მეცნიერებათა საფუძვლების თანმიმდევრულად დაუფლების პრინციპს. ზოგ შემთხვევაში დასაშვებია და საჭიროც, ცალკეულ მოსწავლეს, მისი ინდივიდუალური თავისებურების მიხედვით, მიეცეს დამატებითი დავალება ამა თუ იმ სახის წერითი მუშაობის შესრულებისათვის. მოსწავლეს შექმნილი უნდა ჰქონდეს წერისათვის საჭირო ჰიგიენურ-ტექნიკური პირობები (სამუშაო ადგილი, საწერი ინსტრუმენტი, დროის დაცვა და სხვ.) და თვით მოსწავლეში ვზრდიდეთ წერის ჰიგიენის დაცვის ჩვევებს (სწორად ჯდომა, კალმისტრის თუ ფანქრის დაჭერის წესის დაცვა, ლამაზად, სუფთად და ფაქიზად წერა და სხვ.).

მოსწავლეთა წერით მუშაობას უნდა ხელმძღვანელობდეს მასწავლებელი, რაც გულისხმობს: დავალების სწორად მიცემას, დროის მიხედვით წერითი მუშაობის ზუსტ დოზირებას, შესრულების პროცესში საჭირო დახმარების გაწევას (მიმართულების მიცემა, შეცდომების გზადაგზა გასწორება და სხვ.). ამ საფუძველზე მიღწეულ უნდა იქნეს წერითი ნამუშევრების იდეურ-შინაარსობრივი, სტილისტიკური, გრამატიკული და ორთოგრაფიული გამართულობა.

მიმდინარე და საკონტროლო წერით მუშაობასთან ერთად, სკოლაში ფართოდაა დანერგილი ე.წ. **შემოქმედებითი წერა.**

შემოქმედებითი წერის თემატიკა მეტად მრავალფეროვანია. ამ მრავალფეროვნებას ისიც უწყობს ხელს, რომ თითოეულ მოსწავლეს თავისი სულიერი სამყარო – ფანტაზიები, განცდები, მისწრაფებები აქვს. მოსწავლის მოთხოვნილება და სურვილია ყოველივე ეს გადმოსცეს გარკვეული შინაარსით, გარკვეულ სახეებსა და ფერებში. სწორედ ამიტომ კიდევ უფრო საპასუხისმგებლო და რთულია ამ სახის წერით მუშაობაზე მასწავლებლის ხელმძღვანელობა. პირველ ყოვლისა, საჭიროა მასწავლებელი იცნობდეს თითოეულ მოსწავლეს, მის საერთო განვითარებას, მისწრაფებას, ნიჭს და სხვა; ინდივიდუალური მიდგომით ეხმარებოდეს მოსწავლეებს შემოქმედებითი წერის თემების სწორად შერჩევაში და სასურველ მიმართულებას აძლევდეს მათ მუშაობას.

წერითი მუშაობის წარმატებით განხორციელებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება **შეცდომების გასწორებას.** გასწორების გზები და

ხერხები მრავალგვარია და სპეციფიკური, როგორც ცალკეულ საგნებში, ისე წერითი მუშაობის ცალკეული სახეებისა და ცალკე კლასებისათვის.

შეცდომები შეიძლება იყოს შინაარსობრივი, სტილისტიკური, გრამატიკული და ორთოგრაფიული. თითოეული მათგანის გასწორებას თავისი მეთოდები და ხერხები აქვს. ძირითადი პრინციპები, რომლებითაც უნდა ვხელმძღვანელობდეთ შეცდომათა გასწორების დროს, მდგომარეობს იმაში, რომ:

ა) მოსწავლეს, პირველ ყოვლისა, შევაგნებინოთ დაშვებული შეცდომა, მისი ხასიათი და შეგნებულადვე გავასწორებინოთ იგი;

ბ) შეცდომების აღმოჩენაში აქტიურად ჩავაბათ თვით მოსწავლე;

გ) ყველა წერითი ნამუშევარი, რომლებიც მასწავლებლის უშუალო ხელმძღვანელობით თუ მითითებით იქნა მოსწავლის მიერ შესრულებული, უნდა შეამოწმოს მასწავლებელმა ყოველმხრივ. ამასთან, ვიდრე მოსწავლის წინა ნამუშევარი არ გასწორდება, ახალ თემაზე წერითი მუშაობის ჩატარება დაუშვებელია;

დ) მოსწავლეთა საკონტროლო წერითი ნამუშევარი მასწავლებელმა არა მარტო უნდა გაასწოროს, არამედ შეაფასოს კიდევ სათანადო ნიშნით.

საშინაო დავალება. სწავლების პროცესის ერთ-ერთ ორგანულ ნაწილს, მის ერთგვარად დამამთავრებელ რგოლს მოსწავლეთა საშინაო დავალება და მისი შესრულება წარმოადგენს. **საშინაო დავალების გარეშე შეუძლებელია წარმოვიდგინოთ სრულყოფილი პედაგოგიური პროცესი.** ამიტომ საშინაო დავალების შეუფასებლობა სრულიად დაუშვებელია როგორც სასწავლო, ისე აღმზრდელობითი თვალსაზრისით.

საშინაო დავალება, რომელიც მოსწავლის მიერ დამოუკიდებლად სრულდება, მტკიცედაა დაკავშირებული საკლასო მეცადინეობასთან. იგი მიზნად ისახავს მასწავლებლის მიერ გაკვეთილზე ახსნილი მასალის ხელმძღვანელობით ან სხვა დამხმარე წყაროებით დასწავლას, გაკვეთილზე მიღებული ცოდნისა და ჩვევების განმტკიცებას.

საშინაო დავალება მრავალფეროვანია, რომელთაგან უმთავრესია შემდეგი სახის საშინაო დავალებები: გაკვეთილზე ახსნილი მასალის დასწავლა სახელმძღვანელოს მიხედვით, წერით და ზეპირ სავარჯიშოთა შესრულება, ამოცანათა ამოხსნა, ცდების ჩატარება, თხზულებათა დაწე-

რა, მოდელებისა და ნახაზების დამზადება, ცხრილებისა და დიაგრამების შედგენა, ექსპონატების შეგროვება და სხვ.

საშინაო დავალება გააზრებული უნდა იყოს თითოეული მოსწავლის მიერ როგორც შინაარსობრივად, ისე მისი შესრულების გზების, ხერხების მხრივ. ამიტომ ყოველი საშინაო დავალების მიზანი და ამოცანა მასწავლებელმა საფუძვლიანად უნდა განუმარტოს მოსწავლეს, კერძოდ, რა და როგორ უნდა შეასრულოს. „მასწავლებლისათვის არაფერია იმაზე ადვილი, რომ ფრჩხილით ან ფანქრით აღნიშნოს წიგნის გვერდი და მისცეს ის მოსწავლეს დასასწავლად, მაგრამ ასეთი დავალება შედეგის მომტანი არ იქნება“ (კ.უშინსკის).

საშინაო დავალება ორგანია: საერთო-საკლასო ანუ ფრონტალური და სპეციალურ-ინდივიდუალური. საერთო-საკლასო დავალების შესრულება ყველა მოსწავლისათვის სავალდებულოა, ხოლო სპეციალურ-ინდივიდუალური—იმისათვის, ვისაც საგანგებოდ მიეცა ასეთი დავალება. ინდივიდუალური დავალების ამოცანაა ამა თუ იმ მოსწავლის ცოდნაში არსებული ხარვეზის, ჩამორჩენილობის აღმოფხვრა, რომელიმე სუსტად ჩამოყალიბებული უნარ-ჩვევების განმტკიცება და ა.შ. სპეციალური ინდივიდუალური დავალება ეძლევათ ისეთ მოსწავლეებსაც, რომლებიც ასეთი სახის საშინაო დავალებებისადმი განსაკუთრებულ მიდრეკილებას, ნიჭს და სხვა თავისებურებას იჩენენ. იმისათვის, რომ დავალება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ქმედით, ეფექტურ ღონისძიებად იქცეს, საჭიროა მასწავლებელმა მკაცრად იხელმძღვანელოს შემდეგი ძირითადი დიდაქტიკური მოთხოვნებით: 1. საშინაო დავალება უნდა გამომდინარეობდეს პროგრამის შესაბამისად გაკვეთილზე ახსნილი მასალიდან; 2. მასწავლებელმა საშინაო დავალება უნდა მისცეს მას შემდეგ, რაც მასალა მის მიერ საფუძვლიანად და მისაწვდომად იქნა ახსნილ-განმარტებული, ხოლო მოსწავლეთა მიერ – გააზრებული და გაგებული; 3. საშინაო დავალების მოცულობა მტკიცედ უნდა იყოს დოზირებული და შეფარდებული მოსწავლის დღის რეჟიმთან, მისი დატვირთვის ნორმებთან; 4. საშინაო დავალებები თანაბრად უნდა ნაწილდებოდეს დღეებზე კვირის მანძილზე. საგნის მასწავლებლები შეთანხმებულად უნდა მუშაობდნენ, რათა არ მოხდეს ისე, რომ საშინაო დავალებებით ზედმეტად დატვირთონ მოსწავლეები ერთ რომელიმე დღეს, ან ერთ რომელიმე საგანში,

სხვა დღეს კი დავალება არ მისცენ ან მარტივი სახის დავალებებით დატვირთონ; 5. საშინაო დავალების მიცემისათვის მასწავლებელმა დრო უნდა გამოყოფს, უმთავრესად გაკვეთილის დასკვნითი ნაწილის ბოლოს, მოსწავლეებს განუმარტოს, თუ რა უნდა შეასრულონ და რა გზით; 6. უმეტეს შემთხვევაში საშინაო დავალება არა მარტო უნდა მოწმობდეს მოსწავლის მიერ, არამედ, ამასთანავე, ეძლეოდეს გარკვეული შეფასებაც.

ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი. სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან კონკრეტული-საკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ; სწავლების დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ; სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება; სინთეზის მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

ელექტრონული სწავლება (E-learning) – ეს მეთოდი მოიცავს სწავლების სამ სახეს: დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პროფესორისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით. ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური), სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში. მთლიანად დისტანციური სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას პროფესორის ფიზიკური თანდასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად ელექტრონული ფორმატით მიმდინარეობს. მოცემული ძირითადი მეთოდების გარდა არსებობს სწავლების უამრავი მეთოდი, რომლის შერჩევა მასწავლებელს შეუძლია კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

ასევე მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ - სწავლის სწავლა - პროცესი, რომელიც გულისხმობს ადამიანის მიერ საკუთარი სწავლის მართვის გაცნობიერებას, რაც მოიცავს სწავლის დაგეგმვას, შეფასებას და მუდმივ მონიტორინგს. სწავლის სწავლა ეხება ცოდნას იმის შესახებ, თუ როგორ სწავლობს ადამიანი ეფექტიანად (კონკრეტული ამოცანის მოთხოვნების მიღება, მისი გადაჭრის ეფექტური სტრატეგიების ცოდნა) და საკუთარი სასწავლო გამოცდილებების რეგულაციას (მოცემული ამოცანის წარმატებით გადაჭრის გზების ცოდნა და გამოყენება). სწავლის სწავლას აქვს ორი კომპონენტი: გონებრივი და ემოციური. სწავლის სწავლის გონებრივი კომპეტენცია, თავის მხრივ, იყოფა ორ ქვესფეროდ: სწავლის მოქმედებები და აზროვნების მოქმედებები. სწავლის მოქმედებების ძირითადი კომპონენტია სწავლის მართვის უნარ-ჩვევების განვითარება. კერძოდ, სწავლის შემადგენელი ოპერაციების და ჩვევების დაუფლება (ინფორმაციის დასამახსოვრებლად ძირითადი იდეების ამოწერა ან ხაზგასმა, მთლიანი მასალის ნაწილებად დაყოფა, ნაწილ-ნაწილ დასწავლა და ა.შ.) და მათი გამოყენება. აზროვნების მოქმედებების ძირითადი კომპონენტები მოიცავს ლოგიკურ აზროვნებას, პრობლემის გადაწყვეტას, საკუთარი სწავლის პროცესის გაცნობიერებას და გამოყენებას. ემოციური კომპონენტი გულისხმობს პიროვნების მიერ საკუთარი ემოციების მართვას ანუ თვითრეგულაციას. მაშინ როცა მოსწავლე ახალი ამოცანის გადაჭრის წინაშე დგას, ეფექტური თვითრეგულაცია გულისხმობს: შეცდომის დანახვის და გამოსწორების უნარს; უცნობი ვითარებისადმი შეგუებას; წარმატების იმედს.

შესაბამისად, სწავლის სწავლის უნარ-ჩვევის შეფასება მოიცავს არა მხოლოდ მოსწავლის სააზროვნო უნარ-ჩვევებს, არამედ ითვალისწინებს იმასაც, თუ რამდენად მიმღებელია იგი აკადემიური დავალებების მიმართ და როგორ იყენებს თავის უნარ-ჩვევებს მათ გადასაჭრელად. თანამედროვე სწავლის სწავლას მეტაკოგნიციასაც უწოდებენ.

„საგნის სწავლებასთან ერთად მასწავლებელი ხშირად მოსწავლეებს იმასაც ასწავლის, თუ როგორ ისწავლონ. ზოგადად, მასწავლებელს კლასში მოსწავლეებს სამი ძირითადი კატეგორია ხვდება: მოსწავლეები, რომლებიც სხვისი დახმარების გარეშე სწავლობენ; მოსწავლეები, რომლებსაც მცირე დახმარება სჭირდებათ და მოსწავლეები, რომლებსაც მნიშვნელოვანი დახმარება სჭირდებათ სწავლაში“ (მური, 2009). მასწავლებლის მიზანია, ხელი

შეუწყოს ამ მოსწავლეებს, რომლებსაც დახმარების გარეშე უჭირთ სწავლა და განუვითაროს მათ დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევები. ამ მიზნის მისაღწევად მასწავლებელი უამრავ მეთოდსა და სტრატეგიას იყენებს, რომელთაგან ზოგიერთი მოსწავლეზე პირდაპირ და ზოგიერთი არაპირდაპირ გავლენას ახდენს. თუ სწავლების ერთი ტიპის სტრატეგია აქცენტს მასწავლებლის როლზე აკეთებს, მეორე ტიპის სტრატეგიის გამოყენება გულისხმობს მოსწავლეების მეტად აქტიურობასა და ჩართულობას სასწავლო პროცესში. მკვლევრები განასხვავებენ სწავლების ორ ტიპს: პირდაპირ და არაპირდაპირ სწავლებას. პირდაპირი სწავლება სწავლების უფრო ტრადიციული ფორმაა, ვიდრე არაპირდაპირი. პირდაპირი სწავლებისას ცოდნა მასწავლებლის გავლით გადაეცემა მოსწავლეებს, ხოლო არაპირდაპირი სწავლებისას მოსწავლეებს ეძლევათ ინფორმაცია, მითითებები ინფორმაციაზე, რომელზე დაყრდნობითაც თავად აგებენ ცოდნას.

პირდაპირი სწავლებისას დადებითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ ის ძალიან ეფექტურია ინფორმაციის მოსწავლეებისათვის სწრაფად გადაცემის თვალსაზრისით. ამიტომ კარგად გამოიყენება ფაქტობრივი ცოდნის გადაცემისას. პირდაპირი სწავლება ნაკლებად ეფექტურია შედარებით მაღალი სააზროვნო უნარების, მაგ., ანალიზისა და შეფასების უნარების განსავითარებლად. ამ შემთხვევაში უფრო ხშირად გამოიყენება არაპირდაპირი სწავლების მეთოდები, რომლებიც მოსწავლეს უფრო მეტ სტიმულს აძლევს, მოიძიოს ინფორმაცია, დაახარისხოს, გაანალიზოს, დაასკვნას და განაზოგადოს. გარდა ამისა, არაპირდაპირი სწავლებით მოსწავლეს კვლევა-ძიებისა და დამოუკიდებლად მუშაობის უნარები უვითარდება.

საგულისხმოა ისიც, რომ პირდაპირი და არაპირდაპირი სწავლების მეთოდებს შორის მკაცრი ხაზის გავლენა მიზანშეწონილი არ არის. ხშირად ორივე სტრატეგია ერთი და იმავე გაკვეთილის განმავლობაში შეიძლება გამოიყენოს მასწავლებელმა. ის, თუ რომელი მიდგომა და მეთოდი უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა ამა თუ იმ გაკვეთილზე, დამოკიდებულია უამრავ ფაქტორზე, როგორცაა მაგალითად: საგანი, მოსწავლეთა ასაკი, კონკრეტული სასწავლო მიზანი, სწავლების საფეხური, კლასი, მოსწავლეების ტიპი, დრო და ა. შ. ამასთან, სწავლების სტრატეგიების ცვლა დადებითად მოქმედებს მოსწავლეთა მოტივაციაზე და სასწავლო პროცესს უფრო სახალისოს ხდის.

პირდაპირი სწავლების მეთოდს ხშირად კლასის ერთობლივი სწავლების (ლექცია) მეთოდებსაც უწოდებენ.

გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოში „ეფექტიანი სწავლება“ დასახელებულია მასალის მიწოდების ორი ტრადიციული მიდგომა: დედუქციური და ინდუქციური. დედუქციური მიდგომით ჩატარებული გაკვეთილი იწყება ზოგადი ცნებების განმარტებით, რის შემდეგაც მასწავლებელი გადადის უფრო კონკრეტული საკითხების განხილვაზე. მაგ., დემოკრატიის სწავლებისას მასწავლებელი თავდაპირველად განიხილავს ზოგადად დემოკრატიას, დემოკრატიის მნიშვნელობას და შემდეგ ცდილობს, ისაუბროს კონკრეტული პოლიტიკური სისტემისა თუ სხვადასხვა ქვეყნის დემოკრატიაზე.

ინდუქციური მიდგომა ხორციელდება კონკრეტული მაგალითების განხილვით და შემდეგ განზოგადებით. მაგ., ხდება სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკური წყობის მოდელების განხილვა და ამის შემდეგ გამოიყოფა ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც დამახასიათებელია ზოგადად დემოკრატიული მმართველობისათვის.

სწავლების მეთოდები არ არის გამიჯნული, პირიქით ისინი ერთმანეთს ავსებენ და განაპირობებენ სასწავლო პროცესის ეფექტურობას. სწავლების ზეპირსიტყვიერი მეთოდები თან ახლავს ნებისმიერ სხვა მეთოდს. ასე რომ რომელიმე მეთოდის ცალკე სხვა მეთოდებისაგან იზოლირებულად განხილვა და გამოყენება არ შეიძლება.

ამ თავში განხილული იყო სწავლების ტრადიციულ მეთოდები (ძირითადად დ. ლორთქიფანიძისეული). თუმცა პედაგოგიკა მუდმივად ვითარდება და სწავლების მეთოდთა ნაირსახეობის დანერგვას თანამედროვე სიახლეები, ცხოვრება მოითხოვს. მე-20 საუკუნის ბოლოს საგანმანათლებლო სივრცეში დამკვიდრდა სწავლების ინოვაციური, ინტერაქტიული მეთოდები. ბევრი მათგანი ტრადიციულ მეთოდებზეა დამყარებული, ბევრიც ახალი სიტყვაა პედაგოგიკაში. მასწავლებელი უნდა იცნობდეს მათ. მოახდინოს მათი სწორად შერჩევა და შემოქმედებითად გამოყენება სასწავლო პროცესში.

კითხვები დამოუკიდებელი მუშაობისათვის:

1. რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს სწავლების მეთოდები?
2. დაახასიათეთ თითოეული მათგანი. რა განაპირობებს მათ ეფექტურად გამოყენებას?

თემა 4. ჯგუფური, ინდივიდუალური და წყვილებში მუშაობის არსი, თანამშრომლობითი სწავლება

ლექციაზე განსახილველი საკითხები:

1. დამოუკიდებელი და ჯგუფური მუშაობის არსი, მნიშვნელობა;
2. ჯგუფების შექმნა და შემადგენლობა;
3. ჯგუფური მუშაობის მართვა და შეფასება.

სწავლების მეთოდების ეფექტურობას ხშირად განაპირობებს ის, თუ როგორ გამოვიყენებთ მას საერთო-საკლასო მუშაობის, ჯგუფებში, ინდივიდუალური თუ წყვილებში მუშაობის დროს. ჯგუფური მუშაობა ითვლება სასწავლო პროცესის განხორციელების ერთ-ერთ ძირითად საშუალებად. მისი მეშვეობით ხდება პრობლემის გადაჭრის გზის ძიება.

მოსწავლეზე ორიენტირებულმა განათლებამ ძლიერი ბიძგი მისცა თანამშრომლობითი პედაგოგიკის განვითარებას და დღეს ფართოდ არის გავრცელებული მსოფლიოში. სასწავლო პროცესის ორგანიზაციის ფორმებს შორის აღსანიშნავია წყვილებში და ჯგუფებში მუშაობა. „ტრადიციული გაკვეთილის დროს, როცა ჭარბობს ფრონტალური გამოკითხვა, ძირითადად აქტიურობენ ძლიერი მოსწავლეები. ისინი ახალ მასალას ადვილად იგებენ, სწრაფად ითვისებენ და მასწავლებელი მათ ეყრდნობა. აკადემიურად სუსტი მოსწავლე კი ჩრდილშია და ჩამორჩენა გარანტირებული აქვს, ვინაიდან დრო არ ყოფნის, რომ ყველაფერი ნათლად წარმოიდგინოს და ვერც იმას ბედავს, რომ კითხვებით მიმართოს მასწავლებელს; თუ შეეკითხებიან სწრაფად ვერ პასუხობს ან არასწორად პასუხობს და... მოკლედ აფერხებს გაკვეთილის მსვლელობას“ (ტრენინგის მასალები, ადამიანის უფლებების სწავლება ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით). როცა მოსწავლეს ინდივიდუალურ დავალებებს ვაძლევთ და ის თავისთვის მეცადინეობს, წერს თხზულებას, ხსნის მაგალითს, კითხულობს ტექსტს, მუშაობს პროექტზე, მოიძიებს სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებულ დამატებით მასალებს და ა. შ. იზრდება მოსწავლის დამოუკიდებლობის ხარისხი, მასწავლებლის კონტროლი მინიმალურია, მოსწავლე თავად განსაზღვრავს შინაარსის დეტალებს,

პრეზენტაციის ფორმას და გეგმავს მუშაობის გრაფიკს. დამოუკიდებელი სწავლების ფორმას აქვს უპირატესობა:

- ნაკლებ სტრესს იწვევს მოსწავლეებში, ვიდრე საკლასო ორგანიზაციის სხვა ფორმა, რადგან ამ შემთხვევაში მუშაობის პროცესში იგი დაცულია სხვათა კრიტიკისა და შეფასებისგან;

- მასწავლებელს ეძლევა საშუალება სიღრმისეულად დაინახოს ინდივიდუალური თავისებურებები, მისი სწავლის სტილი, სუსტი თუ ძლიერი მხარეები;

- მოსწავლეებში ვითარდება დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღების უნარი, საკუთარი ძალების რწმენა და ავტონომიურობა.

დამოუკიდებელი მუშაობის უარყოფითი მხარეა ის, რომ მოსწავლე დაინტერესებულია ძირითადად მისი წარმატებებით. თანამშრომლობითი პედაგოგიკა სწავლებისადმი სხვაგვარ მიდგომას გვთავაზობს, როცა მოსწავლეები გვერდით მსჯელობენ და აკეთებენ დასკვნას. როცა მასზეა დამოკიდებული ჯგუფის წარმატება, შეუძლებელია არ გააცნობიერონ პასუხისმგებლობა საკუთარი თავისა და ჯგუფის წინაშე.

თანამედროვე სწავლებისას ეფექტურად გამოიყენება ჯგუფური, ინდივიდუალური და წყვილებში მუშაობა. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ერთობლოვად სწავლა არა მარტო უფრო იოლი და საინტერესოა, მნიშვნელოვნად ეფექტიანიცაა. აღსანიშნავია, რომ ეს ეფექტიანობა ეხება როგორც აკადემიურ წარმატებებსა და ინტელექტუალურ განვითარებას, ისე ზნეობრივ ზრდას; მოსწავლეები უკეთ სწავლობენ, როცა ისინი აქტიურად არიან ჩართული ჯგუფურ მუშაობაში, ვიდრე ინდივიდუალურად. სწავლების პროცესში ჯგუფური მეთოდები იმ შემთხვევაში გამოიყენება, როცა საჭიროა საკითხის სხვადასხვა პერსპექტივიდან შესწავლა, ახალი იდეებისა და მიდგომების მოძებნა, როდესაც არავინ იცის საკითხზე სწორი პასუხი და საჭიროა ჯგუფური მუშაობისა და კომუნიკაციის უნარების გამომუშავება. ჯგუფური მუშაობა ეფექტურად გამოიყენება როგორც სკოლაში, ასევე უმაღლეს სკოლაში.

ჯგუფური მუშაობა თანამშრომლობითი (კოოპერაციული) სწავლების საშუალებაა. თანამშრომლობითი სწავლების დროს ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფური მუშაობა არა მხოლოდ

კონკრეტულ საკითხზე მუშაობას, არამედ ჯგუფის წევრებს შორის ურთიერთობას–ინტეგრაციას გულისხმობს. კლასი იყოფა მცირე ჯგუფებად. ჯგუფი შეიძლება იყოს 3 კაციანი, 4–5 კაციანი და 6 კაციანი. ჯგუფებს ეძლევა კონკრეტული დავალება.

ჯგუფში გაერთიანებული მოსწავლეები ცდილობენ საერთო მიზნის მიღწევას, ეს შეიძლება იყოს რაიმე პრობლემა, რომელიც ერთობლივად უნდა შექმნან, გაიაზრონ და გადაწყვიტონ. საკითხის განხილვის პროცესში ყველა წევრი ერთნაირად არის ჩართული; ხდება როგორც ჯგუფის, ასევე თითოეული წევრის ინდივიდუალური შეფასება.

ჯგუფური სამუშაოები უნდა შესრულდეს გარკვეული დროის განმავლობაში (10 წუთიდან 25 წუთამდე). დროის ხანგძლივობას სამუშაოს სირთულის დონე განაპირობებს. დასაშვებია, რომ მასწავლებელმა მოსწავლეებს სამუშაოს შესასრულებლად მთელი გაკვეთილი დაუთმოს, ხოლო მეორე გაკვეთილი –ჯგუფების ნამუშევრების წარდგენასა და შეფასებას.

ცხადია, ყოველი მოსწავლე აქტიურია, მაქსიმალურად ახდენს საკუთარი შესაძლებლობების მობილიზაციას, რათა თავისი არააქტიურობით ჯგუფის სხვა წევრი არ დააზარალოს. როგორც ირკვევა, სწავლების ასეთი ფორმა უზრუნველყოფს ცოდნის მაღალ ხარისხს და ამასთან მოსწავლეში ავითარებს პასუხისმგებლობის შეგნებას.

ჯგუფური მუშაობის მახასიათებლებია: მოსწავლეები ერთად მუშაობენ; მათ საერთო მიზნები ამოძრავებთ; სამუშაო განაწილებულია; ჯგუფში ხდება მუდმივი განხილვა; ჯგუფის წევრები ერთმანეთზე დამოკიდებული არ არიან; ჯგუფის ყველა წევრმა იცის როგორც თავისი, ისე სხვა წევრის როლი; მათ შეუძლიათ თავიანთი მოვალეობის შესრულება ხელმძღვანელობის გარეშე; ერთობლივი აქტივობა, მოსწავლეებს საერთო მიზნები ამოძრავებთ, ექსპერტთა ჯგუფებად დაყოფა, კონკრეტული სასწავლო ამოცანის გადაწყვეტა, საკუთარ შესაძლებლობათა მაქსიმალური მობილიზაცია, ცოდნის ხარისხის უზრუნველყოფა, პასუხისმგებლობის შეგნება, ექსპერტთა პრეზენტაცია.

ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლებიდან გამომდინარე ჯგუფის საერთო წარმატება ყოველი მათგანის აქტიურ საქმიანობაზეა დამოკიდებული. ჯგუფური მუშაობის დროს მასწავლებელი ფასილიტატორი, მოდერა-

ტორია. მასწავლებელი არის გეზის მიმცემი, დამკვირვებელი, ინფორმაციის წყარო და ზოგჯერ თანამონაწილე.

ჯგუფური მუშაობის დროს მოსწავლეებს უყალიბდება შემდეგი უნარები;

- ლოგიკური შეკითხვების დასმის უნარი;
- ერთმანეთის აქტიურად მოსმენა;
- სხვათა მოსაზრებების გაზიარება;
- აზრის გამართულად და ლოგიკურად ჩამოყალიბება;
- დახმარების ან განმარტების თხოვნა;
- იდეები და მოსაზრებების ახსნა და შეფასება;
- საუბრის ძირითადი არსის შეჯამება.

ჯგუფური მუშაობა ხელს უწყობს:

- დასწავლის ჩვევების და მოსწავლის ცნებითი, აბსტრაქტული აზროვნების განვითარების პროცესს;
- მოტივაციის ზრდას და სწავლის პროცესისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას;
- კლასში მოსწავლეთა ქცევისა და თანატოლებთან ურთიერთობის გაუმჯობესებას, ანუ კომუნიკაციის და სოციალური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.
- მაღლდება პასუხისმგებლობა, ხდება საკითხის სიღრმისეული წვდომა.

ჯგუფური მუშაობის მნიშვნელობა უდავოა, რადგან თანამედროვე განათლების მიზანი არა მხოლოდ ცოდნის, ფაქტობრივი ინფორმაციის დაგროვებაა, არამედ მიღებული ინფორმაციის ანალიზის, კრიტიკული შეფასების უნარის განვითარებაც. კრიტიკული აზროვნების უნარის ჩამოყალიბებისათვის კი მოსწავლეებს უნდა ჰქონდეს საშუალება იაზროვნონ, ისაუბრონ და ჰყავდეთ მსმენელი. ბავშვის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საწინააღმდეგო პოზიციის მქონე ადამიანთან კამათს. ამ „შემეცნებით კამათს“ მიყვავართ კონცეფტუალურ განვითარებაზე, სწავლამდე, რაც ჩვენი საბოლოო მიზანია. ერთად მუშაობისას ბავშვები წყვეტენ პრობლემებს, თან გაიზიარებენ ცნებებს, რომელსაც დამოუკიდებლად ვერც ერთი ვერ გაართმევდა თავს. ჯგუფში ერთი წევრის აზრი ბიძგს აძლევს მეორის იდეებს, ისინი ერთად მიდიან პრობლემის ახლებურ გაგებამდე.

სწავლობენ ერთად და შემდეგ ერთად შეუძლიათ ეს ცოდნა გამოიყენონ დამოუკიდებელი მუშაობისას.

ჯგუფური მუშაობის ეფექტურად წარმართვისათვის მნიშვნელოვანია: ქცევის წესების შემუშავება; მცირერიცხოვანი ჯგუფების შექმნა-წყვილები, ტრიადები; განვსაზღვროთ დავალება და დავალების შესასრულებლად საჭირო დრო, რომელიც ემსახურება გაკვეთილის მიზნის მიღწევას; ფუნქციების განაწილება ჯგუფის წევრებს შორის; მიზნების განმარტება, კონსულტაცია ჯგუფის წევრებს შორის; პრეზენტაცია.

ჯგუფების შექმნისას გასათვალისწინებელია: ჯგუფის ზომა, ჯგუფის შემადგენლობა, მოსწავლეთა დამოკიდებულება, დავალების ტიპი.

ჯგუფის ზომა დამოკიდებულია გაკვეთილის მიზანზე, მოსწავლეთა ასაკზე. მოსწავლეები შეიძლება დაჯგუფდნენ წყვილებად, ტრიადებად, მცირე (4-5 კაციანი) და დიდ (6 და მეტ კაციანი) ჯგუფებად.

წყვილები მოსახერხებელია დაბალ კლასებში მუშაობისას, ან ისეთ მოსწავლეებთან, რომლებიც მორცხვობენ, ან არა აქვთ თანატოლებთან თანამშრომლობის გზით ამოცანების გადაჭრის დიდი გამოცდილება. საწყის ეტაპზე სასურველია ეს ფორმა გამოვიყენოთ. მასწავლებლისათვის შედარებით ადვილია წყვილებში მუშაობის დაგეგმვა და წარმართვა. ამასთან მოსწავლეები წყვილებში უფრო იოლად ართმევენ თავს ისეთ რთულ დავალებებს, რომელთა შესრულებაც დამოუკიდებლად გაუჭირდებოდათ, ისეთი დავალებები, რომლებიც დაკავშირებულია გადაწყვეტილების მიღებასთან, ან პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზების ძიებასთან, სწორედ წყვილებში უნდა წარიმართოს. წყვილებში მუშაობა შეიძლება გამოვიყენოთ იმისათვის, რომ ძლიერმა მოსწავლემ დახმარება აღმოუჩინოს მასზე აკადემიურად სუსტს. ზოგადად წყვილში მუშაობისას მასწავლებლის ყურადღება ფოკუსირებული უნდა იყოს იმაზე, რომ ერთი მოსწავლე არ დომინირებდეს მეორეზე.

ტრიადები (3 კაციანი ჯგუფები) მიზანშეწონილია მაშინ, როცა ერთი ბავშვი მოქმედებს დანარჩენი ორის ხელმძღვანელობით, მათი სახელით. მაგ., მუშაობს კომპიუტერზე, ატარებს ცდას, იწერს მათ მიერ შეთხზულ ამბავს და ა. შ. სასურველია ტრიადების გამოყენება იმ ეტაპზე, როცა ბავშვებს უჭირთ დისკუსიისას შეთანხმებამდე მისვლა. ამ დროს მესამე მოსწავლის აზრი შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს, თუმცა ჩნდება იმის

საფრთხეც, რომ უმრავლესობა ყოველთვის გადაძლევს ერთის თუნდაც ლოგიკურ, შეიძლება უფრო სწორ მოსაზრებას.

მცირე ჯგუფები (4–5 მოსწავლისაგან შემდგარი) ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმაა ფაქტობრივად ყველა ტიპის სამუშაოს შესასრულებლად. აქ შედარებით იშვიათია ერთი მოსწავლის დომინირება ყველა სხვაზე. ჯგუფში განიხილება რამდენიმე განსხვავებული ვარიანტი ან მოსაზრება. ამიტომაც საჭირო ხდება ყველა ვერსიის მოსმენა, გაანალიზება და შეჯერება. თუმცა რაც უფრო დიდია ჯგუფი, მით უფრო რთულია მისი მუშაობის დაგეგმვა და ორგანიზება, როლების განაწილება.

დიდი ჯგუფები (6–10 მოსწავლე) საკმაოდ იშვიათად გამოიყენება, რადგან ბევრ პრობლემას ქმნის. ასეთ დიდ ჯგუფში მოსწავლე შეიძლება იყოს პასიური, თუ ამის სურვილი აქვს. მორცხვ ბავშვებს შეიძლება გაუჭირდეთ დიდი აუდიტორიის წინაშე აზრის გამოთქმა და დუმილი ამჯობინონ. ამდენად, ამგვარი დაჯგუფება შეიძლება გამოვიყენოთ, თუ ამას დავალბებ მოითხოვს. უმჯობესია კლასში გამოიყოს ბევრი მცირე, ვიდრე 2–3 დიდი ჯგუფი.

ჯგუფების შემადგენლობა. დამხმარე სახელმძღვანელოში „სასწავლო და პროფესიული გარემო“ აღნიშნულია, რომ ჯგუფების შექმნა შესაძლებელია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით: მეგობრობა, შერეული დონის ჯგუფები (ჰეტეროგენური), ერთი და იმავე დონის მოსწავლეები (სიძლიერის), შემთხვევითი დაჯგუფება, აქტიურობის მიხედვით. თითოეულ დაჯგუფებას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. მაგალითად, მეგობრობის ნიშნის მიხედვით შექმნილ ჯგუფების დადებითი მხარეებია: ბავშვები მეტი სიამოვნებით იმუშავებენ მათ მიერვე შერჩეულ პარტნიორებთან; იგრძნობენ უფრო მეტ პასუხისმგებლობას, რადგან საკუთარ ხელში იღებენ ინიციატივას. თუმცა მას აქვს უარყოფითი მხარეები, კერძოდ, ამგვარმა დაჯგუფებამ შეიძლება არეულობა და ქაოსი გამოიწვიოს კლასში, სანამ ბავშვები პარტნიორებს ეძებენ; შეიძლება ემოციური საფრთხე შეექმნათ ნაკლებ პოპულარულ ბავშვებს, ვისთანაც ცოტა თუ მოინდომებს ჯგუფის შექმნას. მეგობრობის საერთო ინტერესები მეტ საფრთხეს ქმნის, რომ მოსწავლეები გადაერთონ დავალების შესრულებიდან სხვა საკითხების განხილვაზე. თანაც, მეგობრობის ნიშნით შექმნილი ჯგუფები სტაბილურია და შეიძლება ბავშვებს მთელი წლის მანძილზე არ მიეცეთ სხვა

მოსწავლეებთან მუშაობის საშუალება;

ცოდნის დონე უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც ჯგუფების შექმნისას უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ. ზოგჯერ სასურველია შერეული დონის ჯგუფების შექმნა, რადგან უფრო ძლიერი მოსწავლეები დახმარებას უწევენ, უხსნიან უფრო აკადემიურად სუსტებს და ამ პროცესში თავადაც უკეთ გაიაზრებენ დასმულ პრობლემას. ასეთ შემთხვევაში ექსპერტები გვირჩევენ, დავაჯგუფოთ ძლიერი მოსწავლეები საშუალო დონის ბავშვებთან და საშუალო მოსწავლეები - აკადემიურად სუსტებთან. ასე თავიდან ავიცილებთ მოსწავლეთა შორის მკვეთრ განსხვავებებს, რაც შეიძლება ბავშვების გაღიზიანების და დაძაბულობის მიზეზი გახდეს;

თუ ჩვენ გვაქვს საშუალება, განსხვავებული დავალებები შევთავაზოთ ცალკეულ ჯგუფებს, მაშინ მიზანშეწონილია ერთი და იმავე დონის მოსწავლეები დავაჯგუფოთ და მივცეთ შესაბამისი სირთულის დავალება. ეს საშუალებას აძლევს მასწავლებელს, მეტი დრო დაუთმოს უფრო აკადემიურად სუსტ ჯგუფებს და ინდივიდუალურად იმუშაოს მათთან. თუმცა მუდმივად აკადემიურად სუსტ და ძლიერ ჯგუფებად დაყოფა არ არის სასურველი, რადგან იკარგება ჯგუფური მუშაობის მთავარი უპირატესობა - ჩამოუყალიბოს მოსწავლეებს სხვადასხვა დონის და ტიპის ადამიანებთან თანამშრომლობის უნარი;

აქტივობის ხარისხი შეიძლება გამოვიყენოთ მოსწავლეთა დაჯგუფების კრიტერიუმად, როცა უკვე ვიცით, რომელი მათგანია განსაკუთრებით აქტიური ჯგუფურ მუშაობაში და ვინ ცდილობს თავიდან აიცილოს ინიციატივა. ამ შემთხვევაში მასწავლებელმა შეიძლება საჭიროდ ჩათვალოს „წყნარი“ მოსწავლეების დაჯგუფება, სადაც ისინი ნაკლებად მოახერხებენ ვინმეს ზურგს ამოეფარონ და სხვას მიანდონ გადაწყვეტილების მიღება. ასევე სასარგებლოა ამგვარი დაჯგუფება ზედმეტად აქტიური მოსწავლეებისთვის, რომლებიც თავიანთივე ტიპის თანაკლასელებთან ურთიერთობისას ნაკლებად მოახერხებენ დომინირებას და, ბუნებრივია, მოუწევთ დათმობებზე წასვლა;

შემთხვევითი დაჯგუფება გულისხმობს ჯგუფების შეკვრას ყველა განხილული კრიტერიუმის გაუთვალისწინებლად. ხშირ შემთხვევაში მასწავლებლისთვის მოსახერხებელია დააჯგუფოს მოსწავლეები, რომლებიც ერთად ან ერთმანეთთან ახლოს სხედან. ამგვარად, ჩვენ ვზოგავთ დროს

და თავიდან ვიცილებთ ხმაურს და არეულობას, რაც უთუოდ თან ახლავს გაკვეთილზე მოსწავლეთა გადაადგილებას. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, მოსწავლეები ყველა გაკვეთილზე ერთ ადგილას სხედან და, ამდენად, ყოველთვის ერთსა და იმავე ჯგუფში აღმოჩნდებიან. ასე კი ჯგუფური მუშაობა შეიძლება მათთვის მალე მონოტონური და უინტერესო გახდეს.

რეკომენდაციები ჯგუფური მუშაობისათვის:

1. ჯგუფური მუშაობის დაწყებამდე მივცეთ მოსწავლეებს ნათელი ინსტრუქციები და დავალების შესრულების მოდელი. წინასწარ განვსაზღვროთ როგორ მოვახდენთ შეფასებას;

2. აუცილებელია სწორად წარვმართოთ მოსწავლეთა და ჯგუფების გადაადგილების პროცესი;

3. ჯგუფური მუშაობის დროს მასწავლებელი შეიძლება იყოს დამკვირვებელი, ინფორმაციის წყარო, რიგითი მონაწილე ან კონსულტანტი. ყველა ამ როლის კომბინირება და მონაცვლეობა უზრუნველყოფს დავალების წარმატებას;

4. ჯგუფური მუშაობა წყდება მაშინ, როცა ჯგუფების უმრავლესობა მზადაა. დაგვიანებული ჯგუფების გამო არ უნდა დაზარალდნენ უფრო სწრაფი და აქტიური მონაწილეები;

5. ჯგუფური მუშაობის დასასრულს მივცეთ მოსწავლეებს დრო შედეგების პრეზენტაციისა და განხილვისათვის. ამ დროს მასწავლებელი ახდენს მოსწავლეთა მიერ მიღებულ შედეგებში დადებითი მხარეების წინა პლანზე წამოწევას და ინიციატივის წახალისებას.

ჯგუფური მუშაობის უპირატესობა საკლასო ორგანიზაციის სხვა ტიპებთან ამკარაა: იზრდება თითოეული მოსწავლის ჩართულობა გაკვეთილზე, ისინი ნაკლებად პასიურები არიან, არ კმაყოფილდებიან სხვისი პასუხებით. მოსწავლეს საშუალება ეძლევა თავად განსაზღვროს თავისი მონაწილეობის ფორმა; მცირე ჯგუფში მუშაობა უფრო ნაკლებ ფსიქოლოგიურ საფრთხეს მოიცავს მოსწავლისათვის, ვიდრე პასუხის გაცემა ან საკუთარი აზრის გამოხატვა მთელი კლასის წინაშე; მცირდება მასწავლებლის მაკონტროლებელი როლი, ენიჭება არჩევანის მეტი თავისუფლება, რაც ავითარებს დამოუკიდებელი სწავლისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარ-ჩვევებს; მასწავლებელს საშუალება ეძლევა დაეხმაროს იმ მოს-

წავლებს, რონლებიც მეტად საჭიროებენ ამას მაშინ, როცა სხვებიც აქტიურად არიან ჩართული ამოცანის გადაწყვეტაში.

ჯგუფური მუშაობის დროს ვაკვირდებით სოციალურ, კომუნიკაციურ, სააზროვნო უნარ-ჩვევებს.

ჯგუფური მუშაობის შეფასების დროს სასურველია გამოვიყენოთ **კითხვარი**, რომელსაც შეავსებს ჯგუფის თითოეული წევრი:

1. რა გააკეთეთ ან თქვით ისეთი, რაც თქვენს ჯგუფის წევრებს დაეხმარა სამუშაოს შესრულებაში?;

2. რამდენად ნაყოფიერად იმუშავა ჯგუფმა და რა იყო ამის მიზეზი?

3. რა იყო ყველაზე კარგი, რაც თქვენი ერთობლივი მუშაობისას გამოიკვეთა?

4. რას გააკეთებთ შემდეგში ჯგუფის მუშაობის გასაუმჯობესებლად?
სახელი და გვარი
თარიღი

ჯგუფური მუშაობის მეთოდები აქტიურად გამოიყენება სწავლების ყველა საფეხურზე. კვლევები აჩვენებს, რომ მოსწავლეები უფრო ადვილად სწავლობენ და უფრო კმაყოფილები არიან სწავლის პროცესით, როდესაც ჩართულები არიან ჯგუფური მუშაობის პროცესში, ვიდრე ინდივიდუალურად. სწავლების პროცესში ჯგუფური მეთოდები იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც საჭიროა საკითხის სხვადასხვა პერსპექტივიდან შესწავლა, ახალი იდეებისა და მიდგომების მოძებნა, როდესაც არავინ იცის საკითხზე სწორი პასუხი. ასევე, როდესაც საჭიროა ჯგუფური მუშაობისა და კომუნიკაციის უნარების გამომუშავება. ჯგუფური მუშაობა განსაკუთრებით სასარგებლო მაშინაა, როდესაც პრობლემა აქტუალურია და მოსწავლეებისათვის საინტერესო.

ჯგუფური მუშაობა არა მხოლოდ კონკრეტულ საკითხზე მუშაობას გულისხმობს არამედ ჯგუფის წევრებს შორის ურთიერთობას - ინტერაქციას. ჯგუფური მუშაობისას სწორედ ინტერაქციაა წამყვანი მნიშვნელობის მქონე. ჯგუფური მუშაობის ძირითადი თავისებურება შემდეგში მდგომარეობს:

- კლასი იყოფა მცირე ჯგუფებად;
- დავალება ეძლევა მთლიანად ჯგუფს და არა მის ცალკეულ წევრებს;
- ჯგუფი ერთიანად წყვეტს და განიხილავს დავალებას;

- საკითხის განხილვის პროცესში ყველა წევრი ერთნაირად არის ჩართული;

- ჯგუფი ფასდება როგორც ერთი მთლიანი, თუმცა, ასევე შესაძლებელია წევრები ინდივიდუალურად შეფასდნენ.

ჯგუფურ მუშაობას სწავლება/გამოცდილება სჭირდება; შესაძლებელია ადამიანი ინდივიდუალურად ეფექტურად ხსნიდეს ამოცანას, მაგრამ ჯგუფში მუშაობა უძნელდებოდეს; ჯგუფური მუშაობა სპეციალურ უნარებს საჭიროებს; ესაა მოსმენა, ინსტრუქციის დაცვა, უკუკავშირი, თანამშრომლობა, აზრის გაზიარება. ვინაიდან ჯგუფი რამდენიმე ადამიანს აერთიანებს, ჯგუფური მუშაობის დაწყებისას საჭიროა ჯგუფის მუშაობის წესების და ნორმების ჩამოყალიბება, რომელსაც ჯგუფის წევრები დაიცავენ; ეს ნორმები უნდა არეგულირებდეს ჯგუფის წევრებს შორის ურთიერთობას და ყველა წევრს თანაბარი მონაწილეობის საშუალებას უნდა აძლევდეს; მაგ.: ჯგუფის ყველა წევრს ვაძლევთ აზრის გამოთქმის საშუალებას, ყურადღებით ვუსმენთ ერთმანეთს, აზრს გამოვთქვამთ მოკლედ და ნათლად და ა.შ. ჯგუფურ მუშაობას სჭირდება კონტროლი, რომელსაც ჯგუფის მოდერატორი ანუ ფასილიტატორი ახორციელებს; ფასილიტატორი ან მოდერატორი შეიძლება ნებისმიერი ადამიანი იყოს, ვისაც აქვს ჯგუფთან მუშაობის გამოცდილება. საკლასო გარემოში ამ ფუნქციას მასწავლებელი ან სტუდენტები ასრულებენ. მოდერატორის ფუნქციაა ხელი შეუწყოს ჯგუფის მუშაობას და ამოცანის გადაჭრას; მოდერატორი/ფასილიტატორი არ არის საჭირო საკითხის ექსპერტი იყოს. ჯგუფური მუშაობა შეიძლება დავყოთ 3 ეტაპად: მოსამზადებელი ეტაპი, ჯგუფური მუშაობის ეტაპი და შემაჯამებელი ეტაპი. მოსამზადებელ ეტაპზე მასწავლებელი არჩევს საკითხს, შეიმუშავებს გეგმას, ამზადებს ინსტრუქციას, საჭირო მასალას. მასწავლებელი აცნობს ჯგუფს ინსტრუქციებს, რა ევალუბათ მოსწავლეებს, რა არის მუშაობის მოსალოდნელი შედეგი და როდის უნდა შეწყვიტონ მუშაობა. ჯგუფური მუშაობის ეტაპზე ჯგუფი მუშაობს კონკრეტულ საკითხზე და განიხილავს პრობლემას; ამ დროს მასწავლებელი უფრო პასიურია და დამკვირვებლის როლს ასრულებს. ჯგუფის წევრები შეიმუშავებენ და იცავენ ჯგუფური მუშაობის წესებს. დრო იმდენი უნდა იყოს მიცემული, რომ საკითხის ამოწურვა შესაძლებელი იყოს; ძალიან დიდი დრო მოსაბეზრებელი ხდება, ხოლო ძალიან მცირე დრო მოსწავლეების უკმაყოფილებას იწვევს, რადგან ვერ ხერხდება საკითხის

განხილვა. შემაჯამებელი ეტაპი: ამ ეტაპზევე ხდება ჯგუფური მუშაობის შედეგების გაცნობა, ჯგუფური მუშაობის წარმატებებისა და წარუმატებლობის გაანალიზება, მიღწეული შედეგებისა და ჯგუფური მუშაობის პროცესის შეფასება. ჯგუფური მუშაობის შედეგების გაცნობა შესაძლებელია სხვადასხვა სახით. მაგ.: კითხვა-პასუხის ფორმატით, პრეზენტაციების სახით; შემაჯამებელ ეტაპზე ჯგუფი იღებს უკუკავშირს ჯგუფის სხვა წევრებისა და მასწავლებლისაგან, რაც სასურველია დადებითი სახით გაკეთდეს. ჯგუფური მუშაობის მეთოდებიდან ჩვენ განვიხილავთ რამდენიმე მათგანს.

მაგალითად, **რეალური მაგალითის ანალიზი ჯგუფებში**. რეალური მაგალითის ანალიზის დროს ადგილი აქვს რეალური სიტუაციის ანალიზსა და განხილვას. უმეტესწილად სიტუაცია წარმოდგენილია წერილობითი ფორმით და ადაპტირებულია სასწავლო მიზნებისთვის.

რეალური მაგალითის ანალიზის გამოყენება:

- ხელს უწყობს ტიპიური სიტუაციებისთვის დამახასიათებელი პრობლემების განხილვას;
- ქმნის უსაფრთხო გარემოს პრობლემის გადაჭრის უნარ-ჩვევების ჩამოსაყალიბებლად;
- ხელს უწყობს ჯგუფურ დისკუსიებსა და პრობლემების გადაჭრას.

უპირატესობები:

- მონაწილე უკეთ ერკვევა სიტუაციებში;
- თან ახლავს ცნობისმოყვარეობა;
- ვინაიდან სიტუაცია ადაპტირებულია სასწავლო მიზნებისთვის, ის არ იძლევა პირადი ინტერესებისა და რისკების შესაძლებლობას;
- ახასიათებს მონაწილეების მაღალი დონის ჩართულობა.

ჯგუფური მუშაობის ეფექტურად წარმართვისათვის ხდება: მცირერიცხოვანი ჯგუფების შემქნა-წყვილები, ტრიალები. ფუნქციების განაწილება ჯგუფის წევრებს შორის; მიზნების განმარტება, კონსულტაცია ჯგუფის წევრებს შორის; სწორად განვსაზღვროთ დავალება, რომელიც ემსახურება გაკვეთილის მიზნის მიღწევას; დროის მართვა.

რეკომენდაციები ჯგუფური მუშაობის ეფექტურად წარმართვისათვის: ჯგუფური მუშაობის დაწყებამდე მივცეთ მოსწავლეებს ნათელი ინსტრუქციები და დავალების შესრულების მოდელი. წინასწარ განვსაზღვროთ როგორ მოვახდენთ შეფასებას; აუცილებელია სწორად წარვმართოთ

მოსწავლეთა და ჯგუფების გადაადგილების პროცესი; ჯგუფური მუშაობის დროს მასწავლებელი შეიძლება იყოს დამკვირვებელი, ინფორმაციის წყარო, რიგითი მონაწილე ან კონსულტანტი. ყველა ამ როლის კომბინირება და მონაცვლეობა უზრუნველყოფს დავალების წარმატებას; ჯგუფური მუშაობა წყდება მაშინ, როცა ჯგუფების უმრავლესობა მზადაა. მუშაობის დასასრულს მივცეთ მოსწავლეებს დრო შედეგების პრეზენტაციისა და განხილვისათვის. ამ დროს მასწავლებელი ახდენს მოსწავლეთა მიერ მიღებულ შედეგებში დადებითი მხარეების წინა პლანზე წამოწევა და ინიციატივის წახალისება.

ჯგუფური მუშაობის ერთ-ერთი მეთოდია მოზაიკა (ბასილაძე, 2016: 238)

I. მოზაიკა I კოოპერაციული სწავლება/სწავლის ერთ-ერთი ნაირსახეობაა. მასწავლებელი შესასწავლ ტექსტს წინასწარ ყოფს ნაწილებად. მოსწავლეებს აჯგუფებს „ოჯახებად“. ამისათვის საჭიროა პირველ – მეხუთეზე გათვლა. ოჯახის თითოეულ წევრს საკუთარი ნომერი აქვს. ერთი და იგივე ნომრის მფლობელები (პირველები ერთად, მეორეები ერთად ...) „ექსპერტთა ჯგუფებს“ ქმნიან. მასწავლებელი თითოეულ ჯგუფს შესაბამის მასალას აწვდის, რომელიც წინასწარ აქვს მომზადებული. სულ არის 5 ტექსტი, რადგან შექმნილია 5 საექსპერტო ჯგუფი. მაგ., მასწავლებელს, რომელსაც შესასწავლად აქვს თემა: „მოზარდის ასაკობრივი განვითარების პერიოდიზაციის ისტორიული ცდები“. თითოეული ჯგუფისათვის მომზადებულია ცალ-ცალკე დავალებები:

I ჯგუფი: პლატონი და არისტოტელე მოზარდის ასაკობრივი განვითარების საფეხურების შესახებ;

II ჯგუფი: იან ამოს კომენსკი მოზარდის ასაკობრივი განვითარების საფეხურების შესახებ;

III ჯგუფი: ჟან-ჟაკ რუსო მოზარდის ასაკობრივი განვითარების საფეხურების შესახებ;

IV ჯგუფი: დისტერვერგი, შაცკი და ბლონსკი მოზარდთა ასაკობრივი განვითარების შესახებ;

V ჯგუფი: ქართული პედაგოგიური აზროვნება მოზარდის ასაკობრივი განვითარების საფეხურების ისტორიული ცდების შესახებ.

მოსწავლეები ექსპერტთა ჯგუფებში სწავლობენ მოცემულ მასალას და სწავლების მეთოდს შეიმუშავენ. ოჯახში დაბრუნების შემდეგ „ექ-

სპერტები“ განხილულ და შესასწავლილ მასალას ოჯახის წევრებს უხსნიან. მთელი „ოჯახი“ ემზადება პრეზენტაციისათვის. ამ მეთოდით ვაჩვენებთ მოსწავლეს, რომ სწავლება უბრალო თხრობა არ არის, არამედ სწავლებამ, ხელი უნდა შეუწყოს ურთიერთთანამშრომლობას. ჯგუფური მუშაობის დამთავრების შემდეგ შეიძლება შემოწმდეს არა მარტო იმ ნაწილის ათვისება, რომელიც მოსწავლეთა მიერ განხილული იქნა „საექსპერტო ჯგუფებში“, არამედ მთლიანი მასალის ცოდნაც.

თანამშრომლობითი სწავლების ერთ-ერთი ეფექტური მეთოდია „ინტერვიუ სამი ნაბიჯი“ (ლობჟანიძე, 2016: 61). თანამშრომლობითი სწავლების დროს მოსწავლეები იძენენ კომუნიკაციურ უნარებს: კითხვის დასმის, აქტიური მოსმენის, თხრობის, მიღებული ინფორმაციის გადამუშავებისა და ადეკვატური საპასუხო რეაქციის დაბრუნების უნარებს და სხვ. თანამშრომლობითი სწავლება ხელს უწყობს ასევე სოციალიზაციის უნარების განვითარებას: საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისა და დაცვისა, სხვათა აზრებისა და შეხედულებების პატივისცემის, საერთო გამოცდილებიდან გამოცდილების შექმნისა და სხვ. მაშასადამე, აქ შერწყმულია სწავლის კოგნიტური და სოციალური ასპექტები. ს. ლობჟანიძე სტატიაში „თანამშრომლობის სწავლების მეთოდები“ გვთავაზობს სტრატეგიას – „ინტერვიუ სამი ნაბიჯი“, რომელიც მოსწავლეებს უვითარებს კომპეტენციებს: მიზანმიმართული კითხვების დასმა, ინფორმაციის ლოგიკურად და ლაკონურად ჩამოყალიბება და მიწოდება, აქტიური მოსმენა, ჩანაწერების გაკეთება, შეჯამება, პერეფრაზირება და სხვ.

მეთოდის აღწერა: მასწავლებელი ირჩევს საკითხს/პრობლემას, აყალიბებს მიზანს და აცნობს კლასს; კლასში ყველა მოსწავლე ამზადებს კითხვებს საკითხის/პრობლემის ირგვლივ ინტერვიუსთვის; ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ჰყოფს სამკაციან ჯგუფებად/ტრიალებად და უხსნის მეთოდის არსს – ინტერვიუ სამ წრედ მიმდინარეობს, მაშასადამე, ტრიადის თითოეული მოსწავლე გამოდის როგორც ინტერვიუერის, ასევე რესპონდენტისა და დამკვირვებლის როლში;

პირველი ნაბიჯი – მოსწავლე A ინტერვიუს იღებს მოსწავლე B-სგან, ხოლო მოსწავლე C, როგორც დამკვირვებელი, აკეთებს ჩანაწერებს, ე.ი. ინიშნავს არსებითს ინტერვიუერისა და რესპონდენტის საუბრიდან; მეორე

ნაბიჯი – მოსწავლე B ინტერვიუს იღებს მოსწავლე C-სგან, ხოლო მოსწავლე A, როგორც დამკვირვებელი, ინიშნავს ძირითადს; მესამე ნაბიჯი – მოსწავლე C ინტერვიუს იღებს მოსწავლე A-სგან, ხოლო მოსწავლე B, როგორც დამკვირვებელი, ინიშნავს ძირითადს.

თითოეული ინტერვიუსთვის განკუთვნილი დრო მასწავლებელმა/მოდერატორმა უნდა დაადგინოს. მაგ., 5 წუთი. მაშასადამე, სამივე ინტერვიუს ამ შემთხვევაში დაეთმობა 15 წუთი. შემდეგ ორ-ორი სამკაცციანი ჯგუფი გაერთიანდება ექვსკაციანი ჯგუფად. ჯგუფის ექვსივე წევრი წინა ეტაპზე უკვე იყო დამკვირვებელი და აქვს ჩანაწერები. ამ ჩანაწერების გამოყენებით ექვსივე რიგრიგობით მოახსენებს დანარჩენებს თავისი ჩანიშნულიდან არსებითს. შემდეგ თითოეული ჯგუფი აჯამებს დამკვირვებლების ჩანაწერებს და აკეთებს პრეზენტაციას. ბოლოს ხდება მიღებული ინფორმაციის შეჯამება და შეფასება.

როდის შეუძლია მასწავლებელს ამ მეთოდის გამოყენება?

როგორც თემის შესწავლის დაწყებისას მოსწავლეთა წინარე ცოდნის შესამოწმებლად, ასევე თემის შეჯამებისას. მეთოდი წარმატებით გამოიყენება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების დროს და საშუალებას იძლევა, ყველა მოსწავლემ ჩამოაყალიბოს პრობლემის მოგვარების საკუთარი ხედვა, მოხდეს ალტერნატიული გზების განხილვა, შეჯამება და საუკეთესოს არჩევა.

რა უნდა გაითვალისწინოს პედაგოგმა მეთოდის წარმატებით გამოყენებისთვის?

მოსწავლეთათვის მეთოდის ზუსტი აღწერა, ინტერვიუს თემის მკაფიო ფორმულირება, მიზნის ჩამოყალიბება, ინტერვიუს მოსამზადებლად მოსწავლეთათვის დროის მიცემა, დროის სწორი მენეჯმენტი, ჯგუფების მუშაობისთვის თვალყურის დევნება და სხვა, მასწავლებელმა მოსწავლეებს წინასწარ უნდა ასწავლოს და გამოუმუშაოს ინტერვიუს წაყვანის ელემენტარული უნარ-ჩვევები.

- მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რომ ინტერვიუსა და დიალოგს შორის არის ერთი არსებითი განსხვავება: ინტერვიუს დროს ინტერვიუერისა და რესპონდენტის როლები მკაცრად არის განსაზღვრული;

- სანამ მოსწავლე ინტერვიუსთვის მზადებას/კითხვების ჩამოყალიბებას შეუდგება, მან უნდა გააცნობიეროს ინტერვიუს მიზანი, კერძოდ, რისი გაგება სურს რესპონდენტისგან;

- ამის შემდეგ იგი იწყებს კითხვების ჩამოყალიბებას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ზუსტად მიჰყვება ამ კითხვებს, რადგან სიტუაციამ შესაძლოა განსხვავებული კითხვების დასმის საჭიროება წარმოშვას.

იმისთვის, რომ მოსწავლემ კითხვები კორექტულად ჩამოაყალიბოს და დასვას: იგი უნდა ფლობდეს კითხვის დასმის სხვადასხვა ტექნიკას; კითხვები გარკვევით უნდა იყოს დასმული; კითხვაში არ უნდა ჩანდეს ინტერვიუერის პოზიცია; შეეძლოს კითხვების თემატურად დაჯგუფება და პირველ და მეორეხარისხოვნებად სელექცია; სწორად შეარჩიოს კითხვების თანამიმდევრობა, არ არის სასურველი მნიშვნელოვანი კითხვების ინტერვიუს ბოლოში გადატანა; მოსწავლემ უნდა იცოდეს, რომ ინტერვიუსთვის მეტად მნიშვნელოვანია აქტიური მოსმენა. ინტერვიუერის ყურადღება, მოთმინება, ემპათია რესპონდენტს სურვილს აღუძრავს, გასცეს ინფორმაცია და იყოს გულახდილი.

მოსწავლეს უნდა ავუხსნათ, რომ: მისცეს რესპონდენტს პაუზის საშუალება, რადგან ეს ფიქრის ბუნებრივი ფაზაა; მშვიდად მოისმინოს რესპონდენტის ყველა აზრი, ისეთიც კი, რომელსაც არ ეთანხმება; რესპონდენტის პასუხებიდან მნიშვნელოვანი დეტალი რომ არ გამორჩეს, სასურველია, გაიმეოროს მოპასუხის აზრი, რათა გადაამოწმოს, როგორ გაიგო იგი; სთხოვოს რესპონდენტს ნათქვამის დაზუსტება; თავი აარიდოს ზედმეტად დადებითი ემოციების გამოხატვას.

გვხდება სტრატეგიის „ინტერვიუ სამი ნაბიჯის“ ინტერპრეტირებული ვარიანტი. წინასწარ ვამზადებთ დაუსრულებელ წინადადებებს (სამ წინადადებას) აქტუალური/განსახილველი საკითხის/პრობლემის ირგვლივ. ამ წინადადებებს ვწერთ ბარათებზე და ვაწყობთ კონვერტებში. თითო კონვერტში სამი სხვადასხვა წინადადება უნდა იდოს, კონვერტი კი იყოს იმდენი, რამდენი სამკაცციანი ჯგუფიც არის კლასში.

1. კლასი იყოფა სამკაცციან ჯგუფებად, რომელთაც დაურიგდებათ კონვერტები;

2. პირველი ნაბიჯი: ჯგუფის პირველი წევრი კონვერტიდან იღებს ერთ ბარათს და მასზე მოცემული საკითხის ირგვლივ რამდენიმე წუთის განმავ-

ლობაში საუბრობს (დროს განსაზღვრავს მასწავლებელი). ჯგუფის მეორე წევრი უსმენს და მოკლედ იმეორებს მოსაუბრის ნათქვამს, ახდენს მის რეზიუმირებას, მესამე წევრი კი აფასებს როგორც მთხრობელს, ასევე მსმენელს წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით (შეფასების კრიტერიუმებს წინასწარ ადგენენ მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით) – მთხრობელში აფასებს საკითხის ფლობას და ვერბალური კომუნიკაციის უნარს, მსმენელში – იყო თუ არა იგი აქტიური და რამდენად აქვს რეზიუმირების უნარი.

3. მეორე და მესამე ნაბიჯზე როლები იცვლება.

დასკვნის სახით შეიძლება კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ ინტერვიუ სამი ნაბიჯი არის მეთოდი, რომელიც მოსწავლეებს უვითარებს საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებს, საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები კი სწავლის ხარისხის ამაღლებისა და სოციალიზაციის უნარის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა.

ჯგუფური მუშაობის დროს შესაძლებელია: ახსნილი მასალის გაგების შემოწმება, განვლილი მასალის შეჯამება, ნაწარმოების იდეის კრიტიკული გააზრება და მსგავსი პრობლემის მქონე ნაწარმოებებს შორის პარალელების ძიება, კრიტიკული აზროვნების, მსჯელობისა და დასაბუთების უნარის განვითარება.

კითხვები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:

1. დაასახელეთ წყვილებში, ტრიადებში, მცირე ჯგუფებში მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარეები;
2. როგორ ხდება ჯგუფების მართვა?
3. დაახასიათეთ სწავლების მეთოდი „მოზაიკა I“-ის არსებითი დამახასიათებელი ნიშნები;
4. ტესტები ჯგუფში მუშაობისათვის (იხ. დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის-ჯგუფური მუშაობა).

თემა 5. საკლასო დისკუსია, როგორც სწავლების სტრატეგია

ლექციაზე განხილული იქნება შემდეგი საკითხები

1. საკლასო დისკუსია, როგორც სწავლების მეთოდი;
2. დისკუსიის ორგანიზება;
3. საკლასო დისკუსიის როლი მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებაში;
4. დისკუსიის დადებითი შედეგები.

სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება. სწავლების პროცესი რუტინულ, მარტო ფაქტებისა და შინაარსის დამახსოვრების პროცესად რომ გადაიქცეს, საჭიროა განსხვავებული სტრატეგიის გამოყენება. მრავალფეროვანი მეთოდის გამოყენება სასწავლო პროცესს საინტერესოს, ასათვისებელ მასალას ადვილად გასაგებს, მისაწვდომს და დასაძლევს ხდის; იწვევს მოსწავლეთა აქტიურობას, მათი შემეცნებითი, ნებელობითი, საკომუნიკაციო და სხვა უნარების განვითარებას. სწავლების მეთოდის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, რამდენად ადექვატურად შეირჩევა ისინი. განსხვავებულ სწავლების ორ ტიპს: პირდაპირ და არაპირდაპირს. პირდაპირი სწავლებისას ცოდნა მასწავლებლის გავლით გადაეცემა მოსწავლეებს, არაპირდაპირი სწავლებისას მოსწავლეებს ეძლევათ ინფორმაცია ან მითითებები ინფორმაციაზე, რომელზე დაყრდნობითაც თავად აგებენ ცოდნას. პირდაპირ და არაპირდაპირ სწავლების მეთოდებს შორის მკაცრი ხაზის გავლება მიზანშეწონილი არ არის. ორივე სტრატეგია შეიძლება იქნას გამოყენებული გაკვეთილზე. ამისათვის მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს გაკვეთილის მიზანი და სავარაუდო შედეგები—რა იცოდეს და რისი გაკეთება უნდა შეეძლოს მოსწავლეს ამ თემის გავლის შემდეგ. სწავლის შედეგებით განსაზღვრება როგორც კურსის შინაარსი, ასევე სწავლების მეთოდები და შეფასების ფორმატი.

არაპირდაპირი, ინტერაქტიული სწავლების ყველაზე გავრცელებული მეთოდია დისკუსია. დისკუსია კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალებაა და თავისი არსით დიალოგს ემყარება. კაცობრიობის ისტორია ჭეშმარიტების

მუდმივი ძიებისათვის განუწყვეტელი დიალოგია. დიალოგის ფუძემდებლად ითვლება ფილოსოფოსი სოკრატე, რომელიც სააზროვნო სამყაროში მაშინ გამოჩნდა, როცა აზროვნება ეპოქის მიერ წამოჭრილ პრობლემებს ერკინებოდა. სოკრატეს მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ თანამოსაუბრე დაარწმუნოს თავის ცოდნაში. მან ადამიანებს „მიუღწეველი ცოდნის იდეალი“ დაუსახა და ცოდნის მიღების ორი საფეხური ჩამოუყალიბა: ინდუქციური მსჯელობა და ზოგადი დეფინიციის აღმოჩენა. კვლევის პირველ საფეხურზე იკრიბება ის შემთხვევები, რაც მოკამათეთა საერთო აღიარების საძიებელ ტერმინს მიესადაგა, შემდეგ საფეხურზე მათში ზოგადი თვისება გამოიყოფა, რაც საძიებელი სიტყვის საერთო არსს გამოხატავს. ასე ხდება „გონების მიყვანა ერთად შეგროვებული და განხილული ინდივიდუალური შემთხვევებიდან მათი ზოგადი დეფინიციის გაცნობიერებამდე“. სოკრატული დიალოგი არაა მიმართული კამათში გამარჯვებულის გამოვლენაზე. იგი ჭეშმარიტების ძიებაა და ამავე დროს ღირსების საქმეა: „კაცი უნდა ცდილობდეს, საამისოდ მოემზადოს და ამ საქმისადმი განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინოს, რადგან ადამიანი სწორედ ამ გზით ხდება საუკეთესო პიროვნება, ღირსეული წინამძღოლი და მსჯელობაში უბადლო მოკამათე“.

დისკუსია წარმოადგენს ისეთ მეთოდს, რომელიც ორგანიზებას უკეთებს ღია კითხვების დასმისა და პასუხების გაცემის პროცესს და საშუალებას აძლევს მოსწავლეს, უფრო ღრმად განიხილოს შესასწავლი საკითხი. საკლასო დისკუსიის გამოყენება ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში, ხელს უწყობს მათი სოციალური და ინტერპერსონალური უნარების განვითარებას. დისკუსია შეიძლება ეფუძნებოდეს როგორც განვლილ, ისე ახალ მასალას. საკლასო დისკუსია შეიძლება მოეწყოს მასწავლებელსა და კლასს ან თავად მოსწავლეთა ჯგუფებს შორის.

საკლასო დისკუსიას ემსახურება რამდენიმე მიზანს ერთდროულად: მოსწავლეთა გააქტიურებას; მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებას; სასწავლო მასალის ათვისების ხელისშეწყობას; მოსწავლეთა კომუნიკაციის უნარის განვითარებას.

დისკუსიის სწორად წარმართვისთვის მნიშვნელოვანია კლასში მერხების განლაგება. სასურველია მერხების წრიული ან ოთხკუთხა განლაგება.

დისკუსიის წარმართვისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

- დისკუსია ფოკუსირებული უნდა იყოს კონკრეტულ მიზანსა და სფეროზე – მასწავლებელმა ნათლად უნდა განმარტოს და ჩამოწეროს დაფაზე დისკუსიის მიზნები;

- უნდა შევიმუშაოთ დისკუსიის წესები (ერთმანეთის მოსმენა, დროის განაწილება, რეგლამენტი);

- გზადაგზა უნდა მოვახდინოთ რეაგირება მოსწავლეთა გამოწვევებზე და იდეებზე, ეს დაეხმარება ბავშვს საკუთარი ნათქვამის გააზრებასა და აღქმაში;

- წარმატებული დისკუსიისთვის მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეები ერთმანეთის აზრს პატივს სცემდნენ;

- დისკუსიის ბოლოს აუცილებელია მოეწყოს ერთგვარი შეჯამება, განალიზება, საკითხების ჩამოთვლა, რომელიც დისკუსიის დროს წინ წამოიწია, პროცესის შეფასება, რა გაკეთდა და როგორ გაკეთდა. აუცილებელია იმის აღნიშვნა, რა არის შემდეგისთვის გამოსასწორებელი.

მასწავლებელი ყოველთვის წინასწარ ემზადება დისკუსიისთვის. განსაზღვრავს სადისკუსიო პრობლემას, კითხვებს და პროცედურებს. საკლასო დისკუსია შეიძლება მიმდინარეობდეს მოსწავლეთა მცირე ჯგუფებში, ან მთელ კლასში, ასევე – მასწავლებელსა და მოსწავლეებს, ან მოსწავლეებს შორის. ყველა მოსწავლის დისკუსიაში ჩასაბმელად საჭიროა მასწავლებელმა ისეთი შეკითხვები დასვას, რომლებიც შეესაბამება როგორც თითოეული მოსწავლის, ასევე მთელი კლასის ინტერესებს.

კითხვები მოსწავლეებს შემოქმედებითი თუ კომუნიკაციური უნარ-ჩვევების გამომუშავებაში ეხმარება, რაც შემდგომში უთუოდ ხელს შეუწყობს ჯანსაღი კონკურენციისა და ურთიერთთანამშრომლობის ჩამოყალიბებას.

შეკითხვის ფორმამ შეიძლება გავლენა მოახდინოს პასუხის სტილზე, შინაარსსა და ემოციურ ხასიათზე. მაგალითად, თუ დავსვამთ შეკითხვას: რა სახის პრობლემები წარმოიშვა მას შემდეგ, რაც ტერიტორიები დავკარგეთ? პასუხი ემოციური იქნება. დისკუსიის დროს მასწავლებელი გეზის მიმცემის როლს ასრულებს და აკონტროლებს პროცესს, რათა მოსწავლეებმა არ გადაუხვიონ სადისკუსიო საკითხს და არ დაარღვიონ დისკუსიის წესები. მთელ კლასთან დისკუსიის ჩატარების ორგანიზების საუკეთესო ფორმას წრეში მოსწავლეების განლაგება წარმოადგენს.

დისკუსიის მეთოდით მუშაობის დროს აუცილებელია კლასში იყოს ნდობისა და ურთიერთპატივისცემის ატმოსფერო. მასწავლებელი თავად უნდა წარმოადგენდეს სხვისი აზრის პატივისცემის მოდელს, რადგან მასწავლებლის მოსწავლეებისადმი დამოკიდებულება მოსწავლეთა ურთიერთდამოკიდებულების განმსაზღვრელია.

დისკუსიის ეფექტიანად წარსამართად მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ფაქტორები:

1. მოსწავლეების მომზადება;
2. წესები და პროცედურები;
3. დისკუსიის მართვა;
4. მოსალოდნელი შედეგები.

მოსწავლეების მომზადება დისკუსიისათვის გულისხმობს მოსწავლეების უნარ-ჩვევების და ცოდნის დადგენას და მათთვის საჭირო ინფორმაციის, წყაროების განსაზღვრას. დისკუსიის წესები და პროცედურები გულისხმობს საკითხის შერჩევას და დისკუსიის დროის განსაზღვრას; სივრცის ორგანიზებას ისე, რომ ყველა მოსწავლეს შეეძლოს ერთმანეთთან თვალთ კონტაქტი; დისკუსიის წესების განსაზღვრას. საკლასო დისკუსიის ორგანიზებაში დიდ როლი მასწავლებელს აკისრია. ის განსაზღვრავს სადისკუსიო საკითხს; არ ერევა დისკუსიის შინაარსობრივ მხარეში; ხელს უწყობს მოსწავლეების დისკუსიაში ჩართვას; აძლევს მოსწავლეებს საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობას; აკონტროლებს იმას, რომ მოსწავლეებმა ერთმანეთს დააცადონ აზრის გამოთქმა. საკლასო დისკუსიის დროს ხდება საგაკვეთილო მასალის უკეთ გაგება, გამოყენება, ანალიზი და შეფასება; სწავლა სხვების მოსაზრებების და შეხედულებების საფუძველზე; საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების შეძენა; საკუთარი თავისადმი რწმენის განმტკიცება.

დისკუსიისათვის მნიშვნელოვანია კითხვებით ხასიათის დადგენა და სხვადასხვა ტიპებად დაყოფა. კითხვები მრავალფეროვნებით უნდა გამოირჩეოდნენ და გააჩნდეთ განსხვავებული შინაარსობრივი დატვირთვა. მასწავლებელთა უმრავლესობა ადგენს კითხვათა ნუსხას, რომელიც, დაახლოებით, 8 ან 10 ბაზისური კითხვისაგან შედგება. აქედან შეიძლება წარმოიშვას უამრავი სხვადასხვა შეკითხვა. კითხვათა ცვლილება დამოკიდებულია სასწავლო პროცესის მიზნის ცვალებადობაზე.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეებს დისკუსიისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები გამოუმუშავდებათ, მასწავლებელს შეუძლია დისკუსიის ისეთი ფორმები გამოიყენოს, რომელსაც მთლიანად მოსწავლე წარმართავს. დისკუსიის პროცესში მასწავლებელი არ აკრიტიკებს მოსწავლეთა მოსაზრებებს, შეხედულებებსა და იდეებს. მასწავლებელი, ამავე დროს, ცდილობს, დაეხმაროს მათ საკითხის უკეთ გაშუქებასა და საკუთარი თავის მიმართ რწმენის განმტკიცებაში. მაგ: მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს: „იქნებ უფრო ღრმად გააშუქოთ ეს საკითხი“? ან თუ მასწავლებელს სურს, უფრო დახვეწოს მოსწავლის ნააზრევი, ამბობს: „ეს ნამდვილად ახალი იდეაა, როგორც მივხვდი. . . “. „ხომ არ შეგიძლიათ, მოიყვანოთ არგუმენტი . . . “. „რატომ ფიქრობთ ასე . . . შეგიძლია ახსნა, რას გულისხმობ ამაში . . . “. ასეთი მიდგომა მოსწავლეებს უბიძგებს ახალი იდეების გამოთქმისაკენ. მასწავლებელი სთხოვს, გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები ისეთმა მოსწავლეებმა, რომლებიც ჩუმად სხედან.

დისკუსიის მეთოდს მასწავლებელი იყენებს გაკვეთილის მიზნის შესაბამისად. ამასთან, ითვალისწინებს მოსწავლეების საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებს და იმასაც, თუ რამდენად არიან მომზადებულნი დისკუსიისთვის.

სასურველია, მასწავლებელმა დაფაზე დაწეროს დისკუსიის საკითხები და პერიოდულად შეახსენოს მოსწავლეებს.

დისკუსიას მასწავლებელი ღია შეკითხვებით წარმართავს. მაგალითად:

- როგორია თქვენი რეაქცია ამა და ამ საკითხთან დაკავშირებით?
- რომელმა პრობლემამ დაგაინტერესათ?
- რა დასკვნებს გამოიტანთ ამ მონაცემებიდან?
- რა გაძლევთ ასეთი დასკვნის გამოტანის საფუძველს?

საკლასო დისკუსიის სახეებია: კრიტიკული დისკუსია, „დამიტოვე სათქმელი“, სამსაფეხურიანი ინტერვიუ. კრიტიკული დისკუსიის დროს მოსწავლეები ტექსტის მიმართ სკეპტიციზმს დაუფარავად გამოხატავენ, ყველაფერში ეჭვი ეპარებათ. სვამენ შეკითხვებს: რა არის ეპიზოდის დედააზრი? რას გვთავაზობს ავტორი? კიდევ რა დაგვრჩა სათქმელი? დედააზრთან დაკავშირებული კიდევ რა საკითხების წამოწევა შეგვეძლო? ვინაა „გამარჯვებული“ ამ ისტორიაში? რა გააკეთა მან გამარჯვების მოსაპოვებ-

ლად? ვინ წააგო? რატომ მოხდა ეს? რას გვასწავლის ეს ამბავი? დავუშვათ, რომ პერსონაჟი სხვა სოციალურ კლასს, ან სხვა ასაკობრივ ჯგუფს განეკუთვნებოდა, როგორ განვითარდებოდა მოვლენები; როგორ შეიძლება, რომ ამ ისტორიაში მოვლენები სხვა პერსონაჟის თვალთახედვით გამოიყურებოდეს? ამ მოთხრობის რომელი ალტერნატიული ნაწარმოები შეგიძლიათ შესთავაზოთ მკითხველს?

მასწავლებელს, როგორც ჯგუფის ხელმძღვანელს, შეუძლია ტექსტის პირველადი განხილვისას მოსწავლეები, ზემოხსენებული კითხვების შესახებ მსჯელობასა და დისკუსიაში ჩართოს. შემდეგ, ჯგუფებში განხილვას თავადაც შესძლებენ.

საკლასო დისკუსიისათვის მნიშვნელოვან უნარ-ჩვევებს ავითარებს სტრატეგია „დამიტოვებ სათქმელი“. მასწავლებელი, დისკუსიაში წვლილის შეტანას ცდილობს. ამასთან, მოსწავლეები არგუმენტების ჩამოყალიბებაში ხელს არ უშლის. აცნობიერებს, რომ მოსაუბრე უფრო თავდაჯერებულია მაშინ, როცა კამათში საბოლოო სიტყვა მიეცემა. ეს სტრატეგია ზემოთდასახელებული სტრატეგიისაგან იმით განსხვავდება, რომ ფურცლის ერთ მხარეს იწერება ყველაზე მნიშვნელოვანი ფრაგმენტი, მეორე მხარეს - კომენტარი, რომელიც პასუხობს შემდეგ კითხვებს: რა აზრი ალგიძრათ ნაწყვეტმა? რატომ არის მნიშვნელოვანი? შეიძლება მისი ეჭვქვეშ დაყენება?

განხილვის დროს ნაწყვეტებს რიგ-რიგობით კითხულობენ და ამხანაგს კომენტირებას სთხოვენ. მოსმენის შემდეგ მოსწავლეს საბოლოო სიტყვის თქმის უფლება რჩება და თავის მოსაზრებას კითხულობს.

კოოპერაციული სწავლება/სწავლის ყველა მეთოდის მსგავსად, სამსაფეხურიანი ინტერვიუ მოსწავლეს წახალისებს სასწავლო პროცესში მონაწილეობისათვის. მოსწავლეებს 4-6 კაციან ჯგუფებად ყოფენ. თემის წარმოდგენის და საკითხის განსაზღვრის შემდეგ წყვილებად ყოფენ. წყვილები ერთმანეთისაგან ინტერვიუს იღებენ, რათა საკუთარ წარმოდგენებში უკეთ გაერკვნენ. შემდეგ ყოველი მოსწავლე ჯგუფს პარტნიორის იდეებს აცნობს. ასე განიხილება ყველა იდეა ერთიანი აზრის ჩამოყალიბებამდე.

საკლასო დისკუსიის დროს მასწავლებელი მოსწავლეს ცალმხრივად, სწორხაზოვნად კი არ ასწავლის. არამედ პასუხებზე ორიენტირებით, მოსწავლის კითხვები და ქცევა აძლევს მასწავლებელს საშუალებას წავიდეს წინ. შედეგად მოსწავლე „იწოვს“ მასწავლებლისგან სწორედ იმას, რაც უნდა რომ

იცოდეს. დისკუსიის მსვლელობის დროს მოსწავლეები მათ მიერ დასმული კითხვებით და პასუხებით „ასწავლის“ მასწავლებელს, როგორ არის საჭირო სწავლება და ურთიეთკავშირის შედეგად „სწავლობს“ სწავლებას. „საუკეთესო წესი რაიმე ისწავლო-ასწავლე ეს სხვებს“. ვინც ასწავლის და ვინც სწავლობს იმყოფებიან მუდმივ ურთიერთკავშირში. ერთობლივი მუშაობის დროს, სწავლება/სწავლის პროცესში იზრდება მოსწავლის ჩართულობა, მასალის შესწავლაში ერთმანეთს ეხმარებიან.

ავტორთა ჯგუფი სახელმძღვანელოში „სწავლება და შეფასება“ (ტყემალაძე, 2008: 142). დისკუსიის ძლიერ მხარეებში ასახელებენ:

- საგაკვეთილო მასალის უკეთ გაგებას, გამოყენებას, ანალიზსა და შეფასებას;

- სწავლას სხვების მოსაზრებების და შეხედულებების საფუძველზე;
- საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების შეძენას;
- საკუთარი თავისადმი რწმენის განმტკიცებას.

ყველა მოსწავლის დისკუსიაში ჩასაბმელად საჭიროა მასწავლებელმა ისეთი შეკითხვები დასვას, რომლებიც შეესაბამება როგორც თითოეული მოსწავლის, ასევე მთელი კლასის ინტერესებს. კითხვები მოსწავლეებს შემოქმედებითი თუ კომუნიკაციური უნარ-ჩვევების გამომუშავებაში ეხმარება, რაც შემდგომში უთუოდ ხელს შეუწყობს ჯანსაღი კონკურენციისა და ურთიერთთანამშრომლობის ჩამოყალიბებას. შეკითხვის ფორმამ შეიძლება გავლენა მოახდინოს პასუხის სტილზე, შინაარსსა და ემოციურ ხასიათზე. მაგალითად, თუ დავსვამთ შეკითხვას: რა სახის პრობლემები წარმოიშვა მას შემდეგ, რაც ტერიტორიები დავკარგეთ? პასუხი ემოციური იქნება.

ერთობლივ სწავლება-სწავლას ემსახურება ისეთი მეთოდები, როგორიცაა: „ჯვარედინი დისკუსია“, ერთი წრეში - სამი გარეთ, „სასწავლო დისკუსია“, „ფასეულობათა ხაზი“ და სხვ. ერთობლივი სწავლება მოსწავლეებს ააქტიურებს, მაღალი დონის აზროვნებას აყალიბებს, სწავლება/სწავლის მოტივაციას ზრდის, სოციალური განვითარების პროგრესს უწყობს ხელს.

თანამშრომლობა მრავალფეროვანი უნარია, რომელიც სწავლასა და ცხოვრებაში გვეხმარება. ჯგუფებში მუშაობის დროს მოსწავლეებისაგან „საზოგადოებრივი შეთანხმების“ დაცვას მოვითხოვთ. კერძოდ:

1. ყველა თანაბრად მონაწილეობს, უპირატესობა არავის ენიჭება;
2. საუბრობენ არსებითზე;
3. ისმენენ აქტიურად;
4. ერთმანეთს მხარს უჭერენ.

მუშაობის დროს მოსწავლეს კონკრეტული როლი ეკისრება. ჯგუფური მუშაობის პრაქტიკულ გამოცდილებასა და ჩვევას ყველა მათგანი თანდათან იძენს. შესაძლო როლი:

ორგანიზატორი - მუშაობის წესს განსაზღვრავს და თვალყურს ადევნებს; დროის მარეგულირებელი - თითოეული ამოცანის შესასრულებლად დროს აწესებს და ჯგუფის დანარჩენ წევრებს შეახსენებს; განმარტებელი - პასუხისმგებელია ჯგუფის ყველა წევრის მიერ დავალების გაგებაზე; რეგისტრატორი - ჯგუფური განხილვის მსვლელობისას ჩაიწერს და მოსაზრებებს აჯამებს; რეპორტიორი - ჯგუფის ნამუშევარს აუდიტორიას წარუდგენს.

ერთობლივი მუშაობის დროს, სწავლება/სწავლის პროცესში იზრდება მოსწავლის ჩართულობა, თუმცა პასუხს მხოლოდ საკუთარი ცოდნის შესახებ აგებენ. მასალის შესწავლაში ერთმანეთს ეხმარებიან, მაგრამ თითოეული ინდივიდუალურად ფასდება.

სტრატეგია „კუთხეები“

მეთოდი კუთხეები გამოიყენება საკლასო დისკუსიის წარმართვისას, კამათის პროვოცირებისა და ჯგუფებს შორის პაექრობის გასაჩაღებლად, ორი ან მეტი პოზიციის არსებობისას. ეს სავარჯიშო აქტიურად და ხალისიანად სრულდება. ეს მეთოდი აგრეთვე კარგია კლასში ტექსტის კითხვის, ლექციის მოსმენის, ფილმის ჩვენების შემდეგ შთაბეჭდილებების შესაფასებლად, განსხვავებული თვალსაზრისის დასაფიქსირებლად.

მეთოდი “კუთხეები” მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გამოთქვან საკუთარი აზრი და დაიცვან თავიანთი პოზიცია, აგრეთვე ყურადღებით მოუსმინონ სხვების არგუმენტებს და ამის მიხედვით გარკვეული მსჯელობის შემდეგ, გაიზიარონ ან არ მიიღონ განსხვავებული მოსაზრებები (შეცვალონ ან არ შეცვალონ საკუთარი პოზიცია).

პედაგოგი მოსწავლეებს სთავაზობს სადისკუსიო თემას. მოსწავლეები ინდივიდუალურად ირჩევენ გარკვეულ პოზიციას და იკავებენ საკლასო

ოთახში “ამ პოზიციისათვის” განკუთვნილ ადგილს (საკლასო ოთახის კუთხეს, მერხს და ა. შ).

დაჯგუფებული მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ მოსაზრებებს და იწყებენ ჯგუფში მსჯელობას, რათა შემდეგ დაასაბუთონ თავიანთი ვერსია არგუმენტებით (შესაძლებელია დასაბუთება წერილობით მოხდეს). მოსწავლეები უნდა შეეცადონ რაც შეიძლება დამაჯერებელი და საინტერესო იყოს პრეზენტაცია. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელი ეხმარება ჯგუფებს. მოსწავლეებს შეუძლიათ დისკუსიის მსვლელობისას შევალონ შეხედულება – გადაადგილდნენ ერთი კუთხიდან მეორეში და იმ ჯგუფში გადაიკვლონ, რომლის მოსაზრებასაც ახლა ეთანხმებიან. მოსმენის და კამათის დროს მოსწავლეებმა სასურველია გააკეთონ ჩანაწერები, რაც დაეხმარება მათ პოზიციის წერილობით გამოხატვასა და დაცვაში. მასწავლებელმა შეკითხვების დასმის დროს სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს საუბრის ტონს, ხმის ტემბრს, წარმოთქმის სისწრაფეს, სახის მიმიკას, სხეულის მოძრაობას, თვალთ კონტაქტს და, რაღა თქმა უნდა, კითხვის შინაარსს. შეკითხვის დასმა შესაძლებელია დავიწყოთ საკმაოდ მკაცრი, ცივი, ან ოფიციალური ტონით, რომელიც ბოლოში ოდნავ უნდა შევარბილოთ. მაგალითად, რას ფიქრობთ თქვენ? ეს მარტივი კითხვითი წინადადება შეიძლება მრავალნაირად წარმოვთქვათ. კარგი იქნება, თუ შეკითხვის დასმის დროს გავილიმებთ კიდევ.

მასწავლებელი მოსწავლეებს დისკუსიისათვის წინასწარ ამზადებს. აცნობს დისკუსიის საკითხებს და მიზნებს. მასწავლებელი დისკუსიას იწყებს ისეთი კითხვებით ან პრობლემით, რომელიც აღძრავს მოტივაციას მოსწავლეებში და რთავს მათ დისკუსიაში. დისკუსიას შეიძლება ახლდეს მოკლე პრეზენტაციები მასწავლებლის ან მოსწავლეების მხრიდან. მასწავლებელი ცდილობს, დისკუსიაში მხოლოდ მოსწავლეები იყვნენ ჩართულნი და ანალიზისა და კვლევის საფუძველზე ამოწურონ სადისკუსიო საკითხი. დროთა განმავლობაში მოსწავლეები ეჩვევიან დისკუსიის დროს რეგლამენტის დაცვას, სწრაფი და ადეკვატური პასუხების გაცემას და არგუმენტების მოყვანას.

დისკუსიის დასასრულს, მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად აჯამებს დისკუსიას და განიხილავს დისკუსიის დადებით და უარყოფით მხარეებს.

დისკუსიის წესები: მასწავლებელი დისკუსიის დაწყებამდე ურიგებს მოსწავლეებს სხვადასხვა ფერის სამ პატარა ალამს; მოსწავლეები ფერად ალმებს პატარა ღრუბლის ნაჭერში არჭობენ და თავიანთ მერხზე ათავსებენ; ალმები კარგად უნდა ჩანდეს; მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს თამაშის წესებს. თითოეულ მოსწავლეს უფლება აქვს, დისკუსიის მსვლელობის დროს მხოლოდ სამჯერ გამოთქვას აზრი. ყოველი პასუხის შემდეგ მოსწავლემ უნდა ამოიღოს ალამი და გადადოს გვერდზე. როდესაც მას არც ერთი ალამი აღარ დარჩება, იგი მხოლოდ მსმენელის როლს შეასრულებს. წინასწარ ვაცნობთ დროის ლიმიტს და ვთხოვთ მოსწავლეებს მოუსმინონ ერთმანეთს და პატივი სცენ ერთმანეთის ნააზრევს.

ამ ხერხით ჩატარებული დისკუსიები დაეხმარება მასწავლებელს დისკუსიის სწორად წარმართვაში და მათი სისტემატურად გამოყენებით მოსწავლეთა პასუხები ლოგიკური და დისკუსიის თემის შესაბამისი იქნება. ასევე, ეს ხერხი შესაძლებლობას გვაძლევს, კლასში დისკუსია მხოლოდ წარმატებული მოსწავლეების ჩართვით არ ამოიწუროს და მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა გავაქტიუროთ.

დისკუსიის ჩატარების სხვადასხვა ხერხს გვათავაზობს ავტორთა ჯგუფი დამხმარე სახელმძღვანელოში „სწავლება და შეფასება“ (ტყემელაძე, 2008:146).

1. პრობლემის ან შეკითხვის დასმის შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, შებრუნდნენ გვერდზე მჯდომი მოსწავლისკენ და გამართონ დისკუსია პასუხის მოსაძებნად. მიეცით მოსწავლეებს ამისათვის მცირე დრო (30 წამი). გამოიყენეთ ეს მეთოდი მაშინ, როდესაც კითხვას ან პრობლემას აქვს მარტივი პასუხი და თქვენ გსურთ, მიიღოთ თქვენი მოსწავლეებისაგან სწრაფი პასუხი. ამ ხერხის გამოყენების მიზანია, გახადოთ ყველა მოსწავლე დისკუსიის მონაწილე. გავითვალისწინოთ, რომ წყვილებში ერთი მოსწავლე დომინანტურია მეორეზე. ამიტომ ხელი უნდა შევუწყოთ ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში.

2. მასწავლებელი სთხოვს, 30 წამის განმავლობაში დამოუკიდებლად იფიქრონ შეკითხვაზე ან პრობლემაზე და ამის შემდეგ დაიწყონ დისკუსია ერთმანეთში. მასწავლებელი, დისკუსიის მიმდინარეობიდან გამომდინარე, არეგულირებს დროს. წყვილებში დისკუსიის დასრულების შემდეგ ისინი მთელ კლასს უზიარებენ მოსაზრებებს. სასურველია, მოსაზ-

რებების გაზიარებაზე გადახვიდეთ მას შემდეგ, რაც წყვილებში რამდენჯერმე გაიმართება დისკუსია და მოსწავლეები მიეჩვევიან ამ ხერხით მუშაობას.

3. დისკუსია მიმდინარეობს 3-5 წევრიან ჯგუფებში. ვსვამთ შეკითხვას, ან პრობლემას და ვთხოვთ მოსწავლეებს, სწრაფად განიხილონ იგი ჯგუფში. ეს ხერხი კარგია მოსწავლეებისგან სწრაფი პასუხების მისაღებად. თითოეულ მოსწავლეს ჯგუფში ერთი პასუხის გაცემის უფლება აქვს.

კითხვების დასმის შემდეგ მასწავლებელი აკვირდება, მონაწილეობს თუ არა ყველა მოსწავლე ჯგუფურ დისკუსიაში. იგი თავდაპირველად აკონტროლებს იმას, რომ მოსწავლეებმა არ გააკრიტიკონ ერთმანეთის იდეები. მას შემდეგ, რაც მასწავლებელი დარწმუნდება, რომ მოსწავლეები არიან მომზადებულები და აქვთ შესაბამისი უნარ-ჩვევები, აძლევს ერთმანეთის მოსაზრებების და იდეების კრიტიკის საშუალებას.

ჯგუფური დისკუსიის დასრულების შემდეგ ჯგუფები უზიარებენ თავიანთ იდეებს ან პასუხებს მთელ კლასს. მასწავლებელი ჯგუფიდან შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე სთხოვს ერთ-ერთ მოსწავლეს, გადმოსცეს ჯგუფის მოსაზრება. იმავე ჯგუფის სხვა მოსწავლეებს შეუძლიათ რამე დაამატონ.

4. მასწავლებელი კლასს აცნობს გარკვეულ მოსაზრებას. მოსწავლეები, რომლებიც ეთანხმებიან მოსაზრებას, ჯგუფდებიან კლასის ერთ კუთხეში, ხოლო მოსწავლეები, რომლებიც არ ეთანხმებიან - კლასის მეორე კუთხეში. მასწავლებელი მომხრეებს და მოწინააღმდეგეებს აჯგუფებს წყვილებად, ან მცირე ჯგუფებად და იმართება დისკუსია. მოსწავლეებმა უნდა დაასაბუთონ თავიანთი პოზიციები.

5. (ჯიქსო) მასწავლებელი ყოფს დავალებას ნაწილებად. კლასს ყოფს 3-5 წევრიან ჯგუფებად და თითოეულ წევრს მხოლოდ დავალების ერთ ნაწილს აძლევს. შემდეგ იქმნება ახალი ჯგუფები იმ წევრებისგან, რომლებსაც ერთი და იმავე დავალების ნაწილი აქვთ მიცემული და ჯგუფში იმართება დისკუსია. საკითხის განხილვის შემდეგ თითოეული მოსწავლე უბრუნდება თავის ძველ ჯგუფს. ამ შემთხვევაში ყველა მოსწავლის მიერ მოტანილი იდეები და ინფორმაცია თანაბრად მნიშვნელოვანია

დავალების შესასრულებლად, რაც ჯგუფის წევრებს ერთმანეთზე დამოკიდებულს ხდის.

6. მოსწავლეები წინასწარ ამზადებენ საშინაო დავალებას. წერენ მოკლე ანალიზს და დასკვნას მიცემულ საკითხთან დაკავშირებით. კლასში დაბრუნებულები ჯგუფში ან წყვილში განიხილავენ თითოეულს და დიკუსიის საფუძველზე აფასებენ ნამუშევარს. შეფასების კრიტერიუმები წინასწარ მზადდება მასწავლებლის და მოსწავლეების მიერ. თითოეულმა ჯგუფმა უნდა აარჩიოს ერთი დასკვნა, რომელიც მთელ კლასში დისკუსიის საგანი გახდება.

8. დიკუსიაში მონაწილეობს მთელი კლასი. დისკუსიის საკითხს მასწავლებელი წინასწარ აძლევს/აცნობს მოსწავლეებს, ინფორმაციის მოსაძიებლად ასახელებს წყაროებს. მოსწავლეებთან ერთად ადგენს დისკუსიის წესებს. დისკუსიისთვის მომზადების დროს მასწავლებელი არ განსაზღვრავს პასუხებს და დისკუსიის დროს არ ცდილობს, მოსწავლეები წაიყვანოს წინასწარ განსაზღვრული პასუხებისკენ. მასწავლებელი დისკუსიას იწყებს მოტივაციის გამომწვევი კითხვით, პრობლემით ან მოკლე პრეზენტაციით. მასწავლებელი მხოლოდ მართავს პროცესს და სვამს შეკითხვებს დისკუსიის ეფექტიანობისთვის.

სასწავლო დისკუსია - ერთობლივი სწავლების მეთოდია, რომელიც გამოიყენება პრობლემის მრავალმხრივი ინტერპრეტაციით კვლევისათვის. მისი უპირატესობა ისაა, რომ რაოდენობის მიუხედავად დისკუსიაში უკლებლივ ყველა მოსწავლეა ჩართული (ნაკლია ის, რომ მასწავლებლის ურთიერთობა მოსწავლეებთან ერთგვარად შეზღუდულია).

მასწავლებელი მოსწავლეს პრობლემის შესახებ დახურულ შეკითხვას აძლევს. აუდიტორია ოთხკაციან ჯგუფებად იყოფა, შემდეგ წყვილებიან. თითოეული წყვილი საპირისპირო თვალსაზრისს იცავს. რამდენიმე წუთის განმავლობაში მთელი ჯგუფი, პრობლემის დაზუსტების მიზნით, საკითხს ერთობლივად განიხილავს. შემდეგ წყვილები არგუმენტებს ჩამოწერენ. ხუთი წუთის შემდეგ ყოველი მოსწავლე მსგავს პოზიციაზე მყოფ სხვა წევრებს ეძებს. ახალი წყვილები მოსაზრებებს ერთმანეთს უზიარებენ, არგუმენტებს განიხილავენ და თავდაპირველ პარტნიორებს უბრუნდებიან, რათა მიღებული ინფორმაცია გაუზიარონ. ყოველივე ამის შემდეგ წყვილები ყველაზე ძლიერ არგუმენტებს ამოირჩევენ იმ წყვილის წინააღმდეგ, რომე-

ლიც თავდაპირველად მათ ოთხეულში შედიოდა. ვარიანტის სახით, დაახლოებით ათწუთიანი დებატების შემდეგ, მოსწავლეს არგუმენტების წარმოდგენა იმ პოზიციის სასარგებლოდ შეუძლია, რომელსაც შინაგანად იზიარებს.

კრიტიკული დისკუსია - ზოგჯერ მოსწავლეები ტექსტის მიმართ სკეპტიციზმს დაუფარავად გამოხატავენ, ყველაფერში ეჭვი ეპარებათ. ასეთ დროს კრიტიკული დისკუსიის ჯგუფების ამოქმედებაა ეფექტური. ქვემოთ მოყვანილია შეკითხვები, რომლებიც პუბლიცისტურ და საინფორმაციო (ექსპოზიტიორულ, აღწერილობით) ტექსტებზე მუშაობის დროს გამოგვადგება:

- რა არის ეპიზოდის დედააზრი? რას გვთავაზობს ავტორი?
- როგორ ამოვიცნოთ გარკვეული ღირებულებები ტექსტში თუ ისინი ნათლად არაა ფორმულირებული და რა გზით მივიღეთ იმავე დასკვნამდე, რასაც ავტორი გვთავაზობს?

- ავტორის მიერ წარმოდგენილი რომელი აღწერილობითი ვარაუდი უნდა მივიღოთ, რათა იგივე დასკვნამდე მივიდეთ, რასაც ავტორი გვთავაზობს? (ან მოცემულია თუ არა ტექსტში ადამიანის თუ იდეის რაიმე დახასიათება, რასაც არ დავეთანხმებით?)

- როგორ ფაქტებს გვთავაზობენ სარწმუნოდ?
- კიდევ რა დაგვრჩა სათქმელი?
- დედააზრთან დაკავშირებული კიდევ რა საკითხების წამოწევა შეგვეძლო?

შეკითხვები თხრობითი ტექსტისათვის შეიძლება სხვაგვარი იყოს:

- ვინაა „გამარჯვებული“ ამ ისტორიაში? რა გააკეთა მან გამარჯვების მოსაპოვებლად? ვინ წააგო? რატომ მოხდა ეს? რას გვასწავლის ეს ამბავი?;

- დავუშვათ, რომ მოცემული პერსონაჟი სხვა ჯგუფის წარმომადგენელია, როგორ განვითარდებოდა მოვლენები - ასევე თუ სხვაგვარად? დავუშვათ, რომ პერსონაჟი სხვა სოციალურ კლასს, ან სხვა ასაკობრივ ჯგუფს ... განეკუთვნებოდა;

- სურს ავტორს, რომ მკითხველმა საკუთარი თავი რომელიმე გმირად წარმოიდგინოს? კონკრეტულად რომელ გმირად? თქვენი აზრით, რომელ

პერსონაჟზე მისაბამად მოგვიწოდებს ავტორი? ხასიათის რა თავისებურებების აღწერას მივყავართ ამგვარ დასკვნამდე?;

- როგორ შეიძლება, რომ ამ ისტორიაში მოვლენები სხვა პერსონაჟის თვალთახედვით გამოიყურებოდეს?;

- რა დგება ეჭვქვეშ ჩვენს ცხოვრებაში მოთხრობის მიხედვით? რას იცავს ავტორი ჩვენს ცხოვრებაში? რას თვლის თავისთავად ცხადად ჩვენს ცხოვრებაში?;

- ამ მოთხრობის რომელი ალტერნატიული ნაწარმოები შეგიძლიათ შესთავაზოთ მკითხველს?

მასწავლებელს, როგორც ჯგუფის ხელმძღვანელს, შეუძლია ტექსტის პირველადი განხილვისას მოსწავლეები, ზემოხსენებული კითხვების შესახებ მსჯელობასა და დისკუსიაში ჩართოს. შემდეგ, ჯგუფებში განხილვას თავადაც შესძლებენ. კიდევ ერთი მეთოდი, რამაც კრიტიკული დისკუსიის ჯგუფში მოსწავლის გააქტიურება შეიძლება გამოიწვიოს, არის თითოეულისათვის რაიმე როლის განსაზღვრა.

„დამიტოვეთ სათქმელი - ხშირად მასწავლებელი, დისკუსიაში წვლილის შეტანას ცდილობს. ამასთან, მოსწავლეებს არგუმენტების ჩამოყალიბებაში ხელს არ უშლის. აცნობიერებს, რომ მოსაუბრე უფრო თავდაჯერებულია მაშინ, როცა კამათში საბოლოო სიტყვა მიეცემა.

მეთოდის ავტორებმა მუშაობა ამგვარად ააგეს: მოსწავლეს კითხვის დროს ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწყვეტის ფურცლის ერთ მხარეს დაწერა სთხოვეს, მეორე მხარეს - კომენტირება: რა აზრი ალგიძრათ ნაწყვეტმა? რატომ არის მნიშვნელოვანი ...? შეიძლება მისი ეჭვქვეშ დაყენება?

განხილვის დროს ნაწყვეტებს რიგრიგობით კითხულობენ და ამხანაგს კომენტირებას სთხოვენ. მოსმენის შემდეგ მოსწავლეს საბოლოო სიტყვის თქმის უფლება რჩება და თავის მოსაზრებას კითხულობს.

„სამსაფეხურიანი ინტერვიუ“ - კოოპერაციული სწავლება/სწავლის ყველა მეთოდის მსგავსად, სამსაფეხურიანი ინტერვიუც მოსწავლეს წახალისებს სასწავლო პროცესში მონაწილეობისათვის. მოსწავლეებს 4-6 კაციან ჯგუფებად ყოფენ. თემის წარმოდგენის და საკითხის განსაზღვრის შემდეგ წყვილებად ყოფენ. წყვილები ერთმანეთისაგან ინტერვიუს იღებენ, რათა

საკუთარ წარმოდგენებში უკეთ გაერკვნენ. შემდეგ ყოველი მოსწავლე ჯგუფს პარტნიორის იდეებს აცნობს. ასე განიხილება ყველა იდეა ერთიანი აზრის ჩამოყალიბებამდე.

დისკუსია მცირე ჯგუფში

მცირე ჯგუფში დისკუსია მონაწილეებს საშუალებას აძლევს, გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება და მოსაზრებები, ან გადაჭრან რაიმე პრობლემა. აძლიერებს პრობლემის გადაჭრის უნარ-ჩვევებს; ეხმარება მონაწილეებს ისწავლონ ერთმანეთისგან; ზრდის მონაწილეების პასუხისმგებლობის გრძნობას სწავლის პროცესზე; ხელს უწყობს გუნდურ მუშაობას.

უპირატესობები: მონაწილე უკეთ აკონტროლებს საკუთარი სწავლის პროცესს; ხელს უწყობს მონაწილეობას; განამტკიცებს და მკაფიოს ხდის ნასწავლს.

რა უნდა გავითვალისწინოთ მცირე ჯგუფში დისკუსიის გამოყენებამდე: დისკუსიის საგანი ჯგუფის წევრებისათვის ძალზე ნათლად უნდა იყოს გადმოცემული; ჯგუფმა უნდა იცოდეს, თუ რა დროის ლიმიტი აქვს დისკუსიის დროს; მონაწილეებს უნდა შეეძლოთ ერთმანეთის მოსმენა, თუნდაც არ ეთანხმებოდნენ ერთმანეთს; ჯგუფური დისკუსიის პროცესში არ უნდა დომინირებდეს მხოლოდ ერთი ან ორი ადამიანი; წინასწარ მომზადებული კითხვები დაგეხმარებათ დისკუსიის გაძლიერებაში; ყოველი მონაწილე უნდა წახალისდეს დისკუსიაში აქტიური მონაწილეობისათვის;

დისკუსიის მცირე ჯგუფებში დაგეგმვა:

1. დაყავით მონაწილეები ჯგუფებად – 4-7 მონაწილე;
2. წარმოადგინეთ დისკუსიის საგანი;
3. სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს, რომ შეთანხმდნენ, თუ ვინ გაუწევს ჯგუფს დისკუსიის პროცესში ფასილიტაციას, ვინ ჩაიწერს გამოთქმულ მოსაზრებებს და ვინ მოახდენს ჯგუფის ერთიან მოსაზრებებსა, თუ დასკვნის წარმოდგენას ფართო აუდიტორიისათვის;
4. გადაამოწმეთ ყველა ჯგუფმა ზუსტად გაიგო თუ არა, რაში მდგომარეობს სადისკუსიო საკითხი;

5. მიეცით ჯგუფებს გარკვეული დრო დისკუსიისათვის – ამ დროის განმავლობაში ტრენერი არ უნდა ჩაერიოს ჯგუფების მუშაობაში გარდა იმ შეკითხვებისა, როდესაც მონაწილეებს კითხვები აქვთ ტრენერთან;

6. შეაჯამეთ ის თემები, რომლებსაც ყველაზე მეტად გაუსვეს ხაზი ჯგუფებმა დისკუსიის შემდეგ;

7. ჰკითხეთ მონაწილეებს თუ რა ისწავლეს დისკუსიის შედეგად; ჰკითხეთ მათ, თუ როგორ აპირებენ მიღებული ინფორმაციისა თუ ცოდნის გამოყენებას.

ჯვარედინი დისკუსია (ალვერმანი, 1991) განსჯის მექანიზმია. მსჯელობას თავად მოსწავლეები წარმართავენ. ამ მიზნით მასწავლებელი ორმაგ კითხვას ამზადებს, ქვემოთ მოცემული ფორმატის მიხედვით:

დიახ არა

უნდა მიიღოს თუ არა მთავრობამ განსაკუთრებული

ზომები ეროვნული უმცირესობათა კულტურის შესანარჩუნებლად?

დასკვნა

ამ ნიმუშის შესაბამისად, მონაწილეთა ყოველ წყვილს სთხოვეთ, შეადგინონ საკუთარი სადისკუსიო ცხრილი. შემდეგ ექვსი-შვიდი წუთის განმავლობაში წყვილებად დაყოფილი მონაწილეები განიხილავენ საკითხს: ***უნდა მიიღოს თუ არა მთავრობამ განსაკუთრებული ზომები ეროვნულ უმცირესობათა კულტურის შესანარჩუნებლად?***

მოსწავლეებმა დასკვნითი (შემაჯამებელი) განხილვის დროს პასუხი კი არ უნდა გასცენ ამ კითხვას, არამედ უნდა შეადგინონ ორი სია: ერთში მოცემული იქნება არგუმენტები/დასაბუთება, რომ მთავრობამ ასეთი ზომები უნდა გაატაროს (ეს დებულება უნდა ჩაიწეროს სიაში, სიტყვა „დიახ“-ის ქვეშ), მეორეში კი – მთავრობამ უნდა მიიღოს ზომები ნაციონალური უმცირესობის კულტურის შესანარჩუნებლად (ამგვარი დასაბუთება – სიტყვა „არა“-ს ქვეშ).

როდესაც მონაწილე წყვილი შეავსებს ორივე სვეტს, ეს წყვილი უნდა გაერთიანდეს სხვა წყვილებთან და გაუზიაროს თავიანთ სიაში შეტანილი მოსაზრებანი. შემდეგ ოთხეულმა თავად უნდა განიხილოს ეს პრობლემა და გარკვეულ ზოგად დასკვნამდე მივიდეს. შემდეგ შეიძლება

ერთ-ერთი სიის ქვეშ მიეწეროს. მასწავლებელმა უნდა გამოყოს დრო რამდენიმე ჯგუფის დასაბუთებისა და დასკვნების განსახილველად.

სასწავლო დისკუსია (კაგანი, 1991) როგორც ერთობლივი სწავლების მეთოდი გამოიყენება მრავალი ინტერპრეტაციის მქონე პრობლემების გამოსაკვლევად. ამ პროცედურის უპირატესობა ისაა, რომ დისკუსიაში ჩართულია უკლებლივ ყველა მოსწავლე, რაოდენობის მიუხედავად (ნაკლად უნდა ჩაითვალოს, მასწავლებლის მოსწავლეებთან ურთიერთობა გარკვეულად შეზღუდულია) მასწავლებელი მოსწავლეებს უსახავს პრობლემას და აძლევს „ბინარულ“ (ორმაგ) კითხვას (რომელიც გულისხმობს პასუხებს: თანახმა ვარ/არა ვარ თანახმა; სწორია/სწორია; დიახ/არა) მოსწავლეები იყოფიან „შინაურ“ ჯგუფებად, ყოველი მათგანი ოთხი კაცისგან შედგება. ყოველ ჯგუფში მოსწავლეები წყვილებად იყოფიან. ყოველმა წყვილმა დასმულ პრობლემაზე საპირისპირო თვალსაზრისი უნდა დაიცვას. თავდაპირველად რამოდენიმე წუთის მანძილზე მთელი ჯგუფი იხილავს პრობლემას, რათა დარწმუნდნენ, რომ საკითხი ერთნაირად ესმით. შემდეგ ყოველი წყვილი ცალ-ცალკე ამტკიცებს თავის მოსაზრებას. ხუთი წუთის შემდეგ წყვილები იშლებიან და ყოველი მოსწავლე სხვა წყვილის წევრს ეძებს, რომელიც იმავე თვალსაზრისს იცავს, რასაც თვითონ. ახალი წყვილები ერთმანეთს უზიარებენ მოსაზრებებს, განიხილვენ არგუმენტებს და უბრუნდებიან თავდაპირველ პარტნიორებს, რათა აცნობონ, თუ რა გაიგეს. ყოველივე ამის შემდეგ წყვილები ამოირჩევენ ყველაზე ძლიერ არაოფიციალურ დებატებში გამოსაყენებელ არგუმენტებს, იმ წყვილის წინააღმდეგ, რომელიც დასაწყისში შედიოდა მათ ოთხეულში. დაახლოებით ათწუთიანი დებატების შემდეგ, ვარიანტის სახით, მასწავლებელს შეუძლია ნება დართოს მოსწავლეს, მოიტანონ იმ თვალსაზრისის სასარგებლოდ საბუთები, რომელსაც სინამდვილეში იზიარებენ.

კითხვები დამოუკიდებელი მუშაობისათვის:

1. როგორ ხდება საკლასო დისკუსიის ორგანიზება?
2. მასწავლებლის როლი საკლასო დისკუსიის დროს.
3. დისკუსიის დადებითი შედეგები
4. ტესტები ჯგუფში მუშაობისათვის (იხილე დავალებები პრაქტიკული მეცადინეობისთვის, საკლასო დისკუსია, როგორც სწავლების მეთოდი, გვ. 304)

თემა 6. სწავლება/სწავლის ეფექტური სტრატეგიები

განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

1. სწავლების ეფექტური სტრატეგიები;
2. შემოქმედებითი აზროვნების განვითარების ხელშეწყობა. პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება;
3. მეტაკოგნიტური უნარების განვითარება და სწავლის ეფექტიანი სტრატეგიები.

სწავლების ეფექტური სტრატეგიები “მე ჩემს მასწავლებლად ის ადამიანი მიმაჩნია, რომელმაც საგანი კი არ შემასწავლა, არამედ შემაყვარა. ჩემთვის მასწავლებლობა საგნის ცოდნა კი არ არის, არამედ ღვითით მინიჭებული უნარი – სხვას გადასცე ცოდნა და ისე შეაყვარო საგანი, რომ განცვიფრებულმა იფიქროს, ეს რომ არ მცოდნოდა, რა მეშველებოდა, ან რა ფასი ექნებოდა ჩემს ცხოვრებას” წერდა ნოდარ დუმბაძე. მართლაც, მასწავლებლის ხელოვნებაზეა დამოკიდებული მოსწავლეს ეყვარება თუ არა ის სასწავლო კურსი, რომელსაც ასწავლის. მასზეა დამოკიდებული მოსწავლე რამდენად შეგნებულად. გააზრებულად შეძლებს მასალის აღქმას, გაგებას, პრაქტიკაში გამოყენებას.

სწავლების პროცესის ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას მოსწავლეებში სწავლის სურვილის გაღვივება წარმოადგენს. როგორ გავზარდოთ მოსწავლეებში სწავლის მოტივაცია? სწავლის მოტივაციის გაზრდის ტრადიციული მეთოდი გულისხმობდა მოსწავლეების „დამოძღვრას“ სწავლის სიკეთისა და სარგებლის შესახებ. თუმცა, როგორც გამოცდილება აჩვენებს, ეს მიდგომა ეფექტური არ აღმოჩნდა.

თანამედროვე პირობებში სწავლისადმი მოტივაციის გაჩენა/განვითარება კიდევ უფრო დიდი გამოწვევის წინაშე დგას. დღეს თანამედროვე ტექნოლოგიები ბავშვის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა; ბევრი მათგანი მათ გამოყენებას სასწავლო პროცესშიც მოელის, ამიტომ ზოგჯერ ტრადიციული გაკვეთილები მოსაწყენად ეჩვენებათ, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს სწავლისადმი მათ მოტივაციას.

მოსწავლის მოტივაციას განსაზღვრავს მისი გარემო. ეს შეიძლება იყოს

მშობლები, თანატოლები, მიმზიდველი სასწავლო გარემო. თუმცა, მოსწავლეების მოტივირების თვალსაზრისით, მასწავლებლის როლი ყველაზე მნიშვნელოვანია. შინაგანი მოტივაციის ამაღლებისათვის მასწავლებლები სხვადასხვა სტრატეგიას მიმართავენ: დავალების მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით შერჩევა; გარკვეულ შემთხვევაში მათთვის არჩევანის უფლების მინიჭება; თავისი აზრის, თუნდაც საწინააღმდეგო მოსაზრების თამამად გამოხატვის შესაძლებლობა; თამაშის ტიპის სახალისო აქტივობების ჩართვა სასწავლო პროცესში.

გარეგანი მოტივაციის ამაღლების მიზნით მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს: გარკვეული ჯილდო, საჩუქარი კარგი ან გაუმჯობესებული შედეგებისათვის (მაგ. მაღალი ნიშანი ან კონკრეტული დავალებიდან გათავისუფლება; წერილობითი ან სიტყვიერი შექება, რომელიც არის არა ზოგადი (მაგალითად, „კარგი გოგო ხარ“, არამედ უფრო კონკრეტული „ყოჩაღ, შენ ეს პერსონაჟი ზუსტად დააკავშირე მის რეალურ პროტოტიპთან“; შეჯიბრების მოწყობა (კლასში, პარალელურ ჯგუფში ან სხვა სკოლების მოსწავლეებთან).

მნიშვნელოვანია ნიჭიერი ბავშვების მოტივაციის საკითხი. ზოგჯერ ნიჭიერ ბავშვს სწავლაში დაბალი შედეგები აქვს დაბალი მოტივაციის გამო. მრავალფეროვანი და მოსწავლეზე ორიენტირებული მეთოდები ხელს უწყობს ცოდნის შეძენას, გაგებას, გააზრებას, პრაქტიკაში გამოყენებას. მოსწავლეთა ურთიერთობის, თანამშრომლობის სტიმულირებას. სწავლება საინტერესო ხდება, როცა გაკვეთილზე ყურადღების კონცენტრაციისა და განტვირთვის ფაზები ერთმანეთს ენაცვლება, მონოტონურობა და ერთფეროვნება მოსაწყენია, იწვევს მოსწავლეთა დემოტივირებას. მეთოდების ცვალებადობას ახალი იმპულსები შემოაქვს გაკვეთილზე.

სწავლების მეთოდების ეფექტურობას ხშირად განაპირობებს სწავლება/სწავლის სხვადასხვა სტრატეგია-მეთოდების განხორციელების საშუალება, ხერხი. მეთოდთა და სტრატეგიათა კომბინაცია საკლასო ოთახში ქმნის ისეთ სასწავლო გარემოს, რომელიც ხელს უწყობს მოტივაციის ამაღლებას და მოსწავლეებში კოგნიტური, შემოქმედებითი უნარების განვითარებას, მოსწავლეთა სასწავლო პროცესში აქტიურ ჩართვას. ეს სტრატეგიებია: კითხვისა და წერის, გონებრივი იერიშის, სიუჟეტურ-როლური თამაშები, პედაგოგიური სიტუაცია, პროექტი, გონებრივი (კოგნიტური) რუკების შედგენა და სხვა. დასახელებული აქტივობები ხელს უწყობს მოზარდებში სხვადასხვა

უნარების განვითარებას: დამაბულობის მოხსნას, მოსწავლეთა მაქსიმალურ კონცენტრაციას ლექციის თემისადმი, ჯგუფში მუშაობის დროს. მასწავლებელს ეხმარება ინტერაქტიული გაკვეთილების ჩატარებაში. უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის გამოცემულ სახელმძღვანელოში (ტყემელაძე, 2008:42) მასწავლებლის აქტივობები, სტრატეგიები დანიშნულების მიხედვით დაჯგუფებულია: აქტივობები ყურადღების კონცენტრირებისა და საკითხზე ფოკუსირებისათვის, აქტივობები ცოდნის გათავისებისა და მეტაკოგნიციის განვითარებისათვის, პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება და პროექტები (სახელმძღვანელოში ხშირად, მეთოდი, აქტივობები და სტრატეგიები რატომღაც ერთმანეთთან გაიგივებულია. მაშინ როცა **სტრატეგია** არის სწავლების რომელიმე მეთოდის განხორციელების კონკრეტული გზა, ხერხი, **აქტივობა** კი პედაგოგის ან მოსწავლის ქმედება ლექციაზე ამა თუ იმ სტრატეგიის გამოყენებით. **სწავლის სტრატეგია** გულისხმობს შემეცნებითი პროცესების მიზანმიმართულ გამოყენებას სწავლის დროს. იგი აიოლებს ახალმღებულ ინფორმაციის აღქმას, გადამუშავებას და გონებაში შენახვას. სწავლის ეფექტური სტრატეგიები, როგორებიცაა, მაგალითად: ინფორმაციის ორგანიზება, დამუშავება, შეჯამება და დასკვნების გამოტანა, ჩანაწერების გაკეთება, საკუთარი სწავლის პროცესის მონიტორინგი, სამუშაოს განაწილება-დაგეგმვა და სხვა, მოსწავლეს მაღალ სააზროვნო უნარებს (ტრანსფერის უნარს, ანალიტიკურ, შემოქმედებით და კრიტიკულ აზროვნებას) უვითარებს, მაგრამ, სამწუხაროდ, მოსწავლეები უმეტესად სწავლის ისეთ პრიმიტიულ და ნაკლებეფექტურ სტრატეგიას იყენებენ, როგორცაა მასალის გამეორება.

სწავლის რომელი სტრატეგიაა მნიშვნელოვანი? 1. სწავლის სტრატეგიებს შორის ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს კოგნიტურ სტრატეგიებს, რომელთა საშუალებითაც მოსწავლე ცოდნას მოიპოვებს, გადაამუშავებს, გაანალიზებს, კრიტიკულად შეაფასებს, გონებაში ჩაიბეჭდავს, საჭიროების შემთხვევაში გამოიხმობს და სხვადასხვა სიტუაციაში გამოიყენებს.

2. არანაკლებ მნიშვნელოვანია მეტაკოგნიტური სტრატეგიები. მეტაკოგნიცია არის აზროვნება საკუთარი აზროვნების შესახებ. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი გულისხმობს მოსწავლის აქტიურ ჩართვას საკუთარი სწავლის პროცესის დაგეგმვაში, მართვაში, მონიტორინგსა და

შეფასებაში. მოსწავლის უნარი, გამოიტანოს დასკვნა იმის თაობაზე, რა და როგორ ისწავლა და დაგეგმოს საკუთარი თვითგანვითარება, მეტაკოგნიტური სტრატეგიაა. რაც უფრო მაღალია მოსწავლის მეტაკოგნიტური აზროვნება, მით უფრო ადეკვატურად იყენებს იგი სწავლის ეფექტიან სტრატეგიებს.

3. ეფექტიანი სწავლა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული სწავლის ემოციურ-მოტივაციურ სტრატეგიებზეც, რომლებიც სწავლის პროცესს მუხტსა და ენერგიას აძლევს (Deci/Ryan 1993; Kuhl 1987) და მოსწავლეს შესასწავლი საკითხისადმი დადებით განწყობას უქმნის.

4. ეფექტიანი სწავლა სოციალური ინტერაქციის გზით მიიღწევა. შესაბამისად, სასწავლო გარემოში ცოდნის კონსტრუირების საუკეთესო საშუალებაა თანამშრომლობითი სწავლების გამოყენება, მაგალითად, ჯგუფური მუშაობა, დისკუსიები, ურთიერთსწავლება და სხვ.

5. რესურსების მოხმარება - რესურსებზე დაფუძნებულ სტრატეგიებს მიეკუთვნება სამუშაო კუთხე, მულტიმედიაური, ქსელური სასწავლო საშუალებები, მაგალითად, ბიბლიოთეკები, ინტერნეტი და სხვ. მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს სასწავლო დროც, რომლის სწორად გამოყენება ეფექტიანი სწავლის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

ძნელი სათქმელია, ჩამოთვლილ სტრატეგიათაგან (კოგნიტური, მეტაკოგნიტური, ემოციურ-მოტივაციური, სოციალური, რესურსებზე დაფუძნებული) რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი ეფექტიანი სწავლისთვის, რადგან მათ მეტწილად კომპლექსურად იყენებენ (Weinert 1997). შესაძლოა, სწავლის პროცესში შეინიშნებოდეს სწავლის რომელიმე სტრატეგიის დეფიციტი, მაგრამ მისი კომპენსირება მოხერხდება, თუ სხვა სტრატეგიები მაღალ დონეზე იქნება განვითარებული. თუმცა არსებობს ისეთი რთული და კომპლექსური დავალებები, რომელთა შესასრულებლად სწავლის ყველა სტრატეგიის ცოდნა და გამოყენებაა აუცილებელი და საკმარისია, ერთ-ერთი მათგანი გამოაკლდეს, რომ მარცხი გარდაუვალია. ს. ლობჟანიძის აზრით, სწავლების მეთოდები და სწავლის სტრატეგიები ერთი მედლის ორი მხარეა. სწავლების მეთოდების ეფექტიანი გამოყენების წინაპირობა სწავლის ეფექტიანი სტრატეგიების დაუფლებაა (ლობჟანიძე, 2011: 23).

სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარება ეროვნული სასწავლო გეგმის მნიშვნელოვანი მიზანია. რთული სააზროვნო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება

გულისხმობს მოსწავლეებში კრიტიკული, შემოქმედებითი და რეფლექსიური აზროვნების განვითარებას. აზროვნების ამოქმედების დროს მოსწავლენასწავლ მასალას კი არ იზეპირებს, არამედ იაზრებს, რაც ხდის მას უფრო გამჭრიახს და მისი აქტიურობა სასწავლო პროცესში იზრდება.

დიდაქტიკური მეთოდის დროს ხდება ინფორმაციის მიწოდება დიალოგის ფორმით. სწავლების ამ მეთოდს მასწავლებელი იყენებს მოსწავლეების ინფორმირების, მათი ცოდნის გამომჟღავნებისა და დახვეწის მიზნით. მოსწავლეს მასწავლებელი აცნობს გაკვეთილის სასწავლო მიზნებს, როდის ითვლება მიზანი მიღწეულად. ამყარებს კავშირს ახალ და ძველ ცნებებს შორის. ინფორმაციის გაცვლის პროცესში მოსწავლეები და მასწავლებელი ერთად მონაწილეობენ ახალი ცოდნის აგებაში. მასწავლებელი აღნიშნავს გაკვეთილის მსვლელობისას მოსწავლეთა მიგნებებს; მოჰყავს სხვადასხვა მაგალითები ახსნილი მასალის უკეთ გასათავისებლად. იყენებს შესაბამის საკლასო აქტივობებს (სადემონსტრაციო ექსპერიმენტი, სახელმძღვანელოს ან დამატებითი მასალების გამოყენება, ფილმის ჩვენება და სხვ.), რომ მოსწავლეებმა ისწავლონ/განამტკიცონ ახსნილი მასალა; მასწავლებელი ხაზს უსვამს იმას, რაც, მისი აზრით, მნიშვნელოვანია მოცემულ მასალაში (ან გაკვეთილზე); მასწავლებელი გადასცემს ინფორმაციას, რათა წახალისოს მოსწავლეთა აზროვნება მოცემულ საკითხებზე; მასწავლებელი საკუთარი მოსაზრებების გარდა განიხილავს სხვების მოსაზრებებსაც; მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რომ გაიხსენონ გაკვეთილის მთავარი საკითხები, ფაქტები, მოვლენები; დიდაქტიკური სწავლების დროს მოსწავლემ უნდა უპასუხოს შემდეგ კითხვებს: რა?, სად?, რატომ?.

სოკრატული მეთოდის გამოყენების დროს მასწავლებელი სვამს მხოლოდ პრობლემურ და არა ინფორმაციულ შეკითხვებს. იგი არ აძლევს მოსწავლეებს ინფორმაციას, არამედ მათ თხოვს აზროვნებას, რათა თავად მივიდნენ პრობლემის გადაწყვეტამდე. ამ დროს მოსწავლეები თავისუფლად გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს დასმულ პრობლემასთან დაკავშირებით, თხზავენ ჰიპოთეზებს და ვერსიებს, აანალიზებენ ერთმანეთის არგუმენტებს. სოკრატისეული მეთოდის გამოყენება შესაძლებელია დისკუსიებით, დებატებით, პრობლემური შეკითხვების დასმით. შესაძლოა მასწავლებელმა მოიყვანოს ფაქტები მოსწავლეთა მიერ გამოთქმული მოსაზრებების საწინააღმდეგოდ, მაგრამ არ დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია,

ექვევშე დააყენოს სხვადასხვა ავტორიტეტების მოსაზრებები და სხვა.

სოკრატული მეთოდის გამოყენების დროს მასწავლებელი: სვამს პრობლემურ შეკითხვებს, რათა წახალისოს მოსწავლეთა აზროვნება მოცემულ საკითხებზე; მოჰყავს დამხმარე და საწინააღმდეგო მაგალითები მოცემული მოვლენის საილუსტრაციოდ; კრიტიკულად განიხილავს მოსწავლის არგუმენტებს; ხელს უწყობს კლასის დისკუსიაში ჩაბმას; ახალისებს საკუთარი და სხვების აზრების კრიტიკული შეფასების უნარის განვითარებას; მოსწავლეს სთხოვს, ფაქტებისა და ცნებების ანალიზს, მასალაში მოცემული ფარული არსის გაგებას და ა. შ. სთხოვს მოსწავლეს, რომ დააკავშიროს სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ცოდნა, სხვადასხვა ელემენტებისაგან შექმნას ახალი სტრუქტურა; სთხოვს მოსწავლეს, რომ გამოიტანოს დასკვნა (გააკეთოს შეფასება) საკუთარ არგუმენტაციაზე დაყრდნობით.

იმისდა მიხედვით, სწავლების რომელ მეთოდს თუ სტრატეგიას ვიყენებთ, ხორციელდება პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება, სწავლების დიდაქტიკური, სოკრატისეული სწავლება, თანამშრომლობითი სწავლება, შემოქმედებითი სწავლება.

შემოქმედებითი აზროვნების განვითარების ხელშეწყობა. პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება. გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ შემოქმედებითი უნარი მეტ-ნაკლები დოზით ყველა ადამიანს ახასიათებს და სწავლების პროცესში შემოქმედებითი გარემოს შექმნა ხელს უწყობს მოსწავლეებში ამ უნარების განვითარებას. შემოქმედებითი აზროვნება არის მოვლენათა ახლებურად ხედვის და პრობლემათა გადაჭრის ორიგინალური, მანამდე არარსებული გზის პოვნის უნარი. შემოქმედებითი აზროვნების განმასხვავებელ ნიშნად ითვლება იდეათა ახლებური კავშირებისა და შეხამებების პოვნა. მისთვის მიუღებელია ბანალური იდეები და მოვლენებზე არსებული საყოველთაოდ მიღებული შეხედულებები.

მაშასადამე, შემოქმედებითი აზროვნება არის რთული სააზროვნო უნარ-ჩვევა, რომელიც პრობლემის გადაჭრისას არასტანდარტული პასუხების მიგნების შესაძლებლობას იძლევა. ეს არის რაიმეს ახალი გზით კეთება ან დანახვა, რომელიც ხასიათდება იდეების სიმრავლით, მრავალფეროვნებით (მოქნილობა, საკითხის სხვადასხვა კუთხით დანახვა), სიახლით (ორიგინალობით) და გარდაქმნის უნარით (ძველი იდეების საფუძველზე ახლის

შექმნა).

მასწავლებელმა კლასში შემოქმედებითი გარემო უნდა შექმნას, რაშიც იგულისხმება მოსწავლეს მისცეს შემოქმედებითობის გამოვლენის, საკუთარი აზრის გამოთქმის, შეცდომის დაშვების საშუალება. თავი შეიკავონაადრევი შეფასებებისაგან. მასწავლებლისაგან გამოთქმული ნაადრევი შეფასება ხშირად ხდება მოსწავლის შემოქმედებითი აზროვნების შეწყვეტის მიზეზი. ჯობს, მასწავლებელმა მეტი დრო მისცეს ბავშვებს პრობლემის გარშემო თავისუფალი დისკუსიისა და აზროვნებისათვის. მივცეთ ბავშვებს დრო და საშუალება გონებრივი მოთელვისათვის. შემოქმედებითი აზროვნება მოითხოვს წარმოსახვით აზროვნებას, ვარაუდის ფორმულირებას.

ამის განხორციელებაში მასწავლებელს ეხმარება თამაში (იხილე თემა „დიდაქტიკური თამაში“) როგორც სწავლების მეთოდი, პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება–პროექტი, დისკუსია, ესე.

კრიტიკული აზროვნება მოითხოვს შესაბამისი ან საუკეთესო პასუხის მოძებნას. მოითხოვს ახსნას, ლოგიკურ დასაბუთებას, შედარება–შეპირისპირებას, კანონზომიერების დანახვას ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, პარალელების გავლებას, კავშირების მოძებნას. იგი შეიძლება დავახასიათოთ როგორც სწორხაზოვანი, პირდაპირი და ობიექტური.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება არის მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების სტრატეგია (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2017:51). ასეთი ტიპის სწავლების დროს მოსწავლეები რეალური ცხოვრებისეული პრობლემების კვლევის გზით იძენენ მნიშვნელოვან გამოცდილებას, რომელიც მათ მთელი ცხოვრების მანძილზე გამოადგებათ წარმატებების მიღწევაში. პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების მიზანია პედაგოგმა მოსწავლეებს დაანახოს საკითხი, პრობლემა, რომელიც მრავალგვარი მიდგომითა და გზით შეიძლება გადაიჭრას, რომელზეც არ არსებობს ერთი სწორი ან არასწორი პასუხი, საჭიროებს ძიებას, ალტერნატივების დაშვებას და იდეების ჩამოყალიბება–განვითარებას. მოსწავლეებმა უნდა გამოიყენონ ნასწავლი მასალა, მათ მიერ დამოუკიდებლად მოძიებული ინფორმაცია და პრობლემის გადაჭრის მათეული ხედვა უნდა მიუსადაგონ რეალური ცხოვრების მიზნებსა და მოთხოვნებს. პრობლემის გადაჭრა მოითხოვს აზროვნების ისეთ კომპლექსურ უნარებს, როგორიცაა ანალიტიკური, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება. პირველად უნ-

და მოხდეს პრობლემის განსაზღვრა, გაანალიზება; შემდეგ უნდა ჩამოვყალიბოთ პრობლემის გადაწყვეტის შესაძლო ვარიანტები; ბოლოს უნდა ამოვარჩიოთ და განვახორციელოთ პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზა და შევაფასოთ მისი ეფექტურობა. პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება რამდენიმე საფეხურს მოიცავს:

1. პრობლემის გამოკვეთა და განსაზღვრა. შეკითხვების – რა? სად? როგორ? როდის? ვისთან? და რატომ? – დასმა, რათა მოკლედ აღიწეროს პრობლემა (ტექსტის, დიაგრამის, ფორმულის, ცხრილის გაგება; სხვადასხვა წყაროს ერთმანეთთან დაკავშირება და ა.შ.); პრობლემის დანაწევრება სხვადასხვა შემადგენელ ან დაკავშირებულ პრობლემად; პრობლემის პრიორიტეტების მიხედვით დალაგება (იმ შემთხვევაში, როცა ერთდროულად რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული პრობლემაა წარმოდგენილი);

2. პრობლემის ჩამოყალიბება და წარმოდგენა. პრობლემის საწყისი საფეხურის აღწერა, დასაშვები პროცედურების აღწერა, პრობლემის წარმოდგენა ხელსაყრელი გზით, მაგ.: ვერბალურად ან/და ვიზუალურად ან წარმოდგენის ახალი ფორმის მოძებნა;

3. პრობლემის შესახებ ინფორმაციისა და რესურსების ორგანიზება და ცოდნის მობილიზება. პრობლემის შესატყვისი ინფორმაციის ამორჩევა; პრობლემის გადაქცევა ამოცანად. იმის გამოიკვანა, თუ რა არის ცნობილი და რა არის საძიებელი; გამოცდილებაზე დაყრდნობით ამოცანის ტიპზე წარმოდგენის შექმნა და საძიებელი არეალის შეზღუდვა; ინფორმაციის შეგროვების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ინფორმაციის მოძიება და ორგანიზება;

4. შესაძლო ალტერნატივების ან გადაჭრის გზების მოძიება. იდეების თავისუფლად, ყოველგვარი კრიტიკის გარეშე წარმოჩენა; მოცემულ პრობლემასთან დაკავშირებული ყველა ორიგინალური იდეის, ანალოგიის და ასოციაციის წარმოდგენა;

5. პრობლემის გადაჭრის სტრატეგიების შერჩევა. პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზების შეფასება სხვადასხვა პერსპექტივიდან; თითოეულ სტრატეგიასთან დაკავშირებული სხვადასხვა რისკის განსაზღვრა; უფრო რეალური და მისაღები სტრატეგიის შერჩევა (რესურსები, დრო და ა.შ.); შერჩეული სტრატეგიის დამაჯერებლობის დასაბუთება;

6. შერჩეული სტრატეგიის განხორციელება და პროგრესზე დაკვირვება. პრობლემის გადაჭრის სამოქმედო გეგმის შემუშავება (თითოეული საფეხურის განსაზღვრა თავისი რესურსებით და დროის განრიგით); პრობლემის გადაჭრის სამოქმედო გეგმის წარმატებით განხორციელების ინდიკატორების განსაზღვრა; მოქმედების გეგმის სხვებისათვის გაზიარება და ცვლილებების შეტანა.

7. შედეგების შემოწმება და შეფასება. წარმატების ინდიკატორების შემოწმება (განხორციელდა თუ არა გეგმის მიხედვით; რამდენად რეალური იყო გეგმა; რამდენად საკმარისი იყო რესურსი და სხვ.); ახალი ცოდნის, უნარ-ჩვევების შეფასება.

რა მნიშვნელობა აქვს პრობლემაზე ორიენტირებულ სწავლებას?

მოსწავლე სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეა, რომელსაც თავად უხდება წამოჭრილი პრობლემის გამკლავება - იგი არკვევს, რა უნდა იცოდეს დასმული პრობლემის უკეთ გასაგებად, დამოუკიდებლად ეძებს საჭირო ინფორმაციას (წიგნებს, გამოკვლევებს, ანგარიშებს, ელექტრონულ ინფორმაციას) და ა.შ. ამის შემდეგ მოსწავლე, აღჭურვილი ახალი ცოდნით, კვლავ უბრუნდება პრობლემას, ეძებს და პოულობს გადაჭრის საუკეთესო გზას. რაც მნიშვნელოვანია, მოსწავლე აფასებს საკუთარ თავს - თვითშეფასება არის მოსწავლის არსებითი უნარ-ჩვევა, რაც მას ეხმარება ეფექტიან, დამოუკიდებელ სწავლაში. მასწავლებელი ქმნის ღია და მხარდამჭერ გარემოს, იგი გამოდის თანამშრომლის, "ფასილიტატორის" როლში, რაც მოსწავლეს ეხმარება პასუხისმგებლობა აიღოს საკუთარ სწავლაზე და გახდეს აქტიური შემმეცნებელი. მოსწავლე ახდენს ცოდნის სისტემატიზაციას და სკოლაში მიღებული ცოდნის რეალურ ცხოვრებასთან ინტეგრირებას. სწავლა მოსწავლისთვის ხდება უფრო საინტერესო და სახალისო, რაც ზრდის მათში შინაგან მოტივაციას; მოსწავლეებს უვითარდებათ მაღალი სააზროვნო უნარები ჯგუფური მუშაობის, თანამშრომლობის და კომუნიკაციის უნარ-ჩვევები. როდესაც ბავშვებს მზა ცოდნას ვაწვდით და მათგან მხოლოდ ამ მზა ცოდნის დასწავლას მოვითხოვთ, მათში არ იღვიძებს ცნობისმოყვარეობა. ჯონ დიუი აღნიშნავდა, რომ ბავშვების ბუნებრივ ცნობისმოყვარეობას განვითარება სჭირდება: „ბავშვი მხოლოდ მაშინ იწყებს ფიქრს, თუ ჩვენ მას კონკრეტულ პრობლემებთან შებრძოლების საშუალებას ვაძლევთ და მას რთული სიტუაციიდან გამოსავლის ძიება უხდება.“

როგორ უნდა შეარჩიოს მასწავლებელმა პრობლემური ტიპის ამოცანები? ხშირად პრობლემური ტიპის ამოცანები შესაძლოა ეხებოდეს სიტუაციებს, სადაც საჭიროა:

1. არჩევანის გაკეთება;
2. გადაწყვეტილების მიღება;
3. შედარება-შეპირისპირება;
4. დაკავშირება-კანონზომიერების აღმოჩენა;
5. შეუთავსებლობის აღმოფხვრა;
6. ობიექტებზე შეხედულების შეცვლა;
7. ექპერიმენტის, ცდის ჩატარება;
8. კვლევა-ძიება;
9. შემოქმედებითი მიდგომის გამოყენება /გადაწყვეტის ორიგინალური გზის ძიება.

რა სტრატეგიები უნდა გამოვიყენოთ პრობლემური სწავლების დროს? მოსწავლეებისთვის შეკითხვების დასმა, რომლებიც მათგან მოითხოვს ინფორმაციის წარმოდგენის ალტერნატიული გზების მოძებნას, რომლებიც განსხვავებულია ტექსტში მოყვანილი თუ მასწავლებლის მიერ დასახულის-გან. ერთი და იმავე მოვლენის, იდეის და ფენომენის სხვადასხვა კონტექსტში განხილვა და შედარება; ალტერნატიული და განსხვავებული დასასრულის ძიება; ინფორმაციის განზრახ წაშლა ან გამოტოვება; გათამაშება იმისა, „თუ რა იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ.....“; მოცემული განცხადების, წინადადების ან სიტუაციის სოციალური კონტექსტის განხილვა, გამორკვევა; სხვადასხვა ტიპის წინასწარი მოსაზრების განხილვა.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი გახლავთ პროექტით სწავლება.

პროექტი, როგორც სწავლება/სწავლის მეთოდი - საუკეთესო სავარჯიშოა სხვადასხვა საკითხის დამოუკიდებელი კვლევისათვის, პროექტიკონკრეტული პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებისაკენ მიმართული, მრავალფეროვანი სამუშაოა, რომელშიც წარმმართველია კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობისა და საკომუნიკაციო უნარების განვითარება. პროექტი, როგორც მეთოდი განათლებაში XX საუკუნის დასაწყისში შემოვიდა. ეს მეთოდი აქტიური და მიზანმიმართული სწავლის საშუალებას იძლეოდა და იძლევა.

მოსწავლეები მუდმივად სვამენ კითხვებს: რატომ გვასწავლით ამა თუ იმ საკითხს? რაში გამომადდება ეს ცოდნა? მასწავლებლებს უჭირთ ამ კითხვაზე დამაჯერებელი და არგუმენტირებული პასუხის გაცემა. ამ პრობლემის მოგვარებაში მასწავლებელს დაეხმარება იმის ცოდნა, თუ როგორ ამუშაოს მოსწავლეები სასწავლო პროექტზე. პროექტზე მუშაობისას, მოსწავლეები რეალური პრობლემის გადასაჭრელად შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს იყენებენ. პროექტით სწავლება იწვევს მოსწავლეთა მოტივაციას და ზრდის მათ პასუხისმგებლობას, ისინი ხალისით ასრულებენ სამუშაოებს და შეუძლიათ ხანგძლივად იმუშაონ დასმულ საკითხებზე.

მოსწავლეები გარკვეული დროის (ერთი ან რამდენიმე კვირა) განმავლობაში პროექტს ამუშავებენ და შემდეგ წარუდგენენ მთელ კლასს ან უფრო ფართო აუდიტორიას. პროექტები ეხმარება მოზარდს რეალურ ცხოვრებაში გამოიყენოს მიღებული ცოდნა და გამოცდილება. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობის და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება, თუ კი მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი (წერილობითი დოკუმენტი, მაკეტი, ინსცენირება, აქცია, თანმიმდევრული ღონისძიებები და ა. შ.). მასწავლებელმა წინასწარ უნდა შეარჩიოს საპროექტო თემები, განისაზღვროს მოსწავლესთან ერთად შესრულების ვადები, მიუთითოს წყაროები, საიდანაც მოსწავლემ უნდა მოიპოვონ საჭირო მასალა. პროექტზე მუშაობა შესაძლებელია ინდივიდუალურად ან ჯგუფურად. დასაწყისში უმჯობესია ჯგუფურად. ჯგუფური მუშაობა სახალისოცაა და სასარგებლოც.

მასწავლებელი სასწავლო პროექტის მსვლელობისას, კონსულტანტის როლს ასრულებს, ხელმძღვანელობს სამუშაოებს, ძიებისა და კვლევის დროს აძლევს მიმართულებას. ასევე იგი უთითებს საინფორმაციო წყაროებს. პროექტზე მუშაობის დროს მოსწავლეებს სჭირდება შემოქმედებითობა, საინფორმაციო სივრცეში ორიენტაციის და დამოუკიდებელი სწავლის უნარ-ჩვევები.

პედაგოგმა უნდა იზრუნოს იმაზეც, რომ გაუადვილოს მოსწავლეს პრეზენტაცია. ამისათვის მან შესაბამისად უნდა მოაწყოს ოთახი, შექმნას სადღესასწაულო ატმოსფერო.

როგორ უნდა შექმნას პროექტი:

1. პედაგოგმა წინასწარ უნდა შეარჩიოს საპროექტო თემები, განსაზღვროს მიზნები და შედეგები;

2. მოსწავლეებთან ერთად განისაზღვროს პროექტის შესრულების ვადები;

3. მითითებული უნდა იქნეს წყაროები, საიდანაც მოსწავლეები შეძლებენ საჭირო ინფორმაციის მოპოვებას;

4. მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს ჯგუფის შექმნაში, ასევე ურთიერთობის პრობლემების გადაჭრის უნარ-ჩვევების გამომუშავებაში.

სასწავლო პროექტის დაგეგმვის დროს მასწავლებელი ითვალისწინებს შემდეგს:

- რამდენად მნიშვნელოვანია პრობლემა, რომელიც კვლევას ითხოვს;
- მოსალოდნელი შედეგები წარმოადგენს სიახლეს (ობიექტურს, ან სუბიექტურს);
- პროექტზე მუშაობის დროს გამოყენებული მეთოდები ემსახურებოდეს კვლევას;
- არსებობდეს არჩევანის გაკეთების საშუალება, რაც მოსწავლეთა პასუხისმგებლობის ზრდას იწვევს.

მასწავლებელი-მოსწავლის დამოკიდებულების მხრივ შეიძლება გამოიყოს **სამი ტიპის** სასწავლო პროექტი:

– მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს გამზადებულ პროექტს. იგი თავად განსაზღვრავს პრობლემას, სახავს მისი გადაჭრის სტრატეგიასა და ტაქტიკას. მოსწავლე კი დამოუკიდებლად გადაჭრის პრობლემას.

– მასწავლებელი სვამს პრობლემას, მოსწავლე დამოუკიდებლად ირჩევს კვლევის მეთოდებს და პრობლემის გადაჭრის გზებს.

– მოსწავლე განსაზღვრავს პრობლემას, დამოუკიდებლად ირჩევს კვლევის მეთოდებსა და პრობლემის გადაჭრის გზებს.

მოსწავლეს შეიძლება შევთავაზოთ პროექტის თემების შემდეგი ჩამონათვალი: ჩემი ოცნების სკოლა, ახალი ცივილიზაცია, სასწავლო გეგმა, განათლების გაუმჯობესების გზები, ხმის მიმცემთა რეგისტრაცია, სამართლიანი არჩევნების ჩატარების მეთოდები.

რა ნაწილებისაგან შედგება პროექტი?

პროექტის აღწერა: პროექტის აღწერა არის ძირითადი შემადგენელი ნაწილი. აღნიშნული პუნქტი სასურველია დაიყოს ქვეპუნქტებად, რომელშიც გაერთიანდება შემდეგი სახის ინფორმაცია:

ა) პრობლემის განსაზღვრა (იდენტიფიკაცია) – გულისხმობს იმ კონკრეტული პრობლემის ხაზგასმას, რომლის საპასუხოდაც არის მიმართული თქვენი პროექტი;

ბ) მიზანი – გულისხმობს ფართო, ზოგად დებულებას იმის შესახებ, თუ რისი მიღწევა გსურთ. პროექტის მიზანს უნდა წარმოადგენდეს ისეთი სასურველი გარემო-პირობების შექმნა. რომელიც ლოგიკურ კავშირში იქნება აღნიშნულ პრობლემასთან.

გ) ამოცანები – გულისხმობს კონკრეტულ ნაბიჯებს მიზნის მისაღწევად. აქ უნდა მიუთითოთ რა ამოცანების გადაჭრას ისახავთ თქვენს პროექტში. შეიძლება დაისახოთ ერთი, ორი ან რამდენიმე ამოცანა იმის გათვალისწინებით, თუ როგორია თქვენი პროექტის სპეციფიკა;

დ) განსახორციელებელი გზები – გულისხმობს კიდევ უფრო კონკრეტული ნაბიჯებს თქვენს მიერ დასმული ამოცანების შესასრულებლად. განხორციელების გზები არის პროცესი, რომელმაც უნდა უპასუხოს კითხვებს: როგორ? – როგორ განხორციელდეს პროექტის ამოცანები? ვინ?– ვინ მონაწილეობს თქვენი პროექტის განხორციელებაში? და რაა მათი ფუნქციები პროექტში;

პროექტის შესრულების ვადები: უნდა შეიცავდეს პროექტის დროში განაწილებულ მსვლელობას. მასში უნდა აისახოს პროექტის განხორციელების ეტაპები, შესასრულებლად გასაწევი საქმიანობა განაწილებული დღეების, კვირების, თვეების მიხედვით პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე;

ბიუჯეტი: ბიუჯეტი განაცხადის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. იგი უნდა იყოს ლოგიკურ კავშირში პროექტის აღწერაში მითითებულ ამოცანებთან;

მოსალოდნელი შედეგები: ამ ნაწილში აღიწერება ის სავარაუდო ეფექტი ან მოსალოდნელი შედეგი, რაც მოყვება პროექტის წარმატებით განხორციელებას;

მონიტორინგი: ამ ნაწილში უნდა მივუთითოთ თუ როგორი იქნება კონკრეტულად პროექტის განვითარებაზე თვალყურის დევნების (მონიტორინგის), მექანიზმი და პერიოდულობა;

შეფასება: მიუთითეთ ის სავარაუდო კრიტერიუმები (მაჩვენებლები), რომლებიც განსაზღვრავენ თქვენი პროექტის წარმატებას.

პროექტის შეფასების კრიტერიუმებია:

1. პრობლემის იდენტიფიცირება;
2. თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება;
3. ინფორმაციის მოძიების უნარი;
4. კვლევის დაგეგმვისა და ჩატარების უნარი;
5. საზოგადოებასთან და შესაბამის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის უნარი;
6. ჯგუფის შემოქმედებითი უნარი;
7. მოძიებული ინფორმაციის კლასიფიკაციის უნარი;
8. კვლევის შედეგების ანალიზის უნარი;
9. პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება;
10. გადაწყვეტილებების მიღება;
11. წარმოდგენილი ნამუშევრების ორგანიზება;
12. მოსწავლეების მიერ შექმნილი თვალსაჩინოებები.

მოსწავლეებს უნდა ავუხსნათ, რომ პროექტის შექმნის დროს ვპასუხობთ კითხვებს:

რა? _ მიზანი

როგორ? _ ამოცანები

ვინ? _ ვინ მონაწილეობს

ვისთვის? _ ვინ ისარგებლებს

როდის? _ რა ვადებში

როგორი უნდა იყოს პროექტი?

s Specific _ სპეციფიკური

m measurable _ გაზომვადი

a achievable _ მიღწევადი, შესრულებადი

r realistic _ რეალისტური

t time bound _ დროში განსაზღვრული

პროექტზე მუშაობისას მოსწავლეს უმუშავდება ორგანიზებული უნარ-ჩვევები, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი.

თემა 7. მეტაკოგნიტური უნარების განვითარება. კოგნიტური სქემები

საგაკვეთილო პროცესში მასწავლებელი იყენებს მრავალფეროვან სტრატეგიებს მეტაკოგნიტური აზროვნების განსავითარებლად. მეტაკოგნიცია არის აზროვნება აზროვნების შესახებ. როგორც დ. პერკინსი აღნიშნავს, კარგად აზროვნება გულისხმობს საკუთარი აზროვნების პროცესის მართვას, რომელიც მოიცავს იმის გააზრებას, თუ რა შეკითხვები უნდა დაუსვა საკუთარ თავს, როგორ უნდა გამოიყენო პრობლემის გადაჭრის სტრატეგიები, როგორ უნდა მოახდინო საკუთარი აზროვნების მონიტორინგი და წარმართო იგი სწორი მიმართულებით და ა.შ. ეს ერთგვარად არის საკუთარი აზროვნების შესწავლა, ანუ რეფლექსია (თვითგანცდა, გაცნობიერება), ანუ ეს არის მეტაკოგნიციის პროცესი.

მეტაკოგნიცია ადამიანისაგან მოითხოვს პრობლემის იდენტიფიცირებას, სირთულის დადგენასა და შემდეგ დაძლევის სტრატეგიების შემუშავებას. მაგ., საშინაო დავალების მომზადებისას მოსწავლემ შეიძლება აღმოაჩინოს, რომ მისთვის გაუგებარია წაკითხული ტექსტის შინაარსი. მოსწავლე ცდილობს გაიაზროს, რა უშლის ხელს ტექსტის გაგებაში, ანალიზის საფუძველზე კი მოსწავლე პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული სტრატეგიების მოფიქრებას იწყებს. ეს სტრატეგიები შეიძლება იყოს ლექსიკონის გამოყენება, ტექსტის მონაკვეთებად დაყოფა და თითოეული მონაკვეთის განხილვა და სხვ.

კრიტიკული აზროვნება არის მრავალმხრივი მიზნებით განპირობებული აზროვნება, რომლის დახმარებითაც ხდება არსებული ფაქტების, მსჯელობათა და წარმოდგენების ხელახალი გააზრება, დასაბუთებული და ყოველმხრივ აწონ-დაწონილი დასკვნის გამოტანის მიზნით. მამასადამე, კრიტიკული აზროვნების დროს არსებითია არგუმენტების და კონტრარგუმენტების მოძიება, მთლიანი სიტუაციის გაანალიზება და, შესაბამისად, არსებული მტკიცებულებების საფუძველზე დასკვნის გაკეთება. კრიტიკული აზროვნების გასააქტიურებლად გამოყენებული სტრატეგიები მოსწავლეს უნდა ეხმარებოდეს დასკვნების გამოტანაში.

ძალიან ხშირად პედაგოგები ლოგიკურ და კრიტიკულ აზროვნებას

აიგივებენ ერთმანეთთან. მართალია კრიტიკული აზროვნებისთვის აუცილებელია ლოგიკური მსჯელობის უნარი, მაგრამ კრიტიკული აზროვნება უფრო მეტია ვიდრე ლოგიკური აზროვნება. ლოგიკური აზროვნების შემთხვევაში პრობლემა წინასწარვე არის ცნობილი, ხოლო კრიტიკული აზროვნების დროს პრობლემა გამოსამჟღავნებელი და დასადგენია. ლოგიკური აზროვნების შემთხვევაში ორი წანამდვრისაგან კეთდება დასკვნა. სწორი დასკვნა ერთადერთი შეიძლება იყოს; ხოლო კრიტიკული აზროვნების შემთხვევაში შესაძლებელია პრობლემის გადაჭრის რამდენიმე სწორი გზის პოვნა.

კრიტიკული აზროვნება მოითხოვს დამაჯერებელ არგუმენტაციას - ყველა არგუმენტს აქვს თავისი კონტრარგუმენტი. ამიტომ არგუმენტაციის ჩამოყალიბებას სერიოზული მოფიქრება და წესების დაცვა სჭირდება. მოსწავლეს აზრების თავისუფლად გამოხატვის საშუალება უნდა მიეცეთ, შევეუქმნათ უსაფრთხო გარემო. მასწავლებელმა მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარების ხელშესაწყობად მათ უნდა გამოუმუშავოს:

- სხვათა მოსმენისა და მათი აზრის გათვალისწინების უნარი;
- საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისა და დაცვის უნარი;
- საკუთარ მოსაზრებაზე პასუხისმგებლობის გრძნობა;
- საკუთარი და სხვათა შეხედულებების ადექვატურად შეფასებისა და

საჭიროების შემთხვევაში საკუთარი შეცდომის აღიარებისა და უკან დახევის უნარი.

მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების გასავითარებლად გამოიყენება; დისკუსია, სტრატეგია ვენის დიაგრამა, სტრატეგია 3,2,1.

სტრატეგიები ყურადღების კონცენტრირებისა და საკითხზე ფოკუსირებისათვის ხელს უწყობს მოსწავლეს ყურადღების მობილიზებაში, აქტიურებს მის წინარე ცოდნას, ეხმარება მასალის გააზრებაში. უვითარებს კრიტიკულ აზროვნებას, უყალიბებს კითხვისა და წერის უნარ-ჩვევებს, უჩვენებს რა არის მნიშვნელოვანი მოცემულ მასალაში, მიუთითებს რა ისწავლა მან ამ მასალის დამუშავებით, უმაღლებს მოტივაციას და უვითარებს წერით უნარ-ჩვევებს. ეს სტრატეგიები: ვიცი/მინდა ვიცოდე/გავიგე, ორმხრივ ჩანაწერთა დღიური, სტრატეგია 3,2,1 და სხვა.

კოგნიტური სქემები. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტრატეგიები ცოდნის გათავისებისა და მეტაკოგნიციის განვითარებისათვის. მასში გაერთიანებულია: კოგნიტური სქემები, მეტაფორები და ანალოგიები, როლური თამაშები/სიმულაციები.

მეტაკოგნიცია საკუთარი მოქმედების, აზროვნების, მეხსიერების, აღქმის, ყურადღების თუ სწავლის შესახებ წარმოდგენას გულისხმობს. მასწავლებელი ცდილობს გაანალიზოს, გააცნობიეროს თავისი სასწავლო პროცესი, დასახოს ადექვატური პრიორიტეტები, დაგეგმოს და ორგანიზება გაუკეთოს დროს, მუშაობის წესებს, სასწავლო გრაფიკს. მოსწავლე გაკვეთილზე არა მარტო სწავლობს, არამედ გამოიმუშავებს თავისი სწავლის პროცესის მართვის უნარს. მიღებული განათლება მოსწავლეს სამყაროსთან ხანგძლივი ინტელექტუალური ურთიერთობისა და უწყვეტი გონებრივი ზრდა-განვითარებისათვის ამზადებს. მაგ., კოგნიტური დიაგრამებით მუშაობა მოსწავლეს გაკვეთილზე მოსმენილი მასალის აღქმაში ეხმარება. ისინი ახდენენ ნაწილისა და მთელის, ცნებების და დეტალების ურთიერთმიმართების დადგენას და ვიზუალურად დანახვას. კოგნიტური დიაგრამები ზრდის მოსწავლეთა აქტივობასა და დამოუკიდებლობას. სწავლების პროცესში კოგნიტური დიაგრამის გამოყენება პედაგოგს უადვილებს სტრუქტურირებული გაკვეთილის დაგეგმვას, აკადემიური პროგრესისა და უნარ-ჩვევების გამომუშავების კონტროლსა და შეფასებას, სწავლება/სწავლის პროცესს მრავალფეროვანს და შემოქმედებითს ხდის. მოსწავლე ეჩვევა კრიტიკულ აზროვნებას, სწავლობს დამოუკიდებლად მუშაობას.

კოგნიტური სქემები გამოიყენება როგორც გაკვეთილის შესავალ, ასევე ძირითად და დასკვნით შემაჯამებელ ეტაპზე: ტექსტის კითხვისა და დამუშავების, წერითი სამუშაოს დაწყების დროს, საშინაო დავალების, და საკლასო ოთახში ჯგუფში მუშაობის დროს, ინდივიდუალური და ჯგუფებში მუშაობის დროს.

სტრატეგია გონებრივი იერიში-გონებრივ იერიშს გამოვიყენებთ მაშინ, როცა გვსურს განსახილველ საკითხზე რაც შეიძლება ბევრი იდეის, მოსაზრების შეგროვება და ჯგუფთან შეთანხმებით სასურველი რაოდენობის იდეის გამოყოფა. მთავარია იდეების რაოდენობა და არა ხარისხი. ყველა წევრი თანასწორუფლებიანია; მასწავლებელს უნდა შეეძლოს კარგი მოსმენა,

სტრატეგიის დევიზიაა „ყველა იდეა მისაღებია“. რაც ხელს უწყობს პროცესის მიმდინარეობას, ხდება მეტი იდეის, მოსაზრების დაფიქსირება, მასწავლებელი არ აძლევს მოსწავლეებს უკუკავშირს, არ აკეთებს კომენტარს მოსწავლის მოსაზრებებზე. **გონებრივი იერიში (tpdc.ge:93)** მეცხრამეტე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ამერიკელმა ალექს ოსბორნმა (1888-1966) შეიმუშავა სტრატეგია, რომელიც ლიტერატურაში „გონებრივი იერიშის“ სახელითაა ცნობილი. შემდგომში ეს სტრატეგია დახვეწა კლარკმა. ა.ოსბორნი მუშაობდა რეკლამის სფეროში, სადაც მას თვალში მოხვდა, რომ სტანდარტული სამუშაო შეხვედრები კრეატიული იდეების პოვნისთვის უფრო შემაფერხებელი აღმოჩნდა, ვიდრე სტიმულის მიმცემი. ა.ოსბორნმა თანამშრომლებთან სამუშაო შეხვედრების დროს დააფიქსირა, რომ როდესაც რაიმე პრობლემის გადაჭრის გზებს განიხილავდნენ, ახალი იდეების წარმოშობას სისტემატიურად აფერხებდა კოლეგების მხრიდან წამოსული ნეგატიური და კრიტიკული კომენტარები. სწორედ ამიტომ დაიწყო მან გზების ძიება, თუ როგორ დაენერგა ისეთი მიდგომა, რომელიც თანამშრომლებთან სამუშაო შეხვედრისას კრეატიული და ინოვაციური გადაწყვეტილებების პოვნაში დაეხმარებოდა. ასეთად მან „გონებრივი იერიში“ მიიჩნია.

გონებრივი იერიში ძირითადი პრინციპი შემდეგია: **მოსამზადებელ ეტაპზე** „გონებრივი იერიშის“ ინიციატორს ხელთ უნდა ჰქონდეს მეთოდისთვის საჭირო ყველა რესურსი - დაფა, ფლიფჩარტი, მარკერი, ცარცი და ა.შ.; უნდა განისაზღვროს, ვინ იქნება მოდერატორი/ფასილიტატორი, ანუ ვინ წაიყვანს პროცესს. ინიციატორიც და მოდერატორიც უმეტესწილად მასწავლებელია, მაგრამ შესაძლებელია იყოს ჯგუფის რომელიმე წევრიც.

„გონებრივი იერიშის“ დაწყების წინ საკითხი ან პრობლემა, რომლის გარშემო იდეები უნდა განვითარდეს, ცხადად უნდა იყოს ფორმულირებული ჯგუფის წევრების წინაშე. კლარკი განასხვავებს საკითხის დასმის ორ შესაძლებლობას: 1. ზოგადი კითხვები, რომლებიც ახსნის მრავალ შესაძლებლობებს გთავაზობს (მაგ., რა პრობლემები შეიძლება წარმოშვას ტყეების გაჩეხვამ?) და 2. კონკრეტული კითხვები, რომლებიც მიმართულია უშუალოდ პრობლემის გადაჭრისკენ (მაგ., შენ როგორ მოიქცევი ეს ეკოლოგიური პრობლემა რომ ავიცილოთ თავიდან?).

პირველ ეტაპზე ყველა მონაწილეთა მაქსიმალური ჩართულობით ხდება იდეების გენერირება ისე, რომ არ მოხდეს იმის განსჯა, რომელი იდეა უფრო

ხარისხობრივად ღირებული, რომლის დანერგვა და განხორციელება უფრო მომგებიანია პრაქტიკაში. ჯგუფიდან წამოსული ყველა იდეა, კრიტიკისა და სელექციის გარეშე ფიქსირდება დაფაზე/ფლიფჩარტზე. იდეების ჩამწერი შესაძლებელია იყოს თავად მოდერატორი ან ჯგუფის სხვა რომელიმე წევრი. შეიძლება უჩვეულოდ მოგვეჩვენოს, რომ ამ ეტაპზე უპირატესობა ენიჭება იდეების რაოდენობას და არა ხარისხს, თუმცა პროცესის დასაწყისში არასოდეს არის ცნობილი, რომელი იდეა პრობლემის გადაჭრის რა პოტენციალს შეიცავს. ხშირია შემთხვევები, როდესაც ჯგუფის ერთი წევრის მიერ გამოთქმულ იდეას განავრცობენ ჯგუფის სხვა წევრები. ხდება ჯგუფის ცალკეულ წევრთა გონებაში ახალი, კრეატიული აზრების მომწიფება.

იმისათვის, რომ „გონებრივი იერიშის“ მეთოდს წარმატებით ემუშავა, პირველი ეტაპისთვის ა.ოსბორნმა რამდენიმე ძირითადი კანონი შემოიღო, რომლებიც კრეატიული იდეების შეგროვების გარანტია უნდა ყოფილიყო:

1. არ გააკრიტიკო არცერთი იდეა, რადგან ყველა იდეა ღირებული იდეაა;

2. რაც უფრო მეტი იდეა წამოვა ჯგუფიდან, მით უკეთესი;

3. შევავსოთ და გავაუმჯობესოთ უკვე არსებული იდეები;

4. რაც უფრო უჩვეულო და ორიგინალურია იდეა, მით უკეთესი;

5. ნუ შეგეშინდებათ, იყავით თამამი, ორიგინალური;

6. ჩამოაყალიბეთ იდეა მოკლედ, ლაკონურად და ნათლად.

ამ ეტაპზე მოდერატორის ძირითადი ფუნქციაა:

1. ჯგუფიდან მოითხოვოს რაც შეიძლება მეტი იდეა;

2. დაეხმაროს მოსწავლეებს იდეის ლაკონურად ჩამოყალიბებაში;

3. მიუთითოს ჩანაწერების გამკეთებელს, როგორ გადაიტანოს იდეა მოკლედ ფლიფჩარტზე/დაფაზე;

4. მოსწავლეებს შეაწყვეტინოს იდეის კრიტიკა და კიდევ ერთხელ შეახსენოს მათ, რომ მეორე ეტაპზე ყველას ექნება საშუალება გააანალიზოს ნებისმიერი იდეა და შეაფასოს მისი ღირებულება.

ბუნებრივია, რომ პირველ ეტაპზე შეგროვილი იდეები შემდგომ ეტაპზე კრიტიკულ გადახედვას საჭიროებს. სწორედ ამიტომ, ა.ოსბორნმა ახალი, შემოქმედებითი, ინოვაციური იდეების გენერირება გამიჯნა ლოგიკური და კრიტიკული ნაწილისაგან.

მეთოდის შემდგომ ეტაპზე ჯგუფი იწყებს თითოეული იდეის განხილვას, იმ იდეების **დაზუსტებას**, რომლებიც ბოლომდე არ არის ნათელი და იმ იდეების **უარყოფასა და გაცხრილვას**, რომლებიც მონაწილეთა აზრით ვერ იმუშავებს, ვერ შეუწყობს პრობლემის გადაჭრას ხელს. განხილვის პროცესში ზოგიერთი მონაწილე აღმოაჩენს, რომ იდეა, რომელიც მათ პირველ ეტაპზე თითქოსდა უსარგებლოდ და აბსურდულად ჩათვალეს, შეიძლება სასარგებლოდ იქნას გამოყენებული. გაცხრილვის ეტაპზე ჯგუფი ფოკუსირებულია განხორციელებად, საინტერესო იდეების მცირე რაოდენობაზე. მას შემდეგ, რაც მოხდება უსარგებლო იდეების გამოხშირვა, მონაწილეები ახდენენ მსგავსი იდეების **დაჯგუფებას**.

მეთოდის ამ ეტაპებზე მონაწილეებს უვითარდებათ ისეთი მაღალი სააზროვნო უნარები, როგორც არის ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება. *„გონებრივი იერიშის“ არსებითი დაყოფა იდეების შემოქმედებითი გენერირებისა და ლოგიკურ-ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების ეტაპებად წარმოადგენს მეთოდის საფუძველს.*

მეთოდის განხორციელების ეფექტიანობა დიდად არის დამოკიდებული ჯგუფის სიდიდეზე (6-20 მონაწილე), სასწავლო ატმოსფეროსა და ხელმძღვანელის პროფესიონალიზმზე.

ჯგუფის ხელმძღვანელი/მოდერატორი უნდა იყოს ნეიტრალური, არ უნდა გამოხატავდეს არცერთი იდეისადმი მის დამოკიდებულებას. მოდერატორმა თავი უნდა შეიკავოს საკუთარი იდეის გამოთქმისგან, რადგან ამან შეიძლება შექმნას მოსწავლეთა მანიპულირების საფრთხე - ისინი შეუერთდებიან ამ იდეას და მათი კრეატიულობა, ინოვაციები და ინდივიდუალური გადაწყვეტილებები დაიბლოკება. ეს საფრთხე განსაკუთრებით მაშინ არის მოსალოდნელი, როცა ხელმძღვანელის/მოდერატორის როლში მასწავლებელია.

„გონებრივი იერიშის“ დადებითი და უარყოფითი მხარეები

დადებითი მხარეები: ხელს უწყობს ინოვაციური იდეებისა და პრობლემის გადაჭრის ადექვატური გზების პოვნას; მონაწილეებს ეხმარება დაინახონ პრობლემა სხვადასხვა პერსპექტივიდან; მაღალია მონაწილეთა ჩართულობა; ყველა მონაწილეს აქვს ერთი და იგივე სტატუსი და უფლებები; ხელს უწყობს მონაწილეებში შემოქმედებითი, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარებას; ის ფაქტი, რომ პირველ ეტაპზე ყველა

იდეა ფასეულია, მოსწავლეებს უვითარებს სხვათა აზრების პატივისცემას; მოსწავლეებს უვითარდებათ კომუნიკაციური უნარები - ერთის მხრივ ისინი ეჩვენებინათ საკუთარი აზრების გასაგებად და კომპაქტურად ჩამოყალიბებას, მეორეს მხრივ - სხვათა აზრების „დაჭერას“ და შემდგომ განვრცობასა და განვითარებას; მარტივია მოდერაცია; საჭიროა მინიმალური რესურსები და ხარჯები; მინიმალურია ჯგუფის წევრებს შორის კონფლიქტის წარმოშობის საშიშროება, რადგან იდეების გენერირების პროცესში ყველა აზრი მისაღებად; შესაძლებელია სხვა მეთოდებთან ერთად მისი კომბინირებული გამოყენება.

უარყოფითი მხარეები:

- მეთოდის ეფექტიანობა მეტად დამოკიდებულია მონაწილეებზე;
- არის თემიდან გადახვევის საშიშროება;
- გადამეტებული სელექციის დროს შეიძლება ვარგისიანი იდეა დაიკარგოს;
- პატენტის დაცვის სიძნელე (ვის ეკუთვნოდა პირველად იდეა);
- მეთოდის სრულყოფილად განხორციელებას დიდი დრო სჭირდება, განსაკუთრებით იდეების სელექციის ეტაპზე.

„გონებრივი იერიში“ განსაკუთრებით ეფექტიანად შეიძლება დაინერგოს გაკვეთილის საწყის ეტაპზე, ახალი თემის შეტანისას. ამ დროს მასწავლებელს სწრაფად შეუძლია გაიგოს, რა ცოდნას ფლობენ მოსწავლეები განსახილველი თემის ირგვლივ და რა დამოკიდებულება აქვთ საკითხის მიმართ, რაც მასწავლებელს დაეხმარება გაკვეთილის სწორად აგებაში და უზრუნველყოფს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას საგაკვეთილო პროცესის დასაწყისიდანვე. მეთოდის გამოყენება ასევე ეფექტურია, როდესაც ერთმნიშვნელოვანი პასუხი საკვლევ თემასთან და პრობლემის გადაწყვეტასთან დაკავშირებით არ არსებობს. გონებრივი იერიშის საშუალებით მრავალი კრეატიული და ინოვაციური იდეისგან კონსესუსის საფუძველზე გამოიყოფა რამდენიმე ყველაზე ღირებული, რომელიც პრობლემის მოგვარების საუკეთესო გზას წარმოადგენს.

დამხმარე სახელმძღვანელოში მასწავლებელთათვის „კითხვისა და წერის მეთოდები“ განხილულია სხვადასხვა სტრატეგია. **სტრატეგია – ვიცი-მინდა ვიცოდე-ვისწავლე.** სამუშაო სრულდება ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფებში. მეთოდის “ვიცი-მინდა ვიცოდე-ვისწავლე” გამოყენება

ნების შემთხვევაში პირველ ეტაპზე გონებრივი იერიშით მასწავლებელი არკვევს რა იციან მოსწავლეებმა თემის შესახებ. მეორე ეტაპზე მასწავლებლის დახმარებით ეძებენ და არკვევენ, კიდევ რისი გაგება უნდათ თემის გარშემო. მესამე ეტაპზე მოსწავლეს მოეთხოვება გააკეთოს ჩამონათვალი იმისა, თუ რა ისწავლა გაკვეთილის მსვლელობის დროს. უმჯობესია მიღებული ინფორმაცია წარმოადგინონ ცხრილის სახით: ვიცი, მინდა ვიცოდე, ვისწავლე; ან ვიცი, გავიგე. მინდა გავიგო. ცხრილის შევსების შემდეგ კლასში იმართება დისკუსია. მასწავლებელი ჩაიკითხავს პირველ სვეტში დაფიქსირებულ ყველა მოსაზრებას და მიმართავს კლასს: „რამდენად შეესაბამება ეს ინფორმაცია წაკითხულ ტექსტს?“ ის ინფორმაცია, რომელიც სინამდვილეს არ შეესაბამება, გადაიხაზება. შემდეგ ვკითხულობთ რამდენად დაკმაყოფილდა მეორე სვეტში დაფიქსირებული მოსწავლეთა სურვილები და შეკითხვები ტექსტის წაკითხვის შემდეგ. ხომ არ დარჩა რომელიმე საკითხი გაურკვეველი. ამის შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვთ შეაჯამონ „რა ვისწავლეთ“ და პასუხები ფიქსირდება მესამე სვეტში. თუ მეორე სვეტში რომელიმე საკითხი მოსწავლეებისათვის გაუგებარი დარჩა, ისინი დასამუშავებლად ეძლევათ სახლში შესაბამისი ლიტერატურის მითითებით.

აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს მოსწავლეებში შესასწავლი თემისადმი მოტივაციის ამაღლებას, გააზრებულ კითხვას და ტექსტის სიღრმისეულ გაგებას. სტრატეგია საშუალებას აძლევს მოსწავლეს თემის ირგვლივ არსებული ცოდნა „ამოატივტივოს“, საკუთარი ინტერესები დააფიქსიროს და შესასწავლი საკითხი სიღრმისეულად დაამუშაოს..

ვიცი	მინდა ვიცოდე	ვისწავლე
ესტეთიკური აღზრდა არის აღზრდის შემადგენელი ნაწილი	ესტეთიკური აღზრდის ამოცანები და საშუალებები	ესტეთიკური აღზრდის ამოცანები:1.2.3....

ან

ვიცი	გავიგე	მინდა ვიცოდე
შეფასების მიზანი	შეფასების პრინციპები	შეფასების ჰოლისტური სქემის შესახებ

თუ სავარჯიშო სრულდება ჯგუფებში, სამუშაოს დამთავრების შემდეგ ხდება პრეზენტაცია, რომლის დროსაც ჯგუფები არ იმეორებენ უკვე თქმულს და ავსებენ გრაფებს თავიანთი ინფორმაციით.

დადებითი შედეგები. მოსწავლეებს შეუძლიათ“ წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობა, ტექსტის გააზრებულად წაკითხვა და გაანალიზება.

გამოყენება: ჰუმანიტარულ, ტექნიკურ, საბუნებისმეტყველო და სოციალურ საგნებში. აღნიშნული სტრატეგია მოიცავს გაკვეთილის სამივე ფაზას.

სტრატეგია – ვენის დიაგრამა შედგება ორი ან მეტი ერთმანეთზე გადაჯაჭვული წრისაგან, რომლის შუაგულში სივრცეა. მისი გამოყენება შეიძლება ურთიერთსაწინააღმდეგო, კონტრასტული აზრების ან ინფორმაციას შორის მსგავსების სადემონსტრაციოდ. ვენის დიაგრამა ორი გადაჯაჭვული წრით დაეხმარება მოსწავლეებს წარმოაჩინონ განსხვავებული და საერთო ნიშნები. მუშაობს სამი ჯგუფი: ორი განიხილავს ერთი პრობლემის სხვადასხვა მხარეს ან სხვადასხვა მოვლენას, მესამე კი ეძებს მათ შორის საერთოს. შემდეგ ჯგუფები ცვლიან ადგილებს, და ავსებენ თავისი იდეებით წინა განხილვებს. ბოლოს ხდება საერთო განხილვა დიდ ჯგუფში. ან შეიძლება მთელი კლასი მუშაობდეს ერთ საკითხზე, მაგრამ ეძებდეს ორი მოვლენის განმასხვავებელ და საერთო ნიშან-თვისებებს.

დადებითი შედეგები: ეს სტრატეგია მოსწავლეს აყალიბებს აქტიურ მკითხველად, უვითარებს ანალიზის, სინთეზის უნარს. ხდება ტექსტის გააზრებულად წაკითხვა და გაანალიზება, დასკვნების გამოტანა, წაკითხულის შეჯამება, საგნების, ინფორმაციის კატეგორიზება.

სტრატეგია - კითხვა ნიშანთა სისტემით ხელს უწყობს მოსწავლეებში ტექსტების (ბიოგრაფიები, მეცნიერული/კვლევითი ტექსტები) გააზრების და სიღრმისეულად დაამუშავების უნარის განვითარებას. ასეთი ტექსტების კითხვისას ხშირად მოსწავლეებს უჭირთ მნიშვნელოვანი და სტრატეგიული ინფორმაციის ამოკრება, რაც ინფორმაციის გააზრებას და გაგებას უშლის ხელს. აღნიშნული სტრატეგია საშუალებას აძლევს მოსწავლეს არსებულ და ახლად მიღებულ ინფორმაციას შორის კავშირები დაამყაროს და მყარი/საფუძვლიანი ცოდნის კონსტრუირება შეეძლოს. მეთოდი სტუდენტს ადრე მიღებული ცოდნის გააქტიურებისა და ახალი ცოდნის შეჯერების საშუალებას აძლევს. ჩვეულებრივ, გონებრივი იერიშით ინდივიდუალურად ან წყვილებში იხსენებენ, რა იციან თემის შესახებ. ამის შემდეგ ტექსტში

კითხვის დროს აკეთებენ აღნიშვნას; „,“ ვიცი, ამოკითხული ინფორმაცია ემთხვევა ჩემს ცოდნას. „-„, ამოკითხული ინფორმაცია ეწინააღმდეგება ჩემს ცოდნას, “ + „ ეს ინფორმაცია ახალია ჩემთვის, „?“ ამის შესახებ მეტი მინდა ვიცოდე. მკითხველი ტექსტის კითხვის დროს მინდორზე აკეთებს აღნიშნულ აღნიშვნებს. აუცილებელი არ არის ყოველი სტრიქონის ან აზრის აღნიშვნა, შესაძლოა მოსწავლემ მთლიანი აბზაცი ან მხოლოდ ერთი ტერმინი მონიშნოს; ასევე მას შეუძლია ერთდროულად ორი ნიშნის გამოყენებაც. მოსწავლეებს შეუძლიათ ინდივიდუალურად, წყვილში ან ჯგუფში შეავსონ ცხრილი და მათი ჩანაწერების მიხედვით დისკუსია გამართონ.

ვიცი, ამოკითხული ინფორმაცია ემთხვევა ჩემს ცოდნას“	„+“ამოკითხული ინფორმაცია ახალია ჩემთვის	„-„ ამოკითხული ინფორმაცია ეწინააღმდეგება ჩემს ცოდნას“	„?“ ამის შესახებ მეტი მინდა ვიცოდე

ეს სტრატეგია მოსწავლეს აყალიბებს აქტიურ მკითხველად, ასწავლის ტექსტის ყურადღებით წაკითხვას და გაანალიზებას. მოსწავლე ახდენს ინფორმაციის დახარისხებას, კატეგორიზებას.

გამოიყენება: ჰუმანიტარულ, ტექნიკურ, საბუნებისმეტყველო და სოციალურ საგნებში გაკვეთილის მეორე ფაზაზე (შინაარსის რეალიზების დროს), ხოლო სქემის განხილვა მესამე ფაზას (რეფლექციას) მოიცავს. გამოყენებული ნიშნების რაოდენობა შესაძლოა შეიცვალოს მასწავლებლის შეხედულების მიხედვით, მოსწავლეთა ასაკისა და განვითარების გათვალისწინებით. დაწყებით კლასებში აღნიშვნები ორს არ უნდა აღემატებოდეს.

სტრატეგია – ორმხრივ ჩანაწერთა დღიური (პაპავა, 2007: 20) შესასწავლი საკითხისადმი მოსწავლის პირადი დამოკიდებულების ჩამოყალიბებასა და კითხვის პროცესში ტექსტის სიღმისეულად გააზრებას უწყობს ხელს.

ორმხრივ ჩანაწერთა დღიური წარმოადგენს სქემას, რომელიც გაყოფილია ორ ნაწილად. სქემის ერთ მხარეს ფიქსირდება ამონაწერები ტექსტიდან (ციტატა, მოსაზრება), რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, მეორე მხარეს ფიქსირდება მათი, მკითხველის მოსაზრება, კომენტარი, პირადი

დამოკიდებულება კონკრეტულად მათ მიერ შერჩეული ფრაზის თუ მოსაზრების მიმართ. ეს შეიძლება იყოს რაიმე ამბავი საკუთარი გამოცდილებიდან, უარყოფითი ან დადებითი ემოციები იმის შესახებ, რამაც ჩააფიქრა ან მათ ხელთ არსებული ინფორმაცია ავტორის/ნაწარმოების შესახებ. მარჯვენა გრაფა მოსწავლემ შემდეგი შეკითხვების მიხედვით უნდა შეავსოს: რა მოსაზრებებით შეარჩიე სწორედ ეს მონაკვეთი? რაზე დაგაფიქრა? რაიმე ხომ არ გაგახსენდა? მივცეთ ინსტრუქცია, რომ წაკითხული ტექსტიდან მათ თავიანთ სამუშაო რვეულებში სამი ჩანაწერი მაინც უნდა გააკეთონ. ჩანაწერთა რაოდენობა დამოკიდებულია ტექსტის სიდიდეზე. ჩანაწერებს კლასს აცნობენ. ხდება პრეზენტაცია. დღიური ეხმარება მოსწავლეს დააკავშიროს ტექსტში მოცემული მასალა საკუთარ შეხედულებებს და თავისუფლად გამოთქვას მოსაზრება ტექსტის შესახებ.

შედეგი. მოსწავლეებს შეუძლიათ:

- წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობა;
- ტექსტის გააზრებულად წაკითხვა და გაანალიზება;
- არგუმენტირებული მსჯელობა და აზრის წერილობით ჩამოყალიბება;
- დასკვნების გამოტანა და წაკითხულის შეჯამება; სხვისი აზრის მოსმენა და პატივისცემა;
- ტექსტიდან მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოკრება, კატეგორიზება.

გამოიყენება: ჰუმანიტარულ, ტექნიკურ, საბუნებისმეტყველო და სოციალურ საგნებში, რთული ტექსტების დასამუშავებლად. ეს სტრატეგია მოიცავს გაკვეთილის მეორე (შინარსის რეალიზება) ფაზას. მისი გამოყენების დროს გასათვლისწინებელია შემდეგი: მისი გამოყენება არ არის მიზანშეწონილი წერა-კითხვის სწავლების საწყის ეტაპზე (I-II კალსები). არსებობს რისკი, რომ ყველა მოსწავლე ერთნაირად ადვილად ვერ გაიგებს ინსტრუქციას. ამიტომ მასწავლებელმა ტექსტის წაკითხვამდე გასაგებად უნდა ახსნას „ორმხრივ ჩანაწერთა დღიური“ გამოყენების პრინციპი.

სტრატეგია – T დიაგრამა სქემას წარმოადგენს. ის მოსწავლეებს გააზრებულად კითხვისა და შესასწავლი თემის დამუშავების საშუალებას აძლევს. ეს სქემა მასწავლებელმა შეიძლება მრავალმხრივ გამოიყენოს. იგი ძალზე მოსახერხებელია საპირისპირო მოსაზრებების გამოსათქმელად; მოვლენებისა და ფაქტების შესაპირისპირებლად და შესადარებლად. მოქმედ გამირთა დასახასიათებლად. სქემა საშუალებას გვაძლევს წარმოვაჩინოთ

დაპირისპირება განსახილველ საკითხებს (ფაქტებს, მოვლენებს, ადამიანებს, საგნებსა ა. შ.) შორის. სავარჯიშო კარგია ინფორმაციის დასახარისხებლად (დადებითი და უარყოფითი) და დასაჯგუფებლად. სამუშაო სრულდება ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფებში. მოსწავლეებს ვთხოვთ რვეული ვერტიკალური ხაზით ორ ნაწილად გაყოფ. მარცხენა სვეტში ერთი მხარე ჩაწერონ, მეორეში საწინააღმდეგო. მასწავლებლის შეხედულებისამებრ: დაფაზე, რვეულში ან თაბახის ფურცელზე. ივსება ჯერ მარცხენა მხარე (5წუთი), შემდეგ-მარჯვენა(5 წუთი).

მოსწავლეებს შეუძლიათ: ინფორმაციის დახარისხება; დამოუკიდებლად აზრის ფორმულირება; ტექსტზე დამოუკიდებლად მუშაობა; თანამშრომლობა და კომუნიკაცია;

გამოიყენება: ჰუმანიტარულ. ტექნიკურ, საბუნებისმეტყველო და სოციალურ საგნებში გაკვეთილის მეორე ფაზაზე (შინაარსის რეალიზება).

სტრატეგია 3,2,1. მასწავლებელი თხოვს მოსწავლეებს ორი-სამი წინადადებით ჩამოწერონ: 3 რამ, რაც მნიშვნელოვანი იყო ახალ მასალაში; 2 რამ, რაზეც მეტი მინდა გავიგო; 1 რამ, რაც ბუნდოვანი დარჩა ჩემთვის. ეს სტრატეგია მოსწავლეს აქცევს აქტიურ მკითხველად. უყალიბებს მნიშვნელოვანის, ბუნდოვანის კატეგორიზების, შედარების უნარს. უყალიბებს კრიტიკულ აზროვნებას. ხდება მოსწავლის ყურადღების კონცენტრაცია ტექსტისადმი. ის ახდენს ტექსტის დამოუკიდებლად ანალიზს, შეფასებას. მასწავლებელი მოსწავლეებში ააქტიურებს აზროვნების როგორც ქვედა, ასევე ზედა დონეებსაც.

ჩვენს მიერ დასახელებული სტრატეგიებიდან უმეტესობა გამოიყენება როგორც კითხვის, ასევე წერის, შემოქმედებით უნარების განვითარებისათვის. სწავლების მეთოდების სწორად შერჩევა და მათი კომბინაცია განაპირობებს სწავლების და დასწავლის ეფექტურობას. სწავლების სტრატეგიები იქმნება, იცვლება სწავლის მიზნის შესაბამისად. ცხადია ყველა სტრატეგიის ჩამოვლა და შესწავლა შეუძლებელია. მთავარია მათი გამოყენებით განვახორციელოთ მოსწავლეზე, ცოდნაზე ორიენტირებული სწავლება.

მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი გულისხმობს მათ აქტიურ ჩართვას სწავლის პროცესში, საკუთარი სასწავლო მიზნების დაგეგმვასა და მართვაში. მოსწავლის უნარი, გააკეთოს დასკვნა, თუ რა და როგორ

ისწავლა და დაგეგმოს საკუთარი თვითგანვითარება, მისი წარმატების საწინდარია.

ცალკე განვიხილავთ უფრო კონკრეტულად კითხვის, წერის სტრატეგიებს, თამაშს, როგორც სწავლების მეთოდს.

კითხვები თვითშეფასებისა და დამოუკიდებელი მუშაობისათვის:

1. რატომ არის მნიშვნელოვანი მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება?
2. რა სტრატეგიებს უნდა მიმართოს მასწავლებელმა მოტივაციის ასამაღლებლად?
3. რატომ არის მნიშვნელოვანი მოსწავლეებისათვის კარგი პიროვნული ურთიერთობის დამყარება?
4. რა არის სწავლების სტრატეგია?
5. რას ნიშნავს სწავლების დიდაქტიკური და სოკრატული სწავლება?
6. რა არის პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება და როგორ ახორციელებს მას მასწავლებელი?
7. როგორ ხდება მეტაკოგნიტური აზროვნების განვითარება?

ტესტები ჯგუფში მუშაობისათვის (იხ. დავალებები ჯგუფში მუშაობისათვის, მეტაკოგნიტური უნარების განვითარება. კოგნიტური სქემები, გვ. 308)

თემა 8. კითხვის სტრატეგიები

ლექციაზე განსახილველი საკითხები:

1. კითხვის უნარის ჩამოყალიბების საშუალებები;
2. კითხვის სტრატეგიები.

კითხვა რთული ლინგვისტური პროცესია, რომლის დასწავლა სკოლაში მიზანმიმართული მეცადინეობის შედეგად ხორციელდება. კითხვის საშუალებით ადამიანი მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლობს და იღებს ახალ ინფორმაციას. კითხვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბავშვის ინტელექტუალური განვითარებისათვის და არ ნიშნავს მხოლოდ ცალკეული ასოების, მარცვლების, სიტყვების ან თუნდაც წინადადებების ამოკითხვას.

ცნება "მეთოდი" სხვადასხვა ვითარებაში სხვადასხვაგვარად აღიქმება, მაგრამ ნებისმიერ ვითარებაში გულისხმობს მიზნის მისაღწევ გზებს. სწავლების მეთოდი არის მასწავლებლის მიზანმიმართული ქმედება მოსწავლეებში შესაბამისი კომპეტენციის განსავითარებლად. სწავლების მეთოდის შერჩევასას მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს გაკვეთილის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეძლოს.

სწავლის სტრატეგია არის სწავლების რომელიმე მეთოდის განხორციელების კონკრეტული გზა, ხერხი. იგი გულისხმობს შემეცნებითი პროცესების მიზანმიმართულ გამოყენებას სწავლის დროს. აგრეთვე აიოლებს ახალმიღებული ინფორმაციის აღქმას, გადამუშავებას და გონებაში შენახვას. ხშირად მასწავლებლებს უჭირთ აქტივობისა და მეთოდის ერთმანეთისგან გარჩევა. აქტივობას დაესმის კითხვა: რას ვაკეთებ? მაგალითად, მასწავლებელი კლასთან ერთად შეიმუშავებს ჯგუფური მუშაობის წესებს. ხოლო ის, რასაც დაესმის კითხვა: როგორ ვაკეთებ? (ე.ი. რა დიდაქტიკური ხერხით ვახორციელებ ამ აქტივობას?) – მეთოდია. მაგალითად, მასწავლებელი ჯგუფური მუშაობის წესებს შეიმუშავებს „გონებრივი იერიშით“. ამ შემთხვევაში „გონებრივი იერიში“ არის სტრატეგია.

ტრადიციულად წიგნზე მუშაობის მეთოდთა ორ ჯგუფს გამოყოფენ: ახსნითი კითხვის მეთოდები და დამოუკიდებელი კითხვის მეთოდები. ამ

მეთოდთა ეფექტურად გამოყენებას განაპირობებს კითხვის სხვადასხვა სტრატეგია.

2006 წელს ჩატარდა მოსწავლეთა წიგნიერების დონის საერთაშორისო ფართომასშტაბიანი კვლევა PIRLS, რომლის მიზანი იყო 9-10 წლის ბავშვთა წიგნიერების დონისა და მისი განმაპირობებელი ფაქტორების შესწავლა. საქართველო მსოფლიოს 45 ქვეყანასთან ერთად მონაწილეობდა ამ კვლევაში: ისინი ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე ტექსტს კითხულობდნენ და თანდართულ ტექსტურ შეკითხვებს პასუხობდნენ. კვლევის შედეგად გამოვლინდა არსებული ვითარება-ქართველმა ბავშვებმა საშუალოზე დაბალი შედეგები აჩვენეს, ბოლოდან მე-9 ადგილი 45 ქვეყანას შორის. წიგნიერების საერთაშორისო კვლევა, გარკვეული პერიოდულობით, ხუთ წელიწადში ერთხელ ტარდება. კვლევამ აჩვენა, რომ 9-10 წლის ბავშვების უმეტესობას კითხვის საბაზისო უნარები არასათანადოდ აქვთ ჩამოყალიბებული. ეს მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომელიც სკოლამ, მოსწავლეებელმა უნდა გადაწყვიტოს. 2006 წლიდან 2011 წლამდე მოსწავლეთა მიღწევები გაუმჯობესდა, თუმცა კითხვაში ქართველი მოსწავლეების საშუალო მიღწევა საერთაშორისო საშუალო ნიშნულზე დაბალია. განსაკუთრებით ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ 9-10 წლის მოსწავლეების 14%-ს მინიმალურ დონეზეც არ აქვთ განვითარებული კითხვის, წაკითხულის გააზრების უნარი („ინტერპრესნიუსს“ ცენტრის კვლევის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ია კუტალაძე). 2016 წლის კვლევის მიხედვით (წიგნიერების საერთაშორისო კვლევის შედეგები) 2006 წელთან შედარებით ქართველმა მოსწავლეებმა შედეგები გაუმჯობესეს, გაიზარდა მათი საშუალო მიღწევა, ამასთან, შემცირდა იმ მოსწავლეთა რაოდენობა, ვისაც მინიმალურ დონეზე არა აქვს განვითარებული წაკითხულის გააზრების უნარი. კვლევის პროცესში მოხდა კითხვის უნარის შეფასება საინფორმაციო და მხატვრული ტექსტებით. თითოეულ ტექსტს თან ახლავს შეკითხვები, რომლებზეც პასუხებითაც ვაფასებთ რამდენად იგებს და იაზრებს სხვადასხვა ტიპის ტექსტებიდან მიღებულ ინფორმაციას მოსწავლე, შეუძლია თუ არა ტექსტის სხვადასხვა ნაწილში მოცემული ფაქტებისა და მოსაზრებების ერთმანეთთან დაკავშირება და დასკვნის გამოტანა, ტექსტის ძირითადი აზრის წვდომა, წაკითხულის გააზრება საბაზო უნარია. ის სწავლა-სწავლების პროცესის ფუნდამენტია. ბავშვი ჯერ სწავლობს კითხვას და შემდეგ კითხულობს იმისთვის, რომ ისწავლოს. თუ ბავ-

შვს არა აქვს განვითარებული კითხვის უნარი, უჭირს წაკითხულის გააზრება, ეს ნიშნავს, რომ მას პრობლემები ექნება სწავლაში, ის ფაქტობრივად განწირულია აკადემიური მარცხისთვის. ასეთი მოსწავლეების რაოდენობა 2016 წლის კვლევის მიხედვით 14%-ია, 2006 წელს კი 18% იყო. შესაბამისად, შემცირდა იმ მოსწავლეთა რაოდენობა, ვისაც მინიმალურ დონეზეც არა აქვს კითხვის უნარი განვითარებული. ეს ფაქტი თავისთავად პოზიტიურ დინამიკაზე მიუთითებს, თუმცა ის გარემოება, რომ მოსწავლეთა 14%-ს უჭირს კითხვა, ბევრი რისკის შემცველია და განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს; კითხვა არა მხოლოდ ბავშვის კოგნიტური განვითარების და სწავლის საფუძველია, არამედ ამ უნარს პიროვნულ განვითარებასთან აქვს ძალიან მჭიდრო ბმა. კვლევები ადასტურებს, რომ ბავშვები, რომლებსაც კითხვის უნარი არ აქვს განვითარებული, ხშირად ძალადობრივ და აგრესიულ ქმედებებს მიმართავენ“. (კუტალაძე. საერთაშორისო კვლევის შედეგები). 2016 წელს ჩატარებული კვლევა მოიცავდა 200 სკოლას, 5741 მოსწავლეს, 5700 მშობელს და 200 დირექტორს. ამ პრობლემების დაძლევაში დიდი როლი სკოლას, მასწავლებელს აკისრია. ბოლო წლებში საქართველოში დაგროვდა კითხვის/წიგნიერების დონის ამაღლებაზე ორიენტირებული პედაგოგიური ცოდნა და გამოცდილება. განხორციელდა რამდენიმე პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მასწავლებლებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს კითხვის მეთოდების დანერგვაში. იმართება კითხვის სწავლების საკითხისადმი მიძღვნილი კონფერენციები, ხორციელდება ტრენინგ-პროგრამები, იბეჭდება სპეციალური ლიტერატურა და ა.შ. ამ თვალსაზრისით საინტერესოა: კითხვის ეფექტური მეთოდები, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევი, (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემები), ნ. მაღლაკელიძის ქართული ენის სწავლების მეთოდიკა/დიდაქტიკა (I–VI კლასები) და სხვა. ეფექტური კითხვა სტრატეგიებზეა ფოკუსირებული.

ვინაიდან კითხვის უნარის განვითარება სკოლამდელ ასაკში იწყება და სკოლის დასრულების შემდეგაც გრძელდება, მოსწავლის ეფექტურ მკითხველად ფორმირების ყველაზე ადექვატურ პერიოდად სწორედ სასკოლო ასაკი უნდა მივიჩნიოთ, განსაკუთრებით I–IV კლასები და V–IX კლასები. სკოლამ მოსწავლეში აქტიური მკითხველი, კითხვის უნარები უნდა განავითაროს. გააზრებული კითხვა ხანგრძლივი მუშაობის შედეგია. მას მოჰყვება

გაგება, რომელიც წინ უსწრებს ინტერპრეტაციას. კითხვას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზანი. მოზრდილი ადამიანი კითხვას შეგნებულად უდგება: წინასწარ საზღვრავს რისთვის უნდა წაიკითხოს, რა უნდა წაიკითხოს, როგორ უნდა წაიკითხოს. ბავშვს კითხვისადმი ასეთი დამოკიდებულება დაწყებით კლასში უჩნდება, მაგრამ საშუალო სკოლის საფეხურის მთავარი მიზანია განუვითაროს მოსწავლეს კითხვის ტექნიკა, ჩამოუყალიბოს ტექსტის გააზრებულად კითხვის უნარი, გააქტიუროს და გაამდიდროს მისი ლექსიკა, ხელი შეუწყოს აზრის ზეპირად და წერილობით სწორად გამოცემის უნარის განვითარებას. შესაბამისად კითხვის სწავლების პროცესში მასწავლებელს სკოლის სხვადასხვა საფეხურზე განსხვავებული სასწავლო მიზნები აქვს კითხვის სწავლებასთან დაკავშირებით.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, დაწყებით საფეხურზე მოსწავლეს უნდა შეეძლოს: სხვადასხვა ლიტერატურული ჟანრის ტექსტების მოსმენა, წაკითხვა და საკუთარი ემოციებისა და აზრის გამოხატვა; მოსმენითი ან წაკითხული მხატვრული ნაწარმოების დაკავშირება პირად გამოცდილებასთან; ტექსტის ეპიზოდების ერთმანეთთან დაკავშირება და მთავარი თემის განსაზღვრა; გმირის საქციელის შეფასება; მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ამოცნობა და მათი ფუნქციის ახსნა; მხატვრული ტექსტების შექმნა; საკუთარი ინტერესების მიხედვით საკითხავი ლიტერატურის შერჩევა;

ე.ი დაწყებითი საფეხურის კურსდამთავრებული ეფექტური მკითხველი უნდა იყოს. ეფექტური მკითხველის მახასიათებლებია: კითხულობს გამართულად, ანუ უშეცდომოდ, გამომეტყველებით და სათანადო სიჩქარით. გამართულად კითხვაში საკვანძო მომენტია სიტყვის ნაწილებად ამოკითხვიდან მთელი სიტყვებით კითხვაზე გადასვლა. გამართული კითხვა არის ხიდი კითხვის ტექნიკასა და გაგებას შორის; ტექსტში მოცემული საკითხის გარშემო კითხვის ყველა ეტაპზე აქტიურებს და იყენებს არსებულ, წინარე ცოდნას, რათა სიღრმისეულად გაიაზროს ტექსტი; მიმართავს ტექსტის ვიზუალიზებას. კარგი მკითხველი გონებაში ქმნის აზრობრივ სურათ-ხატებს ტექსტში მიღებული მოვლენების, მოქმედი პირებისა და საგნების, მათი თვისებებისა და მახასიათებლების, აღწერილი გარემოებების შესახებ; გამოთქვამს ვარაუდებს წასაკითხი თემისა და შინაარსის შესახებ. ვარაუდები უბიძგებს მკითხველს, ჩამოაყალიბოს კონკრეტული მოლოდინები ტექსტთან დაკავშირებით, ყურადღებით გააგრძელოს მომდევნო მონაკვეთის

კითხვა და გადაამოწმოს, რამდენად გამართლდა მისი ვარაუდები; განსაზღვრავს ტექსტის ელემენტების აქტუალობას. შეუძლია გამიჯნოს მთავარი და მეორეხარისხოვანი ასპექტები წაკითხულ ტექსტში, იმსჯელოს რომელი სიტყვა, ტერმინი, ფრაზა თუ წინადადება შეიცავს ყველაზე მნიშვნელოვან აზრებს ტექსტის კონსტრუირებისა და გაგებისათვის; ერთმანეთთან აკავშირებს წაკითხული ტექსტის ელემენტებს და ცდილობს გაამთლიანოს კითხვის პროცესში მიღებული ინფორმაცია. კითხვის პროცესში მნიშვნელოვანია სამი ძირითადი ტიპის კავშირების დამყარება: ტექსტის ერთი ნაწილის დაკავშირება ამავე ტექსტის სხვა ნაწილთან. ტექსტის დაკავშირება საკუთარ გამოცდილებასთან. ტექსტის დაკავშირება გარესამყაროსთან; ცდილობს ჩაწვდეს წაკითხულს, როგორც კითხვის პროცესში, ასევე კითხვის დასრულების შემდეგ. დასკვნები გამოიტანოს ტექსტში მოცემული წანამძღვრების ან მოვლენების საფუძველზე; კითხვის ყველა ეტაპზე სვამს შესაბამის შეკითხვებს ტექსტის სხვადასხვა ასპექტის შესახებ. მკითხველის მიერ დასმული შეკითხვები შეიძლება შეეხებოდეს ტექსტის წაკითხვის მიზანს, შინაარსს, სტრუქტურას, ცალკეული მონაკვეთის არსს და ა. შ.; კითხვის პროცესში აკვირდება და აცნობიერებს ავტორის შეხედულებებს, განწყობა-დამოკიდებულებებს, აანალიზებს აღწერილ მოვლენებს, ამუშავებს ავტორისეულ არგუმენტებს, დასკვნებსა და ფაქტობრივ ინფორმაციას, რაც კრიტიკული წიგნიერების საფუძველს წარმოადგენს; აკვირდება და მონიტორინგს უწევს საკუთარი აზროვნების პროცესს, რათა გამოავლინოს ხარვეზები გაგებაში. მიმართავს კითხვისა და გაგების შესაბამისი სტრატეგიებს, რათა აღმოფხვრას ჩავარდნები აზრის კონსტრუირებაში.

ეფექტური მკითხველის ჩამოყალიბების პედაგოგიური პროცესი ორი გზით მიმდინარეობს :(პაპავა, 2008: 8):

1. მასწავლებელი თავად უჩვენებს მოსწავლეებს გამართული კითხვის მაგალითს, გააზრებული კითხვის სტრატეგიებს და უჩვენებს მათი გამოყენების ხერხებს სხვადასხვა კონტექსტში. მოსწავლეები აკვირდებიან დემონსტრირებულ უნარებს და ცდილობენ, თავადაც გამოიყენონ ისინი კითხვითი დავალებების შესრულების დროს. მიზნობრივი დავალებების მიცემით, მასწავლებელი უძღვება კითხვის ამა თუ იმ სტრატეგიის გავარჯიშების პროცესს და დროული კომენტარებით ეხმარება კონკრეტული უნარების დახვეწას.

2. მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს მრავალფეროვან ტექსტებს და შესაბამის საკლასო ან საშინაო კითხვით დავალებებს. მოსწავლეები ინდივიდუალურად ან ჯგუფებში კითხულობენ, რასაც სხვადასხვა ზეპირი ან წერილი დავალებების შესრულება მოსდევს.

განვიხილოთ კარგი მკითხველის უნარ-ჩვევები და სტრატეგიები:

მონიშვნები და ჩანაწერები. კარგი მკითხველი კითხვის დროს აკეთებს აღნიშვნებს საინტერესო, გაუგებარ, საკვანძო სიტყვებზე, წინადადებებსა და აბზაცებზე. ამოიწერს ბარათზე ან რვეულში უცნობ სიტყვებს, ტერმინებს, ციტატებს და სხვ.

კავშირები ტექსტში. კითხვის დროს და წაკითხვის შემდეგაც გააცნობიერებს, თუ რა კავშირია ტექსტსა და საკუთარ გამოცდილებას შორის, ასევე, რა კავშირშია ეს ტექსტი სხვა ტექსტებთან და გარესამყაროსთან. ვიზუალიზაცია. კითხვისას ცდილობს, მკაფიოდ წარმოიდგინოს პერსონაჟები, მოვლენები, საგნები და მიმართებები.

შეკითხვების დასმა. უსვამს შეკითხვებს საკუთარ თავს და ავტორს წაკითხვამდე, წაკითხვის დროს და წაკითხვის შემდეგ.

ხელმეორედ წაკითხვა. ხელახლა უბრუნდება და კითხულობს ტექსტს ზოგიერთი დეტალის დასაზუსტებლად და წამოჭრილ შეკითხვებზე პასუხის მოსაძიებლად ან გააზრების პროცესში აღმოცენებული ბარიერების დასაძლევად.

ტექსტის ნაწილებად დაყოფა. თითო ჯერზე კითხულობს მხოლოდ ერთი-ორ აბზაცს ან რამდენიმე წინადადებას. პაუზის გაკეთებისას დაფიქრდება წაკითხულ მონაკვეთზე, იყენებს კითხვის სტრატეგიებს და ამის შემდეგ აგრძელებს კითხვას.

„სამი დათვის“ პრინციპი (ადეკვატური ტექსტების შერჩევა). ბიბლიოთეკაში, წიგნის მაღაზიაში თუ საკლასო ოთახში წიგნის შერჩევისას ითვალისწინებს, რომ წიგნი არ უნდა იყოს ზედმეტად რთული ან ზედმეტად მარტივი. ზედმეტად რთულია წიგნი, რომლის ერთ გვერდზე 5-ზე მეტი გაუგებარი სიტყვაა. შესაფერისია ისეთი წიგნი, რომლის თითო გვერდზე შეიძლება იყოს ერთი-ორი უცნობი სიტყვა, მაგრამ მთლიანობაში ტექსტის შინაარსი გასაგებია.

კითხვა მეწყვილესთან ერთად. ხმამაღლა კითხულობს თითო აბზაცს მეწყვილესთან ერთად. ყოველი აბზაცის შემდეგ ერთად შეაჯამებენ და

განიხილავენ წაკითხულს. კითხვის პროცესში ხმამაღლა გამოთქვამს შეკითხვებს და აზრებს. მაგალითად, თუ პერსონაჟმა ვინმე გაახსენა, ჩერდება და საუბრობს ამ ასოციაციის შესახებ. ეს ტექნიკა შემდგომშიც დაეხმარება წაკითხულის გახსენებაში.

დღიურის წარმოება. კითხვის პროცესში აკეთებს ჩანაწერებს სპეციალურ „მკითხველის“ დღიურში. სხვებსაც უზიარებს საკუთარ შთაბეჭდილებებს და შეხედულებებს მიმოწერის დღიურებში.

ონლაინ კომუნიკაცია წაკითხულის შესახებ. განათავსებს საკუთარ ჩანაწერებს და შთაბეჭდილებებს ინტერნეტ სივრცეში (ბლოგზე, ფორუმებზე, სოციალურ ქსელში და ა.შ.) კითხულობს სხვათა ჩანაწერებს და მონაწილეობს ონლაინ განხილვაში.

გრაფიკული სქემები. ქმნის გრაფიკულ სქემებს და ცხრილებს, როლებშიც ვიზუალურად ასახავს ტექსტში გადმოცემულ ინფორმაციას. სქემებს იყენებს საკუთარი ტექსტის გააზრებისა და საკუთარი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებისათვის.

კითხვის უნარის ჩამოყალიბება და განვითარება რამდენიმე ძირითად ასპექტს მოიცავს. ესენია: ზეპირი მეტყველება; წიგნისა და ტექსტის მახასიათებლის ცოდნა; ფონეტიკური ცოდნა/ანბანის ცოდნა; ლექსიკური მარაგი/სიტყვების ცოდნა; მთლიანი სიტყვების ამოცნობა; გამართული კითხვა (უშეცდომოდ, სათანადო სიჩქარით. გამომეტყველებით); გაგება/გააზრება/მნიშვნელობის კონსტრუირება. ეს საკითხები სრულად შეისწავლება ქათული ენის სწავლების მეთოდიკაში.

ჩვენ ზოგადად შევხებით კითხვის სტრატეგიებს. კითხვის სწავლება და სწავლა მოსწავლეების მიერ ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტების გავარჯიშებასა და გამოყენებას გულისხმობს. თითოეულ კომპონენტს ჩასახვისა და განვითარების გარკვეული ეტაპები გააჩნია. მაგ., წიგნისა და ტექსტის მახასიათებლებს ბავშვები 2–დან 6 წლამდე ასაკში სწავლობენ.

კითხვის უნარი, პრაქტიკულად ყველა საგანში, სწავლისა და აკადემიური წარმატების ფუნდამენტია. ვინაიდან მოსწავლეებს სხვადასხვა საგანში განსხვავებული ტიპის ტექსტებთან უწევთ მუშაობა, კითხვის სწავლება სცილდება მშობლიური ენის პროგრამის ფარგლებს და საგნობრივი კათედრების პასუხისმგებლობებს უერთდება; კვლევები ცხადყოფს, რომ თუ ბავშვმა ცხრა წლის ასაკს ისე გადააბიჯა, რომ კითხვის საბაზისო უნარები

არასათანადოდ ჩამოუყალიბდა, მისი შემდგომი აკადემიური მოსწრება დიდი საშიშროების წინაშე დგება. კითხვაში წარუმატებელი ბავშვების უმრავლესობა სკოლის დამთავრებამდე წარუმატებელ მოსწავლედ გვევლინება. კითხვის უნარის განმტკიცება დაწყებითი საფეხურის გავლის შემდეგაც, ანუ საბაზო და საშუალო საფეხურზეც ძალზე მნიშვნელოვანია. ეს გულისხმობს სასწავლო პროცესის გამდიდრებას ახალი მეთოდებითა და სტრატეგიებით და მრავალფეროვანი საკითხავი მასალით. ასევე აქტუალურია კითხვისა და წერის, როგორც სწავლის ფუნდამენტური უნარების ინტეგრირება სასწავლო პროცესში (პაპავა, 2008:6).

გამოყოფენ კითხვის სხვადასხვა სახეებს:

ინდივიდუალური კითხვა-პიროვნული შესაძლებლობების მიხედვით კითხვა სასწავლო პროცესში ან სახლში.

გაგრძელებებით კითხვა- ერთი იწყებს კითხვას, სხვები მითითების მიხედვით განაგრძობენ კითხვას.

ჯგუფური ხმამაღლა კითხვა-სიტყვების ან ფრაზების ხმამაღლა კითხვა.

ამორჩევით კითხვა- ფრაგმენტის კითხვა, დიალოგის კითხვა. გარკვევა-რაიმე ხომ არ არის გამოტოვებული.

რეფლექსური კითხვა-კითხვა გაგებისათვის, ინფორმაციის დამუშავებისათვის.

მოდელირებული კითხვა-რთული ტექსტის წაკითხვა.

მართული კითხვა-მასწავლებელი მოსწავლეებს შესაფერ და აუცილებელ ტექსტებს ურჩევს და აძლევს ინსტრუქციას. უძღვება კითხვის პროცესს.

„მართული კითხვის აქტივობა“ (მკა) გამოიყენება მოსწავლეთა ჩუმი კითხვის პროცესის კოორდინირებისათვის. პროცესს თან სდევს გაგებაზე ორიენტირებული შეკითხვების დასმა. მასწავლებელი სვამს შეკითხვას, ხოლო მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს შესაძლო პასუხების მოსაძებნად, შემდეგ კი პასუხის გარშემო ჯგუფებში დისკუსია იმართება. ეს მეთოდი ფოკუსირებულია ტექსტის გაგებაზე და არა სწორად ამოკითხვაზე. იგი გამოიყენება როგორც თხრობით, ისე საინფორმაციო ტექსტებთან სამუშაოდ.

განმეორებითი კითხვა მიზნად ისახავს დეკოდირების, ანუ გაშიფვრის უნარის ავტომატიზებას, მოსწავლეთა გავარჯიშებას კითხვის ტექნიკის დახვეწაში. ეს არის სავარჯიშო, რომელიც სწრაფად ავითარებს გამართულად კითხვის უნარს. ერთი და იმავე ტექსტის რამდენჯერმე წაკითხვა არა მარტო

აუმჯობესებს თვით ამ ტექსტის კითხვის ტექნიკას, არამედ მნიშვნელოვნად ზრდის მოსწავლის მოტივაციას სხვა მასალის წასაკითხადაც. „განმეორებითი კითხვა“ ინდივიდუალური აქტივობაა.

სწორი კითხვა გულისხმობს ასოს შესატყვისი ბგერის სუფთად წარმოთქმას, როცა არ ხდება კითხვისას ასო-ბგერათა გადაადგილება, ბგერათა „ჩაყლაპვა“, როცა მოსწავლე სიტყვას კითხულობს არა ასო-ასო ან დამარცვლით, არამედ შერწყმით, მკაფიოდ წარმოთქვამს სიტყვის დაბოლოებას, არ აყრუებს სიტყვის ბოლოკიდურ თანხმოვანს; სიტყვებსა და წინადადებებს შორის იცავს სათანადო ინტერვალებს და ა.შ.

სკოლაში სწორი კითხვის ჩვევის გამოსამუშავებლად გამოიყენება შემდეგი ხერხები (მაღლაკელიძე, 2013:125).

ა) ძნელად წასაკითხი სიტყვების ანალიზი და სინთეზი მოძრავი ანბანის გამოყენებით, მათი წაკითხვა როგორც ინდივიდუალურად, ისე გუნდურად;

ბ) ძნელად წასაკითხი სიტყვების დაწერა დაფაზე და მათ წაკითხვაზე ვარჯიში როგორც ინდივიდუალურად, ისე გუნდურად;

გ) მასწავლებლის ნიმუში;

დ) ხელნაწერის კითხვა;

ე) ენის გასატეხებზე მუშაობა;

ვ) გამოკრებითი კითხვა;

ზ) „ტრაფარეტით“ კითხვა-ამ დროს მასწავლებელი ტექსტს ფარავს სუფთა ფურცლით, რომელიც ერთ ადგილზეა „ამოჭრილი“ და მასში მხოლოდ ერთი სიტყვა ჩანს. „ტრაფარეტის“ გამოყენება გამორიცხავს ე.წ. „ზეპირად კითხვა“, რაც საკმაოდ გავრცელებულია უმცროს სასკოლო ასაკში.

პროფესორი ნ. მაღლაკელიძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ „კითხვას აქვს როგორც წმინდა საგანმანათლებლო, ისე აღმზრდელობითი ფუნქცია. ისინი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში უნდა განვიხილოთ. ი. გოგებაშვილი „დედა ენის“ წინასიტყვაობაში წერდა: „ჩვენ ვცდილობდით საკითხავ მასალას, ერთის მხრივ, ჰქონოდა რაც კი შეიძლება მომეტებული მიმზიდველი ძალა ბავშვებისათვის, რომ იგი ყოფილიყო მისთვის სავსე ინტერესით და მეორე მხრივ, მის შინაარსს წარედგინა არა ღარიბი მასალა ბავშვის გონების გახსნისა და განვითარებისათვის“ (მაღლაკელიძე, 2013:62). ტექსტის შინაარსზე დამოკიდებულია წამკითხველის ინტერესი. მოსწავლეებმა ინტერესი და ცნობისმოყვარეობა რომ დაიკმაყოფილონ კითხვა უნდა შეეძლოთ.

შეგნებული კითხვა, როცა წასაკით ტექსტში შემავალი სიტყვებისა და წინადადებების მნიშვნელობა და მთელი ტექსტის შინაარსი გასაგებია მოსწავლეთათვის; ე.ი. მოსწავლეს ესმის როგორც ცალკეული სიტყვებისა და ფრაზების მნიშვნელობა, ისე მთლიანი ტექსტის შინაარსი და მისი იდეური მხარე. შეგნებულობის პრინციპი კითხვის სწავლებაში მთავარი და წამყვანი პრინციპია (ნ.მაღლაკელიძე).

შეგნებული კითხვისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სწორად წარმართულ ლექსიკურ მუშაობას: უცნობი სიტყვებისა და გამოთქმების ახსნას, სიტყვათა მნიშვნელობის ცოდნა ხელს უწყობს ტექსტის შინაარსის გაგებას, შემდეგ კი – მის ანალიზს. ამ დროს ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რომელი სიტყვები უნდა ავხსნათ?

ცხადია, ახსნა ხდება იმ სიტყვებისა და გამოთქვამების, რომელიც უცნობია მოსწავლისათვის. ყველა სიტყვის ანალიზი ხელს უშლის მოსწავლეს ყურადღება გაამახვილოს მთავარზე – ტექსტის შინაარსსა და მის მხატვრულ ღირებულებაზე. რა ხერხები გამოიყენება ასახსნელად (მაღლაკელიძე, 2013:62).

ა) **თვალსაჩინოება**–კ. უშინსკი წერდა: „ასწავლეთ ბავშვებს ხუთიოდე სიტყვა, რომლებიც მისთვის უცნობია და იგი დიდხანს და ტყუილად იწვალეებს მათ შეთვისებაზე; მაგრამ დაუკავშირეთ სურათებს ოცი ასეთი სიტყვა და მოსწავლე იოლად შეითვისებს მათ“ (უშინსკი, 1974:245). მართლაც თვალსაჩინოება გვეხმარება უცხო საგნების, მოვლენების უკეთ აღქმასა და გაგებაში;

ბ) **სინონიმები** –ორგვარია: აბსოლუტური და რელატიური. თუ სიტყვას აქვს აბსოლუტური სინონიმი, მაშინ უპირატესობას მას ვანიჭებთ. მაგალითად, კომში–ბია, დიდედა–ბებია, კაკალი–ნიგოზი, თათარა–ფელამუში. მაგრამ თუ აბსოლუტური სინონიმები ენაში შედარებით ცოტაა, მაშინ შეიძლება გამოვიყენოთ რელატიური სინონიმები. მაგ. მომხიბლავი–მშვენიერი, თვალწარმტაცი, მოსაწონი, ლამაზი.

გ) **პერიფრაზი** – ყველაზე გავრცელებული ხერხია უცნობი სიტყვების ახსნისას, ამ დროს ახალი ლექსიკური ერთეულის შინაარსი სიტყვიერი ახსნა – განმარტებით ხდება. მაგ., ბოკვერი – ლომის ნაშიერი, გვირილა – მინდვრის ყვავილი, თეთრი ფერის, ყვითელი გულით, გამოიყენება სამკურნალოდ და ა. შ.

ამ სტრატეგიის გამოყენების დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შეგნებული კითხვისათვის ხშირად სიტყვებისა და გამოთქმების ცალკე, იზოლირებულად ახსნა ვერაფერს მოგვცემს, მნიშვნელოვანია კონტექსტი. ამასთან ახალი სიტყვა შესწავლილად ითვლება მხოლოდ მაშინ, როცა მოსწავლე არა მარტო კონტექსტში გააცნობიერებს მათ მნიშვნელობას, არამედ დამოუკიდებლადაც შეძლებს მათ გამოყენებას მეტყველებაში. სწორედ ამიტომ სასურველია მასწავლებელმა ახალი სიტყვების გამოყენებით შეადგინოს წინადადებები და მოსწავლეები აქტიურად ჩართოს ანალიზის პროცესში. მთელი ტექსტის შინაარსის გაგება მოითხოვს არა მხოლოდ ცალკეული სიტყვების მნიშვნელობის ცოდნას, არამედ ერთგვარი განზოგადების უნარსაც, რაც ნაწარმოების დედააზრის სწორად აღქმის საფუძველია. ეს კი შეგნებული კითხვის ყველაზე მაღალი ეტაპია. მასწავლებელი ამ დროს შემდეგ ფორმებს იყენებს (მაღლაკელიძე, 2013:62):

1. მოსწავლეების მიერ ტექსტის შინაარსის გადმოცემა მასწავლებლის დამხმარე კითხვების საშუალებით (ე.წ. ფაქტებზე ორიენტირებული კითხვები);

2. ტექსტის დაყოფა ცალკეულ ნაწილებად და მათი დასათაურება, გეგმის შედგენა;

3. ტექსტის შინაარსის გადმოცემა ამ გეგმის მიხედვით;

4. მასწავლებელი კლასს შერჩევით უსვამს შემაჯამებელ, ანალიზზე, სინთეზზე და შეფასებაზე ორიენტირებულ კითხვებს, რომლებიც მოსწავლეებს ეხმარება ტექსტის იდეურ-მხატვრულ ანალიზში. ამ გზით მოსწავლეები თანდათან მიდიან ტექსტის დედააზრის გაგებამდე. ამგვარი კითხვებით მოსწავლეებს ვაჩვენებთ მწერლის თვალსაზრისის მიგნებას, წაკითხულისადმი თავიანთი დამოკიდებულებების გამომუშავებას, ვაძლევთ ფართო გასაქანს მის დამოუკიდებელ აზროვნებას, ვასწავლით მსჯელობას, კამათს, საკუთარი აზრის ჩამოყალიბებასა და დასაბუთებას.

სწრაფი კითხვა არის კოლექცია კითხვის მეთოდებისა, რომელიც ეხმარება ადამიანს ამა თუ იმ ტექსტის სწრაფ გათავისებაში. ის მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ფლობს მოსწავლე სწორი და შეგნებული კითხვის ჩვევებს. მთავარი არის ის რომ ადამიანი, რომელსაც სურს სწრაფად იკითხოს უნდა შეეცადოს სიტყვების შეცნობას ასოების სრული წაკითხ-

ვის გარეშე, ან წაიკითხოს ტექსტი უმნიშვნელო სიტყვების (მე, ის, და, აბა) გამოტოვებით (მაღლაკელიძე, 2013:62).

კითხვის დინამიკა არის სწრაფი კითხვის მეთოდი, რომელიც შემუშავებული იქნა ეველინ ვუდის მიერ. იგი იყო ჯონ კენედის და სხვა ცნობილი ადამიანების ადვოკატი. მეთოდის მთავარი აზრი სწრაფად წაკითხული ტექსტიდან მაქსიმალური ინფორმაციის დამახსოვრებაშია. ამ მეთოდში ადამიანი უნდა იყენებდეს საჩვენებელ თითს, რომელიც უნდა გააყოლოს ტექსტს, რაც მას თვალის ფოკუსირებაში დაეხმარება.

მაქსიმუმი სიმძლავრით კითხვა შეიმუშავა ჰოვარდ სთეფან ბერგმა, რომელიც გახლდათ სწრაფი კითხვისა და სწრაფი სწავლის ექსპერტი. ასევე მან მოახერხა 1990 წელს გინესის წიგნში მოხვედრა. ამ მეთოდში მოსწავლეები ცდილობდნენ ტექსტის კითხვასთან ერთად მის ზედმიწევნით დამახსოვრებას, რის გამოც ჰ.ბერგი მათ არამარტო კითხვას, არამედ მახსოვრობასაც უვარჯიშებდა.

საინტერესო მეთოდია **ფოტოკითხვა**. ფოტოკითხვის ბოლო სტადიაში ადამიანს შეეძლება წუთში 25000 სიტყვის წაკითხვა, სამწუხაროდ ეს ჯერ ვერავინ შეძლო, რადგან ამისთვის საჭიროა არამარტო საოცარი ვიზუალური მახსოვრობა, ასევე ჩვეულებრივი ადამიანის ტვინის შესაძლებლობის ორმაგი გამოყენება.

სწრაფი კითხვისთვის შემუშავებული იქნა არაერთი კომპიუტერული პროგრამაც, რაც ეხმარება ადამიანს საკუთარი კითხვის ზუსტი სიჩქარის დასადგენად. სიჩქარის დადგენის უფრო მარტივი ხერხია მცირე ზომის ტექსტის წაკითხვა, რომლის ასობის რაოდენობას ყოფენ იმ დროზე, რამდენ ხანშიც წაიკითხავენ ტექსტს, ხოლო შედეგის 60-ზე გამრავლებით იგებენ, თუ რამდენ სიტყვას კითხულობენ 1 წუთში. შემდგომ ეტაპზე **კითხვის უნარის გასავითარებლად** სასარგებლოა **კოგნიტური სქემები**. ამ სტრატეგიების გამოყენებით მოსწავლე ახდენს ტექსტის სიღრმისეულად გაგებას, აღქმას. მოსწავლეები ახდენენ ტექსტის მთელისა და ნაწილების, ცნებისა და დეტალების ურთიერთმიმართების დადგენას და ვიზუალურად სქემის სახით წარმოადგენას. კოგნიტური დიაგრამებით მუშაობა ზრდის მოსწავლეთა აქტივობასა და დამოუკიდებლობას. კოგნიტური დიაგრამების საშუალებით მოსწავლე ანაწევრებს მოცემულ ინფორმაციას, შეიცნობს მთელისა

და დეტალების ურთიერთმიმართებას, ეჩვევა კრიტიკულ აზროვნებას, სწავლობს დამოუკიდებელ მუშაობას.

აღნიშნული სტრატეგიების გარდა გამოიყენება: როლური კითხვა, ურთიერთსწავლება, ტექსტის კითხვა წყვილებში, მონიშვნებით კითხვა, გამოკრებითი კითხვა, პაუზებით კითხვა და სხვა.

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევაში (მირიანაშვილი, 2010:33) „როლური კითხვა“ განხილულია, როგორც გამართული კითხვის დასახვეწი, ეფექტური და ბუნებრივი გზა. ამა თუ იმ ნაწარმოების ზეპირი შესრულებით მოსწავლეები გაუცნობიერებლად ვარჯიშობენ კითხვაში. გარდა ამისა, ისინი ოსტატებიან საუბარში და მეტი ინტერესითა და პატივისცემით იმსჯელებიან ლიტერატურისადმი. ამ მეთოდს „მკითხველთა თეატრსაც“ უწოდებენ. „მკითხველთა თეატრის“ ჩასატარებლად სასურველია შევასრულოთ ქვემოთ აღწერილი ნაბიჯები:

1. კლასში ტექსტის წასაკითხად გამოვყოთ მოხალისეები.
2. თითოეულ მოსწავლეს მივცეთ ტექსტის ასლი და ხმამაღლა წავუკითხოთ, რათა გამართულად წაკითხული ვარიანტი მოისმინონ.
3. ამის შემდეგ წავაკითხოთ ტექსტი „გუნდური კითხვის“ მეთოდით (ჯერ ჩვენ წავიკითხოთ და შემდეგ მოსწავლეებს წავაკითხოთ იგივე).
4. გავუნაწილოთ ტექსტი მკითხველებს. თუ ტექსტის ნაწილების რაოდენობა საკმარისი არ არის, ვთხოვთ მოსწავლეებს, გაცვალონ ერთმანეთში მკითხველისა და მსმენელის როლები.
5. როდესაც ბავშვები წარადგენენ თავიანთ სამუშაოს, დავაყენოთ ან დავსვათ სკამებზე, პირით აუდიტორიისაკენ (მაცურებლისაკენ). მოსწავლეებმა თავიანთი როლების შესაბამისად უნდა გამოიყენონ ჟესტები, მიმიკა და ინტონაცია. ისინი უნდა რეაგირებდნენ თეატრის სხვა გმირების ქმედებებზე სხეულის ენით (ჟესტებითა და მოძრაობით)

6. გავამეორებინოთ სცენები რამდენჯერმე, რათა მათ თხრობას დრამატულობა შეემატოს, ხოლო კითხვას-გამართულობა.

იმავე სახელმძღვანელოში განხილულია სტრატეგია **ურთიერთდახმარება**. ცნობილი ჭეშმარიტებაა სხვისთვის ახსნა დასწავლის საუკეთესო საშუალებაა. მოსწავლეები თანატოლებისაგან უფრო კარგად იგებენ და სწავლობენ, მოსწონთ მასწავლებლის როლში ყოფნა. ეს ზრდის მათ მოტივაციას და პასუხისმგებლობის გრძნობას. ეს მეთოდი მოსწავლეთა თანამშრომ-

ლობის და ურთიერთდახმარების საუკეთესო საშუალებაა. ავითარებს მოსწავლეებში ზეპირმეტყველების უნარს. გამოიყენება როგორც მხატვრული, ისე არამხატვრული, აღწერითი ტექსტებისათვის ჰუმანიტარულ, საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ საგნებში. ამ მეთოდის გამოყენებით მოსწავლეები შეისწავლიან:

- საკუთარი აზრის პრეზენტაციას;
- თანმიმდევრულ და გაბმულ თხრობას;
- მოსმენასა და ყურადღების კონცენტრაციას;
- ურთიერთთანამშრომლობასა და დახმარებას;
- ტექსტზე დამოუკიდებლად მუშაობას.

მოსწავლეებს წინასწარ უნდა გავაცნოთ შესასწავლი თემა. მივუთითოთ წყარო, სად შეიძლება შერჩეული ტექსტის წაკითხვა. მოსწავლეებმა ტექსტი წაკითხონ ინდივიდუალურად, ჩუმად. შემდეგ დავაწყვილოთ სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები. ძლიერი მოსწავლე მეწყვილეს უყვება წაკითხულის შესახებ, ხოლო მეორემ ყურადღებით უნდა მოისმინოს და რაც შეიძლება ზუსტად გადმოსცეს მონათხრობი. მასწავლებელმა დაფაზე უნდა ჩამოწეროს დამხმარე კითხვები და სთხოვოს მოსწავლეებს დაფაზე ჩამოწერილი შეკითხვების მიხედვით იმსჯელონ შესასწავლ თემაზე.

მეთოდის გამოყენების დროს გავითვალისწინოთ შემდეგი: ტექსტი უნდა შეესაბამებოდოს მოსწავლეთა ასაკს, ინტერესს. ერთი და იგივე მოსწავლეს არ უნდა მივცეთ მხოლოდ მასწავლებლის, ან მხოლოდ მოსწავლის როლი. კლასში შეიძლება გართულდეს პროცესის მართვა ხმაურის გამო. მოსწავლეებს ვასწავლოთ ჩუმი მეტყველება. მეთოდის გამოყენება შესაძლებელია დაწყებითი საფეხურის ყველა კლასში. გამოკითხვისას აქცენტი გავაკეთოთ იმ მოსწავლეებზე, რომელთაც უჭირთ კითხვა.

ტექსტის კითხვა წყვილებში, მასალის გამთლიანება (მირიანაშვილი, 2010: 37). ხელს უწყობს დიდი მოცულობის ტექსტის გააზრებულად კითხვას. წაკითხული ტექსტის შეჯამებას, ანალიზს მეწყვილესთან ერთად. ვითარდება და იხვეწება ზუსტი, ლაკონური ენა და გამართული მეტყველება. მოსწავლეებს უვითარდებათ მოსმენის, ყურადღების, თანამშრომლობისა და კომუნიკაციის უნარები. ეს მეთოდი ეფექტურია დიდი ზომის ტექსტის დამუშავების დროს. მოსწავლეები ნაწილ–ნაწილ ამუშავებენ ტექსტს და შემდეგ აერთიანებენ.

კლასი დავყოთ ჯგუფებად, თითოეულ ჯგუფში მოსწავლეებმა გაითვალოს ერთი-ოთხზე. დავაწყვილოთ პირველი და მეორე, მესამე და მეოთხე ნომრები. თითოეულ მოსწავლეს მივცეთ ის ნაწილი, რომელიც მის ნომერს შეესაბამება. ე.ი, პირველ წყვილს, რომელშიც პირველი და მეორე ნომრები გაერთიანდნენ მივცეთ ტექსტის ორი ნაწილი. ექნებათ ტექსტის პირველი და მეორე ნაწილი, ხოლო მეორე წყვილს ექნება ტექსტის მესამე და მეოთხე ნაწილი. წყვილებში გავანაწილოთ როლები: მომხსენებელი და კითხვების დამსმელი. წყვილის ორივე მონაწილე ჯერ კითხულობს ტექსტის პირველ ნაწილს. მომხსენებლის როლში მყოფი მოსწავლის მოვალეობაა ყურადღებით წაიკითხოს მოცემული მონაკვეთი და თავისი სიტყვებით მოუყვეს პარტნიორს. მეორე კითხვების დამსმელი ასევე კითხულობს ამავე ტექსტს, ყურადღებით უსმენს მომხსენებელს. როდესაც მომხსენებელი დაამთავრებს თხრობას, ინტერვიუერი, ტექსტის უკეთ გასააზრებლად უსვამს რამდენიმე შეკითხვას. მეორე მონაკვეთის კითხვისას, წყვილში პარტნიორებს შორის როლები იცვლება. როდესაც წყვილები დაასრულებენ სამუშაოს, დავაჯგუფოთ I, II, III, IV ნომრები და სთხოვეთ, რომ ტექსტის თავიანთი ნაწილები მოუთხოვნენ ერთმანეთს.

მეთოდის გამოყენების დროს გავითვალისწინოთ:

- მეთოდის გამოყენება არ არის მიზანშეწონილი I და II და მცირერიცხოვან კლასებში;
- მეთოდის განხორცილება მოითხოვს მეტ დროს;
- მასწავლებელმა წინასწარ უნდა განსაზღვროს ტექსტის შესაბამისობა მეთოდთან; ტექსტი კარგად უნდა იყოფოდეს თანაბარ ნაწილებად. ტექსტის სიდიდე უნდა შეესაბამებოდეს დროით რესურსებს.

მარკირებული კითხვა. ეს მეთოდი გამოიყენება როგორც მხატვრული, ისე არამხატვრული ტექსტების დამუშავების დროს. საუკეთესო საშუალებაა გაუგებარი, რთული საკითხების, უცნობი ტერმინების მოსანიშნად და შემდეგ მეწყვილესთან სამსჯელოდ. მეთოდის გამოყენება ხელს უწყობს:

- ტექსტზე დამოუკიდებლად მუშაობასა და ჩუმი კითხვის უნარ-ჩვევის განვითარებას;
- გააზრებულ კითხვას;
- მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოკრებასა და დახარისხებას;
- თანამშრომლობასა და კომუნიკაციას.

მოსწავლეები ტექსტში მონიშნავენ მათთვის გაუგებარ/პრობლემურ საკითხებს, წაკითხულის ირგვლივ გაიმართება დისკუსია.

მეთოდის გამოყენების დროს გავითვალისწინოთ:

– მეთოდის გამოყენება არ არის მიზანშეწონილი წერა–კითხვის სწავლების საწყის ეტაპზე პირველ კლასში;

– სასურველია გამოვიყენოთ ტექსტის ქსეროასლები, რომ არ მოხდეს წიგნში აღნიშვნების გაკეთება, ან მოსწავლეებმა გამოიყენონ ფანქარი;

– თუ კლასი მცირერიცხოვანია ამ მეთოდის გამოყენება ინდივიდუალურად უკეთესია;

– მეთოდი შეიძლება გამოვიყენოთ ჰუმანიტარულ, საზოგადოებრივ მეცნიერებათა და საბუნებისმეტყველო საგნებში.

გამოკრებითი კითხვა (მორიანაშვილი, 2010:44) ტექსტის გაგებაზეა ორიენტირებული. სასწავლო მიზნიდან გამომდინარე, საგაკვეთილო პროცესში ტექსტის კითხვისას მნიშვნელოვანია სხვადასხვა დონის შეკითხვის დასმა. გამოკრებითი კითხვის მეთოდის გამოყენებისას მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად მხოლოდ წიგნიდან სათანადო ადგილის მოძებნა და ამოკრევა კმარა. მოსწავლეებს ფაქტებზე ორიენტირებული კითხვის მეშვეობით შეუძლიათ გადმოსცენ წაკითხული ტექსტის შინაარსი. გააზრებული კითხვის გამოსამუშავებლად წინადადების შინაარსის გასაგებად, მნიშვნელოვანია მასში შემავალ სიტყვებს შორის ურთიერთკავშირის გარკვევა კითხვების საშუალებით; მასწავლებლის კითხვების მიხედვით ხდება ტექსტის ისეთი ადგილების წაკითხვა, სადაც უცნობი სიტყვები და გამოთქმებია და რომელთა მნიშვნელობის გაგება კონტექსტით ხერხდება.

კითხვაზე პასუხის გაცემა ხელს უწყობს მოსწავლეს, შეეჩვიოს სიტყვათა სწორად გამოყენებას ფრაზაში. გამოკრებითი კითხვის მიზანია, მოსწავლეებმა ტექსტიდან ამოკრიფონ მხოლოდ მითითებული ადგილები, ანუ ყურადღება გაამახვილონ იმ მომენტისათვის მნიშვნელოვან ადგილებზე.

მასწავლებლის მიერ დასმული კითხვების საშუალებით მოსწავლეები შეძლებენ ტექსტში ორიენტაციას; სათანადო ადგილის მოძებნასა და ამოკრეფას; ტექსტის გააზრებულად წაკითხვას; ლოგიკური კავშირების დადგენას ტექსტში, რაც არგუმენტებული მსჯელობის საფუძველია. მეთოდის ეფექტურობისათვის მოსწავლეებს უნდა მივცეთ დასამუშავებელი ტექსტი; თავად წავიკითხოთ ტექსტი გამომეტყველებით, ამ მოსწავლეებსაც წავაკით-

ხოთ. სხვებს წიგნები დახურული უნდა ჰქონდეთ და წამკითხველს უნდა უსმენდნენ.; შემდგომ მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს ნაწილ-ნაწილ, რომელსაც ახლავს მასწავლებლის კომეტარი უცნობი სიტყვებისა თუ გამონათქვამების შესახებ; წაკითხვის შემდეგ იმის გასარკვევად, გაიგეს თუ არა მოსწავლეებმა ნაწარმოების შინაარსი, დაუუსვათ კითხვები, რომლებიც მოსწავლეებისაგან ტექსტში ადგილების მოძებნას და ამოკითხვას მოითხოვს. მათ შორისაა: სიტყვის, წინადადებისა და ფრაზის, ნაწარმოების დედააზრის ამოკითხვა; მთავარი და მეორეხარისხოვანი საკითხების, მოქმედი გმირების შესახებ სათანადო ადგილის მონახვა და წაკითხვა.

მეთოდის გამოყენების დროს გავითვალისწინოთ: დასამუშავებელი ტექსტი უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლეთა განვითარების აქტუალურ დონეს, არ უნდა შეიცავდეს უცხო სიტყვების დიდ რაოდენობას; უნდა ექვემდებარებოდეს მეტ-ნაკლებად დასრულებული შინაარსის მქონე ნაწილებად დაშლას; მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები უნდა იყოს კონკრეტული და გასაგები. თუ ტექსტი და სასწავლო მიზანი ნათლადაა ჩამოყალიბებული, მაშინ მისი გამოყენება მიზანშეწონილია პირველი კლასიდანვე.

ამ მეთოდის გამოყენება შესაძლებელია ჰუმანიტარულ, ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო საგნებში.

საჩვენებელი კითხვა (მასწავლებლის მიერ მოსწავლეებისათვის ხმამაღლა კითხვა) არის ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო მეთოდი, რომელიც მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს მოსწავლეთა წიგნიერების განვითარებისათვის. როდესაც მოსწავლეები უსმენენ, როგორ კითხულობს მასწავლებელი ხმამაღლა, მათ უვითარდებათ წიგნიერებისათვის საჭირო უმნიშვნელოვანესი უნარები, უმაღლდებათ კითხვის მოტივაცია. ისინი იწყებენ იმის გააზრებას, რომ კითხვა არის ახალი ინფორმაციის მოპოვების, სწავლისა და სიამოვნების მიღების საშუალება. გაწაფული, ბგერების სწორად და მკვეთრად გამოთქმით კითხვა ამდიდრებს მსმენელის ლექსიკონს. ხმამაღლა წაკითხული წიგნების მოსმენა და მათ შესახებ საუბარი მოსწავლეებს უვითარებს ზეპირმეტყველების უნარს, ეხმარება გაგება-გააზრების იმ სტრატეგიების ჩამოყალიბებაში, რომელთა გამოყენება მათ თავადაც შეუძლიათ კითხვის დროს (მაგ., მთავარი აზრისა და დამხმარე დეტალების აღმოჩენა, ვიზუალიზება, პირად გამოცდილებასთან დაკავშირება და სხვ.)

საჩვენებელი კითხვის გამოყენებით მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს სხვადასხვა ტიპის ტექსტების სტრუქტურას. საჩვენებელი კითხვის მნიშვნელოვანი ნაწილია მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ვერბალური ინტერაქცია. მასწავლებლის კომენტარები და შეკითხვები ტექსტის წაკითხვამდე და წაკითხვის შემდეგ, ასევე, პერიოდულად, წაკითხვის პროცესში მის მიერ ხმამაღლა ფიქრის მეშვეობით კითხვის სხვადასხვა სტრატეგიის დემონსტრირება მნიშვნელოვნად ეხმარება მოსწავლეებს ტექსტის გაგება-გააზრებაში.

ერთობლივი კითხვა საუკეთესო მეთოდია გაწაფული კითხვის საბაზისო უნარების განსავითარებლად, რაც ხელს უწყობს ტექსტების შეგნებულად წაკითხვას. ეს არის დამწყებ მკითხველებთან სამუშაო მეთოდი, რომელიც ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში მასწავლებელი საჩვენებელი კითხვით აცნობს ტექსტს მოსწავლეებს, ხოლო მეორე ნაწილში კითხვის პროცესში მოსწავლეებიც ერთვებიან. სასურველია, რომ მასწავლებელმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭოს ამ მეთოდის სისტემატურ გამოყენებას. ერთობლივი კითხვისათვის გამოიყენება როგორც მხატვრული, ისე საინფორმაციო ტიპის ტექსტები. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ტექსტები იყოს მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისი სირთულის, რათა ბავშვებში დემოტივაცია და იმედგაცრუება არ გამოიწვიოს.

ერთობლივი კითხვის ვარიაციები. გუნდური კითხვა: მასწავლებელი და მოსწავლეები ერთად კითხულობენ ტექსტს. კითხვის პროცესში მასწავლებელი ხელის/ჯოხის გამოყენებით მიუთითებს წასაკითხ სიტყვებს. **ექოს ტიპის კითხვა:** მასწავლებელი კითხულობს ერთ წინადადებას. შემდეგ მოსწავლეები ერთხმად კითხულობენ მასწავლებლის მიერ წაკითხულს. ამგვარად იკითხება მთელი ტექსტი. **ქოროს ტიპის კითხვა:** მასწავლებელი კლასს ყოფს ორ გუნდად. ტექსტის ერთ წინადადებას კითხულობს ერთი გუნდი, მომდევნო წინადადებას-მეორე გუნდი. ამგვარად, ქოროს პრინციპით, იკითხება მთელი ტექსტი.

კლასგარეშე, ანუ დამოუკიდებელი კითხვა დაწყებით კლასებში კითხვის სწავლების აუცილებელი კომპონენტია. მისი მიზანია: ა) გააფართოვოს და გააღრმავოს ის ცოდნა, რომელიც მოსწავლეებს აქვთ მიღებული საკლასო კითხვის გაკვეთილზე; ბ) მიაჩვიოს მოსწავლე წიგნზე დამოუკიდებელ მუშაობას; გ) განუვითაროს მას გონებრივი თვალსაწიერი, აუმაღლოს ზოგა-

დინტელექტუალური დონე; დ)ხელი შეუწყოს სრულყოფილი კითხვის ჩვევის დაუფლებას, მოსწავლის აზროვნებისა და მეტყველების განვითარებას.

კლასგარეშე კითხვა პირობითად ორ ნაწილად შეიძლება გავყოთ: ა) სავალდებულო და ბ) არასავალდებულო. სავალდებულო კლასგარეშე კითხვის მიზანდასახულობას სკოლის სასწავლო აღმზრდელითი ამოცანები განსაზღვრავს, ამიტომაც მის ორგანიზაციასაც სკოლა ხელმძღვანელობს. რაც შეეხება ე.წ. „არასავალდებულო“ კლასგარეშე კითხვას, იგი ღრმად ინდივიდუალურია. აქ მასწავლებელი მხოლოდ მრჩევლისა და კონსულტანტის როლში შეიძლება მოგვევლინოს.

პაუზებით კითხვა 1. ეს მეთოდი რთული ტექსტების დასამუშავებლად გამოიყენება და ხელს უწყობს მოსწავლის ჩართვას კითხვის პროცესში, რათა მოსწავლემ გაიაზროს და დაამუშაოს რთული ტექსტები მასწავლებლის დახმარებით. მოსწავლეები ამ სტრატეგიის გამოყენებით სწავლობენ წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობას, ტექსტის წაკითხვასა და გაანალიზებას, არგუმენტირებულ მსჯელობას; დასკვნების გამოტანას და წაკითხულის შეჯამებას; ლოგიკურ აზროვნებას; სხვისი აზრის მოსმენასა და პატივისცემას.

ტექსტი წინასწარ დაყოფილია რამდენიმე ნაწილად. ტექსტს კითხულობენ მოსწავლეები ნაწილ–ნაწილ, ყოველი ნაწილის წაკითხვის შემდეგ ჩერდებიან, აკეთებენ ამონაწერებს–ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტები, ან უცხო სიტყვები. ამით მოსწავლეთა ყურადღების მობილიზება ხდება ტექსტისადმი. იმართება მსჯელობა შეკითხვებზე: ვის შეუძლია განმარტოს..... გთხოვთ, გადმოსცეთ ტექსტის ეს ნაწილი თქვენი სიტყვებით და ა. შ. თქვენ როგორ განავითარებდით მოვლენებს? რატომ? რატომ განავითარა ავტორმა ასე მოვლენები და არა სხვაგვარად?

აზრის გამოთქმის შემდეგ მოსწავლეები კითხულობს მეორე ნაწილს იგივე მითითებებით და ა.შ. სანამ ტექსტს ბოლომდე არ წაკითხავენ. დასასრულს ვეკითხებით მოსწავლეებს: რა არის ნაწარმოების მთავარი აზრი? როგორ შეაფასებდით გმირის საქციელს? თქვენ მის ადგილას როგორ მოიქცეოდით? რატომ ფიქრობთ ასე?

მეთოდის განხორციელებისათვის სასურველია გავითვალისწინოთ: ტექსტი წინასწარ დავყოთ ნაწილებად; ტექსტი არ უნდა იყოს დიდი; წინასწარ განვსაზღვროთ დრო დისკუსიისათვის.

მეთოდი ავითარებს კითხვის, წერის, ზეპირმეტყველების, ანალიზის, სინთეზის უნარებს; მისი გამოყენება მიზანშეწონილია მეორე კლასიდან და ზევით.

პაუზებით კითხვა 2. ეს მეთოდი საშუალებას აძლევს მასწავლებელს დაეხმაროს რთული ტექსტის გაგებასა და გააზრებაში. მოსწავლეები ამ მეთოდის დახმარებით სწავლობენ წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობას, ვარაუდების გამოთქმას, ტექსტის გააზრებას, მსჯელობას, კითხვის დასმას, წაკითხულის შეჯამებას, სხვისი აზრის მოსმენასა და პატივისცემას.

დასამუშავებელი ტექსტი დავყოთ ისე, რომ წყვეტა საკვანძო საკითხებთან მოხდეს. მოსწავლეებმა უნდა შეძლონ შემდეგ მონაკვეთში მოცემული სიუჟეტის შესახებ წინასწარი ვარაუდის გამოთქმა; ტექსტის პირველი ნაწილის წაკითხვამდე მოსწავლეთა ყურადღება გავამახვილოთ ნაწარმოების სათაურზე, დავუსვათ შეკითხვა, მათი აზრით, სათაურიდან გამომდინარე, რაზე იქნება საუბარი ამ ნაწარმოებში? მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს ნაწილ-ნაწილ და თითოეული მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ ჩერდებიან და გამოთქვამენ მოლოდინებს რა მოხდება შემდეგ მონაკვეთში, ასაბუთებენ თავიანთ ვარაუდებს. მოსწავლეები ავსებენ ქვემოთ მოცემულ სქემას და მეორე გრაფაში წერენ რაზე დაყრდნობით გაუჩნდათ ეს ვარაუდი. კითხვის დასრულების შემდეგ მოსწავლეები მესამე გრაფაში წერენ რეალურად რა მოხდა.

კითხვის დასრულების შემდეგ უნდა მოვისმინოთ მოსწავლეთა მოსაზრებები. დავუსვათ კითხვები: რას ფიქრობთ წაკითხულის შესახებ? რატომ? რას გრძნობთ? შევეცადოთ მოსწავლეებმაც დასვან კითხვები. დავეხმაროთ მათ ფორმულირებაში. დისკუსია წავრმართოთ მოსწავლეთა ჩანაწერების მიხედვით.

	როგორ ფიქრობთ რა მოხდება?	რა მიგანიშნებთ ამაზე?	სინამდვილეში რა მოხდა?
ნაწილი I			
ნაწილი II			
ნაწილი III			

მეთოდის გამოყენებისას გავითვალისწინოთ შემდეგი: ტექსტი წინასწარ უნდა დავყოთ ისე, რომ მოსწავლეებს გაუადვილდეთ პაუზებთან შეჩერება და არ გადავიდნენ დროზე ადრე შემდეგ ნაწილებზე; სასურველია ტექსტი იყოს უცნობი და სირთულით შეესაბამებოდეს მოსწავლეთა განვითარების დონეს; ამ სტრატეგიის გამოყენება შეიძლება როგორც ინდივიდუალურად, ასევე წყვილებში მუშაობისას.

მეთოდი ავითარებს კითხვის, წერის, ზეპირმეტყველების, ანალიზის, სინთეზის უნარებს. მისი გამოყენება მიზანშეწონილია როგორც დაწყებითი, ისე საბაზო და საშუალო საფეხურზე.

ეს არის კითხვის სტრატეგიების მცირე ნაწილი. მასწავლებელი ასახსნელი თემის შინაარსიდან გამომდინარე თავად არჩევს რომელიმე სტრატეგიას, შეიძლება თავადაც მოიფიქროს. კითხვის სტრატეგიები მოსწავლეებს აქცევს აქტიურ მკითხველად, მოსწავლეები სწავლობენ ტექსტის ყურადღებით წაკითხვას, უვითარდებთ კითხვის, წერის, ანალიზის, სინთეზის, მოვლენების შეფასების უნარი. უყალიბდებთ კრიტიკული აზროვნება.

საკითხები დამოუკიდებელი მუშაობისათვის:

1. რა მნიშვნელობა აქვს კითხვის მეთოდებს?
2. რა შეიცვლება საგაკვეთილო პროცესში ამ მეთოდების გამოყენების დროს?
3. მოიძიეთ კითხვის სხვა სტრატეგიები და წარმოადგინეთ მათი დადებითი მხარეები.
4. ტესტები იხილეთ - დავალებები პრაქტიკული მეცადინეობისათვის

თემა 9. წერის სტრატეგიები

ლექციაზე განსახილველი საკითხები:

1. წერის მეთოდების მიზანი;
2. წერის თანამედროვე სტრატეგიები.

წერის სტრატეგიების დამუშავების დროს ვიხელმძღვანელებთ ლიტერატურით: ი. ბასილაძე, ნ. ჭოხონელიძე, ნ. კოსტავა, სწავლებისა და სწავლის ინტერაქტიული მეთოდები, აქტივობების ფორმები, შეფასების კრიტერიუმები, პედაგოგიური ტექნოლოგიები და მათი ზოგადპედაგოგიური დახასიათება, ქუთაისი 2011; ნ. ბესელია, თ. მეიფარიანი, ლ. მიქიაშვილი, ი. ჯალაღონია, სკოლიდან – სამოქალაქო საზოგადოებისაკენ, მასალები ინტერაქტიული სწავლებისათვის, თბილისი 2003წ; ზ. ბებერაშვილი, ნ. ბესელია, ნ. მახარაშვილი, თ. მეიფარიანი, გზა უფლებებისაკენ, მასწავლებლის წიგნი, ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო, 2002წ; რ. მარზანო, დე. ფიქერინგი, ჯ. ფოლოქი. ეფექტური სწავლება სკოლაში: კვლევებზე დაყრდნობით შემუშავებული მეთოდები, რომლებიც აუმჯობესენ მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას. თბილისი 2009 წ; მ. მირიანაშვილი, გ. ჩხენკელი, ნ. ჯაში, მ. ბლიაძე...დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევი, თბილისი 2010 წ; ნ. მაღლაკელიძე, ქართული ენის სწავლების მეთოდთა/დიდაქტიკა (I–VI კლასები), თბ., 2013წ.; კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე (I–VI კლასები). USAID, G-PRIED, საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი. თბ., 2015წ.; პ. პაპავა, თ. ჭანტურია, წიგნიერების, მათემატიკური წიგნიერებისა და სასიცოცხლო უნარების გზამკვლევი დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისთვის. თბ., 2011წ.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით მასწავლებელს უნდა შეეძლოს როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი კომუნიკაცია მოსწავლეებთან, მშობლებთან, კოლეგებთან. ენა კომუნიკაციისა და სოციალური ინტერაქციის საშუალებაა. ადამიანები ერთმანეთთან კომუნიკაციისათვის იყენებენ როგორც ზეპირ, ისე წერილობით ფორმას.

წერის სწავლება ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთი საკვანძო კომპონენტია. პირველი კლასიდან მოსწავლეებს წერის საბაზისო უნარებთან

ერთად თანდათანობით უვითარდებათ წერილობითი აზრის გადმოცემის, ნაწერის გადასინჯვა-გადამუშავების სხვადასხვა საკითხზე წერით სწავლის უნარები. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მოსწავლეს უნდა შეემლოს: სხვადასხვა სახის ტექსტის შეთხზვა, შესწავლილი ტექსტის შინაარსის დაწერა, საკუთარი მოსაზრებებისა და შთაბეჭდილებების წერილობით გადმოცემა, წერის სტრატეგიების (გეგმის შედგენა, ნაწერის გადამუშავება და რედაქტირება...) გამოყენება, წინადადებების გამართულად აგება, პუნქტუაციის ძირითადი წესების დაცვა და ა.შ.

წერა ადამიანებს საშუალებას აძლევს გამოხატონ საკუთარი აზრი და დამოკიდებულება რაიმე საგნის თუ მოვლენის მიმართ. გასაგები გახადონ სათქმელი. წერა და ფიქრი ურთიერთდაკავშირებული პროცესებია. ის ხელს უწყობს კონკრეტულ საკითხზე ფოკუსირებას, ჩაღრმავებას, კრიტიკული აზროვნების განვითარებას. ცნობილი ფსიქოლოგი, ლევ ვიგოტსკი, ჯერ კიდევ 1931 წელს აღნიშნავდა, რომ მხოლოდ წერის ტექნიკის დაუფლება წერის ცოდნას არ ნიშნავს. ის ასეთ წერას ადარებდა პიანისტის საქმიანობას, რომელიც შეიძლება თითებს ვირტუალურად ამოდრავებს, მაგრამ მელოდია არ გამოსდით. ლ. ვიგოტსკის აზრით, წერის სწავლება ისე უნდა წარმართოს, რომ წერა მოსწავლეს კონკრეტული მიზნისათვის სჭირდებოდეს, ბუნებრივად ჩართული იყოს მისთვის მნიშვნელოვანი ამოცანის განხორციელების საქმეში. ნაწერის მეშვეობით ბავშვმა ვიდაცას რაღაც უნდა გააგებინოს, გაუზიაროს. ასეთ შემთხვევაში წერა აღარ იქნება უბრალოდ, თითების მოტორული ჩვევა და წერით მეტყველებად გადაიქცევა (ლ. ვიგოტსკი, 1983: 125)

წერაც და მეტყველებაც კომუნიკაციის საშუალებებია, მაგრამ წერითი მეტყველება ზეპირმეტყველებისგან განსხვავებული აქტივობაა და სხვა უნარებს მოითხოვს. ამიტომ მხოლოდ ზეპირმეტყველების უნარები ვერ უზრუნველყოფს წერითი მეტყველების კარგად დაუფლებას. წერითი მეტყველებისა და ზეპირმეტყველების განმასხვავებელი ნიშნებია (მირიანაშვილი, ჩხენკელი..., 2010: 55).

1. წერითი მეტყველება ზეპირმეტყველებისაგან განსხვავებულ სტილისტურ ნორმებს ექვემდებარება. მას პუნქტუაციის რთული წესები აქვს;

2. წერითი მეტყველება მოკლებულია ემოციურ–ინტონაციურ საშუალებებს, მიმიკას, პანტომიმურ ქესტიკულაციას; ეს ყველაფერი ზეპირმეტყველებაში დამატებითი ინფორმაციის შემცველია;

3. წერით მეტყველებაში გამოიყენება ტექსტის დაყოფა წინადადებად, რაც ზოგჯერ ხელოვნურ ხასიათს ატარებს, ხოლო ზეპირმეტყველებას მთლიანი სათქმელის ერთი შინაარსობრივი ხაზით გაერთიანებულ ნაწილებად დაყოფა ახასიათებს;

4. ნაწერი ტექსტი უნდა შეიცავდეს სრულ, ამომწურავ ინფორმაციას გადმოსაცემი საკითხის გარშემო და მკითხველისათვის სავსებით გასაგები უნდა იყოს. ასეთი მასალა ხშირად მონოლოგის სახეს ატარებს, ბავშვისათვის კი ბუნებრივია დიალოგური მეტყველება; მისთვის ძნელია ინფორმაციის მხოლოდ ენობრივი საშუალებებით გადმოცემა. ბავშვი ეყრდნობა იმ ყოფით კონტექსტს, რომელშიც კომუნიკაციის მონაწილეები იმყოფებიან; ის სიტუაციის ზოგიერთ მომენტს სიტყვებით კი არ გამოხატავს, არამედ თავისთავად გასაგებად, ნაგულისხმებად მიიჩნევს;

5. ზეპირმეტყველებას ახასიათებს უშუალო, თანამდევი უკუკავშირი მსმენელის მხრიდან (ქესტებით, მიმიკით, ჩართული მეტყველებით), რაც ბავშვს აზრის გამოთქმასა და საუბრის გაგრძელებაში ეხმარება, წერითი მეტყველება კი მოკლებულია ასეთ უკუკავშირს.

ცხადია, წერითი მეტყველების ათვისების პროცესში ბავშვი მისთვის სრულიად ახალ უნარებს უნდა დაეუფლოს–მან უნდა ისწავლოს სათქმელის წერილობით გადმოცემა. წერის სწავლების თანამედროვე მეთოდები ამ უნარის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

1. წერის სტრატეგიების მიზანია ვასწავლოთ მოსწავლეებს წერა პირადი, სამეცნიერო, შემოქმედებითი თუ სხვა მიზნებისათვის. სწავლების მეთოდები მასწავლებელს საგაკვეთილო პროცესში სხვადასხვა მეთოდის გამოყენებას სთავაზობს. თითოეული მათგანი კონკრეტულ მიზანს ემსახურება. განვიხილოთ წერის შემდეგი სტრატეგიები: საკუთარი თავისთვის წერა; ათწუთიანი დამოუკიდებელი წერა; ესსე; ხუთსტრიქონიანი ლექსი; პირამიდის მეთოდი; T დიაგრამა; კუბის მეთოდი; სტრატეგია 3,2,1.; რა დაამახსოვრდა კლასის დატოვების შემდეგ; როლი, აუდიტორია, ფორმატი და ა.შ.

წერა, კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის ეფექტური საშუალებაა. ამ სტრატეგიების გამოყენებისას მასწავლებელმა შემდეგი დებულებებით უნდა ისარგებლოს: კრიტიკული აზროვნებისათვის აუცილებელია მოსწავლემ მისთვის საინტერესო და მნიშვნელოვან თემებზე იფიქროს და წეროს. მასწავლებელმა საკლასო ოთახში ისეთი გარემო უნდა შექმნას, რომელიც მოსწავლეს თავისუფალი აზროვნების საშუალებას მისცემს.

პედაგოგებს, რომელთაც სურთ წერა გამოიყენონ როგორც აზროვნების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება, კარგად უნდა გააცნობიერონ რომ მოსწავლეთა უმრავლესობას წერისადმი უარყოფითი დამოკიდებულება აქვს. ამის მიზეზი კი ის არის, რომ სწავლის პროცესში ძირითადი აქცენტი წერის სწავლებაზე კი არ არის გადატანილი, არამედ მის შედეგზე-ნაწერზე, რომლის დანიშნულებაც მხოლოდ წერის უნარის ჩამოყალიბება და შეფასებაა.

წერა კომუნიკაციის ერთ-ერთი ფორმაა (ჯეიმს სმიტი) და ამით „ერთი ადამიანი მეორეს რაღაც ინფორმაციას ატყობინებს“. ადამიანი, რომელიც წერს, თავადვე უნდა ირჩევდეს თემას და აუდიტორიას (რაზე და რისთვის უნდა წეროს). სკოლაში „აუდიტორიად“ თანაკლასელები მოიაზრებიან, წერილის წერის დროს –კონკრეტული პიროვნება, საკონფერენციო თემის შემუშავებისას–განათლების სპეციალისტები და სხვა.

წერა წარმატებით რომ ემსახურებოდეს კრიტიკული აზროვნების განვითარებას, მასწავლებელმა შემდეგი პრინციპები უნდა დაიცვას: ნაწერი ყოველთვის არ უნდა შეფასდეს; მოსწავლეს უნდა მივცეთ ნაწერში საკუთარი გამოცდილების შესახებ თავისუფლად მსჯელობის საშუალება; თავდაპირველად მივცეთ საშუალება მოსწავლეს მართლწერის გარეშე, თავისუფლად წერონ; თემა მოსწავლეებმა უნდა შეარჩიონ; მოსწავლეებს თანატოლებთან ერთად საკუთარი ნაწერის განხილვის საშუალება უნდა ჰქონდეთ.

წერის მეთოდების დადებითი მხარეებია:

- წერა ეხმარება მოზარდს სხვებისათვის გასაგები გახადოს თავისი სათქმელი და თავისუფლად გამოხატოს აზრები;
- წერა ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას და მოზარდს საკუთარ თავში ჩაღრმავების საშუალებას აძლევს;
- წერა ზრდის მოზარდის ცნობისმოყვარეობას და უფრო აქტიურ დამკვირვებლად აყალიბებს;

- მოზარდები სწავლობენ როგორ დგება ტექსტი;
- წერა საშუალებას აძლევს მოზარდს, საკუთარი ნააზრევით სხვას შეაფასებინოს და თავადაც ისწავლოს შეფასება.

წერის პროცესის ეფექტურ განხორციელებას შესაბამისი ინტელექტუალური და ფიზიკური გარემო სჭირდება, სადაც მოსწავლეები საკუთარ თავს „მწერლებად“ აღიქვამენ. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს შეეძლოთ უსაფრთხო გარემოში, გაბედულად გადმოიტანონ ფურცელზე თავიანთი აზრები, მიიღონ შესატყვისი კომენტარები და რჩევები როგორც მასწავლებლისგან, ისე სხვა მოსწავლეებისაგან. საჭიროა, რომ მოსწავლეებმა ხშირად წერონ. წერთი ამოცანები მრავალფეროვანი უნდა იყოს. ისინი უნდა შეეხებოდეს განსხვავებულ თემებს/ საკითხებს, მიმართავდეს სხვადასხვა აუდიტორიას და სრულდებოდეს განსხვავებულ ფორმატში.

განსაკუთრებული როლი ენიჭება მასწავლებელს, როგორც კარგი „მწერლის“ მოდელს. მოსწავლეებს აუცილებლად სჭირდებათ წერის ეფექტურ მეთოდებზე „ცოცხალ“ რეჟიმში დაკვირვება და მოდელირება, რათა თავადაც მოსინჯონ ისინი და ნაბიჯ-ნაბიჯ შეძლონ მათი დამოუკიდებლად გამოყენება.

წერას სჭირდება ადეკვატური დრო და ადგილი. სასურველია, რომ მასწავლებელმა გარკვეული დრო გამოყოს საკლასო წერთი აქტივობებისთვის. წერის უნარის დაუფლებაზე ორიენტირებულ კლასში მრავლად უნდა იყოს როგორც მრავალფეროვანი საკითხავი ლიტერატურა, ისე წერისა და რედაქტირებისათვის გამოსადეგი დამხმარე მასალა.

წერის სწავლება/სწავლის მეთოდები და აქტივობები ორ დიდ კატეგორიად-ფორმალურ და არაფორმალურ მეთოდებად იყოფა. წერის ფორმალური მეთოდები მოიცავს ფართოდ გავრცელებული, სტანდარტული ფორმატის ნამუშევრების შექმნას (თხზულება, მოთხრობა, ესეი, წერილი, ლექსი და სხვ.). არაფორმალური მეთოდები ეხმარება მოსწავლეს იდეების გენერირებასა და ორგანიზებაში, საკითხების გაგება-გააზრებასა და ახალი ცოდნის შექმნაში (გონებრივი იერიში, სემანტიკური ან გონებრივი რუკები, დღიურები, გრაფიკული სქემები და სხვ.)

უკანასკნელ ათწლეულებში ფართოდ გავრცელდა წერის სწავლების ერთი კონკრეტული მიდგომა, რომელმაც მნიშვნელოვნად გაამდიდრა და გააუმჯობესა წერის სწავლება-სწავლა. ამ მიდგომას „წერის პროცესს“ უწო-

დებენ. წერის პროცესი გულისხმობს მოსწავლის (დამწერის) მიერ თანმიმდევრულად დალაგებული საფეხურების გავლას. წერის პროცესი ეფექტურად გამოიყენება ნებისმიერი ასაკის მოსწავლეებთან, 7-8 წლის ასაკიდან მოყოლებული.

წერის პროცესის ხუთი საფეხური:

1. **იდეების გენერირება წერის დაწყებამდე**- ეს საფეხური მოიცავს ყველა იმ მოქმედებას, რომელსაც დამწერი უშუალოდ წერის დაწყებამდე ასრულებს. ამ დროს მოსწავლე წერის დაწყებისთვის ემზადება.

ამ საფეხურზე დამწერი მრავალფეროვან საქმიანობას ასრულებს. მაგალითად: იღებს გადაწყვეტილებას, თუ რის შესახებ დაწერს; განსაზღვრავს მკითხველთა აუდიტორიას, ანუ ვინ წაიკითხავს ნაწერს; იყენებს გონებრივ იერიშს თემის შესახებ ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად; ჩამოწერს, სად შეიძლება თემასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება; გამოიკვლივეს საკითხს; ხატავს, ქმნის თემატურ სქემას; ჩამოთვლის ყველაფერს, რაც თხზულების შინაარსს უკავშირდება; ქმნის სემანტიკურ ან ასოციაციურ რუკას.

2. **პირველი ვარიანტის დაწერა**-ამ საფეხურზე მოსწავლე: საკუთარი სიტყვებით წერილობით გადმოსცემს თხზულების შინაარსს; წერს წინადადებებსა და აზრებს; კითხულობს საკუთარ ნაწერს და აფასებს, რამდენად გადმოსცემს დაწერილი ტექსტი მის სათქმელს; უჩვენებს ნაწერს სხვებს, რათა მიიღოს კონსტრუქციული კომენტარები და რჩევები მის დასახვეწად.

3. **გადამუშავება და დახვეწა საბოლოო ვარიანტის შექმნამდე**- ამ საფეხურზე მოსწავლე: კვლავ უბრუნდება ნაწერს და კითხულობს მას; დაფიქრდება უკუკავშირსა და რჩევებზე; გადააკეთებს სიტყვებსა და წინადადებებს; ამოიღებს ან ჩაამატებს მონაკვეთებს; ჩაანაცვლებს ან ამოიღებს ზედმეტად გამოყენებულ ან გაუგებარ სიტყვებს/ფრაზებს; ხმამაღლა კითხულობს ნაწერს, რათა დარწმუნდეს, რომ ტექსტი მოწესრიგებულია.

4. **რედაქტირება**-ამ საფეხურზე მოსწავლე: გადაამოწმებს, რამდენად გამართულია ყველა წინადადება; შეასწორებს მართლწერასა და პუნქტუაციას; ასწორებს გრამატიკულ და ორთოგრაფიულ შეცდომებს; შეცვლის არასწორად დაწერილ სიტყვებს; წააკითხებს ნაწერს სხვას; ჩაასწორებს ტექსტს სალიტერატურო ენის ნორმების გათვალისწინებით; აკეთებს კორექტურას; გადაწერს ნაწერს სუფთად.

5. **გამოქვეყნება/გაზიარება**–ამ საფეხურზე მოსწავლე: ხმამაღლა უკითხავს ნაწერს კლასს/ჯგუფს; ქმნის აკინძულ წიგნს საკუთარი ნაშრომისაგან; უგზავნის ნაწერს მეგობრებს/თანაკლასელებს; ნაწერის მიხედვით ქმნის ილუსტრაციებს, მუსიკას, წარმოდგენას.

საწყის ეტაპზე სასურველია მასწავლებელმა გამოიყენოს **საკუთარი თავისთვის წერა** (პაპავა, კიკვაძე, 2007: 26). სტრატეგია აზროვნების განვითარებასა და საკუთარი ნააზრევის ფურცელზე თავისუფლად გადატანას ემსახურება. ამ დროს აუდიტორიის როლში მოსწავლე გამოდის. იგი წერს, რათა უკეთ გაიზაროს და „მოაწესრიგოს“ საკუთარი აზრები თუ მიღებული ინფორმაცია. მან იცის რომ ამ ნაშრომს მასწავლებელი არ ასწორებს. ის თამამად წერს იმას, რაზეც ფიქრობს და მსჯელობს, რადგან იცის, რომ მისი ნაწერი არ შეფასდება. „საკუთარი თავისთვის წერა“ მნიშვნელოვანი ფაქტორია კრიტიკული აზროვნების განვითარებისთვის.

მეთოდის აღწერა. სთხოვეთ მოსწავლეებს რამდენიმე (3–5–10) წუთის განმავლობაში შეუსვენებლივ წერონ ყველაფერი, რაც კი აზრად მოუვათ; დანიშნული დროის გასვლის შემდეგ შეატყობინეთ, რომ დრო ამოიწურა; მიეცით დრო, რათა აზრი დაასრულონ; სთხოვეთ, რომ ნაწერი იმ პიროვნებას წააკითხონ/ჩააბარონ, ვისაც ენდობიან.

შედეგები. მოსწავლეებს შეუძლიათ: საკუთარი ნააზრევის ფურცელზე თავისუფლად გადატანა. სხარტად და სწრაფად აზრის წერილობით გადმოცემა. **გამოიყენება** ჰუმანიტარულ, ტექნიკურ, საბუნებისმეტყველო და სოციალურ საგნებში. ეს სტრატეგია მოიცავს გაკვეთილის პირველ და მესამე (გამოწვევა, რეფლექსია) ფაზას.

თავისუფალი წერის დროს მთავარია ბევრი ფიქრისა და კრიტიკის გარეშე მოსწავლეების წერის პროცესში ჩართვა. ასეთი მიდგომა მოსწავლეს წერისადმი პოზიტიურ დამოკიდებულებას უყალიბებს და საშუალებას აძლევს მოტივირებულად წეროს იმის შესახებ, რაზეც ფიქრობს. იგი განსხვავდება „იძულებითი აზროვნებისაგან“. თავისუფალი წერა, წერის სწავლების საუკეთესო საშუალებაა და წინ უსწრებს თემის დაწერას. იგი ეხმარება მასწავლებელს უკეთ გაიცნოს მოსწავლეები და დაადგინოს მათი ძლიერი და სუსტი მხარეები.

მეთოდის აღწერა. სთხოვეთ მოსწავლეებს რამდენიმე (3–5–10) წუთის განმავლობაში შეუსვენებლივ წერონ ყველაფერი, რაც კი აზრად მოუვათ;

მოსწავლეებს, რომლებიც კონცენტრაციას ვერ ახერხებენ, ავუხსნათ, რომ შეუძლიათ დაწერონ შემდეგი ფრაზებიც კი „ვერაფერს ვერ ვწერ, თავში არანაირი აზრი არ მომდის“, „ძალიან დაღლილი ვარ“, „რაზე ვწერო არ ვიცი“ და სხვა. დანიშნული დროის შემდეგ მსურველები კითხულობს ნაწერს.

სტრატეგიის გამოყენებით მოსწავლეებს უყალიბდება წერის კულტურა. მათ შეუძლიათ: საკუთარი ნააზრევის ფურცლებზე თავისუფლად გადატანა; სხარტად და სწრაფად აზრის წერილობით გადმოცემა.

გამოიყენება ჰუმანიტარულ, ტექნიკურ, საბუნებისმეტყველო და სოციალურ საგნებში. ეს სტრატეგია მოიცავს გაკვეთილის პირველ და მესამე (გამოწვევა, რეფლექსია) ფაზას.

სტრატეგია „საავტორო სკამი“ – გამოცხადდება თემა: მოსწავლეები დამოუკიდებლად წერენ ნაშრომს. კლასში გამოიყოფა გამორჩეული ადგილი ე.წ. „საავტორო სკამი“. თემას წაიკითხავს მსურველი. მსმენელები ფურცელზე დაწერენ რიგის მიხედვით (1,2 ,3..) იმ თემის სახელს, რომელიც მოეწონებათ, შემდეგ შედეგებს შეაჯამებენ. **გამოიყენება** გაკვეთილის პირველ და მესამე ფაზაზე. ინდივიდუალური მუშაობის დროს–მესამე ფაზაზე.

„ხუთსტრიქონიანი ლექსი“ (პაპავა, 2007:30) არის მეთოდი, რომლის საშუალებითაც მოსწავლეები შემოქმედებითი ფორმით გამოხატავენ საკუთარ ცოდნას და დამოკიდებულებას ამა თუ იმ საკითხის გარშემო. იგი ეფექტურად გამოიყენება სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფში. მეთოდი ხელს უწყობს მოსწავლეებს: საკითხის/თემის გაგება-გააზრებაში; საკუთარი განწყობა-დამოკიდებულების საინტერესო ფორმით გამოხატვაში; გრამატიკული ფორმების (არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ზმნა) დაუფლებასა და გამოყენებაში. **მუშაობის ფორმა:** ინდივიდუალური, წყვილები, მცირე ჯგუფები. **რესურსი:** ფურცელი, კალამი.

მსვლელობა: მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს თემას/ საკითხს, რომლის შესახებაც მათ უნდა შექმნან ხუთსტრიქონიანი ლექსი; ხუთსტრიქონიანი ლექსის შესაქმნელად მოსწავლეებმა სიტყვებით უნდა შეავსონ გრაფიკული სქემა (მასწავლებელს სქემა დაფაზე/დიდფორმატიან ქაღალდზე აქვს დაწერილი)

სქემის პირველ ხაზზე იწერება საკვანძო თემის/ საკითხის შესაბამისი სიტყვა (არსებითი სახელი);

მეორე ხაზზე იწერება ორი ზედსართავი სახელი, რომლებიც აღწერს საკვანძო სიტყვას (ზედსართავი სახელი);

მესამე ხაზზე იწერება სამი ზმნა, რომლებიც გამოხატავს საკვანძო ქვემდებარის მოქმედებებს (ზმნა);

მეოთხე ხაზზე იწერება ოთხსიტყვიანი ფრაზა, რომელიც გამოხატავს მოსწავლის ასოციაციას/დამოკიდებულებას/შეხედულებას საკვანძო საკითხის მიმართ;

მეხუთე ხაზზე იწერება საკვანძო თემის/საკითხის დედააზრი; ან პირველ ხაზზე დაწერილი სიტყვის სინონიმი (არსებითი სახელი);

მუშაობის დასრულების შემდეგ მსურველები კლასს წარუდგენენ თავიანთ ნამუშევრებს.

კუბის მეთოდი თემის სხვადასხვა კუთხით გაშუქების საშუალებას იძლევა. შერჩეული თემა მოსწავლეებისათვის კარგად ნაცნობი უნდა იყოს. მისი ძირითადი დანიშნულებაა–კითხვას, წერასა და აზროვნებას შორის კავშირის დამყარება. ეს მეთოდი მოსწავლეებს შემოქმედებით აზროვნებას უვითარებს და ეხმარება საკითხი მრავალი კუთხით განიხილონ.

მეთოდის აღწერა. აღნიშნული მეთოდის გამოყენებისას საჭიროა 15–20 სმ ზომის წახნაგებიანი კუბის ფორმის ყუთი. თითოეულ წახნაგზე მასწავლებელი წერს შემდეგ სიტყვებს: აღწერე, შეადარე, გაანალიზე, დაიცავი, საწინააღმდეგო გამოთქვი, შეაფასე. ვიდრე მასწავლებელი დაიწყებს კუბის მეთოდის გამოყენებას, ის წინასწარ ამზადებს მოსწავლეებს. აძლევს მათ თავისუფალ დროს (3-5 წთ), მასწავლებლის მიერ შემოტანილი თემისათვის. შემდეგ სთხოვს მოსწავლეებს, დაფიქრდნენ და აღწერონ იგი. ინსტრუქციის მოსმენის შემდეგ მოსწავლეები წერენ 3-5 წუთის განმავლობაში. იგივე პროცესი მეორდება კუბის ყველა გვერდზე დაწერილი ინსტრუქციის შესასრულებლად.

მასწავლებელი მოსწავლეებს გაშლილ ცხრილს გამოუკრავს და სთხოვს შემდეგი ინსტრუქტაჟის მიხედვით შეავსონ 2–5 წუთის განმავლობაში.

ინსტრუქციებს ასეთი სახე აქვს:

აღწერეთ: დაახასიათეთ საგანი, მოვლენა, პიროვნება ან სხვა (როგორია? ფერი. ფორმა, ზომა, სხვა მახასიათებლები);

შეადარეთ: რას გახსენებთ? რისგან განსხვავდება? რა თავისებურება ახასიათებს? დაუკავშირეთ, როგორც ნაცნობ, ისე უცნობ საგნებს, მოვლენებს, ადამიანებს და სხვა;

გაანალიზეთ: დაწერეთ 4–5 პოსტულატი, რაც მსჯელობის საშუალებას მოგცემთ—რამ გამოიწვია? რა ფაქტორებმა განაპირობა? რა შეცვალა ან რაზე მოახდინა ზემოქმედება (კაცობრიობის განვითარებაზე, ქვეყნის მომავალზე, მეცნიერებაზე და სხვა)? შეგიძლია გამოთქვა ვარაუდები;

დაიცავით: მოიყვანეთ დამცავი არგუმენტები, რატომ ფიქრობთ ასე? რა არგუმენტები გაქვთ საამისოდ?

საწინააღმდეგო გამოთქვი: გამოთქვით საწინააღმდეგო მოსაზრებები და მოიყვანეთ შესაბამისი არგუმენტები, დაასახელეთ მიზეზები;

შეაფასე: შეაჯამეთ თქვენი ნააზრებები და გამოიტანეთ დასკვნა.

დაწყებით კლასებში აღნიშნული სიტყვები შეცვალეთ კითხვებით—როგორია, რას ჰგავს? რატომ მოგწონს ან არ მოგწონს? და ა.შ. დავალების შესრულებისას მნიშვნელოვანია თანმიმდევრობის დაცვა. აუცილებელია საკითხი წერონ ინსტრუქციის მიხედვით. თითოეული უჯრა შეავსონ 5–7 წუთში. წერის დასრულების შემდეგ წაუკითხონ ნაშრომი ერთმანეთს. მისცენ რჩევები და ზუსტად განსაზღვრონ რა მოეწონათ? რა არა, შესაძლებელია ნაშრომი ჯგუფებშიც შეიქმნას.

ამ მეთოდის გამოყენებისას ბავშვებს უვითარდებათ წერის დამოუკიდებლად და შემოქმედებითად წერის უნარი. საკუთარი თავისადმი რწმენის განმტკიცება, სხვისი აზრის შეფასებისა და გაზიარების შიშის დაძლევის უნარი, გარკვეული თემის ირგვლივ მრავალფეროვანი მოსაზრებების ფორმირების უნარი.

გამოიყენება ნებისმიერ საგანში როგორც გამოწვევის, ისე რეფლექსიის ეტაპზე.

თემა_____

სახელი, გვარი_____

აღწერეთ	
შეადარეთ	
გაანალიზეთ	
დაიცავით	

საწინააღმდეგო გამოთქვით	
შეაფასეთ	

იმისათვის, რომ მოზარდებმა წერა ისწავლონ, აუცილებელია წერონ ისეთ თემებზე, რაც მათ აინტერესებთ და აღელვებთ. ასევე წერონ რეალური მკითხველისათვის.

წერის პროცესში სახელმძღვანელოში „წერისა და კითხვის მეთოდები“ ავტორები პ.პაპვა, ი. კიკვაძე სამ ეტაპს ითვალისწინებენ: წინასწარი მომზადება (რეპეტიცია), ვარიანტების შექმნა და გადასინჯვა. გამოსაცემად გამზადებული წერილობითი ნაშრომი კი დამატებით ორ ეტაპს მოიცავს–რედაქტირებასა და ბეჭდვას.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

რეპეტიცია არის ინფორმაციის შეგროვებისა და აზრების მოკრების ეტაპი. ამ დროს მეგობრების დახმარებით სასურველი თემებიდან ერთის შერჩევა და გარკვეულ საკითხზე არსებული ყველა შესაძლო ინფორმაციის, შეხედულებებისა და იდეების მოძიება ხდება. ამ ეტაპზე მოსწავლე თემის ირგვლივ საკუთარ მოსაზრებებს აყალიბებს, ინიშნავს და ახარისხებს მნიშვნელოვან ინფორმაციას. ინფორმაციის გრაფიკული ორგანიზებისათვის რეპეტიციის ეტაპზე გამოიყენება ასოციაციური კავშირები, T-სქემა, ვენის დიაგრამა. მეთოდის გამოყენება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ტიპის თემას ირჩევს „მწერალი“.

თემის შერჩევა: მოსწავლეებს ვთხოვთ შეარჩიონ რამდენიმე თემა, რომლის შესახებაც სიამოვნებით და დიდი ინტერესით დაწერენ. დავაწყვილოთ, მივცეთ მითითება როგორი სახის შეკითხვები უნდა დაუსვან ერთმანეთს, მაგ., რატომ შეარჩიე ეს თემა? რა ინფორმაციას ფლობ ამ თემის ირგვლივ? რამდენად აქტუალურია ეს თემა დღეს? და ა. შ. მეწყვილემ ეს კითხვები უნდა ჩაიწეროს, რადგან ისინი წერის პროცესის დაგეგმვაში და ნაშრომის დახვეწაში დაეხმარებათ; რვეულში ჩანიშნულ შეკითხვებს კიდევ ერთხელ გადახედონ და საბოლოოდ შეარჩიონ თემა, რომელიც მათი აზრით აქტუალურია, საინტერესოა და რომელზეც გარკვეულ ინფორმაციას ფლობენ.

ვარიანტის შექმნა. ეს ეტაპი პირველადი მონახაზის შექმნას ითვალისწინებს. ამ დროს ნუსხის სახით ან ასოციაციური რუკის მეშვეობით ჩამოიწერება ნააზრევო და მიმდინარეობს წერის პროცესის დაგეგმვა, იქმნება რამდენიმე ვარიანტი, რომელთა განხილვაც მეწყვილესთან ერთად ხდება.

ასოციაციური რუკის შექმნა. მოსწავლეს დრო განვუსაზღვროთ და ვთხოვოთ შერჩეული თემის ირგვლივ ინდივიდუალურად ასოციაციური რუკა შექმნას. ავუხსენათ, რომ ამისათვის საჭიროა ფურცლის შუაში დაწერონ შერჩეული თემა და მის გარშემო რგოლებში განათავსონ ყველა ის საკითხი, რაც თემას უკავშირდება და რაზეც სურთ ისაუბრონ საკუთარ ნაშრომში. შემდეგ ისრით დააკავშირონ ისე, რა თანმიმდევრობითაც აპირებენ განიხილონ მოცემული საკითხი. ბოლოს ასოციაციური რუკა კიდევ ერთხელ განიხილონ მეწყვილესთან ერთად და ერთმანეთს რჩევა მისცენ. ასევე მეწყვილის რჩევები რვეულში ჩაიწერონ, თუმცა შეუძლიათ ისინი ნაშრომის შექმნის პროცესში არც გაითვალისწინონ.

ასოციაციური კავშირების შედგენის შემდეგ იწყება **პირველადი ვარიანტის შექმნა**. ინდივიდუალური ნაშრომის შესასრულებად განვუსაზღვროთ დრო. ნაშრომის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს მივცეთ დრო ვარიანტების განსახილველად. განიხილონ მეწყვილესთან ერთად რჩევები. დახვეწონ ნაშრომი.

პირველადი ვარიანტის განხილვა. მოსწავლეებმა შეამოწმონ ერთმანეთის ნაშრომები წინასწარ მომზადებული შეკითხვებით. მივუთითოთ, შეფასებისას არ გამოიყენონ სიტყვები: არ ვარგა, არ მომწონს. უმჯობესია: ხომ არ ფიქრობ, რომ შენს ნაშრომში მწირი ინფორმაციაა მოწოდებული ამ საკითხის შესახებ? ხომ არ ღირს ამ ნაწილის ამოღება? ვფიქრობ შესავალი ბუნდოვანია. მე ასე გავაკეთებდი... ხომ არ ფიქრობ, რომ დასკვნაც ჭირდება თემას? ამის შემდეგ კიდევ ერთხელ გადახედონ ნაშრომს, გაითვალისწინონ რჩევები.

გადასინჯვა. ეს ეტაპი შექმნილი ვარიანტის დახვეწას გულისმობს. ამ დროს ყურადღება მახვილდება: ა) როგორ შეიძლება სათქმელის უკეთ გადმოცემა; ბ) რამდენად ნათლად არის წარმოდგენილი ნააზრევი. მას შემდეგ, რაც მოსწავლეებმა მეწყვილეებისაგან რჩევები და რეკომენდაციები მიიღეს, ნაშრომს საბოლოო სახეს აძლევენ.

მოსწავლეებს ვთხოვთ, ნაშრომი გადაწერონ და მასში რეკომენდაციების საფუძველზე ცვლილება–დამატებები შეიტანონ. ამ სამუშაოს შესასრულებლად დრო განვუსაზღვროთ.

რედაქტირება. ნაშრომის გამოცემის წინა ეტაპია. ამ ეტაპზე ხდება გრამატიკული, სტილისტური თუ კორექტურული შეცდომების აღმოჩენა და ჩასწორება.

1. წერის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვთ განმარტოვდნენ პირით კედლისკენ და ხმამაღლა წაიკითხონ ნაშრომი, მაგრამ ისე, რომ ერთმანეთს არ შეუშალონ ხელი.

2. განვუმარტოთ, რომ ხმამაღლა კითხვის დროს მოინიშნონ ის ადგილები, რომლებიც არ მოეწონათ, ან ცუდად ჟღერს.

3. კითხვის დასრულების შემდეგ სთხოვეთ თავიანთ ადგილებს დაუბრუნდნენ და მონიშნული ადგილები ჩაასწორონ.

4. ამის შემდეგ წყვილებში გაცვალონ ნაშრომები, წაიკითხონ და ერთმანეთს რეკომენდაციები მისცენ.

გამოცემა. წერის პროცესის ბოლო ეტაპია. ამ დროს ნაშრომი აუდიტორიის სამჯავროზე გადის. ამისათვის კლასში „საავტორო სავარძელი“ მოვამზადოთ, მოვრთოთ ყვავილებით, ლამაზი გადასაფარებლით და სხვა. მოვიწვიოთ მოსწავლეები, წავახალისოთ ისეთი მოსწავლეები, რომლებიც კარგი აკადემიური მოსწრებით არ გამოირჩევიან, მაგრამ მოკლე დროში გარკვეულ წარმატებას მიაღწია და ვთხოვთ საკუთარი ნაშრომი თანაკლასელებს ხმამაღლა წაუკითხოს. კითხვის დასრულების შემდეგ, ნაწერი კლასთან ერთად განვიხილოთ და მივცეთ მოსწავლეებს საშუალება „ავტორს“ შეკითხვები დაუსვან.

T დიაგრამა. T დიაგრამა სქემას წარმოადგენს, რომელიც მოსახერხებელია საპირისპირო მოსაზრებების გამოსათქმელად, მოვლენებისა და ფაქტების შესაპირისპირებლად და შესადარებლად, მოქმედ გმირთა დასახასიათებლად, ინფორმაციის დასახარისხებლად (დადებითი და უარყოფითი) და დასაჯგუფებლად. T დიაგრამა საშუალებას გვაძლევს წარმოვაჩინოთ დაპირისპირება განსახილველ საკითხებს (ფაქტებს, მოვლენებს, ადამიანებს, საგნებსა და ა. შ.) შორის. სამუშაო სრულდება ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფებში, მასწავლებლის შეხედულებისამებრ:

დაფაზე, რვეულში ან თაბახის ფურცელზე ივსება ჯერ მარცხენა მხარე (5 წუთი), შემდეგ-მარჯვენა(5 წუთი).

სტრატეგია - “როლი, აუდიტორია, ფორმატი, თემა” (რაფთ). ეს სტრატეგია მოსწავლეებს სხვადასხვა ფორმატის წერილობითი ნაშრომის შექმნაში ეხმარება. განსაკუთრებით ეფექტურია ფუნქციონალური სტილისტიკის საკითხებზე მუშაობისას საბაზო საფეხურზე, თუმცა გარკვეული ადაპტირებით V–VI კლასებშიც შეიძლება გამოვიყენოთ. მოსწავლეები სკოლაში სწავლობენ საინფორმაციო განცხადების, მისალოცი ბარათის, პირადი თუ ოფიციალური წერილის დაწერას. “რაფთ”-ი არის მეთოდი, რომელიც ეხმარება მოსწავლეს, უკეთ გააცნობიეროს საკუთარი როლი წერის პროცესში. ამ გზით ის უკეთესად აყალიბებს იდეებს და უფრო გასაგებად გადასცემს მათ მკითხველს. მოცემული მეთოდის გამოყენებით მასწავლებელი წახალისებს მოსწავლეებს, რომ წერონ შემოქმედებითად, სხვადასხვა პერსპექტივიდან შეხედონ საკითხს და წერონ განსხვავებული აუდიტორიისათვის.

დაფაზე წინასწარ ვერტიკალურად არის ჩამოწერილი:

როლი;

აუდიტორია;

ფორმატი;

თემა.

მოსწავლეები ირჩევენ თემას, მაგალითად: **როლი** – ვინ ხარ შენ, როგორც ტექსტის ავტორი? – ცნობილი მომღერალი, მინისტრი, ყვავილი.

აუდიტორია/მკითხველი – ვის სწერ? – მდინარეს, საკუთარ თავს, კომპანიას.

ფორმატი: რა ფორმატში აპირებ წერას? – დღიურის ჩანაწერის, საგაზეთო რეპორტაჟის, სასიყვარულო წერილის.

თემა: რის შესახებ წერ? რას ეხება შენი ნაწერი?

მოსწავლეებმა ამ ოთხი ელემენტის მიხედვით უნდა შექმნან წერილი ნამუშევრები. სასურველია, ჩამოთვლილი ოთხი ელემენტის აღწერა და პლაკატის სახით გამოიკრას საკლასო ოთახში.

ეს მეთოდი შეიძლება გამოვიყენოთ შესწავლილი მასალის რეფლექსიის ეტაპზე. მაგალითად, მეხუთე კლასში ვაჟა-ფშაველას „შვლის ნუკრის

ნაამბობის“ შესწავლის შემდეგ მოსწავლეებს შეიძლება შევთავაზოთ თემა „ტყე შეუნახე შვილებსა“(მაღლაკელიძე, 2013: 198). მოსწავლეებს ვთხოვთ შეარჩიონ ვის როლში ისურვებენ ყოფნას (მონადირე, ტყისმცველი, შველი, ირემი..); შეარჩიონ ადრესატი/აუდიტორია, ვისთვისაც უნდა შექმნან ტექსტები (გარემოს დაცვის სამინისტრო, მონადირეთა კავშირი, კონკრეტული პიროვნება, ტყის მკვიდრნი–მტაცებელი ცხოველები...); რა ფორმატის ტექსტით (განცხადება, მიმართვა, მოხსენებითი ბარათი, პირადი წერილი,...) მიმართავენ ადრესატს/აუდიტორიას; განვუსაზღვროთ დრო წერისათვის, მოსწავლეები თავისი შეხედულებით შეარჩევენ ტექსტის ფორმატს და იწყებენ წერას.

წერის დასრულების შემდეგ ისინი ნაწერს უკითხავენ ერთმანეთს. ნაწერის ანალიზისას მოსწავლეებს კონკრეტულ მაგალითებზე დაკვირვებით ვუჩვენოთ, რა ფორმით იწერება მსგავსი ფორმატის ტექსტები: მოხსენებითი ბარათი, პირადი წერილი... რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის, რა ნაწილებისაგან შედგება თითოეული მათგანი, როგორ იცვლება მათი ფორმა მიზნისა და ადრესატისაგან გამომდინარე.

სტრატეგია “პრიორიტეტის მინიჭება” – დაფაზე ჩამოიწერება ერთ პრობლემასთან დაკავშირებული რამდენიმე თემა. პრიორიტეტი მიენიჭება იმ თემის დაწერას რომელსაც მეტი მსურველი აღმოუჩნდება, ის იქნება მთელი კლასის სამუშაო.

სტრატეგია “მაგიდის გარშემო წერა” (კაპავა, 2007:43). ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარებას. მოსწავლეები მოკლე დროის განმავლობაში ერთობლივად ქმნიან წერილობით ნაშრომს. ამ სტრატეგიის დაუფლების შემდეგ მოსწავლეებს შეეძლება: აზრების თანმიმდევრულად და ლოგიკურად გადმოცემა და ჩაწერა; შეხედულებების ლაკონურად და სწრაფად ჩამოყალიბება; ნაშრომის შეფასება და თვითშეფასება; დროის ეფექტურად ორგანიზება.

მოსწავლეები დაჯგუფდებიან და მიეწოდებათ ერთნაირი ან განსხვავებული თემა. დრო განისაზღვრება ორი წუთით. დროის გასვლის შემდეგ მოსწავლემ თავისი ფურცელი მარჯვნივ მჯდომს უნდა გადასცეს, ხოლო ახალი ფურცელი მარცხნივ მჯდომისგან მიიღოს. შემდეგ უნდა მოხდეს მეგობრის ნამუშევარის წაკითხვა და ნააზრევი ლოგიკურად გააგრძელონ ან დაასრულონ. ასე გაგრძელდება მანამ, სანამ ჯგუ-

ფის ყველა წევრს საკუთარი ნაწერი არ დაუბრუნდება. (შეიძლება ფურცელი ორ წრეზე დატრიალდეს).

ფურცლის წრეზე მოძრაობის დასრულების შემდეგ ნაშრომები ჯგუფებში განიხილება, შეირჩევა ყველაზე საუკეთესო და წარედგინება კლასს. ამ დროს მოსწავლეები ერთდროულად ქმნიან წერილობით ტექსტს. ეს აქტივობა აჩვენებს მათ თანამშრომლობას, გუნდურობას, ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას, აზრების ლოგიკური თანმიმდევრობის დაცვას, საკუთარი ნააზრების ფურცელზე თავისუფლად გადატანას, თვითშეფასებას, შეხედულებების ლაკონურად გადმოცემას, დროის ეფექტურ განაწილებას.... შეიძლება გამოვიყენოთ გამოწვევისა და რეფლექსიის ეტაპზე.

სტრატეგია “ფანტაზიის განმავითარებელი წერა” (პაპავა, 2007:44) - ეხმარება მოსწავლეებს წერის დროს ფანტაზიის გააქტიურებაში, საკუთარი გამოცდილების ასახვაში, ემოციებისა და აზრების თანმიმდევრულად გადმოცემაში. ნებისმიერი თემის წერისას ხდება მოსწავლეებში წარმოსახვისა და ფანტაზიის უნარის განვითარება.

მოსწავლეებს ვთხოვთ ღრმად ჩაისუნთქონ, თავი მერხზე დადონ და თვალები დახუჭონ. ვრთავთ მუსიკას. ვაძლევთ მინიშნებებს, რომლებიც მოსწავლეებს დაეხმარებათ სხვადასხვა სურათის წარმოდგენაში. მოსწავლეები მინიშნებებსა და შეკითხვებს ხმამაღლა არ პასუხობენ, არამედ გონებაში წარმოიდგენენ (მაგალითად, უცხო კუნძულზე წასვლის შემთხვევაში თან რომელ წიგნს წაიღებდნენ. უნდა გაიხსენონ სამი ეპიზოდი, რომლის წაკითხვაც მოესურვებოდათ, წარმოიდგინონ თუ როგორია თავიანთ წარმოსახვაში უცხო კუნძული: აღწერონ ადგილი, სადაც განმართოვებით წაიკითხავენ თავიანთ წიგნს. რაში დაეხმარებოდათ წაღებული წიგნი). შემდეგ, ფურცელზე უნდა გადაიტანონ ფანტაზიაში წარმოსახული სურათები და ემოციები. წერისათვის განსაზღვრული დროა 15 წუთი. მსმენელები აცნობენ ერთმანეთს ნაწერებს. მასწავლებელი ჩაიბარებს ნამუშევრებს, გაეცნობა და თავის შეხედულებებს მომდევნო გაკვეთილზე გაუზიარებს მოსწავლეებს.

სტრატეგია “კამათის გამომწვევი ესეი” (პაპავა, 2007:45) ხელს უწყობს საკუთარი პოზიციის წერილობით ჩამოყალიბებას. აადვილებს წერით პროცესს. სტრატეგიის დაუფლების შემდეგ მოსწავლეებს შეეძლება

ლოგიკურად და თანმიმდევრულად წერა. წერილობითი არგუმენტირებული მსჯელობა, საკუთარი ნააზრევის ჩაწერა, წერითი ნაშრომის შეფასება და თვითშეფასება.

ამ სტრატეგიის გამოყენების დროს მოსწავლეები ახდენენ ისეთი საკითხის შერჩევას, რომელიც მათში გამოიწვევს ინტერესს და აზრთა სხვადასხვაობას. მოსწავლეები პირველ აბზაცში გამოხატავენ საკუთარ პოზიციას თემასთან დაკავშირებით. ნაწერი უნდა იწყებოდეს ტექსტიდან მოყვანილი ციტატით, ფაქტებით, მნიშვნელოვანი გამონათქვამებით და სხვა. წერის დროს ხდება სტრიქონების გამოტოვება, შესრულებისათვის განსაზღვრული დროა 10 წუთი. შემდეგ ხდება მოსწავლეების დაწყვილება და ერთმანეთისათვის ესეი-ს წაკითხვა. მსმენელის როლში მყოფი მოსწავლე მიანიშნებს არგუმენტებს, რომლებიც კიდევ უფრო ამყარებს ავტორის პოზიციას. მოსწავლეებს კიდევ 10 წუთი ეძლევათ არგუმენტების ჩასაწერად, რომელსაც მეწყვილეები ერთმანეთს უკითხავენ, თემის დასრულების შემდეგ ესეი-ს წაკითხვა ხდება შემდეგი თანმიმდევრობით: მოსწავლეები განიხილავენ საკუთარ პოზიციას; ერთმანეთს უზიარებენ არგუმენტებსა და დასკვნებს; კომენტარებით აფასებენ არგუმენტებისა და დასკვნების შესაბამისობას.

მოსწავლეები, 10 წუთის განმავლობაში კიდევ ერთხელ გადახედავენ ნაწერებს და ცვლილება - დამატებებს წერენ სტრიქონებს შორის. მსურველებს შეუძლიათ ნაწერის წაკითხვა.

დაუსრულებელი ისტორია ჯგუფური სამუშაოს ერთ-ერთი საინტერესო ფორმაა, რომელიც საუკეთესოა მოსწავლის ფანტაზიისა და შემოქმედებითი აზროვნების განსავითარებლად. იგი ჯგუფური სამუშაოსათვის დამახასიათებელი ყველა უნარ-ჩვევის გამოყენებას მოითხოვს.

ჯგუფები ყურადღებით ისმენენ მასწავლებლის მიერ შემოთავაზებულ ამბავის დასაწყისს, რომლის დასასრულებლად ეძლევათ 15 წუთი. ეს საკმაოდ რთული პროცესია, რომლის დროსაც ჯგუფის წევრები მსჯელობენ, აზროვნებენ, გამოთქვამენ და ასაბუთებენ საკუთარ აზრს და იზიარებენ ერთმანეთის მოსაზრებებს, თანხმდებიან და ერთად იგონებენ ამბის დასასრულს. შემდეგ წერილობით აყალიბებენ უკვე შეთანხმებულ დასასრულს. შესაძლებელია ნამუშევარი ილუსტრაციით გააფორმონ, რათა იგი პრეზენტაციისათვის უფრო საინტერესო გახდეს.

პირამიდული ისტორია (მაღლაკელიძე, 2013:196) ხელს უწყობს ყველა მოსწავლის (აკადმიურად ძლიერი და სუსტი) ჩართვას წერის პროცესში. მოსწავლეებს არ აქვს შიშის განცდა, რომ ისინი ვერ შეძლებენ თხზულების დაწერას. მოსწავლეები მწერლის როლში აღმოჩნდებიან: შექმნიან მცირე მოცულობის მოთხრობას, შემდეგ კი ერთობლივად შეავსებენ წინასწარ მოცემულ სქემას.

მოსწავლეები ამ სტრატეგიის გამოყენებისას სწავლობენ სიუჟეტის შედგენას; საკუთარი აზრის გადმოცემას; პრობლემების დანახვასა და გადაჭრის გზების დამოუკიდებლად ძიებას; სხვისი აზრის მოსმენასა და პატივისცემას.

„პირამიდული ისტორია“ სამი ეტაპისაგან შედგება:

პირველი ეტაპი–„პირამიდის“ ჯგუფურ შევსებაში მონაწილეობს მთელი კლასი.

მეორე ეტაპი – მოსწავლის ნააზრევს გამოხატვა ინდივიდუალურად;

მესამე ეტაპი–შედგენილი ტექსტის ერთობლივი განხილვა.

გაკვეთილის დაწყებამდე მასწავლებელს წინასწარ გამზადებული აქვს სქემა:

პირველ ხაზზე იწერება მოთხრობის მთავარი გმირის სახელი (კლასი ერთობლივად ღებულობს გადაწყვეტილებას);

მეორე ხაზზე იწერება ორი სიტყვა (ზედსართავი სახელი), რომელიც გამოხატავს მთავარი მოქმედი გმირის ხასიათს, გარეგნობას;

მესამე ხაზზე იწერება სამი სიტყვა (ზმნისზედა), რომლებიც გამოხატავს, სად ხდება მოქმედება (ქვეყანა, ადგილი, მოქმედების გარემო);

მეოთხე ხაზზე–ოთხი სიტყვა, რომლებიც აღწერს მოთხრობის მთავარ პრობლემას (სიღარიბე, შეხვედრა, იმედგაცრულება...);

მეხუთე ხაზზე –ხუთი სიტყვა, რომლებიც აღწერს მოთხრობის იმ ეპიზოდს, საიდანაც იწყება პრობლემის გაშლა–განვითარება;

მექვსე ხაზზე–ექვსი სიტყვა, რომლებიც ასახავს მოვლენების შემდგომ განვითარებას მოთხრობაში;

მეშვიდე ხაზზე—შვიდი სიტყვა, რომლებიც აღწერს ახალ მოვლენას, ამბავს, რომელიც სიუჟეტში წამოჭრილი პრობლემის მოგვარებას ემსახურება;

მერვე ხაზზე—რვა სიტყვა, რომლებიც გვიჩვენებს პრობლემის საბოლოო გადაჭრას.

მოსწავლეები ქმნიან პირამიდის საკუთარ ვარიანტებს. მათთან ერთად მასწავლებელი ირჩევს მოსწავლეთა ნამუშევრებიდან ერთ-ერთ ვარიანტს და გადააქვს დაფაზე (ან დიდი ფორმატის ქაღალდზე). პირამიდის შევსების შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვთ მისი გამოყენებით ინდივიდუალურად შეადგინონ მოთხრობის საკუთარი ვარიანტი. ამ სიტყვების გარდა მოსწავლეებს სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ გამოიყენონ სხვა სიტყვები, შეუძლიათ სიტყვებს შეუცვალონ გრამატიკული ფორმა, რიცხვი, ბრუნვა. თუმცა მათი გამოყენება აუცილებელია.

თხზულებას მოსწავლეები წერენ გაკვეთილზე და სამუშაოდ ეძლევათ 10–15 წუთი. მსურველები კლასის წინაშე კითხულობენ თავის ნაშრომს. ამ მეთოდის გამოყენება ეფექტურია ქართული ენის, უცხოური ენების გაკვეთილზე, სადაც გამოჩნდება მოსწავლის ლექსიკური მარაგი, შესწავლილი ცოდნა. მოსწავლეები სწავლობენ პრობლემის დასმას და მისი გადაჭრის გზების ძიებას, ახდენენ შესწავლილი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გადატანას. უვითარდებათ შემოქმედებითი აზროვნება. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ამ გზით ყველა მოსწავლე, ნებისმიერი შესაძლებლობის და ნებისმიერი აკადემიური მოსწრების მქონე, წერს მოთხრობას სხვისი დახმარების გარეშე, მოკლე დროში აგებენ ტექსტს დამოუკიდებლად. წერა მოსწავლეებისათვის საინტერესო საქმიანობად იქცევა.

მოსწავლის პირადი დღიური. დღიური წერის სწავლების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა პირველი კლასიდანვე. ზოგ ქვეყანაში მას წერის სწავლების წამყვან საშუალებადაც კი იყენებენ. დღიური კარგი საშუალებაა წერის შედარებით ფორმალიზებულ საფეხურზე (მაგალითად, წერის ხუთსაფეხურიან მოდელზე ან, თუნდაც, ესეების, თხზულებების წერაზე) გადასასვლელად.

ამ აქტივობის სისტემატური გამოყენებით მოსწავლე: იწაფება წერასა და კითხვაში; ითვისებს გრამატიკულ ნორმებს და იწაფება მართლწერაში; იძენს თავდაჯერებულობასა და გაბედულობას წერისას; ეძლევა თავისუფალი,

დამოუკიდებელი აზროვნებისა და რეფლექსიის საშუალება; უკეთ ხედავს და აცნობიერებს საკუთარი ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებს.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური

რესურსი: რვეული/ბლოკნოტი, კალამი.

მსვლელობა.

მოსწავლე დღიურისათვის საკუთარი გემოვნებით შეარჩევს რვეულს ან ბლოკნოტს; იგი დღიურში წერს იმაზე, რაც აინტერესებს და რაზეც სურს წერა. იშვიათ შემთხვევაში მასწავლებელი დიდი სიფრთხილით შესთავაზებს მას საწერ თემას;

მოსწავლეები დღიურში ჩანაწერს აკეთებენ ყოველდღიურად ან კვირაში რამდენჯერმე მანც. მნიშვნელოვანია არა ჩანაწერის მოცულობა, არამედ სისტემატურობა;

დღიურის წერის დასაწყებად საკმარისი არაა მხოლოდ ინსტრუქცია. მასწავლებელმა უნდა ჩაატაროს მოდელირება-უნდა გააკეთოს რამდენიმე ჩანაწერი და ხმამაღლა წაუკითხოს მოსწავლეებს. ასეთი მოდელირება პირველ კლასში ერთხელ კეთდება, მომდევნო კლასში კი -ნაკლები სიხშირით; მოსწავლეები თავიანთ ჩანაწერებს აფორმებენ ნახატებით, ორნამენტებით, სტიკერებით. ყველა ჩანაწერს უთითებენ თარიღს.

მასწავლებელი მსურველებს აძლევს საშუალებას, თავიანთი დღიურის ჩანაწერები წაუკითხონ კლასს ან რომელიმე მოსწავლეს (სურვილისამებრ); მასწავლებელი პერიოდულად აგროვებს დღიურებს და შიგ ჩაწერს ან ჩააკრავს განმავითარებელ, წამახალისებელ კომენტარებს. წერილობითი თუ ზეპირი უკუკავშირისას მასწავლებელი ყურადღებას მირითადად ამახვილებს ჩანაწერების შინაარსზე და არა წერის ტექნიკურ და ფორმალურ მხარეებზე. კომენტარები მხოლოდ განმავითარებელი, წამახალისებელი უნდა იყოს. დაუშვებელია ნიშნების ან სხვა სახის განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება. ჩასწორებების შემდეგ მოსწავლე ხელახლა კითხულობს თავის ნაწერს, რათა გაეცნოს მასწავლებლის შენიშვნებს, შესწორებებს და შემდგომში გაითვალისწინოს.

ვარიაცია- ლიტერატურული დღიური

ლიტერატურულ დღიურში მოსწავლეები წერენ რეფლექსიას, საკუთარ მოსაზრებებს ნაწერების თემის, იდეის, პერსონაჟის (მისი ქმედებების, გრძნობების) შესახებ.

მსვლელობა-მასწავლებელი დღიურში ჩასაწერად მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა თემას:

-რომელ პერსონაჟს შეხვდებოდით? რაზე დაელაპარაკებოდით?

-გაიხსენე, რას ვარაუდობდი, რას ფიქრობდი კითხვის პროცესში;

-გამოთქვი ვარაუდები წიგნის დასრულებამდე;

-განმარტე საკვანძო ლექსიკური ერთეულები;

-დაწერე, როგორ გადაჭრა მთავარმა პერსონაჟმა პრობლემა;

-დაწერე რეფლექსია და შეკითხვები კონკრეტული თემის გარშემო და სხვ.;

-დაწერე, რატომ ურჩევდი ამ წიგნის წაკითხვას სხვას;

- მოუყევი ამ წიგნის შესახებ შენი ოჯახის წევრებს და ჩაწერე მათი შთაბეჭდილებები.

მოსწავლეები ლიტერატურულ დღიურში წერენ გარკვეული პერიოდულობით (მაგ.: კვირაში ორჯერ, თემის შესწავლის პერიოდში).

სტრატეგია: აქტიური კითხვა-კორნელის მეთოდი (ტყემალაძე, 2008: 41). მასწავლებლის პირველი მოთხოვნაა, რომ მოსწავლემ გადახედოს დასამუშავებელ მასალას. საკუთარ თავს დაუსვას შემდეგი კითხვა: რა ვიცი მოცემული საკითხის შესახებ? შემდეგ კი ჩაინიშნოს ინფორმაცია, რაც ამ საკითხის შესახებ აქვს.

მასწავლებლის მეორე მოთხოვნაა, რომ მოსწავლემ წერილობით ჩამოაყალიბოს შესასრულებელი სამუშაოს მიზანი. გასცეს პასუხი შემდეგ კითხვებს: რატომ ვკითხულობ ამ ტექსტს? რისი სწავლისა და გაგების იმედი მაქვს ტექსტის წაკითხვის შემდეგ?

მასწავლებლის მესამე მოთხოვნაა, რომ ტექსტის კითხვისას მოსწავლემ დასვას შემდეგი კითხვები: რა? ვინ? სად? როდის? როგორ? რატომ? და ამ კითხვების საფუძველზე მოაზრებული ინფორმაცია ჩაინიშნოს.

მასწავლებლის მეოთხე და საბოლოო მოთხოვნაა, რომ მოსწავლემ ხელახლა წაიკითხოს თავისი შენიშვნები და კორნელის გრაფაში გაკეთებულ პირველად კომენტარებს დაურთოს მეორეული, უკვე ემოციური კომენტარები და შესწორებები და ამით შეავსოს კორნელის გრაფის მეორე ნაწილი.

ამ სტრატეგიის შესრულებას, როგორც წესი, მოსდევს მოსწავლეებს შორის აზრთა გაზიარება და ზოგადი საკლასო დისკუსია .

კორნელის გრაფა:

პირველადი კომენტარი მეორადი კომენტარი

--	--

(ფაქტობრივი) (ემოციური, კრიტიკული)

სტრატეგია: რა დამამახსოვრდება კლასის დატოვების შემდეგ (მაღლაკელიძე, 2013:198). მასწავლებელი გაკვეთილის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე ურიგებს მოსწავლეებს მცირე ზომის ფურცლებს და ავალებს მათ, რამდენიმე წინადადებით მწყობრად და მართლწერის ნორმების დაცვით, ჩამოაყალიბონ თავიანთი აზრი, გამოხმაურება იმის შესახებ, თუ რა ასწავლა და გააგებინა მათ ამ კონკრეტულმა გაკვეთილმა, წაკითხულმა ტექსტმა, ან ნანახმა ფილმმა, რა დამამახსოვრდათ მათ შემდეგ, როცა საკლასო ოთახს ტოვებენ. ეს სტრატეგია ასწავლის მოსწავლეებს თავისი პოზიციის, მოსაზრების მოკლედ და ნათლად ჩამოყალიბებას, გაკვეთილის შეჯამებას, რეფლექსიას.

ეს სტრატეგია ხელს უწყობს ინფორმაციის მიღებასა და გააზრებას, კრიტიკული აზროვნების განვითარებას და წერის მოტივაციის ზრდას. გამოიყენება ყველა საფეხურზე რეფლექსიის ფაზაში.

რეფლექსიის ფაზაში ტექსტის წაკითხვის, შესწავლის შემდეგ მასწავლებელი იყენებს **სტრატეგიას 3.2.1** (მაღლაკელიძე, 2013:198). მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დაწერონ 3 რამ, რაც დამამახსოვრდათ მიღებული ინფორმაციიდან, რამაც მიიქცია მათი ყურადღება, რაც მათთვის მნიშვნელოვანია. 2 რამ, რაც განსაკუთრებით მოეწონათ, რის შესახებ უფრო მეტის გაგება სურთ; 1 რამ, რაზეც ისაუბრებდნენ პარტნიორებთან. (მასწავლებელი ამ პირობებს ცვლის შესასწავლი მასალის მიზნიდან გამომდინარე). თუ ამ სტრატეგიას გამოვიყენებთ გაკვეთილის შეჯამებისათვის სასურველია, ის იყოს ანონიმური. მოსწავლეთა მოსაზრებები აუცილებლად ხმამაღლა წაკითხვით, თუ არადა, შესაძლებელია ისინი დაფის ერთ კუთხეში მივაკრათ, რომ შეგვეძლოს მათი წაკითხვა. მასწავლებელს გაკვეთილის ასეთი შეფასება ეხმარება მომდევნო გაკვეთილის უკეთ დაგეგმაში, უკეთ იგებს მის მიერ დაგეგმილი გაკვეთილის ძლიერ და სუსტ მხარეებს, მოსწავლეთა მიღწევებს.

ეს სტრატეგია ხელს უწყობს გაკვეთილზე მიღებული ცოდნის კონსტრუირებას, ახალი ცოდნის შექამებას და დახარისხებას, უვითარებს მოსწავლეებს კრიტიკულ აზროვნებასა და დამოუკიდებლად დასკვნების გამოტანის უნარს, უძლიერებს მოტივაციას. მისი გამოყენება შესაძლებელია სწავლების ყველა საფეხურზე.

წერის უნარის განვითარება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოსწავლეებს, გახდნენ უფრო დაკვირვებულები, ჩაუღრმავდნენ, ერთი მხრივ, საკუთარ თავს და მეორე მხრივ კი – გარესამყაროს. წერის პროცესში ჩართული მოსწავლეები გაცილებით მეტი ყურადღებით კითხულობენ სხვათა ნაწერებს, მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან წერის დროს თითოეული სიტყვისა თუ ფრაზის გამოყენებას, ცდილობენ თავიანთი ლექსიკური მარაგის შევსებას, ისმენენ და იზიარებენ ერთმანეთის რჩევებს, ეჩვევიან კრიტიკულ აზროვნებას.

ეს გახლავთ არასრული ჩამონათვალი იმ სტრატეგიებისა (როგორც უკვე ავლნიშნეთ ზოგიერთ სახელმძღვანელოში მათ მეთოდსაც უწოდებენ), რომლებმაც ფართო გასაქანი პოვეს ბოლო წლებში. ძირითადი, რაც მათ აერთიანებთ ის გახლავთ, რომ ისინი ორიენტირებული არიან სწავლა-სწავლების ერთიან პროცესზე და ხელს უწყობენ მოსწავლეთა შემეცნებითი აქტივიზაციას. თუ სად, როდის, რა ფორმით უნდა გამოიყენოს ისინი მასწავლებელმა. მზამზარეული რეცეპტი არ არსებობს – ყველა მეთოდი კარგია, თუ ისინი მიზნის მიღწევაში დაგვეხმარებიან. ეს მიზნები კი ესგ–სათითოეული საგნის საგნობრივ სტანდარტშია ჩამოყალიბებული (მაღლაკელიძე, 2013: 198).

ამრიგად, სწავლების მრავალგვარი სტრატეგიით დატვირთვა უზრუნველყოფს მრავალფეროვან და საინტერესო სასწავლო პროცესს, ამასთან, ამცირებს დისციპლინურ პრობლემებს, რადგან ზრდის სასწავლო პროცესში ჩართულობის ხარისხს და მეტ აქტიურობას, ინიციატივასა და ქმედითობას მოითხოვს მოსწავლისაგან.

კითხვები დამოუკიდებელი სამუშაოსათვის:

1. რა უნარ-ჩვევები ყალიბდება წერიტი მუშაობის დროს?
2. თქვენი აზრით, რა მნიშვნელობა აქვს თავისუფალი წერის მეთოდს?
3. შეარჩიეთ წერის ერთ-ერთი სტრატეგია და მისი გამოყენებით დაწერეთ მოთხრობა.
4. ტესტები იხილეთ - დავალებები პრაქტიკული მეცადინეობისათვის

თემა 10. დიდაქტიკური თამაში, პედაგოგიური სიტუაციები და ამოცანები

ლექციაზე განსახილველი ძირითადი საკითხები:

1. თამაში, მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარის განვითარების საშუალება;
2. როგორ შევქმნათ სასწავლო თამაში;
3. მასწავლებლის როლი თამაშის, როგორც სწავლების მეთოდის ეფექტურად გამოყენებაში;
4. პედაგოგიური სიტუაციები, როგორც სწავლების მეთოდები.

დიდაქტიკური თამაში, როგორც სწავლების მეთოდი. კარგი მასწავლებელი ყოველთვის ცდილობს ისე დაგეგმოს საგაკვეთილო პროცესი, რომ უზრუნველყოს მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, მისცეს თავისუფალი აზროვნების საშუალება და ამით მოამზადოს ახალგაზრდები მომავალში რეალური ცხოვრებისეული პრობლემების გადასაჭრელად. მოსწავლის აქტივობა სწავლების პროცესში იყო და არის დიდაქტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი. მასში მოიაზრება აქტივობის ისეთი ხარისხი, რომელსაც ახასიათებს მოტივაციის მაღალი დონე, მომთხოვნელობა და ცოდნის ათვისების უნარი, შედეგიანობა და შესატყვისობა სოციალურ ნორმებთან. ასეთი სახის აქტივობა ხშირად არ აღმოცენდება. ის შედეგია მიზანმიმართული მართვადი პედაგოგიური ზემოქმედებისა და პედაგოგიური გარემოს ორგანიზაციისა.

ნებისმიერი ტექნოლოგია ფლობს მოსწავლეთა აქტივობის საშუალებებს. ტექნოლოგიათა ასეთ ჯგუფს მიეკუთვნება თამაშის ტექნოლოგია.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ ყველა ცხოვრებისეული პრობლემა არაჩვეულებრივად იჭრება სასწავლო თამაშების დახმარებით. თამაშს, როგორც სწავლების მეთოდს, იყენებდნენ უძველესი დროიდან. თამაშმა, როგორც ადამიანური ცხოვრების საოცარმა მოვლენამ და როგორც სწავლების ერთ-ერთმა საშუალებამ მიიპყრო ყველა დროის გამოჩენილი მოღვაწეების ფილოსოფოსების თუ მკვლევარების ყურადღება. პლატონი თამაშს თვლიდა სასარგებლო საქმიანობად, არისტოტელე კი თამაშში ხედავდა

სულიერი წონასწორობის, ჰარმონიის წყაროს და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მას მოზარდის ინტელექტის განვითარებაში(ბასილაძე., 2005:56).

შუასაუკუნეებში თამაშისადმი დამოკიდებულება შეიცვალა, გახდა ნეგატიური, რამაც შეუძლებელი გახადა მისი თეორიული კვლევა. XIX საუკუნის დასაწყისში კი თამაშისადმი ინტერესი კვლავ გაიზარდა. გაჩნდა თამაშის პირველი მეცნიერული თეორია, რომელიც თამაშს განიხილავდა როგორც უნარების ფორმირების საშუალებას, რომლებიც აუცილებელია მოზარდის ფსიქოლოგიური და პიროვნული განვითარებისათვის. ასევე თამაშში ამ თეორიით განიხილებოდა როგორც ადამიანში პასუხისმგებლობის აღზრდისა და სწავლების საშუალება.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში თამაშის შესწავლისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა. მკვლევარებმა (უ. მაკდაუგოლ, გ. მერფი, ფ. ი. ბენტენდეი) წამოაყენეს თეზისი, რომ თამაში არის “სოციალური ინსტიქტი”, დამახასიათებელი ყველა ადამიანისათვის. დიდი პოპულარობით სარგებლობს დღემდე თეორია თამაშის, როგორც თვითგამოხატვის შესახებ (ჟ. პიაჟე და სხვა). მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ თამაში ალამაზებს ცხოვრებას (ფიშერი, 2006: 55).

ამ მოკლე ისტორიული მიმოხილვიდან ჩანს, რომ თამაშის განმავითარებელი სასწავლო შესაძლებლობების შესახებ დიდი ხანიაა ცნობილი. ბევრი გამოჩენილი პედაგოგი თამაშს სამართლიანად მიიჩნევს სწავლების ეფექტურ საშუალებად. კერძოდ, ა. მაკარენკო თვლიდა, რომ „კარგი თამაში” უზრუნველყოფს მაღალ ეფექტურ პედაგოგიურ საქმიანობას და ამასთან ხელს უწყობს პიროვნების ჰარმონიულ განვითარებას, რადგან ახდენს ადამიანზე ფიზიკურ, ემოციურ, ინტელექტუალურ და სულიერ ზემოქმედებას, ანიჭებს სიხარულს (ესთეტიკურ, შემოქმედებით სიხარულს), ამასთან ზრდის მონაწილეთა პასუხისმგებლობას. თამაშში სრულად და ზოგჯერ მოულოდნელად ვლინდება ბავშვის შესაძლებლობები. ის არის უნიკალური საშუალება მასწავლებელმა სასწავლო პროცესი გახადოს საინტერესო და მიმზიდველი და თან სასწავლო პროცესში ჩართოს აკადემიურად სუსტი მოსწავლეც. თამაში იძლევა საშუალებას მოსწავლემ გამოავლინოს არა მარტო თეორიული ცოდნა, არამედ გამჭრიახობა, საზრიანობა. ასევე ბავშვები ლახავენ მორცხვობის გრძნობას, თანასწორნი ხდებიან.

თამაში კონკრეტული სცენარის მიხედვით ხორციელდება და გულისხმობს როლების განაწილებას, გადაწყვეტილებების ერთობლივად მიღებას, კვლევების ჩატარებას და მიღებული შედეგების ანალიზს. თამაშში ჯგუფური მუშაობის ერთ-ერთი ფორმაა. ის ფართოდ გამოიყენება განათლების სფეროს ყველა საფეხურზე, ნებისმიერი ასაკის მოსწავლეებთან და სტუდენტებთან. მოსწავლეები/სტუდენტები ახდენენ დავალებათა სიმულაციას, ასრულებენ გარკვეულ როლს და ამ გზით იძენენ თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას. სასწავლო თამაშები, მათ შორის როლური თამაშები ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გააქტიურებას, შეძენილი ცოდნის მრავალმხრივ გააზრებას, განმტკიცებასა და შემოწმებას. შეიძლება გამოვყოთ თამაშის 2 სახეობა: ტრადიციული როლური თამაშები, რომლებიც მეთოდურ სახელმძღვანელოებს ეფუძნება და მოსწავლეების მიერ შემუშავებული თამაშები.

თამაშს, როგორც სწავლების მეთოდს, იყენებდნენ უძველესი დროიდან. ხალხურმა პედაგოგიკამ შემოგვინახა თამაშის ფართოდ გამოყენების საშუალებები. თამაშები სხვადასხვა სახისაა: თამაშები, სადაც შესაძლებელია კომპიუტერის გამოყენება (**სიმულაციური** თამაშები); **მულტიმედიური** თამაშები; ემპათიკური სავარჯიშოები, **მაძიებლური** თამაშები (ძირითადად იგულისხმება ინფორმაციის ინტერნეტით მოძიება). ერთი თამაში შეიძლება რამდენიმე კვირას გაგრძელდეს, თუმცა თითოეული თამაშის განსაკუთრებულობა განისაზღვრება მისი ორგანიზატორისა და მონაწილეების ფანტაზიის უნარით.

თამაშის ერთ-ერთი ძირითადი სტრუქტურული ელემენტი არის სიუჟეტი, ანუ დ. ელკონინის განმარტებით ჭეშმარიტების ის სფერო, რომელსაც ასახავენ თამაშში.

სიუჟეტურ-როლური თამაშები სწავლების აქტიური ფორმაა, როდესაც მოსწავლეები სინამდვილის შესასწავლ სფეროს ეცნობიან, იკვლევენ და ითვისებენ გასათამაშებელი როლის მომზადების და შესრულების პროცესში. ამ დროს მოსწავლე არა მარტო გონებრივად, არამედ ფიზიკურადაც აქტიური არის. საკითხის განხილვის დროს საშუალება ეძლევა გამოხატოს თავისი დამოკიდებულებები, ემოციები, რაც აადვილებს სწავლის პროცესს და მასალის ათვისებას. სწავლების აქტიური მეთოდების

გამოყენებით მოსწავლეები უფრო ადვილად სწავლობენ, ვიდრე მხოლოდ მასალის წაკითხვით, მოსმენით ან რაიმეზე დაკვირვებით.

სიუჟეტურ-როლური თამაში არის პატარა სპექტაკლი, თეატრალიზირებული წარმოდგენა. კერძოდ, ფსიქოლოგებსა და პედაგოგებს დაფიქსირებული აქვთ მოსწავლეთა განსაკუთრებული ინტერესი მხატვრული და ისტორიული შინაარსის თამაშებისადმი, რომლებიც მოითხოვენ ისტორიული მოვლენების შედარებით ზუსტ ასახვას იმპროვიზაციისა და ფანტაზიის ელემენტებით. მაგ., ისტორიულ თამაშებში იქმნება გარემოება, რომელიც არ ეწინააღმდეგება ცხოვრებისეულ სიტუაციას, ამასთან, გადაყავს მოსწავლე ისეთ მოვლენების სამყაროში, რომელიც გადასცდება ჩვეულებრივ წრეს და საშუალებას აძლევს გამოვიდეს შესწავლილი ისტორიული მოვლენების თანამედროვის ან მონაწილის როლში. როლის შესრულება კი პირადულად მნიშვნელოვანი რჩება მოსწავლეთათვის. ყველა მათი მოქმედება და განცდა განპირობებულია იმ როლით, რომელსაც ის თამაშში ასრულებს. მაგრამ გარდასახვის პროცესში ხდება საოცარი გარდაქმნები, როცა ის ასრულებს თავის ასაკზე უფროსი ადამიანის როლს, ვისაც მასზე მეტი ცხოვრებისეული გამოცდილება და ცოდნა აქვს, ის ძალაუბრურად აღმოჩნდება თავის ასაკზე მაღლა, ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ყოფაქცევაზე მაღლა.

როდის ვიყენებთ თამაშს? გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა საკითხის შესახებ არა მხოლოდ თეორიული ცოდნის შექმნა, არამედ რეალური ცხოვრებისეული გამოცდილების შექმნა, უნარ-ჩვევების გამომუშავება. მაგ., როლური თამაშები ეფექტურია იმ შემთხვევაში, როდესაც გვსურს მომავალ მასწავლებლებს გავაცნობიერებინოთ კომუნიკაციის მნიშვნელობა და ვასწავლოთ მოსწავლეებთან, მშობლებთან ურთიერთობა. როლური თამაში ეფექტურია სოციალური კომპეტენციების გასანვითარებლად, მაგ., გუნდური მუშაობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა და ა. შ. როლური თამაშები საფუძვლიან დაგეგმვას საჭიროებს, რათა კონკრეტული სამუშაოს შესრულების გზით ზუსტად მივიღოთ სასურველი შედეგი.

როლური თამაშებისათვის დავალება იმგვარად უნდა იყოს შედგენილი, რომ მოსწავლეები მხოლოდ პროცესით კი არ დაინტერესდნენ, არამედ შეიძინონ ახალი გამოცდილებაც. ხშირად მოსწავლეები თავიდანვე ვერ აცნობიერებენ როლური თამაშების აუცილებლობას და მნიშვნელობას.

თამაშის დასრულების შემდეგ მათთვის ნათელი უნდა იყოს, თუ რას ემსახურებოდა ის. როლური თამაშის დაწყებამდე მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა გააცნოს თემა და გააკეთოს მოკლე შესავალი. მაგ., „ეს თამაში შეეხება თანამშრომლობას; ის გაგრძელდება 20 წუთს, რის შემდეგაც განვიხილავთ და შევაჯამებთ შედეგებს; ჩვენ დაგვჭირდება მოსწავლეები და დამკვირვებლები; ვის სურს მონაწილეობა მიიღოს თამაშში და ვის სურს იყოს დამკვირვებელი?“ ამის შემდეგ იყოფა მოსწავლეები ჯგუფებად და ეძლევათ შესაბამისი დავალება.

მონაწილეთა ჯგუფებში განაწილების ხერხები: გამოვიყენოთ დაჯგუფების ხერხები (შემთხვევითი, სურვილის, დაჭრილი ბარათების, წინასწარ შედგენილი სიის მიხედვით და ა.შ.). მივცეთ ინსტრუქცია. ინსტრუქცია შეიძლება მივცეთ დაჯგუფებამდეც. ინსტრუქცია სასურველია იყოს წერილობითი, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი თამაშის მიზანი, შესრულების დრო, თამაშის განმავლობაში შესასრულებელი როლი, თამაშის წესი. ინსტრუქცია ნათლად, მარტივი, გასაგები ენით უნდა იყოს დაწერილი.

შემდეგ მოსწავლეები ასრულებენ როლებს ინსტრუქციის შესაბამისად. თამაში უზრუნველყოფს მოსწავლეების ჩართულობას და დადებითი ატმოსფეროს შენარჩუნებას. ჯგუფის პასიური მონაწილეები უნდა წავახალისოთ აქტიურად ჩაერთონ თამაშში. როლური თამაშის დასრულების შემდეგ ხდება განხილვა. მონაწილენი გამოთქვამენ მოსაზრებებს, რა შეიძინეს/ისწავლეს და გამოხატავენ ემოციებს, მათ დამოკიდებულებას როლისადმი. მოსაზრებები უნდა შეეხებოდეს შინაარსს, პროცესს და არა პიროვნებებს, მონაწილეებს, მათ თვისებებს. ბოლოს დამკვირვებლები აფასებენ თამაშს. ხდება შედეგების შეჯამება და ჯგუფის მუშაობის დაკავშირება თამაშის მიზნებთან. სასურველია ჯგუფი შედგებოდეს 6–8 წევრისაგან. ხოლო თუ რაოდენობა 8–10 წევრს აღემატება შესაძლებელია დაიშალოს მცირე ჯგუფებად (2–3 წევრი).

თამაშით სწავლების სქემა ზოგადად ასეთია: შესწავლილი საკითხის შინაარსის გათვალისწინებით დგება სცენარი და ნაწილდება როლები. თუ საკითხი, ზოგადად მაინც ნაცნობია შესაძლოა სცენარიც ერთობლივად დამუშავდეს. თამაშის დამთავრების შემდეგ ხდება მისი ერთობლივი განხილვა, სადაც ყველას ეძლევა საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება.

ფსიქოლოგი დ. უზანაძე თამაშს თვლის ბავშვის შინაგან ინტროგენურ ქცევად, რომელიც მისთვის არის დამახასიათებელი. კვლევებით დადასტურებულია, მოსწავლეთა განსაკუთრებული ინტერესი მხატვრული და ისტორიული შინაარსის თამაშებისადმი, რომლებიც მოითხოვენ ისტორიული მოვლენების შედარებით ზუსტ ასახვას იმპროვიზაციისა და ფანტაზიის ელემენტებით (ბასილაძე, 2011: 160). მაგალითად, ისტორიულ თამაშებში იქმნება გარემოება, რომელიც არ ეწინააღმდეგება ცხოვრებისეულ სიტუაციას, ამასთან გადაყავს მოსწავლე ისეთი მოვლენების სამყაროში, რომელიც გადასცდება ჩვეულებრივ წრეს და საშუალებას აძლევს გამოვიდეს შესწავლილი ისტორიული მოვლენების თანამედროვის ან მონაწილის როლში. როლის შესრულება კი პირადულად მნიშვნელოვანი რჩება მოსწავლეებისათვის. ყველა მათი მოქმედება და განცდა განპირობებულია იმ როლით, რომელსაც ის თამაშში ასრულებს. მაგრამ გარდასახვის პროცესში ხდება საოცარი გარდაქმნა, ე.ი. როცა ის ასრულებს თავის ასაკზე უფროსი ადამიანის როლს, ვისაც მასზე მეტი ცხოვრებისეული გამოცდილება და ცოდნა აქვს. ის ძალაუნებურად აღმოჩნდება თავის ასაკზე მაღლა, ჩვეულებრივ ყოველდღიურ ყოფაქცევაზე მაღლა.

თამაშები გამოიყენება ყველა საგნის სწავლებისას. სიუჟეტურ როლური თამაშების გამოყენება შეიძლება არა მარტო ლიტერატურასა და ისტორიაში, არამედ ქიმიაში, მათემატიკაში და სხვა.

მაგ., შესაძლებელია უმაღლესი საინჟინრო სკოლის მათემატიკის კურსში რამდენიმე კლასიკური ამოცანის ამოხსნა ჯგუფური მეთოდით. სამ უცნობიან წრფივ განტოლებათა სისტემის ამოხსნა კრამერის ფორმულით; ორი წრფივ ვექტორული ნამრავლის პოვნა;...

წარსულის სიმულაციურ რეკონსტრუქციასთან ერთად სახალისო და ნაყოფიერია ემფატიკური სავარჯიშოების შემოტანა წარსულში მცხოვრები ადამიანების ყოველდღიური ყოფის, წეს-ჩვეულებების აღწერისას, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს არამარტო გაიაზრონ, არამედ შეიგრძნონ მათი სურვილები, ოცნებები, მათი თვალთ დაინახონ სამყარო.

უცხო ენის შესწავლის დროს თამაშში ეს სხვა არაფერია, თუ არა სიტყვიერი სავარჯიშო, რომელშიც მობილიზებულია ყველა მოთამაშე. შემოდის ახალი ლექსიკური მასალა. მტკიცდება ძველი და ახალი სიტყვები, იქმნება ემოციურად კომფორტული გარემო, იზრდება ინტერესი

უცხო ენის შესწავლისადმი. მეორის მხრივ, ნებისმიერი თამაში არის დრამატული ნაწარმოები, სიუჟეტი, კონფლიქტებით და მოქმედი პირებით. თამაში რეალური ცხოვრების ანარეკლია. მაგ. იმპროვიზირებული რადიო ან ტელეგადაცემა მიძღვნილი განსაზღვრულ თემატიკაზე, მინი ვიქტორინები, მინი- კონკურსები, “ყველაზე ჭკვიანი” და ა. შ.

საგანში ბუნება, თემის „ეკოლოგია“ შესწავლისას მოსწავლეებს შეიძლება შევთავაზოთ მოამზადონ „სხდომა “დიდი რვიანი” ან „მწვანეთა მიტინგი“.

მოსწავლეთა ფანტაზიის გასავითარებლად ფართოდ გამოიყენება პედაგოგიკაში თამაში პლასტიკით. ჯგუფს ეძლევა დავალება: მოიფიქრონ ცნობილი ზღაპრის სიუჟეტი და არავერბალურად, სენსორულად აჩვენონ სხვა ჯგუფს. იმათ უნდა გამოიცნონ რომელი ზღაპრის გმირები იყო წარმოდგენილი.

ამრიგად, ეს მეთოდი უზრუნველყოფს მოსწავლეთა მაღალ აქტივობას, შემოქმედებითი საქმიანობისათვის საჭირო უნარების განვითარებას.

1. კვლევები აჩვენებს, რომ იმ კლასებში, სადაც მათემატიკის გაკვეთილზე გამოიყენებოდა თამაშის სიმულაციები მოსწავლეები ტესტებს უკეთესად წერენ, ვიდრე კლასებში, სადაც კომპიუტერი მხოლოდ სხვადასხვა უნარის გასავითარებლად გამოიყენება. დღეს ბევრი ტესტი პირველ რიგში ამოწმებს, შეუძლია თუ არა მოსწავლეს მიღებული ცოდნისა და უნარების ყოველდღიურ პრაქტიკაში გამოყენება-ყველა თამაში სწორედ ამას ემსახურება.

2. **სასწავლო პროცესი მოსწავლეებისათვის მეტად საინტერესო და შინაარსიანი ხდება.** თემატური აგებულების, სიუჟეტისა და გადანაწილებული როლების მეშვეობით, მოსწავლეები ხალისით ერთვებიან სასწავლო პროცესში და ასრულებენ დავალებებს. ამასთან მათი ინტერესი არ სუსტდება თამაშის დასრულებამდე. ისინი პასიურნი კი არ არიან, არამედ აქტიურად არიან ჩაბმული პროცესში.

3. **მოსწავლეებისათვის სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნა უკეთ აღსაქმელი ხდება.** თამაშის დროს ახალი უნარების განვითარება და ახალი ცოდნის მიღება ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არ ხდება. სასწავლო თამაში ყოველთვის მოიცავს სხვადასხვა საგნის ელემენტებს: მოსწავლეებს უწევთ კითხვის და წერის უნარების გამოყენება, დავალების შესრულების დროს მათ ესაჭიროებათ მათემატიკის, საზოგადოებრივი

და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ცოდნა. ხშირად მათ უწევთ ხატვა, მუსიკალური გაფორმება და ცეკვაც კი.

4. ვითარდება კითხვისა და წერის უნარები. თამაშის დროს მოსწავლეებს, როგორც წესი, უწევთ საკუთარი თავისათვის ან ჯგუფისათვის ხმამაღალი კითხვა, ამასთანავე, დღიურის წარმოებაც, რაც თავისთავად ამ საქმიანობისათვის აუცილებელი უნარების განვითარებას უწყობს ხელს. დღიური შეიძლება თამაშის ძირითადი ასპექტი ან ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილიც იყოს. მაგ., ინტერნეტ გვერდზე გამოქვეყნებულ დღიურში, სადაც ინგლისის სამეფო კარის მემატიანის, სემუელ პეპისის მიერ აღწერილია XVII საუკუნის მოვლენები. ეს ნაშრომი აუცილებლად მიიქცევს სხვადასხვა ქვეყნის უფროსკლასელთა ყურადღებას. ან კიდევ – როგორ შეიძლება თამაშით წერისა და კითხვის უნარების განვითარება. ბავშვებს ვთავაზობთ სახელწოდებას – თამარ მეფე და სამეფო კარი. ბავშვები ინაწილებენ როლებს, თავად უნდა მოიფიქრონ თითოეული პერსონალის ცხოვრების წესი, რომელიც სამეფო კარს შეესაბამება. ხდება მოქმედი პირების შერჩევა, წარიმართა მსჯელობა. ბოლოს მოსწავლეებს ვთხოვთ დაწერონ რა მოხდა, რა გადაწყვეტილებები უნდა მიიღონ და რით დამთავრდება ეს ყველაფერი. მოსწავლეთა ნაწერები პიესის შექმნის საფუძველი ხდება, რომლის საფუძველზე ნამდვილი სპექტაკლის გაკეთება შეიძლება კლასში.

5. მეტი ყურადღება ექცევა აზროვნების უნარის განვითარებას. ამ კუთხით სასწავლო თამაშებს ბევრი საერთო აქვს „დეტექტიურ მეთოდთან“, სადაც სასწავლო მასალა საიდუმლოს სახით არის წარმოდგენილი, რომელიც უნდა გაიშიფროს ან გაიხსნას თამაშში, რომელიც უძველეს ცივილიზაციებს ეხებოდა, ასევე იყო გამოყენებული „დეტექტიური მეთოდის“ ელემენტები-როდესაც ბავშვები ქმნიდნენ „მინიშნებებს“ მოსწავლეები ცდილობდნენ ეს ისე გაეკეთებინათ, რომ მეორე ჯგუფისათვის რთული ყოფილიყო ამოცნობა. ასეთ შემთხვევაში ბავშვებს უხდებათ სააზროვნო უნარების გამოყენება, რადგან ამ დროს „ისინი ფიქრობენ, აზროვნებენ, ანალიზებენ, მოპოვებული მასალების ინტერპრეტაციას ახდენენ. გამოაქვთ დასკვნა, როგორ შეიძლება ლოგიკური მიზნის მიღწევა. ამასთანავე თამაშები მოსწავლეებს ეხმარება ქმედებებსა და შედეგებს/მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარებაში.

მაგალითად, იმისათვის, რომ თამაშების დროს სწორი გადაწყვეტილება მიიღო, საჭიროა სხვადასხვა მოვლენასა თუ ცნებაზე მოსწავლეს/სტუდენტს ქონდეს წარმოდგენა. გადაწყვეტილებები, რომლებიც ყველაზე ხშირად ჯგუფურად მიიღება, ასე თუ ისე ყველა პერსონაჟის ცხოვრებას ცვლის. ეს ცვლილებები შეიძლება იყოს როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური. საუკეთესო შედეგების მიღწევის წადილი მოსწავლეს აიძულებს, სიტუაცია შეაფასონ, გაანალიზონ და განივითარონ აზროვნების უნარები. მაგალითად, თამაშის „თამარ მეფე და მისი სამეფო კარი“ მოსწავლეები ერთად იღებენ გადაწყვეტილებას, ერთად წერენ პიესას, რაც მათ დაეხმარებათ ჯგუფებში მუშაობის უნარების განვითარებაში.

როგორ შევქმნათ სასწავლო თამაშები. თამაშის შექმნა ნებისმიერ მასწავლებელს შეუძლია – ინდივიდუალურად ან კოლეგებთან ერთად. იმისდა მიუხედავად, ტრადიციული როლური თამაშების გამოყენებას აპირებთ თუ კომპიუტერის მეშვეობით გასურთ გაკვეთილების ჩატარება. ვახდენთ პროვოცირებას: „როგორ ქმნიდნენ ძველად ადამიანები ცივილიზაციას და რატომ არ ქმნის დღეს არავინ ახალ ცივილიზაციას?“ (ფიშერი, 2006). კლასში იქმნება პროექტის იდეა. კლასი იყოფა ორ ჯგუფად. თითოეულმა ჯგუფმა სახელი უნდა დაირქვას და „შექმნას“ ლეგენდა ახალი ცივილიზაციის შექმნის შესახებ. ამისათვის უპირველესად უნდა შეიმუშაონ სახელმწიფო მართვისა და ფულის სისტემა, შეარჩიონ რელიგია, პოლიტიკური გეზი, შექმნან ენა, მუსიკა და ხელოვნება. მოსახლეობის გართობისა და შრომის ორგანიზება. ეს არის საერთო, თუმცა თითოეულ ჯგუფს შეუძლია დაემატოს სხვა პუნქტები.

თითოეული ჯგუფი ცალ-ცალკე მუშაობს. ქმნის, იგონებს. ბოლოს ხდება პრეზენტაცია. პრეზენტაცია შეიძლება სკოლის ეზოში მოხდეს. თამაშის დროს მოსწავლეები თავად ქმნიან და ანხორციელებენ რეალობის იმიტაციას.

რა რეკომენდაციები უნდა გავითვალისწინოთ თამაშის შექმნის და დაგეგმვის დროს:

1. შეეკითხეთ თქვენს თავს: „რა უნდა ასწავლოს ამ თამაშმა ჩემს მოსწავლეებს?“ ეს შეკითხვა ეხმარება მასწავლებელს თემისა და თამაშის

სიუჟეტის განსაზღვრაში და მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმების შერჩევაში;

2. შეეცადეთ, თამაში ისე დაგეგმოთ, რომ მასში მონაწილეობის შემდეგ მოსწავლეებმა შეძლონ მიღწეულ შედეგებზე წერითი სამუშაოს შესრულება;

3. სცენარის შექმნისას გავითვალისწინოთ ყველა ასპექტი, რაც მოსწავლეებს ინტერესს გაუღვიძებს: ა) სახალისო პერსონაჟების რაოდენობა მოსწავლეთა რაოდენობას უნდა ემთხვეოდეს, რომ არც ერთი ბავშვი არ დარჩეს როლის გარეშე. წინასწარ მოვიფიქროთ პერსონაჟისთვის სახელი, პროფესია, ასაკი და ა. შ. ბ) დრო და ადგილი. რა პერიოდში (ეპოქაში) და სად ვითარდება მოვლენები? გ) სიუჟეტი. სცენარი ბავშვებისათვის საინტერესო უნდა იყოს. დ) საერთო პრობლემები. ჩამოვაცალიბოთ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც მონაწილეებმა უნდა გადაჭრას. ე) საზოგადო პრობლემები. სცენარში გათვალისწინებული უნდა იქნას ისეთი პრობლემა, სადაც მოსწავლეებს ინდივიდუალურად მოუხდებათ გადაწყვეტილებების მიღება. ვ) კვანძის გახსნა. იგი დამოკიდებულია მოსწავლეებზე.

4. გამომდინარე იქედან, თუ რა ცოდნა უნდა მისცეს თამაშმა მოსწავლეებს, და რა უნარები უნდა განუვითაროს მათ, შევიმუშაოთ შეფასების სისტემა. ეს საშუალებას მოგვცემს, ობიექტურად შევაფასოთ თითოეული მოსწავლის მიღწევა და ჩვენი მუშაობაც.

როლური თამაშების დადებითი მხარეები:

- ხელს უწყობს მონაწილეებს შორის ინფორმაციის გაცვლას, მოსწავლის ჩართულობას სწავლის პროცესში;
- ხელს უწყობს საკითხის ღრმა შესწავლას სხვადასხვა პერსპექტივიდან, სხვადასხვა მონაწილის ხედვიდან;
- როლური თამაშის დროს ხდება უნარ-ჩვევების განვითარება; დამოკიდებულების შეცვლა;
- რეალური სიტუაციის სიმულაცია, მონაწილეებს საშუალება აქვთ სხვების თანდასწრებით გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება;
- ხელს უწყობს შემოქმედებითობის განვითარებას; ზრდის მოტივაციას;
- სახალისოა;

- ხელს უწყობს მასალის საფუძვლიანად დამახსოვრებას. რადგან ამ დროს ხდება არა მხოლოდ ინფორმაციის გადამუშავება, არამედ ემოციური განცდაც;
- მონაწილეები შეცდომის დაშვებისას მკაცრ კრიტიკას არ იღებენ.

როლური თამაშების უარყოფითი მხარეები:

- ჯგუფის ყველა წევრი შეიძლება ვერ გრძნობდეს თავს კომფორტულად; ადამიანებს ზოგჯერ უჭირთ დავალების სიმულაცია, ემოციებისა და დამოკიდებულებების სხვების თანდასწრებით თავისუფლად გამოხატვა;
- როლური თამაშისას შესაძლებელია თამაშში მხოლოდ ნაწილი ჩაერთოს;
- როლურ თამაშს დიდი დრო სჭირდება, განსაკუთრებით შეჯამების ეტაპზე, რათა ყველა მონაწილემ გამოხატოს თავისი დამოკიდებულება;
- როლური თამაშის დროს განსხვავებული აზრები ჩნდება, ამან შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის წევრებს შორის ნეგატიური ურთიერთგანწყობა;
- შესაძლებელია ჯგუფის წევრებს გაუჭირდეთ როლიდან გამოსვლა;
- როლური თამაშები არ გამოდგება დიდი ჯგუფებისათვის სწავლების მეთოდად;
- რთულია ყველა წევრებზე დაკვირვება და შეფასება.

მასწავლებლის როლი. თამაშის მონაწილეებისათვის მასწავლებელი არაა ცოდნის წყარო. იგი მათი დამხმარე და ინსტრუქტორია. მთავარი მოქმედი პირები ღებულობენ გადაწყვეტილებას (მოსწავლეები, სტუდენტები), რომელზეც დამოკიდებულია თამაშის დასასრული. მასწავლებლის ძირითადი დანიშნულებაა, ისეთი თამაში შეიმუშაოს, რომელიც მოსწავლეების დონეს შეესაბამება და მოსწავლეში ინტერესს იწვევს. მასწავლებელი აკომპლექტებს ჯგუფებს. მოსწავლეები ცდილობენ ყველანაირი პრობლემა თავად გადაწყვიტონ. მაგრამ თუ გამოუვალ სიტუაციაში აღმოჩნდება, დასახმარებლად მასწავლებელს მიმართავენ. ამ დროს ისინი რწმუნდებიან, რომ ერთობლივი მუშაობა ყველაზე ხშირად ეხმარება სწორი გადაწყვეტილების მიღებაში. თამაშის დროს მასწავლებელი დამ-

კვირვებლის როლშია. თუ გვსურს მოსწავლეს დამკვირვებლის უნარი განუვითაროთ, ჯგუფიდან შევარჩიოთ დამკვირვებლები.

საერთოდ თამაში საკლასო ოთახში იმართება, თუმცა ტექნიკური შესაძლებლობები საშუალებას გვაძლევს ჩვეულ საზღვრებს გავცდეთ: 2 ჯგუფი შესაძლებელია იმყოფებოდეს სხვადასხვა კლასში და კონტაქტი ინტერნეტით ჰქონდეთ. ეს ურთიერთობის ახალი ფორმაა მათთვის.

თამაშის შემდეგ მონაწილეების აზრის გაგება თამაშთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია. შესაძლებელია კლასი რამდენიმე ჯგუფად დავყოთ და ვთხოვოთ მათ, გასცენ შემდეგ კითხვებს პასუხი.

1. რა იყო თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და რა ისწავლეთ ახალი ამ თამაშიდან? თქვენი აზრით, მნიშვნელოვანია თუ არა ის ცოდნა და უნარები, რომლებიც შეიძინეთ?

2. რისი გაგება გსურთ კიდევ ამ თემასთან დაკავშირებით?

3. თქვენ იცით, რომ თამაში და რეალური ცხოვრება ერთი და იგივე არ არის: ჩვენ „ვაგებთ“ მოვლენებს და ქმედებებს, რათა უკეთ გავერკვეთ ამა თუ იმ საკითხში. სასუველია ჯგუფებში განვიხილოთ შემდეგი შეკითხვა: რით განსხვავდება თამაში, რომელიც ახლახან დასრულდა, რეალური ცხოვრებისგან?

თითოეული ჯგუფი ირჩევს „მდივანს“ (რომელიც იწერს პასუხებს) და „მომხსენებელს“. განხილვას ეთმობა 20-30 წუთი, რის შემდეგაც მომხსენებელი აკეთებს ჯგუფის პრეზენტაციას. შეიძლება გაკეთდეს ერთი პლაკატი, რომელზეც ჩამოიწერება ყველა პასუხი. მოსწავლეებს შეიძლება შევთავაზოთ დაწერონ თავისუფალი თემა, რა გამოცდილება მიიღო თითოეულმა მათგანმა თამაშში მონაწილეობით ასევე შეიძლება შევთავაზოთ მოსწავლეებს ახალი თამაშის გეგმის მოფიქრება. ასე ჩვენ შევქმნით მოსწავლეების მეშვეობით თამაშების სცენარების მთელ ნუსხას. ეს დავალება შეიძლება იყოს ინდივიდუალური ან ჯგუფური მოსწავლეების შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

როლური თამაშები ხელს უწყობს: საკითხის ღრმა წვდომას; მის ემოციურ დონეზე გათავისებას (როლური თამაშით მოსწავლე ხდება სხვა ინდივიდი. უკეთესად წვდება იმ ადამიანის ხასიათსა და მოტივაციას, ვის როლსაც განასახიერებს); საკითხის ხანგრძლივი დროით დამახსოვრებას; ინფორმაციის შეფასებასა და ორგანიზებას; სასწავლო პროცესში მაქსიმალურ

რად ჩართვას და მოტივაციის ამაღლებას; მოსწავლის კომუნიკაციის დონის ამაღლებას; ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარებას; ემპათიის (თანაგანცდის) განვითარებას.

სასწავლო თამაშების შექმნასა და მოგონებაში დაგვიხმარება ვებ-გვერდები:

WWW.eyewitnesstohistory.com

www.fordham.edu/halsall/HSP-travelrs.html

<http://floggy.lbl.gov/virtual>

www.geocities.com/mrdglhs/cygnus/index/html

<http://memory.loc.gov/ammem/ndipedu/index/html>

www.spa3.k12.sc.us/WebQuests.gtml

<http://www.pbs.org/teachersource>

www.pepysdiary.com

პედაგოგიური სიტუაციები, როგორც სწავლების მეთოდები

სიტუაციური ამოცანა (შემთხვევის ანალიზი) ჯგუფური მუშაობის რთული ფორმაა. ამ დროს ჯგუფური მუშაობის წესი და სტრუქტურა იგივე რჩება, რთულდება მხოლოდ თემა, რომელიც ჯგუფს სიტუაციური ამოცანის სახით ეძლევა. ამოცანას მასწავლებელი თავის შეხედულებებისამებრ ირჩევს. თითოეული ჯგუფი აანალიზებს შემოთავაზებულ ამოცანას, ღებულობს გადაწყვეტილებას და აკეთებს დასკვნას, ხდება საკითხის საფუძვლიანად შესწავლა. ეს შეიძლება იყოს კონკრეტული შემთხვევა საგაკვეთილო ცხოვრებიდან, სასწავლო-სააღზრდელო პროცესიდან, მედიცინის სფეროში-კონკრეტული პაციენტის ავადმყოფობის ისტორიის განხილვა, პოლიტიკის მეცნიერებაში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული, მაგალითად საქართველო-რუსეთის კონფლიქტის ანალიზი და ა. შ.

პედაგოგიურ სიტუაციებს აქვს როგორც საგანმანათლებლო, ასევე აღმზრდელობითი დანიშნულება.

პედაგოგიური სიტუაცია ლექციის, ან გაკვეთილის პირველ ნაწილში ეფექტურია ცნობისმოყვარეობის, ინტერესის, მოტივაციის გასაღვიძებლად, პროვოცირებისათვის. სახელმძღვანელოში „სწავლება და შეფასება“ განხილულია პედაგოგიური სიტუაციის მაგალითი: ფიზიკის გაკვეთილზე მასწავლებელი იღებს ჯიბიდან ხურდა ფულს და აგდება მაღლა. ფული მიწაზე ეცემა. მოსწავლეები აკვირდებიან პედაგოგის ქმედებას. ამის შემ-

დეგ მასწავლებელი ინსტრუქციას აძლევს თითოეულ მოსწავლეს: „იფიქრეთ იმის შესახებ, რაც ახლა მოხდა თქვენ თვალწინ. ჩამოწერეთ თქვენი კომენტარები და გამოიცანით, რატომ დაეცა ჩემ მიერ ზევით აგებული ფული იატაკზე. ჩამოაყალიბეთ მოსაზრება, რომელიც ახსნის და დაასაბუთებს ამ მოვლენას. ამისათვის გეძლევათ 10 წუთი“. მეორე სიტუაცია: მეორდება პირველი სიტუაცია, ოღონდ მასწავლებელი, იმის გარდა, რომ მოსწავლეებს სთხოვს მოვლენის ახსნას და დასაბუთებას, გარკვეულ მოლოდინს უქმნის „რომელი თქვენგანიც უფრო მალე ჩამოაყალიბებს სწორ და დასაბუთებულ პასუხს, დაიმსახურებს უმაღლეს შეფასებას და გამოცხადდება დღევანდელი გაკვეთილის ლიდერად.“ პირველ შემთხვევაში მასწავლებელი ცნობისმოყვარეობას უღვიძებს და მათ აზროვნების, ფიქრის და აღმოჩენებისაკენ უბიძგებს. აღვიძებს შინაგან მოტივაციას. მეორე შემთხვევაში მასწავლებელი გარე ფაქტორების შემოტანით ცდილობს, მოსწავლეებში გაამძაფროს მიზნის მიღწევის სურვილი და მათი მოქმედებები აქეთ მიმართოს. ორივე შემთხვევაში ის იყენებს სიტუაციას და მოსწავლეთა მიერ ამ სიტუაციის ახსნას.

ი. ბასილაძე წიგნში „სწავლების მეთოდები, სტრატეგიები, პედაგოგიური ტექნოლოგიები და ცოდნის შემოწმება-შეფასების საკითხები“, გვთავაზობს რეკომენდაციას პედაგოგიური სიტუაციის სალექციო თემასთან დაკავშირების შესახებ. თემის „თანამედროვე სკოლის მასწავლებელი, მისი პროფესიული მომზადების სისტემა“ განხილვისას, ვიხილავთ რა მასწავლებლის სოციალურ-პროფესიულ თვისებებს, პედაგოგიურ ტაქტს, ავტორიტეტს, პედაგოგიურ ეთიკას, პედაგოგიური დაოსტატების საფუძვლებს, პედაგოგიური პროცესის მართვის სტილს, მის სახეებსა და საშუალებებს, ვთავაზობთ სტუდენტებს შემდეგ ამოცანას: IV კლასში საშინაო დავალების გასწორებისას მასწავლებელი შეწყუბდა მოსწავლის მიერ დაშვებული შეცდომების გამო. მოსწავლეს ეწერა: „ხოველები“, „ოცხლობს“ ცხოველებისა და ცოცხლობს ნაცვლად. შალვამ რვეულში დაინახა რა რომ ერთიანი უწერია, თავი ჩაქინდრა. მასწავლებელს სიბრალულიც არ უგრძვნია მისდამი. შალვას გამახება არ უყვარდა, თუმცა ზოგჯერ მაინც უხდებოდა ბიჭის დაფასთან გამოძახება. შალვა მასწავლებელთან ახლოს დგებოდა, თითქოსდა მის მარჯვენა მხარეს ეხებოდა, თითქოსდა მასწავლებლისათვის რაღაც საიდუმლოს თქმას აპირებდა, მაგრამ მასწავლებელმა იცოდა რა, რომ შალვა რაღაც

აბდაუბდას იტყოდა, ყმაწვილის ასეთი სიახლოვე არ სიამოვნებდა და ზიზ-
ლით გასწევდა გვერდზე; კლასი შალვას მის მიერ წარმოთქმულ შეუსაბამო
მოსაზრებებზე სიცილით იგუდებოდა, მასწავლებელიც მათ მხარს უჭერდა.
მისი სიცილისაგან შალვა სულ იკარგებოდა, დუმდებოდა და უაზროდ
აფახულებდა თვალეხს. მასწავლებელი მას კვლავ ორს უწერდა. ასე გადიოდა
დღეები, კვირები, თვეები. ერთხელ მასწავლებელმა დერეფნის ბოლოდან
ორი მოსწავლის ხმამაღალი სიცილი გაიგონა. ერთის ხმა ჰგავდა შალვას
ხმას. მასწავლებელი განცვიფრებული დარჩა. მას კლასში შალვა გაღიმებუ-
ლი არ უნახავს. როცა ის მომღიმარ ბიჭებს მიუახლოვდა შალვა მომენტალუ-
რად გაჩუმდა, თითქოს რეზინის ბურთი გადაეყლაპოს. მისი სახის გამო-
მეტყველება რადიკალურად შეიცვალა. შალვამ ჩანთას დაავლო ხელი და
მასწავლებელს გვერდი აუარა, მოსწავლეთა ტალღას შეუერთდა.

ამ სიტუაციის წაკითხვის შემდეგ აუდიტორიას ვუსვამთ შემდეგ კითხ-
ვებს:

1. ახსენით შალვას მოქმედება და რეაქცია;
2. სად არის მასწავლებლის პედაგოგიური ტაქტი?
3. რომელი ზოგადპედაგოგიური უნარ-ჩვევები მოეთხოვება მასწავლე-
ბელს?
4. რას გულისხმობთ მასწავლებლის პედაგოგიურ ოსტატობასა და პე-
დაგოგიურ ტექნიკაში?

თითოეული ჯგუფი აკეთებს დაფასთან პრეზენტაციას, მათ მიერ გა-
მოთქმული დებულებები იწერება დაფაზე, შემდეგ ხდება განაალიზება და
სტუდენტი თავად მიდის დასკვნამდე, როგორი უნდა იყოს მასწავლებელი.

ფსიქოლოგები ვ. ბორდოვსკაია, ა. რეანი (Бордовская, Реан, 2001) პედა-
გოგიური ამოცანების ასეთ კლასიფიკაციას იძლევა:

- პედაგოგიური დიაგნოსტიკის ამოცანები;
- მოსწავლეთა საქმიანობის დიაგნოსტიკის ხერხების შერჩევისა და
შინაარსის პროექტირების ამოცანები;
- მოსწავლეთა ზემოქმედების ხერხების და მეთოდების ამოცანები;
- სწავლისადმი დამოკიდებულების შეფასების ამოცანები;
- ინტერესის, ჩვევების განმტკიცების ამოცანები;
- მოსწავლეთა ქცევის თვითკონტროლის გაძლიერების ამოცანები;
- პედაგოგიური სტიმულირების ამოცანები;
- თვითაღზრდის ამოცანები და სხვა.

დავალბა დამოუკიდებელი მუშაობისათვის:

1. რამდენად ეფექტურია მოსწავლეებში პედაგოგიური სიტუაციის გათამაშება დამოუკიდებელი აზროვნების განვითარების საქმეში?
2. რამდენად დაეხმარება მოსწავლეებს პედაგოგიური სიტუაცია ამა თუ იმ პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებაში?
3. დაამუშავეთ პედაგოგიური სიტუაციები და წარმოადგინეთ წერილობით (იხილეთ დავალებები პრაქტიკული მეცადინეობისათვის, გვ.314).

თემა 11. სწავლების ორგანიზაციის ფორმები, გაკვეთილის სამფაზიანი მოდელი, ბლუმის ტაქსონომია გაკვეთილზე

ლექციაზე განსახილველი საკითხები:

1. გაკვეთილი-სწავლების ორგანიზაციის ძირითადი ფორმა;
2. გაკვეთილის სამფაზიანი მოდელი;
3. ბლუმის ტაქსონომია გაკვეთილზე.

გაკვეთილი-სწავლების ორგანიზაციის ძირითადი ფორმა

განათლებისა და სწავლების პროცესი წარმოუდგენელია მიმდინარეობდეს გარკვეული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მოწყობის გარეშე. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის წარმატება დამოკიდებულია არა მარტო გამოყენებულ მეთოდებზე, არამედ სწავლების ორგანიზაციის ფორმებზე. ბავშვისა და მოზარდის აღზრდის, სწავლების ორგანიზაციის ფორმა სასწავლო პროცესის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. იგი განისაზღვრება სწავლების მიზნებითა და ამოცანებით, მოსწავლეთა რაოდენობით, ცალკეული სასწავლო დისციპლინის დამახასიათებელი თავისებურებებით. სწავლების ორგანიზაციის ფორმის შერჩევა ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. თუ სწავლების მეთოდები პასუხობენ კითხვაზე „როგორ ვასწავლოთ?“, სწავლების ორგანიზაციის ფორმა განსაზღვრავს თუ როგორ უნდა იყო ორგანიზებული ეს მუშაობა.

სწავლა-აღზრდისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციის მრავალ ფორმას იცნობს. სწავლების ორგანიზების ფორმებია: გაკვეთილი, ექსკურსია, სემინარი, პრაქტიკუმი, კონსულტაცია და ა. შ. მეცნიერულ-პედაგოგიური თვალსაზრისით ყველაზე მიზანშეწონილს და სკოლის ხანგრძლივი პრაქტიკით გამართლებულს წარმოადგენს გაკვეთილი. ის სწავლების ორგანიზაციის უმთავრეს ფორმად ითვლება. პედაგოგიურ ლიტერატურაში გაკვეთილის ზუსტი და ერთგვაროვანი განმარტება არ გვხდება. პედაგოგიურ ლექსიკონში (1960წ) აღნიშნულია: გაკვეთილი სკოლაში სასწავლო მუშაობის ორგანიზაციის ფორმაა, რომლის დროსაც მასწავლებელი მეცადინეობას

ზუსტად დადგენილ დროის ჩარჩოებში ატარებს მოსწავლეთა მუდმივ შემადგენლობასთან–კლასებთან, მყარი ცხრილით, სასწავლო პროგრამების მოთხოვნებით განსაზღვრული დიდაქტიკური ამოცანების მიღწევისათვის იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს.

პედაგოგიურ ენციკლოპედიაში აღნიშნულია: „გაკვეთილი არის სკოლაში სწავლების ძირითადი ფორმა, გაკვეთილი წარმოადგენს სწავლების საკლასო-საგაკვეთილო სისტემის ერთეულს. გაკვეთილი ტარდება მოსწავლეთა მუდმივ შემადგენლობასთან მეცადინეობის მყარი ცხრილის მიხედვით და გამოირჩევა დიდაქტიკური მიზნების ერთიანობით. გაკვეთილისათვის დამახასიათებელია სწავლების კოლექტიური ფორმების უპირატესობა სხვა ინდივიდუალურ ფორმებთან შეხამებით“ (პედაგოგიური ენციკლოპედია, 1960).

რა არის გაკვეთილი მასწავლებლისათვის? წიგნში „გაკვეთილი-თეორია და პრაქტიკა“ (გიორგაძე, 1999) პროფესორი ო.გიორგაძე აღნიშნავს, რომ გაკვეთილი მასწავლებლისათვის არის ის, რაც ბგერები კომპოზიტორისათვის, რომელთა მეშვეობითაც იგი ქმნის მუსიკას; ფერები მხატვრისათვის, რომელთა გამოყენებით იგი ხატავს სურათს; როლი მსახიობისათვის, რომლის მიხედვითაც იგი მერწავს სახეს; სპექტაკლი რეჟისორისათვის, რომელშიც იგი ხორცს ასხამს თავის ჩანაფიქრს; ორკესტრი დირიჟორისათვის, რომელიც მთელ კოლექტივთან ერთობლივი მუშაობით აჟღერებს მუსიკას. რა კავშირი აქვს კომპოზიტორის, მხატვრის, მსახიობის, რეჟისორის, დირიჟორის საქმიანობას მასწავლებლის საქმიანობასთან? პირველ რიგში ის, რომ ყველა მათგანის საქმიანობა დაკავშირებულია ფანტაზიასთან, შემოქმედებასთან და თუ ბგერები, როლი, სპექტაკლი, ორკესტრი არის ხელოვანთა შემოქმედების საშუალება, მასწავლებლის შემოქმედების საშუალება არის კლასი, გაკვეთილი.

მასწავლებელი ერთდროულად კომპოზიტორიცაა, მხატვარიც, მსახიობიც, რეჟისორიც და დირიჟორიც, რომელიც სხვადასხვა მეთოდის, ხერხების, საშუალებების გამოყენებით ქმნის ცოდნის მუსიკას, ხატავს სამყაროს საოცარ სურათს, მერწავს მოსწავლის უნარ-ჩვევებს, ხორცს ასხამს ბავშვთა უკიდევანო ოცნებას და როგორც დირიჟორი, ხელმძღვანელობს ორკესტრს–კლასის მოსწავლეთა კოლექტივს და თანდათანობით მიჰყავს იგი სრულყოფამდე. ყველაფერი ეს კლასში, გაკვეთილზე ხდება

და ისე, როგორც კომპოზიტორს სჭირდება ბგერები, მხატვარს–ფერები, მსახიობს–როლი, რეჟისორს–პიესა, დირიჟორს–ორკესტრი, ასევე სჭირდება მასწავლებელს სასწავლო მასალის, სწავლების მეთოდებისა და ხერხების ცოდნა და პედაგოგიური ოსტატობა იმისათვის, რომ წარმართოს სწავლებისა და აღზრდის პროცესი გაკვეთილზე. დიახ, გაკვეთილია ის რთული სტრუქტურული ფორმა, რომლის მეშვეობითაც მასწავლებელი ხელმძღვანელობს რა კლასის მოსწავლეთა კოლექტივს მთლიანად და თითოეულ მოსწავლეს ცალკე, ახდენს აღზრდის, განათლებისა და სწავლების მიზნებისა და ამოცანების, ანუ თავისი მთავარი ფუნქციის რეალიზაციას.

აკადემიკოსი შალვა ამონაშვილი გაკვეთილის შესახებ წერს: „გამარჯობა გაკვეთილო! სად იბადები შენ, სად ცხოვრობ შენ, გაკვეთილო? საკლასო ოთახში? მაგრამ შენ არ შეგიძლია იცხოვრო მარტო, შენ ხომ არ შეგიძლია იარსებო უჩემოდ!

მე შენ გამოგიგონებ, გგეგმავ, გატარებ! აი, გამოდის, რომ შენ ცოცხლობ ჩემში! შენ არასოდეს არავინ არ მოგიგონებდა, რომ არ ყოფილიყო ბავშვები და ადამიანები იბადებოდნენ მოზრდილებად, ჭკვიანებად, რომლებსაც შეუძლიათ ლაპარაკი, კითხვა, წერა, ანგარიში.

შენ არ შეგიძლია იარსებო ბავშვების გარეშე, მოსწავლეების გარეშე და გამოდის, რომ შენ ცოცხლობ მოსწავლეებში! შენ ცოცხლობ ჩვენს საკლასო ოთახში, მაგრამ არა მაშინ, როცა ის ცარიელია, არამედ მხოლოდ მაშინ, როცა ჩემი მოსწავლეები გაავსებენ მას. ისინი უსხდებიან მერხებს, მე ვდგევარ დაფასთან – აი, შენც იბადები და იწყებ სიცოცხლეს. . . .

მე, მასწავლებელი, ქედს ვუხრი, გაკვეთილო, შენს დიდსულოვნებას, შენს გულს, ბავშვებზე სრულ ზრუნვას, შენს სულს, რომელიც მიმართულია მათი მომავლისაკენ. ქედს ვიხრი და მადლობას გიძღვნი, რომ შენ მეხმარები მე აღვზარდო სამშობლოს ღირსეული ადამიანები და ამასთან მანიჭებ მე ბედნიერებას ვიცხოვრო პედაგოგიური ცხოვრებით!

მე, აგიგებდი, შენ - გაკვეთილო, ყველაზე დიდებულ ძეგლს, ვარდისფერ მარმარილოდან”.

თუ შევაჯერებთ ზემოთ აღნიშნულს, შეიძლება დავასკვნათ - გაკვეთილი არის მასწავლებელთა და მოსწავლეთა ერთობლივი სასწავლო–საგანმა-

ნათლებლო და აღმზრდელიობითი, შემოქმედებითი პროცესი, სადაც ხორციელდება სასწავლო პრობლემების დასმა, გადაჭრის გზების ძიება, ეროვნული სასწავლო გეგმით დასახული შედეგების მიღწევა.

გაკვეთილი, როგორც სწავლების ორგანიზაციის ფორმა ემყარება სასწავლო მუშაობის მტკიცე ორგანიზებულობას, რეჟიმს; გაკვეთილი იძლევა დროის რაციონალურად გამოყენების საშუალებას; ხელს უწყობს მასწავლებლის მიერ მეცნიერებათა საფუძვლების თანმიმდევრულ და სტრუქტურირებულ გადაცემას და მოსწავლეთა მიერ გადაცემულის მტკიცე შეთვისებას, დაუფლებას; ახსნის პროცესში მოსწავლეთა აქტიურად ჩართულობას; შესაძლებელს ხდის მოსწავლეთა აკადემიური წარმატების დიფერენცირებულად, ინდივიდუალურად, სისტემატურად მათი შესაძლებლობების შესაბამისად შეფასებას. ი.ა. კომენსკი ითვლება საგაკვეთილო სისტემის ფუძემდებლად. მისი აზრით, გაკვეთილი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: კლასი მოსწავლეთა უცვლელი შემადგენლობით, წინასწარ განსაზღვრული მეცადინეობის დრო, მეცადინეობების თანმიმდევრული მონაცვლეობა, ყოველი საათის შემდეგ დასვენების ორგანიზება, მასწავლებლის მუშაობა ერთდროულად მთელ კლასთან.

გაკვეთილი პედაგოგიურ პრაქტიკასა და თეორიაში ერთბაშად არ წარმოშობილა და არც უბრალო გამომგონებლობის შედეგია. გაკვეთილს, როგორც სწავლება-სწავლის მტკიცედ ჩამოყალიბებულ ფორმას უფრო მცირე ხნის ისტორია აქვს, ვიდრე სკოლას. თუმცა საგაკვეთილო სისტემის განვითარება დღემდე გრძელდება და იხვეწება.

გაკვეთილის სამფაზიანი მოდელი. ნებისმიერი ტიპის გაკვეთილი სამი ნაწილისაგან, ფაზისაგან, ეტაპისაგან შედგება: შესავალი, ძირითადი და დასკვნითი ნაწილი. თანამედროვე ლიტერატურაში გაკვეთილის ფაზებს უწოდებენ: გამოწვევა (პროვოცირება), შინაარსის რეალიზება (სიღრმისეული წვდომა), რეფლექსია. პედაგოგი ყოველი გაკვეთილისათვის საგანგებოდ ემზადება, რაც მხოლოდ გამოსაკითხი და ასახსნელი მასალის დამუშავებას როდი გულისხმობს. პედაგოგმა თვალნათლივ უნდა წარმოიდგინოს მთელი სამფაზიანი გაკვეთილის მსვლელობარა თანმიმდევრობით ჩაატარებს ამა თუ იმ სამუშაოს და დროში როგორ გაანაწილებს მას.

როგორი უნდა იყოს გაკვეთილის გეგმა? რა უნდა გავითვალისწინოთ გაკვეთილის დაგეგმვის დროს? ის უნდა აღწერდეს კონკრეტულ გაკვეთილს დაწყების წუთიდან დასასრულამდე. სხვადასხვა ლიტერატურაში გაკვეთილის დაგეგმვის სხვადასხვა ნიმუშია წარმოდგენილი. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა ეს პროცესი თავად წარმართოს, საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების და არა თავს მოხვეული სტანდარტის მიხედვით.

დაგეგმვის დროს წარმატებული მასწავლებელი ფიქრობს, რა უნდა, ისწავლონ მოსწავლეებმა. მის სამაგიდო წიგნს სასწავლო გეგმა წარმოადგენს. სასწავლო გეგმაში მოცემული შედეგების გათვალისწინებით, მასწავლებელი აძლევს სასწავლო პროცესს მიმართულებას და მართავს მას. რას წარმოადგენს გაკვეთილის სასწავლო მიზანი? გაკვეთილის მიზანი გამომდინარეობს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული შედეგებიდან. სასწავლო მიზანში აისახება ის, თუ რას უნდა მიაღწიონ და რა ცოდნა და უნარ-ჩვევები უნდა შეიძინონ მოსწავლეებმა. რა გვსურს ვასწავლოთ და ისწავლონ მოსწავლეებმა. გარდა სასწავლო გეგმაში მოცემული შედეგებისა, მასწავლებელი სასწავლო მიზნებს შეიმუშავებს მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით. მიზანი არ ასახავს პროცესს, ის განსაზღვრავს მოსალოდნელ შედეგს. გაკვეთილის დაგეგმვის დროს მასწავლებლის პირველად ამოცანას წარმოადგენს რეალისტური მიზნების დასახვა, რომლის მიღწევა 45 წუთშია შესაძლებელი. გაკვეთილის მიზანი მისაღწევია და ის მომავალ დროშია მოცემული. მაგალითად, გაკვეთილის მიზანი შეიძლება ასე ჟღერდეს: მოსწავლეებს ეცოდინებათ, რა რიცხვში შეეთანხმება შემასმენელი მრავლობითში დასმულ ქვემდებარეს, შეეძლება გამოიცნონ არასწორი კონსტრუქციები და გაასწორონ შეცდომები.

გაკვეთილის მიზანი უნდა აკონკრეტებდეს, თუ რა ცოდნასა და უნარ-ჩვევას მიიღებს მოსწავლე. გაკვეთილის შეჯამება მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს გაკვეთილის მიზანს. ეს არ უნდა იყოს უბრალოდ აღწერა იმისა, მიაღწია თუ არა მასწავლებელმა მიზანს.

სასწავლო მასალები გაკვეთილის გეგმით გათვალისწინებულ აქტივობებს უნდა უკავშირდებოდეს. სწავლება განსაზღვრული მიზნის მისაღწევად უნდა იყოს ეფექტური. ეფექტურობა გულისხმობს უფრო მეტის მიღწევას ერთი და იმავე რესურსების გამოყენებით.

მოსწავლის აქტივობები, რომლებიც გაკვეთილის გეგმაშია გათვალისწინებული, ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს და ემსახურებოდეს გაკვეთილის მიზანს. აქტივობები იმისთვის არ უნდა იყოს დაგეგმილი, რომ მოსწავლეები, დავაკავოთ გაკვეთილზე.

გაკვეთილის გეგმაში უნდა გავითვალისწინოთ, როგორ დავიწყებთ გაკვეთილს, რომ მოსწავლეებს შეექმნათ სათანადო განწყობა. შეიძლება წინა მასალაზე დასვით კითხვები და იგი დაუკავშიროთ ახალ მასალას, ან მოკლედ უთხრათ მოსწავლეებს, რაზე ისაუბრებთ და დაუსვით ზოგადი კითხვები ამ საკითხთან დაკავშირებით. გაუჩინოთ მოსწავლეებს განწყობა, რომ ეს საკითხი მნიშვნელოვანია.

I ეტაპი. გაკვეთილი იწყება პროვოცირებით, რომლის დროსაც მასწავლებელი ცდილობს მობილიზება გაუკეთოს მოსწავლეთა ცოდნას კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. ამისათვის იყენებს შეკითხვებს კლასის მიმართულებით წარსამართავად. პროვოცირებისათვის ძალზე ეფექტურია სიტუაციური ამოცანის, დაუსრულებელი ისტორიის გაგრძელება, ილუსტრაციების ან ფილმის ჩვენება. ლექსის ან მუსიკალური ნაწარმოების მოსმენა.

II ეტაპი. სიღრმისეული წვდომა გულისხმობს მასალის შესწავლას, როდესაც შეიძლება მივმართოთ ლექციურ ჩართვას, საკლასო დისკუსიას, ღია და დახურულ შეკითხვებს, სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტებისა და დამატებითი ინფორმაციის გაცნობას, სქემებს.

III ეტაპი. რეფლექსია, ანუ გააზრება შემაჯამებელი ეტაპია, რომლის დროსაც ხდება მოსწავლის შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარება, პარალელების გავლენა, მოსაზრებების გამოთქმა და დასაბუთება, მსჯელობა, გადაწყვეტილების მიღება, შეჯამება.

სანამ დავიწყებთ გაკვეთილის გეგმაზე მუშაობას, სამი კითხვა დავუსვით საკუთარ თავს: 1. რას უნდა მიაღწიონ ჩვენმა მოსწავლეებმა? 2. როგორ უნდა მივაღწიოთ სასურველ შედეგს? 3. როგორ გავიგოთ მიღწეულია თუ არა სასურველი შედეგი?

ამის შემდეგ ვიწყებთ გეგმის შედგენას. დაგეგმვის პროცესში, ყოველ ეტაპზე, უნდა გამოვიყენოთ შემოთავაზებული შეკითხვები, რაც დაგვეხმარება თვალწინ წარმოვიდგინოთ მთელი გაკვეთილის მსვლელობა.

გაკვეთილის მიზანი განსაზღვრავს შედეგს - რას უნდა მიაღწიონ თქვენმა მოსწავლეებმა გაკვეთილის განმავლობაში.

- რა არის გაკვეთილის პერსპექტიული მიზნები?
- რა მიზნები გვაქვს კონკრეტულ გაკვეთილზე?
- რას ველით მოსწავლეებისაგან? რა ცოდნასა და უნარ-ჩვევებს შეიძენენ გაკვეთილის ბოლოს?

ამ ეტაპზე მასწავლებელმა უნდა ჩამოაყალიბოს, რას გააკეთებენ მისი მოსწავლეები გაკვეთილის მსვლელობისას.

- რა უნდა გააკეთონ მოსწავლეებმა გაკვეთილის განმავლობაში?
- რომელ ეტაპზე უნდა დამთავრდეს გარკვეული სამუშაო?
- რა კრიტერიუმი გამოიყენება მოსწავლეთა მიღწევების შესაფასებლად?
- როგორ მოხდება მიღებული ცოდნისა და შეძენილი უნარ-ჩვევების დემონსტრირება?

ამ ეტაპზე უნდა განისაზღვროს, მზად არიან თუ არა მოსწავლეები მომავალი აქტივობების ჩასატარებლად. რა ცოდნა უნდა ჰქონდეთ მოსწავლეებს ამ გაკვეთილამდე. რომელი საკითხები უნდა დაამუშაონ წინასწარ რომ დასახულ მიზნებს მიაღწიონ?

ამ ეტაპს ორი ფუნქცია აკისრია: მასწავლებლის მიერ უნდა განისაზღვროს მოსამზადებელი დრო და ის რესურსები, რაც მას სჭირდება გეგმის წარმატებით განსახორციელებლად – წიგნები, ციტატები, სამუშაო სქემები და სხვა თვალსაჩინოება.

- რა არის მნიშვნელოვანი ამ გაკვეთილში?
- რით შევძლებთ მოსწავლეთა დაინტერესებას?
- სწავლების რომელი დონეა გათვალისწინებული გაკვეთილზე ბლუმის ტაქსომიის მიხედვით: ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი, შეფასება

გაკვეთილის მსვლელობა: გეგმის ეს ნაწილი წარმოადგენს გაკვეთილის დეტალურ აღწერას. როგორ უნდა განვახორციელოთ გაკვეთილის მიზნები. როგორ უნდა იმუშაონ მოსწავლეებმა გაკვეთილზე. ეს პროცესი სამი ნაწილისაგან შედგება: შესავალი, მთავარი აქტივობა (ძირითადი ნაწილი) და დასკვნითი ნაწილი.

შესავალი: როგორ გავაცნობთ მოსწავლეებს გაკვეთილის იდეებსა და მიზნებს? როგორ მოვახერხებთ მოსწავლეთა პროვოცირებას? როგორ შევძლებთ მოსწავლეთა ყურადღების მობილიზებას და მოტივაციას? როგორ დაუკავშიროთ გაკვეთილის მიზნები მოსწავლეთა ინტერესებს? რას ელიან მოსწავლეები?

ძირითადი ნაწილი: რა არის გაკვეთილის მთავარი თემა? რას აკეთებს მასწავლებელი იმისათვის, რომ უფრო მარტივი და საინტერესო გახადოს გაკვეთილი? რა ხერხებს იყენებს? როგორ უნდა წარიმართოს პრეზენტაცია, რათა მოსწავლეებმა თვალნათლივ დაინახონ მიღებული ცოდნის საჭიროება? რეფლექსიის ფაზაზე მასწავლებელი გამოყოფს მნიშვნელოვან საკითხებს, აფასებს მოსწავლეს შეფასების კრიტერიუმებით, აძლევს საშინაო დავალებას შესაბამისი მითითებებით, მოსწავლეებს აძლევს დამოუკიდებელ სამუშაოს კლასში შესასრულებლად.

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები ბარათებზე დაწერენ რით იყო ეს გაკვეთილი საინტერესო? ან რა როლი შეასრულა ჯგუფური მუშაობის დროს თითოეულმა წევრმა, რით იყო საინტერესო სხვებთან მუშაობა? და ა.შ. ან შეიძლება გამოვიყენოთ მოსწავლეთა თვითშეფასების კითხვარი: ჩემი ჩვევების მონიტორინგი: 1. დაასახელეთ ერთი რამ, რაც თქვენმა გუნდის წევრებმა თქვენი დახმარებით გაიგო ან ისწავლა?

2. დაასახელეთ 1-2 უნარ-ჩვევა, რომელიც თქვენს გუნდში/წყვილში მუშაობის დროს შეგნებულად გამოიყენეთ. დაწერეთ, როგორ განახორციელეთ ეს?

3. ამჯერად რა ისწავლეთ ახალ გუნდში მუშაობისას? რა დაგანახათ გუნდის სხვა წევრების წვლილმა ისეთი, რაზეც ადრე არ დაფიქრებულხართ?

ეფექტურია გასასვლელი ბილეთების გამოყენებაც.

მასწავლებელს თავად შეაქვს ცვლილებები გეგმაში. მნიშვნელოვანია გაკვეთილის დაგეგვაში ასახული იყოს:

- ძირითადი თემა;
- მიზანი;
- შესავალი–მოსწავლეთა მომზადება განსახილველი თემისთვის;
- განსახილველი ინფორმაციის მოკლე შინაარსი;

– კონკრეტული სასწავლო მეთოდები და აქტივობები, მათი თანამიმდევრობის მითითებით;

– შეჯამება–გაკვეთილის განმავლობაში მიღებული ინფორმაციის ძირითადი პუნქტების შეჯამება;

– საჭირო რესურსი;

– შეფასება – მოსწავლეების მიერ გაკვეთილის განმავლობაში მიღებული ცოდნის შეფასების კონკრეტული მეთოდი;

– პრაქტიკული სავარჯიშოები–საკლასო და საშინაო დავალებები/სავარჯიშოები.

(გაკვეთილის გეგმის ნიმუშები იხ. დანართი 2)

დამხმარე სახელმძღვანელოში „სწავლება და შეფასება“, მოცემულია გაკვეთილის გეგმის შემდეგი სტრუქტურა (ტყემელაძე, 2008:64):

სასწავლო მიზნები: სასწავლო მიზნები გამოხატავენ იმას, რასაც სწავლის პროცესში უნდა მივაღწიოთ, ანუ რა ცოდნა და უნარ-ჩვევები უნდა შეიძინონ მოსწავლეებმა. შეგიძლიათ დაწეროთ, მე მინდა ჩემმა მოსწავლეებმა იცოდნენ, გაიგონ, აღწერონ, შეადარონ, შექმნან, გაანალიზონ, შეაფასონ, და ა.შ. მიზანი უნდა უკავშირდებოდეს სასწავლო გეგმის შედეგებს. იგი ქმნის საფუძველს, როგორც მოსწავლეების პროგრესის შემოწმებისათვის, ასევე მასწავლებლების თვითშეფასებისათვის. განსაზღვრავს მოსალოდნელ სასწავლო შედეგებს.

წინაპირობები: აღწერეთ რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება უნდა შეეძლოს მოსწავლეს, რომ გაკვეთილი იყოს წარმატებული. კვლევები ადასტურებენ, რომ დაახლოებით 70 პროცენტი იმისა, რასაც მოსწავლე სწავლობს, დამოკიდებულია შესაბამის წინა ცოდნასა და უნარზე.

გაკვეთილის მიმდინარეობა: როგორ იწყებთ გაკვეთილს, როგორია გაკვეთილის მიმდინარეობა. რა აქტივობები გაქვთ დაგეგმილი. აქტივობების შერჩევასა დაფიქრდით, როგორ უნდა მიაღწიოთ დასახულ მიზანს. მიზნის მისაღწევად რას გააკეთებთ თქვენ და რას გააკეთებენ მოსწავლეები? მიზნის მისაღწევად დაგჭირდებათ ერთი თუ რამდენიმე აქტივობის ჩატარება? როგორი იქნება აქტივობების თანამიმდევრობა? როგორ დაასრულებთ გაკვეთილს.

მოსწავლეების ორგანიზება: როგორ მოვახდინოთ მოსწავლეების ორგანიზება და როგორ მივუსადაგოთ სამუშაო მათ შესაძლებლობებს?

როგორ ვამუშავებთ მოსწავლეებს ინდივიდუალურად, წყვილებში, ჯგუფებში თუ მთელ კლასთან ერთად?

დროის განაწილება: როგორ გავანაწილოთ დრო გაკვეთილის სხვადასხვა მონაკვეთებზე? რომელ აქტივობას რამდენ წუთს დავუთმობთ?

რესურსები: რა მჭირდება ისეთი, რაც დამეხმარება სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარსამართად? რა ტიპის რესურსებს გამოვიყენებ? სახელმძღვანელოს, ჟურნალებს, სტატიებს, სამუშაო ფურცლებს, ტელეფონებს, ინტერნეტს და ა.შ.

დამატებითი აქტივობები: რა დამატებით აქტივობებს მიმართავთ, რომ მოსწავლეებმა განამტკიცონ თავიანთი ცოდნა. ეს შეიძლება იყოს საშინაო დავალება, ან მომდევნო გაკვეთილისთვის დაგეგმილი მცირეხნიანი აქტივობა ცოდნის გასამტკიცებლად. საშინაო დავალება უნდა გამომდინარეობდეს გაკვეთილის მიზნიდან, შეესაბამებოდეს მოსწავლეთა განვითარების დონეს, საშინაო დავალების მიცემის დროს მასწავლებელმა უნდა მისცეს რეკომენდაციები როგორ შეასრულონ დავალება მოსწავლეებმა და როგორ მოხდება დავალების შეფასება. დავალების მოცულობა ისე უნდა შეირჩეს, რომ მოსწავლეს დარჩეს თავისუფალი დრო.

შეფასება: როგორ უნდა შევამოწმოთ სასწავლო შედეგები? რა მოქმედებების შესრულება უნდა შეძლონ მოსწავლეებმა იმისთვის, რომ ვიცოდეთ, მივალწიეთ თუ არა მიზანს?

თვითშეფასება (გაკვეთილის დასრულების შემდეგ): რა იყო გაკვეთილზე კარგი, რისი გაუმჯობესებაა სასურველი. გააკეთეთ ანალიზი იმისა, თუ რა გასურდათ (მიზანი) და რას მიაღწიეთ (შეფასების შედეგები).

სატრენინგო მასალაში „სასწავლო პროცესის დაგეგმვა, მართვა, შეფასება“ (tpdc, 2007:11) მოცემულია რა უნდა გავითვალისწინოთ გაკვეთილის მიზნის დასახვისას?

მას შემდეგ რაც მასწავლებელი ამოირჩევს გაკვეთილის თემას, იგი აყალიბებს გაკვეთილის მიზანს. **სასწავლო მიზნები უნდა გამომდინარეობდეს:**

- ეროვნული სასწავლო გეგმის მისაღწევი შედეგებიდან. მაშასადამე, სასწავლო მიზნები გამოხატავენ, რა ცოდნა და უნარ-ჩვევები უნდა შეიძინონ მოსწავლეებმა სწავლის პროცესში;

- მოსწავლეთა საჭიროებიდან, მოთხოვნილებებიდან და ინტერესებიდან.

სასწავლო მიზანი სასწავლო პროცესის დაგეგმვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომელიც: განსაზღვრავს გაკვეთილის/სასწავლო აქტივობის შინაარსს; ქმნის საფუძველს მოსწავლეების პროგრესის შემოწმებისათვის; ქმნის საფუძველს მასწავლებლების თვითშეფასებისათვის; განსაზღვრავს მოსალოდნელ სასწავლო შედეგებს.

როგორ უნდა იყოს ჩამოყალიბებული მიზანი?

მიზანი უნდა იყოს ფორმულირებული კონკრეტულად, მარტივად და რეალისტურად. **რა ძირითადი ზმნები უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა მიზნის ფორმულირებისას?** გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები: გაიგებენ, ახსნიან, აღწერენ, შეადარებენ, შექმნიან, გაანალიზებენ, პრობლემას გადაჭრიან, შეაფასებენ, გამოიკვლევენ და ა.შ.

მაშასადამე, მიზანი უნდა პასუხობდეს შემდეგ პრინციპებს:

1. უნდა იყოს მოსწავლეზე ორიენტირებული (ხაზგასმული უნდა იყოს, რას ველით მოსწავლისაგან);
2. აღწერდეს შესაბამის სასწავლო შედეგს (განვითარების მხრივ შესაბამისსა და შესაბამისს თანმიმდევრობით, ასევე უფრო კომლექსურ მიზნებს, რომლებიც მოჰყვება აუცილებელ მიზნებს);
3. იყოს ნათელი და გასაგები (არც ძალიან ზოგადი და არც ძალიან სპეციფიკური);
4. უნდა იყოს გაზომვადი, მიღწევადი და შეფასებადი, ანუ უნდა შეიძლებოდეს დაკვირვება და გაზომვა (თავი აარიდეთ ისეთ შედეგებს, რომელთაც ვერ აღიქვამთ, როგორც შეფასებასა და გასაგებს).

აქტივობები და მეთოდები

ხშირად მასწავლებლებს უჭირთ გაარჩიონ ერთმანეთისაგან აქტივობა და მეთოდი. **აქტივობას** დაესმის კითხვა **რას ვაკეთებ?** მაგ., მასწავლებელი კლასთან ერთად შეიმუშავებს ჯგუფური მუშაობის წესებს - არის აქტივობა

თუ ისმება კითხვა **როგორ ვაკეთებ?** ე.ი. რა დიდაქტიკური ხერხით ვახორციელებ ამ აქტივობას, **ეს არის მეთოდი**. მაგ. მასწავლებელი ჯგუფური მუშაობის წესებს შეიმუშავებს „აპოლო ტექნიკით“. აპოლო ტექნიკა არის მეთოდი.

აქტივობების შერჩევისას პასუხი გაეცით შემდეგ კითხვებს:

- თქვენს მიერ ამორჩეული აქტივობები დაგეხმარებათ თუ არა დასახული მიზნის მიღწევაში?
- მიზნის მისაღწევად რას გააკეთებთ თქვენ (მასწავლებლის აქტივობა) და რას გააკეთებენ მოსწავლეები (მოსწავლის აქტივობა)?
- რამდენი აქტივობა მიგიყვანთ მიზნამდე?
- როგორი იქნება აქტივობების თანმიმდევრობა?
- შეესაბამება თუ არა თქვენს მიერ შერჩეული აქტივობა მოსწავლეების ცოდნასა და უნარებს, მათ შესაძლებლობებსა და გამოცდილებას (შესაძლოა, სახელმძღვანელოში მოცემული სასწავლო აქტივობა არ შეესაბამებოდეს თქვენი კლასის ყველა მოსწავლის შესაძლებლობებს და მოითხოვდეს ადაპტირებას).

სასწავლო მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს: მისი შესაბამისობა აქტივობასთან; კლასის ორგანიზების ფორმასთან; ტექნიკურად მისი განხორციელების შესაძლებლობა.

თითოეული აქტივობისა და გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები. როდესაც მასწავლებელი მიზნის მისაღწევად ირჩევს შესაბამის აქტივობებსა და მეთოდებს, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, თითოეული ამ აქტივობისა და მეთოდის გამოყენება მოსწავლეებში რა უნარების განვითარებას უწყობს ხელს, ე.ი. თითოეულ აქტივობას რა შედეგზე გაყავს მოსწავლეები. ყოველი აქტივობის ბოლოს მიღწეულ შედეგებს მოსწავლეები უნდა მიყავდეს გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგებამდე; საიდანაც, თავის მხრივ, უნდა გამომდინარეობდეს გაკვეთილის მიზანი.

მოსწავლეების ორგანიზება. დაგეგმვისას გასათვალისწინებელია, როგორ მოვახდინოთ მოსწავლეების ორგანიზება და როგორ მივუსადაგოთ სამუშაო მათ შესაძლებლობებს?

როგორ ვამუშავებთ მოსწავლეებს ინდივიდუალურად, წყვილებში, ჯგუფებში, თუ მთელ კლასთან ერთად?

რესურსები. სასწავლო რესურსების სწორად შერჩევა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარსამართავად.

გასათვალისწინებელია, რა ტიპის რესურსებს გამოვიყენებთ (სახელმძღვანელოს, ჟურნალებს, სტატიებს, სამუშაო ფურცლებს, ტელეფილმებს, ინტერნეტს და ა.შ).

შეფასება. იმისათვის, რომ მასწავლებელმა განსაზღვროს გავიდა თუ არა სასურველ შედეგზე, აუცილებელია მან შეამოწმოს სასწავლო შედეგები. გაკვეთილის გეგმაში ასახული უნდა იყოს შეფასების რა ტიპებისა და მეთოდების გამოყენებას აპირებს პედაგოგი კონკრეტულ გაკვეთილზე.

თვითშეფასება. ყოველი გაკვეთილის გეგმას უნდა ახლდეს მასწავლებლის თვითშეფასების ცხრილი. ყოველი გაკვეთილის ბოლოს, როდესაც მასწავლებელი ჩატარებული გაკვეთილის რეფლექსიას აკეთებს, უნდა განალიზოს გაკვეთილის ძლიერი და სუსტი მხარე. შეფასების შედეგებისა და თვითშეფასების გათვალისწინებით მასწავლებელს შესაძლებლობა ეძლევა შეიტანოს გარკვეული ცვლილებები და დამატებები გაკვეთილის გეგმაში. ასეთი შემოქმედებითი მიდგომა სასწავლო პროცესისადმი ეხმარება პედაგოგს მუდმივად დახვეწოს თავისი პედაგოგიური პრაქტიკა და ჩამოყალიბდეს ე.წ. მკვლევარ-მასწავლებლად.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გაკვეთილის შემომქმედი თავად მასწავლებელია. აუცილებელია მიზანი, აქტივობები, შეფასების კრიტერიუმები ემსახურებოდეს შედეგების მიღწევას. გაკვეთილზე მასწავლებელმა მოსწავლეებს არჩევანის საშუალება უნდა მისცეს, ისინი დავალებას ასრულებენ ხალისით. არჩევანის საშუალება მოსწავლეებს საკუთარ ძალებში რწმენას მატებს, ეხმარება მათ თავიანთი შესაძლებლობების შეფასებაში, ზრდის პასუხისმგებლობის გრძნობას. არჩევანი განაპირობებს მოტივაციას, პასუხისმგებლობას და სწავლის სურვილს. თავისუფალი პიროვნების აღზრდა გამორიცხებულია არჩევანის შესაძლებლობის გარეშე. როდესაც მოსწავლე აკეთებს არჩევანს, ის ამით უკვე პასუხისმგებელია თავის მოქმედებაზე.

მნიშვნელოვანია, აქტივობების შესასრულებლად დადგინდეს დროის ლიმიტი. არის შემთხვევები, როდესაც მოსწავლეები მეტ დროს საჭიროებენ დავალების შესასრულებლად. მასწავლებელს შეუძლია, გაზარდოს დრო, თუმცა, სასურველია, მოსწავლეებს ვასწავლოთ რეგლამენტის დაცვა.

გაკვეთილის დაგეგმვისას მასწავლებელი ფიქრობს მოსწავლეების პროგრესის მონიტორინგზე. მასწავლებელმა იცის, რომ მონიტორინგი საშუალებას მისცემს, დროულად გაიგოს, სწორად ესმით თუ არა მოსწავლეებს აქტივობის არსი, აღწევენ თუ არა შესაბამის შედეგებს და ხომ არ არის საჭირო აქტივობაში რამე ცვლილების შეტანა. მაგალითად, მასწავლებელს შეუძლია, მივიდეს მოსწავლესთან და გადაამოწმოს, გასა-

გებია თუ არა მისთვის დავალება. შესაძლებელია, მასწავლებელს გაკვეთილის მიზნის მისაღწევად ორი ან რამდენიმე აქტივობა ჰქონდეს დაგეგმილი. ასეთ შემთხვევაში პირველი აქტივობის დასრულების შემდეგ მასწავლებელი იკვლევს აქტივობის ეფექტიანობას და მხოლოდ ამის შემდეგ გადადის მომდევნო აქტივობაზე. აუცილებელია, მასწავლებელმა გაითვალისწინოს კომენტარების გაკეთების აუცილებლობა მოსწავლეების მიერ შესრულებულ სამუშაოებზე. მას შეუძლია, გააკეთოს კომენტარები მთელი კლასისთვის, ან შეიძლება მოსწავლეებს ინდივიდუალურად მისცეს მითითებები, მომავალი სამუშაოების გასაუმჯობესებლად. ჩატარებული გამოკვლევები ადასტურებენ, რომ პოზიტიური კომენტარები და წახალისება დადებით გავლენას ახდენს მოსწავლის სწავლაზე. პოზიტიური კომენტარები ამაღებს მოსწავლის თვითშეფასებას და რწმენას საკუთარ შესაძლებლობებზე. გაკვეთილის დაგეგმვის დროს მასწავლებელი დეტალურად განიხილავს დაგეგმვის კომპონენტებს და იმ ასპექტებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ გაკვეთილის ჩატარებაზე.

დაგეგმილი გაკვეთილის ეფექტურობისა და ეფექტიანობის განსაზღვრა მასწავლებელს შემდეგნაირად შეუძლია:

- არის თუ არა შესაძლებელი სასწავლო მიზნის მიღწევა 45 წუთში;
- შეესაბამება თუ არა გაკვეთილის სასწავლო მიზნები მოსწავლეების საჭიროებებს, მათ უნარებს, ცოდნას, გამოცდილებას, შესაძლებლობებს, ინტერესს და წინაწარ ჩატარებულ სამუშაოებს;
- გაკვეთილის შინაარსი, შერჩეული სასწავლო მასალა და აქტივობები ემსახურება თუ არა მიზნის მიღწევას;
- ვიცი თუ არა, რა შედეგების მიღებას მოველი მოსწავლეებისაგან და როგორ ჩავატარებ მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგს იმისათვის, რომ დავრწმუნდე, შეესაბამება თუ არა გაკვეთილი მოსწავლეთა საჭიროებებს;
- რა ტიპის შეფასების ფორმებს გამოვიყენებ, განმსაზღვრელს თუ განმავითარებელს; რამდენად სწორად მაქვს დაგეგმილი შეფასების პროცესი;
- მაქვს თუ არა ყველა აქტივობის ჩასატარებლად საჭირო საგანმანათლებლო რესურსები, შემოწმებული მაქვს თუ არა აღჭურვილო-

ბა, წინასწარ ჩატარებული მაქვს თუ არა ის ცდა, რომელსაც მოსწავლეები ჩაატარებენ;

- ვარ თუ არა მზად დამატებითი აქტივობების ჩასატარებლად.

ბლუმის ტაქსონომია გაკვეთილზე. გაკვეთილი მოსწავლეზე ორიენტირებული უნდა იყოს და იწვევდეს მოსწავლეებში სააზროვნო უნარების განვითარებას. სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარება ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია. ბოლო წლებში დასავლეთის საგანმანათლებლო სივრცეში სულ უფრო მეტად საუბრობენ რთული სააზროვნო უნარ-ჩვევების-კრიტიკულ, შემოქმედებით და რეფლექსიური აზროვნების სწავლებაზე. ბლუმის ტაქსონომია არის პედაგოგიური მიზნებისათვის შექმნილი კოგნიტური (შემეცნებითი) იერარქიული სისტემა. მისი ავტორია ამერიკელი პედაგოგი და ფსიქოლოგი ბენჯამენ ბლუმი. ტაქსონომია ხელს უწყობს აზროვნების განვითარებას. იგი ბერძნული სიტყვაა, რაც ნიშნავს დიფერენცირებას რიგისა და კანონის მიხედვით. ტაქსონომია ბიოლოგიურ ტერმინთა ნუსხიდანაა ნასესხები და აღნიშნავს იმგვარ კლასიფიკაციას, რომელიც ობიექტს ახასიათებს მარტივი კატეგორიიდან რთულისაკენ. ამრიგად, ბლუმის ტაქსონომია აზროვნების განვითარებელი ექვსსაფეხურიანი მოდელია. აზროვნების ეს დონეები საფეხურებად არის განლაგებული, სადაც ყოველი მომდევნო დონე უფრო რთულდება და მოიცავს ერთ ან რამდენიმე წინა დონეს. ცოდნა, გაგება და გამოყენება ქვედა დონეში მოიაზრება, ხოლო ანალიზი, სინთეზი და შეფასება კი ზედა დონეში.

ბლუმის ტაქსონომია ადამიანის აქტივობის სამ სფეროს აღწერს:

- **კოგნიტურს** (შემეცნებითს): ინტელექტუალური შესაძლებლობები, ცოდნა, აზროვნება;
- **აფექტურს** (ემოციურს): გრძნობები, ემოციები, განწყობები;
- **ფსიქომოტორულს**: უნარ-ჩვევები.

სამივე სფეროში კატეგორიები დაყოფილია იერარქიებად სირთულის მიხედვით. ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით ყოველ შემდეგ საფეხურზე გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ წინა კატეგორიის შესაბამისი ჩვევების დაუფლების შემდეგ. ამგვარად, ყოველი სფეროს ფარგლებში გამოიყოფა განვითარების დონეები მარტივიდან რთულისკენ.

ჩვენ დაწვრილებით განვიხილავთ კოგნიტურ (შემეცნებით) სფეროს. ბლუმის მიხედვით, აზროვნების ან შემეცნების უნარი ექვს დონედ შეიძლება დაიყოს. ეს დონეებია: ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და შეფასება. აზროვნების ეს დონეები საფეხურებად არის განლაგებული. ყოველი მომდევნო დონე უფრო რთულდება და მოიცავს ერთ ან რამდენიმე წინა დონეს. ბლუმის მიხედვით განათლების მიზანია არა მხოლოდ ცოდნის დაგროვება, არამედ მაღალი დონის აზროვნების ფორმების ჩამოყალიბება. განვიხილოთ ეს დონეები ცალ-ცალკე:

1. **ცოდნა**, ინფორმაციის ფაქტების გახსენება- ამ ეტაპზე მოსწავლემ გონებაში უნდა აღიდგინოს ინფორმაცია, რომელიც რაიმე ნიშნით უკავშირდება საგაკვეთილო თემას... (შესწავლილი მასალის გახსენება). ბლუმის მიხედვით, ცოდნა განიხილება, როგორც აზროვნების ქვედა დონის უნარ-ჩვევა და მასში იგულისხმება: ფაქტების, წესების, პრინციპების, თეორიების, თარიღების, პროცესების, ობიექტების, სტილის, მოვლენების ცნობა და დასახელება; კონკრეტული მონაცემების, ტერმინოლოგიის, პროცედურების ცოდნა; ინფორმაციის მოძიების პროცედურების ცოდნა; კონკრეტულ მონაცემებთან მუშაობის ხერხების და საშუალებების ცოდნა: ა) წესების და კანონების ცოდნა, ბ) კლასიფიკაციებისა და კატეგორიების ცოდნა, გ) კრიტერიუმების ცოდნა, დ) მეთოდების ცოდნა; სმენითი, წერილობითი და გრაფიკული ინფორმაციის დამახსოვრება და გახსენება მსგავსი ან ზუსტი ფორმით

2. **გაგება** განიხილება, როგორც აზროვნების ქვედა დონის უნარ-ჩვევა და ზოგადად, იგი გულისხმობს ნასწავლი მასალის მნიშვნელობის წვდომას, კერძოდ, ფაქტების, წესების, პრინციპების, თეორიების, პროცესების, ობიექტების, სტილის, მოვლენების საკუთარი სიტყვებით აღწერა; ტექსტების ძირითადი აზრის საკუთარი სიტყვებით ახსნა მშობლიურ ენაზე; ტექსტის შინაარსის გაგებაზე მიმართულ კითხვაზე პასუხის გაცემა; სმენითი, წერილობითი და გრაფიკული ინფორმაციის ერთი ფორმიდან მეორეში გადატანა; შესაბამისი მაგალითის მოყვანა; საგნების, მოვლენების, პროცესებისა და სტილის თვალსაჩინო ნიშნით დახარისხება და დაჯგუფება. მოსწავლე კომუნიკაციის გზით შეიმეცნებს ახალ მასალას და იძენს ცოდნას (მასალის არსში წვდომის უნარი).

3. **გამოყენება**-მოსწავლე იყენებს მიღებულ ცოდნას. (ნასწავლი მასალის ახალ და კონკრეტულ სიტუაციებში გამოყენების უნარი). განიხილება, როგორც აზროვნების ქვედა დონის უნარ-ჩვევა და, ზოგადად, იგი გულისხმობს ადრე ათვისებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. კერძოდ, ცოდნის სხვადასხვა სიტუაციაში მოხმარება; მოდელის მიხედვით დავალების, სამუშაოს შესრულება; პროცედურის განხორციელება; კანონზომიერების მოქმედების ფარგლების განსაზღვრა.

4. **ანალიზი** არის სააზროვნო უნარ-ჩვევა, რომლის დროსაც ხდება მთლიანი საგნის ცალკე ნაწილების, მხარეების და თვისებების გამოყოფა ადამიანის წარმოდგენაში. ცნობიერებაში მთლიანი საგნის ასეთ დაშლას ანალიზი ეწოდება. ბ. ბლუმის მიხედვით, ანალიზი არის აზროვნების ზედა დონის უნარ-ჩვევა და მასში იგულისხმება: მასალის შემადგენელ ნაწილებს დაყოფა: ნაწილების შედარება-შეპირისპირება, ნაწილებს შორის კავშირის ან სტრუქტურის დანახვა; მოვლენების მიზეზების ახსნა; პროცესის კანონზომიერების გამოვლენა; მიზეზებსა და შედეგებს შორის კავშირების დადგენა. მოსწავლე ნაწილებად შლის მიღებულ ცოდნას.

5. **სინთეზი** არის სააზროვნო უნარ-ჩვევა, რომელიც ანალიზის საწინააღმდეგო პროცესს წარმოადგენს, სინთეზი გულისხმობს ცალკე მოცემული ელემენტების (ნაწილების, თვისებების) გონებაში გაერთიანებას ახალი სტრუქტურული მთლიანობის სახით: მაგ., ნაწილებისგან ახალი მთელის შედგენა, ცალკე თვისების გაერთიანება ახალი მთლიანი შინაარსის სახით და ა.შ. ბ. ბლუმის მიხედვით, სინთეზი არის აზროვნების ზედა დონის უნარ-ჩვევა და მასში იგულისხმება: ნაწილების შეერთება ახალი სტრუქტურის შესაქმნელად ჰიპოთეზის წამოყენება; კვლევის ან რეფერატის დაგეგმვა; შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა; პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების წამოყენება; პრობლემის გადაჭრისათვის საჭირო მოქმედების დაგეგმვა; ახალი პროდუქტის შექმნა ან გამოგონება.

6. **შეფასება** არის აზროვნების ზედა დონის უნარ-ჩვევა და ზოგადად, იგი გულისხმობს არჩეული კრიტერიუმის გარკვეული კატეგორიისადმი მიკუთვნებას, სტანდარტებზე დაყრდნობით რაიმეზე მსჯელობას ან დასკვნების გამოტანას. კერძოდ, საკუთარი პოზიციის არგუმენტირებული დასაბუთება; გარკვეულ კრიტერიუმზე ან სტანდარტზე დაყრდ-

ნობით დასკვნების გაკეთება; პოზიციისა და მისი კონტრარგუმენტების განხილვის საფუძველზე დასკვნების გამოტანა; პრობლემის გადაჭრის რამდენიმე გზიდან ერთ-ერთის არჩევის მართებულობის დასაბუთება; მტკიცებულობის (თეორიის, პრეზენტაციის) ღირებულების (მნიშვნელობის) დაზუსტება; რამდენად შეესაბამება მიღებული დასკვნა იმ მონაცემებს, რომელთა საფუძველზეც დასკვნა გაკეთდა (მონაცემებისა და დასკვნების შესაბამისობის დადგენა). აფასებს მასალას, მეთოდებს, რომლებიც გამოყენებულ იქნა დასახული მიზნის მისაღწევად (იმსჯელეთ რამდენად ღირებულია მასალა დასახული მიზნის მისაღწევად).

ამრიგად, პირობითად ცოდნას, გაგებას და გამოყენებას შეიძლება ვუწოდოთ აზროვნების ქვედა დონის სააზროვნო უნარები, ხოლო ანალიზს, სინთეზს და შეფასებას კი აზროვნების ზედა დონის სააზროვნო უნარები. სინთეზი და შეფასება შესაძლოა გადანაცვლდეს იმისდა მიხედვით, თუ რა სახისაა შეფასება. თუ შეფასება არ არის სტრატეგიული და არ უკავშირდება გადაწყვეტილების მიღებას, მაშინ იგი უფრო ნაკლებად რთული სააზროვნო ოპერაცია იქნება, ვიდრე სინთეზი (Anderson and Krathwab, 2001)

სასურველია, მასწავლებელმა სამუშაო პრინციპად აქციოს აზროვნების სხვადასხვა დონის განმავითარებელი შეკითხვების თანმიმდევრული გამოყენება.

შეფასება: იმსჯელე, განსაჯე, დაასკვნე, გააკრიტიკე, აწონ-დაწონე, შეაჯამე, გაითვალისწინე, გაამართლე/გაამტყუნე;

სინთეზი: შექმენი, ააწყვე, მიუსადაგე, შეათავსე, დაგეგმე, განაზოგადე, თეორიულად ჩამოაყალიბე, ფორმულირება მიეცი, წარმოიდგინე;

ანალიზი: შეადარე, განასხვავე, გამოარჩიე შემადგენელი ნაწილები, გამოიკვლიე, დაანაწავრე, დაყავი კატეგორიებად, გაანალიზე;

გამოყენება: მოამზადე, დააკავშირე, შექმენი რუკა, სქემა, მოახდინე კლასიფიცირება;

გაგება: ამოარჩიე, აღწერე, შეაჯამე, ახსენი, დაახასითე, ივარაუდე, გააკეთე ინტერპრეტაცია;

ცოდნა: გაიმეორე, ჩამოთვალე, დაასახელე, გაიხსენე, მიუსადაგე, მოიტანე ციტატა.

დასკვნითი ნაწილისათვის მივაქციოთ ყურადღება: რას გამოიყენებთ აზრების შეჯამებისათვის გაკვეთილის ბოლოს? როგორ განახორციელებთ უკუკავშირს მოსწავლეებთან (ხარვეზების შესავსებად და ცოდნის განსამტკიცებლად)?

შემდგომი გაკვეთილები/აქტივობები: რა აქტივობები გამოიყენება ახსნილი მასალის ასათვისებლად? რომელი გაკვეთილები მოყვება ამ გაკვეთილს?

შეფასება: ამ ნაწილში აისახება მიღწეული შედეგები. სასურველია, თავი მოვუყაროთ მოსწავლის მიერ ამ თემაზე შესრულებულ ნამუშევრებს (საშინაო დავალებებს, თხზულებებს, პლაკატებს, ნახატებს და სხვა). ყოველთვის შესაძლებელია მოსწავლეთა ცოდნის შეფასება სხვადასხვა გზით: (რუბრიკები, ტესტები, საქალაქო, ზეპირი გამოკითხვა და სხვა) როგორ შეაფასებთ დასახულ მიზნებს? იციან თუ არა მოსწავლეებმა, როგორ, რა კრიტერიუმებით შეაფასებს მათ მასწავლებელი?

მოსწავლეებს გააცანით, რას შეაფასებთ და როგორ, შეფასების დროს მიზანშეწონილი არ არის მიაწოდოთ ახალი მასალა, თეორიული ცოდნა პრაქტიკულად განამტკიცეთ. სრულყოფილი შეფასებისათვის მასწავლებელს მრავალი ხერხი უნდა ჰქონდეს თავის არსენალში. მაგ., გაზეთის შექმნა. ესეს დაწერა, გამოფენის მომზადება, საქალაქის შექმნა განსაზღვრულ თემასთან დაკავშირებით.

შეფასება პედაგოგს ეხმარება, დაადგინოს მიღწევათა დონეები და შეიმუშაოს სწავლების გზები, ასევე ეხმარება მასწავლებელსა და მოსწავლეს, უკეთ გაუგონ ერთმანეთს.

გაკვეთილის დაგეგმვისას გავითვალისწინოთ, რომ გაკვეთილის მიზნები უნდა ემსახურობდეს მოსწავლეებში როგორც ქვედა, ასევე ზედა დონის სააზროვნო უნარების განვითარებას. კარგი გეგმა ჯერ არ ნიშნავს წარმატებულ გაკვეთილს, თუმცა იგი წარმატებული გაკვეთილის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. მასწავლებელმა სააზროვნო უნარების გასავითარებლად ეფექტურად უნდა გამოიყენოს ბლუმის ტაქსონომია, სწორად შეარჩიოს კითხვები და აქტივობები.

მაგალითისათვის განვიხილოთ თემა „ავტობიოგრაფია“.

მოსწავლის მიერ განსახორციელებელი აქტივობები:

- დაასახელოს ის პუნქტები, რომლებიც აუცილებლად უნდა შედიო-

დეს ავტობიოგრაფიაში (პირველი დონე - ცოდნა);

- ახსნას, რატომ არის ღირებული უნაკლო ავტობიოგრაფია (მეორე დონე გაგება);

- შეადგინოს მისი საკუთარი ბიოგრაფია გენიალოგიური ხის გამოყენებით (მესამე დონე გამოყენება);

- ხელთარსებული ბიოგრაფია გააანალიზოს შეიცავს თუ არა იგი ჭარბ მონაცემებს ან თუ აკლია რაიმე მონაცემი (მეოთხე დონე - ანალიზი);

- ორი ბიოგრაფიის ერთმანეთთან შედარებით ჩამოაყალიბოს სანიმუშო საზოგადო მოღვაწის სახე (მეხუთე დონე - სინთეზი);

- გადაწყვიტოს, შეიძლება თუ არა მის მიერ შედგენილი და ხელით დაწერილი ავტობიოგრაფია ამ სახით გაგზავნოს (მეექვსე დონე - შეფასება)

ამრიგად, ცოდნას, გაგებას და გამოყენებას შეიძლება ვუწოდოთ აზროვნების ქვედა (დაბალი) დონის სააზროვნო უნარები, ხოლო ანალიზს, სინთეზს და შეფასებას- ზედა (მაღალი) დონის სააზროვნო უნარები. დღეს მეცნიერებში დიდი დავის საგანია, რომელი სააზროვნო უნარი უნდა იდგეს უფრო მაღლა - სინთეზი, თუ შეფასება. ერთმნიშვნელოვნად ამის მტკიცება რთულია - სინთეზი და შეფასება შესაძლოა გადანაცვლდეს იმისდა მიხედვით, თუ რა სახისაა შეფასება. თუ შეფასება არ არის სტრატეგიული და არ უკავშირდება გადაწყვეტილების მიღებას, მაშინ იგი უფრო ნაკლებად რთული სააზროვნო ოპერაცია იქნება, ვიდრე სინთეზი. რაში ეხმარება პედაგოგს ბლუმის ტაქსონომიის ცოდნა? მისი დახმარებით შესაძლებელია:

- სუფთა რეპროდუქტიული მიღწევები კოგნიტური მიღწევებისგან განვასხვავოთ;

- გაკვეთილები (თემები) სირთულის მზარდი ხარისხით შეგნებულად დაგეგმოს;

- გადაამოწმოს განსაზღვრული არსებული ცოდნა შესაბამისი მიზნებისათვის გამოდგება თუ არა;

- მოსწავლეებს დააკვირდეს, აქვთ თუ არა უნარი განსაზღვრული ინტელექტუალური მიღწევებისთვის;

- განსაზღვრულ ინტელექტუალურ უნარ-ჩვევებზე შეგნებულად ივარჯიშონ;

- გაკვეთილი მარტო ცოდნის დონით არ შემოიფარგლოს;

- საშინაო და საკლასო დავალებები და გამოცდები ისე იყოს ფორმუ-

ლირებული, რომ შეიძლებოდა მისი მიღწევის დონეებად დალაგება;

- სწავლის შედეგები ობიექტურად შეფასდეს;
- კოლეგებთან მოხდეს თანამშრომლობა მიღწევის დონეების შესახებ;

- სასწავლო გეგმები გააანალიზდეს იმის მიხედვით, თუ რამდენად დაძლიეს ინტელექტუალურად (კოგნიტურ სფეროში) მოსწავლეებმა ის, რაც მათ მოეთხოვებოდათ და ა.შ.

გვახსოვდეს:


- სასწავლო პროცესის დაგეგმვა და გაკვეთილის სასწავლო მიზნების განსაზღვრა ორიენტირებულია საგნობრივ სასწავლო გეგმაში მოცემული შედეგების მიღწევაზე;
- გაკვეთილის მიზნის განსაზღვრის დროს მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლეების ცოდნას, უნარ-ჩვევებს, გამოცდილებას, საჭიროებებს და ინტერესებს;
- გაკვეთილის მიზნები ემსახურება მოსწავლეებში როგორც ქვედა, ასევე ზედა დონის სააზროვნო უნარების განვითარებას.

მოგვიანებით ბლუმმა და მისმა კოლეგებმა ასეთივე ტაქსონომია შეადგინეს სხვა სფეროებშიც. კოგნიტური მიზნების შედეგები უფრო თვალსაჩინოა, ამიტომ ბლუმის ტაქსონომია ძირითადად ამ სფეროში გამოიყენება.

ბლუმის მიხედვით განათლების მიზანია არა მხოლოდ ცოდნის დაგროვება, არამედ მაღალი დონის აზროვნების ფორმების ჩამოყალიბება.

ბლუმის სააზროვნო უნარების კლასიფიკაცია სქემატურად შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ;

ბლუმის ტაქსონომია



დავალება ჯგუფში მუშაობისათვის:

1. ჯგუფში მუშაობის დროს სტუდენტებს ეძლევა დანართი 2, 3, 5. განხილული გაკვეთილის გეგმები, რათა შეაფასონ ისინი, წარმოადგინონ ანალიზი-შეფასებანება თუ არა გაკვეთილის აქტივობები, მეთოდები, რესურსები, შეფასების მეთოდები, დრო გაკვეთილის მიზანს და გადის თუ არა ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევ შედეგზე. (იხ. დანართი 2,3,5 გაკვეთილის გეგმები G-PRIED-ის პროექტის ფარგლებში, ბსუ-ს სტუდენტების ნამუშევრები, გაკვეთილის გეგმები, ნიმუშები მასწავლებლის დამხმარე სახელმძღვანელოებიდან).

2. აირჩიეთ საგაკვეთილო თემა მათემატიკაში/ქართულ ენასა და ლიტერატურაში/ბუნებისმცოდნეობაში და დაგეგმეთ ბლუმის ტაქსონომიის გამოყენებით;

3. ტესტები საშინაო დავალებისათვის იხილე დავალებებში პრაქტიკული მეცადინეობისათვის გვ. 333.

ცოდნის კატეგორიები და ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევი კომპეტენციები

(ამონარიდი ესგ-დან. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2011:36)

*”სწავლაში ძირითადი მნიშვნელობა იმ პროდუქტს
კი არა აქვს, რომელსაც იგი კონკრეტული
ჩვევის ან კონკრეტული შინაარსის მქონე
ცოდნის სახით გვაძლევს,
არამედ განსაზღვრული მიმართულებით
მოსწავლის ძალების განვითარებას.”*


დიმიტრი უზნაძე

ეროვნული სასწავლო გეგმა ეფუძნება ზოგადი განათლების სისტემისათვის ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე დოკუმენტს, „ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს“, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორი თაობების აღზრდას უნდა შეუწყოს ხელი საქართველოს ზოგადი განათლების სისტემამ. ეროვნული სასწავლო გეგმის მთავარი ამოცანაა, შექმნას ეროვნული მიზნების მისაღწევი საგანმანათლებლო გარემო და რესურსები. ამ მიზნიდან გამომდინარე, იგი ირჩევს პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო კონცეფციას. ამ კონცეფციის აღმავლობას თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში ხელი შეუწყო 70-იანი წლებიდან სხვადასხვა სამეცნიერო დარგში (კოგნიტურ ფსიქოლოგიაში, ნეირო მეცნიერებებში, განათლების მეცნიერებებში, ფსიქოლინგვისტიკაში, ენების დიდაქტიკაში და სხვ.) მიმდინარე ინტენსიურმა კვლევებმა, რომლებმაც მეცნიერულად დაასაბუთეს მისი უპირატესობა მყარი, დინამიური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირებისათვის, შესაბამისად, ისეთი მოქალაქის აღზრდისათვის, რომელიც თანამედროვე სამყაროს გამოწვევებსა და მოთხოვნებს უპასუხებს.

პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე, მისი განვითარების პროცესი და მის მიერ მიღწეული შედეგი. შედეგზე ორიენტირება გულისხმობს მოსწავლისათვის მიწოდებული ინფორმაციის არა მხოლოდ დამახსოვრებას, არამედ ამ ინფორმაციის მყარ, დინამიურ და ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნას.

სწორედ ამიტომ ეროვნული სასწავლო გეგმის ფუნდამენტური პრინციპია შედეგზე ორიენტირება, რაც გულისხმობს მოსწავლეთა აღჭურვას ქმედითი ცოდნით. ეს არსებითი მოთხოვნა აისახება საგნობრივი პროგრამების სამნაწილიან სტრუქტურაში:

საგნობრივი პროგრამების სტრუქტურა



საგნობრივი პროგრამების ზოგადი ნაწილი განსაზღვრავს საგნის სწავლების ამოცანებს და იმ ძირითად ორიენტირებს, რომლებიც ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარეობს.

საგნობრივი სტანდარტი განსაზღვრავს კონკრეტულ საგნობრივ კომპეტენციებს, რომელთაც უნდა დაეუფლონ მოსწავლეები დასახული მიზნების მისაღწევად. საგნობრივ სტანდარტში აღწერილი კომპეტენციები მოიცავს სამი კატეგორიის ცოდნას: ა) დეკლარატიულს, ანუ სტატიკური ხასიათის ცოდნას, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ცოდნის პროცედურულ-

ლად გამოყენებას. დეკლარატიულია მოსწავლის ცოდნა, თუ მან იცის კონკრეტული მათემატიკური ოპერაციის წარმოების წესი, თუმცა ვერ იყენებს მას; ბ) პროცედურულს ანუ დინამიურ ცოდნას, რომელიც ცოდნის გამოყენების, რეალიზების საშუალებას იძლევა; პროცედურულია მოსწავლის ცოდნა, თუ ის ასრულებს მათემატიკურ ოპერაციას. პროცედურული ცოდნის ათვისება მრავალჯერადი გავარჯიშების გზით ხდება და გ) პირობისეულ ცოდნას, ანუ ფუნქციურ ცოდნას, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნის ადეკვატურად გამოყენებას. პირობისეულია მოსწავლის ცოდნა, თუ მას შეუძლია დასმული ამოცანის ამოსახსნელად შეარჩიოს სათანადო მათემატიკური ოპერაცია.

ცოდნის სამი კატეგორია



საგნობრივი პროგრამების ძირითადი ნაწილის - სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპია შედეგზე ორიენტირება. მასში სწავლების მიზნები ჩამოყალიბებულია კონკრეტული შედეგების სახით, ანუ იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების სახით, რომლებიც უნდა წარმოაჩინოს მოსწავლემ სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ. სტანდარტით განსაზღვრული შედეგებისა და ინდიკატორების სახით მასწავლებელს ეძლევა კონკრეტული მითითება იმის შესახებ, თუ როგორ და რა კუთხით უნდა დაამუშავებინოს მოსწავ-

ლევებს ჩამონათვალში მოცემული შინაარსობრივი საკითხები. ის ერთგვარი გზამკვლევაა, რომელიც მიუთითებს, თუ როგორ უნდა წარიმართოს სასწავლო პროცესი, რათა მოსწავლეებმა ცოდნა გააზრებულად და საფუძვლიანად შეიძინონ. პროგრამის შინაარსი წარმოადგენს სავალდებულო და სარეკომენდაციო სასწავლო საკითხების ჩამონათვალს.

ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელსაც შეიმუშავენ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი განკუთვნილია ზოგადი განათლების სფეროში მოღვაწე თუ მონაწილე ყველა სუბიექტისთვის.

ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციები (ესგ, თავი VIII, მუხლი 48).

1. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და საზოგადოებრივი მოთხოვნების გათვალისწინებით, ეროვნული სასწავლო გეგმა გამოყოფს ცხრა პრიორიტეტულ გამჭოლ კომპეტენციას, რომელთა ფლობა გადამწყვეტია თანამედროვე სამყაროში თვითრეალიზებისა და სათანადო ადგილის დამკვიდრებისათვის. პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციები მოიცავს იმ ძირითად ცოდნასა და უნარებს, რომელთა გამომუშავებასა და განვითარებას ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა საგნის სწავლება სპეციფიკური კომპეტენციების განვითარებასთან ერთად.

2. პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციების დასაუფლებლად აუცილებელია სასწავლო პროცესში საგანთშორისი კავშირების დამყარება. მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეს, რომ მან ერთ რომელიმე საგანში შეძენილი ცოდნა და გამოცდილება სხვადასხვა შინაარსობრივ კონტექსტში გადაიტანოს და გამოიყენოს.

3. პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციებია:

ა) **წიგნიერება.** ტრადიციული გაგებით, სიტყვა "წიგნიერება" გულისხმობს კითხვის, წერის, მოსმენისა და ლაპარაკის მიზნით ენის გამოყენების უნარს. დღეს ამ ცნების შინაარსი გაცილებით მეტს მოიცავს; თანამედროვე გაგებით, წიგნიერება არის ცვალებად კონტექსტში კითხვის, წერის, ინფორმაციის დამუშავების, იდეებისა და მოსაზრებების გამოთქმის, გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემების მოგვარების უნარი იმ ცოდნის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში იძენს;

ბ) **მედიაწიგნიერება.** საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების შედეგად, თანამედროვე სამყაროში, ტრადიციულ ტექსტებთან ერთად, მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მულტიმედიურმა ტექსტებმა – ტექსტებმა, რომლებიც ერთდროულად იყენებს ენობრივ, ხმოვან და ვიზუალურ საშუალებებს. გარდა ამისა, თანამედროვე მსოფლიოში მედია ყველაზე მძლავრი კულტურული იარაღია, რომელმაც ადამიანის ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა. ამიტომ, აუცილებელია მოსწავლემ შეძლოს, ერთი მხრივ, ამ ახალი სტილისა და მრავალგვარი ფორმის მულტიმედია ტექსტების აღქმა-გააზრება, ინტერპრეტირება, გამოყენება და შექმნა, მეორე მხრივ, მედია სამყაროში ორიენტირება, სწორი არჩევანის გაკეთება (ინფორმაციის „გაფილტვრა“) და მიღებული ინფორმაციის კრიტიკულად შეფასება. ამ თვალსაზრისით, მედიაწიგნიერება ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას;

გ) **ციფრული წიგნიერება** (იგივეა, რაც კომპიუტერული წიგნიერება). თანამედროვე მსოფლიოში საკომუნიკაციო და ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ წიგნიერების ცნება კიდევ უფრო გააფართოვა. იგი ამჟამად მოიცავს ქსელური ძიების, ტექსტების ელექტრონული დამუშავებისა და ტექსტური შეტყობინების პროგრამების გამოყენების უნარსაც, რასაც მთლიანობაში ციფრული წიგნიერება ეწოდება. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ხელს უწყობს შემოქმედებითი და ინოვაციური მიდგომების გამომუშავებას მოსწავლეებში;

დ) **რაოდენობრივი წიგნიერება.** რაოდენობრივი წიგნიერება არის იმ უნარ-ჩვევების ერთობლიობა, რომელთა დაუფლება მოსწავლეს უადვილებს რიცხვის არსის გააზრებას, რაოდენობის სხვადასხვა ხერხით გამოსახვას, რიცხვებს შორის მიმართებების გაგებას, რაოდენობათა შედარებას. ეს უნარ-ჩვევები მოსწავლეს სჭირდება არა მხოლოდ მათემატიკის, არამედ სხვა საგნების შესასწავლადაც;

ე) **ეკოლოგიური წიგნიერება.** ეკოლოგიური წიგნიერება გულისხმობს გარემოსადმი ადამიანის ჯანსაღი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს პირადი პასუხისმგებლობა გარემოში მიმდინარე პროცესების მიმართ, შეძლოს მონაწილეობა მის დაცვასა და აღდგენაში;

ვ) **მრავალენობრივი (პლურილინგვური) კომპეტენცია.** მრავალენობრივი კომპეტენცია არის ადამიანის შინაგანი უნარი, დაეუფლოს და გამოიყენოს ენა/ენები. ნებისმიერ საგანში ცოდნასა და უნარებს მოსწავლე ენობრივი აქტივობების საშუალებით იძენს. შესაბამისად, ყველა საგანს შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს მოსწავლის მრავალენობრივი კომპეტენციის განვითარებაში;

ზ) **სემიოტიკური კომპეტენცია.** სემიოტიკური კომპეტენცია არის ვერბალური და არავერბალური (რუკის, დიაგრამის, სქემის, ნახატის, მელოდიისა და სხვ.) საშუალებით გადმოცემული ინფორმაციის გააზრებისა და ინტერპრეტირების, საკუთარი ნააზრებისა და განცდილის სხვადასხვა საშუალებით გადმოცემის უნარი; ინფორმაციის ნიშანთა ერთი სისტემიდან მეორეში გადატანის (მაგ. სიტყვიერ ტექსტში ან მუსიკალურ ნაწარმოებში გადმოცემული აზრის ილუსტრაციით გამოხატვის, სიტყვიერი ტექსტისა და ნახატის ერთმანეთთან დაკავშირების, სიტყვიერად გადმოცემული ინფორმაციის დიაგრამის სახით წარმოდგენისა და ა.შ.) უნარი;

თ) **სწავლის სწავლა.** სწავლის სწავლა არის სწავლის პროცესის დამოუკიდებლად მართვის უნარი. მასწავლებელმა უნდა მიმართოს მოსწავლის ყურადღება სწავლის პროცესზე, მის მიმდინარეობაზე; დაეხმაროს მოსწავლეს იმ ფაქტორებისა და პირობების გაცნობიერებაში, რომლებიც აფერხებს ან ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მსვლელობას; აღმოაჩინოს ის ხერხები და მიდგომები, რომლებიც აუმჯობესებს სწავლის შედეგებს და გამოუმუშავოს სწავლის სტრატეგიების დამოუკიდებლად გამოყენების უნარი;

ი) **სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია.** სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია გულისხმობს სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრირებისათვის აუცილებელი ისეთი უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას, როგორებიცაა: კონსტრუქციული თანამშრომლობა, პრობლემების მოგვარება, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, გადაწყვეტილების მიღება, შემწყნარებლობა, სხვისი უფლებების პატივისცემა, დემოკრატიული პრინციპების აღიარება და სხვა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 11 ოქტომბრის ბრძანება №224/ნ - ვებგვერდი, 12.10.2012წ.

თემა 12. სასწავლო ორგანიზაციის დამხმარე ფორმები

ლექციაზე განხილული იქნება საკითხები:

1. სასწავლო ექსკურსია, როგორც სწავლების ორგანიზაციის დამხმარე ფორმა;
2. სასკოლო ექსკურსიის ორგანიზების პროექტი;
3. სემინარული და წრეობრივი მეცადინეობები, სასკოლო და სკოლისგარეშე კონფერენციები.

სასწავლო ექსკურსია, როგორც სწავლების ორგანიზაციის დამხმარე ფორმა

მრავალწლიანმა პედაგოგიურმა პრაქტიკამ აჩვენა, გაკვეთილი არის სწავლების ორგანიზაციის ძირითადი ფორმა, სადაც ხდება გაკვეთილის მიზნის განხორციელება, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო შედეგების მიღწევა. სასკოლო პრაქტიკაში გაკვეთილის გარდა გამოიყენება სწავლების ორგანიზაციის დამხმარე ფორმები: ექსკურსია, სემინარული და წრეობრივი მეცადინეობა, პრაქტიკუმები, გაკვეთილი-კონფერენცია, გაკვეთილი-თამაში (თამაში არის სწავლების მეთოდიც და სწავლების ორგანიზაციის დამხმარე ფორმაც).

მოზარდი თაობის აღზრდა-განათლების ამოცანები, ძირითადად, სწავლების პროცესში, გაკვეთილზე წყდება, სადაც მოსწავლეები საფუძვლიანად ითვისებენ სასწავლო პროგრამით განსაზღვრულ მასალებს. მაგრამ ყველა სასწავლო მასალა ერთნაირად არ იძლევა დროის გარკვეულ მონაკვეთში მისი სრულყოფილად ამოწურვის შესაძლებლობას. სასწავლო პროცესში აღძრული მოსწავლეთა შემეცნებითი, ტექნიკური, თვითშემოქმედებითი თუ სპორტული ინტერესების დასაკმაყოფილებლად, ზოგჯერ, დამატებითი დრო ან დამატებითი საშუალებებია საჭირო. სწორედ ამ მიზნით გამოიყენება კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა. კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა საკლასო-საგაკვეთილო სისტემის აუცილებელი დამხმარე საშუალებაა, რომელიც ითვალისწინებს, ერწყმის და ავსებს მას.

სასწავლო ექსკურსია, ეს არის გაკვეთილი ბუნებაში და როგორც წესი, მას სკოლის მასწავლებელი ატარებს. ექსკურსია, რომელიც გარკვეული

პროგრამული საკითხის დამუშავებას ეძღვნება, სხვა გარემოში გადატანილი სასწავლო პროცესის შემადგენელ დამხმარე საშუალებას წარმოადგენს და მნიშვნელოვანი მიმართულებაა ტურისტულ საქმიანობაშიც. ექსკურსია უცხო სიტყვაა და ქართულად ნიშნავს მოგზაურობას, გასეირნებას. ენციკლოპედიური ლექსიკონის მიხედვით, ექსკურსია, არის კოლექტიური დათვალიერება ისტორიული ძეგლების, მუზეუმების, საწარმოების და სხვა ღირშესანიშნაობების ზოგადსაგანმათლებლო და აღმზრდელობითი მიზნებით. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მოცემულია ექსკურსიის შემდეგი ფორმულირება. „ექსკურსია არის კოლექტიური დათვალიერება, მუზეუმების ღირშესანიშნავი ადგილების, გამოფენების და ა.შ. მოგზაურობა, გასეირნება ზოგადსაგანმანათლებლო, სამეცნიერო, სპორტული ან გასართობი მიზნებით. ადამიანთა ჯგუფები კოლექტიურად ახორციელებენ ასეთ მოგზაურობას, გასეირნებას (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1990)“ ნებისმიერ სხვა სასწავლო დისციპლინის სწავლებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სასწავლო ექსკურსიას.

სასწავლო ექსკურსიის უმთავრესი ელემენტებია: ჩვენება და თხრობა, მაგრამ ობიექტების ყველანაირი დათვალიერება არ შეიძლება იყოს ექსკურსია. სასწავლო ექსკურსია ეწოდება მასწავლებლის მიერ წინასწარ მოფიქრებული გეგმის მიხედვით, გარკვეული თანმიმდევრობით და შინაარსით საექსკურსიო ობიექტების ისეთ დათვალიერებას, რომლის დროსაც იგი ახდენს რომელიმე თემის ახსნას. ამდენად, ექსკურსიისათვის ნიშანდობლივია შემდეგი ძირითადი მახასიათებლები:

1. ხანგრძლივობა;
 2. საექსკურსიო ჯგუფის (6-30კაცი);
 3. კვალიფიციური ექსკურსიამძღოლის (ჩვენს შემთხვევაში მასწავლებლის) არსებობა;
 4. საექსკურსიო ობიექტი, რომელსაც წინასწარ განსაზღვრული თემის მიხედვით ათვალიერებენ;
 5. ობიექტის დათვალიერება;
- ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე ნიშნის გარეშე სასწავლო ექსკურსია არ შეიძლება ჩაითვალოს სრულყოფილად.

სწავლების პროცესში სასწავლო ექსკურსია – არის გარე სამყაროს შემეცნების პროცესი. ეს შემეცნება იწყება უშუალოდ მხედველობითი აღქმიდან,

როცა ადამიანი პირველად დაინახავს ობიექტს, შემდეგ მას უკავშირებს გარკვეულ მოვლენას, ფაქტს და ა. შ. გონების მეშვეობით აღადგენს წარსულის ან მომავლის სურათებს, ადარებს სხვა ძეგლებს, აკეთებს დასკვნებს ე.ი აზროვნებს აბსტრაქტულად. ყველაფერი ეს მოითხოვს გონებრივ და ნერვიულ დამაბულობას. ეს დამაბულობა ბევრად მეტია, ვიდრე ბუნებაში გასეირნება ან დასვენება. ამიტომ მასწავლებელი იღვწის, რომ მოსწავლე არა მხოლოდ გაეცნოს ობიექტს, არამედ აღიქვას იგი სწორად და მოახდინოს მასზე ობიექტური შთაბეჭდილება. როგორც აღვნიშნეთ, ამ პროცესში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ემოციურ მომენტებს.

როგორც ყველა პედაგოგიურ პროცესში, ექსკურსიაშიც მონაწილეობს ორი მხარე: ის, ვინც ცოდნას გადასცემს (ასწავლის) - მასწავლებელი და ის, ვინც ცოდნას იღებს (სწავლობს) - მოსწავლე. საექსკურსიო მეთოდის მიხედვით მასწავლებელი გადასცემს ექსკურსიის მონაწილეებს წინასწარ განსაზღვრული გეგმების შესაბამისად გარკვეულ ცოდნას, რომლის შეთვისებითაც დაინტერესებული არიან მოსწავლეები. **სწორედ, ამ ორი მხარის ურთიერთმოქმედება წარმოადგენს პედაგოგიურ პროცესს.**

პედაგოგიური პროცესი ექსკურსიაში არ ამოიწურება მხოლოდ ცოდნის გადაცემით, არამედ მასში შედის აგრეთვე **აღმზრდელობითი ელემენტიც, რადგან ნებისმიერი ექსკურსიის მთავრი მიზანი არის პიროვნების აღზრდა.** პედაგოგიკის ცოდნა და მისი მოთხოვნების გათვალისწინება ექსკურსიაში, განსაკუთრებით სასწავლო ექსკურსიაში ხელს უწყობს ექსკურსიის ხარისხის ამაღლებას, მის სრულყოფას.

პედაგოგიური პროცესის ეფექტურობა დამოკიდებულია ორივე მხარის აქტივობაზე. კარგად დაგეგმილ და გააზრებულ ექსკურსიას შეუძლია ბიძგი მისცეს აზროვნების გააქტიურებას, გარე სამყაროს უკეთ გაცნობას.

სასწავლო ექსკურსიაში ხშირად გვხვდება მოსწავლეების მხრიდან დამოუკიდებელი აზროვნების (მუშაობის) ელემენტები. მასწავლებელი იძლევა რა ძირითად განმარტებას ობიექტის შესახებ, მარტო ტოვებს მოსწავლეებს ობიექტთან, რათა მათ დამოუკიდებლად გაიაზრონ მისი ღირსებები, გაანალიზონ იგი. ეს პედაგოგიური პროცესის ერთგვარი პირველი ნაწილია. მეორე ნაწილი წარმოადგენს მოსწავლეებისათვის დამოუკიდებელი დაკვირვებისა და ანალიზის გაკეთების ხელოვნებასთან ზიარებას. ექსკურსია ჩვენების ხერხების, თვალსაჩინოების, თხრობის აქტიური ფორმების მეშვეო-

ბით ხელს უწყობს მოსწავლეების აქტივიზაციას. ასეთი სერიოზული ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს მასწავლებლისგან პროფესიონალიზმს, მოსწავლისგან კი ყურადღების მობილიზებას, რადგან, ექსკურსიაზე მყოფი მოსწავლე ყოველთვის ვერ ახერხებს ყველაფრის ადექვატურად აღქმას. სასწავლო ექსკურსიის შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმს მასში მონაწილეთა აქტივობა წარმოადგენს.

სასწავლო ექსკურსიის წარმატებით ჩატარებისათვის ბევრი რამ არის დამოკიდებული მასწავლებლის ორგანიზატორულ თვისებებზე. ორგანიზატორული საქმიანობა იწყება მასწავლებლის მიერ ჯგუფის მომზადებიდან და მთავრდება მათთან დამშვიდობებით.

მასწავლებლის მიერ წინასწარი ინფორმაციის მიწოდება მოსწავლეებს აძლევს ორიენტაციას, თუ როგორია ექსკურსიის თანმიმდევრობა, რა თემებს განიხილავენ ექსკურსიის მსვლელობისას და როგორია ექსკურსიის ფინალი. მეთოდურად გამართული სასწავლო ექსკურსია უნდა ემსგავსებოდეს სპექტაკლს, რომელშიც გამოკვეთილია პედაგოგიური პროცესი.

სკოლის პედაგოგის საქმიანობა სასწავლო ექსკურსიის ორგანიზებასთან დაკავშირებით აერთიანებს სამ ეტაპს:

1. ჯგუფის მომზადება ექსკურსიისათვის;
2. საკუთრივ ექსკურსიის ჩატარება;
3. ექსკურსიის შემდგომი მუშაობა, რაც საექსკურსიო მასალის განმტკიცებას შეეხება.

ექსკურსიის წარმატებით ჩატარებისათვის მნიშვნელოვანია სწორად იქნეს შერჩეული საექსკურსიო მეთოდები. „მეთოდი“ ბერძნული სიტყვაა და გზას, კვლევისა და გადმოცემის ხერხს ნიშნავს. ტერმინი გამოიყენება რამდენიმე მნიშვნელობით:


1. მეთოდი - მიდგომა სინამდვილისადმი, ბუნებასა და საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებისადმი;
2. მეთოდი - თეორიული კვლევის ან პრაქტიკული საქმიანობის მიღწევის ხერხი და საშუალება;
3. მეთოდი - (ფილოსოფიური მნიშვნელობით) შემეცნების საშუალება, შესასწავლი საგნის გონებაში წარმოსახვის ხერხი.

საექსკურსიო მეთოდები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

გამოავლინოს შინაგანი კავშირები ცალკეულ მოვლენებსა და საგნებს შორის. განსაზღვროს საექსკურსიო ობიექტებში და მოვლენებში არსებითი და უმთავრესი და მის გარშემო მოახდინოს მთელი მასალის კონცენტრირება. დააკავშიროს შესასწავლი მასალა ადრე შესწავლილთან, არსებულ ცოდნასთან და გამოცდილებასთან.

როგორც აღვნიშნეთ, ნებისმიერი ექსკურსია რა თემაზეც არ უნდა იყოს ის, ან რა ფორმითაც უნდა ჩატარდეს, წარმოადგენს სამი კომპონენტის – მასწავლებლის, შესასწავლი ობიექტის და მოსწავლის ურთიერთმოქმედების შედეგს. ძირითადი, აღნიშნულ ურთიერთმოქმედებაში არის შემადგენელ კომპონენტთა აქტიურობა. აქ სასურველია დავსვათ კითხვა, თუ რა პირობები ზემოქმედებენ აღნიშნული სამი კომპონენტის აქტიურობაზე. ასეთ პირობად პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ჩვენება, შემდეგ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს თხრობა და ბოლოს, ასევე მნიშვნელოვანია დახვეწილი ტექნოლოგიური რუკა.

სამ კომპონენტს შორის კავშირი შესაძლებელია სქემატურად გამოვსახოთ სამკუთხედის სახით:



სადაც, ა- აღნიშნავს მოსწავლეებს; ბ – მასწავლებელს; გ – შესასწავლ ობიექტს.

ნებისმიერი სასწავლო დისციპლინის სწავლებისას მომზადებული სასწავლო ექსკურსია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პრინციპებს:

მეცნიერულობის პრინციპი მდგომარეობს ექსკურსიის შინაარსის თანამედროვე მეცნიერების მიღწევების გათვალისწინებით გადმოცემაში. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ექსკურსია უნდა ჩატარდეს მეცნიერული მონაცე-

მების შესაბამისად და არა ყურმოკრული ამბების გადმოცემით. შეფასებები, რომლებიც გამომდინარეობენ აღნიშნული ფაქტებიდან და მოვლენებიდან, ასევე უნდა ეყრდნობოდეს დარგობრივი, კონკრეტულ შემთხვევაში კი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიღწევებს.

თანამედროვეობის პრინციპი გამომდინარეობს საექსკურსიო მასალის დღევანდელობასთან უცილობელი კავშირიდან. თითოეული ექსკურსია ტარდება კონკრეტულ დროში და კონკრეტულ ადგილას, ამიტომ იგი უნდა ასახავდეს დღევანდელობას, არსებული სიტუაციას და მდგომარეობას. ყოველგვარი ტყუილი არსებული მდგომარეობის შელამაზებისათვის გამოყენებული, დიდ ზიანს აყენებს, როგორც ექსკურსიას, ასევე ხელს უწყობს მასწავლებლისადმი უნდობლობის გაჩენას.

მისაწვდომობის პრინციპი. ექსკურსიის წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გასაგებად იქნა გადმოცემული საექსკურსიო მასალა, თავისი შიანაარსით რამდენად იყო იგი გათვლილი მოცემულ აუდიტორიაზე. იგულისხმება მოსწავლეთა ცოდნის დონე, ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები და მზაობა მასალის შესათვისებლად.

დარწმუნების პრინციპი მნიშვნელოვანია იმით, რომ მასწავლებლის ოსტატობაზეა დამოკიდებული ირწმუნეს თუ არა მოსწავლეებმა მისი ნათქვამი. დაეჭვება ფაქტიურად ნიშნავს მიწოდებული ინფორმაციისადმი უნდობლობას. დარწმუნების გაძლიერება შესაძლებელია ფაქტების და მაგალითების შერჩევით, რისთვისაც მასწავლებელი იყენებს თვალსაჩინო შედარებებს, ობიექტების მარჯვედ შერჩევის პრინციპს, დარწმუნების მიზნით ახდენს ცნობილი გამონათქვამის, ან ციტატის დროულად მოშველიებას, ფოტო მასალის, რუკების, სქემების, დოკუმენტების დემონსტრირებას.

წარმოგიდგენთ სკოლაში სასწავლო ექსკურსიის ორგანიზების პროექტს.

პროექტის ზოგადი აღწერა: რომელიმე კონკრეტული თემის შესწავლისას მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, მოეწყოს სასწავლო ექსკურსია, რომელიც დაეხმარება მათ უფრო ღრმად შეისწავლონ ესა თუ ის საკითხი. აღნიშნული ექსკურსიის მოწყობა თავიდან ბოლომდე იგეგმება კლასში მოსწავლეების მიერ და მასწავლებლის მითითებებით. ამ პროექტზე მუშაობის პროცესი დაყოფილია ეტაპებად. თითოეული ეტაპისთვის დაგეგმილია დიფერენცირებული სამუშაოები, რომლის შესასრულებლად განსაზღვრუ-

ლია დრო. მიცემული დავალებების შინაარსის მიხედვით შემუშავდება **მუშაობის ფორმა** (ჯგუფური, ინდივიდუალური) და შეფასების კრიტერიუმები. პროექტის შესასრულებლად მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად და აძლევს სხვადასხვა სახის დავალებებს: მაგალითისთვის განვიხილოთ, რომელიმე ბუნების ძეგლის დასათვალიერებლად მოსაწყობი ექსკურსიის პროექტი: **პირველი ეტაპი** - პირველი ჯგუფი შეისწავლის ამ ძეგლის ისტორიას და ეპოქას, რომელსაც ეკუთვნის იგი; მეორე ჯგუფი შეისწავლის ამ ძეგლის გეოგრაფიულ მდებარეობას და გარემოს; მესამე ჯგუფი კი მოიძიებს და დაახასიათებს ბუნების ძეგლის მნიშვნელობას, ანუ რით არის იგი განსაკუთრებული. პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, ვიღებთ მთლიან სურათს. ვეცნობით ეპოქას, ვსწავლობთ ძეგლს და ვახასიათებთ მას.

მეორე ეტაპი – მოხდება თითოეული ჯგუფიდან ერთ-ერთი მოსწავლის (ამაზე თავად ჯგუფის წევრები შეთანხმდებიან ვინ მოახდენს პრეზენტაციას) მიერ მოძიებული მასალის პრეზენტაცია, რის შემდეგაც გაიმართება დისკუსია და მოხდება შესრულებული სამუშაოს შეფასება.

მესამე ეტაპი – უკვე მოძიებულ და არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით მოხდება ხარჯთაღრიცხვის წარმოება. გეოგრაფიული მონაცემებზე დაყრდნობით გავიგებთ თუ რა მანძილითაა დაშორებული ჩვენთვის საინტერესო ობიექტი, რის საფუძველზეც შეირჩევა ტრანსპორტის სახეობა და განისაზღვრება საწვავისა და საკვები ხარჯი.

მეოთხე ეტაპი – გადაწყდება ორგანიზაციული საკითხები. მასწავლებელი (ან კლასის დამრიგებელი) მოიწვევს მშობელთა კრებას, სადაც მშობლებს გააცნობს ექსკურსიის მოწყობის მიზნებსა და ამოცანებს. აგრეთვე მასწავლებელი ოფიციალურად მიმართავს სკოლის ადმინისტრაციას და ითხოვს ნებართვას კლასის ექსკურსიაზე წასაყვანად და სთხოვს ხარჯების ანაზღაურებას.

პროექტის მიზნები: პროექტის მიზანია მოსწავლეებმა არა მარტო შეისწავლონ სასწავლო პროგრამიდან გამომდინარე საკითხი და თვალსაჩინოდ გაეცნონ მას, არამედ მნიშვნელოვანია სასწავლო ექსკურსიის ჩატარებამ მოსწავლეებს გაულრმაოს ცოდნა სხვადასხვა საგანში. ხელი შეუწყოს მოსწავლის ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ, შრომით, პატრიოტულ აღზრდას, დაეხმაროს მას კულტურული, ესთეტიკური და სულიერი ღირებულებების ჩამოყალიბებაში.

პროექტზე მუშაობისას მოსწავლეს გამოუმუშავდება შემდეგი **უნარ-ჩვევები**:

ინფორმაციის მოპოვებისა და ორგანიზების უნარი; საგნებსა და მოვლენებზე უშუალო დაკვირვებისა და სივრცეში ორიენტაციის უნარი; თანამშრომლობის უნარი; საკითხისადმი შემოქმედებითი მიდგომის უნარი; კვლევითი საქმიანობის უნარი.

მოსალოდნელი შედეგები: პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების შემდეგ მოსწავლეები წერენ ესეე-ს. აკეთებენ ფოტოალბომს და ვიდეო-კოლაჟს.

შესაძლო აქტივობები კლასში: მოსწავლეები ეჩვევიან სხვადასხვა წყაროებზე მუშაობას და მარტივი კვლევის ჩატარებას, ასევე ახდენენ შეგროვებული მასალის პრეზენტაციას, რაც უვითარებს თვითშემოქმედებითობას. იმართება დისკუსიები, რაც ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას, სხვისი აზრის მოსმენისა და პატივისცემის კულტურას. **სარგებელი სხვებისთვის**: აგროვებენ ინფორმაციას ბუნების ძეგლებზე და მიღებულ გამოცდილებას უზიარებენ სხვებს.

ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და საგნებთან კავშირი: ამ პროექტის განხორციელებით მოსწავლეებს გაუუმჯობესდებათ უნარები სხვადასხვა საგნებში.

ისტორია – შეისწავლიან სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით ამა თუ იმ ბუნების ძეგლის ისტორიას და ეპოქას. ბუნება – უჩნდებათ პირადი დამოკიდებულება ბუნებაში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების მიმართ. გეოგრაფია – შეისწავლიან ადგილის მდებარეობას და გარემოს. ლიტერატურა – თუ რომელი მწერლის შემოქმედებაში ჰპოვა ასახვა ბუნების ძეგლმა თუ ფაქტმა. არსებობს თუ არა რაიმე ხალხური თქმულებები ამის შესახებ. ხელოვნება – გამოუმუშავდებათ ბუნების ნიმუშების ესთეტიკური აღქმის უნარი. მათემატიკა – გამოითვლიან მანძილს, განსაზღვრავენ ხარჯებს.

მოსწავლეები ფასდებიან ჯგუფური მუშაობის დროს. შეფასება განისაზღვრება შემდეგი კრიტერიუმებით: ორგანიზებულობა - 30%, ჩართულობა - 30%, პრეზენტაცია - 40%

საბოლოო შედეგი: გონივრულად დაგეგმილი ნებისმიერი სასწავლო ექსკურსია გამოიღებს მაქსიმალურ შედეგს. მოსწავლეები გაიღრმავებენ ცოდნას სხვადასხვა საგანში. გამოიმუშავებენ დამოუკიდებელი კვლევის

უნარ-ჩვევებს, ისწავლიან სხვადასხვა წყაროს გამოყენებას. პრეზენტაციის დროს განუვითარდებათ შემოქმედებითობა, დისკუსიის დროს კი, ისწავლიან კრიტიკული აზრის გამოთქმას და სხვებისათვის გაზიარებას. გამოუმუშავდებათ თანამშრომლობითი მუშაობის და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევები. სწორად დაგეგმილი ექსკურსია ხელს შეუწყობს მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოებას.

სწავლების ორგანიზების ერთ-ერთ დამხმარე ფორმად ითვლება სემინარული მეცადინეობა, რომელიც სასკოლო პრაქტიკაში დაინერგა გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან. აკადემიკოსი დ. ლორთქიფანიძე სემინარული მეცადინეობის სამ სახეს გამოყოფს (ლორთქიფანიძე, 1960:191).

1. სემინარი, რომლის ძირითადი ამოცანაა შესწავლილი მასალის მთლიანი კურსის გაღრმავება;

2. სემინარი, რომლის მიზანია ცალკეული პრობლემის თუ თემის გაღრმავებული დამუშავება;

3. სემინარი, რომელიც ეწყობა საგანგებო კვლევითი მიზნით მოცემული სასწავლო დისციპლინის სასწავლო პროგრამისაგან სრულიად დამოუკიდებლად (სპეცსემინარი).

სემინარის სწორი ორგანიზაცია მოითხოვს სემინარის თემების, განსახილველი საკითხების ზუსტად განსაზღვრას და დროულად შერჩევას, შესაბამისი წყაროების მითითებას, რეკომენდაციას თემის სტრუქტურისა და სხვა ძირითადი მოთხოვნების შესახებ. სემინარულ მეცადინეობას საზეიმო სახე აქვს. მასზე შეიძლება მოწვეული იქნას მშობლები, მეგობრები, საზოგადოების სხვა წევრები. სასკოლო სემინარში მოსწავლეები თავიანთი სურვილით არიან ჩართულნი. შესაბამისად, მაღალი აქტიურობით გამოირჩევიან, სწავლობენ წყაროებზე დამოუკიდებელ მუშაობას, საფუძველი ეყრება კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებას.

სწავლების ორგანიზაციის დამხმარე ფორმას წარმოადგენს ასევე წრეობრივი მეცადინეობები, სასკოლო და სკოლისგარეშე კონფერენციები. კლასგარეშე მუშაობის ფორმები ორიენტირებულია მოსწავლეთა აკადემიური უნარების უფრო ღრმა და საფუძვლიან განვითარებაზე. შესაძლებელია მოსწავლეების მიერ მომზადებული და დამუშავებული კვლევითი ხასიათის ნაშრომები გასცდეს სკოლის ფარგლებს და ის საზოგადოების სხვა წევრების ჩართულობით იქნას განხილული და შეფასებული.

ამის საუკეთესო მაგალითია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პედაგოგიურ მეცნიერებათა დეპარტამენტის, სტუდენტთა და მოსწავლეთა ურთიერთთანამშრომლობის კლუბის „სკოუნი“-ს დაარსება, რომლის ფარგლებში წლების მანძილზე მზადდება სამეცნიერო კონფერენცია „სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები“. აღნიშნულ კონფერენციაში უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად მონაწილეობას ღებულობენ სკოლის მოსწავლეები. კონფერენციაზე ხდება აქტუალური პრობლემების საჯარო განხილვა, დისკუსიის გამართვა და მნიშვნელოვანი რეკომენდაციების შემუშავება.

აღნიშნული ტიპის სკოლისგარეშე ღონისძიებაში მოსწავლეთა ჩართულობა ხელს უწყობს როგორც მაღალი აკადემიური უნარების გამომუშავებას, ასევე სოციალური ურთიერთობების გაღრმავებასა და მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოებას, სწორი პროფორიენტაციის ჩამოყალიბებას.

თემა 13. მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასება

ლექციაზე განსახილველი საკითხები:

1. შეფასების მიზნები;
2. შეფასების ტიპები;
3. შეფასების სქემების შექმნა და გამოყენება;
4. შეფასების პრინციპები;
5. შეფასების მეთოდები.

შეფასება, შეფასების მიზნები. მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება და შეფასება პედაგოგიური პროცესის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის შექმნამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია საგანმანათლებლო სივრცეში. მათ შორის უპირველესი არის ის, რომ „საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე, მისი განვითარების პროცესი და მის მიერ მიღწეული შედეგი. შედეგზე ორიენტირება გულისხმობს მოსწავლისათვის მიწოდებული ინფორმაციის არა მხოლოდ დამახსოვრებას, არამედ ამ ინფორმაციის მყარ, დინამიურ და ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნას“ (ეროვნული სასწავლო გეგმა, 2018:5). ორიენტაცია თითოეულ მოსწავლესა და მის მიერ მიღწეულ შედეგზე თვისობრივად ცვლის შეფასების სისტემასაც. შეფასების საშუალებით განისაზღვრება იმ სასწავლო შედეგების მიღწევის ხარისხი, რომლებიც საგნობრივი პროგრამის სტანდარტით არის გათვალისწინებული.

შეფასება არის რაიმე საგნის, მოვლენის, პროცესის ან ვინმეს შესაბამისობის/ მიმართების დადგენა წინასწარ განსაზღვრულ ნიშან-თვისებებთან (კრიტერიუმებთან). შეფასებით მასწავლებელი ადგენს მოსწავლეთა მიღწევების შესაბამისობას სასწავლო გეგმითა და საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

ცოდნის შემოწმებისა და შეფასებით ხორციელდება: 1. დროის განსაზღვრულ მონაკვეთში (გაკვეთილი, თვე, სემესტრი, წელიწადი) მოსწავლეთა მიერ შეთვისებული ცოდნის სისტემაში მოყვანა; 2. მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის გამომჟღავნება და ამ ცოდნის დიფერენცირებულად შეფასება; 3. სწავლაში ცალკეული მოსწავლის, მთელი კლასის ნაკლისა

და ჩამორჩენის გამოვლენა; 4. მოსწავლეში თავისი მოვალეობის შეგნების, პასუხისმგებლობის გრძნობის, საკუთარ ძალებსა და შესაძლებლობებში დარწმუნებულობის აღზრდისათვის ხელის შეწყობა. 5. შეძენილი ცოდნის მოცულობისა და ხარისხისათვის პირადი პასუხისმგებლობის აღზრდა მოსწავლეში (ლორთქიფანიძე, 1981:246). აქედან გასაგებია, რომ ცოდნის შემოწმება—შეფასებას არა მარტო განმავითარებელი და საგანმანათლებლო, არამედ აღზრდებლობითი ფუნქციაც აქვს.

მოსწავლეთა აკადემიური წარმატების შემოწმება—შეფასების სწორად წარმართვა წარმოადგენს იმ ურყევი პედაგოგიური დებულების განხორციელების ერთ—ერთ აუცილებელ პირობას, რომლის თანახმად, ყველა მომდევნო ცოდნა დაფუძნებული უნდა იყოს წინაზე, „დღევანდელი განამტკიცებდეს გუშინდელს და გზას უხსნიდეს ხვალინდელს" (კომენსკი). მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება—შეფასება სკოლის მთელი მუშაობის აღრიცხვის საფუძველია, საზომი ინსტრუმენტი, რომელიც ასახავს როგორც სკოლის მუშაობაში მოპოვებულ წარმატებას და ნაკლს, ასევე სკოლის განვითარების პერსპექტივას.

მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება—შეფასება წარმოადგენს არა მარტო ვიწრო პედაგოგიურ, სასწავლო—სააღზრდებლო ხასიათის ღონისძიებას, არამედ სახელმწიფოებრივი კონტროლის ფორმასაც. შეფასებას აქვს შემდეგი ძირითადი მიზნები:

1. მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა და მოსწავლის სწავლის ხელშეწყობა;

2. სწავლების კონკრეტული მეთოდიკის და სასწავლო პროგრამების ეფექტიანობის შემოწმება და სრულყოფა (ტყემალაძე..., 2008:74)

შეფასებას აქვს ორი განსხვავებული ფუნქცია: სწავლის პროცესის შეფასება—მიმდინარე შეფასება და პროდუქტის/შედეგების/მიღწევების შეფასება—შემაჯამებელი შეფასება; ტრადიციულად ცნობილია შეფასების შემდეგი სახეები: 1. მიმდინარე შემოწმება და შეფასება, 2. სემესტრული შემოწმება და შეფასება, 3. წლიური შემოწმება და შეფასება/გამოსაშვები გამოცდები. თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში დამკვიდრებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება აფასებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. გან-

მავითარებელი შეფასება გამოიყენება კონკრეტული თემის/საკითხის შესწავლისას. **განმავითარებელი შეფასების** მიზანია დაადგინოს, თუ რამდენად კარგად გაიგო/გაიაზრა მოსწავლემ ესა თუ ის საკითხი; დაეხმაროს მოსწავლეს უნარების დახვეწაში სხვადასხვა რჩევის, რეკომენდაციის თუ პრობლემის გადაჭრის გზების შემუშავებაში. ეს ეხმარება მასწავლებელს სწორად დაგეგმოს სწავლება და მიაღწიოს სასწავლო მიზნებს. განმავითარებელი შეფასების ტიპური ფორმებია: ზეპირი და წერილობითი კომენტარები, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა, რომლებიც აღწერს მოსწავლის ძლიერ და სუსტ მხარეებს.

რატომ უნდა გამოვიყენოთ განმავითარებელი შეფასება? (კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე, 2005 :330)

1. განმავითარებელი შეფასება აძლიერებს მოსწავლის რეფლექსიას სწავლის პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ. ამით ის ხელს უწყობს მოსწავლეთა გააქტიურებას და თვითმონიტორინგს.

2. განმავითარებელი შეფასებისას მოსწავლეთა აზროვნებისა და შემეცნების პროცესები უფრო თვალსაჩინო ხდება როგორც თვით მოსწავლეებისათვის, ისე მასწავლებლისათვის. ეს ეხმარება მასწავლებელს ადეკვატური მეთოდებისა და სასწავლო რესურსების შერჩევაში.

3. განმავითარებელი შეფასება მოსწავლეებს ეხმარება იმის გაცნობიერებაში, თუ რას სწავლობენ და რამდენად კარგად ეუფლებიან ცოდნას.

4. განმავითარებელი შეფასება გვეხმარება იმის განსაზღვრაში, თუ რამდენად მზადაა ბავშვი, რომ ცოდნა და უნარები ახალ სიტუაციებში გამოიყენოს.

5. განმავითარებელი შეფასება გვეხმარება სწავლების დიფერენცირებაში, ჯგუფების სწორად დაკომპლექტებაში და მოსწავლეებისთვის ადეკვატური დავალებების შერჩევაში.

6. მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასებით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მასწავლებელს შეუძლია შეაფასოს ჩატარებული გაკვეთილის ეფექტურობა.

7. განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარების განვითარებას.

8. განმავითარებელი შეფასება ეხმარება სასწავლო პროცესის მონაწილეებს კონსტრუქციული უკუკავშირის გაცემასა და გამოყენებაში (მასწავლებელი-მოსწავლე, მოსწავლე-მოსწავლე, მოსწავლე-მასწავლებელი)

9. განმავითარებელი შეფასების მეშვეობით მასწავლებელი ღებულობს ინფორმაციას და გადაწყვეტილებებს სწავლების პროცესში დაუყოვნებლივ ან მოგვიანებით შესატანი შესწორებების შესახებ.

10. განმავითარებელი შეფასება კომფორტს უქმნის და თავდაჯერებას მატებს მოსწავლეს მოსაზრებების საჯაროდ გამოხატვისას.

განმსაზღვრელი შეფასება ზომავს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. განმსაზღვრელ შეფასებაში იწერება ქულა. **განმსაზღვრელი შეფასების მიზანია** მოსწავლეთა მიღწევების დონის განსაზღვრა გეგმასთან და სასწავლო მიზნებთან მიმართებაში. განმსაზღვრელ შეფასებას მასწავლებელი მოსწავლეს უწერს კონკრეტული თემის ან საკითხის დასრულების შემდეგ, სემესტრის ან სასწავლო წლის ბოლოს. მასწავლებელი იყენებს სხვადასხვა „შემაჯამებელ“ აქტივობებს: პრეზენტაცია, პროექტის განხილვა, ტესტი, საკონტროლო წერა. ის შედეგზეა ორიენტირებული და აისახება ქულით.

მიმდინარე შეფასება რაიმე თემის შესწავლის ან მიზნის მისაღწევი პროცესის მიმდინარეობისას მიღწევის შეფასებაა – ყოველდღიური საშინაო დავალებების, პროექტის ერთი რომელიმე ეტაპის ან სულაც, გაკვეთილზე ჩართულობის შეფასება. მიმდინარე შეფასება ძირითადად ყოველდღიურ საგაკვეთილო პროცესში სემესტრის/სასწავლო წლის განმმავლობაში ხდება.

შემაჯამებელი შეფასება აჯამებს მოსწავლის ცოდნას რაიმე თემის ან პროექტის დასრულების შემდეგ, იგი გარკვეული დროის მონაკვეთის ბოლოს სემესტრის ან წლის ბოლოს გამოყენებული შეფასებაა.

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები (ესგ 2011-2016) (სასწავლო პროცესის დაგეგმვა, მართვა, შეფასება, 2017 :129)

	განმავითარებელი	განმსაზღვრელი
მიზანი	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა	სწავლის ხარისხის გაკონტროლება; მოსწავლის მიღწევის დონის დადგენა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში; აკადემიური მოსწრების დონის განსაზღვრა
შეფასების საგანი	სწავლის პროცესი	სწავლის შედეგი
შეფასების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება	წინსვლის ხელშესაწყობად განსხვავებული აქტივობის შერჩევა, სწავლების სტრატეგიის შეცვლა, რჩევა-დარიგების მიცემა და სხვ.	მომდევნო ეტაპზე (კლასში/საფეხურზე) დაშვება/არდაშვება
წარმართების კრიტერიუმების განსაზღვრა	კონკრეტული მოსწავლის წინსვლის საფუძველზე (საკუთარ მიღწევებთან მიმართებით - რა დონეს ფლობდა, რა დონეს ფლობს)	იმის საფუძველზე, თუ რამდენად მიაღწია სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს (ყველა სათვის საერთო, სტანდარტით დადგენილ ნორმასთან მიმართებაში)
შეფასების საშუალებები	თვით/ურთიერთშეფასების რუბრიკა; კითხვარი; სიტყვიერი (ზეპირი/წერილობითი) კომენტარი; უნარის განვითარების დონის აღწერა.	ქულა

მიმდინარე შეფასება ხდება ყოველ გაკვეთილზე, ყოველდღე, ყოველი აქტივობის დროს. არ არის სავალდებულო, რომ მიმდინარე შეფასება ყოველთვის ქულებით შეფასდეს, იგი შეიძლება იყოს როგორც განმავითარებელი, ასე განმსაზღვრელი.

რით არის მნიშვნელოვანი ასეთი ტიპის შეფასება? მნიშვნელოვანია ის, რომ შეფასების აღნიშნული ფორმა მოსწავლის მრავალმხრივი შესწავლის საშუალებას გვაძლევს. კერძოდ, რა სახის საქმიანობა იზიდავს და რა არა, როგორია მისი სწავლის სტილი (სწავლობს მოსმენით, კითხვით, წერით, კეთებით, აქვს მთლიანობითი აღქმა თუ საგნებსა და მოვლენებს დანაწევრებულად აღიქვამს, თეორეტიკოსია თუ პრაგმატიკოსია და ა.შ.), რა უძნელდება, რა უადვილდება, შეუძლია თუ არა კონცენტრაცია, აქვს თუ არა წინსვლა, თუ არა, რა არის წარუმატებლობის მიზეზი ან რა განაპირობებს მის წარმატებას, აქვს თუ არა განვითარებული მაღალი საზოგადოებრივი და სოციალური უნარები, როგორია მისი ინტერესების სფერო, ინდივიდუალური თავისებურებები, რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვს. მიმდინარე შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია არა იმდენად ქულების დაწერა (ნიშნით შეფასება), რამდენადაც რჩევები, რა და როგორ გააუმჯობესოს. მიმდინარე, ანუ ფორმატული შეფასება მოსწავლის შესახებ ამომწურავ, მრავალმხრივ ინფორმაციას იძლევა და ობიექტურობის გარანტია.

ამასთან, მიმდინარე შეფასება მასწავლებელს აძლევს საკუთარი ყოველდღიური საქმიანობის რეფლექსიის შესაძლებლობას. იმაზე დაყრდნობით, რამდენად მიაღწია მასწავლებელმა საგაკვეთილო მიზანს, რა ცოდნა და უნარ-ჩვევები გამოავლინეს მოსწავლეებმა, რა დაძლიეს და რა ვერა, მას შეუძლია შეაფასოს დაგეგმილი აქტივობების ეფექტიანობა, შერჩეული მასალის სირთულე, კლასის მართვის, ორგანიზების უნარი და სხვ.

შემაჯამებელი შეფასება ადგენს მოსწავლის წარმატებას სწავლებისა და სწავლის კონკრეტულ ეტაპზე: თემის დასრულებისას, სემესტრის ბოლოს, სასწავლო წლის ბოლოს. ასეთი შეფასებისას მოწმდება ის, თუ რამდენად მიაღწია მოსწავლემ სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგს/შედეგებს. სწორედ შემაჯამებელი შეფასების შედეგების ანალიზზე დაყრდნობით ვაკეთებთ დასკვნას, რამდენად შესრულდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნები.

მიმდინარე განმსაზღვრელი შეფასება აფასებს ყოველდღიური დავალებების შესრულებას, გაკვეთილზე ჩართულობას, პროექტის რომელიმე ეტაპს, რომელშიც ნიშანი იწერება.

მიმდინარე განმავითარებელი შეფასება აფასებს ყოველდღიურ დავალებების შესრულებას, გაკვეთილზე ჩართულობას, პროექტის რომელიმე ეტაპს, რომლითაც ვუხსნით როგორ გააუმჯობესოს შედეგი.

შემაჯამებელი განსაზღვრელი შეფასება რაიმე თემის, დროის მონაკვეთის, პროექტის ბოლოს მიღებული ნიშანია.

შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასება რაიმე თემის, დროის მონაკვეთის, პროექტის ბოლოს მიღებული სიტყვიერი შეფასებაა კომენტარით, რუბრიკით.

შეფასების სქემების, კრიტერიუმების შექმნა და გამოყენება. უპირველესად განვსაზღვროთ რა არის გაკვეთილის სასწავლო მიზანი. სწავლა/სწავლება მისაღწევი შედეგებიდან იგეგმება. შედეგამდე მისასვლელად კი მასწავლებელი განსაზღვრავს სასწავლო მიზნებს და გეგმავს იმ აქტივობებს, რომელთა შესრულებაც საჭირო მათ მისაღწევად. კარგად გაწერილი, ესგ-ზე მორგებული სასწავლო მიზნები მოსწავლეებისათვის გზამკვლევის, რუკის, კომპასის ფუნქციას ასრულებს და ზრდის მათ მოტივაციას, რომ შედეგს მიაღწიონ. ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი პროგრამის მისაღწევი შედეგები მოიცავს: ცოდნას, უნარ-ჩვევებს, დამოკიდებულებას, ამიტომ გაკვეთილების სასწავლო მიზანი სტანდარტის ენაზე უნდა ჩამოყალიბდეს უნდა მოიცავდეს მათ.

ეროვნული სასწავლო გეგმა წარმოადგენს მასწავლებლის ძირითად ორიენტირს, რათა განსაზღვროს, რა შედეგებს უნდა მიაღწიონ მოსწავლეებმა სასწავლო წლის ბოლოს. სტანდარტები მოცულობითია და მათი მიღწევა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია ერთ გაკვეთილზე. ამიტომ მასწავლებელი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგამდე მისასვლელად მას ჰყოფს თემატურ ერთეულებად. ამის შემდეგ მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა მოსწავლეებს გააცნოს ან მათთან ერთად დასახოს კონკრეტული თემატური ერთეულის მიზანი/მიზნები. ერთი თემის შესწავლას შესაძლოა რამდენიმე გაკვეთილი ან მთელი სემესტრი დასჭირდეს. შესაბამისად, თემატური ერთეულის მიზანი აღწერს, რა უნდა ისწავლოს მოსწავლემ შედარებით ხანგრძლივი დროის განმავლობაში (ხუნძაყიშვილი, 2018 :17).

მას შემდეგ, რაც შეირჩა შესასწავლი თემატური ერთეული და ჩამოყალიბდება მიზანი, მასწავლებელი ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნო-

ბით განსაზღვრავს გაკვეთილების რაოდენობას და გაწერს თითოეული გაკვეთილის მიზანს.

მაგალითად,

საგანი	თემა	სასწავლო მიზანი სტანდარტის მიხედვით
მათემატიკა	პროცენტის კავშირი რიცხვის ნაწილებთან	მოსწავლე ანგარიშისას იყენებს პროცენტის კავშირს რიცხვის ნაწილებთან, პოულობს მოცემული რიცხვის პროცენტს, ხსნის შებრუნებულ ამოცანას.

რა კავშირი არსებობს სასწავლო მიზანსა და შეფასების კრიტერიუმებს შორის? გაკვეთილის სასწავლო მიზანი გაკვეთილის ბოლოს შედეგად გადაიქცევა.

- როგორ გაიზომოს შედეგი? სწორედ ამისათვის არის საჭირო კრიტერიუმი.

- რის მიხედვით ყალიბდება კრიტერიუმები? გაკვეთილის სასწავლო მიზნის შესაბამისად!

- როგორ?

გთავაზობთ კონკრეტულ მაგალითს:

გაკვეთილის სასწავლო მიზანი	შეფასების კრიტერიუმები
მოსწავლე ანგარიშისას იყენებს პროცენტის კავშირს რიცხვის ნაწილებთან, პოულობს მოცემული რიცხვის პროცენტს, ხსნის შებრუნებულ ამოცანას.	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლე ანგარიშისას იყენებს პროცენტის კავშირს რიცხვის ნაწილებთან. 2. მოსწავლე პოულობს მოცემული რიცხვის პროცენტს. 3. მოსწავლე ხსნის შებრუნებულ ამოცანას

როგორც, ხედავთ სასწავლო მიზანში რამდენი ზმნა ანუ ოპერაცია არის მოცემული იმდენი შეფასების კრიტერიუმია საჭირო შედეგების გასაზომად. ეს საშუალებას აძლევს პედაგოგს (შემფასებელს) თითოეული ოპერაცია შეუფასოს მოსწავლეს; ანუ დაუკონკრეტოს რა გააკეთა კარგად და რა ვერ გააკეთა. შეფასების კრიტერიუმების გამოყენებით მასწავლებელი ადგენს შეფასების რუბრიკას და თითოეულ კრიტერიუმს შლის დონეების მიხედვით. გთავაზობთ კონკრეტულ მაგალითს.

საგანი: მათემატიკა (სასწავლო პროცესის დაგეგმვა, მართვა, შეფასება, 2017:139)

კლასი: VII

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგი - მოსწავლე ანგარიშისას იყენებს პროცენტის კავშირს რიცხვის ნაწილებთან, პოულობს მოცემული რიცხვის პროცენტს, ხსნის შებრუნებულ ამოცანას.

	1-3	4-5	6-7	8-10
მოსწავლე ანგარიშისას იყენებს პროცენტის კავშირს რიცხვის ნაწილებთან	მოსწავლემ იცის ნაწილის ცნება, მაგრამ ვერ აკავშირებს პროცენტთან	მოსწავლემ იცის ნაწილი და ცდილობს პროცენტთან დაკავშირებას	მოსწავლემ იცის ნაწილი და უმეტესად აკავშირებს პროცენტთან.	მოსწავლემ იცის ნაწილი, აკავშირებს პროცენტთან, ირჩევს დაკავშირების ოპტიმალურ ფორმას
პოულობს მოცემული რიცხვის პროცენტს	მოსწავლე ცდილობს იპოვოს რიცხვის პროცენტი	მოსწავლე სრულყოფილად ვერ პოულობს პროცენტს	მოსწავლე პოულობს პროცენტს	მოსწავლე პოულობს პროცენტს, აქვს გამოყენებული გამოთვლების ოპტიმალური ხერხი
ხსნის შებრუნებულ ამოცანას	მოსწავლე ცდილობს ამოცანის ამოხსნას, მაგრამ ვერ პოულობს ამოცანის ამოხსნის გზას	მოსწავლე პოულობს ამოცანის ამოხსნის გზას, მაგრამ ვერ ასრულებს ამოცანას	მოსწავლე პოულობს ამოცანის ამოხსნის გზას, მაგრამ ხსნის ამოცანას ხარვეზებით	მოსწავლე ხსნის ამოცანას, აქვს ამოცანის ამოხსნის ოპტიმალური გზა გამოყენებული

არსებობს განსხვავებული ტიპის და დანიშნულების შეფასების სქემები. იმისდა მიხედვით თუ რა მიზანს ისახავს კონკრეტული შეფასება და როგორ

მიიღწევა ეს მიზანი. განასხვავებენ: ანალიტიკურ, ჰოლისტურ, ზოგად და კონკრეტული შეფასებების სქემებს.

განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე. ისეთ შემთხვევებში, როდესაც მასწავლებელს სურს, რომ მოსწავლის ცოდნა შეაფასოს ორი ან მეტი კრიტერიუმის მიხედვით იგი იყენებს ან ქმნის ანალიტიკური შეფასების სქემას. ზემოთ მოცემული შეფასების სქემა ანალიტიკურია. რადგანაც ის 3 კრიტერიუმს შეიცავს.

არის შემთხვევები, როდესაც შეფასების სქემის დაყოფა ორ ან მეტ დამოუკიდებელ მახასიათებლად აუცილებელი არ არის ან უბრალოდ ვერ ხერხდება. ასეთ შემთხვევაში მასწავლებელი ქმნის ან იყენებს ჰოლისტური შეფასების სქემას. ჰოლისტური შეფასების სქემის გრაფებში გაერთიანებულია ყველა კრიტერიუმი და ყველა მახასიათებელი, რის მიხედვითაც მასწავლებელს სურს მოსწავლის ნამუშევარი შეაფასოს. მოსწავლის პასუხის ხარისხი ფასდება ზოგადად და არა კონკრეტული მახასიათებლების მიმართ. განვიხილოთ თხზულების ჰოლისტური შეფასების სქემის ნიმუში:

ჰოლისტური შეფასების სქემა

დავალების მოთხოვნას პასუხობს სრულად. აზრი მკაფიოდ და თანმიმდევრულად არის გადმოცემული. გრამატიკა და ლექსიკა მოთხოვნის შესაბამისია. შეცდომების რაოდენობა უმნიშვნელოა.	3
დავალების მოთხოვნას პასუხობს ნაწილობრივ. აზრი თანამიმდევრულად მხოლოდ ზოგ შემთხვევაშია გადმოცემული. გრამატიკა და ლექსიკა მოთხოვნაზე მარტივია. შეცდომების რაოდენობა ზოგ შემთხვევაში ხელს უშლის აზრის გაგებას.	2
დავალების მოთხოვნას პასუხობს მცირედ. აზრის გაგება ჭირს. გრამატიკული და ლექსიკური შეცდომები არის წინადადებების უმეტესობაში.	1
ნაწერი დავალებას არ პასუხობს, ან აზრის გაგება შეუძლებელია, ან ფურცელი ცარიელია.	0

ანალიტიკური და ჰოლისტური შეფასების სქემის გარდა შეფასების სქემა შეიძლება ზოგადი და კონკრეტული.

1. დავალებათა ან უნარ-ჩვევათა ერთობლიობის შესაფასებლად გამოიყენება **ზოგადი შეფასების სქემა**.

2. ერთი კონკრეტული დავალების შესაფასებლად გამოიყენება **კონკრეტული შეფასების სქემა**.

მაგალითად, სტანდარტის შესაბამისად, თუ მასწავლებლის მიზანია მოსწავლეებში პრეზენტაციის ან ინფორმაციის მოძიების უნარის განვითარება, მასწავლებელი ქმნის შეფასების სქემას, რომლის გამოყენება შესაძლებელია მრავალჯერ. გათვალისწინებულია ზოგადი შეფასების სქემის ნიმუში.

ინფორმაციის მოძიების შეფასება				
თარიღი:				
მოსწავლე	შეფასების კრიტერიუმები			
	ინფორმაციის წყაროების არჩევა	მოძიებული ინფორმაციის კვლევის მიზანთან შესაბამისობა	მოძიებული ინფორმაციის ორგანიზება	ქულათა მაქსიმალური რაოდენობა
	0-3	0-4	0-3	10
1.				
2.				
3.				

ქვემოთ მოცემულია ტექსტური ამოცანის შეფასების სქემის ნიმუში მათემატიკაში, ამონარიდი ეროვნული სასწავლო გეგმიდან

საფეხურები	ქულა
ამოცანის მონაცემების ორგანიზება	
ამოხსნისათვის საჭირო მონაცემების ამოკრევა ამოცანის ტექსტიდან	0 – 1
მონაცემების ორგანიზება და ისეთი ხერხით ჩაწერა, რომელიც აადვილებს ამოხსნის გზის მოძებნას	0 – 1
ადეკვატური აღნიშვნების შემოტანა	
საძიებელი სიდიდეების გამოყოფა	0 – 1

საძიებელი სიდიდეებისათვის ასოითი აღნიშვნების შემოღება	0 – 1
მათემატიკური ობიექტებისა და პროცედურებისათვის სწორი აღნიშვნების გამოყენება (მაგალითად: ფუნქციის, ალგებრული მოქმედების)	0 – 1
ამოხსნის გზის მოძებნა	
განტოლების შედგენის წინმსწრები მსჯელობა	0 – 1
განტოლების შედგენა	0 – 1
ამოხსნის გზის რეალიზება და პასუხის მიღება	
განტოლების ამოხსნის ხერხის მოძებნა	0 - 1
განტოლების ამოხსნა და პასუხის მიღება	0- 1

შეფასების სქემების მრავალფეროვნების მიუხედავად მოთხოვნები მათ მიმართ ერთნაირია. აუცილებელია ვიცოდეთ და დავიცვათ შეფასების ძირითადი პრინციპები: სანდოობა, ვალიდურობა, ობიექტურობა, გამჭვირვალობა (ტყემალაძე, 2008: 76).

- შეფასება **სანდოა** იმ შემთხვევაში, როდესაც შეფასების შედეგები იდენტურია, მიუხედავად იმისა, თუ ვინ, სად ან როდის აფასებს მოსწავლის მიერ ერთი და იმავე საკითხის ცოდნას. მაგალითად, შეფასება სანდო იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: სხვადასხვა მასწავლებელი ერთნაირ პასუხს ერთნაირად აფასებს; ერთი მასწავლებელი ერთსა და იმავე პასუხს ყოველთვის ერთნაირად აფასებს. შეფასების სანდოობას უზრუნველყოფს მკაფიოდ ჩამოყალიბებული საკითხები და დავალების ინსტრუქციები, ზუსტად განსაზღვრული შეფასების რუბრიკები/კრიტერიუმები და გამსწორების კვალიფიკაცია.

შეფასება **ვალიდური**, ანუ მიზანთან შესაბამისია, როდესაც მასწავლებელი აფასებს ზუსტად იმას, რის შეფასებასაც იგი ამ კონკრეტულ შემთხვევაში ისახავს მიზნად. მაგალითად, თუ შეფასების მიზანია კომუნიკაციის დროს კონკრეტული ლექსიკური ერთეულების გამოყენების უნარის შემოწმება, ხოლო დავალება მიმართულია გრამატიკის შეფასებაზე, მაშინ ამ დავალებით თავდაპირველ უნარს ვერ გავზომავთ და შეფასებაც არავალიდური, ანუ მიზანთან შეუსაბამო იქნება. შეფასების სქემა უნდა ამოწმებდეს მხოლოდ იმას რის შემოწმებასაც ისახავს მიზნად და სხვას არაფერს.

შეფასება **ობიექტურია** იმ შემთხვევაში, როდესაც შეფასების შედეგები არ არის დამოკიდებული შემფასებლის პირად მოსაზრებებზე, მის პიროვ-

ნულ სურვილებზე ან დამოკიდებულებებზე. ამისათვის კი აუცილებელია შეფასების კრიტერიუმები და სქემები იმდენად მკაფიო და ცალსახა იყოს, რომ სუბიექტური გადაწყვეტილებებისათვის ადგილი არ რჩებოდეს.

შეფასება გამჭვირვალე ანუ ღიაა იმ შემთხვევაში, როდესაც შეფასების მექანიზმები და კრიტერიუმები ცნობილია ყველა დაინტერესებული პირისთვის, უპირველესად მოსწავლეებისათვის. შესაძლებელია, რომ მოსწავლეები თავადაც იღებდნენ მონაწილეობას შეფასების კრიტერიუმების დადგენაში და შეფასების სქემების შემუშავებაში. ამით მათ საკუთარი ცოდნის შეფასების მიმართ სამართლიანობის გრძნობა უყალიბდებათ, შეფასების პროცესი კი გამჭვირვალე ხდება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია შევაჯამოთ:

- შეფასების სქემები, არის მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმებისა და მათი გამოყენების წესების ერთობლიობა, რომლის მიხედვითაც ფასდება მოსწავლის მოსწრება ამა თუ იმ აქტივობაში ან საგანში;
- არსებობს განსხვავებული ტიპის და დანიშნულების შეფასების სქემები. იმისდა მიხედვით თუ რა მიზანს ისახავს კონკრეტული შეფასება და როგორ მიიღწევა ეს მიზანი, განასხვავებენ ანალიტიკურ და ჰოლისტურ, ზოგად და კონკრეტულ შეფასების სქემებს;
- დროის გარკვეული მონაკვეთის განმავლობაში ერთი და იმავე შეფასების სქემის სისტემატურად გამოყენება და შედეგების შედარება მოსწავლის განვითარების ეფექტური საშუალებაა;
- სასურველია, რომ მასწავლებელმა შეფასების სქემის შექმნის პროცესში ჩართოს მოსწავლეები. ეს მოსწავლეებს საშუალებას მისცემს უფრო კარგად გაერკვენ იმაში თუ რას ითხოვენ მათგან.

თანამედროვე ლიტერატურაში (რ. ტყემალაძე, ნ. დალაქიშვილი.... „სწავლება და შეფასება“; ლ. ლლონტი „სწავლებისა და შეფასების მეთოდები“ და სხვა) ასახელებენ შეფასების შემდეგ პრინციპებს: სანდოობა; ვალიდურობა; ობიექტურობა; გამჭვირვალობა.

რა შემთხვევაშია შეფასება სანდო? როცა შეფასების შედეგები იდენტურია იმისგან დამოუკიდებლად, თუ ვინ, სად ან როდის აფასებს მოსწავლის მიერ ერთი და იმავე საკითხის ცოდნას: ა) სხვადასხვა მასწავლებელი ერთნაირ პასუხს ერთნაირად აფასებს; ბ) ერთი მასწავლებელი ერთსა და იმავე პასუხს ყოველთვის ერთნაირად აფასებს. **შეფასების სანდოობას უზრუნ-**

ველყოფს მკაფიოდ ჩამოყალიბებული საკითხები და დავალების ინსტრუქციები, შეფასების კრიტერიუმები და გამსწორებლის კვალიფიკაცია.

რა შემთხვევაშია შეფასება ვალიდური? როცა შეფასება მიზანთან შესაბამისობაშია. მასწავლებელი აფასებს იმას, რის შეფასებასაც იგი ამ კონკრეტულ შემთხვევაში ისახავს მიზნად. მაგ., თუ შეფასების მიზანია კომუნიკაციის დროს ლექსიკური ერთეულების გამოყენების უნარის შემოწმება, ხოლო დავალება მიმართულია გრამატიკის შეფასებაზე, მაშინ ამ დავალებით თავდაპირველ უნარს ვერ გავზომავთ და შეფასებაც არავალიდური იქნება.

რა შემთხვევაშია შეფასება ობიექტური? **შეფასება ობიექტურია**, როცა შეფასების შედეგები არ არის დამოკიდებული შემფასებლის პირად მოსაზრებებზე, მის პიროვნულ სურვილებზე ან დამოკიდებულებებზე. ამისათვის შეფასების კრიტერიუმები და სქემები მკაფიო და ცალსახა უნდა იყოს, რომ სუბიექტური გადაწყვეტილებისათვის ადგილი არ რჩებოდეს.

რა დროს არის შეფასება გამჭვირვალე ანუ ღია? **შეფასება გამჭვირვალე ანუ ღიაა**, როცა შეფასების მექანიზმები და კრიტერიუმები ცნობილია ყველასათვის, მოსწავლეები თავად იღებენ მონაწილეობას შეფასების კრიტერიუმების დადგენაში და შეფასების სქემების შემუშავებაში.

დ. ლორთქიფანიძე „დიდაქტიკაში“ გამოყოფს მოსწავლეთა ცოდნის შემოწმების და შეფასების შემდეგ ძირითად **სახელმძღვანელო პრინციპებს: შეფასება უნდა იყოს ინდივიდუალური, დიფერენცირებული, ერთიანი მომთხოვნელობის მკაცრი დაცვით, ობიექტური, სისტემატური.**

შემოწმება და შეფასება სრულ და ამომწურავ წარმოდგენას უნდა იძლეოდეს თითოეული მოსწავლის ცოდნაზე, ე. ი შემოწმება და შეფასება უნდა იყოს **ინდივიდუალური**. ამ პრინციპის ძირითადი აზრია თითოეული მოსწავლის ყურადღებით, ღრმად და საფუძვლიანად შესწავლა იმ მიზნით, რომ მასწავლებელმა შეძლოს ეფექტური ზომების გატარება თითოეული მოსწავლის ჩამორჩენის მიზეზების აღმოსაფხვრელად.

ცოდნის შემოწმებასა და შეფასებას უნდა ჰქონდეს **დიფერენცირებული ხასიათი**. ეს იმას ნიშნავს, რომ ცოდნის შეფასება უნდა ხდებოდეს მტკიცედ დადგენილი ნორმებისა და შეფასების სისტემის მიხედვით. დიფერენცირებულ შეფასებას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმიტომ, რომ იგი მასწავლებელს საშუალებას აძლევს უფრო ზუსტად დაად-

გინოს და დაადასტუროს მოსწავლეთა ცოდნის მოცულობა, ხარისხი, არამედ იმიტომაც, რომ ცოდნის შემოწმება-შეფასების ასეთი ხასიათი თვით მოსწავლეებში ზრდის, განამტკიცებს პასუხისმგებლობის, აკურატულობის გრძნობას, ხელს უწყობს მათში თვითკრიტიკისა და თვითკონტროლის უნარის აღზრდას, ნერგავს შეგნებულ მისწრაფებას სისტემატური სწავლის, ბეჯითი შრომისადმი.

ცოდნის შემოწმება, შეფასება უნდა ხდებოდეს ცოდნისა და მისი შეფასებისადმი **ერთიანი მომთხოვნელობის მკაცრი დაცვით**. ეს იმას ნიშნავს, რომ ცოდნის შემოწმებისას უნდა გამოვდიოდეთ საპროგრამო მოთხოვნილებიდან, ხოლო შეფასებისას – შეფასების დადგენილი ერთიანი ნორმებიდან, კრიტერიუმებიდან. შემოწმება-შეფასების ამ პრინციპს გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა მიერ თავიანთი მოვალეობის შესრულებისათვის. ეს მოვალეობაა ცოდნა-ჩვევების დაუფლება იმ მოცულობით, რომელიც სასწავლო გეგმითა და პროგრამითაა დადგენილი.

ცოდნის შემოწმება-შეფასებაში უნდა დავიცვათ **ობიექტურობა** და დავაწესოთ მასწავლებლის სრული პასუხისმგებლობა შეფასების სიზუსტისათვის. ეს პრინციპი თითოეული მასწავლებლისაგან მოითხოვს, რომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში კეთილსინდისიერად, მოვალეობის სრული შეგნებით, პასუხისმგებლობის გრძნობით მისცეს მოსწავლეთა ცოდნას დამსახურებული შეფასება. საჭიროა ყოველთვის გვახსოვდეს, რომ სუბიექტურობა, წარმატების ნიშნების ხელოვნურად დაკლება ან გადიდება წარმოადგენს არა მარტო პედაგოგიური ხასიათის დანაშაულს, არამედ ისეთ ანტიპედაგოგიურ შემოქმედებასაც, რომელიც სახელმწიფოებრივ დანაშაულს უდრის. მასწავლებელი, უპირველეს ყოვლისა, ცოდნის შემოწმების საქმეში უნდა ასახიერებდეს მკაცრი, მაგრამ ბოლომდე სამართლიანი პედაგოგის თვისებებს. შეფასების ნიშნის ამაღლება მოსწავლის წახალისების, ან შეფასების ნიშნის დაკლება დასჯის მიზნით დაუშვებელია. ის მასწავლებელი, რომლებიც ამ დიდმნიშვნელოვანი მოთხოვნის შეუფასებლობას იჩენენ, სწავლას ხდიან არასაინტერესოს და მოსწავლეთა შორის კარგავენ ყოველგვარ პატივისცემასა და ავტორიტეტს. შეფასება ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით აფასებს მხოლოდ მოსწავლის ცოდნას და არა ქცევას.

წარმატების შემოწმება და შეფასება მიზანს აღწევს მაშინ, როდესაც იგი **სისტემატურად ხორციელდება**. შემოწმების შეფასების ეპიზოდურობა და კამპანიურობა უაღრესად მავნე გავლენას ახდენს არა მარტო სწავლების მიმდინარეობაზე, არამედ სკოლის ცხოვრებისა და მუშაობის ყველა დარგზე. ამგვარი შემოწმება მოსწავლეებს აჩვევს თვითდამშვიდებას, უსაქმურობას, სიზარმაცეს, დაუდევრობას. ამის შედეგად ქვეითდება სწავლის ხარისხი და მთელი სასკოლო აღმზრდელობითი მუშაობა. შემოწმების ეპიზოდურობა შეუძლებელს ხდის მოსწავლეთა შესწავლას და მათდამი ინდივიდუალური მიდგომის ღონისძიებათა გატარებას: სწორედ შემოწმება–შეფასების ეპიზოდურობით შეიძლება აიხსნას ისეთი ფაქტები, როდესაც მოსწავლეები სასწავლო დროის გარკვეულ პერიოდში არაფერს აკეთებენ, არ მეცადინეობენ, ხოლო სასწავლო სემესტრის ან სასწავლო წლის მიწურულს „თავს იკლავენ“, ცდილობენ მოკლე დროში შეივსონ დანაკლისი.. ცხადია, ამ მოსწავლეთა უმრავლესობა ხარვეზების შევსებას ვერ ახერხებს. ისინი, რომლებიც სახელდახელოდ ივსებენ ცოდნის ხარვეზებს, ნაჩქარევად, არარითმულად დასწავლილ მასალას მალევე ივიწყებენ; უკეთეს შემთხვევაში მათი ცოდნა ფორმარულია. ამიტომ სწავლებაში ფორმალიზმის აღმოფხვრისაკენ მიმართულ ღონისძიებათა საერთო სისტემაში თანმიმდევრული შემოწმება და შეფასება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. გარდა ამისა, სისტემატური შემოწმება წარმოადგენს ცოდნის განმტკიცების აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ნამდვილი სწავლება. სკოლაში მოსული მოსწავლე არავითარ შემთხვევაში არ უნდა დარჩეს შეუმოწმებელი. რაღაც ფორმით აუცილებლად უნდა შემოწმდეს მოსწავლის მომზადება.

კრიტერიუმი არის პრინციპი ან ნიშან–თვისება, რომლის მიხედვითაც რაიმეს აფასებენ და ან განსაზღვრავენ. სასურველია შეფასების შედეგები და მისი ანალიზი ღია და გამჭვირვალე იყოს ყველა დაინტერესებული პირისათვის (ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ცალკეული მოსწავლის შეფასების შედეგად აღმოჩენილი შეცდომებზე საჯაროდ ვისაუბროთ).

მოსწავლეთა შეფასება საკმაოდ დელიკატური თემაა. შეფასების პრინციპების დაცვა შეფასების პროცესს უმტკივნეულოს ხდის; მნიშვნელოვანია მოსწავლეს საკუთარი ცოდნის შეფასების მიმართ სამართლიანობის გრძნობა

ჩამოუყალიბდეს; ეს ხდება იმ შემთხვევაში თუ: შეფასების კრიტერიუმები მისთვის ცნობილია; შეფასების სქემები მისთვის ცნობილია; მოსწავლე თავად იღებს მონაწილეობას შეფასების კრიტერიუმების და სქემების შედგენაში.

შეფასებისას მნიშვნელოვანია თუ რას ადარებს მასწავლებელი მოსწავლის მიღწევას; განასხვავებენ ნორმაზე ორიენტირებულ, კრიტერიუმზე ორიენტირებულ, პიროვნებაზე ორიენტირებულ შეფასებას.

თუ ხდება ცალკეული მოსწავლეების მოსწრების შედარება, ან მოსწავლის მოსწრებისა დადგენილ ნორმასთან (ნორმა განისაზღვრება რომელიმე ჯგუფის მოსწრებით), მაშინ ეს არის **ნორმაზე ორიენტირებული შეფასება**. **მაგალითად**, ნინო წელს მეორეა მოსწრებით კლასში /რეიტინგი/;

თუ მოსწავლის მოსწრებას ადარებენ წინასწარ დადგენილ კრიტერიუმებს, მაშინ ეს **კრიტერიუმზე ორიენტირებული შეფასებაა**, რომელიც ადგენს, მიაღწია თუ არა მოსწავლემ კრიტერიუმებით განსაზღვრულ დონეს ან რამდენმა მოსწავლემ მიაღწია ამას კლასში. **მაგალითად**, კლასში ყველას შეუძლია წაკითხული ტექსტის შინაარსის გაგება და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა; გიორგი ზუსტად იწერს ექსპერიმენტის შედეგებს, ანალიზებს და აკეთებს ლოგიკურ დასკვნებს.

თუ მოსწავლის მოსწრებას ადარებენ მის წარსულ მოსწრებას, ეს არის პიროვნებაზე ორიენტირებული შეფასება. ამ შეფასებით ადვილად დგინდება მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესი. **მაგალითად**, ნინოს მეორე სემესტრში შემაჯამებელ კომპონენტში ორი ქულით მეტი აქვს წინა სემესტრთან შედარებით.

თემა 14. შეფასების მეთოდები

მასწავლებელი მოსწავლის ცოდნის და მათი უნარ-ჩვევის შესაფასებლად სხვადასხვა საშუალებას, მეთოდს იყენებს. ეს მეთოდებია:

- ტესტირება;
- მასწავლებლის დაკვირვება და კომენტარი;
- პორტფოლიო;
- მოსწავლის თვითშეფასება და თანატოლთა შეფასება.

ტესტი მოსწავლის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს. ტესტის დახმარებით შეგვიძლია გავიგოთ თუ რა და როგორ ისწავლეს მოსწავლეებმა და რა უნარ-ჩვევები განუვითარდათ მათ.

მასწავლებელმა ტესტი სხვადასხვა მიზნით შეიძლება გამოიყენოს. სასკოლო პრაქტიკაში ტესტი ყველაზე ხშირად მიმდინარე და შემაჯამებელი შეფასებისთვის გამოიყენება. ტესტი შეიძლება ასევე დიაგნოსტიკური მიზნებისთვისაც გამოიყენებოდეს.

ტესტური შეკითხვები შეიძლება იყოს ღია და დახურული. **დახურული** კითხვების შემთხვევაში მოსწავლემ მოცემული პასუხების არჩევანიდან მხოლოდ ერთი სწორი პასუხი უნდა შეარჩიოს. **ღია** კითხვების შემთხვევაში კი პასუხების არჩევანი არ არის მოცემული და მოსწავლემ პასუხი თვითონ უნდა მოიფიქროს.

მიუხედავად იმისა, თუ რა სახისაა ტესტი და რა მიზნისთვისაა შექმნილი; იგი რამდენიმე აუცილებელ მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს. ეს მოთხოვნებია:

ტესტი უნდა იყოს ვალიდური და სანდო. ინსტრუქციები და საკითხები ისე მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ სწორედ იმ ცოდნას ზომავდეს რის გაზომვასაც ეს კონკრეტული ტესტი ისახავს მიზნად. შეფასების შედეგები კი ყველა შემთხვევაში იდენტურ შედეგს უნდა იძლეოდეს.

ტესტი უნდა იყოს გაზომვადი. ტესტის შედეგები უნდა ფასდებოდეს წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმებით/შეფასების სქემით. წინასწარ უნდა იყოს ასევე დადგენილი ქულების რაოდენობა სწორი პასუხისთვის. შეფასების შექმნიზმი უნდა იყოს მკაფიო და ცალსახა. იგი ორმაგი ინტერპრეტაციის საშუალებას არ უნდა იძლეოდეს.

ტესტი განსაზღვრული დროის ლიმიტზე უნდა იყოს გათვლილი. დროის ფაქტორის გათვალისწინება და იმის ცოდნა, რომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ტესტის შესრულება, არამედ ისიც, რომ გამოყოფილ დროში ჩაეტო, მოსწავლეებსაც და მასწავლებლებსაც დროის უფრო ეფექტიანად გამოყენებას აჩვენებს.

ტესტი უნდა იყოს გამჭვირვალე. მოსწავლეებმა წინასწარ უნდა იცოდნენ თუ რა ფორმატისაა ტესტი. რას ამოწმებს, როგორია შეფასების მექანიზმი და რა დროა მისთვის გამოყოფილი.

მასწავლებლის დაკვირვება - ეს არის მუდმივი პროცესი, რომელიც გულისხმობს მოსწავლეზე დაკვირვებას სხვადასხვა სასწავლო თუ არა-სასწავლო (დასვენებებზე, სპორტულ მოედნებზე/დარბაზში და სხვ.), სიტუაციაში იმის მიხედვით, თუ რა ინფორმაციის მიღება სურს მასწავლებელს. დაკვირვებამდე უნდა განისაზღვროს, რომელ მოსწავლეს/მოსწავლეებს ვაკვირდებით და რას, რომელ უნარ-ჩვევას ვაკვირდებით (სასწავლო უნარ-ჩვევებს, სააზროვნო უნარებს ძირითადად გაკვეთილებზე ვაკვირდებით, ხოლო სოციალურ უნარ-ჩვევებს – გაკვეთილზე წყვილებსა თუ ჯგუფებში მუშაობისას და არასასწავლო სიტუაციებში). დაკვირვება რომ საიმედო იყოს, საჭიროა ჩანაწერების ან ჩანიშვნების გაკეთება. ჩანაწერები ეხმარება მასწავლებელს კონკრეტული მოსწავლის კონკრეტულ პრობლემას დროულად გამოეხმაუროს.

მას შემდეგ, რაც დაკვირვების შედეგად მასწავლებელი მონაცემებს შეაგროვებს, იწყებს ინფორმაციის დამუშავებას და აკეთებს ანალიზს. ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით იგი იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რა რჩევები შეგვიძლია მივცეთ მოსწავლეს, მის მშობელს, რა გაითვალისწინო მან თავად. (იხილეთ დაკვირვების ცხრილის ნიმუში)

სახელი	თარიღი	საკლასო დავალება	ჯგუფური მუშაობა	ორგანიზებულობა
გიორგი	05.11.	დამაჯერებლად მსჯელობდა; გამოიყენა კარგი არ-	გაუჭირდა ჯგუფში მუშაობა,	მოწესრიგებულია, უკონფლიქტოა

		გუმენტი; საკლასო სამუშაოს დიდი დრო დაუთმო-უჭირს დროის რაციონალურად გამოყენება	მორცხვია	
--	--	---	----------	--

დაკვირვების შედეგად ქულა არ იწერება. იგი მოსწავლის განმავითარებელი „არაფორმალური“ შეფასების ნაწილია. მასწავლებელს უჭირს დაიმახსოვროს ინფორმაცია თითოეული მოსწავლის შესახებ. ასეთი სახის ჩანაწერი კი ეხმარება მას, რომ კონკრეტული მოსწავლის კონკრეტულ პრობლემას დროულად გამოეხმაუროს. ჩანაწერებიდან გამომდინარე მასწავლებელი:

1. პერიოდულად ახსენებს გიორგის, რომ უფრო ყურადღებით მოეკიდოს საშინაო დავალებებს–სახლში არ დარჩეს და ბოლომდე შეასრულოს ისინი;

2. წყვილებად ან მცირე ჯგუფებად მუშაობის დროს აძლევს ლიდერის როლს. ამით მას ეხმარება გადალახოს გაუბედაობა და შეიძინოს თავდაჯერებულობა;

3. ურჩევს, რომ საშინაო დავალების შესრულებისას დაინიშნოს საათი და ეცადოს ჩაეტეოს განსაზღვრულ დროში. ამით იგი მოსწავლეს სწრაფად მუშაობას და დროის ეფექტურად გამოყენებას აჩვენებს. მასწავლებელი ამ რჩევას გიორგის ცალკე აძლევს, რომ მან კლასელებთან უხერხულობა არ იგრძნოს. მასწავლებელი აკვირდება გიორგის შემდგომ წინსვლას და იმას, თუ რამდენად გაითვალისწინა მან მისი რჩევა.

ასევე მნიშვნელოვანია კომენტარი, რომელსაც მასწავლებელი აძლევს მოსწავლეს. ეს არის ინფორმაცია იმის შესახებ თუ როგორ აფასებს მასწავლებელი მოსწავლის კონკრეტულ პასუხს, ან მის მიერ შესრულებულ კონკრეტულ დავალებას. ეს ინფორმაცია შეიძლება იყოს მოსწავლის პასუხის სისწორის დადასტურება, მისი შექება, გამხხნევა, რჩევა, მოწოდება დაფიქრებისაკენ, შეცდომის გასწორება და ა. შ.

გაკვეთილის მსვლელობისას მასწავლებელი სისტემატურად „ეხმაურება“ მოსწავლის პასუხს. ეს არის ზეპირი მოკლე კომენტარი. მაგ. ყოჩაღ, შესანიშნავია, დაფიქრდი, სწორი არ არის; ან ქესტიკულაციის გამოყენება. მაგ., სახის გამომეტყველება, თავის დაქნევა, ხელის მოძრაობები და ა. შ. სასურველია, რომ ზეპირი კომენტარის გაკეთებისას მასწავლებელმა მოსწავლეს სახელით მიმართოს. ეს მოსწავლეს თავისი თავის რწმენას უზრდის და მასწავლებლის მიმართ მეტი პატივისცემით განაწყობს.

სისტემატური კომენტარი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეასრულა მოსწავლემ ესა თუ ის თუნდაც მცირე დავალება: მოსწავლეს აწვდის ობიექტურ ინფორმაციას მისი წარმატებებისა და პრობლემების შესახებ სრულიად კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. მოსწავლეში ზრდის საკუთარი თავის რწმენას, ხდის მას უფრო თავდაჯერებულს. უვითარებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს; აღუძრავს ინტერესს, უღვიძებს სწავლის სურვილს.

კომენტარი, დადებითი თუ უარყოფითი, ზეპირი თუ წერილობით, ზომიერად და ტაქტით უნდა გაკეთდეს. არ არის საჭირო მოსწავლეების გადაჭარბებული ქება (გენიოსი ხარ, ყველაზე ჭკვიანი). ასევე დაუშვებელია, მოსწავლეების ზედმეტი კრიტიკა. კომენტარმა მოსწავლეებს შეურაცყოფა არ უნდა მიაყენოს და უხერხულ მდგომარეობაში არ ჩააყენოს. მნიშვნელოვანია, შეფასდეს მოსწავლის ნამუშევარი და არა მოსწავლე, როგორც პიროვნება. სასურველია შეფასებისას მხოლოდ უარყოფით მხარეებზე არ გამახვილდეს ყურადღება. ჯერ დადებით მხარეებზე და შემდეგ მიეცეს შესაბამისი რეკომენდაციები. კომენტარი არ უნდა იყოს ზოგადი (მე მომწონს ან არ მომწონს შენი ნამუშევარი), კომენტარი კარგი და სასარგებლოა მხოლოდ მაშინ, როცა ის მოსწავლეს აძლევს კონკრეტულ რჩევას. მაგ., „უკეთესი იქნებოდა აბზაცის წერისას იფიქრო იმაზე, თუ რა არის აბზაცის მთავარი აზრი და ეს აზრი პირველივე წინადადებაში გამოჩნდეს“.

მასწავლებლის მიერ მოსწავლის მიმართ გაკეთებული ნებისმიერი კომენტარი კონკრეტული, ობიექტური და მოსწავლის განვითარებისკენ მიმართული უნდა იყოს. კომენტარის მთავარი დანიშნულებაა მოსწავლეები უფრო მოტივირებული და მონდომებული გახადოს და ისინი სწავლის მიმართ პოზიტიურად განაწყოს.

საქალაქო, ანუ ე.წ. „პორტფოლიო“ შეფასების უფრო ხანგრძლივი და შრომატევადი ფორმაა, მისი საშუალებით შესაძლებელია მოსწავლის მრავალი კუთხით შეფასება, მისი ცოდნისა და უნარების სხვადასხვა ასპექტით შემოწმება. არსებობს პორტფოლიოს სხვადასხვა განმარტება. პორტფოლიო არის პიროვნების მუშაობის შერჩეული ნაკრები, დროის გარკვეულ პერიოდში, კონკრეტული მიზნის მისაღწევად.

პორტფოლიო შეიცავს მოსწავლეების სწავლების აღწერილობებს, სამუშაოს შერჩევის კრიტერიუმებს და საბოლოო ნაშრომის პრეზენტაციას. მასში აღწერილი უნდა იყოს სწავლების პროცესი, პედაგოგის განვითარება პროფესიის მიმართულებით, მომავალი საქმიანობის სფერო. პორტფოლიოზე მუშაობის ერთ-ერთი მიზანია განავითაროს მოსწავლის სწავლების, თვითშეფასების უნარი, რომ მოსწავლე გახდეს უფრო მიზანსწრაფული.

პორტფოლიოს მეთოდით შეფასება საშუალებას გვაძლევს შეფასდეს მოსწავლის მიღწევები დროის განსაზღვრულ პერიოდში, მაგ. სასწავლო წლის განმავლობაში, რადგან პორტფოლიოში თავმოყრილი და სტრუქტურირებულია მოსწავლის ყველა ნამუშევარი, რომელიც ამ პერიოდის განმავლობაში არის მომზადებული, ასევე მასწავლებლის კომენტარები, ტესტირების შედეგები და ა.შ.

პორტფოლიოზე მუშაობა 3 ფორმას მოიცავს: მოგროვება, შერჩევა და ასახვა. განასხვავებენ ძირითად, შერჩევით და შეფასების პორტფოლიოს.


ძირითადი პორტფოლიო მოიცავს: ესეებს, სასწავლო დღიურებს, სტატიებს, შეფასებებს, რუკებს, კვლევის მასალებს, მიღებულ ინფორმაციებს.

შერჩევითი ან საჩვენებელი პორტფოლიო დაფუძნებულია ძირითადი პორტფოლიოს პრინციპებზე, რომელიც მოიცავს შერჩეულ მასალას კონკრეტული მიზნისათვის. იგი შეიძლება ვაჩვენოთ მშობლებს. მასში მოცემულია: ნამუშევრების ნაკრები, რომლებიც წარმოადგენენ საუკეთესო ნამუშევრებს და გვიჩვენებენ ბავშვის თანდათანობით წინსვლას; მოსწავლის (სტუდენტის) წინსვლის ანალიზს; ღირსების, თვითშეფასების განყოფილება: ამონაჭრები გაზეთებიდან...

შეფასების პორტფოლიო წარმოადგენს დოკუმენტაციის კრებულს, რომელიც შეფასებას აძლევს მოსწავლის წინსვლას. იგი შეიცავს მოსწავლეთა ნამუშევრების ნიმუშების ასლებს. საჩვენებელი პორტფოლიოდან.

მასწავლებლის მიერ შედგენილ ტესტებს, დაკვირვების შედეგად შედგენილი ეპიზოდების ამსახველ ჩანაწერებს და ყველაფერ იმას, რასაც მასწავლებელი საჭიროდ ჩათვლის. შეფასების პორტფოლიო შეიცავს: მასალის ნიმუშების ასლებს საჩვენებელი პორტფოლიოდან; ეპიზოდის ამსახველ ჩანაწერებს; შეხვედრის (საუბრის, კონფერენციების) ჩანაწერებს; სტუდენტის (მოსწავლის) ინტერესთა აღწერა-აღრიცხვას; მასწავლებლის მიერ შედგენილ ტესტებს; მნიშვნელოვანია, რომ ნამუშევრები იყოს დათარიღებული, რათა მოხდეს მათი წინსვლის დოკუმენტირება იმ თანამიმდევრობით, როგორც მას აქვს ადგილი.

ამრიგად, პორტფოლიო შემდეგ მიზნებს ემსახურება: ამყარებს, კავშირს სწავლებასა და შეფასებას შორის; უზრუნველყოფს მოსწავლეებს, პროფესორ-მასწავლებლებს და გადაწყვეტილების მიმღებ სხვა პირებს შესაბამისი ინფორმაციით, მოსწავლეთა სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის წინსვლის შესახებ; საშუალებას აძლევს მოსწავლეებს მონაწილეობა მიიღონ საკუთარი მუშაობის დონის შეფასებაში; საშუალებას აძლევს პროფესორ-მასწავლებლებს, თვალ-ყური ადევნონ თითოეული მოსწავლის წინსვლას; ქმნის საფუძველს მრავალფეროვან წყაროზე დაყრდნობით მოსწავლის მოსწრების შეფასებისათვის.



საქადალდით, ანუ პორტფოლიოთი მოსწავლის შეფასება მასწავლებელს საშუალებას აძლევს: თვალი ადევნოს მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესს, შეადაროს სხვადასხვა დროს შექმნილი ნამუშევრები ერთმანეთს, ნახოს, როგორ გაითვალისწინა მან მისი კომენტარები და რჩევები, რომლებსაც დროდადრო აძლევდა და როგორ ვითარდებოდა დროში მოსწავლეთა ნამუშევრები, ანუ პორტფოლიოთი ადვილი შესამოწმებელია მოსწავლეთა პროგრესი.

მაშასადამე, საკლასო პორტფოლიო ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

- მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგი;
- სწავლის შედეგების ჩვენება;
- საგნობრივი შეფასება;
- სწავლების მეთოდოლოგიის შეფასება;
- მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდება;
- მომდევნო მასწავლებლისთვის ინფორმაციის გადაცემა.

მასწავლებელმა პორტფოლიოში ჩასადები მასალის ჩამონათვალი უნდა შეათანხმოს მოსწავლეებთან და გაითვალისწინოს მათი ინტერესები; მოსწავლემ წინასწარ უნდა იცოდეს როგორ აწარმოოს პორტფოლიო, რა კრიტერიუმებით შეფასდება, რა ინტენსივობით შემოწმდება და ა.შ.

პორტფოლიოს უარყოფითი მხარეებია: დიდ დროს მოითხოვს, შესაძლებელია მასწავლებელი შეფასების დროს იყოს სუბიექტური.

მოსწავლეთა ინტერესების, დამოკიდებულებების, წინარე ცოდნისა თუ გაგება-გააზრების სწრაფად და სიღრმისეულად შეფასებისათვის შეფასების მეთოდებთან ერთად ხშირად ვიყენებთ შეფასების სხვა ინსტრუმენტებს: **შესასვლელი ბილეთები**. მათში მოცემულია მასწავლებლის მიერ სასწავლო მასალასთან დაკავშირებით მომზადებული ერთი ან რამდენიმე მოკლე კითხვა/დავალება, რომელთა შესასრულებლად მოსწავლეებს ვაძლევთ 5-7 წუთს. შესასვლელი ბილეთების მიზანია გაკვეთილის დასაწყისში: ა) ინფორმაციის მოპოვება მოსწავლეთა წინარე ცოდნის, ინტერესების, მანამდე არსებული ღირებულებების/დამოკიდებულებების შესახებ; ბ) მიღებული ინფორმაციის გამოყენება გაკვეთილში ცვლილებების შესატანად;

გასასვლელი ბილეთების გამოყენებით მასწავლებელს ეძლევა შესაძლებლობა გაკვეთილის ბოლოს: ა) მიიღოს ინფორმაცია მოსწავლეთა მიერ საკითხის გაგება-გააზრების შესახებ; მოსწავლეთა ინტერესების, ღირებულებების,

დამოკიდებულებების შესახებ; სწავლა-სწავლების პროცესთან დაკავშირებით მოსწავლეთა მოსაზრებებისა და შეხედულებების შესახებ.
ბ) მიღებული ინფორმაცია გამოიყენოს მომდევნო გაკვეთილის დასაგეგმად მოსწავლეთა საჭიროებებისა თუ ინტერესების გათვალისწინებით.

შესასვლელი და გასასვლელი ბილეთების საშუალებით მასწავლებელი ძალიან მოკლე დროში მნიშვნელოვან ინფორმაციას იღებს მოსწავლეებისგან. ამ ინსტრუმენტის ხშირი გამოყენება ერთგვარ რუტინას უდებს საფუძველს-მოსწავლეებმა იციან, როგორ შეიძლება დაიწყოს და დასრულდეს გაკვეთილი. შესასვლელი ბილეთი ეხმარება მასწავლებელს გაკვეთილის დაწყების პირველივე წუთებიდან მიმართოს მოსწავლეთა ყურადღება შესასწავლ საკითხზე და შექმნას ეფექტური სასწავლო გარემო. ხოლო გასასვლელი ბილეთების შევსების მოლოდინი ხელს უწყობს მოსწავლეთა ყურადღების შენარჩუნებას გაკვეთილის ბოლომდე. საკლასო რუტინის არსებობა კლასისა და დროის მართვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. მისი გამოყენება უზიძგებს მოსწავლეებს მოახდინონ რეფლექსია საკუთარ სწავლაზე, რაც ააქტიურებს მაღალი სააზროვნო დონის სააზროვნო უნარებს, ზრდის მოსწავლეთა პასუხისმგებლობასა და საკლასო აქტივობებში მონაწილეობის ხარისხს.

შესასვლელი ბილეთის ნიმუში (ხუნძაყიშვილი, 2018::48)

სახელი, გვარი-

რა არის ჩემთვის ცნობილი ამ საკითხთა დაკავშირებით?----

ერთი კითხვა, რომელსაც მინდა რომ პასუხი გაეცეს-----

რამდენად დარწუნებული ვარ ჩემს ცოდნაში ამ საკითხთნ დაკავშირებით:



გასასვლელი ბილეთის ნიმუში:

დღევამდელი გაკვეთილის მიზანი იყო....

3 ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რაც ამ გაკვეთილიდან დამამახსოვრდა....

ამ გაკვეთილზე მიღებული ცოდნა რეალურ ცხოვრებაში დამეხმარება....

თუ მასწავლებელს აინტერესებს ცალკეული მოსწავლის შესახებ ინფორმაცია, მაშინ მოსწავლეებს მიათითებინებს სახელს და გვარს. თუ მასწავლებელს კლასში არსებული ზოგადი სურათის დანახვა სურს, მოსწავლეებს შეუძლიათ შეინარჩუნონ ანონიმურობა.

გასასვლელი და შესასვლელი ბილეთების ფორმატი შეიძლება იყოს: დაბეჭდილი ბილეთები, რომლებსაც მოსწავლეები იღებენ და ავსებენ გაკვეთილის დასაწყისში და დასრულებისას; ან შესაძლებელია კითხვები ჩამოწეროთ დაფაზე და მოსწავლეებმა პასუხები ჩაწერონ რვეულში, რომელსაც მასწავლებელი პერიოდულად შეაგროვებს და გადახედავს.

ერთწინადადებიანი შეჯამება განმავითარებელი შეფასების ხერხია. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ ერთი წინადადებით შეაჯამონ გაკვეთილზე განხილული მასალა, იქნება ეს ტესტი, თუ სხვა. საკითხის ერთი წინადადებით შეფასება მოსწავლისგან მოითხოვს მის სიღრმისეულად გააზრებას და მაღალი დონის სააზროვნო უნარების გააქტიურებას. მასწავლებელი შეიძლება დაეხმაროს მოსწავლეებს ერთწინადადებიანი შეჯამების გაკეთებაში, ურჩიოს მათ გამოიყენონ რაც შეიძლება მარტივი ენა. სასურველია პირველად მასწავლებელმა უჩვენოს მოსწავლეებს რომელიმე სასწავლო მასალასთან დაკავშირებით ერთწინადადებიანი შეჯამების მაგალითი, შემდეგ მათთან ერთად გააკეთოს და მხოლოდ ამის შემდეგ სთხოვოს მათ იმუშაონ დამოუკიდებლად. მაგალითად, აღწერონ რომელიმე ფაქტი/მოვლენა/თეორია-„მეხის დაცემა არის მოვლენა, რომლის დროსაც ხდება ელექტრონული განმუხტვა ღრუბელსა და დედამიწას შორის“ (ხუნძაყიშვილი, 2018::58)

კითხვების დასმა. ეს სტრატეგია საშუალებას აძლევს მასწავლებელს შეაფასოს მოსწავლეების მიერ საკითხის ათვისებისა და გაგება-გააზრების დონე. კითხვების დასმა განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია და მისი სწორად გამოყენება სწავლა/სწავლების პროცესის ეფექტიანობას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს. რაც უფრო მაღალ სააზროვნო უნარებს მოითხოვს პასუხის გაცემა დასმულ კითხვაზე, მით უფრო ეფექტიანია სწავლება. მაღალი სააზროვნო დონის კითხვების ჩამოყალიბებაში მასწავლებელს ბლუმის ტაქსონომია დაეხმარება. რა თქმა უნდა აუცილებელია ისეთი კითხვების დასმაც, რომელიც რაიმე წესის, ისტორიული თარიღის ან მათემატიკური ფორმულის გახსენებას მოითხოვს, თუმცა მასწავლებელს გააზრებული უნდა ჰქონდეს, რომ ამ სახის კითხვები

მხოლოდ მოსწავლეთა ფაქტობრივი ცოდნის შეფასებას ემსახურება. მაგალითად, „არაორგანული ნაერთთა რომელ 4 ძირითად კლასს იცნობთ“ (ფაქტობრივი ცოდნის დონე); „ჩამოთვლილ ნივთიერებებიდან-კალციუმის ოქსიდი, კალციუმის ტუტე, გოგირდმჟავა, ნატრიუმის ქლორიდი-რომელი შედის რეაქციაში მარილმჟავასთან და რატომ?“ (გაგება-გააზრების დონე). კითხვების დასმა შესაძლებელია გამოვიყენოთ:საკითხის შესწავლამდე, წინარე ცოდნის შეფასების მიზნით: საკითხის შესწავლის პროცესში, როდესაც მასწავლებელს სურს შეაფასოს, რამდენად სწორად იაზრებენ შესასწავლ მასალას მოსწავლეები; კითხვებზე გაცემული პასუხების მიხედვით მასწავლებელი ადგენს მოსწავლეთა საჭიროებებს, რის საფუძველზეც ის გეგმავს მომდევნო გაკვეთილს. კითხვები გაკვეთილზე ხშირად ყოველგვარი წინასწარ დაგეგმვის გარეშე ისმება, თუმცა ზოგჯერ გაკვეთილის მიზნის მისაღწევად აუცილებელია, რომ მასწავლებელმა წინასწარ შეიმუშაოს კითხვებიც და დაგეგმოს ამ კითხვების დასმის თანამიმდევრობა.

გაკვეთილზე ხშირად მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებს მუდმივად ერთი და იგივე მოსწავლეები პასუხობენ, სხვები კი პასიურობენ. მოსწავლეთა შემთხვევითი შერჩევისა და მათი გაკვეთილში ჩართვის მიზნით, მასწავლებელმა შეიძლება გაკვეთილზე გამოიყენოს „**გამოსამახებელი ჩხირების**“ ტექნიკა. მასწავლებელი წინასწარ წერს მოსწავლეთა სახელებსა და გვარებს სპეციალურ ჩხირებზე, მოათავსებს მათ მცირე ზომის ყუთში ან ჭიქაში, შემდეგ კი იღებს ერთ-ერთს. კითხვაზე პასუხის გაცემა უწევს იმ მოსწავლეს, რომლის სახელიც წერია ჩხირზე. აუცილებელია, რომ მასწავლებელმა ერთხელ ამოღებული ჩხირი კვლავ დააბრუნოს შეკვრაში, რითაც მოსწავლეს აგებინებს, რომ მას კიდევ შეიძლება დაუსვან კითხვა. გამოსამახებელი ჩხირების გამოყენებით მასწავლებელი ინარჩუნებს მოსწავლეთა ყურადღებას, ხოლო მოსწავლეები აქტიურად ერთვებიან საგაკვეთილო პროცესში. ჩვენი გამოცდილებით ერთ სემინარზე შეიძლება 3-ჯერ ან 4-ჯერ მოუწიოს მოსწავლეს/სტუდენტს გამოძახება.

კითხვა-პასუხის პროცესში მეტი მოსწავლის ჩართვის მიზნით მასწავლებელმა შეიძლება დასვას კითხვა და სთხოვოს მასზე პასუხის გაცემა ერთ-ერთ მოსწავლეს. ამის შემდეგ ის მეორე მოსწავლეს ჰკითხავს, ეთანხმება თუ არა მის პასუხს, ხოლო მესამეს სთხოვს, მოიყვანოს არგუმენტი, თუ რატომ შეიძლება პირველი მოსწავლის მიერ კითხვაზე გაცემული პასუხი იყოს სწო-

რი ან არასწორი. ამგვარად, ერთი კითხვის დასმით შესაძლებელი ხდება მთელი კლასის ყურადღების მობილიზება. ზოგჯერ მოსწავლეები თავს იკავებენ კითხვაზე პასუხის გაცემისაგან, რადგან მათ ეძლევათ პასუხის მოსაფიქრებლად დრო. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა მოსწავლეებს მისცეს საკმარისი დრო ამისათვის მათი ასაკის, მზაობის დონისა და სხვა ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. გარდა ამისა, მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ არჩევანის გაკეთების საშუალებაც, როგორ უპასუხონ კითხვას-ზეპირად, მთელი კლასის წინაშე, მეწყვილეს გაუზიარონ თავიანთი მოსაზრება თუ წერილობით მიაწოდონ მასწავლებელს პასუხი.

ბოლო პერიოდში სწავლება-სწავლის პროცესის მიმდინარეობის შესაფასებლად მასწავლებლები იყენებენ სწრაფი შეფასების ინსტრუმენტს „**შუქნიშანი**“. როცა მოსწავლეებისათვის ყველაფერი ნათელია, მათ უნდა ასწიონ მწვანე ბარათი, როდესაც საკითხი გაუგებარია-წითელი, ხოლო თუ აქვთ კითხვები ან მასწავლებლის დახმარება სჭირდებათ-ყვითელი ბარათი. ცხადია, ასეთი მინიშნებებით ვერ ხერხდება მოსწავლის მიერ საკითხის გაგება-გააზრების დონის სიღრმისეულად შეფასება. მსგავსი ინსტრუმენტი შეიძლება გამოვიყენოთ როგორც მხოლოდ ერთგვარი ორიენტირი იმის განსასაზღვრად, თუ როგორ უნდა სწავლა-სწავლების პროცესში, მიიღოს უკუკავშირი მოსწავლეებისაგან და გადაწყვიტოს როგორ გააგრძელოს გაკვეთილი.

განმავითარებელი შეფასების მსგავსი საშუალებების გამოყენება ამაღლებს მოსწავლეთა სწავლის მოტივაციას (ისინი დაუყოვნებლივ იღებენ მასწავლებლისგან უკუკავშირს), ზრდის სასწავლო პროცესში მათი ჩართულობის ხარისხს და ავითარებს მეტაკოგნიტურ უნარებს, ვინაიდან მოსწავლეები თავადვე ახდენენ იმის შეფასებას, თუ რას და როგორ სწავლობენ. თუ მათი გამოყენების კულტურა დაინერგება კლასში, შესაძლებელია მათ სასწავლო პროცესის მართვის ფუნქციაც შეითავსონ, ვინაიდან მათი გამოყენებისას ნაკლები ხმაური და ქაოსია საკლასო ოთახში. „შუქნიშნით“ სარგებლობა შესაძლებელია არა მხოლოდ იმის გასარკვევად, თუ რამდენად კარგად გაიგეს მოსწავლეებმა სასწავლო მასალა, არამედ მოსწავლეთა აზრის გასაგებად ნებისმიერ საკითხზე ან შეხედულებაზე. თუმცა მისმა არამიზნობრივმა და ხშირმა გამოყენებამ შესაძლოა საპირისპირო შედეგი მოგვცეს. მაგალითად, თუ მასწავლებელი საერთოდ აუკრძალავს მოსწავლეებს ხმამაღლა კითხვის

დასმას ან საუბარს, მოსწავლეებში ეს დემოტივაციას და უკმაყოფილებას გამოიწვევს.

„ქვიზი“ არის მოკლე ტესტი. ხშირად დაისმის კითხვა, თუ რა განსვავებაა „ქვიზსა“ და ჩვეულებრივ ტესტს შორის? ხშირად ტესტიც და „ქვიზიც“ განმსაზღვრელ შეფასებასთან ასოცირდება. თუმცა იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი ამ ინსტრუმენტებს გამოიყენებს მოსწავლეთა სწავლის მონიტორინგისა და მათთვის განმავითარებელი უკუკავშირის მიწოდების მიზნით, მაშინ ორივე ინსტრუმენტი განმავითარებელი შეფასების ფუნქციას შეიძენს- აღნიშნავს მ. ხუნძაყიშვილი (ხუნძაყიშვილი, 2018 : 71).

„ქვიზი“ და ტესტი ერთმანეთისგან კითხვების რაოდენობით განსხვავდება. „ქვიზი“ შეიძლება შედგებოდეს დაახლოებით 8-10 კითხვისგან, რომლებიც უკავშირდება შესასწავლი მასალის ერთ რომელიმე ქვეთავს ან, თუნდაც, კონკრეტული გაკვეთილის თემას. აქედან გამომდინარე „ქვიზი“ გვამლევს საშუალებას, სწრაფად შევაფასოთ მოსწავლეთა მიერ საკითხის გაგება-გააზრების დონე და მათ დაუყოვნებლივ მივაწოდოთ უკუკავშირი. ეს კი „ქვიზს“ განმავითარებელი შეფასების კარგ ინსტრუმენტად აქცევს.

ტესტი შედგება დიდი რაოდენობის კითხვებისაგან (20-დან 50-მდე კითხვა), რომლებიც შეიძლება ასახავდეს რამდენიმე თვის, მთელი სემესტრის ან წლის განმავლობაში ნასწავლი მასალის შინაარსს. ამიტომ ტესტი ემსახურება განმსაზღვრელ შეფასებას და მასში მიღებული ქულა აისახება მოსწავლის საბოლოო შეფასებაზე.

„ქვიზიც“ და ტესტიც შეიძლება მოიცავდეს დახურული კითხვის ყველა შემდეგ ფორმას: მრავალპასუხიანი, ჭეშმარიტი-მცდარია, მითია-რეალობაა, რანჟირება, შესაბამისობის ან სწორი თანამიმდევრობის დადგენა. ლიდაბოლოებიანი კითხვები, რომლებიც გულისხმობს ნააზრევის ვრცლად გადმოცემას, მსჯელობას, დასკვნების გაკეთებას და ინტერპრეტირებას, ტესტისგან განსხვავებით, ნაკლებად გამოიყენება „ქვიზში“, რადგან ის ნასწავლის სწრაფ შეფასებას გულისხმობს. მსგავსი სიღმისეული ინფორმაციის მისაღებად განმავითარებელი შეფასების სხვა ინსტრუმენტები გამოიყენება. ტესტში დახურულ კითხვებთან ერთად შეიძლება შეგვხდეს ლიდაბოლოებიანი დავალებებიც, რომელთა შესაფასებლად ბევრად მეტი დროა საჭირო.

„ქვიზის“ გამოყენება შესაძლებელია როგორც ახალი თემის შესწავლის დაწყების წინ, მოსწავლეთა წინარე ცოდნის შეფასების მიზნით, ისე თემის

შესწავლის პროცესში, საკითხის გაგება-გააზრების ხარისხის სწრაფად შეფასების მიზნით. მასწავლებელმა მოსწავლეებს „ქვიზის“ კითხვებთან ერთად უნდა დაურიგოს ორი სამუშაო ფურცელი, რომელთაგან ერთი მასწავლებელს გადაეცემა შესაფასებლად, ხოლო მეორე მოსწავლეებს დარჩებათ, რათა საკუთარი ნაშრომის გადახედვის შესაძლებლობა მიეცეთ. მას შემდეგ, რაც მასწავლებელი განსაზღვრავს სასწავლო მიზანს და შეადგენს „ქვიზს“, მას შეუძლია: ინდივიდუალურად მიაწოდოს თითოეულ მოსწავლეს ამობეჭდილი „ქვიზის“ კითხვები და პასუხების ფურცლები; ან დაფაზე წინასწარ დაწეროს „ქვიზის“ კითხვები, ან აჩვენოს პროექტორით და მოსწავლეებს დაურიგოს მხოლოდ პასუხების ფურცლები. მნიშვნელოვანია მოსწავლეებს წინასწარ გავაგებინოთ, რომ „ქვიზი“ ემსახურება მხოლოდ განმავითარებელ შეფასებას, შესაბამისად მათ შეუძლიათ მშვიდად შეასრულონ დავალება და არ იღელვონ ნიშნებთან დაკავშირებით.

„ქვიზის“ სწორი პასუხები მოსწავლეებმა შესაძლოა გაიგონ:

- მასწავლებლისგან, მას შემდეგ, რაც ის შეაფასებს ყველა მოსწავლის ნაშრომს. მასწავლებელი გაკვეთილის მიზნიდან გამომდინარე ამზადებს ზოგად ზეპირ ან წერილობით უკუკავშირს, სადაც გამოკვეთს, როგორი შედეგები აჩვენეს მოსწავლეებმა მთლიანობაში და რისი გაუმჯობესებაა საჭირო.

- თვითშეფასების შედეგად-როცა მასწავლებელი აცნობს კლასს „ქვიზის“ კითხვებზე სწორ პასუხებს, მოსწავლეები თავად შეაფასებენ რა დაწერეს სწორად და რა არასწორად.

- თანაკლასელისაგან-სამუშაოს დასრულების შემდეგ, როცა მოსწავლეები შეაფასებენ ერთმანეთის ნამუშევარს.

თვითშეფასება და ურთიერთშეფასება. იმისათვის, რომ მოსწავლე შეეჩვიოს საკუთარი პასუხის შემოწმებას, ჩამოუყალიბდეს შეცდომის მიმართ სწორი დამოკიდებულება, დაძლიოს შიში შეცდომის წინაშე, ხშირად უნდა მივცეთ საკუთარი ნამუშევრის შეფასების საშუალება. თვითშეფასება მას ეხმარება იმის გაცნობიერებაში, რომ შეცდომების აღიარება და გამოსწორება წინსვლის აუცილებელი პირობაა. თვითშეფასებით იგი გრძნობს მეტ ვალდებულებას და ცდილობს იყოს მაქსიმალურად ობიექტური. თვითშეფასების რამდენიმე ხერხი არსებობს. შედეგიანია თვითშეფასების ისეთი ხერხი, როცა მოსწავლე წინასწარ შემუშავებული შეფასების სქემის (კრიტერიუმების) მიხედვით აფასებს საკუთარ ნაშრომს, შემდეგ უცვლის მეწყვილეს და

ერთმანეთის ნამუშევრებს აფასებენ, ბოლოს კი მასწავლებელი აფასებს. ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია ანალიზის პროცესი: რა დაემთხვა შეფასების ამ სამ შემთხვევაში ერთმანეთს, რა - არა და რატომ? რის ცოდნა არ ეყო მოსწავლეს თავად ან მის თანაკლასელს ობიექტური შეფასებისათვის.

ურთიერთშეფასებაც მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი და ნაყოფიერი, თუ მოსწავლეებს აქვთ წინასწარ შემუშავებული შეფასების მკაფიო და ნათელი კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც აფასებენ ერთმანეთის ნამუშევარს. თვითშეფასებითა და ურთიერთშეფასებით მასწავლებელი აფასებს მოსწავლის თვითშეფასების უნარს და მის ანალიტიკურ შესაძლებლობებს.

თვითშეფასების სტრატეგიები ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ პროგრამებში მოცემული შედეგების მისაღწევად მასწავლებელს სწავლების სხვადასხვა მეთოდების, სტრატეგიების გამოყენება უწევს – იმის მიხედვით, თუ რა ცოდნის მიღება და უნარ-ჩვევების განვითარება აქვს მასწავლებელს დასახული მიზნად ამ გაკვეთილზე. ინტერაქტიური სწავლებისას მოსწავლეები შედეგებზე პედაგოგის დახმარებით გადიან. მიღებული შედეგების გასაზომად მასწავლებელი მიმართავს: შეფასებას ან თვითშეფასებას; ნებისმიერ შემთხვევაში პედაგოგს ნათლად და მკაფიოდ უნდა ჰქონდეს შეფასების კრიტერიუმები ჩამოყალიბებული. კვლევებმა აჩვენა, რომ თვითშეფასება ეხმარება მოსწავლეებს გააცნობიერონ რა იციან და რა არა. განვიხილოთ მოსწავლეთა თვითშეფასების რამდენიმე სტრატეგია.

ფაქტობრივი ცოდნის თვითშეფასება

ამ სტრატეგიის გამოყენების დროს მოსწავლეები ფაქტობრივ ცოდნას ამოწმებენ და ახდენენ თვითშეფასებას. პედაგოგი ამ სტრატეგიის გამოყენებით გამოავლენს თუ რამდენად ყურადღებით და გულდასმით დაამუშავეს მოსწავლეებმა სასწავლო მასალა. ეს არის სტრატეგია, რომელიც ხელს უწყობს: ტექსტზე მუშაობის, ლოგიკური აზროვნების, ფაქტების დამახსოვრების, კითხვებზე პასუხის გაცემის, ვერბალიზაციის, თვითშეფასების უნარ-ჩვევის განვითარებას.

I ეტაპი - მოსამზადებელი.

პედაგოგი სასწავლო მასალაში მოცემული ფაქტობრივი მასალის შესაბამისად ადგენს კითხვებს (რათა შემოწმდეს მოსწავლეთა ცოდნა ამ კუთხით). მის პარალელურად მასწავლებელი მის მიერ შედგენილი კითხვების შესაბა-

მისად აყალიბებს შეფასების კრიტერიუმებს (ეს სამუშაო გაკვეთილის დაწყებამდე უნდა შესრულდეს).

II ეტაპი - სტრატეგიის გამოყენების დასაწყისი

პედაგოგი ამ ეტაპზე მის მიერ ჩამოყალიბებულ შეფასების კრიტერიუმებს წერს დაფაზე (2-3 წთ) ან წინასწარ ფურცელზე დაწერილ კრიტერიუმებს აკრავს დაფაზე, კედელზე და აცნობს მოსწავლეებს.

III ეტაპი - კითხვებზე პასუხი

ამ ეტაპზე მოსწავლეებს სჭირდებათ ფურცელი და საწერი კალამი. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები ამ მასალეს მოიმარაგებენ, მასწავლებელი იწყებს მის მიერ მომზადებული შეკითხვების დასმას თანმიმდევრობით და სთხოვს მოსწავლეებს დანომრონ თითოეული პასუხი და ჩაეტიონ დროში (1,2,3... წთ); დროს პედაგოგი განსაზღვრავს პასუხების სიდიდის მიხედვით. დროის გასვლის შემდეგ პედაგოგი სვამს მომდევნო შეკითხვას და მოსწავლეები თანმიმდევრობით პასუხობენ წერილობით. კითხვა-პასუხის დასრულების შემდეგ პედაგოგი სთხოვს ყველა მოსწავლეს საწერი კალამები დადონ მაგიდის შუაში ან შეინახონ.

IV ეტაპი - ვერბალიზაცია

პედაგოგი ინდივიდუალურად მიმართავს ნებისმიერ მსურველ მოსწავლეს და სთხოვს თანმიმდევრულად სათითაოდ წაკითხოს მის მიერ დაწერილი პასუხები ანუ მოახდინოს პასუხების ვერბალიზაცია. თითოეული პასუხის შემდეგ თუ კლასში არსებობს მოსწავლის მიერ წაკითხული პასუხისაგან განსხვავებული პასუხი ან პასუხები, მათი ავტორები ვალდებული არიან გამოთქვან თავიანთი ვერსიები, ამ დროს გაიმართება დისკუსია და საჭიროების შემთხვევაში პედაგოგის დახმარებით დგინდება სწორი/მართებული პასუხი.

V ეტაპი - თვითშეფასება

ამ ეტაპზე პედაგოგი სთხოვს მოსწავლეებს აიღონ თავიანთი საწერი კალამები და დაფაზე (ფორმატზე) დაწერილი შეფასების კრიტერიუმების გამოყენებით აწარმოონ პასუხების თვითშეფასება.

VI ეტაპი - შედეგების გაცნობა

მასწავლებელი კითხულობს მოსწავლეთა სიას. ისინი სათითაოდ კარნახობენ თვითშეფასების შედეგებს – ქულებს პედაგოგს, რომელიც ინიშნავს ამ მონაცემებს. ამის შემდეგ პედაგოგი აგროვებს მოსწავლეთა ნამუშევრებს და

აგრძელებს გაკვეთილს. გაკვეთილის შემდეგ პედაგოგი გადაამოწმებს მოსწავლეთა თვითშეფასებაში ხომ არ არის რაიმე უზუსტობა.

საშინაო დავალების თვითშეფასება

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, შეფასების ერთ-ერთ კომპონენტია – საშინაო დავალება. ის მასწავლებლებმა შეიძლება გამოიყენონ: თემის დასრულების, კვირის ბოლოს, სემესტრის ბოლოს და ა. შ. საჭიროებისამებრ შეიძლება გამოიყენოს შემდეგი სტრატეგია. ეს მოსწავლეებს საშუალებას მისცემს სხვა კუთხით შეხედონ და შეაფასონ შესრულებული დავალებები, ხოლო მასწავლებელი დაინახავს, თუ რამდენად მიზანმიმართულად და ეფექტურად არჩევდა მასალებს (თხზულება, მაგალითი, ამოცანა, ნახატი, ნახაზი...) დავალებებისათვის. ეს არის სტრატეგია, რომელიც ხელს უწყობს: თვითშეფასების, ანალიზის, სინთეზის, კვლევის, ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევის განვითარებას.

I ეტაპი - მოსამზადებელი

მასწავლებელი განვილი თემის შესაბამისად პროგრამაში გადახედავს შედეგებს და ინდიკატორებს (რომელთა მისაღწევადაც ის აძლევდა მოსწავლეებს დავალებებს) და მისი გათვალისწინებით მასწავლებელი აყალიბებს "სპეციფიკურ ინდიკატორებს" (რამდენიმე წინადადებას, რომელიც იწყება ასე: ეს არის დავალება, რომლითაც მე...), რომლის მიხედვითაც მოსწავლეებმა უნდა გადაარჩიონ შესატყვისი ნაშრომები.

II ეტაპი - შესარჩევი

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს მიცემულ დროში შესრულებული დავალებებიდან გადაარჩიონ „სპეციფიკური კრიტერიუმების“ შესატყვისი ნაშრომები. გადახაზონ რვეულებში ცხრილი და შეავსონ მისი 1, 2, 4 გრაფები.

№	რომელ გვერდზეა თქვენს რვეულში ეს დავალება?	„სპეციფიკური კრიტერიუმი“ ეს არის დავალება, რომლითაც მე ...	რატომ თვლით ასე? დაასაბუთეთ
1	2	3	4

„სპეციფიკური კრიტერიუმი“ – მაგალითად: ამ დავალებით მე ვისწავლე წილადების შეკრების წესის გამოყენება, ამ დავალებით მე ვისწავლე კვებითი

ჯაჭვის აგება, ამ დავალებით მე გამიჩნდა განსაკუთრებული დამოკიდებულება საკითხისადმი/მოვლენისადმი/პერსონაჟისადმი...

მოსწავლეები ჩაიხაზავენ ცხრილს და სახლში იმუშავენ.

III ეტაპი – შეჯამება

მასწავლებელი აკრებს ბავშვების მიერ შესრულებულ სამუშაოებს, ეცნობა მათ, უკეთებს ანალიზს და გეგმავს შემაჯამებელ წერით სამუშაოს (თუ ანალიზმა აჩვენა, რომ მოსწავლეების უმრავლესობამ ეტაპობრივად მნიშვნელოვანი საკითხი ვერ გაიაზრა, მაშინ ის ჯერ უბრუნდება ამ საკითხს და მერე ატარებს შემაჯამებელ სამუშაოს).

როგორ უნდა გააუმჯობესოს მასწავლებელმა მოსწავლეთა თვითშეფასება?

მოსწავლეთა თვითშეფასებასა და აკადემიურ მიღწევებს შორის არსებობს კავშირი, რომელიც ასაკთან ერთად იცვლება. კვლევები ადასტურებენ, რომ დაწყებით კლასებში მოსწავლეთა თვითშეფასება მაღალია, ხოლო ასაკის მატებასთან ერთად ისინი უფრო ადექვატურად აფასებენ საკუთარ შესაძლებლობებს, რადგან უვითარდებათ უნარი კრიტიკულად შეხედონ საკუთარ თავს, მიიღონ უკუკავშირი და მოახდინონ მისი ინტეგრირება თვითშეფასებასთან. მასწავლებელმა ასევე უნდა გაითვალისწინოს, რომ მოსწავლეები თავიანთ მიღწევებს იმ თანატოლების მიღწევებს ადარებენ, რომელთანაც აქვთ ურთიერთობა სკოლაში, ე.ი. მოსწავლეთა თვითშეფასება ფარდობითია.

მოსწავლეთა თვითშეფასების გასაუმჯობესებლად აუცილებელია:

- მათთვის თბილი, მეგობრული და დისციპლინარული გარემოს შექმნა;
- უფროსების (მასწავლებლის, მშობლის) მხრიდან მოსწავლის მიმართ პოზიტიური მოლოდინების არსებობა;
- მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის პრობლემების შესახებ ხმამაღლა არ ვისაუბროთ;
- საშუალება მივცეთ მოსწავლეებს ხელახლა შეასრულონ დავალება და გამოასწორონ ნიშნები;
- არ დავაჯგუფოთ მოსწავლეები უნარების მიხედვით და არ გავუსვათ ხაზი მათ შესაძლებლობებს;

- დავალებების შერჩევისას გავითვალისწინოთ მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებები;
- აქცენტი გადავიტანოთ თანამშრომლობაზე და არა კონკურენციაზე;
- მოსწავლეს დავაკისროთ გარკვეული პასუხისმგებლობა;
- აქცენტი გავაკეთოთ მოსწავლეთა წარმატებებზე და არა შეცდომებზე.

დავალება დამოუკიდებელი მუშაობისათვის

1. სწავლისა და სწავლების პროცესში მოსწავლის წარმატებას, სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, მნიშვნელოვნად განაპირობებს მისი თვითშეფასება. მოსწავლეებს, რომლებიც ნაკლებად არიან დარწმუნებულები საკუთარ შესაძლებლობებში, ჰგონიათ, რომ ვერ შეძლებენ ამა თუ იმ მასალის დამღევას და, შესაბამისად, წარუმატებლობის შიში უჩნდებათ.

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი აქტივობა/აქტივობები შეუწყობს ხელს ამგვარ მოსწავლეებში ადეკვატური თვითშეფასების ფორმირებას?

I. მისცეს მოსწავლეებს ერთმანეთის ნამუშევრების გაცნობისა და გასწორების საშუალება წინასწარ განსაზღვრული შეფასების სქემის გამოყენებით.

II. შეიმუშავოს ამ მოსწავლეებისათვის ლოიალური შეფასების სქემა და დაუწეროს მათ უფრო მაღალი შეფასება, ვიდრე ობიექტურად იმსახურებენ.

III. მისცეს ამგვარ მოსწავლეებს საკუთარი ნამუშევრების შეფასების საშუალება წინასწარ განსაზღვრული შეფასების სქემის გამოყენებით.

- ა) მხოლოდ I
- ბ) მხოლოდ II
- გ) მხოლოდ I და III
- დ) მხოლოდ II და III

2. სკოლებში მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა მეთოდი/ტიპი გამოიყენება. მათ, პირობითად, ორ კატეგორიად ყოფენ – განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება, რომლებიც, თავის მხრივ, ორ ქვეტიპად არის დაყოფილი – მიმდინარე და შემაჯამებელი შეფასება. სასწავლო წლის ბოლოს მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა მოსწავლეს

წლიური შეფასება გააცნო. მან აღნიშნა, რომ კმაყოფილია გაკვეთილებზე მისი აქტიურობით, მასალის ათვისებისა და ანალიზის უნარით. თუმცა, მის წერით ნამუშევრებში ხშირია სტილური თუ გრამატიკული შეცდომები. წერის კულტურის განვითარებისათვის მასწავლებელმა მოსწავლეს სპეციალური დავალებები შეურჩია.

ჩამოთვლილთაგან შეფასების რომელი მეთოდი გამოიყენა პედაგოგმა აღწერილ სიტუაციაში?

- ა) მიმდინარე, განმსაზღვრელი
- ბ) შემაჯამებელი, განმავითარებელი
- გ) მიმდინარე, განმავითარებელი
- დ) შემაჯამებელი, განმსაზღვრელი

3. გაკვეთილის გეგმის შედგენისას მასწავლებელი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს უნდა დაეყრდნოს. ჩამოთვლილთაგან რომელი პრინციპი/პრინციპები უნდა დაიცვას მან გაკვეთილის გეგმის შედგენის დროს?

I. გაკვეთილის დაგეგმვისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესი შესასწავლი თემის მიმართ.

II. გაკვეთილის გეგმაში მასწავლებელი არ უნდა გასცდეს შესასწავლ თემაზე სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაციის ფარგლებს.

III. მასწავლებელმა უნდა გააანალიზოს წინა გაკვეთილი და გაითვალისწინოს მოსწავლეთა საჭიროებანი.

- ა) მხოლოდ I
- ბ) მხოლოდ II
- გ) მხოლოდ II და III
- დ) მხოლოდ I და III

4. სკოლებში მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა მეთოდი/ტიპი გამოიყენება. მათ, პირობითად, ორ კატეგორიად ყოფენ – განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება, რომლებიც, თავის მხრივ, ორ ქვეტიპად არის დაყოფილი - მიმდინარე და შემაჯამებელი შეფასება.

მნიშვნელოვანი თემის დასრულების შემდეგ, მოსწავლეთა ცოდნის დონის შემოწმების მიზნით, მასწავლებელმა ტესტირება ჩაატარა. მან წი-

ნასწარ გააფრთხილა მოსწავლეები, რომ ამ ტესტირების შედეგებს გა-
დამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭებოდა სემესტრული შეფასების დროს.

ჩამოთვლილთაგან შეფასების რომელი მეთოდი გამოიყენა პედაგოგმა
აღწერილ სიტუაციაში?

- ა) მიმდინარე, განმსაზღვრელი
- ბ) შემაჯამებელი, განმავითარებელი
- გ) მიმდინარე, განმავითარებელი
- დ) შემაჯამებელი, განმსაზღვრელი

დავალეგები პრაქტიკული მენადინეობისათვის

ჯგუფური, ინდივიდუალური და წყვილებში მუშაობა

1. მასწავლებელმა გადაწყვიტა კლასში ჯგუფური მუშაობით წარემართა გაკვეთილი. მაგრამ ამის გამოცდილება მას არ აქვს და შიშობს, რომ ჯგუფების მუშაობის დროს გაუჭირდება კლასში წესრიგის შენარჩუნება. დაასახელებს სამი რჩევა, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს ჯგუფური მუშაობის სწორად წარმართვაში.

2. მასწავლებელმა გადაწყვიტა კლასში ჯგუფური მუშაობით წარემართა გაკვეთილი. მან კლასი დაყო ხუთ ჯგუფებად, მისცა დავალება და განუსაზღვრა დრო – 20 წუთი. თვითონ კი მოსწავლეთა რვეულების შემოწმება დაიწყო. გარკვეული დროის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ორ ჯგუფში სრული ჩართულობა შეიმჩნეოდა, სამში – კი მხოლოდ ერთი მოსწავლე ასრულებდა დავალებას. დანარჩენი სხვა საქმით იყო გართული. დროის ამოწურვის შემდეგ მასწავლებელმა მოისმინა ხუთივე ჯგუფის პრეზენტაცია და ყველა ჯგუფი შეაქო. ჩამოწერეთ ყველა შეცდომა, რომელიც მასწავლებელმა გაკვეთილის წარმართვისას დაუშვა და მიეცით შესაბამისი რეკომენდაცია.

3. ხმაურს სასწავლო ოთახში პედაგოგები ხშირად ნეგატიურ მოვლენად აღიქვამენ. ხმაურისადმი ასეთ დამოკიდებულებას აქვს გარკვეული მიზეზები. როგორ ფიქრობთ, რა განაპირობებს მას? ჩამოთვალეთ რამდენიმე მიზეზი და მისი აღმოფხვრის გზები

4. დაასახელებს სამი შედეგი, რომელიც თანამშრომლობითი სწავლის გზით მიიღწევა და მოიყვანეთ თითოეულის დამადასტურებელი არგუმენტები.

5. ბავშვის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია თანატოლებთან მისი ურთიერთობა. ასევე კლასში მისი სტატუსი. ცნობილია, რომ ე.წ. გარიყულ ბავშვებს ხშირად დაბალი აკადემიური მოსწრეა აქვთ და უჭირთ თანატოლებთან ურთიერთობა დაასახელებს მასწავლებლის ორი აქტივობა, რომელიც დაეხმარება გარიყულ ბავშვს სოციალიზაციის დონის ამაღლებაში.

6. ნუცა ბეჯითი გოგონაა. იგი სისტემატურად მეცადინეობს, მაგრამ მორცხვია, აკლია თავდაჯერებულობა და ამას გამო ხშირად ვერ ავლენს ცოდნას. ჩამოთვლილთაგან რომელია მასწავლებლის ეფექტური ქცევები

იმისათვის, რომ ნუცამ შეძლოს სიმორცვის დაძლევა და საკუთარი ცოდნის გამოვლენა.

ა) მასწავლებელი ინდივიდუალურ დავალებას აძლევს ნუცას, რათა თავიდან აარიდოს დამაბულობა.

ბ) მასწავლებელი პერიოდულად აქებს და ამხნეებს ნუცას.

გ) მასწავლებელი ხშირად მიმართავს შეკითხვით ნუცას და ცდილობს მის ჩართვას ჯგუფურ მუშაობაში.

7. ჯგუფების დაკომპლექტება სხვადასხვანაირად შეიძლება. მაგალითად, ჯგუფების შექმნა თავად ბავშვებს მივანდოთ და გადაწყვიტონ, ვინ რომელ ჯგუფში იმუშავენ, ამგვარ მიდგომას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი შედეგები. დაასახელეთ ჯგუფების დაკომპლექტების ზემოთ აღწერილი ხერხის ერთი დადებითი და უარყოფითი მხარე.

8. რას მოიმოქმედებთ, როდესაც ერთი მოსწავლე ჯგუფური მუშაობისას დროს მუდმივად დომინირებს.

9. რას მოიმოქმედებ, როცა ერთი მოსწავლე ჯგუფურ მუშაობაზე უარს ამბობს.

10. რას მოიმოქმედებ სუსტმა მოსწავლემ რომ არ გამოიწვიოს ჯგუფის წარუმატებლობა.

დისკუსია

1. მასწავლებელმა გადაწყვიტა კლასში კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით დისკუსიის გამართვა, როგორ უნდა მოიქცეს იგი, რომ დისკუსია ეფექტურად წარმართოს?

2. თქვენმა ახალბედა კოლეგამ გადაწყვიტა გაკვეთილზე დისკუსიის გამართვა. დაასახელეთ სამი რჩევა, რომელსაც მას დაეხმარება დისკუსიის ეფექტურად წარმართვაში.

3. სწავლების პროცესში ხშირად გამოიყენება დისკუსიის მეთოდი. დისკუსიის დროს მასწავლებელთან ერთად მსჯელობენ საკითხის შესახებ და უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ მოსაზრებებს. დაასახელეთ ორი მიზანი, რომელსაც ემსახურება სწავლების პროცესში დისკუსიის გამოყენება.

4. რას მოიმოქმედებთ, როდესაც ერთი მოსწავლე დისკუსიის დროს მუდმივად დომინირებს.

5. სწავლისა და სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ დისკუსიის მეთოდს. ამ მეთოდის ეფექტიანობას ბევრი ფაქტორი განსაზღვრავს, მათ შორის, ფიზიკური გარემო (წრეზე განლაგებული მერხები).

- ახსენით, რატომ მოითხოვს დისკუსიის მეთოდის გამოყენება კლასში მერხების ამგვარ განლაგებას.

- დაასახელეთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პირობა/მოთხოვნა (ფიზიკური გარემოს მოწყობის გარდა), რომელიც უნდა დაიცვას პედაგოგმა დისკუსიის დაგეგმვის დროს.

- დაასახელეთ თქვენი პასუხი.

- დაასახელეთ დისკუსიის მეთოდის გამოყენების ერთი დადებითი და ერთი უარყოფითი შედეგი.

6. ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი აქტივობა/აქტივობები იქნება ყველაზე შედეგიანი დისკუსიის მეთოდის ეფექტური გამოყენებისთვის?

I. მასწავლებელი დისკუსიას გეგმავს სადისკუსიო საკითხთან დაკავშირებით მოსწავლეთა ცოდნის დონის გათვალისწინებით.

II. მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავებს დისკუსიის წესებს.

III. დისკუსიის პროცესში მასწავლებელი აფასებს მოსწავლეთა მსჯელობას და ცდილობს მათი შეხედულებების კორექციას.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ II

გ) მხოლოდ I და II

დ) მხოლოდ II და III

7. მოსწავლეთა ჩართულობის დონის ასამაღლებლად და მასალის უკეთ შესწავლის მიზნით გაკვეთილზე მასწავლებლები ხშირად იყენებენ საკლასო დისკუსიას. ამ მეთოდის ეფექტიანობას მნიშვნელოვნად განაპირობებს მასწავლებლის როლი დისკუსიის წარმართვის პროცესში.

ჩამოთვლილთაგან რომელი აღწერს მართებულად მასწავლებლის როლს საკლასო დისკუსიაში?

ა) მასწავლებელი შესასწავლი საკითხის შესახებ წარმართავს დისკუსიას, სვამს კითხვებს და არც ერთ მოსწავლეს არ ზღუდავს დროში, რომ თითოეულმა მოახერხოს საკუთარი პოზიციის სრულად წარმოჩენა.

ბ) მასწავლებელი უბიძგებს მოსწავლეებს, სადისკუსიო საკითხის შესახებ დასვან შეკითხვები. მცდარი მსჯელობის შემთხვევაში პედაგოგი განმარტავს შეცდომას და აყალიბებს მისაღებ თვალსაზრისს.

გ) მასწავლებელი მოსწავლეთა მომზადების დონის გათვალისწინებით ირჩევს სადისკუსიო თემას, არ ერევა მათ მსჯელობაში. უზრუნველყოფს, რომ ყველას ჰქონდეს აზრის გამოთქმის შესაძლებლობა.

დ) საკითხზე მსჯელობის დაწყებამდე მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, კარგად დაფიქრდნენ, ვიდრე კითხვაზე პასუხს გასცემენ და ამგვარად თავიდან აიცილონ მცდარი მსჯელობა. ამასთან, შეახსენებს მათ დისკუსიის წესებს.

8. მასწავლებელმა შენიშნა, რომ მისი მოსწავლეები დისკუსიის დროს ერთმანეთს საუბარს აწყვეტინებენ. მას სურს, აღმოფხვრას მოსწავლეთა ეს ქცევა და ამ მიზნით გადაწყვიტა სპეციალური წესების შემუშავება. მასწავლებელმა კარგად იცის ქცევის წესების ფორმულირების პრინციპები და მათ დაცვას ამჯერადაც ცდილობს.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან წესის რომელი ფორმულირება შეიძლება მივიჩნიოთ ყველაზე მიზანშეწონილად?

9. „სხვისი აზრის უპატივცემულობა ცუდი საქციელია.“

ბ) „არ შევაწყვეტინოთ ერთმანეთს ლაპარაკი, მოვუსმინოთ ბოლომდე.“

გ) „ყურადღებით მოვუსმინოთ ერთმანეთს, ვაცალოთ აზრის ბოლომდე გამოთქმა.“

დ) „დაუშვებელია საკუთარი აზრის გამოთქმა, ვიდრე თანაკლასელის აზრს არ მოისმენ“.

10. კონკრეტულ თემაზე დისკუსიის მსვლელობისას ერთ-ერთმა მოსწავლემ გამოთქვა მოსაზრება, რომლითაც ასცდა ძირითად თემას და დისკუსია სხვა მიმართულებით წაიყვანა.

ჩამოთვლილთაგან რომელია მასწავლებლის ყველაზე ადეკვატური ქმედება ამგვარ სიტუაციაში?

ა) მასწავლებელმა შეაქო მოსწავლე და მხარი დაუჭირა მის ინიციატივას, რითაც სხვა მოსწავლეებს ახლად წამოჭრილ საკითხზე აზრის თამამად გამოთქმისაკენ უბიძგა.

ბ) მასწავლებელმა უყურადღებოდ დატოვა მოსწავლის ინიციატივა და „დააბრუნა“ მსჯელობა დისკუსიის ძირითად თემასთან.

გ) მასწავლებელმა მოსაზრება საინტერესოდ მიიჩნია და მოსწავლეს მის მოგვიანებით განხილვას დაჰპირდა, კლასის ყურადღება კი დისკუსიის პირვანდელ საკითხზე გადაიტანა.

დ) მასწავლებელმა შენიშვნა მისცა მოსწავლეს თემიდან გადახვევის გამო და სხვებსაც შეახსენა, რაოდენ მნიშვნელოვანია კონცენტრაცია დისკუსიის ძირითად საკითხზე.

11. დისკუსიის დროს თუ მოსწავლე დასმულ კითხვაზე არასწორად პასუხობს, მასწავლებელს მოსწავლე სწორ პასუხამდე მიჰყავს:

ა) სხვა მოსწავლის პასუხით;

ბ) სწორი პასუხის გაცემით;

გ) დაუსვამს მოსწავლეს რამდენიმე კითხვას რათა მივიდეს სწორ პასუხამდე;

დ) კითხვას მოუნიშნავს საშინაო დავალებისათვის.

12. დისკუსიის დროს მოსწავლე კითხვაზე პასუხის მაგივრად მასწავლებელს სთხოვს ფანქრის წვერის წათლას, ამ დროს მასწავლებელი:

ა) ნახავს, სჭირდება თუ არა ფანქარს წათლა;

ბ) აძლევს ფანქრის წათლის უფლებას;

გ) ანიშნებს არას და სხვაგვარად დაუსვამს კითხვას;

დ) გაამეორენებს მოსწავლეს კითხვას.

13. ქვემოთ მოცემულია საგაკვეთილო პროცესის მიზანი, რომლის მიღწევაც სურს მასწავლებელს და ამ მიზნის მისაღწევად მასწავლებლის მიერ განხორციელებული კონკრეტული აქტივობა. შეაფასეთ, აღწერილი

აქტივობის ადეკვატურობა დასახული მიზნის მისაღწევად, თანდართული არგუმენტაციის გათვალისწინებით.

მიზანი: მოსწავლეებში დამოუკიდებელი აზროვნების უნარის განვითარება.

აქტივობა: მასწავლებელმა მოსწავლეებს ერთ-ერთი ისტორიული მოვლენის შესახებ საკუთარი მოსაზრებების გამოთქმისა და დისკუსიის შესაძლებლობა მისცა. ისტორიულ ფაქტთან დაკავშირებით კლასში გამოითქვა სახელმძღვანელოში მოცემული პოზიციისაგან განსხვავებული მოსაზრებები, ზოგიერთი მოსწავლე არათანმიმდევრულად და ზედაპირულად მსჯელობდა. მიუხედავად ამისა, პედაგოგს მოსწავლეების მსჯელობისათვის ხელი არ შეუშლია, მოსწავლეებს მოუსმინა და დისკუსია შეაჯამა.

აღნიშნული აქტივობა დასახული მიზნის:

ა) **ადეკვატურია.** პედაგოგმა უნდა მისცეს მოსწავლეებს საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა, არ უნდა შეუშალოს მსჯელობას ხელი, თუნდაც მოსწავლეთა მოსაზრებები არ შეესაბამებოდეს სახელმძღვანელოში მოცემულ პოზიციას.

ბ) **არაადეკვატურია.** მასწავლებელმა უნდა შექმნას ისეთი სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლე მყარ ცოდნას შეიძენს, რაც გამორიცხავს მოსწავლეთა ზედაპირულ მსჯელობასა და მოჩვენებით ორიგინალობას.

გ) **ადეკვატურია.** მასწავლებელმა უნდა მისცეს მოსწავლეებს საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა, თუმცა საჭიროა გააკრიტიკოს და შესაბამისად შეაფასოს საზოგადოებისათვის მისაღები პოზიციისაგან განსხვავებული მოსაზრებები.

დ) **არაადეკვატურია.** მასწავლებელი უნდა ეყრდნობოდეს სახელმძღვანელოში აღწერილ პოზიციას და ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეების მიერ ამ პოზიციის გაზიარებას, აზრთა სხვადასხვაობის გამოწვევის გარეშე.

მეტაკოგნიტური უნარების განვითარება.სწავლების სტრატეგიები

1. ბუნების მასწავლებელმა კლასის ერთდღიან ლაშქრობაზე წაყვანა გადაწყვიტა. შესთავაზა მოსწავლეებს, თავად დაეგეგმათ ლაშქრობა, კლასი რამდენიმე ჯგუფად დაყო და შემდეგი მითითებები მისცა:

- საქართველოს რუკის გამოყენებით შეარჩიეთ ლაშქრობის მარშრუტი.
- რუკაზე მითითებული მასშტაბის გამოყენებით გამოთვალეთ გასავლელი მანძილი.

- გამოთვალეთ, რა დრო დასჭირდება ამ მანძილის გავლას, თუ ლაშქრობის მონაწილეთა საშუალო სიჩქარე 3 კმ/სთ-ია.

დავალების შესრულების შემდეგ თითოეულ ჯგუფს უნდა წარმოედგინა ნამუშევარი და ერთობლივი განხილვის შედეგად მიეღოს საბოლოო გადაწყვეტილება. სწავლების ამგვარი სტრატეგია მასწავლებელს ეხმარება:

I. დაადგინოს კლასის საგნით დაინტერესების დონე და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით დაგეგმოს სასწავლო პროცესი.

II. ხელი შეუწყოს მოსწავლეებში პრობლემის გადაჭრისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარებას.

III. შეაფასოს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური წვლილი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

2. ქიმიის მასწავლებლის მიერ შეთავაზებული რომელი აქტივობა/აქტივობები შეუწყობს ხელს მოსწავლეთა კვლევითი უნარის განვითარებას?

I. მოსწავლეებმა ცდის საფუძველზე განსაზღვრონ ნივთიერებათა თვისებები და დაადგინონ, რა პრაქტიკული გამოყენება შეიძლება ჰქონდეს ამ ნივთიერებებს.

II. მოსწავლეებმა მოიძიონ ინფორმაცია ნივთიერებათა თვისებების შესახებ და დაადგინონ მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებები.

III. მოსწავლეებმა სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე აღწერონ ნივთიერებების თვისებები.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და II

გ) მხოლოდ III

დ) მხოლოდ II და III

3. სასწავლო პროცესი მაშინ არის ეფექტიანი, როდესაც მოსწავლეს შეუძლია ერთ სიტუაციაში ნასწავლის განსხვავებულ სიტუაციაში გამოყენება. სამეცნიერო ლიტერატურაში ამას ცოდნის ტრანსფერს უწოდებენ.

წარმოდგენილი მაგალითებიდან რომელია ნაკლებად ეფექტიანი ცოდნის ტრანსფერის ხელშესაწყობად?

ა) მასწავლებელმა დაავალა მოსწავლეებს ტექსტში მოქმედებათ შესწავლილი მხატვრული ხერხები (ეპითეტები, შედარებები, მეტაფორები და ა.შ.) და ჩაეწერათ წინასწარ გამზადებულ ცხრილში.

ბ) მასწავლებელმა ასწავლა მოსწავლეებს მგზავრობასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები, ენობრივი კონსტრუქციები და მათი გამოყენებით გაათამაშებინა დიალოგი ავტობუსში.

გ) ისტორიულ თემაზე შექმნილი მხატვრული ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ მასწავლებელმა მოსწავლეებს სთხოვა, შეედარებინათ ფაქტების მხატვრული ინტერპრეტაცია შესაბამისი ისტორიული წყაროებისთვის.

დ) მასწავლებელმა მისცა მოსწავლეებს სიტუაციური ამოცანა: მოსწავლეებს უნდა მოეძებნათ შესწავლილ ნაწარმოებში წარმოდგენილი პრობლემის გადაჭრის გზა თანამედროვე ეპოქის კონტექსტში.

4. სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით სასწავლო პროცესი მრავალფეროვანი, საინტერესო და უფრო შედეგიანი ხდება. სწავლების თანამედროვე მეთოდები ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას, მოითხოვს მათგან ინიციატივის გამოვლენას და ხელს უწყობს სააზროვნო პროცესების გააქტიურებას. **სასწავლო პროექტი** ერთ-ერთი ასეთი მეთოდია და იგი კონკრეტული სასწავლო პრობლემის ინდივიდუალური ან ჯგუფური გადაჭრისაკენ არის მიმართული.

- აღწერეთ პროექტის (ა) **მოსამზადებელი** და (ბ) **შემაჯამებელი ეტაპებისთვის მნიშვნელოვანი აქტივობები**, რომლებიც მეთოდის ეფექტიანად გამოყენებას უზრუნველყოფს.

- დაასახელეთ ერთი მნიშვნელოვანი პირობა/მოთხოვნა, რომელიც უნდა დაიცვას პედაგოგმა სასწავლო პროექტის გამოყენებისას. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

5. მასწავლებელმა გაკვეთილის დაგეგმვის დროს რეფლექსიის ფაზაზე გამოიყენა 3, 2, 1, მეთოდები.

მოსწავლეებს დაუსვა კითხვა:

3 რამ, რაც მნიშვნელოვანი იყო ახალ მასალაში;

2 რამ, რაც მეტი მინდა გავიგო;

1 რამ, რაც ბუნდოვანი დარჩა ჩემთვის.

აღწერეთ სწავლის მოცემული სტრატეგიის დადებითი ეფექტი რეფლექსიის ფაზაზე. შეასრულეთ დავალება შემდეგი მითითებების მიხედვით:

- დაასახელეთ მოსწავლის ორი უნარი, რომელთა განვითარებასაც უწყობს ხელს აღწერილი მეთოდი. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

- ახსენით, როგორ ეხმარება მასწავლებელს ეს მეთოდი სასწავლო მიზნების მიღწევაში

6. გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეებმა შეადარონ საქართველოში არსებული სხვადასხვა დიალექტები სალიტერატურო ენას.

ამისათვის კლასი დაყო მცირე ჯგუფებად, დაავალა ამოერჩიათ თითო დიალექტი და შეედარებინათ სალიტერატურო ენისათვის, ეპოვნათ მსგავსებები და განსხვავებები მათ შორის. ერთ-ერთმა ჯგუფმა ინფორმაციის ორგანიზება მოახდინა ვენის დიაგრამის გამოყენებით, რაც პრეზენტაციაზე წარმოადგინეს. მასწავლებელმა განსაკუთრებით მოიწონა მათი ნამუშევარი და აღნიშნა, რომ მიზანზე გასასვლელად ყველაზე მიგნებულ მეთოდს სწორედ ამ ჯგუფმა მიაგნო:

ახსენით, როგორ დაეხმარება ეს მეთოდი მოსწავლეებს შედეგების მიღწევაში.

კითხვის სტრატეგიები

1. წაკითხულის გააზრების უნარი გულისხმობს ტექსტის ძირითადი აზრის წვდომას. ყველაზე მნიშვნელოვანი უნარი, რომელსაც ბავშვები სკოლაში სწავლისას იძენენ, კითხვის, წაკითხულის გააზრების უნარია. ამ საბაზო უნარის ჩამოყალიბება სასკოლო პერიოდის დაწყებით საფეხურზე ხდება და მომდევნო საფეხურებზე სწავლებისა და სწავლის წინაპირობაა. მოსწავლე ჯერ სწავლობს კითხვას და შემდეგ კითხულობს იმისათვის, რომ ისწავლოს. **წაკითხულის გააზრების უნარის** განვითარებაზე მიმართული აქტივობები მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მოსწავლეთა სასკოლო მიღწევებს.

- აღწერეთ ერთი პრაქტიკული სტრატეგია, რომლის საშუალებითაც პედაგოგი დაეხმარება მოსწავლეს წაკითხულის გააზრების უნარის განვითარებაში.

- დაასაბუთეთ თქვენ მიერ აღწერილი სტრატეგიის მნიშვნელობა წაკითხულის გააზრების უნარის განვითარებისათვის.

- სასურველი შედეგის მისაღებად ნებისმიერი მეთოდის გამოყენებისას გარკვეული პირობების დაცვაა საჭირო. დაასახელეთ ერთი წინაპირობა, რომლის გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია თქვენ მიერ აღწერილი სტრატეგიის ეფექტიანად გამოყენებისათვის.

2. ჩამოთვლილთაგან რომელი რეკომენდაცია/რეკომენდაციები უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა, რომ შეკითხვებითა და მინიშნებებით ხელი შეუწყოს მოსწავლის მიერ ახალი მასალის ათვისებას?

I. გაკვეთილის ახსნის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები და მინიშნებები ძირითადად თემის საკვანძო, მნიშვნელოვან საკითხებს უნდა უკავშირდებოდეს.

II. მასწავლებელმა ფაქტობრივი ცოდნის შესამოწმებელ კითხვებთან ერთად უნდა დასვას შეკითხვები, რომლებიც მასალის გააზრებას, გაანალიზებას მოითხოვს.

III. მასწავლებელმა კითხვები უნდა დასვას მხოლოდ ახლად ახსნილი თემის სრულად ათვისების შემდეგ და საჭიროების შემთხვევაში მინიშნებებით დაეხმაროს მოსწავლეებს.

- ა) მხოლოდ I
- ბ) მხოლოდ III
- გ) მხოლოდ I და II
- დ) მხოლოდ II და III

3. ანა ჰუმანიტარულ საგნებში დაბალ შეფასებებს იღებს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ მას უჭირს დიდი მოცულობის ტექსტების გააზრება. ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი რჩევა დაეხმარება ყველაზე მეტად მოსწავლეს ტექსტის გააზრებაში?

ა) ტექსტის კითხვის დროს ხაზი გაუსვას საკვანძო სიტყვებსა და ფრაზებს.

ბ) რამდენჯერმე ხმამაღლა წაიკითხოს ტექსტი და მოყვეს მისი მოკლე შინაარსი.

გ) ტექსტის კითხვის დროს მოიძიოს უცნობი სიტყვებისა და ტერმინების განმარტებები.

დ) დაყოს ტექსტი რამდენიმე ნაწილად, ამოკრიბოს ძირითადი ინფორმაცია და შეაჯამოს.

4. კითხვის რომელი სტრატეგია ეხმარება მოსწავლეებს გააკეთონ ანალიზი, მოახდინონ საკითხების ინტერპრეტაცია, გააკეთონ დასკვნები და დასვან სწორად კითხვები?

ა) კომენტარები;

ბ) შენიშვნების დართვა;

გ) ლოგიკური დასკვნების გაკეთება;

დ) ინტერაქტიული დიალოგი.

წერის სტრატეგიები

ა) სამოქალაქო განათლების გაკვეთილის თემაა „თავისუფლება“. მოსწავლეებმა მასწავლებელთან ერთად იმსჯელეს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაზე, ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებას შორის მიმართებაზე. დასასრულს პედაგოგმა მოსწავლეებს დაავალა, დაეწერათ ესეი: რა კავშირია პიროვნების თავისუფლებასა და ერის, ქვეყნის თავისუფლებას შორის; გამოეხატათ საკუთარი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ, მსჯელობაში გამოეყენებინათ მაგალითები თანამედროვეობიდან და წარსულიდან.

– აღწერეთ მასწავლებლის მიერ განხორციელებული სასწავლო აქტივობის მოსალოდნელი დადებითი შედეგები. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

ბ) სწავლისა და სწავლების პროცესში მასწავლებლები მოსწავლეთა მხრიდან საპირისპირო მოსაზრებათა გამოსათქმელად, მოვლენებისა თუ ფაქტების შესაპირისპირებლად და შესადარებლად ხშირად იყენებენ T დიაგრამას. ამ მეთოდის გამოყენება თითოეულ მოსწავლეს საშუალებას აძლევს წარმოაჩინოს არსებული დაპირისპირება განსახილველ საკითხებს (ფაქტებს, მოვლენებს, ადამიანებს, საგნებს) შორის.

- ახსენით, რატომ მოითხოვს T დიაგრამის მეთოდი თითოეული მოსწავლისაგან, წარმოაჩინოს არსებული დაპირისპირება განსახილველ საკითხებს შორის;

- დაასახელეთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პირობა, რომელიც უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა T დიაგრამის გამოყენების დროს;

- დაასახელეთ T დიაგრამის ერთი დადებითი და ერთი უარყოფითი ეფექტი.

გ) ექსპერტები ასკვნიან, რომ მოსწავლე, რომელსაც დაწყებით საფეხურზე უჭირს წერა ორმაგ დატვირთვას განიცდის, რადგან მან ტექსტი უნდა გაიგოს და წერილობითი ფორმით გასაგებადაც უნდა გადმოსცეს. რაც მოსწავლისათვის სტრესთან არის დაკავშირებული.

-რა სტრატეგია შეიძლება შეიმუშაოს მასწავლებელმა მოსწავლის წერითი უნარის გაუმჯობესებისათვის.

-დაასაბუთეთ თქვენი პასუხი

პედაგოგიური სიტუაციები (ნ.ბორდოვსკაია, ა.რეანი, პედაგოგიკა. 2001 წ.)

სწავლისადმი დამოკიდებულების აღზრდის ამოცანები

1. არჩილი ცელქი და მოუსვენარი მოსწავლეა. არასოდეს უსმენს მასწავლებელს. ერთხელ მასწავლებელმა გაკვეთილის შემდეგ საიდუმლოდ უთხრა რაზე ისაუბრებდა შემდეგ გაკვეთილზე. მეორე დღეს მთელი კლასის გასაკვირად არჩილმა მასწავლებლის მიერ დასმულ ყველა კითხვას სწორად უპასუხა. დასვენებაზე კი მასწავლებელთან მივიდა და ჰკითხა: -ხვალ რაზე ისაუბრებთ?

კითხვები: რაში მდგომარეობს არჩილის წარმატება? შეაფასეთ ამგვარი წარმატების მიღწევის საშუალებები. რა პირობებშია შესაძლებელი ბავშვის ასეთი წარმატების განმტკიცება. შეიძლება თუ არა შეფასდეს მასწავლებლის ქმედება როგორც არაპედაგოგიური.

2. უნივერსიტეტის იუბილესთან დაკავშირებით საუკეთესო სტუდენტები დაჯილდოვდნენ 3 ტურისტული საგზურით. რა პრინციპით უნდა მოხდეს სამი სტუდენტის შერჩევა? ა) ფაკულტეტის საბჭომ ჩაატაროს კონკურსი თითოეულ კურსზე;

ბ) ფაკულტეტის საბჭომ შეკრიბოს ყველა ჯგუფხელი და შეისწავლოს ყველა სტუდენტის აკადემიური მოსწრება და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით მიიღოს გადაწყვეტილება.

კითხვა: ამგვარ სიტუაციაში თქვენ რომელს აირჩევდით და რატომ? დაასახელეთ პრობლემის გადაწყვეტის თქვენეული ვარიანტი.

ამოცანები პედაგოგიურ დიაგნოსტიკაზე.

1. მასწავლებელმა მოსწავლეთა დამოკიდებულებების ღირებულებების დასადგენად გამოიყენა შემდეგი ამოცანა: ქვემოთ ჩამოთვლილი სიიდან ამოირჩიეთ ადამიანის და ცხოველისათვის დამახასიათებელი თვისებები. ჩამოწერეთ ცალ-ცალკე.

სხვისთვის შეუძლია თავის განწირვა.

ინსტიქსტურად მოქმედებს.

გააჩნია დროის შეგრძნება.

არასდროს დათმობს თავის საჭმელს.

ერთგულია.

გააჩნია პასუხისმგებლობა.

თავად წყვეტს როგორ მოიქცეს.

უყვარს სუფთა ჰაერი და სითბო.

შეუძლია ცურვა, სირბილი, ცოცვა.

შეუძლია ოცნება და სილამაზის შეფასება.

2. პირველ კლასში მასწავლებელმა შენიშნა, რომ კლასში მოსწავლეებს ხშირად ეკარგებათ საწერ-კალმები. მასწავლებელმა გადაწყვიტა უმცროსკლასელთა თავისებურებების გათვალისწინებით კლასში შექმნას სიტუაცია, რომელშიც „ქურდი“ პირდაპირ ან ირიბად გამოააშკარავებდა თავს. უმცროსკლასელები ჩვეულებისამებრ გულუბრყვილოები და უშუალოები არიან, სჯერათ მასწავლებლის მითითებების.

მასწავლებელმა დაურიგა მოსწავლეებს ასანთის ღეროები და თხოვა მოსწავლეებს ასანთის ღერო ხელებს შორის დაემაღლათ. ამის შემდეგ დარწმუნებით და ხმამაღლა თქვა, რომ ძალიან ჩქარა ასანთის ღერო გაიზრდება მასთან, ვინც კალამი აიღო. შესამოწმებლად მასწავლებელმა ჩამოიარა ყველა

ბავშვი და შეამოწმა ღეროები. ერთ-ერთ მოსწავლესთან მისულმა აღმოაჩინა, რომ ღერო გატეხილია.

- რატომაა გატეხილი? იკითხა მასწავლებელმა.

- მე ის გავტეხე, რომ არ გაზრდილიყო უპასუხა მოსწავლემ.

ასე გამოვლინდა პატარა, რომელიც იღებდა სხვის საწერკალმებს. მასწავლებელმა აუხსნა ბავშვს, რომ არ შეიძლება დაუკითხავად ავილოთ სხვისი ნივთები, რადგან ეს უცებ გამოვლინდება. ამის შემდეგ კლასში არაფერი დაკარგულა.

კითხვები და დავალება:

1. გამოყავით ტექსტში მომენტები, რომლებიც გვიჩვენებს ამოცანის გადაწყვეტას.

2. თქვენ როგორ მოიქცეოდით მასწავლებლის ადგილას და შემოგვთავაზეთ ამოცანის გადაწყვეტის თქვენური ვარიანტი.

აღმზრდელითი ზემოქმედების ამოცანები

1. ქუჩაში მიმავალს გაჩერებთ პატარა ბიჭი და გეუბნებათ - ბიძია, გთხოვთ მომეცით 3 ლარი...

თქვენ ბავშვს უყურებთ და ხვდებით, რომ ის კარგად მოვლილია, ნამდვილად არც შია და არც წყურია.

- რისთვის გინდა ფული?

- ნაყინი მომიინდა.

გადაწყვეტის გზები:

1. ბავშვს ვეუბნებით: “არ გრცხვენია?”

2. შევხედავთ ბავშვს დაჟინებით, არაფერი არ ვეუბნებით და გავაგრძელებთ გზას.

კითხვები და დავალებები:

1. რომელი გადაწყვეტაა სწორი?

2. როგორი რეაქცია გექნებოდათ ბავშვის თხოვნაზე?

3. რაზე მეტყველებს მოცემული ცხოვრებისეული სიტუაცია?

4. რა განაპირობებს ასეთი სიტუაციების წარმოქმნას?

2. მათემატიკის მასწავლებელი ხსნის ახალ მასალას. ნიკო, რომელმაც ისტორიის გაკვეთილზე სამიანი მიიღო, წყნარად ზის, ფიქრობს სამიანის მიღების მიზეზებზე და ქაღალდს უაზროდ კეცავს.

- რაზე ფიქრობ? რატომ არ მისმენ? შენ ცუდად იქცევი. - თავს დააცხრა მასწავლებელი.

მერე რა! - ამოილულულა ნიკომ.

როგორ ლაპარაკობ მასწავლებელთან? ადექი!

რატომ ავდგე? მე არაფერი გამიკეთებია...

ასე? გამოდი მაქედან!

არ გამოვალ...

გამოხვალ.

მასწავლებელმა ხელი მოკიდა ნიკოს, კლასის უკმაყოფილო ჩურჩულის ფონზე გააძევა გაკვეთილიდან.

კითხვები და დავალებები

1. რატომ „აფეთქდა“ ნიკო?

2. გაანალიზეთ მასწავლებლის პედაგოგიური ზემოქმედება ნიკოზე. მიეცით პედაგოგიური ახსნა მასწავლებლის ქცევას.

3. რა ვერ გათვალა პედაგოგიურად მასწავლებელმა?

3. დილით ნინოს დედა ეუბნება, რომ დღეს ახალმა მეზობლებმა დაპატიჟეს ჩაიზე. სკოლიდან მომავალი ნინო და მარი ავტობუსში ტკბილად საუბრობდა. ამ დროს ავტობუსში ამოვიდა მოხუცებული ქალი ორი მძიმე ჩანთით. გოგონებს უფროსებმა შენიშვნა მისცეს, თხოვეს მოხუცისათვის ადგილი დაეთმოთ. გოგონებმა ყურად არ იღეს თხოვნა და უკმეხად უპასუხეს ავტობუსში მსხდომთ. სადამოს ნინო მშობლებთან ერთად წავიდა სტუმრად მეზობელთან, კარებზე ზარი დარეკა და კარი გააღო ქალბატონმა, რომელმაც ავტობუსით იმგზავრა ნინოსთან ერთად. მაგიდა გწყობილი იყო იმ ტკბილეულით, რომელიც დიასახლისმა მოიტანა ავტობუსით.

კითხვები და დავალებები:

ა. როგორი წარმოდგენა შეექმნება მეზობელს ნინოს და მისი მშობლების შესახებ?

ბ. რას იფიქრებდა მეზობელი ნინოს ოჯახზე?

გ. რას ნიშნავს იყო აღზრდილი ადამიანი?

დ. თქვენი აზრით, როგორ დამთავრდებოდა ეს ამბავი?

4. ამოცანა: ახალგაზრდა ერთ-ერთ ოჯახში სტუმრად იყო მიწვეული. მას მისვლა დააგვიანდა. მთელი საათი ელოდა მასპინძელი სტუმრებთან ერთად და ბოლოს დასხდნენ სუფრასთან. ახალგაზრდა მოგვიანებით შეუერთდა სუფრას კარგ ხასიათზე. მთელი საღამო საუბრობდა იმაზე თუ როგორ შეხვდა ერთ მის ნაცნობ (ცნობილ) ადამიანს და მასთან საუბრის გამო დააგვიანა. ის არ აცლიდა სხვებს საუბარს.

კითხვები და დავალებები:

ა. შეაფასეთ ახალგაზრდის ქცევა.

ბ. რა უნდა იცოდეს ყველამ სხვებთან ურთიერთობის დროს?

გ. რაა ახალგაზრდის ასეთი ქცევის მიზეზი?

დ. რას იზამდით, თუ ასეთი ადამიანის გარემოცვაში მოხვდებოდით?

ამოცანები მაგალითის მეთოდის გამოყენებაზე - კლასში გადმოვიდა ახალი მოსწავლე გოგონა. ის თავისთავად ჩაკეტილი და ფრთხილი იყო. ვაჟების ერთმა ნაწილმა გადაწყვიტა გოგონასთვის მოეწყოთ “ხრიკი”, რომ მიეხვედრებინათ გოგონასთვის „სად მოხვდა“. დასვენებაზე, როცა გოგონა დერეფანში გავიდა, ბიჭებმა გადამალეს მისი ჩანთა. სულმოუთქმელად ელოდნენ „სპექტაკლს“. ყველაფერი ისე გამოვიდა, როგორც მათ სურდათ; ახალგადადმოსული ანერვიულდა, დაიწყო გამოკითხვა, თუ ვინ აიღო მისი ჩანთა.

კითხვები: 1. შეაფასეთ მიკროგარემო, რომელშიც მოხდა ეს ქცევა.

2. შეიძლება თუ არა აღნიშნული სიტუაციით ვიმსჯელოთ თანამედროვე ახალგაზრდის სულიერ სიღარიბეზე?

3. ვინ და როგორ არეგულირებს აღნიშნულ სიტუაციებში ურთიერთობებს კოლექტივში?

ამოცანები ქმედებების შერჩევაზე

1. წარმოიდგინეთ, რომ თქვენთან მოვიდა მეგობარი, რომელიც თქვენგან შორს ცხოვრობს. მოვიდა წიგნისთვის, რომელიც თქვენ მას დაპირდით, მაგრამ დაგავიწყდათ დროზე მოძებნა. საჭიროა მისი დიდხანს ძებნა.

როგორ მოიქცევით და რას შესთავაზებთ ამხანაგს?

2. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ თეატრში მიდით მაშინ, როცა თქვენს რიგში ყველა მაყურებელი ზის. თქვენი ადგილი შუაშია. როგორ მოიქცევით?

ა) თქვენ ხართ თეატრში. ყველაზე დამაბულ მომენტში, როცა ყველა მაყურებლის ყურადღება მიქცეულია მოქმედების განვითარებისაკენ, ვიღაც ახლოს მჯდომი ელაპარაკება მის გვერდით მჯდომს და იცინიან. უკან კი ვიღაც მიირთმევს კანფეტებს და ისმის ქალაღდის ხმაური. რას განიცდით? როგორ მოიქცევით აღნიშნულ სიტუაციაში?

ბ) გოგონასთან ერთად დგახართ ბაქანზე. გოგონამ შეჭამა ნაყინი. მოჭმუქნა ქალაღდი, იცქირება ირგვლივ, ეძებს ურნას, რომ ჩააგდოს ქალაღდი. გამოჩნდა მატარებელი. სად გადააგდოს ქალაღდი? როგორ მოიქცევით აღნიშნულ სიტუაციაში?

გ) ვლადი მგზავრობდა ავტობუსით. უცებ მძღოლმა მკვეთრად დაამუხრუჭა. ვაჟმა თავი ვერ შეიკავა და დაეჯახა გვერდით მდგომ ქალბატონს. მან მაშინვე მოიხადა ბოდიში. მაგრამ საპასუხოდ მოისმინა გაკიცხვა. ის ცდილობდა აეხსნა, რომ ის არ იყო დამნაშავე, რომ თავი ვერ შეიკავა, რომ კიდევ ერთხელ იხდის ბოდიშს თავისი მოუხერხებლობის გამო. განაწყენებული ქალბატონი კი აგრძელებს ვაჟის ლანძღვა-გინებას. როგორ მოიქცევა შემდგომში ახალგაზრდა?

ამოცანები კონფლიქტის სწორი გადაწყვეტის შესახებ

მასწავლებელს კლასში შეჰყავს დერეფანში მოჩხუბარი 2 მოსწავლე და ეკითხება ჩხუბის მიზეზს. ბავშვები დუმან და აგრესიულად უყურებენ ერთმანეთს. ეს საიდუმლოა? – სერიოზულად ეკითხება პედაგოგი. მოსწავლეები თავის დაქნევით უდასტურებენ. მაშინ ასე მოვიქცეთ. გაძლევთ 5 წუთს და ერთმანეთს დაელაპარაკეთ როგორც მამაკაცები, მუშტიკრივისა და შეურაცყოფების გარეშე. წყნარად, მშვიდად გაარკვიეთ თქვენი ურთიერთობა და კლასში დაბრუნდით უფრო კარგი მეგობრები ვიდრე იყავით. აჩვენეთ ყველას, როგორ შეიძლება ყველაზე რთული ცხოვრებისეული პრობლემის ცივილურად გადაწყვეტა.

კითხვა: სწორია თუ არა მასწავლებლის ქცევა? რით ხელმძღვანელობდა ის? ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ პრაქტიკაში შეიძლება “მამაკაცური” და “ქალური” აღზრდის რეალიზება? როგორ გადაწყვეტილებას მიიღებდით ამგვარ სიტუაციაში?

ამოცანები შემოქმედებითი უნარების განვითარება-გამოვლენაზე

მასწავლებელმა მოაწყო სეირნობა პარკში. შეარჩია ყველაზე ლამაზი ადგილი და გააფრთხილა მოსწავლეები წამოეღოთ თან სურათის ჩარჩო. გორაკზე რომ ავიდნენ, მასწავლებელმა თქვა: დღეს ჩვენ შევარჩევთ ზამთრის პეიზაჟს. რომელი თქვენთაგანიც შეარჩევს ყველაზე ლამაზს და დაგვიმტკიცებს, დაგვარწმუნებს მის სილამაზეში მიიღებს პრიზს-წიგნს ქართველ მხატვრების შესახებ. –სად არის ეს სურათები? იკითხა ერთ-ერთმა მოსწავლემ.

–ისინი ჩვენ ირგვლივია. აიღეთ თქვენი ჩარჩო და დაადეთ ცოცხალი პეიზაჟის ნებისმიერ ადგილს და დააკვირდით რა სურათი აღმოჩნდა თქვენს ჩარჩოში. როცა შეარჩევთ ყველაზე ლამაზს, დაგვიმახეთ ყველას სანახავად.

მოსწავლეებმა დაიწყო პარკის მხატვრული ადგილების მოძებნა, იყურებოდნენ ჩარჩოში, გამოხატავდნენ თავიანთ აღფრთოვანებას, თხოვდნენ სხვებსაც ენახათ. მაგრამ ყველანი აღაფრთოვანა გიოს სურათმა. მან შეძლო შეერჩია ხედი, რომელიც მოგვაგონებდა გზას კლდეებს შორის. ხატვის გაკვეთილმა აღაფრთოვანა მოზარდები. ბავშვებს გაუჩნდათ სურვილი საღებავებით გამოეხატათ თავიანთი განწყობა.

კითხვები: 1. როგორია მასწავლებლის საქმიანობის სტილი?

2. შეაფასეთ მასწავლებლის მოსწავლეზე ზემოქმედების თითოეული ხერხი

3. რაში მდგომარეობს მასწავლებლის მიერ ტრადიციულ საკლასო-საგაკვეთილო ფორმის ფარგლებს გარეთ გადატანის ღონისძიება.

სიტუაციები თვითგამოხატვაზე:

1. ნინო სკოლაში სანიმუშო მოსწავლეა. ის შესანიშნავად წერს თხზულებებს, რომელშიც თავის იდეალებზე საუბრობს. სახლში კი სულ სხვანაირია. კარებზე დაჟინებით რეკავს და აბრაზუნებს, თან გამუდმებით ბუზღუნებს – ჩაეძინათ? ოთახში შესვლისთანავე ჩანთას მიაგდებს და მაშინვე

შერბის სამზარეულოში. იქედან კი გაბოროტებული და უხეში ხმა ისმის – ჩემი კაბა კიდევ არ გაგირეცხია?

-ვერ მოვასწარი, ხომ იცი ავად ვარ.

-შენ სულ ასე ხარ. იყო პასუხი

კითხვა: რა შეცდომაა დაშვებული ნინოს აღზრდაში? რას ფიქრობთ, ვინ არის ამაში დამნაშავე? რას ურჩევდით ნინოს და მის დედას

2. IX კლასის ფრიადოსანმა მოსწავლემ ისტორიაში გაკვეთილი არ იცოდა, მასწავლებელს გაუკვირდა. იგი დიდ ხანია, რაც ამ მოსწავლეს იცნობდა, როგორც პატიოსან, კეთილსინდისიერ, კარგი თვისებების მქონე მოსწავლეს. მასწავლებლის კითხვაზე – რატომ არ მოამზადა გაკვეთილი? – მოსწავლემ ასე უპასუხა: მე დავრწმუნდი, რომ ფიზიკაში ბოლო პარაგრაფი ცუდად ვიცი, ეს კი ხელს მიშლის მასალის სწავლაში, გადავწყვიტე გუშინ ფიზიკა მესწავლა, მთელი სადამო მას მოვანდომე.

კითხვა: როგორ უნდა მოიქცეს მასწავლებელი.

3. VII კლასში სემესტრის ბოლოს დაიკარგა ჟურნალი. სასწრაფოდ საჭირო იყო ჟურნალის პოვნა, რადგან სემესტრის ნიშნები იყო გამოსაცვანი. ჟურნალი ვერსად ნახეს. დაიწყეს ფიქრი იმაზე, როგორ აღედგინათ მოსწავლეების მიმდინარე შეფასება ცალკეულ საგნებში. და აი, გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელს ერთი მოსწავლე ეუბნება, რომ მან იცის ვინ აიღო ჟურნალი. მასწავლებელი ჩაფიქრდა და უპასუხა: ამ ფასად ნაპოვნი ჟურნალი მე არ მჭირდება.

-რა ფასად? გაქვავდა მოსწავლე

-შენი დაცემის ფასად

კითხვა: რას აფასებს მასწავლებელი თავის მოსწავლეებში? შეაფასეთ მასწავლებლის ქცევა და პოზიცია, განსაზღვრეთ მისი ქცევის მოტივი

დახმარების გამოხატვის სურვილი

1. ლია იყო წყნარი, მშვიდი და მოკრძალებული გოგონა. მისი თანაკურსელები-გია და ოლეგი თავკერძა, ქარაფშუტა და ხმაურიანი ბიჭები იყვნენ. დასვენებაზე მათ ლიას უკბილო ხუმრობა დაუწყეს. მათი ხუმრობა თანდათან აუტანელი გახდა. ლიას თანაჯგუფელი გამოექომაგა. შენიშვნა

მისცა ბიჭებს. ასეთი ქცევა ინტელიგენტ, განათლებულ ადამიანებს არ შეეფერისო. თანაც ისინი მომავალი ინჟინრები იყვნენ.

კითხვა: რაზე მეტყველებს ეს სიტუაცია? განათლებული ნიშნავს თუ არა აღზრდილს? როგორ გესმით “ინტელიგენტი”? დამოკიდებულია თუ არა ის განათლებაზე?

2. ნინომ ცურვა არ იცის, მაგრამ ლაშქრობაზე რომ წავიდეს ცურვა უნდა ისწავლოს, თუმცა ძალიან ეშინია. ბევრი ფიქრის შემდეგ მეგობარს სთხოვა გვერდით გაჰყოლოდა და თან დაემშვიდებინა. ასე მათ გაცურეს თითქმის 100 მეტრი. ნინო კმაყოფილი იყო თავისი წარმატებით. მეგობრის კითხვაზე შეშინდა თუ არა, მოგვიანებით უპასუხა: ძალიან შემეშინდა პირველი 10 მეტრის გაცურვისას, მაგრამ, დავმშვიდდი, რადგან შენ მეგულებოდი გვერდით.

კითხვა: რა იყო ნინოს სწავლის ჭეშმარიტი მოტივი? რა დაეხმარა მას შიშის დაძლევაში? როგორ გესმით თქვენ მეგობრული და საქმიანი ურთიერთობები ადამიანებს შორის?

თვითშეფასების პედაგოგიური სიტუაციები

ადრე მე ვიყავი სუსტი და კეთილი. მე არ შემეძლო თავის დაცვა და არც თავის წარმოჩენა. ახლა კი სავსებით სხვანაირი ვარ. მე ყველა მერიდება და უფრო პატივს მცემს. შეიძლება იყო ნიჭიერი, მაგრამ თუ არ ხარ მკაცრი და ძლიერი პიროვნება, მაშინ გროშადაც არ ღირხარ. ჩვენი დრო ესაა ძლიერ ადამიანთა დრო, რომელთაც შეუძლიათ თავისი ადგილის მოძებნა და შენარჩუნება ცხოვრებაში”.

“მე ვფიქრობ, რომ შემიძლია ვუპასუხო კითხვას: რატომ არ სურს ჩემს თანატოლებს რაიმეს მიღწევა ცხოვრებაში. იმიტომ რომ ჩემი თაობისათვის არ არსებობს ის “რაიმე”, ... თუ ჩვენ ვიცხოვრებდით ომის დროს, მაშინ ყველასათვის ნათელია ცხოვრების მიზანი-სამშობლოს დაცვა ან ღალატი. ახლა რა ან ვინ უნდა დავიცვათ?”

კითხვა: რაზე მეტყველებს ეს მოსაზრება? შეადარეთ ისინი ერთმანეთს და გააკეთეთ დასკვნა. რა არის ახალგაზრდებისათვის ღირებული? როგორ პედაგოგიური რჩევები შეიძლება მივცეთ I და II შემთხვევაში?

წარმატების უზრუნველყოფის სიტუაცია: 1. პირველკლასელ მოსწავლეს (2006 წ) მასწავლებელმა მისცა დავალება: რომელ წელს წავიდა შენი ბებია პირველ კლასში? ეს არაა მარტივი ამოცანა, მაგრამ მე დავრწმუნებული ვარ, რომ შენ ამოხსნი ამ ამოცანას-უთხრა მასწავლებელმა. – ჩემი ბებო ახლა 50 წლისაა.

-რამდენი წლის იყო ბებო როცა პირველ კლასში წავიდა?

-იმდენი, რამდენიც მე 7 წლის.

-კარგი, მაშინ რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც შენი ბებია წავიდა სკოლაში

-სკოლაში ბებო წავიდა 7 წლის – ფიქრობს პატარა – ე. ი. $50-7=43$, ანუ 43 წლის წინ. ამიტომ $2006-43=1963$ წ. ვაჰა! მე გავიგე რომელ წელს წავიდა ბებო სკოლაში. 1963 წელს. –ყოჩად! შენ სწორად და წარმატებით ამოხსენი რთული ამოცანა.

კითხვა: როგორაა დაკავშირებული პირველკლასელთის ცოდნა სწავლასთან, თავის თავთან და ბებიასთან? რა პრინციპით ხელმძღვანელობდა მასწავლებელი? როგორი ატმოსფერო სუფევდა გაკვეთილზე?

2. VI კლასში სხვა სკოლიდან გადმოვიდა ირაკლი, რომელსაც დაბალი მოსწრება ჰქონდა რუსულ ენაში. მოსწავლე გონიერი ბავშვი იყო, მაგრამ რუსულის მასწავლებელთან ურთიერთობა ვერ აეწყო; ამიტომ დაიწყო რუსულის გაკვეთილების გაცდენა, გული აუცრუვდა ამ საგანზე. რუსულის ახალი მასწავლებელი კი საოცრად ყურადღებიანი და მზრუნველია ბავშვების მიმართ. ის დამატებით მეცადინეობას უტარებდა ირაკლის. ირაკლიმ ერთხელაც უთხრა მასწავლებელს, რომ ტყუილად კარგავდა დროს მასთან, რომ მას არაფერი ეშველებოდა, რადგან უნიჭო იყო.

-საიდან იცი? ჰკითხა მასწავლებელმა.

-ასე ამბობს ჩემზე ყველა

-და შენ გჯერა?

მჯერა.

-მომიხდება შენი საპირისპირო მოსაზრებაში დარწმუნება. ხომ გაგიგონია გამოთქმა: ვინც ეძებს ის პოულობს? შენ შეძლებ თუ ბევრს იმუშავებ. მთელი სემესტრის განმავლობაში თავდაუზოგადავად მეცადინეობას.

და, აი, პირველი “10” მიახარა დედას. თითქოს ფრთები შეესხაო. მას შემდეგ ირაკლიმ დაიწყო ბეჯითად სწავლა და რუსულის გაკვეთლს ინტერესით უსმენდა

კითხვა: რაში მდგომარეობს ირაკლის წარმატების საფუძველი? შეაფასეთ მასწავლებლის პედაგოგიური მოქმედება. დაასახელეთ ირაკლის სწავლისადმი დამოკიდებულების ძირითადი მექანიზმი

3. მამამ 6 წლის ნიკას ასეთი ამოცანა მისცა: “ნინო გიორგიზე უფროსია, გიორგი კი დათოზე უფროსი, რომელია ყველაზე პატარა?” ნიკამ ეს ამოცანა რამდენჯერმე გაიმეორა, მაგრამ ვერ ამოხსნა. მაშინ აიღო 3 ასანთის ღერო, ორი მათგანი სხვადასხვა ზომაზე გადატეხა და ამ ასანთის ღერის დახმარებით ამოცანა სწრაფად და სწორად ამოხსნა.

კითხვა: რატომ დასჭირდა ნიკას ასანთის ღერები ამოცანის ამოსახსნელად? ბავშვის აზროვნების რა თავისებურებაზე მიგვითითებს ეს მაგალითი? როგორ უნდა ვითვალისწინებდეთ ბავშვთა ამ თავისებურებებს სწავლებისა და აღზრდის პროცესში?

პედაგოგიური ამოცანები მასწავლებლის ტაქტზე

1. მათემატიკის მასწავლებელს თავისებური წესი ჰქონდა საკონტროლო წერის რვეულების დარიგებისა კლასში. პირველ რიგში რვეულებს ურიგებდა `ფრიადოსნებსა` და `კარგოსნებს`. თან დაატანდა: ესენი არიან ჩემი საიმედო დასაყრდენები კლასში.

შემდეგ პორტფელიდან ამოიღებდა `სამოსნების ნაწერებს და ისეთი დამამცირებელი ტონით მოიწვევდა მათ რვეულების მისაღებად, რომ არც ერთ `სამოსანს არ უჩნდებოდა სურვილი რვეულის მიღებისა. ამიტომ მასწავლებელი მათ რვეულებს მაგიდაზე აწყობდა. შემდეგ გამოაცხადებდა `ოროსნების გვარსა და სახელს. თან დაატანდა `დამაიმედებლად` “ორიანები” განაღებულნი გაქვთ მთელი სასწავლო წლის მანძილზე.

„სამოსნებს“ არ უყვარდათ მათემატიკის მასწავლებელი, ეს ბუნებრივია, მაგრამ ის არ უყვარდათ აგრეთვე, ვისითაც ამაყობდა მასწავლებელი.

ა) გაანალიზეთ მასწავლებლის ქცევა და მიეცით მას შეფასება;

ბ) რატომ არ უყვარდათ მოსწავლეებს მათემატიკის მასწავლებელი?

2. სამასწავლებლოში აცრემლებული შემოვარდა ახალგაზრდა მასწავლებელი:

_ მე შეურაცყოფა მომაყენა VII კლასის მოსწავლემ მგელაძემ

_ რამ გამოიწვია მოსწავლის ასეთი ქცევა? _ ჰკითხეს კოლეგებმა.

მასწავლებელი ამბობს: კლასი ასრულებდა საკონტროლო წერას. მერხებს შორის ჩამოვლის დროს შევნიშნე, რომ მოსწავლე მგელაძე იხედებოდა ამხანაგის ნაწერში. მე მას ეს რომ შევნიშნე გავაფრხილე, მაგრამ ის მაინც განაგრძობდა ამხანაგის ნაწერში ყურებას.

როცა მოსწავლე მგელაძემ დაამთავრა წერა და რვეული მიუტანა მასწავლებელს, მასწავლებელმა ეს რვეული გადახია და გადაყარა.

მოსწავლემ ამაზე უხეშად უპასუხა.

როცა კოლეგებმა დაამშვიდეს ახალგაზრდა მასწავლებელი, მან აღიარა, რომ აღელვების გამო მოიქცა არასწორად, მაგრამ მოსწავლე მგელაძემ მაინც უნდა მომიხადოს ბოდიში მთელი კლასის წინაშე, რადგან შეურაცხყოფა მთელი კლასის წინაშე მომაყენა.

1. გაანალიზეთ მასწავლებლის საქციელი და მიეცით მას შეფასება;

2. სამართლიანად მოითხოვდა თუ არა მასწავლებელი მოსწავლე მგელაძისაგან ბოდიშის მოხდას მთელი კლასის წინაშე?

3. რას უპასუხებენ მასწავლებლის ამ მოთხოვნას მგელაძე და მისი თანაკლასელები?

3. აღზნებული და გაბრაზებული მოსწავლე გიზო კლასის ჯგუფხელის თანხლებით შედის კლასის ხელმძღვანელის კაბინეტში. კლასის ხელმძღვანელი დაკავებულია. კედელზე ლურსმანს აჭედებს სურათის ჩამოსაკიდებლად. დაინახა რა შემოსული გიზო, მასწავლებელმა მშვიდად მიმართა: `გიზო, გეთაყვა, მომაწოდე ჩაქუჩი.. გიზომ მიაწოდა მასწავლებელს ჩაქუჩი. ახლა, ისევ მიმართა მასწავლებელმა, _ `დაიხიე უკან და შეხედე გადახრილად ხომ არ ჰკიდია სურათი. გიზო იხევს უკან და ყურადღებით ამოწმებს სურათის მდგომარეობას და იწონებს. `ასე და ამრიგად, ჩვენ ეს საქმე კარგად გავაკეთეთ. ახლა მითხარი, რა მოხდა თქვენს კლასში? _ მიმართა მასწავლებელმა გიზოს. გიზომ დამშვიდებულად მოახსენა კლასის ხელმძღვანელს

კლასში მომხდარის შესახებ. შემდეგ შეთანხმდენ, რომ მომავალში მსგავსი არაფერი განმეორდებოდა. როცა გიზო გამოდიოდა მასწავლებლის კაბინეტიდან, მიუბრუნდა მასწავლებელს და უთხრა: თქვენ დამიძახეთ და მე ყოველთვის მოგეხმარებით თქვენ კაბინეტში. მე ყველაფერი მაქვს სახლში: ჩაქუჩი, ლურსმანი.. ამის შემდეგ გიზო ხშირად შედიოდა კლასის ხელმძღვანელის კაბინეტში.

1. რატომ მიმართა კლასის ხელმძღვანელმა გიზოს საქმეში ჩასართველად?;

2. მიეცით შეფასება მოსწავლისადმი მასწავლებლის ასეთ ქცევას;

3. რატომ მოუხშირა გიზომ მასწავლებლის სამუშაო კაბინეტში მისვლას?

4. კლასი წერით სამუშაოს ასრულებდა. ერთი მოსწავლე წუხდა, რომ ვერ პოულობდა საჭირო სიტყვას ფრაზის სრულყოფილად გამართვისათვის. ბოლოს მაინც მიაგნო საჭირო სიტყვას და სიხარულით ხმამაღლა შესძახა: „ვიპოვე“. ეს ხმამაღალი წამოძახილი მასწავლებელმა წესრიგის დარღვევად ჩაუთვალა და ყოფაქცევაში „ორიანი“ დაუწერა.

1. რას ფიქრობთ თქვენ, იმსახურებდა ეს მოსწავლე ყოფაქცევაში „ორიანს“?

2. როგორ შეაფასებდნენ მოსწავლეები ყოფაქცევაში „ორიანის“ დაწერას?

3. სწორად მოიქცა მასწავლებელი?

5. ქიმიის მასწავლებელი მეთოდურად სწორად წარმართავს გაკვეთილს, მაგრამ ექსპერიმენტული ამოცანების ამოხსნას მაინც ვერ ახერხებს. მასწავლებელი ნერვიულობს, ღიზიანდება და ჯავრს იყრის მოსწავლეებზე. ამ დროს ერთ-ერთი მოსწავლე იღებს სახელმძღვანელოს და რეაქციის სწორად დაწერილობას ამოწმებს. მასწავლებელი გაჯავრებით მივარდა, გამოგლიჯა ხელიდან წიგნი და გალანძღა მოსწავლე: „ზარმაცები ხართ“, „უნიჭოები ხართ“, „უზრდელები ხართ“.

გაკვეთილის დამთავრების შემდეგ ქიმიის მასწავლებელმა შესჩივლა კლასის ხელმძღვანელს, მაგრამ თვითონ ვერაფრით ვერ ამოხსნა საკუთარი წარუმატებლობის საიდუმლო - რატომ ვერ ამოხსნა ექსპერიმენტული ამოცანა.

თქვენ როგორ აუხსნიდით ამ მასწავლებელს ამის მიზეზს?

6. გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელმა ორი მოსწავლე გამოიძახა დაფასთან. ერთმა დაწერა სიტყვა „ფაქიზი“, მეორემ „ბინძური“. მასწავლებელი აძლევს დავალებას: მოიფიქრეთ და დაწერეთ ამ სიტყვების სინონიმები. პირველმა მოსწავლემ მოიფიქრა და დაწერა: „სუფთა“ და „წმინდა“, მეორემ „უსუფთაო“

როცა დავალება შეასრულეს, მასწავლებელმა მოსწავლეები დააყენა თავიანთი ნაწერების პირდაპირ და ხმამაღლა წარმოთქვა: აი, ამ სიტყვების თვალსაჩინო მაგალითებიც. მაშინ შენიშნეს მოსწავლეებმა, რომ იმ ყმაწვილს, რომელსაც დაევალა სიტყვა „ბინძურის“ სინონიმის მოფიქრება, ძველი, გახუნებული ქურთუკი და ასევე ძველი, გახუმებული შარვალი ეცვა. სამაგიეროდ, მეორეს, რომელსაც დაევალა სიტყვა „ფაქიზის“ სინონიმის მოფიქრება, ეცვა ახალი სასკოლო ფორმა.

მიეცით შეფასება მასწავლებლის მიერ მოსწავლეზე გამოყენებული ზომების ხერხს;

როგორი გრძნობა დაეუფლებოდათ დაფასთან გამოძახებულ მოსწავლეებს?

7. მეათეკლასელები საკონტროლო წერას ასრულებენ. ერთ-ერთი მოსწავლე ხშირად იხედება რვეულში. მასწავლებელი შენიშნავს და მოითხოვს მისცეს ეს რვეული. მოსწავლე ინახავს საწიგნეში მას და მასწავლებელს უცხადებს: არ მოგცემთ.

რამდენიმეჯერ გაუმეორა მასწავლებელმა თავისი მოთხოვნა. მოსწავლე კი არ ემორჩილება. მაშინ მასწავლებელმა ჯიუტი მოსწავლე კლასიდან გააგდო და ჟურნალში ორიანი ჩაუწერა. მოგვიანებით გამოირკვა, რომ რვეული მოსწავლეს მეორე კლასის მოსწავლისაგან ჰქონდა ნათხოვარი და ყმაწვილს არ უნდოდა მისი გამჟღავნება.

მასწავლებლის სამართლიანი მოთხოვნა დაუპირისპირდა მოსწავლის ასევე სამართლიან ქცევას _ არ გაემჟღავნებინა ამხანაგი.

როგორ უნდა მოქცეულიყო მასწავლებელი ასეთ ვითარებაში?

8. მეათეკლასელებმა ყოფილი კლასის ხელმძღვანელის შესახებ კარიკატურა დახატეს. კლასის ახალ ხელმძღვანელს ხელთ ჩაუვარდა ეს კარიკატურა, რომელშიც მისი წინამორბედის ნაკლოვანება იყო წარმოსახული. მოსწავლეები ელოდნენ ახალი ხელმძღვანელისაგან გაუთავებელ დამრიგებლურ ნოტაციებს. მაგრამ ახალმა კლასის ხელმძღვანელმა მშვიდად განაცხადა: ჩემთვის სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ჩემს კლასში ნიჭიერი მხატვრები მყავს, კარიკატურა მეტყველებს იმაზე, რომ თქვენ დაკვირვებული ბავშვები ხართ, შეგიძლიათ შენიშნოთ და გადმოსცეთ ყველაზე დამახასიათებელი თვისებები. შემდეგ მოულოდნელად თხოვნით მიმართა მოსწავლეებს: მაჩუქეთ ეს ნახატი სამახსოვროდ. ამის გამო კლასში გაისმა გაუგებრობის გამომხატველი ბუბუნნი.

-ახსენით კლასის ხელმძღვანელის ქცევა;

-რატომ გადაუარა კლასს გაუგებრობის გამომხატველმა ბუბუნმა?

9. მეცხრეკლასელები ხშირად საუბრობდნენ თავიანთ კლასის ხელმძღვანელთან ზოგიერთი იმ მასწავლებლის შესახებ, რომლებიც უხეშად ეპყრობოდნენ ცალკეულ მოსწავლეებს: ბრალს სდებდნენ უხეშობაში, უკანონობაში. მსგავს საჩივრებს ისმენდა კლასის ხელმძღვანელი მშობლებისაგანაც.

როგორი რეაგირება უნდა მოეხდინა ამ სიგნალებზე კლასის ხელმძღვანელს?

10. ერთ-ერთ კლასში მიმდინარეობდა გაკვეთილი კრილოვის იგავ-არაკების შესახებ. მოსწავლეები კითხულობდნენ და არჩევდნენ კრილოვის იგავ-არაკებს „ყვავი და მელა“, „გლეხის გასაჭირი“, „მამალი და გუგული“. გაკვეთილის დამთავრების წინ მასწავლებელმა ხელში დაიჭირა კრილოვის იგავ-არაკების კრებული და გამოაცხადა:

– როგორ ფიქრობთ, ჩვენი კლასის რომელ მოსწავლეს უნდა გადავცე საჩუქრად ეს წიგნი? თქვენს შორის ყველაზე მეტად ვის ახასიათებს კრილოვის გმირების მანკიერება?

ბოლოსდაბოლოს დასახელდა ასეთი მანკიერი მოსწავლე და მასწავლებელმა მას გადასცა კრილოვის იგავ-არაკების კრებული.

-სწორად მოიქცა მასწავლებელი?

-რას იგრძნობდა მოსწავლე, რომელსაც კრილოვის წიგნი გადაეცა?

-როგორ ფიქრობთ, ის მოსწავლე ამით გამოასწორებდა თავის მანკიერ თვისებებს?

- წაიკითხავდა თუ არა ის მოსწავლე კრილოვის წიგნს ბოლომდე?

ბლუმის ტაქსონომია გაკვეთილზე

დავალება 1. გაკვეთილის თემა: თემურ ლენგის ლაშქრობები საქართველოში.

პედაგოგის აქტივობები შეუსაბამეთ აზროვნების დონეებს:

აქტივობები	ტაქსონომიის დონეები
ა. შენი აზრით, რა მოხდებოდა, საქართველოს მეფეს უარი რომ ეთქვა თემურ ლენგის წინააღმდეგ ოქროს ყაენთან კავშირზე?	1. ცოდნა
ბ. რუკაზე უჩვენე თემურ-ლენგის მერვე ლაშქრობის მარშრუტი.	2. გაგება
გ. დაასახელე საქართველოს მეფეები, რომლებიც მეფობდნენ თემურ ლენგის ლაშქრობების დროს?	3. გამოყენება
დ.რამდენად მისაღები არის შენთვის გიორგი VII ქმედებები ამ ლაშქრობების დროს?	4. ანალიზი
ე. იმსჯელე თემურ-ლენგის და მურვან-ყრუს ლაშქრობების საერთო მიზეზებზე	5. სინთეზი
ვ. შენი სიტყვებით მოკლედ მოყევი თემურ-ლენგის და გიორგი მე-7 ურთიერთობაზე	6. შეფასება

დავალება 2. გაკვეთილის თემა: ნაპოლეონის ომები და ვენის კონგრესი

პედაგოგის აქტივობები შეუსაბამეთ აზროვნების დონეებს:

<p>ა. შენი აზრით, რომელმა სახელმწიფოებმა მოიგეს ვენის კონგრესის დასკვნითი აქტით?</p> <p>ბ. რუკაზე უჩვენე ნაპოლეონის მიერ დაპყრობილი ქვეყნები</p> <p>გ. ევროპისათვის რა მნიშვნელობა ჰქონდა ვენის კონგრესს?</p> <p>დ. დააჯგუფე ქვეყნები, რომლებმაც მოიპოვეს დამოუკიდებლობა ვენის კონგრესის გადაწყვეტილების შედეგად</p> <p>ე. რის გადარჩენას ცდილობდა ნაპოლეონი გადადგომით</p> <p>ვ. რის მიღწევას ცდილობდა ნაპოლეონი კონტიტენტური ბლოკადის გამოცხადებით?</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. გამოყენება 2. ანალიზი 3. შეფასება
---	--

დავალბა 3. ისტორიის მასწავლებელმა გაკვეთილი დაგეგმა და წარმართა ბლუმის ტაქსონომიის გამოყენებით.

დაალაგეთ განხორციელებული აქტივობები სააზროვნო დონეების მიხედვით:

- მოსწავლეებმა შეადგინეს მთავარი და მეორეხარისხოვანი მოვლენების ჩამონათვალი;
- მასწავლებელმა მოსწავლეებს მიაწოდა თემასთან დაკავშირებული ახალი ინფორმაცია;
- მოსწავლეები აკრიტიკებენ ერთმანეთის პოზიციებს;
- მოსწავლეები მსჯელობენ მიზეზებზე, რამ გამოიწვია ბრძოლაში დამარცხება;
- მოსწავლეები ეძებენ პრობლემის გადაჭრის ალტერნატიულ გზებს;
- მოსწავლეები რუკაზე აჩვენებენ მოწინააღმდეგის გადაადგილების მარშრუტს.

დავალბა 4. მეათე კლასი ქართულ ენასა და ლიტერატურაში გადის თემას: „ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია. მასწავლებელმა წინასწარ მოამზადა შეკითხვები, რომელიც ისე იყო ფორმულირებული, რომ შესაძლებელია სხვადასხვა სააზროვნო დონეებზე გასვლა.

შეუსაბამეთ მარჯვენა სვეტში მოცემული კითხვა მარცხენა სვეტში მოცემულ ბლუმის სააზროვნო დონეს

<p>ა. ილია ჭავჭავაძისა და ვილჰელმ ფონ ჰუმბოლტის ბიოგრაფიული დეტალების შედარებით ჩამოაყალიბეთ იდეალური საზოგადო მოღვაწის სახე</p>	<p>1.ცოდნა 2.გაგება 3.გამოყენება</p>
<p>ბ. სქემატურად (ტაბულარულად) წარმოადგინეთ ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია</p>	<p>4.ანალიზი 5.სინთეზი 6.შეფასება</p>
<p>გ. გაიხსენეთ ი. ჭავჭავაძის სტუდენტურ წლებთან დაკავშირებული მოვლენები</p>	
<p>დ.დააჯგუფეთ ი. ჭავჭავაძის ბიოგრაფიული ფაქტები მისი მოღვაწეობის სფეროების მიხედვით</p>	
<p>ე. შეადარეთ ერთმანეთს ი. ჭავჭავაძისა და დიმიტრი ყიფიანის მოღვაწეობა. რა აერთიანებთ მათ?</p>	

დავალება 5. რომელია კოგნიტური სფეროს „ცოდნის“ საფეხურის კითხვა ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით?

- ა) რას ფიქრობთ ავტორის გზავნილებზე?
- ბ) ვის შეუძლია მოგვიყვეს მოთხრობაში აღწერილი დეკორაციები?
- გ) რომელ სკოლაში დადიოდა ბიჭი?
- დ) როგორ შეაფასებდით ამ მოთხრობას?

დავალება 6. ბლუმის მიხედვით, სინთეზი არის სააზროვნო უნარ-ჩვევა, რომელიც ანალიზის საწინააღმდეგო პროცესს წარმოადგენს და მასში იგულისხმება:

- 1. ჰიპოთეზის წამოყენება;
 - 2. პრობლემის გადაჭრისათვის საჭირო მოქმედებების დაგეგმვა;
 - 3. პროცესის კანონზომიერების გამოვლენა
- ა) მხოლოდ II

ბ) მხოლოდ III

გ) მხოლოდ I და II

დ) მხოლოდ I და III

დავალება 7. მათემატიკის მასწავლებელი ხშირად გაკვეთილის ბოლოს ახსნილ მასალაზე ბავშვებს აწერინებს დამოუკიდებელ სამუშაოს.

დაასახელეთ მოსწავლის სამი უნარი, რომელთა განვითარებასაც სწავლების ეს ფორმა უწყობს ხელს. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

- ახსენით, როგორ ეხმარება მასწავლებელს ეს მეთოდი სასწავლო მიზნების მიღწევაში.

დავალება 8. ხმაურს სასწავლო ოთახში პედაგოგები ხშირად ნეგატიურ მოვლენად აღიქვამენ. ხმაურისადმი ასეთ დამოკიდებულებას აქვს გარკვეული მიზეზები. როგორ ფიქრობთ, რა განაპირობებს მას? ჩამოთვალეთ რამდენიმე მიზეზი და მისი აღმოფხვრის გზები

დავალება 9. 22 მარტი გაერომ წყლის საერთაშორისო დღედ გამოაცხადა. ამ დღესთან დაკავშირებით XI კლასში მასწავლებელმა ყურადღება გაამახვილა საქართველოში წყლის უხვი რესურსების არსებობასა და არაგონივრულ ხარჯვაზე. მან სთხოვა მოსწავლეებს, დაფიქრდნენ და სიტყვიერად ჩამოაყალიბონ, რა შეიძლება გაკეთდეს წყლის რესურსების გაფრთხილებისა და რაციონალური გამოყენებისათვის.

ჩამოთვლილთაგან პრობლემის გადაჭრის რომელ ეტაპს შეესაბამება მოცემული დავალება?

ა) ინფორმაციის მოძიებას

ბ) პრობლემის გამომწვევი შესაძლო მიზეზების დადგენას

გ) პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზის მოფიქრებას

დ) პრობლემის განსაზღვრას

დავალება 10. სხვა რესურსებს შორის საგანმანათლებლო რესურსად მოიაზრება სკოლასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობებიც. ეს რესურსი ეფექტიანად შეიძლება იყოს გამოყენებული **მოსწავლეთა სწავლის და სწავლების ხელშესაწყობად**. ჩამოთვლილთაგან რომელია საზოგადოების სკოლასთან ურთიერთობის

საგანმანათლებლო რესურსად გამოყენების ყველაზე ეფექტიანი მაგალითი?

ა) სკოლის მოსწავლეების ძალებით გამართულ საქველმოქმედო კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა ფოლკლორულმა ჯგუფებმაც.

ბ) ხელოვნების გაკვეთილებში ჩაერთვნენ ხალხური რეწვის ოსტატები, რომლებმაც მოსწავლეებს შეასწავლეს თექის დამუშავების ტექნოლოგია.

გ) ფიზიკის მასწავლებლის მოწვევით რაიონის მკვიდრმა ცნობილმა მეცნიერმა მოსწავლეებს ჩაუტარა საინტერესო ლექცია.

დ) მოსწავლეების ინიციატივით რაიონის ხელმძღვანელობასთან მოეწყო პრესკონფერენცია, რომლის მასალები დაიბეჭდა ადგილობრივ გაზეთში.

დავალება 11. განიხილეთ ქვემოთ მოცემული გაკვეთილები. რა დადებითი ეფექტია ექნება ამგვარად დაწყებულ გაკვეთილებს?

პირველი სიტუაცია: მასწავლებელი შედის კლასში და დაფაზე წერს გაკვეთილის მიზანს: „მოსწავლეები გაიაზრებენ პერიმეტრის ცნებას, გამოთვლიან გეომეტრიული ფიგურების პერიმეტრს ფორმულაზე დაყრდნობით“. ამის შემდეგ, მასწავლებელი მიმართავს კლასს - ბავშვებო, დღეს ჩვენ ვისწავლით გეომეტრიული ფიგურების პერიმეტრის გამოთვლას (მაგ., მართკუთხედის, კვადრატის). უსვამს კლასს შეკითხვას: რა გვეცოდინება/რის გაკეთებას შევძლებთ დღეს გაკვეთილის ბოლოს? მას შემდეგ, რაც მასწავლებელი მოისმენს რამდენიმე მოსწავლის პასუხს, გადადის გაკვეთილის შემდეგ ეტაპზე.

მეორე სიტუაცია: მასწავლებელი ხაზავს დაფაზე სამკუთხედს და ეუბნება მოსწავლეებს, რომ ეს არის სამკუთხედი. ამის შემდეგ ეკითხება კლასს - „ბავშვებო, თქვენი აზრით რას გავაკეთებთ დღეს?“

მოსწავლეები პასუხობენ:

- დღეს დავხატავთ აი ამას (მოსწავლე ხელს იშვერს დაფისკენ);
- დავხატავთ სამკუთხედს;
- ვისწავლით როგორ დავხაზოთ სამკუთხედი.

მასწავლებელი მადლობას უხდის მოსწავლეებს და აჯამებს მათ მოსაზრებებს: „მართალია, დღეს ჩვენ მართლაც დავხაზავთ სამკუთხედს და შევადარებთ სხვა გეომეტრიულ ფიგურებს“. შემდეგ უსვამს მოსწავლეებს მორიგ შეკითხვას: „როგორ ფიქრობთ, რისთვის გვჭირდება რომ ვისწავლოთ სამკუთხედის დახაზვა?“ მოსწავლეები გამოთქვავენ მოსაზრებებს. მასწავლებელი აჯამებს მოსწავლეთა მოსაზრებებს და აზუსტებს, რომ სამკუთხედის დახაზვას ჩვენ ვსწავლობთ იმისთვის, რომ - სწორად განვსაზღვროთ სამკუთხედის გვერდები, წვეროები. ამის შემდეგ მასწავლებელი აგრძელებს გაკვეთილის მიმდინარეობას.

მესამე სიტუაცია: მასწავლებელი ხსნის თემას - „ჩემი გარემო“ საგანში ბუნებისმეტყველება. მასწავლებელი მიმართავს შეკითხვით მოსწავლეებს: „რატომ უნდა გავუფრთხილდეთ ბუნებას?“ შეუძლიათ ბავშვებს ბუნებაზე ზრუნვა?“ მასწავლებელი აფიქსირებს 3-5 მოსწავლის მოსაზრებებს. მასწავლებელი აგრძელებს: „თუ ჩვენ გვეცოდინება როგორ/რა ხერხებით შეგვიძლია ვიზრუნოთ ფლორისა და ფაუნაზე, უკეთ ვიზრუნებთ ბუნებაზე და ჩვენს გარემოს კიდევ უფრო ჯანსაღს/ლამაზს გავხდით“.

დავალბა 12. ჩემი შვილის დამრიგებელი ახალგაზრდა გოგონაა, იგი ძალიან ყურადღებიანი და მეგობრულია. ბავშვები ყოველთვის გულახდილები არიან მასთან. იგი ბიოლოგიასაც ასწავლის ჩემი შვილის კლასს. მის გაკვეთილზე შესვლა ყველაზე უფრო უხარიათ ბავშვებს, რადგან მუდმივად სხვადასხვა საინტერესო თემებზე საუბრობს მათთან. მაგრამ სამწუხაროდ სემესტრის ბოლოს ჩატარებულმა სასკოლო წერის შედეგებმაჩვენა, რომ კლასს ბიოლოგიაში ძალიან დაბალი შედეგები აქვს. ეს ალბათ იმის ბრალია, რომ გაკვეთილების დროს დიდ ნაწილს სხვა თემებზე საუბარში ატარებს.

კარგი იქნება სკოლის გამოცდილმა პედაგოგებმა ურჩიონ, როგორ დაგეგმოს საგაკვეთილო პროცესი.

დავალბა შეასრულეთ შემდეგი მითითებების მიხედვით:

- მიეცით ახალბედა პედაგოგს რეკომენდაციები, როგორ დაგეგმოს საგაკვეთილო პროცესი.
- დაასაბუთეთ თქვენს მიერ მიცემული რეკომენდაციების მართებულობა

- რატომ შეუწყობს ის ხელს პრობლემის მოგვარებას.

დავალბა 13. ჩვენი სკოლის ელექტრონულ მისამართზე კოლეგის წერილი მივიღეთ: ”ძვირფასო კოლეგებო, ინტერნეტში წავიკითხე, რომ იაპონური სკოლის წარმატების ერთ-ერთი ყველაზე უფრო განმსაზღვრელი ფაქტორი პედაგოგების მიერ სასწავლო პროცესის ჯგუფურად დაგეგმვააო. თუ გაქვთ ჯგუფური დაგეგმვის პრაქტიკული გამოცდილება, იქნებ მომწეროთ, რა უპირატესობები აქვს მას?”

კოლეგას დაუსახელებთ არგუმენტები და დაუსაბუთებთ რატომ აქვს ჯგუფურ დაგეგმვას უპირატესობა ინდივიდუალურ დაგეგმვასთან შედარებით.

დავალბა 14. ახალბედა პედაგოგი მოგმართავთ რჩევისთვის: ამ დღეებში ღია გაკვეთილი მაქვს ჩასატარებელი. ვიცი, რომ გაკვეთილის საწყის/გამოწვევის ფაზაზე უნდა მოხდეს მოცემულ საკითხზე, საგანზე ან მოვლენაზე არსებული ცოდნის, განცდების, შთაბეჭდილებების გააქტიურება და საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფა. იქნებ მირჩიოთ, რომელი აქტივობების და/ან სტრატეგიების/მეთოდების გამოყენება იქნება ეფექტიანი გაკვეთილის ამ ეტაპზე.

- აღწერეთ მასწავლებლის ერთი კონკრეტული აქტივობა და/ან მეთოდი/სტრატეგია, რომელიც იქნება ახალბედა მასწავლებლის მიერ წამოჭრილი პრობლემის მოგვარების გზა.

- დაასაბუთებთ, თუ რატომ შეუწყობს ხელს თქვენს მიერ აღწერილი აქტივობა და/ან სტრატეგია/მეთოდი გაკვეთილის ეფექტიან დაწყებას.

დავალბა 15. ცნობილია, რომ მასწავლებელი მიაღწევს რა მოწაფეებში ინტერესის აღძვრას, იწყება გაკვეთილის ცენტრალური ნაწილი - სიღრმისეული წვდომის ფაზა.

- აღწერეთ მასწავლებლის ერთი კონკრეტული აქტივობა და/ან სტრატეგია/მეთოდი, როლიც ეფექტიანი იქნება ამ ეტაპზე.

- დაასაბუთებთ თქვენი პასუხი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბალანჩივაძე რეზო, ანთროპოლოგიური პედაგოგიკა, თბილისი, 2011;
2. ბასილაძე იმერი, ჭოხონელიძე ნინო, კოსტავა ნინო, ქობულაძე ნატო, „სწავლების მეთოდები, სტრატეგიები, პედაგოგიური ტექნოლოგიები და ცოდნის შემოწმება-შეფასების საკითხები“, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი 2016;
3. ბასილაძე იმერი, კობრეიძე ქეთი, „პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები“, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 2004;
4. ბასილაძე იმერი, აბზიანიძე ლეილა, „გაკვეთილი, როგორც პედაგოგიური ფენომენი“, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 2009;
5. ბიბილეიშვილი იური, პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ბათუმი 2011;
6. ბიბილეიშვილი იური, თავდგირიძე ლელა, საუნივერსიტეტო სწავლებისა და აღზრდის საკითხები, (დამხმარე სახელმძღვანელო), გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი 2011;
7. ბოჭორიშვილი მანანა. (16.05. 2014). დიფერენციაციის თეორიის რამდენიმე ასპექტი, მოძიებულია 07.09.2016 „ჟურნალი მასწავლებელი". <http://mastsavlebeli.ge/?p=2017>
8. ბერძენიშვილი ცვატა. (09.10.2015). მოტივაცია კლასში: მოტივაციის თეორიები. მოძიებულია 07.09.2016, „ჟურნალი მასწავლებელი". <http://mastsavlebeli.ge/?p=1572>
9. გიორგაძე ოთარი, გაკვეთილი- თეორია და პრაქტიკა, ბათუმი 1999;
10. გორდუზიანი ნინო. (31.05.2012). „მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი“, მოძიებულია 07.09.2016, „ჟურნალი მასწავლებელი" <http://mastsavlebeli.ge/?p=2524>
11. გობრონიძე ალექსანდრე, პედაგოგიკა, ს.ს. გამომცემლობა „აჭარა“ , ბათუმი 2000;
12. გობრონიძე ალექსანდრე, სწავლების საკითხები, ბათუმი 1998;
13. გოგებაშვილი იაკობ, თხზ., ტ. I, თბილისი. 1954
14. გორგოძე სოფიო, ჯანაშია სიმონ (მთარგმნელები), „კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, წარმოსახვითი აზროვნება“, სსიპ-ახალქალაქის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება-კოლეჯი, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, თბილისი. 2012;
15. გომელაიური ბელაა, თავხელიძე მამუკა, „ევროპული დიდაქტიკა“, თბილისი. 2002;

16. ეროვნული სასწავლო გეგმა (2011-2016წწ), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №36/ნ, თბილისი 2011 წლის 11 მარტი, ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ

17. ვასაძე ნათელა, პედაგოგიკა, თბილისი 2000;

18. ვიგოტსკი ლევ, რჩეული თხზულებები, ტ.3, მოსკოვი 1983;

19. ვულფოლკლი, ა. მოსწავლეთა ტიპოლოგია ადაპტირებულია სახელმძღვანელოდან – განათლების ფსიქოლოგია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009;

20. თავდგირიძე ლელა. (2.05.2015). “საერთაშორისო კონფერენციის ელექტრონული ჟურნალი HENTI” კეთილგონივრული სასწავლო გარემო - ეფექტური გზა ინკლუზიისაკენ. მოძიებულია 07.09.2016
<http://atsu.edu.ge/EJournal/HENTI/ebook/Teachers/TavdgiridzeLela.pdf>

21. თავდგირიძე ლელა, „სასწავლო დისკუსიის როლი დიალოგის კულტურის ფორმირებაში“, III საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენციის შრომები, ISSN: 2298-030X ქუთაისი 2012;

22. თავდგირიძე ლელა, „საპედაგოგო ფაკულტეტი“ და მომავალ მასწავლებელთა საუნივერსიტეტო მომზადება“, ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში-II, საერთაშორისო კონფერენციის მასალები. ნაწილი III. გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი 2014;. ISSN 1987-7625

23. თავდგირიძე ლელა, „სწავლება/სწავლის სტრატეგიები-წიგნიერების ჩამოყალიბების ერთ-ერთი საშუალება“. საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე №15 2016; თბილისი. ISSN 1512-195X

24. კუტალაძე ია. (რედაქტორი), ეფექტიანი სწავლება, გამოცდების ეროვნული ცენტრი, თბილისი 2010;

25. კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე (I-IV კლასები). USAID, G-PRIED, საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი, თბილისი. 2005;

26. კომენსკი იან ამოს, დიდი დიდაქტიკა, თბილისი 1949;

27. კომენსკი იან ამოს, რჩეული თხზულებები, მოსკოვი 1955;

28. კონსტანტინოვი ნ., მედინსკი ვ., ბაბაევა მ., პედაგოგიკის ისტორია, თბილისი 1964;

29. კობახიძე ნუცა. (წვდომა 07.09.2016). „მასწავლებლის ავტორიტეტის კრიზისი და მოსწავლეზე ორიენტირებული განათლება“, მოძიებულია 12.12.2014.
<http://liberali.ge/articles/view/3816/mastsavleblis-avtoritetis-krizisi-da-mostsavleze--orientirebuli-ganatileba>

30. კურიკულუმი-პედაგოგიკური პრაქტიკის სრულყოფის საშუალება. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური გზამკვლევი, თბილისი Unicef for every child, innove 2018;

31. ლაბარტყავა ნინო. (16.05.2016). „გარდატეხის ასაკისთვის დამახასიათებელი სირთულეები/სარისკო ქცევა“. მოძიებულია 25.05.2019, "ჟურნალი მასწავლებელი". <http://mastsavlebeli.ge/?p=10192>

32. ლაბატყავა ნინო. (27.08.2015) „სწავლის მოტივაციის ხელშეწყობა უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეებში“, 1 მაისი, 2019, "ჟურნალი მასწავლებელი" <http://mastsavlebeli.ge/?p=1419>

33. ლორთქიფანიძე დავით, „დიდაქტიკა“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი. 1981

34. ლობჯანიძე სოფიკო. (08.29.2013) „სასწავლო პროექტებზე მუშაობის სქემები“. მოძიებულია 5 აპრილი 2019, ჟურნალი „მასწავლებელი" <http://mastsavlebeli.ge/?p=2277>

35. ლობჯანიძე სოფიკო. 04.04.2012 „როგორ დავგეგმოთ და განვახორციელოთ პროექტაკვეთილი“, ჟურნალი „მასწავლებელი" მოძიებულია 5 თებერვალი 2019, <http://mastsavlebeli.ge/?p=288>

36. ლობჯანიძე სოფიკო, „დისკუსია–თანამშრომლობითი სწავლების ერთ–ერთი მეთოდი“, ჟურნალი „მასწავლებელი“ 2011;

37. ლობჯანიძე სოფიკო, ფირჩხაძე მაია, რატიანი მანანა, ლომიძე ნინო, თედორაძე რუსუდან, ჯალიაშვილი მაია, მასწავლებლის წიგნი 5, ინტერაქტიული მეთოდები პრაქტიკაში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2016;

38. ლომაძე ინგა. (08 აპრილი, 2016) „სამეცნიერო–კვლევითი სამუშაოები სკოლის მოსწავლეებისთვის“, მოძიებულია. 07.09.2016, <http://mastsavlebeli.ge/?p=9823>

39. ლობჯანიძე ს., ფირჩხაძე მ., რატიანი მ., ლომიძე ნ., თედორაძე რ., ჯალიაშვილი მ., მასწავლებლის წიგნი ინტერაქტიული მეთოდები პრაქტიკაში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2016;

40. მალაზონია შოთა, პედაგოგიკა, თბილისი 2001 წ.

41. მარზანო რ., ფიქერინგი დ., ფოლოქი ჯ., „ეფექტური სწავლება სკოლაში, კვლევებზე დაყრდნობით შემუშავებული მეთოდები, რომლებიც აუმჯობესებენ მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას. სასწავლო გეგმების შემუშავებისა და მენტორობის ასოციაცია ალექსამდრია, ვიჯინია, ამერიკის შეერთებული შტატები. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2009;

42. მარზანო რობერტ ჯ., ფიქერინგი, დებრა ჯ., ფოლოქი, ჯეინ ი.. ეფექტური სწავლება სკოლაში. თბილისი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2019;

ნული ცენტრი, ასოციაცია (ASCD), ალექსანდრია, ვირჯინია, აშშ, პირველი ქართული გამოცემა 2009;

43. მალაკელიძე ნათელა, ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგია/დიდაქტიკა (I-VI კლასები), თბილისი 2013;

44. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი. (18.04. 2018)
<http://www.tpdg.ge/geo/standarts/355>

45. მირიანაშვილი მარიამ, ჩხენკელი გვანცა, ჯაში ნინო, ბლიაძე მაია... დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი. 2010;

46. ნიჟარაძე ნინო, მაკლეინი ქესი, ბოლი ტერეზა, გოგიჩაძე ნინო, ლოდია თეონა, სასწავლო და პროფესიული გარემო დამხმარე სახელმძღვანელო III, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი. 2008;

47. ოსიაშვილი ქეთევან. (3.01.2014). „სასკოლო შფოთიანობა და მისი გავლენა ბავშვის პიროვნების ფორმირებაზე“, მოძიებულია 07.09.2016 „ჟურნალი მასწავლებელი“. <http://mastsavlebeli.ge/?p=2137>

48. ოსიაშვილი ქეთევან. (09.08.2013) „როგორ ავემადლოთ მოსწავლეს სასწავლო მოტივაცია“. მოძიებულია 07.09.2016, „ჟურნალი მასწავლებელი" <http://mastsavlebeli.ge/?p=2300>

49. პაპავა პაატა, ნაცვლიშვილი ნათია, მახარობლიძე ნატო, მახარობლიძე მაკა, ფიცხელაური ქეთი, კითხვის ეფექტური სტრატეგიები;

50. პაპავა პაატა, სკოლების განახლება საქართველოში, გზამკვლევი სკოლის განვითარებისათვის, თბილისი 2005;

51. პაპავა პაატა კიკვაძე ირინა, (შემდგენელი) „კითხვისა და წერის მეთოდები“ (დამხმარე სახელმძღვანელო მასწავლებელთათვის), ასოციაცია „სკოლა-ოჯახი-საზოგადოება“, 2007;

52. პაპავა პაატა, ჭანტურია თამარ, „წიგნიერება, მათემატიკური წიგნიერებისა და სასიცოცხლო უნარების გზამკვლევი დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისათვის“, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, თბილისი. 2011;

53. პედაგოგიური ენციკლოპედია, თბილისი. 1960;

54. პედაგოგიკის პარადიგმა და პედაგოგიური მეცნიერების განვითარების ტენდენციები საქართველოში. UDC(უაკ) 050(479.22) ე-82 განათლების სასწავლო აკადემიის გამომცემლობა. საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალი, „ერუდიტი“, № 2. ISSN 2587 4861. თბილისი. 2018;

55. პერკინსი დავითი, „გონივრული სკოლები“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2007წ. წ.

56. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი I, ა-ლ, თბილისი. 1990;

57. რატინი მანანა. (27.10.2015) „კვლევების წარმოება გეოგრაფიის სწავლებაში“. მოძიებულია 07.09.2016, „ჟურნალი მასწავლებელი" <http://mastsavlebeli.ge/?p=964>

58. სასწავლო პროცესის დაგეგმვა, მართვა, შეფასება (სატრენინგო მასალა), მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016;

59. სასწავლო პროცესის დაგეგმვა, მართვა, შეფასება (სატრენინგო მასალა), მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2017;

60. სამსონია ირინა, „წიგნიერება“ (მასწავლებლის სახელმძღვანელო), სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, გამომცემლობა „წიგნობარი“, თბილისი. 2013;

61. „სააზროვნო უნარების განვითარების ეფექტიანი სტრატეგიები.“ (05.28.2016). თბილისი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. http://tpdc.ge/uploads/banners/saazrovno_unarebi.pdf,

62. რას ითხოვს სახელმწიფო მასწავლებლისაგან-ახალი მოდელი, რომელსაც სამინისტრო გეგმავს. <http://batumelebi.netgazeti.ge/news/168003/?fbclid=IwAR00d7JcUh0jnWNpamFIGN8Vx5y0bY01nB7Q7w2Deo-aMRSupKXOIqlxPkM>

63. როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება. ნაწ. I. თბილისი: ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრი, 2007.

64. უშინსკი კონსტანტინე, თხზ. ტ., 2, თბილისი 1974წ

65. ტაბატაძე შალვა, ნაცვლიშვილი ნათია. ინტერკულტურული განათლება. თბილისი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2008;

66. ტრენინგის მასალები, „ადამიანის უფლებების სწავლება ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით“, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. <http://www.nplg.gov.ge/gSDL/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-1-OutfZz-8-00&cl=CL2.3&d=HASHe4b1aeb2da64ebc00ac14b.7>=1>

67. ტყემალაძე რუსუდან, დალაქიშვილი ნანა, თოფაძე ქეთევან, პაჭკორია თათია, ბუწაშვილი თამარ, „სწავლება და შეფასება“, დამხმარე სახელმძღვანელო II, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008წ.

68. ლლონტი ლიკა, ქიტიაშვილი ანასტასია, ლაპარტყავა ნინო, გვარამაძე ციცო, სწავლებისა და შეფასების მეთოდები პროფესიულ განათლებაში. თბილისი, 2008;

69. ხუნძაყიშვილი მარიანა, ბივერი სარა, განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება, სახელმძღვანელო მასწავლებლებისათვის, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2018;

70. რობერტ ელ როს ფიშერი, რეალობის ამსახველი თამაში, როგორც სწავლების ეფექტურობის ამაღლების საშუალება, ჟურნალი „წიგნიერი“. №1(10) 2006

71. ნეფარიძე თეო. (31.05.2013). „თანამშრომლობითი სწავლა-სწავლება“. მოძიებულია 07.09.2016, „ჟურნალი მასწავლებელი" <http://mastsavlebeli.ge/?p=2353>

72. ოსიაშვილი ქეთევან. (14.02.2014) „ემოციური თავისებურებები და ბავშვის ქცევის მართვა“. მოძიებულია 07.09.2016, „ჟურნალი მასწავლებელი" <http://mastsavlebeli.ge/?p=2104>

73. ფირჩხაძე მაია. (28.01.2013). „სააზროვნო პროცესების ხარისხი, მისი ინდივიდუალური თავისებურებები და სასკოლო პრაქტიკა“. მოძიებულია 07.09.2016, "ჟურნალი მასწავლებელი" <http://mastsavlebeli.ge/?p=2433>

74. ჭკუასელი ქეთევან, ჭკუასელი ი, პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, თბილისი, 2012.

75. ჭყობიძე, თეა. "ჟურნალი მასწავლებელი". სწავლის მოტივაციის შიდა ფაქტორები. 06.01.2015. <http://mastsavlebeli.ge/?p=1797> (წვდომა 07.09.2016).

76. ჭყობიძე, თეა. (11.10.2013). „აზროვნება საკუთარი აზროვნების შესახებ“. მოძიებულია 05. 28.2016, „ჟურნალი მასწავლებელი" <http://mastsavlebeli.ge/?p=2237>

77. შერვაშიძე გული, თავდგირიძე ლელა „დიალოგი, როგორც კომუნიკაციის საშუალება“ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ერთობლივი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შრომების კრებული, ქუთაისი, 2013;

78. შერვაშიძე გული, განათლების ფილოსოფიის შესავალი, ბათუმი. 2009;

79. **ხარლამოვი ი., პედაგოგიკა, დამხმარე სახელმძღვანელო, მ., 1990;**

80. ჯალიაშვილი მაია. (28.04.2016). „აქტიური სწავლების სტრატეგიები“. მოძიებულია 07.09.2016, „ჟურნალი მასწავლებელი" <http://mastsavlebeli.ge/?p=10037>

81. ჯანაშია ნათია, იმედაძე ნათელა, გორგოძე სოფიო. განვითარებისა და სწავლების თეორიები, დამხმარე სახელმძღვანელო. თბილისი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2008.

82. ჯანაშია სიმონ. „მოსწავლეზე ორიენტირებული სკოლის გზამკვლევი“. თბილისი: სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, 2012 <http://www.nplg.gov.ge>

83. ჯაფარიძე მარინე. (26.12.2013). „სარკმელი მოსწავლის სამყაროში“. მოძიებულია 07.09.2016 „ჟურნალი მასწავლებელი" <http://mastsavlebeli.ge/?p=2145>

84. ჯინჯიხაძე ჯემალ, თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები, თბილისი, 2012

85. L. Tavdgiridze, Reasonable educational environment-effective way towards inclusive education CD (<http://www.atsu.edu.ge/geo/xarisxi/Henti/HENTI2015>). HENTI 2015, Kutaisi, Georgia. EISSN 2346-7851

86. L. Tavdgiridze, Literacy Competence Formation of the Modern School. Journal of Education and Practice. International Institute for Science, Technology & Education. Accelerating Global Knowledge Creation and Sharing. ISSN 2222-1735 (Paper) ISSN 2222-288X (Online) VOL. 7 No.26 2016წ გვ. 107-110. აშშ

87. Ia Khasaia, L. Tavgiridze, George Abuselidze STEM MODEL DEVELOPMENT NECESSITY IN GEORGIAN SCHOOLS 13th International Technology, Education and Development Conference. INTED 2019, 11-13 March, 2019 Valencia (Spain)pp. 2792-2799 ISBN: 978-84-09-08619-1 ISSN: 2340-1079 (

88. Ia Khasaia, Nato Sherozia, L. Tavgiridze CONTEMPORARY EDUCATION LEADING TO CRITICALLY MINDED PERSONALITY, 13th International Technology, Education and Development Conference. INTED 2019, 11-13 March, 2019 Valencia (Spain) pp.5172-5177 ISBN: 978-84-09-08619-1 ISSN: 2340-1079

89. Н.В. Бордовская, А.А. Реан, Педагогика учебник для вузов, учебник нового века. ПИТЕР Санк-Петербург, Москва-Харков-Минск 2001

90. ლ. ტავდირიძე, «Методы обучения, как средство повышения мотивации» გვ. 45-49. ულიანოვსკი, რუსეთი. 20.01.2016წ. УДК 681. 518 (04) ББК 32. 96 я 43. с 56. <https://scholar.google.com/scholar?hl=>

91. ლ. ტავდირიძე, «Коммуникативные модели обучения иностранному языку», V Международная Научная Конференция: Человек, сознание, коммуникация, интернет. 9-13 Мая 2012, ISBN: 978-83-61116-21-9 ISSN: 0239-35-6, Варшава, ст. 1332-1336

92. ლ. ტავდირიძე, Интерактивная стратегия работы над текстом, Интерпретация текста: лингвистический, литературоведческий и методический аспекты, V Международная научная конференция 23-24 ноября 2012г, Чита ЗаГГТТУ 2012, ст. 123-126 УДК 410 ББК III 100я43

93. ლ. ტავდირიძე, კ. შოთაძე, Метод развития письменной речи «пирамидная история» и особенности его употребления, Сборник научных трудов. Современные технологии обучения иностранным языкам. Modern technologies of teaching foreign languages. Ульяновск 2015 УлГТУ გვ 535-540 УДК 681518 (04) ББК 32 96 я 43

94. ლ. ტავდირიძე, Стратегии восприятия и критического осмысления инокультурного текста, XIII Конгресс Международной ассоциации преподавателей русского языка и литературы «Русский язык и литература в простратстве Мировой культуры», (დისკი) ISBN 978-5-9906635-0-3(серия). ტ. 10, გვ. 994-999. გრანადა, ესპანეთი 2015წ

95. ლ. ტავდირიძე, ФОРМИРОВАНИЕ НАВЫКА САМОСТОЯТЕЛЬНОГО МЫШЛЕНИЯ В ПРОЦЕССЕ ОБУЧЕНИЯ. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: Problems and Prospects in Professional Education of the Math Teacher. მათემატიკის მასწავლებლის პროფესიული განათლების პრობლემები და პერსპექტივები. კონფერენციის მასალები . 30 მაისი-1 ივნისი, ვინიცია უკრაინა 2018წ. . УДК 378.016:51(06) ББК 22.1я43 + 74.489.8я43 П 78. გვ. 54-59 (ელ. ვერსია).

96. ლ. ტავდგირიძე, დ. დობორჯგინიძე, ПРОФЕССИОНАЛЬНАЯ КОМПЕТЕНТ-НОСТЬ ЛИЧНОСТИ В УСЛОВИЯХ SMART-ОБЩЕСТВА

97. დ. დობორჯგინიძე ფონდი „საერთაშორისო ვირტუალური სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრი“. ჟურნალი Cross Cultural Studies: Education and Science CCSSES-ISSN-2470-1262 WorlCat (OCLC), E-Library (Ринц) CyberleninkaVolume 3, ISSUE III, September 2018წ. YDK 811.161.1:004 ББЛ81.2Руст 32,81 L 563 გვ. 265-272

98. Т. А. Ильина-Педагогика. М. 1984.

99. И.Петричук, Еще раз об игре, журнал « Педагогика» № 7 2007, Москва ;

100. Воронина, С.В. Павлючик – Дидактическая игра как средства формирования профессиональных умений студентов педвузов – Профессиональная подготовка учителя в системе высшего педагогического образования, межвузовский сборник трудов, Под редакцией В.А. Слостенина, М., 1982;

101.Дистерверг А. Изб. Пед. Соч. М.,1956;

102.Паламарчук В.Ф. – Школа учит мыслить. М. 1974;

103. Давыдов В.В. – Виды обобщение в обучения – М. 1975;


დანართები

დანართი 1

კლასიფიკაციისთვის საჭირო გრაფიკული ორგანიზატორები

გრაფიკული ორგანიზაციის სქემა რომელიც ცხრილს წააგავს, გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა ყველ კატეგორია მსგავსია განზოგადების დონის მიხედვით. გრაფიკული სქემა "ბურთულეებიანი" დიაგრამა, უფრო მაშინ გამოიყენება, როცა ზოგიერთი კატეგორია უფრო ზოგადია, ვიდრე სხვები.

კლასიფიკაციისათვის საჭირო გრაფიკული სქემები





კატეგორიები

მიზანი: მოსწავლე შეძლებს მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარებას
მიზეზი და შედეგი

მოვლენა #1


ეს მოხდა იმიტომ, რომ:



შედეგი:


მოვლენა #2

ეს მოხდა იმიტომ, რომ:




შედეგი

მიზანი: ანალიტიკური აზროვნების განვითარების ხელშეწყობა. მოსწავლე შეძლებს მიზეზშედეგობრივი კავშირების დამყარებას. მიზეზი და შედეგი




კოგნიტური დიაგრამის მეშვეობით ხელი შეეწყობა მოსწავლეებში ანალიტიკური აზროვნების უნარის განვითარებას.

პარადიგმა გულისხმობს ინფორმაციის დალაგებას ა. კაუზატიურ ქსელში, რომელსაც კონკრეტულ შედეგამდე მივყავართ. ან ბ. მოქმედებების ერთობლიობაში, რომელიც ლოგიკურად სრულდება კონკრეტული პროდუქტით. დიაგრამაზე წარმოდგენილია პროცესის/მიზეზ-შედეგობრიობის პარადიგმის გრაფიკული გამოსახულება.



მიზანი: მოსწავლე შეძლებს პრობლემის გაანალიზებას და მისი გადაჭრის გზების დასახვას.

პრობლემის გადაწყვეტის სქემა



მიზანი: მოსწავლე შეძლებს რამდენიმე მოვლენის, საგნის და ა.შ. შედარებას მსგავსი და განსხვავებული ნიშნების მიხედვით.

შედარების მატრიცა

შედარების მატრიცა მატრიცა				
მახასიათებლები	შესადარებელი თემები			
	# 1	# 2	# 3	
1				მსგავსებები
				განსხვავებები
2				მსგავსებები
				განსხვავებები
3				მსგავსებები
				განსხვავებები
4				მსგავსებები
				განსხვავებები

დანართი 2.
გაკვეთილის გეგმის ნიმუში N1

საგანი:

სწავლების საფეხური / კლასი:

მოსწავლეთა რაოდენობა:

თემა:

მიზანი:

N	აქტივობა	მეთოდი	კლასის ორგანიზების ფორმა	სასწავლო რესურსები	დრო	თითოეული აქტივობის ბოლოს მისაღწევი შედეგი

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

შეფასების ტიპები და მეთოდები:

თვითშეფასება:

(შეფასების და თვითშეფასების რუბრიკები თან უნდა ერთოდეს გეგმას)

გაკვეთილის გეგმის ნიმუში N2

გაკვეთილის თემა	
საგანი/ინტეგრირებული საგნები მასწავლებლის/მასწავლებლების სახელი გვარი	
სწავლების საფეხური / კლასი	
მოსწავლეთა პროფილი	მიუთითოს მოსწავლეთა რაოდენობა კლასში და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების საჭიროებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
აქტუალობა	რით არის ეს გაკვეთილი აქტუალური, როგორ შეუწყობს მოსწავლეებს ხელს ცოდნისა და უნარ-ჩვევების დაუფლებაში, არსებულ ცოდნასა და ახლადშემძენილ ცოდნას შორის კავშირების დამყარებაში და სხვ.
სასწავლო მიზნები და მოსალოდნელი შედეგები	რა კონკრეტულ ცოდნას დაეუფლებიან მოსწავლეები, რა უნარებს გამოიმუშავენ, რა დამოკიდებულებები ჩამოუყალიბდებათ. ეროვნული სასწავლო გეგმის რომელ შედეგებზე გავლენ.
მოსწავლეთა წინარე ცოდნა	რას უნდა ფლობდეს მოსწავლე, რომ ახლად გადაცემული მასალის ათვისება გაუადვილდეს.
გაკვეთილის მსვლელობა/საკლასო მენეჯმენტი	რა აქტივობებს განახორციელებს მასწავლებელი დასახული მიზნის მისაღწევად, როგორ მოახერხებს მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებას, წინარე ცოდნის გააქტიუ-

	რებას, ცოდნის კონსტრუირებას, ახლად-შემქნილი ცოდნის გამოვლიანებას და შეჯამებას. რა მეთოდებს გამოიყენებს აქტივობების განსახორციელებლად, რა დროს მოანდომებს თითოეულ მათგანს, როგორ მოახდენს კლასის ორგანიზებას.
შეფასება და თვითშეფასება	როგორ გაზომავს მასწავლებელი, გავიდა თუ არა შედეგზე, შეფასების რომელ ტიპსა და მეთოდს გამოიყენებს, რა კრიტერიუმებით მოახდენს შეფასებას.
სასწავლო რესურსები	ყველა ის რესურსი, რომელიც მასწავლებელს დაეხმარება ეფექტიანი გაკვეთილის ჩასატარებლად.

გაკვეთილის გეგმის ნიმუში 3.

მასწავლებელი:	
საგანი:	კლასი:
თემა:	დრო: წუთი.
<p>მოსწავლეთა პროფილი:</p> <p><i>(მოსწავლეთა რაოდენობა კლასში და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების საჭიროებები, ასეთების არსებობის შემთხვევაში)</i></p>	
გაკვეთილის მიზანი:	
<p>ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტი:</p> <p><i>(რომელ შედეგზე/ინდიკატორებზე მიმდინარეობს მუშაობა)</i></p>	

საჭირო წინარე ცოდნა და უნარ-ჩვევები:

(რას უნდა ფლობდეს მოსწავლე, რომ ახალი მასალის ათვისება შეძლოს)

შეფასება და თვითშეფასება:

(როგორ გაზომავს მასწავლებელი, გავიდა თუ არა შედეგზე? შეფასების რომელ ტიპსა და მეთოდს გამოიყენებს? რა კრიტერიუმებით მოახდენს შეფასებას?)

სასწავლო მასალა და რესურსები:

(ტექსტი, თვალსაჩინოება, მულტიმედია, ინტერნეტ-რესურსი და სხვ.):

აქტივობა №1 (სახელწოდება; ხანგრძლივობა, ორგანიზების ფორმა):

აქტივობის მიზანი:

აქტივობის აღწერა:

აქტივობა №2 (სახელწოდება; ხანგრძლივობა, ორგანიზების ფორმა):

აქტივობის მიზანი:

აქტივობის აღწერა:

აქტივობა №3 (სახელწოდება; ხანგრძლივობა, ორგანიზების ფორმა):

აქტივობის მიზანი:

აქტივობის აღწერა:

გაკვეთილის შეფასების რუბრიკა:

გაკვეთილის გეგმა			
	1 (არადამაკმაყოფილებელი)	2 (დამაკმაყოფილებელი)	3 (კარგი)
საკვეთილო მიზანი და შედეგი	მიზანი არის ზოგადი და არარეალისტური, არ არის გაზომვადი, რთული შესაფასებელია. არ შეესაბამება ესგ-ს მისაღწევ შედეგს/შედეგებს.	მიზანი გამომდინარეობს ესგ-ს მისაღწევი შედეგებიდან, მაგრამ დროში ძნელად მისაღწევი და/ან აკლია კონკრეტულობა.	მიზანი არის ფორმულირებული კონკრეტულად და რეალისტურად; იგი არის გაზომვადი და სრულად შეესაბამება ესგ-თი განსაზღვრულ შედეგს/შედეგებს.
აქტივობები	აქტივობები არ უწყობს ხელს დასახული მიზნის მიღწევას;	აქტივობები ნაწილობრივ უწყობს ხელს დასახული მიზნის მიღწევას;	აქტივობები სრულად უწყობს ხელს დასახული მიზნის მიღწევას;
მეთოდები, კლასის ორგანიზების ფორმები	სასწავლო მეთოდები შეუსაბამოა აქტივობებთან, ხოლო კლასის ორგანიზების ფორმები - მეთოდებთან.	სასწავლო მეთოდები შესაბამისობაშია აქტივობებთან, მაგრამ სწორად არ არის შერჩეული კლასის ორგანიზების ფორმები. ან ზოგიერთი მეთოდი აქტივობის არაადეკვატურია, თუმცა სწორად არის შერჩეული ორგანიზების ფორმები.	სასწავლო მეთოდები სრულ შესაბამისობაშია აქტივობებთან, ხოლო, კლასის ორგანიზების ფორმები - მეთოდებთან

რესურსები	რესურსები არ არის მითითებული.	მითითებული რესურსები მწირია.	მითითებულია ყველა აუცილებელი რესურსი, რომლებიც მასწავლებელმა გამოიყენა გაკვეთილის დაგეგმვისას და გამოიყენებს გაკვეთილისჩატარებისას.
ინტეგრირება*	საგანთაშორისი ინტეგრირება ხელოვნურია და თვითმიზნური	საგანთაშორისი ინტეგრირება ჩანს, თუმცა არ არის გათვალისწინებული ინტეგრირებული საგნების ესგ-თი განსაზღვრული შედეგები.	საგანთაშორისი ინტეგრირება ლოგიკურია, გათვალისწინებულია ინტეგრირებული საგნების ესგ-თი განსაზღვრული შედეგები.
შეფასება	არ აქვს განსაზღვრული მიზნის შესაბამისი შეფასების მეთოდები, გეგმას არ ახლავს შეფასების რუბრიკები.	განსაზღვრულია მიზნის შესაბამისი შეფასების მეთოდი/მეთოდები, მაგრამ არ ახლავს შეფასების რუბრიკა/რუბრიკები. ან შეფასების მოცემული მეთოდებიდან ზოგიერთი არაა დეკვატურია, ახლავს შეფასების რუბრიკები.	განსაზღვრულია მიზნის შესაბამისი შეფასების მეთოდები, ახლავს კარგად მისადაგებული შეფასების რუბრიკები.

საგაკვეთილო პროცესი

	1 (არადამაკმაყოფილებელი)	2 (დამაკმაყოფილებელი)	3 (კარგი)
მიზანი	ჩატარებულმა გაკვეთილმა ვერ უზრუნველყო განსაზღვრული მიზნის მიღწევა.	ჩატარებულ გაკვეთილზე ნაწილობრივ იყო მიღწეული დასახული მიზანი/მიზნები.	ჩატარებულ გაკვეთილზე სრულად იყო მიღწეული დასახული მიზანი/მიზნები.
აქტივობები, სწავლების მეთოდები და რესურსები	გამოყენებულმა აქტივობებმა, სასწავლო მეთოდებმა და რესურსებმა ვერ უზრუნველყო მოსწავლეთა ჩართულობა და სასწავლო შედეგის მიღწევა.	გამოყენებულმა აქტივობებმა, სასწავლო მეთოდებმა და რესურსებმა მხოლოდ ნაწილობრივ უზრუნველყომოსწავლეთა ჩართულობა და სასწავლო შედეგის მიღწევა.	გამოყენებულია ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული აქტივობები და მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობასა და სასწავლო შედეგის მიღწევას. რესურსების გამოყენებით ზრდის გაკვეთილის ეფექტიანობას. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელი ახერხებს წინასწარ დაგეგმილი აქტივობებისა

			და/ან მეთოდების მოდიფიცირებას.
შეფასება	მასწავლებლის შეფასება არაეფექტიანია, შემოიფარგლება მხოლოდ არაფრისმთქმელი უკუკავშირით/კომენტარით. გამოყენებული შეფასების მეთოდი/მეთოდები ვერ აფასებს, მიღწეულია თუ არა შედეგი.	გამოყენებული შეფასების მეთოდები ნაწილობრივ აფასებს, მიღწეულია თუ არა შედეგი, მასწავლებლის უკუკავშირი ადეკვატურია ან მეთოდები აფასებს მიღწეულ შედეგს, მაგრამ მასწავლებლის უკუკავშირით/კომენტარით არაფრისმთქმელია.	ეფეტურად იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს. გამოყენებული შეფასების მეთოდები ზუსტად აფასებს, მიღწეული არის თუ არა შედეგი.
საკლასო მენეჯმენტი	მასწავლებელი ვერ მართავს კლასს, სწორად ვერ ანაწილებს აქტივობებისათვის გამოყოფილ დროს.	მასწავლებელს ზოგიერთ შემთხვევაში უჭირს დროის მართვა და/ან მის მიერ გამოყენებული კლასის მართვის სტრატეგიები ნაკლებად ეფექტიანია.	მასწავლებელი კლასში მიზნობრივად ანაწილებს დროს და ქმნის ისეთ სასწავლო სიტუაციებს, რომლებიც უზრუნველყოფს თვითრეგულირებად დისციპლინას.

*ინტეგრირების კომპონენტი გათვალისწინებული იქნება მხოლოდ ინტეგრირებული გაკვეთილის შეფასებისას.

ჯონ დიუის პედაგოგიური კონცეფცია (1859-1952)

(მოამზადა პროფ. გ. შერვაშიძემ)

ამერიკელი ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი და განათლების სპეციალისტი, პროგრესული განათლების პრინციპების აქტიური იდეოლოგი და უნივერსიტეტის პროფესორთა ამერიკული ასოციაციის დამფუძნებელი ჯონ დიუი მოღვაწეობდა გინესოტის, მიჩიგანის, ჩიკაგოს უნივერსიტეტებსა და კოლუმბიის მასწავლებელთა კოლეჯში. ჯონ დიუის პედაგოგიური იდეები პრაგმატიზმის ფილოსოფიასთან იყო დაკავშირებული, „საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჯონ დიუი ითვლება ამერიკის წამყვან თანამედროვე ფილოსოფოსად... იგი დიდ გავლენას ახდენს არა მხოლოდ ფილოსოფიაზე, არამედ ადამიანებზე, რომლებიც სწავლობენ განათლების, ესთეტიკის და პოლიტიკური თეორიის საკითხებს. იგი ღირსეული ადამიანია, ლიბერალური შეხედულებებით, დახვეწილი და კეთილი პირადი ურთიერთობებით, დაუღალავი შრომით... ვაფასებ რა მას, ქედს ვიხრი მის წინაშე“- (რასელი 20021: 935) წერს გამოჩენილი ინგლისელი ფილოსოფოსი ბერტრან რასელი.

ჯონ დიუის სამართლიანად უწოდებენ XX საუკუნის ამერიკული პედაგოგიკის მამას. მან უდიდესი გავლენა მოახდინა თავისი ქვეყნის პედაგოგიური თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაზე. დიუი პროგრესული განათლების პრინციპების აქტიური დამცველი და პოპულარიზატორია. პროგრესივიზმის მთავარი სლოგანია „სწავლა კეთებით“, რაც თავისებურ ახსნას აძლევს პროგრესივიზმის ზოგიერთ იდეას. იგი არასოდეს ყოფილა, ეგრეთ წოდებული, „სუფთა ფილოსოფოსი“. მის განსაკუთრებულ ინტერესს ყოველთვის განათლება წარმოადგენდა და მოახდინა კიდევ დიდი გავლენა ამერიკულ განათლებაზე, თუმცა იგი ყოველთვის როდი კმაყოფილდებოდა იმ ადამიანების პრაქტიკული საქმიანობით, რომლებიც მას თავიანთ მასწავლებლად აცხადებდნენ, მაგრამ ისიც კარგად ესმოდა, რომ ყოველი ახალი მოძღვრება ყოველთვის დაკავშირებულია გაუგებრობებთან, უკიდურესობებთან და, ამასთან, იმასაც ითვალისწინებდა, რომ ახალში შეცდომები უფრო ადვილი შესამჩნევია, ვიდრე ტრადიციულში. პრაგმატიზმის პრინციპზე დიუიმ შექმნა აღზრ-

დის ამერიკული სისტემა, რომლის გავლენა ევროპისა და აზიის მრავალ ქვეყანაზე გავრცელდა (თევზაძე 2002 : 84)—წერს გურამ თევზაძე

1894 წელს, როცა დიუი ჩიკაგოში ფილოსოფიის პროფესორი გახდა, მან პედაგოგიკა ჩართო სასწავლებელ საგანთა რიგში. სკოლას იგი პროგრესულს უწოდებს და ძალიან ბევრს წერს განათლების საკითხებზე. 1899 წელს დიუიმ გამოსცა წიგნი „სკოლა და საზოგადოება“ და მასში მოათავსა ყველა ის ნაშრომი, რომელიც განათლების საკითხებს ეძღვნებოდა. იგი სიცოცხლის ბილომდე წერდა განათლების საკითხებზე და შეიძლება ითქვას, რომ იმდენივე ყურადღებას უთმობდა განათლების საკითხებს, რამდენსაც ფილოსოფიის წიგნი „სკოლა და საზოგადოება“ გამოსვლისთანავე მოექცა ყურადღების ცენტრში. 1907, 1922, 1925 წლებში რუსულ ენაზე 5-ჯერ გამოიცა. ნაშრომები „სკოლა და ბავშვი“, „მომავლის სკოლები“, „დემოკრატია და განათლება“, „აზროვნების ფსიქოლოგია და პედაგოგიკა“ ასევე 1922 წლამდე გამოიცა რუსეთში, ხოლო „გამოცდილება და განათლება“ 1936 წელს. აქედან მოყოლებული 1997 წლამდე ხდებოდა სრული იგნორირება დიუის ნაშრომებისა და დღესაც ვ. გორშკოვას აზრით, დიუის ფილოსოფიური შრომები არაპროფესიონალებისათვის მიუწვდომელია. მაგრამ, სასიამოვნოა, რომ „რეკონსტრუქცია ფილოსოფიაში“ (თარგმანი მ. ზანადვოროვას და მ. შიკოვა - 2001 წ და ლ. პავლოვა – 2003 წ. გამოცემა) შესაძლებელია გავეცნოთ სტატიებს რომელიც შევიდა წიგნში „საზოგადოება და მისი პრობლემები (გარშკოვა 2009 : 61)

ჟონ დიუის ძირითადი ფილოსოფიური შრომები“, სადაც განხილულია ინსტრუმენტალიზმის არსი, რომ ადამიანის მოქმედების სხვადასხვა ფორმა თუ იდეა გარემოსთან ადაპტირების მთავარი ინსტრუმენტია და შექმნილია კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელად, რომ ჭეშმარიტებაც ამ ინსტრუმენტების სიაში, ასევე პრაგმატიზმისა და ეპისტემოლოგიის შესახებ ძირითადი ნაშრომებია „ფსიქოლოგია“ (1887), „ეთიკა“: (1908), „რეკონსტრუქცია ფილოსოფიაში“ (1920), „ადამიანის ბუნება და ქცევა“ (1922), „გამოცდილება და ბუნება“ (1925), „ლოგიკა, შემეცნების თეორია“ (1938) და სხვ.

დიუის იდეების გავრცელებას ქვეყნის ფარგლებს გარეთ დიდად შეუწყო ხელი პეკინის უნივერსიტეტში მოღვაწეობამ, იაპონიასა და თურქეთში საკონსულტაციო ვიზიტებმა, სტუმრობამ საბჭოთა კავშირსა

და მექსიკაში, ლეონ ტროცკის საქმის საგამომძიებლო კომისიის თავ-ჯდომარეობამ.

მან დიდი როლო ითამაშა იმის მოძიებაში იყო თუ არა დამნაშავე ნამდვილად ლევ ტროცკი და მიუხედავად იმისა, რომ სჯეროდა მის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებების უსაფუძვლობისა, დიუი მაინც მიიჩნევდა, რომ საბჭოთა რეჟიმი წარმოუდგენელია უკეთესი ყოფილიყო, თუ სტალინის მაგივრად ლენინის მემკვიდრედ ტროცკი აღმოჩნდებოდა (რასსელი 2001: 036) დიუი მივიდა დასკვნამდე, რომ ძალადობაზე დამყარებული რევოლუცია, რომელსაც დიქტატურამდე მივყავართ, საზოგადოებას კარგს ვერაფერს მოუტანს. შემდგომში ლიბერალურ და ეკონომიკურ საკითხებში დიუი არასოდეს არ ყოფილა მარქსისტი და ბერტრან რასსელთან უთქვამს კიდევ, რომ გათავისუფლდა რა ორთოდოქსალური თეოლოგიის ბორკილებისგან, იგი არ ფიქრობდა საკუთარ თავზე სხვა ბორკილების დადებას.

სანამ უშუალოდ განათლების ფილოსოფიის საკითხებზე გადავიდოდა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შევხვოთ დიუის ძირითად ფილოსოფიურ შრომას და ინსტრუმენტალიზმის თეორიას. ამ მიმართულებით უაღრესად საინტერესოა „ჭეშმარიტების“ ტრადიციული გაგების კრიტიკა. ჭეშმარიტება პროფესიონალ ფილოსოფოსთა უმრავლესობისათვის სტატიკური და მუდმივია, სრულყოფილი და მარადიული. ჭეშმარიტების სრულყოფილი სახეა გამრავლების ტაბულა, ზუსტი და დასაყრდენი, თავისუფალი დროთა გავლენისაგან. პითაგორას თეორიიდან მოყოლებული, განსაკუთრებით პლატონის შემდეგ მათემატიკა დაკავშირებული იყო თეოლოგიასთან და ღრმა გავლენა მოახდინა შემეცნების თეორიაზე. დიუის ინტერესები ბიოლოგიის სფეროს უკავშირდება და არა მათემატიკას; იგი განიხილავს აზროვნებას როგორც ევოლუციურ პროცესს. ტრადიციული ხედვა, რა თქმა უნდა, უშვებს, რომ ადამიანები იმეცნებენ თანდათანობით, მაგრამ შემეცნების ყოველი საფეხური, როგორც ჩქარა არ უნდა იყოს მიღწეული, განიხილება როგორც რაღაც დასრულებული. მართალია, ჰეგელი ადამიანურ შემეცნებას ასე არ განიხილავს. იგი წარმოიდგენს ადამიანურ შემეცნებას, როგორც ორგანულ მთელს, რომელიც თანდათანობით ზრდის მის თითოეულ ნაწილს; მაგრამ არც ერთი მისი ნაწილი ვერ აღწევს სრულყოფილებას, ვიდრე მთელი არ გახდება

სრულყოფილი. მართალია ჰეგელის ფილოსოფიამ მოახდინა გავლენა ახალგაზრდა დიუის ცნობიერებაზე, მაგრამ მისი ფილოსოფია, რომელსაც აქვს თავისი აბსოლუტი და საკუთარი მარადიული სამყარო – უფრო რეალურია, ვიდრე გარდამავალი პროცესები. ასეთი გაგება ვერ პოულობს ადგილს დიუის მსოფლმხედველობაში, რომლისთვისაც ყოველგვარი რეალობა ცვალებადია და პროცესები, ევოლუციურობისა, არ წარმოადგენს, ჰეგელისთვისაც კი, მარადიული იდეის აღმოჩენას.

რაც შეეხება დიუის საბჭოთა კავშირთან ურთიერთობას, თავად რუსი ფილოსოფოსები ამბობენ, რომ პედაგოგიკის ფილოსოფიის აღქმის ისტორია რუსეთში მჭიდროდ უკავშირდება არა მხოლოდ განათლების განვითარების ისტორიას, არამედ მთელი XX საუკუნის საზოგადოების დრამატულ ისტორიას. წიგნის „სკოლა და საზოგადოება“ პუბლიკაციის შემდეგ ნოვატორი-პედაგოგი სწრაფად გახდა ცნობილი რუსეთში. ჟერ კიდევ 1910 წელს ნიუ-იორკის საზოგადოებრივი ცენტრის ხელმძღვანელს (პროფესორი დიუი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ცენტრის საქმიანობაში) ლილიან უოლდს მიუვიდა ლევ ტოლსტოისაგან გამოგზავნილი ადამიანები, რომელთა მიზანი იყო ჯონ დიუისთან შეხვედრა. ამავდროულად დიუის იდეებმა ს.შაცკის ინტერესი გამოიწვია. ავტობიოგრაფიულ წიგნში „ჩემი პედაგოგიური გზა“ ვკითხულობთ: „ჯონ დიუიმ ჩემი ყურადღება მიიპყრო თავისი პრაგმატიზმის ფოლოსოფიით, რომელიც ძალიან დაჟინებით აყენებდა იდეის შემოწმებას ცხოვრებისეული საქმიანობის დახმარებით, ამასთან ბავშვთა ინტერესების აუცილებელი დახვეწილი ანალიზით. მე კიდევ ავაგე ბავშვების ინტერესების გათვალისწინებაზე გათვლილი“ მთელი გეგმა და პროგრამა (28.61)

1931 წელს გამოიცა პ.სოკოლოვის „პედაგოგიური სისტემების მონოგრაფია“, სადაც დიუის პედაგოგიურ შეხედულებებს მთელი თავი მიეძღვნა, რაც ამტკიცებს დიუის გამოცხადებას პედაგოგიკის კლასიკოსთა რანგში. ავტორი განიხილავს „სკოლას და საზოგადოებას“ და ამერიკელი ფილოსოფოსის მოდელს ახასიათებს როგორც „ქვეყნარტად თვითშემოქმედებით და ინდივიდუალისტურ სკოლას, სადაც ბავშვი თავისუფლად გამოავლენს საკუთარ ინდივიდუალურ თავისებურებებს... აქ ცოდნა აღმოცენდება მუშაობის ცოცხალი გამოცდილებიდან და მას მჭიდრო სახით ეკვრება. აქ ადამიანი ღებულობს თეორიას, რომელიც ქმნის მასში

ცნობიერსა და გონივრულს და უფრო მეტიც, სოციალურ-ფილოსოფიურ ურთიერთობებს საკუთარ ცხოვრებისეულ ამოცანებთან და პროფესიასთან (28.61)

დიუის განათლების ფილოსოფიაცოდნის პრაქტიკულობაზე იყო ორიენტირებული-ახალგაზრდებმა უნდა ისწავლონ მონაწილეობის მიღება სკოლის დემოკრატიულ ცხოვრებაში-ჯგუფური მუშაობა საერთო პროექტებზე, წესების ერთობლივად შემუშავება, საკლასო გარემოს გასაუმჯობესებლად იდეების გენერირება, მათი შეფასება და სწავლების მიზნების განსაზღვრაში მონაწილეობა.

1896 წ. ჩიკაგოს უნივერსიტეტთან დაარსდა პირველი ექსპერიმენტული დაწყებითი სკოლა -ლაბორატორია. აქ არ იყენებდნენ ნაცად პრედაგოგიურ ხერხებს, მიმართავდნენ ჯგუფურ პროექტებს-დურგლობას, ქსოვას, სანთლის ამოვლებას, მზარეულობას, კლასგარეშე სამუშაოებს: დარგვა, ექსკურსიები, კულინარია,,,,

სკოლა- ლაბორატორია ხელობაზე და პროფესიულ საგნებზე იყო ორიენტირებული. ბავშვები ზრდიდნენ ხორბალს, ფქვავდნენ და აცხობდნენ პურს, მათემატიკას დურგლობასთან ერთად, ქიმიას კულინარიასთან, ისტორიას თანამედროვეობაზე გავლენებით სწავლობდნენ.

ბუნებრივია დიუის შეხედულებებმა ასახვა ჰპოვეს რუსეთში რევოლუციის შემდგომ დაწყებულ სასკოლო რეფორმაში. პედაგოგებს მიეცათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ დიუის განათლების ფილოსოფიას. „ამ წიგნის გაცნობა საკმარისი არაა, იგი შესწავლილ უნდა იქნეს ყველაზე მეტი ყურადღებით, თანამედროვე სკოლის სფეროში საუკეთესო ფილოსოფიის თითოეული მტკიცებულებით და ფიქრებით. ამ წიგნში თავისუფალი ფორმით თავმოყრილია უმაღლესი ღირებულების აზრები, რომელიც ყველაზე საჭიროა ჩვენს ეპოქაში“. ყველაზე მნიშვნელოვნად წიგნში შაცკი თვლის იმას, რომ დიუი აღზრდის პროცესს განიხილავს როგორც სოციალური ცხოვრების განუყოფელ ნაწილს, პრაქტიკით შემოწმებულს და მიმართულს ცხოვრების გაუმჯობესებისაკენ...

1928 წლის მაისში დიუის საბჭოთა პედაგოგიური გამოცდილების გაცნობის მიზნით დიუი კავშირს ეწვია. მანამდე განათლების სახალხო კომისარი ა. ლუნაჩარსკი სიამაყით იტყობინებოდა ჩვენი ასწლეულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პედაგოგის სტუმრობის შესახებ. საბჭოთა კავ-

შირში დიუიმ დაინახა რეალობა მთელი მისი სირთულეებითა და წინააღმდეგობებით. მას მხედველობიდან არ გამოეპარა „საიდუმლო პოლიცია“, სასამართლო გამოძიებები, დაპატიმრებები, ნეპმანებისა და კულაკების, და ოპოზიციონერთა გადასახლებები; იგი შეაძრწუნა რევოლუციამ ადამიანებთან ცხოვრების მოთხოვნილებებისა და შესაძლებლობებთან დამოკიდებულებებში, გიგანტურმა კონსტრუქციულმა მცდელობამ ახალი კოლექტივისტური ცნობიერების შექმნაში... მან აღიქვა მიმდინარე პროცესი, როგორც უზარმაზარი ექსპერიმენტი, ჯერ კიდევ გაურკვეველი შედეგებით, რომელიც ყველაზე საინტერესოა დღეს დედამიწაზე მიმდინარე პროცესებს შორის და ეგოისტურად განაცხადა, რომ „მე მირჩევნია დავაკვირდე რუსეთში მის რეალიზაციას, ვიდრე საკუთარ ქვეყანაში“ (28.68)

წიგნში „შთაბეჭდილებანი საბჭოთა რუსეთზე“ დიუიმ მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო განათლების სფეროს. ცხადია, მას აჩვენეს საუკეთესო სასწავლო დაწესებულებანი, „ბედნიერი“ ბავშვები, დემოკრატიული სტრუქტურები... თუმცა მაინც შეამჩნია კოლეგების რამდენადმე დაბეჩავებული და შეწუხებული სახეები, დამუჯერებელ ენთუზიაზმში, ისიც აღნიშნა, რომ ნაჩვენები განათლების სისტემა არსებობს უფრო თვისობრივ, ვიდრე რაოდენობრივ მიმართებაში. მაგრამ მაინც გააოცა ომის პირობებში მიღწევებმა, სადაც ბატონობდა შიმშილი, სიღარიბე და სისტემის პროგრესი.... წასვლის წინ მან საკუთარი ფოტო შაცკს ასეთი წარწერით უძღვნა: მე მივემგზავრები თქვენგან დიდი სიმპათიის გრძნობის ქვეყნისადმი, სადაც შესაძლებელია ასეთი ღრმა პედაგოგიური საქმიანობა. მაგრამ ურთიერთსიმპათიები მალე განელდა. დასავლური კულტურისადმი უნდობლობა საბჭოეთის მახასიათებლად იქცა. ამ დინებას ვერც დიუისადმი დამოკიდებულება ვერ აცდა, მაგრამ ვიდრე ამერიკელი ფილოსოფოსისადმი რეაქციული და შეუთავსებელი შეხედულებების აზრი საბჭოთა სასკოლო სისტემების საერთო დაავადებად იქცეოდა, გამოიცა ბ. კომაროვსკის წიგნი მიძღვნილი დიუისადმი, სადაც ავტორი პირდაპირ მიუთითებს, რომ დიუის პედაგოგიური შეხედულებების ჩამოყალიბების განვითარების გაგება შესაძლებელია მის ერთიან ფილოსოფიურ შეხედულებებთან კავშირში. წიგნი „სკოლა და საზოგადოება“ გამოსვლისთანავე მოექცა ყურადღების ცენტრში. 1907 წელს იგი უკვე

რუსულ ენაზე, ხოლო შემდგომ 1922, 1925 წლებში ოთხჯერ გამოიცა ნაშრომები „სკოლა და ბავშვი“, „მომავლის სკოლები,“ „დემოკრატია და განათლება,“ „აზროვნების ფსიქოლოგია და პედაგოგიკა“ ასევე 1922 წლამდე გამოიცა რუსეთში, ხოლო „გამოცდილება და განათლება“ 1936 წელს. აქედან მოყოლებული 1997 წლამდე იყო სრული იგნორირება დიუის ნაშრომებისა და დღესაც ვ. გორშოვას აზრით, დიუის ფილოსოფიური შრომები არაპროფესიონალებისათვის მიუწვდომელია. მაგრამ, სასიამოვნოა, რომ „რეკონსტრუქცია ფილოსოფიაში“ (თარგმანი მ. ზანაძე-ვოროვა, მ. შიკოვა: 2001წ.; ლ. პავლოვა: 2003წ.) შესაძლებელია გავეცნოთ სტატიებს რომელიც შევიდა წიგნში „საზოგადოება და მისი პრობლემები“ (გორშოვა 2009 : 61) დიუის ძირითადი ფილოსოფიური შრომები, სადაც განხილულია ინსტრუმენტალიზმის არსი, რომ ადამიანის მოქმედების სხვადასხვა ფორმა თუ იდეა გარემოსთან ადაპტირების მთავარი ინსტრუმენტია და შექმნილია კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელად, რომ ჭეშმარიტებულ ამ ინსტრუმენტების სიაში, ასევე პრაგმატიზმისა და ეპისტემოლოგიის შესახებ ძირითადი ნაშრომებია ფსიქოლოგია (1887), ეთიკა (1908), რეკონსტრუქცია ფილოსოფიაში (1920), ადამიანის ბუნება და ქცევა (1922), გამოცდილება და ბუნება (1925), ლოგიკა, შემეცნების თეორია (1938) და სხვ.

დიუის იდეების გავრცელებას ქვეყნის ფარგლებს გარეთ დიდად შეუწყო ხელი პეკინის უნივერსიტეტში მოღვაწობამ. იაპონიასა და თურქეთში საკონსულტაციო ვიზიტებმა, საბჭოთა კავშირის სტუმრობამ და მექსიკაში ლეონ ტროცკის საქმის გამომძიებელი კომისიის თავჯდომარეობამ.

ჯონ დიუის ნააზრევი სოციალური და პოლიტიკური პრობლემების კვლევის მხრიდანაც მნიშვნელოვანია. მისი ინტერესების სფერო ბევრად განსაზღვრა მოგზაურობებმა რუსეთსა და ჩინეთში და როგორც ამბობენ, ზერელედ მხარიც კი დაუჭირა პირველ მსოფლიო ომს. მან მონაწილეობა მიიღო ლევ ტროცკის საქმის გამოძიებაში და მიუხედავად იმისა, მიაჩნია რომ „მაინც არ იქნებოდა საბჭოთა რეჟიმი უკეთესი, თუ სტალინის ნაცვლად ლენინის მემკვიდრე აღმოჩნდებოდა ტროცკი. დიუი მივიდა დასკვნამდე, რომ ძალადობრივი რევოლუცია, რომელიც დიქტატურამდე მიდის, ვერაფერს სასიკეთოს მოუტანს საზოგადოებას (27 :936)

ჯონ დიუი დაულავად უწევდა პროპაგანდას “საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობას,” ჩართულობას “საზოგადოებრივ ცხოვრებაში” იგი განიხილავდა როგორც ერთერთ მნიშვნელოვან მიზანს აღზრდასა და განათლებაში – სკოლა უნდა იყოს საზოგადოებრივი ცენტრი, სადაც ყალიბდება საზოგადოებრივი ურთიერთობები, წარმოიშობა საზოგადოებრივი ინტერესები. საგნების სწავლასთან ერთად სკოლა უნდა გადაიქცეს სოციალურ ჯგუფად, სადაც სახელოსნო და სათამაშო მოედნები არა მხოლოდ აწვდიან თვითშემოქმედებას, არამედ ასწავლიან ურთიერთობას და კოოპერაციას, აფართოებენ საზოგადოებრივი ურთიერთობების გაგებას.

ჯონ დიუის კონცეფციით განათლება გამოცდილებას უნდა ემყარებოდეს, პროგრესივიზმის მიხედვით, წარმატებული სწავლისათვის საუკეთესოა გამოცდილებით და სოციალური ინტერაქციით ცოდნის მიღება. დიუის ფილოსოფიისთვის ძირითადი გამოცდილებაა ის, რომელიც თავის თავში მოიცავს ყველაფერს, რაც კი შეიძლება გახდეს ჩვენი შემეცნების საგანი. იგი თვლის, რომ ყველაფერი გამოცდილებაა და გამოცდილება ყველაფერია. ასე რომ, დიუი თავს ემპირიზმის მომხრედ აცხადებს, ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით. იგი გამოცდილების ცნებაში ათავსებს მხატვრულ, სოციალურ და კულტურულ ფასეულობებსაც. გამოცდილება მოიცავს მთლიან საკაცობრიო ცხოვრებას, ადამიანის ბუნებასთან ურთიერთობებს და თვით ბუნებასაც. თუ როგორ ესმის დიუის გამოცდილება, შეიძლება დავაზუსტოთ მისი შემდეგი განსაზღვრებიდან:

„გამოცდილება მოიცავს სიზმრის ხილვას, ავადმყოფობას, სიკვდილს, შრომას, ომს, ორაზროვნებას, სიცრუეს და დაბნეულობას, ის მოიცავს ემპირიულის თანაბარ ტრანსცენდენტულ სისტემებს; მაგიას და ცრურწმენას ისევე, როგორც მეცნიერებას”.

„ფილოსოფიური რეფლექსიისათვის გამოცდილების ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ იგი აღნიშნავს როგორც მინდორს, მზეს, ღრუბლებს და წვიმას, თესლს და მოსავალს, ასევე ადამიანსაც, რომელიც შრომობს, ადგენს გეგმებს, ახდენს აღმოჩენებს, მოიხმარს ნივთებს, განიცდის და ტკბება ცხოვრებით. გამოცდილება აღნიშნავს ყველაფერს, რაც

განიცდება, რაც გვეძლევა გამოცდილებაში, მოღვაწეობას და ადამიანის ბედს” (27.261)

როგორც ვხედავთ, დიუის მთავარი იდეა თავად გამოცდილების გარდაქმნა და რეკონსტრუქციაა, ცხადია, საქმე ეხება არა შემთხვევითი ერთეული მიზნის განხორციელებას, არამედ გამოცდილების სისტემატურ სრულყოფას ცხოვრების ყველა სფეროში, ადამიანურ საქმიანობაში. უპირველეს ყოვლისა დიუის მიზანი იყო განათლების სისტემის გარდაქმნა და მართალიც იყო, რადგანაც სწორედ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში განათლების დაბალი დონეა ერთერთი ყველაზე დიდი უბედურებაა საზოგადოების.

დიუი აღნიშნავს, რომ უკიდურესობებით აზროვნება უყვარს, რაც შუალედურ შესაძლებლობებს გამორიცხავს: „გამონაკლისი არც განათლების ფილოსოფიაა. განათლების თეორიის ისტორია მოწმეა ორი იდეის მუდმივი დაპირისპირებისა, ერთის მიხედვით, განათლება განვითარებისა და ფორმირების შიგნიდან მართვადი პროცესია, მეორეს მიხედვით კი, პირიქით – იგი გარედანაა განპირობებული; ერთის თვალსაზრისით, განათლება ეუფლება ინდივიდის ბუნებრივ უნარსა და შესაძლებლობებს, მეორეს თვალსაზრისით კი, იგი წარმოადგენს ბუნებრივი მიდრეკილებების გადალახვისა და გარეშე ფაქტორების ზეწოლის შედეგად შექმნილი ჩვევებით მათი ჩანაცვლების პროცესს” (რასსელი 2006 : 257).

დიუი საკითხის განხილვას ტრადიციულ და პროგრესულ განათლებას შორის დაპირისპირებით იწყებს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ასეთი დაპირისპირების წინააღმდეგია, იგი მიმართავს ფილოსოფიას, რადგანაც წარმოდგენლად მიაჩნია განათლების საკითხების გადაწყვეტა ფილოსოფიის გარეშე. დიუი ტრადიციული სწავლების შინაარსს ახასიათებს, როგორც წარსულში შემუშავებულ ინფორმაციისა და გარკვეული უნარ-ჩვევების ახალი თაობებისათვის გადაცემის პროცესს, რომელიც სკოლის ძირითად დანიშნულებას განსაზღვრავს. იგი არ ივიწყებს წარსულში ჩამოყალიბებული ქცევის სტანდარტებსა და წესებს და აღნიშნავს, რომ, მორალური აღზრდა ნიშნავს ამ წესებისა და სტანდარტების შესაბამისი ქცევის ჩვევების ფორმირებას” (დიუი 2006 : 257). დიუი აქვე აყალიბებს აზრს, იმის შესახებ, რომ მოსწავლეთა სწავლისადმი დამოკიდებულების პრინციპებში აღმოაჩინოს: დამყოლობა, ათვისების უნარი

და მორჩილება. აქ ნათლად ჩანს დიუის პროგრესივიზმისადმი დამოკიდებულება თავისუფლებასთან მიმართებაში. იგი თვლის, რომ მოსწავლეთა თავისუფლება მხოლოდ სპეციალურად ორგანიზებულ გარემოში შესაძლებელია განხორციელდეს.

ცხადია, ასეთი თავისუფლება გამორიცხავს მოსწავლეთა თვითრეალიზაციისა და ინიციატივის უნარების განვითარებას. თუმცა, დიუი იმასაც შენიშნავს, რომ „ტრადიციული სისტემა, თავისი არსით, არის ძალდატანება, თავს მოხვევა ზევიდან და გარედან. იგი მოწიფული, ზრდასრული ადამიანების სტანდარტებს, სწავლების შინაარსსა და მეთოდებს თავს ახვევს მათ, ვინც ჯერ მხოლოდ ჩამოყალიბების, მომწიფების პროცესშია”. (დიუი 2006 : 258) გამოსავალს ამ მდგომარეობიდან დიუი კარგ მასწავლებელში ხედავს, რომელიც პედაგოგიური ხელოვნებით თვალშისაცემ „სისასტიკეს” თავიდან აიცილებს. აქედან გამომდინარე, დიუი დაასკვნის, რომ ახალი განათლება ტრადიციული განათლებით მასობრივი უკმაყოფილების შედეგია და ცდილობს ახალი განათლების ფილოსოფიური ფორმულა პროგრესულ სკოლებს შორის საერთო პრინციპებში აღმოაჩინოს: ეს პრინციპებია: 1) ინდივიდუალურობის გამოხატვა და განვითარება; 2) თავისუფალი მოქმედება; 3) გამოცდილების მეშვეობით სწავლა; 4) სასიცოცხლო მნიშვნელობის მიზნების მიღწევის საშუალებების ათვისება; 5) დღევანდელი დღის შესაძლებლობათა რეალიზაცია; 6) ცვალებადი სამყაროს გაცნობა; მოცემულ პრინციპებს, რომელსაც დიუი ტრადიციული სკოლისთვის დამახასიათებელ ნიშნებთან დაპირისპირებაში განხილვას, დიუი ახალი განათლების ზოგადი ფილოსოფიის აბსტრაქტულ პრინციპებს უწოდებს და მიუხედავად იმისა, რომ იგი ჯანსაღ ლოგიკას შეიცავს, მაინც ვერ გადაწყვეტს, თუ როგორ შეიძლება მოხდეს სასურველი მორალური და ინტელექტუალური ალტერნატივის განხორციელება პრაქტიკაში. დიუი ნათლად გრძნობს იმ საფრთხეს, რომელიც ახალ მოძრაობას სდევს თან, კერძოდ “ახალი უფრო ძველის უარყოფაზეა ორიენტირებული, ვიდრე ახალი, კონსტრუქციული ფილოსოფიის შექმნაზე”(დიუი 2006 : 259). ფრიად ნათელი და შთამბეჭდავი აზრია. ისტორიამ არაერთგზის გვაჩვენა, რომ ახალი ხშირად იმ პროგრესულსაც შეიწირავს, რომელიც მართლაც მიღწევას ამა თუ იმ დარგის განვითარებაში. განათლების სისტემაში კი განსაკუთრებულად იგრძნობა

ეს თავად სისტემის უაღრესად კონსერვატიული ბუნების გამო. ამ აზრის დასასაბუთებლად დიუი სვამს კითხვას: რა ადგილი და მნიშვნელობა ენიჭება სწავლების შინაარსსა და ორგანიზაციას გამოცდილების ფარგლებში? როგორ ფუნქციონირებს შინაარსი? აქვს თუ არა გამოცდილებას ისეთი დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც განაპირობებს მისი შინაარსის პროგრესულ ორგანიზაციას? რა შედეგებს ვიღებთ, როდესაც გამოცდილების მასალები არ არის პროგრესულად ორგანიზებული? ცნობილია, რომ არ არსებობს კითხვებზე მარადიული პასუხები, მაგრამ მარადიული კითხვები რომ ნამდვილად არსებობს, ამაში ეჭვი ანტიკურობიდან დღემდე არც არავის ეპარება. მოცემულ კითხვებზე პასუხის გაცემას დიუი იმ სოციალური ფაქტორების კარგად გააზრებაში ხედავს, რომლებიც “აქტიურადაა ჩართული ინდივიდუალურ გამოცდილებაში” (დიუი 2006 : 257) დიუი აღნიშნავს, რომ ძველის სრულ უარყოფასა და ოპოზიციაზე დაფუძნებული ფილოსოფია ამ კითხვებს უპასუხოდ ტოვებს და ეს ნიშნავს, რომ პრობლემას ვერც კი აცნობიერებ. დიუის მცდარად მიაჩნია პოზიცია, რომლის მიხედვითაც “უფროსების მხრიდან ნებისმიერი სახის მითითება და ხელმძღვანელობა პიროვნების ინდივიდუალური თავისუფლების ხელყოფას; არც აწმყოსა და მომავალზე ორიენტირებულ, განათლების იდეა ნიშნავს იმას, რომ წარსულის ცოდნა უმნიშვნელოა ან საერთოდ, არავითარ როლს არ ასრულებს განათლებაში”(დიუინ2006 : 261).

დიუი არ კმაყოფილდება მოცემული დებულებით, რადგანაც ეჭვობს, რომ ახალი განათლებაც შესაძლოა ისეთივე დოგმატური გახდეს, როგორც ტრადიციული თუ კრიტიკული თვალთ არ შეხედა მის მიერ არჩეულ პრინციპებს. მთავარ ამოცანად დიუი თვლის წარსულის ცოდნის მომავალთან ურთიერთობის ეფექტურ საშუალებად გადაქცევას. აქ იკვეთება განათლების საბოლოო მიზანი: როგორ უნდა გაეცნონ ახალგაზრდები ისტორიას იმგვარად, რომ ცოცხალი აწმყოს შეფასების საშუალებად ექცეს? ამ პრობლემით ასრულებს ნაშრომის პირველ თავს “ტრადიციული განათლება პროგრესული განათლების წინააღმდეგ” და II თავში “გამოცდილების თეორიის აუცილებლობა” ასაბუთებს, რომ განათლების ახალი ფილოსოფია არის გარკვეული ტიპის ემპირიული და

ექსპერიმენტული ფილოსოფია და იქვე დასძენს, რომ ემპირიზმის მნიშვნელობა რომ გავიგოთ საჭიროა ვიცოდეთ, რა არის გამოცდილება.

დიუის თანახმად გამოცდილება სხვადასხვა სახისაა: ზოგჯერ ინდივიდში იწვევს მოუქნელობას და სიტლანქეს, შეიძლება გახდეს ინდიფერენტულობისა და მოვლენებზე რეაგირების უნარის დაქვეითების მიზეზი, შეიძლება იყოს სასიამოვნო მაგრამ არათანმიმდე-ვრული, ამასთან, შეიძლება იყოს მხიარული, ენერგიული, ცოცხალი და ა.შ. დიუი დაასკვნის, რომ გამოცდილებაზე დაფუძნებული განათლების ცენტრალური პრობლემაა ისეთი აწმყო გამოცდილებების შერჩევა, რომლებიც ნაყოფიერად და შემოქმედებითად იარსებებენ მომდევნო გამოცდილებაში. და ამ აზრის პრაქტიკაში დანერგვისათვის აუცილებლად მიაჩნია გამოცდილების ფილოსოფიაზე დაფუძნებული განათლების ფილოსოფიის შექმნა.

„გამოცდილების კრიტერიუმებში” დიუი ასახელებს პროგრესული მოძრაობის სასარგებლო ორ ფაქტორს, პირველი ის, რომ ახალი უფრო მეტ შესაბამისობაშია დემოკრატიასთან, ვიდრე ავტოკრატია, მეორე ის, რომ პროგრესული განათლების მეთოდები გაცილებით უფრო ჰუმანურია იმ უხეშ, ძველ მეთოდებთან შედარებით, რაც ასე დამახასიათებელი იყო ტრადიციული სასკოლო პოლიტიკისათვის. დიუი ერთმანეთისაგან ჰყოფს არჩევანის საფუძველის და არჩევანის მიზეზს, მიიჩნევს, რომ ვანიჭებთ უპირატესობას დემოკრატიულს და ჰუმანურს ავტოკრატიულთან და მკაცრთან შედარებით აქ იმ საფუძველს ვგულისხმობთ, რომელმაც არჩევანი გავაკეთებინა. ერთ-ერთ მიზეზად დიუი ასახელებს იმას, რომ ჩვენ ვსწავლობთ დემოკრატიის უპირატესობას, მაგრამ, მიუხედავად ამისა ზოგიერთმა ფაშიზმი აირჩია. აქედან გამომდინარე, ასკვნის დიუი, რომ “ჩვენი არჩევანის მიზეზი არ არის იგივე, რაც საფუძველი, რომლის გამოც ეს არჩევანი უნდა გავაკეთოთ”(დიუი 2006 : 268)

ამავე თავში დიუი აყალიბებს გამოცდილების უწყვეტობის თეორიას და ნათქვამის ნათელსაყოფად მოჰყავს იდეა ზრდის როგორც ფიზიკური, ინტელექტური და მორალური განვითარების პროცესის შესახებ, აქვე აკონკრეტებს ზრდის მიმართულებას და ზრდის კრიტერიუმად ასახელებს განათლებას. დიუი მიიჩნევს, რომ ამ კონცეფციამ უნდა ჰპოვოს საყოველთაო გამოყენება, მითუმეტეს რომ ყველა ადამიანურ გამოცდილებას საბოლოოდ სოციალური ხასიათი აქვს.

გამოცდილების საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი მნიშვნელობაზე ორიენტაცია აუცილებლად წარმოშობს ახალგაზრდის გამოცდილების ძალდატანების გარეშე წარმართვის საჭიროებას. პედაგოგმა უნდა იცოდეს როგორ გამოიყენოს არსებული ფიზიკური და სოციალური გარემო ასეთი ვითარების შექმნისათვის. დიუის აზრით სწორედ ამ საკითხის გადაწყვეტაში არის სირთულე რომელიც პროგრესულ განათლებას ტრადიციული განათლების სისტემასთან შედარებით იგრძნობა. “ყოველი გამოცდილება გამომხატველი ძალაა. მისი მნიშვნელობის შეფასება მხოლოდ იმის მიხედვით შეიძლება, საით და რასთან მივყავართ მას. პედაგოგს, როგორც ზრდასრულ, ჩამოყალიბებულ ადამიანს უფრო მდიდარი გამოცდილება აქვს, რაც საშუალებას აძლევს შეაფასოს ახალგაზრდის თითოეული გამოცდილება”(დიუი 2006 : 271).

დიუი აღნიშნავს, რომ პედაგოგმა თავისი განჭვრეტის უნარი და მდიდარი ინტუიცია ახალგაზრდებისათვის სასარგებლო პირობების შესაქმნელად უნდა გამოიყენოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება გამოცდილების პრინციპების უგულვებელყოფა, რადგანაც ეს ნიშნავს, რომ პედაგოგი არაა დარწმუნებული ადამიანური გამოცდილების სოციალურ ხასიათში, რაც კონტაქტს და კომუნიკაციას გულისხმობს. პედაგოგმა უნდა შეარჩიოს ახალგაზრდის ზრდისათვის ხელშემწყობი ფაქტორები გამოიჩინოს გაგების უნარი, რაც ცოცხალ გამოცდილებაზე დამყარებულ განათლებას გაცილებით რთულად განსახორციელებელ საქმედ აქცევს, ვიდრე ტრადიციული განათლების მოდელის შესაბამისად მოქმედება (დიუი 2006 : 271) ამას ემატება თავად ახალგაზრდების გამოცდილების შეცვლა საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ და სხვადასხვა გარემოში მცხოვრებ მოზარდის გამოცდილების სხვადასხვაგვარობა. ამ პროცესს სუბიექტური და ობიექტური პირობები წარმართავს და დიუის აზრით, მიღწეულ უნდა იქნეს სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებს შორის სპეციფიკური ტიპის ურთიერთქმედება. ურთიერთქმედებაში დიუი გულისხმობს იმ სიტუაციას, რომელსაც გამოცდილების ორივე ფაქტორი ქმნის და შიშობს, რომ გამოცდილებამ შეიძლება შეზღუდოს ინდივიდუალური აზროვნების გამოვლენის თავისუფლება.

ამ აზრით დიუი ეხმიანება და იზიარებს ავსტრიელი პროფესორის ვიქტორ ფრანკლის დამოკიდებულებას ადამიანის თავისუფლებისა და

ინდივიდუალურობისადმი, რომ ადამიანი მუდამ “ქმნადია”, ადამიანი ისაა, რომელსაც შეუძლია საკუთარ თავზე თქვას: “მე ვარ ის, რადაც გავხვდები”; ეს ნიშნავს „იმად ქცევას”, რაც ინდივიდუალური ბუნებისაა, რაც არის შენი ერთადერთი ბუნება ანუ ადამიანი “თვითონად” უნდა გახდეს.

იმისათვის, რომ მომავალი გათვალისწინებული იყოს საგანმანათლებლო პროცესის თითოეულ საფეხურზე, დიუი საგანმანათლებლო – აღმზრდელობით პროცესში კონტინუუმის პრინციპის გამოყენებას გვთავაზობს. მისი აზრით, თითოეულმა გამოცდილებამ პიროვნება უნდა მოამზადოს მომდევნო უფრო ღრმა და ფართო გამოცდილებებთან შესახვედრად, სკოლის მთავარი მიზანი უნდა იყოს სწავლის სურვილის განვითარება: “რა სარგებელი მოაქვს გეოგრაფიიდან და ისტორიიდან წინასწარ განსაზღვრული მოცულობის ინფორმაციის მიღებას, წერისა და კითხვის უნარის განვითარებას, თუ კი ამ პროცესში ინდივიდი კარგავს თავის სულს – მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული ღირებულებების შეფასების უნარს და თუ კი კარგავს სურვილს, გამოიყენოს ის, რაც ისწავლა, რაც ყველაზე მთავარია კარგავს უნარს ჩასწვდეს მომავალი გამოცდილების მნიშვნელობას”(დიუი 2006:271)

დიუის განოცდილებით სწავლა მოიცავს:

-იტეგრირებულ სასწავლო გეგმას;

-არა გაზეპირებით, არამედ გაგებით სწავლა;

-სოციალური პასუხისმგებლობისა და დემოკრატიული აზროვნების აუცილებლობა:

-საგნის შინაარსის შერჩევა მოსწავლეთა უნარების განვითარებასთან შესაბამისობაში;

-მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი;

-მასწავლებელი მოიაზრება როგორც მრჩეველი, ფასილიტატორი ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის წამხალისებელი;

-ცოდნის შეძენის გარდა მოსწავლეებმა უნდა შეძლონ აღმოჩენებით სწავლა.

აქედან გამომდინარე დიუი უფროს თაობას აკისრებს მომავლის წინაშე ღრმა პასუხისმგებლობას და დაასკვნას, რომ “განათლება როგორც

ზრდა და ჩამოყალიბება, “ყველგან მყოფი” და ყველაფრის მომცველი პროცესი უნდა იყოს”.

„სოციალურ კონტროლში” დიუი განიხილავს საგანმანათლებლო – აღმზრდელობით საქმიანობაში ურთიერთქმედებისა და თანამშრომლობის საკითხებს, რაც თამაშის პროცესში ხორციელდება და კონტროლის საზოგადოებრივი ხასიათის გამო ადვილად ასატანია. ტრადიციულ სკოლაში კი, დიუის აზრით, არ არსებობდა კონტროლის სათანადო, ნორმალური პირობები. ახალ სკოლებში სოციალური კონტროლის ძირითადი წყარო თავად იმ საქმიანობის ბუნებაა, რომელიც ერთობლივ საზოგადოებრივ წამოწყებას, ჯგუფურ ინიციატივას მოიცავს. დიუი აღნიშნავს, რომ უკლებლივ ყველას აქვს შესაძლებლობა მასში საკუთარი ინდივიდუალური შეიტანოს და ყველამ თანაბარი პასუხისმგებლობა იგრძნოს. დიუი ამას იმითაც ადასტურებს, რომ ბავშვების უმრავლესობა ბუნებრივად კომუნიკაბელურია, ისინი საზოგადოების მიმართ უფრო გახსნილი არიან, იზოლაცია მათთვის მოსაწყენია”(გვ283) ამავე თავში დიუი განიხილავს მასწავლებლის კომპეტენციას, ფუნქციებსა და მოვალეობებს. “განათლება თავისი არსით სოციალური პროცესია” – წერს იგი, მასწავლებელი აუცილებლად უნდა იყოს იმ ჯგუფის წევრი, რომელსაც გაერთიანებული ინდივიდები ქმნიან და მას ეკისრება განსაკუთრებული პასუხისმგებლობა – “წარმართოს ის კომუნიკაცია, ურთიერთქმედებები და ურთიერთკავშირები, რომლებიც ჯგუფის, როგორც საზოგადოებრივი ერთობის არსებობის საფუძველია. ასეთ შემთხვევაში მასწავლებელი კარგავს გარეშე ზედამხედველის ან მოკარნახის როლს და ჯგუფური საქმიანობის ლიდერის ფუნქციას იძენს.”(დიუი 2006 : 285)

„თავისუფლების ბუნებაში” დიუი ჭეშმარიტ თავისუფლებად მხოლოდ აზროვნებას და განსჯის თავისუფლებას მიიჩნევს. იგი უარყოფითად აფასებს იმ ფიზიკურ შეზღუდვებს, რაც დაწყებული იყო ტრადიციულ სკოლაში “ტიპური საკლასო ოთახებით, მკაცრად განლაგებული მერხებით და მოსწავლეთა ლამის სამხედრო რეჟიმით” (დიუი 2006:287) დიუი თვლის, რომ ფიზიკური თავისუფლების გარეშე, იძულებით თავს მოხვეული სიჩუმე და უსიტყვო მორჩილება, ხელოვნური ერთსახოვნება, ერთგვარობა “მოჩვენებითის რეალურად არსებულზე” წინ დაყენება პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის გაიცნო ადამიანები. საქმე

გვაქვს “მანკიერ წრესთან” რომელიც განაპირობებს სწავლის მუდმივ ერთფეროვნებას... ამასთან დიუის აზრით “ფიზიკური თავისუფლება საშუალებაა თავისუფალი აზროვნების, მსჯელობისა და არჩეული მიზნების განხორციელების შესაძლებლობათა თავისუფლებისა.” აქვე იმასაც დასძენს, რომ ფიზიკური თავისუფლების გარდა აუცილებელია უნარისა და შესაძლებლობათა თავისუფლება, მისწრაფებისა და სურვილების თავდაპირველი ფორმების რეკონსტრუქცია და იმპულსების შეჩერება, პროცესში დაკვირვებისა და მეხსიერების ჩართვა, რასაც მივყავართ თვითკონტროლის უნარის განვითარებისაკენ. სხვაგვარი თავისუფლება, დიუის აზრით, მხოლოდ ილუზიაა.

მიზნების ფორმირებას დიუი უაღრესად კომპლექსურ ინტელექტურ ოპერაციად მიიჩნევს და სამ საფეხურს გამოჰყოფს:

1. გარემომცველ პირობებზე დაკვირვება და შესწავლა;
2. მსგავს სიტუაციაში წარსულში მომხდარის ცოდნა;
3. მსჯელობა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს დაკვირვებისა და წარსულის შედეგად მიღებულ ცოდნას.

დიუის აზრით, ასეთი საფეხურებით განსაზღვრული მიზანი უზრუნველყოფს გამოსაწოროს ტრადიციული განათლების ნაკლი, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ იგნორირებას უკეთებდა პიროვნულ იმპულსებს და სურვილს, რაც, ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ მიზანი სურვილთან და იმპულსთან გაიგივდეს. მიზანი სოციალური აზროვნების პროცესში უნდა გამოვლინდეს.

დიუი თვლის, რომ განათლების სისტემა განვითარებისათვის ყველაზე დიდ დაბრკოლებად იქცევა. ახალი განათლების გზა, რომელიც ძველ გზასთან შედარებით გაცილებით რთული და დამაბულია – ეს დამაბულობა მანამ არ მოიხსნება, სანამ იგი უმრავლესობას არ მოიცავს, ამის მიღწევას სერიოზული თანამშრომლური საქმიანობის მრავალი წელი დასჭირდება. დიუი აჩვენებს პირობებს, რომელიც აუცილებელია, რომ ახალმა განათლებამ მიაღწიოს წარმატებას, რაც სამართლიანად მას ეკუთვნის.

დიუი არ უპირისპირებს ახალ და ძველ განათლებას ერთმანეთს, არამედ ეძებს იმას, თუ როგორი უნდა იყოს, რაც ღირსეულად იმსახურებს სახელს – განათლება. “ის რაც ჩვენ გვსურს და გვჭირდება, არის

წმინდა, მარტივი განათლება” და უფრო დამაჯერებლად და სწრაფად მივალწევთ პროგრესს, როდესაც საკუთად თავს მივუძღვნიტ იმის ძიებას, რა არის განათლება და რა პირობები უნდა დაკმაყოფილდეს იმისთვის, რომ განათლება რეალობა იყოს და არა ცარიელი, სახელი ან ლოზუნგი. სწორედ ეს გახლავთ ის ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ხაზი გავუსვი გამოცდილების ჯანსაღი ფილოსოფიის შექმნის აუცილებლობას (დიუი 2006:306)

როგორ შეიძლება შევავასოდ ჯონ დიუის პედაგოგიური კონცეფციები თანამედროვე პოზიციიდან?

დიუის ნამდვილად არ ჰქონდა საფუძველი განაწყენებულიყო მისი თეორიებისადმი უყურადღებობით. ეს თეორიები ცნობილი იყო თითქმის ყველა წარჩინებული პედაგოგისათვის და ამასთანავე აქტიურად ინერგებოდა პრაქტიკაში. წარმოდგენელიც კია ასე სრულყოფილად და თანამიმდევრულად განხორციელებული სხვა მსგავსი თეორია დარჩენილიყო უყურადღებოდ 1940-70 წლებში ინტერესი დიუის პედაგოგიური შეხედულებებისადმი შემცირდა იმ მოტივით, რომ თითქოს ის რაც რაციონალური იყო უკვე ათვისებულია, უმნიშვნელო-კი დავიწყებული. მაგრამ XX საუკუნის ბოლოს ეს ინტერესი იმდენად გაიზარდა, რომ ალაპარაკდნენ დიუის მეორე დაბადებაზე. ეს გამოიწვია სწავლების პრობლემური და კვლევითი მეთოდებისა და ფორმების მასიურმა გააქტიურებამ, რაც გათვლილი იყო მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე. როგორც ზემოთ ვნახეთ, თავის დროზე ჯონ დიუი აცხადებდა მათ აუცილებლობასა და აქტუალობაზე და ამასთან შეიმუშავა „კრიტიკული აზროვნების” ჩამოყალიბების ფორმირების პრინციპები და მეთოდიკა, რომელიც ხელს უწყობდა სასწავლო მასალის აქტიურ და გაცნობიერებულ ათვისებას. როგორც აღმოჩნდა, დიუის რაციონალური აზრები ჯერ კიდევ გამოუყენებული იყო თანამედროვე პედაგოგიაში. დიუი აყალიბებს კრიტიკული აზროვნების განვითარების შემდეგ მთავარ პრინციპებს:

- ყოველგვარი კონცეფციის სიტყვებისა და სიმბოლოების ზუსტად გადაცემის აუცილებლობა;
- ინფორმაციის ლაკონურად ან ვრცლად გადაცემის შესაძლებლობა;

– კონკრეტულიდან ამოსვლა, აბსტრაქტული აზროვნების განვითარება;

– მოვლენაში მთავარი, წამყვანი პრინციპების მოძებნა.

მთლიანობაში ჯონ დიუის საზოგადოებრივი პროგრესისადმი რწმენა, არსებული სინამდვილის კრიტიკული ათვისებისაკენ მოწოდება, ზრუნვა ახალგაზრდების აქტიური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებისათვის ძალიან აქტიურად ეხმარება ჩვენს დროს და ემსახურება განათლების პრობლემების მოგვარების საქმეს.

გაკვეთილები ბუნებისმეტყველებაში მიმართულებების მიხედვით (ცოცხალი სამყარო; სხეულები და მოვლენები; დედამიწა და გარესამყარო; ადამიანი და გარემო). (გაკვეთილის ნიმუშები წარმოდგენილია, როგორც მასწავლებლის დამხმარე სახელმძღვანელოების, ასევე ბსუ-ს სტუდენტების მიერ საგნის სწავლების მეთოდის ფარგლებში, პრაქტიკულად ჩატარებული იმიტირებული გაკვეთილების გეგმების გამოყენებით.

კლასი - I

გაკვეთილის თემა - მე და ჩემი კლასელები

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეების მიერ ერთმანეთის გაცნობა; ახალ სასკოლო გარემოსთან ადაპტაცია; მოსწავლეების მიერ საკუთარი თავის წარდგენა; კომუნიკაცია; კლასის ერთიანობის შეგრძნებისა და ურთიერთ-პატივისცემაზე დაფუძნებული დამოკიდებულებების გამომუშავება.

საჭირო მასალა: – ბაწრის გორგალი, სახელმძღვანელო, ფერადი ფანქრები, მაკრატელი, წებო.

აქტივობათა თანმიმდევრობა:

პირველი ეტაპი - პროვოცირების ფაზა (10-15 წთ.)

თამაში ბაწრის გორგლით

მისალმების შემდეგ მასწავლებელი საკუთარ თავს წარადგენს და მოსწავლეებს ეუბნება, რომ თავადაც სურს მათი გაცნობა. ამისათვის სთავაზობს თამაშს ბაწრის გორგლით. ბავშვებს სხამს წრეზე, სახით ერთმანეთისკენ. თუ სკამები მერხებზეა დამაგრებული, შეიძლება ბავშვები წრეში ჩადგნენ ან ჩაცუცქდნენ. მასწავლებელი იღებს გორგალს, დგება ცენტრში და ბავშვებსაცნობს თამაშის წესს. თამაშის დამწყები იჭერს ბაწრის ბოლოს და ამბობს თავის სახელს, თან ამატებს სიტყვებს „მე მიყვარს ...“ (მაგ., „მე ვარ თინიკო, მე მიყვარს ნაყინი“ ან „მე ვარ შოთიკო, მე მიყვარს ფეხბურთის თამაში“). შემდეგ მასწავლებლის დახმარებით გორგალი გადადის სხვა მოსწავლის ხელში ისე, რომ წინა მოსწავლე ბაწარს ხელიდან არ უშვებს. ასე რიგრიგობით ყველა მოსწავლესთან ხვდება გორგალი, რომელიც თანდათან პატარავდება და ბავშვებს შორის კი ქსელი იხლართება; გორგლის მფლობელი თავის თავს წა-

რუდგენს კლასს და გორგალს სხვას გადააწოდებს (არც ერთი ბავშვი არ უნდა დარჩეს თამაშგარეთ). ბაწარს ხელს არავინ უშვებს, ყველა ერთმანეთთან არის დაკავშირებული. მასწავლებელიც ამ საერთო ქსელშია ჩამოყალიბებული.

მეორე ეტაპი - შინაარსის რეალიზების ფაზა (15-20 წთ)

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, ხელი მორიგეობით გაუშვან ბაწარს და დაიწყებს მის დახვევას. თან რიგრიგობით მიდის თითოეულ მოსწავლესთან და სვამს შეკითხვას: “ეს ვინ არის?” დანარჩენებმა ამ მოსწავლის სახელი ერთად უნდა დაიძახონ. ასე მოხდება ყველას სახელის გამეორება.



სახელმძღვანელოზე მუშაობა

მოსწავლეები სხდებიან მერხებთან და გადაშლიან სახელმძღვანელოებს მითითებულ გვერდზე. მოცემულ ჩარჩოში მოსწავლეები იწყებენ საკუთარი თავის ხატვა-გაფერადებას (მასწავლებელი უხსნის, რომ ყველამ საკუთარი სურათი უნდა შექმნას). შემდეგ ხდება ნახატის გამოჭრა.

რეფლექსიის ფაზა (10-15 წთ)

პლაკატის „მე და ჩემი კლასელები“ შექმნა

მასწავლებელს გამზადებული აქვს კედელზე ფორმატის ქაღალდი წარწერით „მე და ჩემი კლასელები“. მოსწავლეები რიგრიგობით გაჰყავს პლაკატთან და კლასს ეკითხება: „ეს ვინ არის?“ ან „ვინ გამოვიდა ჩემთან?“ ბავშვებმა ერთად უნდა თქვან სახელი. მასწავლებელი მოსწავლეს გამოართმევს „ავტოპორტრეტს“ და აწებებს პლაკატზე ან მოსწავლეს ეხმარება დაწებებაში. შემდეგ სხვას გამოიძახებს, და ასე გაივსება პლაკატი ბავშვების სურათებით (ნახატის ხარისხს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს და მასწავლებელმა არავის არ უნდა დაუწუნოს ნამუშევარი). ბოლოს მასწავლებელი ეკითხება ბავშვებს, ხომ არ სურთ მათი სურათებიც დააკავშირონ ბაწრით. დადებითი პასუხის შემთხვევაში (ეს ასეც არის მოსალოდნელი) მასწავლებელი ღია

ფერის ფანქრით ან ფლომასტერით ბავშვების სურათებს ხაზებით ერთმანეთთან დააკავშირებს.

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად დასძენს: „სკოლაში ჩვენ ყველანი ერთად ვართ, აქ ყველამ ერთად უნდა ვისწავლოთ, ეს ჩვენი კლასია.“

რჩევები მასწავლებელს:


- ასეთი მეცადინეობა დადებით ემოციებს აღძრავს და ხმაურს იწვევს. ნუ შეეცდებით ამ ხმაურის ჩახშობას, უბრალოდ, სიტუაცია აკონტროლეთ და თვალი მიადევნეთ, რომ თამაშისა და მუშაობის წესები დაცული იყოს;
- ინსტრუქციის მიცემის დროს კარგად დარწმუნდით, რომ ყველამ გაიგო დავალება. თუ ვინმეს რამე გაუჭირდა (გაფერადება, გამოჭრა..), ჯერ აუხსენით, შემდგომ დაეხმარეთ;
- კლასის პლაკატი არ ჩამოხსნათ, დარჩეს კედელზე. შემდეგ, როცა ასობის წერას ისწავლიან, სურათებზე სახელები მიაწერინეთ;
- თუ თქვენი კლასი მრავალრიცხოვანია, აუცილებლად იქონიეთ სათადარიგოდ სხვა გორგალიც. პირველი რომ დაიღვევა, მეორეს გადააბამთ და თამაშს გააგრძელებთ; სახელმძღვანელოებს შინ ნუ გაატანთ, შეკრიბეთ და შეინახეთ მომდევნო გაკვეთილამდე.
- საგაკვეთილო წესების დამკვიდრებას შეუდექით პირველივე გაკვეთილიდან.

კლასი - I

გაკვეთილის თემა - სხეულის

ნაწილები

გაკვეთილის მიზანი: ადამიანის (საკუთარი) სხეულის გარეგანი ნაწილების ამოცნობა და დასახელება; მოსწავლეების გავარჯიშება მარცხენა-მარჯვენას ამოცნობაში; მოსწავლეებში დაკვირვების, სინთე-



ზირების და სოციალიზაციის უნარების განვითარების ხელშეწყობა.

ახალი სიტყვები: წარბი, მხარი, შუბლი, წამწამები...

საჭირო მასალა: სახელმძღვანელო, მაკრატელი, წებო, წითელი და მწვანე ფერის ორი ლენტი (ან სხვა პატარა საგანი).

აქტივობათა თანმიმდევრობა:

პროვოცირების ფაზა

თამაში – „მსგავსი და განსხვავებული. (8-10 წთ.)

პირველი ეტაპი

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, გამოვიდნენ მითითებულ ადგილას და შეძლებისდაგვარად ჩამწკრივდნენ სიმაღლის მიხედვით (მაღლიდან დაბლისკენ). თითოეულმა მათგანმა თავად უნდა იპოვოს საკუთარი ადგილი და დადგეს.

აქტივობის მეორე ეტაპზე, მასწავლებელი სთხოვს ბოლო მოსწავლეს მწკრივში ჩამოიაროს და თავისი შეხედულებისამებრ გადაამოწმოს, რამდენად სწორად აირჩიეს მისმა თანატოლებმა შესაბამისი ადგილი. იმ შემთხვევაში, თუ იგი შეამჩნევს უზუსტობას (შეიძლება ერთმანეთის გვერდით, სიმაღლის მიუხედავად დადგნენ ახლო მეგობრები, მეზობლები და ა. შ.) იგი ადგილს უნაცვლებს მოსწავლეებს. ასე გრძელდება თამაში (შემდეგ მასწავლებელი გამოიყვანს ბოლოდან მეორე, შემდეგ მესამე მოსწავლეს და ა. შ.). სულ სასურველია მონაწილეობა მიიღოს ხუთმა მოსწავლემ ე.წ „ექსპერტმა“. თუ მასწავლებელი ჩათვლის საჭიროდ შეუძლია მოსწავლეები დაალაგოს თვალის, თმის ფერის ან სხვა ნიშნის მიხედვით. აქტივობის დასრულებისას, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დაუბრუნდნენ თავიანთ ადგილებს, დაფასთან კი ტოვებს ორ მოსწავლეს, პირველსა და ბოლოს. ბავშვებს სთხოვს შეადარონ ისინი ერთმანეთს მსგავსება-განსხვავების მიხედვით. (სავარაუდოდ, მსგავსებაა: ორი ხელი, ორი თვალი, ორი ყური). სამუშაოს შეჯამებისას მასწავლებელთან ერთად (კითხვების დახმარებით) მოსწავლეები აკეთებენ დასკვნას, რომ მოსწავლეები ერთმანეთისგან განსხვავდებიან სიმაღლით, თმის ფერით ან თვალის ფერით და ა. შ. შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვას:

აბა, ვინ დამისახელებს და მაჩვენებს სხეულის ნაწილებს, ანუ იმას, რაც ყველა ადამიანს აქვს?

მოსწავლეები ასახელებენ და აჩვენებენ ხელებს, ფეხებს, თავს, თითებს და ა. შ. თუ არავინ დაასახელა, მასწავლებელი კითხულობს, თუ სად აქვთ შუბლი, ტუჩები, წარბები, წამწამები.

თამაში „მარცხენა-მარჯვენას“ ამოცნობაზე (3-5 წთ.)

მასწავლებელი:

- რამდენი ფეხი აქვს ადამიანს? ხელი?
- სხეულის კიდევ რომელი ნაწილი გვაქვს წყვილი რაოდენობის?
- როგორ განვასხვავო ერთმანეთისგან ჩემი ხელები (ეს რომელი ხელია)? როგორ ვამბობთ? (მარცხენა ხელი ან მარჯვენა ხელი).

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, ფეხზე ადგნენ; ისიც მათ შორის დგება. სახით ყველა ერთ მხარეს იხედება. მასწავლებელი აჩვენებს, რომელია მისი მარჯვენა და რომელი – მარცხენა ხელი. შემდეგ ასწევს მარცხენა ხელს და ყველას სთხოვს, ასწიონ მარცხენა ხელი, შემდეგ – მარჯვენა ხელს ასწევენ.

მასწავლებელი მარცხენა ხელში იჭერს წითელი ფერის ბაფთას (ან რაიმე სხვა საგანს), მარჯვენაში – მწვანე ბაფთას. თან ბავშვებს უთანხმებს: წითელი ფერის აწევა ნიშნავს, რომ მარცხენა ხელი უნდა ასწიოთ, მწვანე ფერის აწევა მიგანიშნებთ, რომ მარჯვენა ხელი ასწიოთ. ასე გაითამაშებენ რამდენჯერმე. შემდეგ მასწავლებელი სახით მოსწავლეებისკენ ტრიალდება და ისევ იმეორებს მოძრაობებს. ბავშვებმა ფერებს უნდა მიაქციონ ყურადღება და სწორად შეასრულონ მოძრაობები.

თამაშის გაგრძელება სხეულის ნაწილებზე (2-3 წთ.)

მასწავლებელი ასახელებს სხეულის ნაწილებს მორიგეობით (შეუძლია განმეორებითაც დასახელება) და პაუზებით: მარჯვენა ყური, მარცხენა ფეხი, მარცხენა ხელი, მარჯვენა თვალი, მარჯვენა ლოყა, მარცხენა მხარი... მოსწავლეებმა ხელი უნდა მიიღონ იმ ადგილას, რომელსაც მასწავლებელი ასახელებს. ბავშვები ერთმანეთს უყურებენ და აკონტროლებენ – სწორად ასრულებენ დავალებას თუ არა. მასწავლებელი ყველა მოსწავლეს თვალყურს ადევნებს და აკონტროლებს.

**სახელმძღვანელოზე მუშაობა – „გავიცნოთ წიგნის პერსონაჟები“
(10-15 წთ.)**

მუშაობა ჯგუფებში:

მოსწავლეები სხდებიან მერხებთან მცირე ჯგუფებად, სამუშაოდ იღებენ სახელმძღვანელოს შესაბამის გვერდს და ჭრიან ტეხილ ხაზზე. შემდეგ მათ უნდა გამოჭრან მოცემული ფრაგმენტები (გოგონასა და ვაჟის სხეულის ნაწილები) და ჩააკრან-ააგონ ფიგურები ფურცლის ზედა ნაწილში, რომელზეც მხოლოდ გარეთა კონტურებია შემოხაზული. უნდა გამოვიდეს ბიჭი – „ნიკოლოზი“ და გოგონა „მაია“. (ჯგუფს შეუძლია სახელმძღვანელოს ერთ ფურცელზე იმუშაოს ან რამდენიმე ფურცელი გამოიყენოს). მასწავლებლის კითხვები:

- რა (გამოსახულება) მიიღეთ?
- როგორ ფიქრობთ, რა ასაკის არიან ეს ბავშვები?

შემდეგ მასწავლებელი ბავშვებს აუწყებს, რომ ეს პერსონაჟები მათი თანატოლები არიან და კიდევ ბევრჯერ მოუწევთ მათთან შეხვედრა. გოგონას მაია ჰქვია, ბიჭს კი – ნიკოლოზი.

გაკვეთილის შეჯამება. (2-5 წთ.)

მასწავლებელი ახსენებს ბავშვებს, თუ რა ისწავლეს ამ მეცადინეობაზე, ეკითხება პერსონაჟების სახელებს, კიდევ რა იყო მათთვის საინტერესო, რა დაამახსოვრდათ, რა მოეწონათ? კიდევ თუ სურთ ნიკოლოზთან და მაიასთან შეხვედრა?..

დამატებითი (ან ალტერნატიული) აქტივობა – სავარჯიშო „ჩემი ხელი“

მასწავლებელი კედელზე წინასწარ დამაგრებულ ფორმატზე დებს მარჯვენა ხელის მტევანს, შემოხაზავს ფლომასტრით და აწერს საკუთარ სახელს. შემდეგ მიმართავს მოსწავლეებს, გამოვიდნენ სათითაოდ, აირჩიონ სასურველი ფერის ფლომასტერი, რომლითაც მასწავლებელი ფორმატზე შემოხაზავს მათ ხელს და დააწერს მათ სახელს. ასე გრძელდება, სანამ ყველა მოსწავლე დააფიქსირებს საკუთარი ხელის მტევანს. საბოლოოდ ფორმატზე აღმოჩნდება ყველა მოსწავლის მარჯვენა ხელის კონ-

ტური შესაბამისი წარწერით. სასურველია, ეს პლაკატი კედელზე დარჩეს სასწავლო წლის ბოლომდე.

რჩევები მასწავლებელს:

- იმ შემთხვევაში, თუ მეცადინეობის პერიოდში თავისუფალი დრო მოგრჩათ, შეგიძლიათ გამოიყენოთ დამატებითი (ალტერნატიული) აქტივობა, რომელიც თითქმის ყველა მეცადინეობას ახლავს. შესაძლოა ეს სამუშაო უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნიოთ, ვიდრე ძირითად აქტივობებში აღწერილი. ამ შემთხვევაშიც, თქვენს არჩევანზეა დამოკიდებული როგორ მოიქცევით – შეგიძლიათ ჩაანაცვლოთ.

- თუ კლასში უნარშეზღუდული მოსწავლეა, მასწავლებელი მიდის მასთან და ეხმარება სხეულის ნაწილების ჩვენებასა და დასახელებაში.

კლასი II

თემა: ზრდა

გაკვეთილის სათაური: რა არის საჭირო ზრდისათვის?

გაკვეთილის მიზანი: ზრდისთვის აუცილებელი პირობების განსაზღვრა, მოსაზრებების გამოთქმის, მსჯელობის უნარის, ყურადღების კონცენტრირების, მოსმენის უნარის განვითარება.

საჭირო მასალა: დაფა; ცარცი

პროვოცირების ფაზა - 5- 10 წთ

I. შერჩევა

დაფაზე ჩამოწერეთ სიტყვები: სათამაშო, წყალი, საკვები, წიგნი, ჰაერი, ტანსაცმელი.

მოსწავლეებს მიეცით დავალება: მოიფიქრეთ ჩამოწერილი სიტყვებიდან რა არის აუცილებელი და რა არ არის აუცილებელი ცოცხალის ზრდისათვის.

შინაარსის რესლიზების ფაზა - 20-25 წთ

II. მოსაზრებები

დაფასთან მოსწავლეები მორიგეობით გამოვიდნენ. გამოკითხეთ ყველა ბავშვი. დაფასთან გამოსულ მოსწავლეებს მიეცით დავალება: პლიუსი დაწერეთ იმ სიტყვების გვერდით, რომლებსაც შენ ფიქრობ რომ აუცილებელია ზრდისთვის. შენი მოსაზრებები დაასაბუთე.

მოსწავლეს თითოეულ სიტყვაზე დაუსვით კითხვა: რატომ ფიქრობ, რომ (დაუსახელებთ მისი შერჩეული კონკრეტული სიტყვა) აუცილებელია ზრდისათვის?

III. მონაცემთა შეჯამება და განხილვა

მოსწავლეებთან ერთად შეაჯამეთ მონაცემები. გაკვეთილი წარმართეთ მონაცემების შესაბამისად. გთავაზობთ ვარიანტებს:

ა) თუ სათამაშოს აქვს ერთი პლიუსი მაინც, მოსწავლეებმა იმსჯელონ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მცენარისთვის, ცხოველისთვის, ადამიანისთვის.

კითხვები: შენი აზრით, სჭირდება მცენარეს სათამაშო?, როგორ გამოიყენებს მცენარე სათამაშოს? შენი აზრით, სჭირდება ცხოველს სათამაშო? (ზოგიერთმა მოსწავლემ შეიძლება გიპასუხოთ, რომ მის ძაღლს ან კატას აქვს სათამაშო). შენი აზრით, სჭირდება სათამაშო შინაურ ცხოველს (ძაღლი, კატა)? რისთვის სჭირდება შინაურ ცხოველს სათამაშო? თქვენ თუ გაქვთ სათამაშოები? რას აკეთებთ მათი დახმარებით? შენი აზრით, რაში ეხმარება ბავშვს სათამაშო?

შეჯამება: სათამაშო არ არის აუცილებელი ცოცხალის ზრდისთვის. შინაური ცხოველები (ძაღლი, კატა) სათამაშოებით ერთობიან და თამაშობენ. ადამიანს სათამაშო სჭირდება, რათა გაერთოს, ითამაშოს, ისწავლოს, ფიზიკურად ჯანმრთელი იყოს.

ბ) თუ სათამაშოს არ აქვს პლიუსები, მოსწავლეებს დაუსვით შემდეგი **კითხვები:** გაქვთ სათამაშოები? რისთვისაა ისინი საჭირო? შენი აზრით, რაში გეხმარებათ სათამაშო?

შეჯამება: სათამაშო არ არის საჭირო ზრდისათვის, მაგრამ ბავშვებს ისინი სჭირდებათ, რათა გაერთონ, ისწავლონ, ჯანმრთელები იყვნენ.

გ) თუ წყალს არა აქვს პლიუსი, თითოეულმა მოსწავლემ გასცეს პასუხი კითხვას: რამდენი ხანი (საათი, დღე) გაძლებთ უწყლოდ? შენი აზრით რამდენი ხანი (დღე, საათი) გაძლებს ცხოველი წყლის გარეშე? რა მოუვა მცენარეს წყლის გარეშე?

ცოცხალს სჭირდება წყალი. წყალი აუცილებელია ზრდისთვის. ადამიანს ერთი დღეც გაუჭირდება წყლის გარეშე. წყალი გვეხმარება ზრდაში.

დ) თუ საკვებს არ აქვს პლიუსი, დასვით კითხვები: შენი აზრით, რამდენი ხანი გაძლებ საკვების გარეშე? დილით თუ ისაუზმე? გაკვეთილების

დამ-თავრების შემდეგ თუ ისადილებ? შენი აზრით ცხოველი რამდენი ხანი გაძლებს საკვების გარეშე?

შეჯამება: ადამიანი დღეში რამდენჯერმე იკვებება. საკვების გარეშე ის დიდხანს ვერ გაძლებს. ვერცერთი ცოცხალი არსება ვერ გაძლებს საკვების გარეშე. საკვები ეხმარება ცოცხალს ზრდაში.

ე) თუ წიგნს აქვს ერთი პლიუსი მაინც, გამოიყენეთ კითხვები: როგორ ფიქრობთ, შეუძლია თუ არა მცენარეს წიგნის წაკითხვა? როგორ ფიქრობთ, შეუძლია თუ არა ცხოველს წიგნის წაკითხვა? თქვენი აზრით რისთვის გჭირდება წიგნი? გჭირდებათ წიგნი ზომამში მოსამატებლად? რაში გეხმარებათ წიგნი?

შეჯამება: ცოცხალის ზრდისათვის არ არის აუცილებელი წიგნი. ადამიანს წიგნი სჭირდება წასაკითხად, სასწავლად(ჩამოთვალეთ ის, რაც მოსწავლეებმა დაასახელეს).

ვ) თუ წიგნს არ აქვს პლიუსი. მოსწავლეებმა იმსჯელონ ადამიანისთვის წიგნის მნიშვნელობაზე.

კითხვები: ცოცხალს არ სჭირდება წიგნი ზრდისათვის, მაგრამ ჩვენ თითქმის ყოველ დღე ვიყენებთ წიგნებს. თქვენი აზრით, რისთვის სჭირდება ადამიანს ის? თქვენი აზრით რაში ეხმარება ის ადამიანს?

შეჯამება: ადამიანი წიგნს კითხულობს. ის გვეხმარება სწავლაში.....(ჩამოთვალეთ ის, რაც მოსწავლეებმა დაასახელეს).

ზ) თუ ჰაერს არ აქვს პლიუსი, მაშინ მოსწავლეებს შესთავაზეთ მარტივი ექსპერიმენტი.

დავალება: შეიკავე სუნთქვა. (თქვენც გააკეთეთ მოსწავლეებთან ერთად).

კითხვა: გავძელით ჰაერის გარეშე? (განუმარტეთ, რომ მცენარესაც სჭირდება ჰაერი, რადგან ის ცოცხალია).

შეჯამება: ჰაერი საჭიროა ცოცხალი არსებებისთვის. ის ეხმარება მათ ზრდაში.

თ) თნსაცმელზე ორივე შემთხვევაში შეგიძლიათ გამოიყენოთ **კითხვები:** როგორ ფიქრობ, სჭირდება მცენარეს ან ცხოველს ტანსაცმელი? თქვენ რისთვის გჭირდებათ ტანსაცმელი? გეხმარებათ ტანსაცმელი რომ გაიზარდოთ?

შეჯამება: ტანსაცმელი არ არის აუცილებელი ცოცხალის ზრდისთვის, თუმცა ადამიანს ის მაინც სჭირდება.

კითხვა: რა არის აუცილებელი ცოცხალის ზრდისთვის?

შეჯამება: ცოცხალს ზრდისთვის სჭირდება: წყალი, საკვები და ჰაერი.
რეფლექსიის ფაზა - 5-10 წთ

კლასი VI

თემა - კვებითი ჯაჭვები

გაკვეთილის სათაური - კვებითი ჯაჭვის მოდელირება

გაკვეთილის მიზანია - მოსწავლემ შეძლოს მარტივი კვებითი ჯაჭვის შედგენა სხვადასხვა გამომსახველობითი საშუალების დახმარებით.

საჭირო მასალა: ფერადი ქაღალდის ზოლები, წებოს ფანქარი ან წებოვანი ლენტის, მარკერები.

გაკვეთილის მსვლელობა

რეკომენდაცია: საჭირო მასალები მოამზადეთ ჯგუფების რაოდენობის შესაბამისად.

პროვოცირების ფაზა

1. შესავალი საუბარი - (5-10 წთ)

სთხოვეთ მოსწავლეებს, გაიხსენონ წინა გაკვეთილზე განვლილი მასალა და უპასუხონ კითხვებს:

- რომელ ორგანიზმებს ეწოდება მწარმოებელი? რას აწარმოებენ ისინი? (ყველა მცენარე მწარმოებელია, რადგან თავად ქმნის საკუთარ საკვებს)

- რომელი ორგანიზმებია მომხმარებლები? რატომ ეწოდება მათ მომხმარებლები? (მომხმარებლები არიან ცხოველები, რადგან მოიხმარენ მცენარეების მიერ წარმოქმნილ საკვებს ან სხვა ცხოველებს).

- რა არის კვებითი ჯაჭვი? რას აჩვენებს იგი? (კვებითი ჯაჭვი აჩვენებს, რომელი ორგანიზმი რით იკვებება და როგორ უკავშირდებიან ერთმანეთს ორგანიზმები საკვების მოხმარების მიხედვით)

- რას აჩვენებს ისრები კვებით ჯაჭვში? (ისრები აჩვენებს რითი იკვებება ესა თუ ის ორგანიზმი)

- რომელი ორგანიზმით იწყება კვებითი ჯაჭვი? (კვებითი ჯაჭვი ყოველთვის მცენარით იწყება)

- რატომ არის დამოკიდებული ხორცისმჭამელი ცხოველების კვება მცენარეებზე? (ხორცისმჭამელი ცხოველები საკვებად მცენარისმჭამელს, რომლებიც მცენარეებით იკვებებიან)

სთხოვეთ მოსწავლეებს, მოიფიქრონ და ჩაიწერონ რვეულებში მარტივი კვებითი ჯაჭვი. შემდეგ მსურველემი მოიწვიეთ დაფასთან (შესაძლოა რამდენიმე ერთდროულად), რათა სქემატურად გამოსახონ თავიანთი მოფიქრებული კვებითი ჯაჭვები.

მაგალითად:

ბალახი —————> კურდღელი —————> მელა
ფოთოლი —————> მუხლუხო —————> ჩიტბატონა კატა —————>
ხორბალი —————> თავვი —————> ბუ და ა. შ.

მოსწავლეებს გააცანით, რომ კვებით ჯაჭვში ერთმანეთთან დაკავშირებულ თითოეულ ორგანიზმს კვებითი რგოლი ჰქვია. ყურადღება მიაქცევინეთ იმ ფაქტზე, რომ ჯაჭვის ყოველი რგოლი - ცოცხალი ორგანიზმია. სთხოვეთ, დაასახელონ რამდენი რგოლისგან შედგება დაფაზე გამოსახული კვებითი ჯაჭვები (წარმოდგენილი მაგალითების მიხედვით 3, 4 და 5 რგოლისაგან)

შინაარსის რეალიზების ფაზა

2. კვებითი ჯაჭვის მოდელირება (20 წთ)

დაყავით კლასი ჯგუფებად და სთხოვეთ გაიხსენონ ხალხური ლექსის „თხა და ვენახის“ მიხედვით რას რა ჭამს. თანმიმდევრულად დაწერეთ დაფაზე მოსწავლეების მიერ ნაკარნახები სიტყვები.

ვენახი —————> თხა —————> მგელი —————> თოფი —————> ჟანგი —————> მიწა

მოსწავლეებს ყურადღება მიაქცევინეთ, რომ ლექსის ობიექტებიდან ზოგიერთი არაცოცხალი ბუნების ნაწილია. დაასახელებინეთ დაფაზე დაწერილი ობიექტებიდან რომელია არაცოცხალი.

სთხოვეთ მოსწავლეებს უპასუხონ კითხვებს:

- თქვენი აზრით, ლექსის „პერსონაჟებიდან“ რომელი ვერ იქნება კვებითი ჯაჭვის რგოლი?

(კვებითი ჯაჭვით მხოლოდ ორგანიზმები უკავშირდება ერთმანეთს. თოფი ჟანგი და მიწა კი არაცოცხალი ბუნების ნაწილებია).

- ლექსის მიხედვით რომელი ორგანიზმებისაგან შედგება კვებითი ჯაჭვი?

(ვენახი, თხა, მგელი).

შესთავაზეთ მოსწავლეებს კვებითი ჯაჭვის მოდელის შექმნა.

ინსტრუქცია

ფერადი ქაღალდის ზოლებზე მარკერით დააწერეთ ორგანიზმების აღმნიშვნელი სიტყვები;

დაალაგეთ ისინი სათანადო თანმიმდევრობით;

შეკარით პირველი რგოლი წარწერით „ვენახი“ წებოთი და გაატარეთ მასში ქაღალდის მეორე რგოლი წარწერით „თხა“. რგოლში წარწერით „თხა“ გაატარეთ მესამე რგოლი წარწერით „მგელი“ და მისი ბოლოებიც შეაწებეთ.

ჯგუფებს დაურიგეთ საჭირო მასალები და შესთავაზეთ შექმნან 4 და მეტი რგოლისგან შემდგარი კვებითი ჯაჭვის მოდელი. სთხოვეთ, დაიცვან ინსტრუქცია და იმუშაონ იმავე თანმიმდევრობით, როგორც თქვენ აჩვენეთ.

შეაფასეთ მოსწავლეების ნამუშევრები.

3. მოდელის პრეზენტაცია (5-7 წთ) - რეფლექსიის ფაზა

სთხოვეთ ჯგუფებს, კლასის წინაშე წარადგინონ კვებითი ჯაჭვის მოდელები.

პრეზენტატორებს დაუსვით შემდეგი სახის კითხვები:

- რამდენი ორგანიზმია დაკავშირებული ერთმანათთან თქვენი კვებითი ჯაჭვის მოდელში?

- რომელი ორგანიზმია მოქცეული კვებითი ჯაჭვის სათავეში? (მცენარე)

- რა ეწოდება მცენარეებს და რატომ? (მცენარეები წარმომქმნელებია, რადგან თვითონ წარმოქმნიან საკვებს).

- რომელი ორგანიზმები ჭამენ მცენარეებს? (მცენარემჭამელები და ნაირმჭამელები)

- შესაძლებელია თუ არა კვებით ჯაჭვში ორგანიზმები შემდეგი თანმიმდევრობით განლაგდნენ: მცენარე - მტაცებელი - მცენარისმჭამელი? რატომ?

(არ შეიძლება, რადგან მცენარის შემდეგ უნდა განლაგდეს ორგანიზმი, რომელიც მცენარით იკვებება. მტაცებლები, კი, როგორც ცნობილია, მცენარეებით არ იკვებებიან).

- შესაძლებელია თუ არა კვებით ჯაჭვში ორგანიზმები შემდეგი თანმიმდევრობით განლაგდნენ: მცენარე - ნაირმჭამელი? რატომ?

(შესაძლებელია, რადგან ნაირმჭამელები მცენარეებითაც იკვებებიან).

საშინაო დავალება- სთხოვეთ მოსწავლეებს, სახლში მოიფიქრონ და ჩაიწერონ რვეულებში მარტივი კვებითი ჯაჭვი.

კლასი VI

თემა - მოძრაობა და სიჩქარე

გაკვეთილის სათაური - გავლილი მანძილისა და სიჩქარის გაზომვა

გაკვეთილის მიზანია - მოსწავლეებმა საკუთარ მოძრაობაზე დაკვირვების შედეგად შეძლონ მონაცემების შეგროვება, მათი ანალიზი და ინტერპრეტაცია (მაგ. ცხრილის სახით); შეძლონ სიჩქარის მატემატიკური ფორმულირება, სიჩქარის ერთეულის გამოყვანა და მათ ირგვლივ მყოფი სხეულების სავარაუდო სიჩქარეებზე მსჯელობა.

საჭირო მასალა: მეტრიანი; წამზომი; ცარცი, ფურცლები; საწერ-კალამი.

გაკვეთილის მსვლელობა:

პროვოცირების ფაზა - 10 წთ.

მოსამზადებელი ეტაპი

მოსწავლეებს სთხოვეთ, ფურცლებზე დახატონ თავიანთი მარშრუტი სახლიდან სკოლამდე და დაწერონ წინ დღით ჩანიშნული მონაცემები: ა) დრო, რომლის განმავლობაშიც გაიარეს ეს მანძილი; ბ) გავლილი მანძილის მიახლოებითი სიგრძე - (ერთი ნაბიჯის სიგრძე გადაამრავლონ ნაბიჯების რაოდენობაზე).

მოძრაობასა და სიჩქარეზე დაკვირვება - შინაარსის რეალიზების ფაზა - 25 წთ.

ჩაიყვანეთ კლასი ეზოში და გაიყვანეთ სპორტულ მოედანზე. მეტრიანის გამოყენებით გადაზომეთ 100 მ სიგრძის მანძილი და მონიშნეთ ცარცით. მოსწავლეები დაყავით წყვილებად.

სთხოვეთ, გამოთქვან ვარაუდი, თუ რა დროს მოანდომებენ ჩვეულებრივი სიარულით ამ გზის გავლას და ფურცელზე ჩაინიშნონ ეს მონაცემები. შემდეგ, წყვილებიდან, ჯერ ერთი გადის ამ მანძილს, მეორე კი წამზომით ინიშნავს დროს. შემდეგომ ცვლიან როლებს: მეორე გადის ამ მანძილს და მეწყვილე ინიშნავს დროს.

ექსპერიმენტის დამთავრების შემდეგ, სთხოვეთ მოსწავლეებს, შეადარონ თავიანთი მონაცემები და უპასუხონ კითხვებს:

- რა ჰქონდა ორივე მოსწავლეს საერთო? (გასავლელი მანძილი)
- რატომ გაიარეს მათ ერთი და იგივე მანძილი სხვადასხვა დროში?

(ერთი უფრო სწრაფად მოძრაობდა, ვიდრე მეორე).

შემდეგ სთხოვეთ მთელ კლასს, დადგნენ საწყის წერტილთან - „სტარტ-თან“ და თქვენი ნიშნის შემდეგ ყველამ ერთად გაირბინონ 100 მეტრი. თქვენი წამბომით ინიშნავთ დროს. ბუნებრივია, გამარჯვებულია ის მოსწავლე, ვინც პირველი აღმოჩნდება ფინიშის ხაზთან.

გარბენის შემდეგ კვლავ ჰკითხეთ მოსწავლეებს:

- რატომ გაიმარჯვა თანაკლასელმა, მაშინ, როცა ყველამ ერთი და იგივე მანძილი გაირბინა? (იმიტომ, რომ ყველაზე სწრაფია, ე. ი. მეტი სიჩქარით დარბოდა).

- როგორ შეიძლება დადგინდეს მათი მოძრაობის სიჩქარე? (გარკვეულ დროში გავლილი მანძილით).

შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს კვლავ დადგნენ სასტარტო პოზიციაში და აუხსენით, რომ თქვენს ნიშანზე დაიწყონ სირბილი ფინიშისკენ და ასევე ზუსტად თქვენს ნიშანზე ადგილზე გაჩერდნენ და აღარ იმოძრაონ. დაინიშნეთ დრო და 15 წამის შემდეგ ანიშნეთ მოსწავლეებს გაჩერდნენ. უთხარით, რომ ამჯერად ისინი ერთი და იმავე დროის - 15 წამის განმავლობაში მოძრაობდნენ. 15 წამის ამოწურვის შემდეგ თქვენ ისინი გააჩერეთ და ერთად ნახეთ, რომ ყველას სხვადასხვა ადგილას მოუწიათ გაჩერება. ჰკითხეთ მათ:

- ვინ გაიარა ყველაზე მეტი მანძილი და რატომ? (ის ვინც ყველაზე ახლოსაა ფინიშის ხაზთან, იმიტომ, რომ ყველაზე სწრაფად დარბოდა ანუ ყველაზე მეტი სიჩქარით მოძრაობდა);

- რაზე ყოფილა სიჩქარე დამოკიდებული? (დროზე და მანძილზე)

- როგორ შეიძლება გამოვხატოთ სოტყვიერად, რა არის სიჩქარე? (სიჩქარე გვიჩვენებს რამდენად სწრაფად მოძრაობს სხეული);

- როგორ ჩავწეროთ სიჩქარე ფორმულით, თუ მას V ასოთი აღვნიშნავთ, დროს - T-თი, ხოლო გავლილ მანძილს - S-ით?

რეფლექსიის ფაზა - 10 წთ

წაუკითხეთ მოსწავლეებს ამოცანა:

ოლიმპიურ თამაშებზე ცურვაში 500 მეტრიან დისტანციაზე ერთმანეთს სამი სპორტსმენი ეჯიბრება. გერმანელმა სპორტსმენმა ეს მანძილი 12 წამში გაიარა, კანადელმა 15 წამში, ქართველმა კი 13 წამში.

სთხოვეთ მოსწავლეებს, განსაზღვრონ, ვინ რა თანმიმდევრობით მივიდა ფინიშთან და შეეცადონ გამოთვალონ თითოეულის სიჩქარე (ამისათვის 500 მეტრი უნდა გაყონ იმ დროზე, რომელიც დასჭირდა თითოეულს ამ მანძილის გასავლელად).

მოკლედ შეაჯამეთ გაკვეთილი და სთხოვეთ მოსწავლეებს, გაკვეთილის დასაწყისში ჩანიშნული მონაცემების მიხედვით გამოთვალონ თავიანთი მოძრაობის სიჩქარე სახლიდან სკოლამდე. დასასრულს, მიეცით **საშინაო დავალება**, დააკვირდნენ მათ ირგვლივ არსებულ სხეულებს და დაწერონ: „რა უფრო სწრაფად მოძრაობს და რატომ?“

დანართი 5. G-Praid -ის პროექტის ფარგლებში დაგეგმილი გაკვეთილები

დანართი 5

საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PrEd)

გაკვეთილის გეგმა

<p>შესავალი: გაკვეთილის გეგმაში წარმოდგენილი აქტივობები სამფაზიან კონსტრუქტივისტულ-ინტერაქტივისტულ მოდელზეა აგებული და, ძირითადად, საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტების კითხვის უნარის განვითარებაზეა ორიენტირებული.</p> <p>სასურველია, რომ მასწავლებელმა წინასწარ განიხილოს წარმოდგენილი აქტივობები და მათი ჩატარების თანმიმდევრობა. საჭიროებისამებრ შესაძლებელია, გაკვეთილს დაემატოს ზეპირმეტყველების, წერის, გრამატიკული ცოდნის დასაუფლებელი აქტივობებიც.</p>	
<p>შემდგენლები: პაატა შაპავა, თათა ჭანტურია</p>	
<p>საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა</p>	<p>კლასი: IV ან V</p>
<p>თემა: სახლები</p>	<p>დრო: 45 წთ.</p>
<p>გაკვეთილის ამოცანები/სწავლის შედეგები (ცოდნა, უნარ-ჩვევები, დამოკიდებულებები)</p> <p>მოსწავლეები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ დამუშავებენ საინფორმაციო-შემეცნებით ტექსტს, რომელიც შეეხება სახლის ტიპებს და დანიშნულებას სხვადასხვა კულტურაში; ○ გამოიყენებენ საინფორმაციო ტექსტის წაკითხვისა და გააზრების სტრატეგიებს (შეკითხვებზე პასუხის გაცემა, მსგავსება-განსხვავებების გარკვევა, ვიზუალიზება, ლექსიკურ ერთეულებთან მუშაობა და სხვ.); ○ ზეპირად და წერილობით გამოთქვამენ მოსაზრებებს/დამოკიდებულებებს საცხოვრებელი სახლის შესახებ. 	
<p>ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტი</p> <p>ქართ. IV. 5. მოსწავლეს შეუძლია მისთვის ნაცნობი თემების შემცველი სხვადასხვა სახის არამხატვრული ტექსტების წაკითხვა და გაგება.</p> <p>ქართ. IV. 8. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა წაკითხული ტექსტის (მხატვრულის/არამხატვრულის) მიმართ; ავლენს ესთეტიკურ და ეთიკურ შეფასების სურვილს.</p> <p>ქართ. IV. 10. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება ინფორმაციის მოსაძიებლად და კონკრეტული საკითხის დასამუშავებლად.</p> <p>ქართ. IV. 11. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მცირე ზომის ტექსტის შეთხზვა.</p>	
<p>მოსწავლეთა ორგანიზების ფორმები:</p> <ul style="list-style-type: none"> • მასწავლებელი მუშაობს მთელ კლასთან; • მოსწავლეები მუშაობენ ინდივიდუალურად; • მოსწავლეები მუშაობენ მცირე ჯგუფები. 	

გაკვეთილზე გამოყენებული ძირითადი მეთოდები და აქტივობები:

- მიმოხილვა შეკითხვების გამოყენებით;
- ჩამოთვალე - დაწყვილდი - გაუზიარე;
- სიტყვების გამომძიებელი (ერთ-ერთი ვარიანტი);
- საჩვენებელი ხმამაღლა წაკითხვა მოსწავლეებისთვის;
- მახასიათებლების ანალიზი და შედარება;
- 3-2-1.

სასწავლო მასალა და რესურსები (ტექსტი, თვალსაჩინოება, მულტიმედია, ინტერნეტრესურსი და სხვ.):

- ტექსტი „სახლები“. ლელა ქისტაური. საქართველოს დაწესებითი განათლების პროექტი (G-PriEd) http://www.kargiskola.ge/teachers/cignebi/Readers_Grade5/saxlebi.pdf
- ორი განსხვავებული სახლის ფოტოსურათი (ამობეჭდილი ან ელექტრონული ვერსია);
- დიდფორმატიანი ქაღალდი წინასწარ მომზადებული სქემით „სიტყვების გამომძიებელი“.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (მაგ. ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი. თამარ ბეროლაშვილი. 2012 წელი. დიოგენე; ენის მოდელირების ასოციაციის ონლაინ განმარტებითი ლექსიკონი ena.ge)
- სამუშაო ფურცლები: ა) გრაფიკული სქემა/ცხრილი „სიტყვების გამომძიებელი, ბ) მახასიათებლების ცხრილი.

გაკვეთილის მსვლელობა

I ფაზა - წაკითხვისთვის შემზადება

სწრაფი მიმოხილვა შეკითხვების გამოყენებით

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის თემას და მიზანს. უხსნის მათ, რომ დღევანდელ გაკვეთილზე საუბრით ექნებათ საცხოვრებელი სახლების შესახებ და ტექსტზე მუშაობის დაწყებამდე სვამს რამდენიმე შეკითხვას:

- როგორი საცხოვრებელი სახლები გინახავთ?
- თქვენ როგორ სახლში ცხოვრობთ? რამდენსართულიანია? ეზო აქვს? სახურავი რა ფერისაა?
- თქვენი ფიქრით, ადრე როგორ სახლებში ცხოვრობდნენ ადამიანები? რით განსხვავდებოდა მათი სახლები თანამედროვე სახლებისგან?
- ყველა ქვეყანაში ერთნაირ სახლებში ცხოვრობენ ადამიანები?
- ხომ არ იცით რამე რომელიმე ქვეყნის უჩვეულო სახლების შესახებ?

ჩამოთვალე-დაწყვილდი-გაუზიარე სურათის მიხედვით

მასწავლებელი დაფაზე აკრავს (ან პროექტორით გაუშვებს) ორ სურათს ერთმანეთისაგან განსხვავებული სახლების გამოსახულებით; სთხოვს მოსწავლეებს, კარგად დააკვირდნენ მოცემულ ფოტოებს და 3-4 წუთის განმავლობაში ჩამოწერონ სამი მსგავსება და სამი განსხვავება ამ სახლებს შორის. მოსწავლეები მუშაობენ ინდივიდუალურად.

დროის ამოწურვის შემდეგ ისინი ჯერ მეწყვილეს უზიარებენ თავიანთ ჩამონათვალს, საბოლოოდ კი - მთელ კლასს. მასწავლებელმა შეიძლება (ა) მსურველ ან (ბ) შემთხვევითი პრინციპით შერჩეულ წყვილებს სთხოვოს ჩამონათვალის გაზიარება. მასწავლებელი წარმართავს მოკლე დისკუსიას, რომელშიც სხვა წყვილებიც ერთვებიან საკუთარი მოსაზრებებითა და კომენტარებით.

სიტყვების გამომძიებელი

მას შემდეგ, რაც წყვილებს მიეცემათ საკუთარი მოსაზრებების კლასისთვის გაზიარების საშუალება, მასწავლებელი კედელზე აკრავს (ან დაფაზე წერს) წინასწარ დიდფორმატიან ქაღალდზე მომზადებულ ცხრილს სათაურით „სიტყვების გამომძიებელი“ (იხ. დანართი 1).

სიტყვა	ჩემი ვარაუდით	ტექსტის მიხედვით	ლექსიკონის მიხედვით
საძირკველი			
ბლოკი			
ალპინისტი			
მომთაბარე ცხოვრება			
თეჯა			
თავსამკაული			
მშვილდოსანი			

ამ ცხრილის მარცხენა სვეტში მოცემულია უცნობ სიტყვათა ჩამონათვალი. მასწავლებელი სთხოვს, დაფიქრდნენ რას შეიძლება ნიშნავდეს თითოეული სიტყვა. მოსწავლეთა მიერ გამოთქმულ ვარაუდებს მასწავლებელი წერს ცხრილის მეორე სვეტში. შემდეგ კი სთხოვს, რომ როცა კითხვას დაიწყებენ, ტექსტის მიხედვით დააზუსტონ თითოეული სიტყვის მნიშვნელობა. ასევე შეუძლიათ, ისარგებლონ განმარტებითი ლექსიკონებით.

II ფაზა - კითხვა და ტექსტთან მუშაობა

ხმამალა წაკითხვა მოსწავლეებისთვის

ცხრილის შევსების შემდეგ მასწავლებელი ხმამალა, გამომეტყველებით კითხულობს ტექსტის შესავალ ნაწილს. დროდადრო კლასის გააქტიურების მიზნით ჩერდება, აკეთებს ახსნა-განმარტებითი სახის კომენტარებს და შეკითხვების დასმის გზით აზუსტებს, რამდენად იგებენ მოსწავლეები წაკითხულს.

ხმამალა წაკითხვის დასრულების შემდეგ მასწავლებელი უბრუნდება ცხრილს „სიტყვების გამომძიებელი“ და მოსწავლეების დახმარებით ცდილობს, ტექტიდან გამომდინარე, განმარტონ იმ სიტყვების მნიშვნელობა, რომლებიც წაკითხვისას შეხვდათ. საჭიროებისამებრ, მნიშვნელობის საბოლოოდ დასაზუსტებლად მიმართავენ ლექსიკონს.

მასწავლებელი შეაჯამებს ტექსტის წაკითხულ ნაწილს და გადადის მომდევნო აქტივობაზე.

ტექსტის კითხვა და მახასიათებლების ცხრილის შევსება

მასწავლებელ ყოფს მოსწავლეებს 4 ჯგუფად და აძლევს ტექსტებს/წიგნებს - თითო ჯგუფს ორ-ორს. მოსწავლეებმა ყურადღებით უნდა წაკითხონ ტექსტი და შეასრულონ სამი ძირითადი დავალება:

1. შეავსონ მახასიათებლების ცხრილი (იხ. დანართი 2);

სახლი	სად გვხვდება და რას უწოდებენ?	რა მასალისგან შენდება?	როგორი ფორმა აქვს?	საინტერესო ინფორმაცია
პირველი სახლი				
მეორე სახლი				

2. დააზუსტონ გაკვეთილის დასაწყისში განხილული სიტყვების მნიშვნელობა და ჩაწერონ რვეულში;

3. განსაზღვრონ შერჩეულ ორ სახლს შორის თითო დიდი მსგავსება და მკვეთრი განსხვავება.

მოსწავლეები ასრულებენ დავალებას, მასწავლებელი გადაადგილდება ჯგუფებს შორის და საჭიროებისამებრ ეხმარება მოსწავლეებს შენიშვნებით, რჩევებითა და მინიშვნებებით. გაკვეთილის დიფერენცირების შემთხვევაში (იხ. ვარიაციები ქვემოთ) მასწავლებელი ძირითადად საგანგებოდ დაკომპლექტებულ ჯგუფთან იმუშავებს.

III ფაზა - გამოლიანება-განმტკიცება წაკითხვის შემდეგ

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დაასრულებენ ტექსტზე მუშაობას, მასწავლებელი კვლავ უბრუნდება სიტყვების სქემას და ცდილობს შეავსოს ცხრილის მეორე გრაფა სხვადასხვა ჯგუფიდან მიწოდებული ინფორმაციით. თვითონაც ეხმარება მოსწავლეებს სწორი მნიშვნელობების მიგნებაში. ზოგ შემთხვევაში კვლავ აბრუნებს ტექსტთან. რომელი სიტყვის მნიშვნელობაც კვლავ ბუნდოვანი და დაუზუსტებელი რჩება, ცდილობს ლექსიკონში მოაძებნინოს.

შემდეგ ეტაპზე ყველა ჯგუფი აკეთებს მახასიათებლების ცხრილის პრეზენტაციას და აცნობს ახალ ინფორმაციას მთელ კლასს.

საკითხის შესაჯამებლად მასწავლებელი სვამს შეკითხვებს და ასაუბრებს მოსწავლეებს იმის შესახებ, თუ რა გაიგეს ამ ტექსტებიდან ახალი? როგორ იმუშავეს, რა გაუჭირდათ, რამ გაახალისათ? ჩართული იყო თუ არა

ყველა მოსწავლე? საინტერესო იყო თუ არა ტექსტი და მასზე მუშაობა? რატომ? და სხვ.

3-2-1

გაკვეთილის ბოლოს თითოეული მოსწავლე ირჩევს განხილული სახლებიდან მისთვის ყველაზე საინტერესოს და ასრულებს წერით დავალებას „3-2-1“:

- 3 რამ, რაც მომეწონა ამ სახლში;
- 2 რამ, რასაც შევეცვლიდი ამ სახლში;
- 1 რჩევა იმას, ვინც ამ სახლში ცხოვრობს აპირებს.

საშინაო დავალება

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებას: დაწერეთ როგორია თქვენი ოცნების სახლი და დაურთეთ ილუსტრაცია.

შეფასება

მასწავლებელი აკვირდება მოსწავლეთა მუშაობას და საკუთარ სამუშაო რვეულში აკეთებს სპეციალურ ჩანაწერებს. ეს შეიძლება იყოს:

- სწრაფი მიმდინარე ჩანაწერები იმ მოსწავლეთა მუშაობის ასპექტებზე, რომლებიც: ა) ძნელად ან საერთოდ ვერ ართმევენ თავს რომელიმე საშიზზე უნარის დაუფლება-გამოყენებას; ბ) პასიულად ან საერთოდ არ ერთვებიან ამა თუ იმ აქტივობაში.
- მოსწავლეთა მუშაობის მონიტორინგის სქემა. გაკვეთილის მსვლელობისას ან დასრულების შემდეგ ცხრილის უჯრებში მასწავლებელი ჩაწერს დაკვირვების შედეგებს ერთი-ორი სიტყვით ან სპეციალური სიმბოლოებით (მაგ.: ✓ / ↑ / ☺ - კარგი, საუკეთესო; ± / → / ☹ - საშუალო, დამაკმაყოფილებელი; ↓ / ☹ - საშუალოზე დაბალი, არადამაკმაყოფილებელი; ↗ - აწეული, გაუმჯობესებული; ↘ - დაწეული, გაუარესებული).

მოსწავლე	შეკითხვ. პასუხი და დისკუსია ტექსტის გარშემო		მუშაობა ლექსიკურ ერთეულებზე		ტექსტთან მუშაობა (წაკითხვა და გაგება-გააზრება)		წერიტი დავალების შესრულება		საშინაო დავალება
	აქტიურ.	შესრულ.	აქტიურ.	შესრულ.	აქტიურ.	შესრულ.	აქტიურ.	შესრულ.	შესრულ.

მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა გამოიყენოს დაკვირვების შედეგები მოსწავლეებისთვის უკუკავშირის მიწოდების, დიფერენცირებული აქტივობების დაგეგმვის, მიზნობრივი დახმარების უზრუნველყოფის, მშობლებთან კომუნიკაციის დროს. შესაძლებელია, რომ ამა თუ იმ უნარის დაუფლებაში შეფერხების მიზეზების დასადგენად ჩატარდეს დამატებითი დიაგნოსტიკა ერთი ან რამდენიმე მოსწავლისათვის.

ვარიაციები (დიფერენცირება, ინტეგრირება, განვრცობა და სხვ.)

შესაძლებელია ამ გაკვეთილის **დიფერენცირება** სხვადასხვა ფორმით, მაგალითად, მასწავლებელმა დააკომპლექტოს ერთი ჯგუფი დაბალი მოსწრების მქონე მოსწავლეებით. ამ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ მასწავლებელმა:

- შესთავაზოს ამ ჯგუფს ტექსტის ადაპტირებული (შემოკლებული და გამარტივებული), წინასწარ მომზადებული ვერსიის წაკითხვა;
- შესთავაზოს ამ ჯგუფს ტექსტის არა სრულად, არამედ ნაწილის წაკითხვა-დამუშავება (ასეთ შემთხვევაში მოსწავლეებს მოუწევთ „სიტყვების გამომძიებლის“ უჯრების ნაწილის შევსება);
- თავად წაუკითხოს ამ ჯგუფის მოსწავლეებს ტექსტის კიდევ ერთი ან ორი მონაკვეთი;
- სთხოვოს მოსწავლეებს არა სამივე, არამედ პირველი და მეორე დავალების შესრულება (იხ. გაკვეთილის მეორე ფაზა);
- გაუკეთოს დავალების შესრულების მოდელირება მანამ, სანამ მოსწავლეები დაიწყებენ მის შესრულებას (მაგ., სამიზნე სიტყვის მნიშვნელობის დადგენა ტექსტისა და ლექსიკონის გამოყენებით, საგნის (სახლის) მახასიათებლების განსაზღვრა და სხვ.).